საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება
Department of History and Archaeology

ბათუმი
წარსული და თანამედროვეობა

IV

BATUMI
PAST AND PRESENT

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები, ბათუმი, 2013 წლის 1-2 სექტემბერი
Proceedings of the International conference
Batumi, 1-2 September, 2013

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2013

UDC (უაკ) 94(479.223-25)+94(479.223)(063)
ბ-179

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის

სარედაქციო კოლეგია: **ბიჭიკო დიასამიძე** ***(მთავარი რედაქტორი)***, სიმონ გოგიტიძე, ხათუნა დიასამიძე, ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, **ნინო ინაიშვილი** ***(მთავარი რედაქტორის მოადგილე)***, ნოდარ კახიძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი), როინ მალაყმაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, გურამ ჩაგანავა, მაია ჭიჭილეიშვილი, ნანა ხახუტაიშვილი, **ოლეგ ჯიბაშვილი** ***(პასუხისმგებელი რედაქტორი)***.

რეცენზენტები: **ამირან კახიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ვარშალომიძე – ისტორიის დოქტორი
პაატა აროშიძე – ეკონომიკის დოქტორი

EDITORIAL BOARD: **Bichiko Diasamidze *(Editor-In-Chief)*,** Simon Gogitidze, Khatuna Diasamidze, Irina Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze,**Nino Inaishvili *(Assistant Editor)***,Nodar Kakhidze, Guram Lortkipanidze (Tbilisi), Roin Malakmadze,Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Gela Saitidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Zaza Shashikadze, Shushana Putkaradze, Elza Putkaradze, Guram Chaganava, Maia Chichileishvili, Nana Khakhutaishvili, **Oleg Jibashvili *(Responsible Editor)*.**

Reviewers: **Amiran Kakhidze** – Doctor of Historical Sciences
Jemal Varshalomidze–PhD in History
Paata **Aroshidze** – PhD in Economics

ISSN 1987-8745
© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2013
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2013

გია გელაშვილი
(თბილისი, საქართველო)

ზოგი უცხოური ცნობა ბათუმის შესახებ (XIX ს-ის მეორე ნახევარი)

ცნობები ეკუთვნის ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურსა და ალპინისტს გოტფრიდ მერცბახერს (1843-1926). 1891 წელს მან მოაწყო ექსპედიცია მანამდე გამოუკვლევ კავკასიონის ნაწილში. 1901 წელს ლაიფციგში გამოაქვეყნა ორტომეული – „კავკასიონის მაღალ რეგიონებში“ (Aus den Hochgebirgen des Kaukasus). ეს არის 34 თავისგან შემდგარი თითქმის 2000-გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც მოგვცა თავისი მოგზაურობის მეცნიერული დასკვნები და შემოვლილი რეგიონების პირველი კარტოგრაფირება. მას ახლავს უამრავი ილუსტრაცია, პანორამული სურათი, რუკები და სხვა მასალა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთის მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად მერცბახერის ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია XIX საუკუნის მეცნიერ-მოგზაურთა შორის.

ცნობები ბათუმის შესახებ ამოვიღეთ პირველი ტომის X და XI თავებიდან – „მიუნხენიდან ბათუმისკენ“ და „ბათუმიდან ქუთაისისკენ“.

როგორც მოგზაური ამბობს, ზაფხულობით ორი რეისი სრულდებოდა ოდესიდან ბათუმისკენ ყირიმის, შავი ზღვის ჩერქეზული სანაპიროსა და ფოთის გავლით. მერცბახერი თავის თანმხლებ სამ პიროვნებასთან ერთად, 7 ივლისს, ხუთი დღის ცურვის შემდეგ, ჩავიდა ოდესიდან ბათუმში. აქედან ქუთაისის გავლით ადის სვანეთში და იწყებს თავის კავკასიურ ოდისეას.

ჩვენ კომენტარების გარეშე მოგვაქვს მერცბახერის ტექსტის თარგმანი და ვთვლით, რომ ის გარკვეულწილად შეავსებს XIX საუკუნის ბათუმის ისტორიის შესახებ არსებულ მასალებს.

მას შემდეგ, რაც თურქეთთან ბოლო ომის შემდეგ ბათუმი რუსეთს გადაეცა, მისი კარგად დაცული ნავსადგური ნავთობის ექსპორტისთვის მოეწყო და ამიერკავკასიის რკინიგზის ტოტს მიუერთდა, ფოთმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ სწრაფად მზარდი ბათუმის ნავსადგური უკვე ახლა საკმაოდ პატარაა ნავთობის

უზარმაზარი ექსპორტისთვის; ამას გარდა, მისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო გადაიქცა განსაკუთრებულ სამხედრო პორტად.

ეს საუცხოო ნავსადგური ჩრდილოეთისკენ გაწოლილი კონცხითაა დაცული გაბატონებული სამხრეთის ქარებისგან და ფორტითა და შუქურით დაბოლოებული ზვირთსაჭრელით ხელს უშლიან ჩრდილოეთის ქარების შემოჭრას. არაჩვეულებრივად გაცხოველებული მოძრაობა შეინიშნება გემმრავალ პორტში და მშვენიერ ახალ პირსზე. აქედან იგზავნება ბაქოს ულევი საექსპორტო ნავთობი ევროპაში, ინდოეთში, აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში, თუმცა ეს პატარა საცავი ძლივს აკმაყოფილებს მუდმივ მზარდ მოთხოვნილებებს. მშვენიერი ფაბრიკები და საცავებია აღმართული ნაპირის ახლოს[1]. ყველგან იგრძნობა აღმავალი ცხოვრების სუნთქვა. ნიადაგი შავია და გამჯდარია ნავთობით, ხოლო ჰაერი მოგზაურს ხვდება ნავთობის სუნით. ეს არომატი მგზავრს არ შორდება მთელი გზა ბაქომდე. ყოველ სადგურზე დამახასიათებელი სუნითაა ჰაერი გაჟღენთილი – ნაწილობრივ ნავთობით დატვირთული მიმავალი ცისტერნების, უფრო კი ორთქლმავლების გამო, რომლებიც მაზუთზე მუშაობენ... ეს სუნი ამიერკავკასიის მახასიათებელია.

ქალაქის მდებარეობა დაბალია; ზღვის დონიდან მხოლოდ რამდენიმე მეტრზე ვრცელდება დიდ ფართზე. დაბალი შენობები უმეტესად განლაგებულია მკაცრად გეომეტრიულად დაგეგმილ ქუჩებზე; ისინი დაფარულია და გარშემორტყმული ფოთლოვანი ხეების ცოცხალი მწვანით. ნელ-ნელა მაღლდება ხეებით მდიდარი ვაკე, რომელსაც რკალისებურად შემორტყმიან კლდოვანთხემიანი ქედები, დასერილი პატარა ხეობებით. ზურმუხტოვანი მწვანით დამშვენებული მდელოიანი ფერდები ერთმანეთის მეზობლად ეშვებიან ზღვისკენ. რამდენიმე მტკიცე ფორტი განლაგებულია ამ თხემებზე და შეუძლიათ ეფექტურად აღკვეთონ ყოველი მიახლოვება ნავსადგურთან.

ფერდებზე ტერასებად შეფენილი მდიდარი ევროპელი კომერსანტების მრავალი ლამაზი ვილა სასიამოვნო თეთრი ფერით ანათებენ მთის მდელოების მწვანიდან და ხეების ჩრდილიანი სიბნელიდან.

ბათუმს გააჩნია ძველი ისტორია. ჯერ კიდევ იმპერატორ ადრიანეს დროს იქ არსებობდა ძლიერი რომაული სამხედრო ახალშენი. ასევე ბიზანტიელებმა და მათმა მომდევნო სპარსელმა მეფეებმა იქ

1 უმნიშვნელოვანესი შენობა-საწარმოები ეკუთვნიან როტშილდის სავაჭრო საზოგადოებას. მართლაც დიდებული საწარმოებია, რომლებშიც ნავთობით ავსებენ თუნუქის კასრებს; ამათ კი ათავსებენ ყუთებში, როგორც ამას მოითხოვენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. თუნუქის კასრები და ყუთები თვით ფაბრიკებში მზადდება მექანიკური გზით; ეს სამუშაო სრულდება შესაფერისი დანადგარებით. მსგავს, მაგრამ არა ასეთივე მნიშვნელობის საწარმოს ფლობს ძმები ნობელების ფირმა.

ააგეს სიმაგრეები. XVI საუკუნეში ეს მხარე თურქებმა დაიკავეს და მცირე შუალედებით მყარად ეპყრათ, სანამ ბერლინის ხელშეკრულებით 1878 წელს არ გადაეცა რუსეთს, როგორც თავისუფალი პორტი. ამასთან, 1886 წელს რუსულმა მთავრობამ კვლავ გააუქმა თავისუფალი ნავსადგურის სტატუსი. თურქეთის ბატონობისას მისი მნიშვნელობა სრულიად დაეცა, ახლა კი ქალაქმა განიცადა ძლიერი აღმავლობა და უეჭველად გახდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პორტი, რომ არა ომი, რომლის გამოც ვაჭრობამ ფოთში გადაინაცვლა. ის, რაც დარჩა ძველი თურქული ქალაქისგან, ესაა შეუხედავი, უყურადღებოდ მდგომი, ბარაკების მსგავსი შენობები; ახალი რუსული ქალაქი კი გვთავაზობს გეგმიურ, ფართო ქუჩებს და მიმზიდველ, სოლიდურ მშენებლობას. მაგრამ ჯერ ყველაფერი არაა დასრულებული. რბილი, ნესტიანი თბილი ჰავა განსაკუთრებით უწყობს ხელს ხეთა ზრდას, რაც აქ ხუთჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გერმანიაში; ასე რომ, დღეს ქალაქის ზოგადი სამშენებლო გეგმა ისე გამოიყურება, თითქოს ჰქონდეს ფოთლოვანი გვირგვინის მტკიცე მწვანე სახურავები.

ბათუმი შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე დიოსკურიად მრავალენოვნებისა და ხალხთა შერევის თვალსაზრისით. მოსახლეობის ამჟამინდელი რიცხვი არის დაახლოებით 18000 და წარმოადგენს ხალხთა ნამდვილ ნარევს, რაც მას, როგორც ყველა ინტერნაციონალურ პუნქტს, განსაკუთრებულ მიმზიდველ დაღს ასვამს. ევროპელთა უმეტესობა საკმაოდ მნიშვნელოვან კოლონიებად წარმოსდგებიან; ასევე მრავლადაა კავკასიური მოდგმის წარმომადგენლები და მეზობელი აღმოსავლური ერების მრავალრიცხოვანი ადამიანები – თურქები, სპარსელები და ა.შ. გვხვდება დიდებული გარეგნობისა და ჭრელი ჩაცმულობის პირები. ესენი პოულობენ საშუალებას, რომ იხარონ მრავალფეროვანი ცხოვრებით ნავსადგურის პირსზე, ბულვარზე და ბაზარში. ამ უკანასკნელის ღია დუქნებში გამვლელთა თვალწინ სრულდება ყველა ხელობა, რაც ნამდვილად სანახავია. ბერძნებისა და თურქების დიდი რაოდენობა, თავზე თავისი მბზინავი წითელი ფესით, სიჭრელეს მატებს ქუჩების ცხოვრებას.

თვალში საცემია ორივე სქესის რაოდენობრივი შეუსაბამობა. რადდეს მიხედვით 14.180 მამაკაცზე მოდის მხოლოდ 3.943 ქალი. ამას ხსნიან გარნიზონის მსახურთა რაოდენობით, სანაოსნოს მრავალრიცხოვანი პერსონალით და მუშათა რიცხოვნობით, რომლებიც მხოლოდ მცირე ხნით მუშაობენ ფაბრიკებში, ხოლო შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს ქვეყნის შიგნით.

აქ იზრდება ხმელთაშუაზღვის ჩრდილო ნაპირის ყველა მგრძნობიარე მცენარე: სხვადასხვა სახეობის აკაციები, ჭადარი, მაგნოლია,

ლეღვი, ბეგონია, ევკალიპტი, ზეთისხილი, ალვა, კვიპაროსი და კაკალი. აქაც, ფოთის მსგავსად, წარმატებით მოჰყავთ ჩაი.

მატარებელი ტფილისისკენ გადიოდა დღის მეორე ნახევარში,[2] ამიტომ თავისუფალი დრო გამოვიყენეთ ქალაქში და მის შემოგარენში გასასეირნებლად... ფრანგულ სასტუმროში ნახავთ ევროპულ კომფორტს, მაგრამ ფასები უფრო მაღალია, ვიდრე რომელიმე ევროპულ დიდ ქალაქში. ამას ხსნიან სურსათის სიძვირით; სასოფლო პროდუქტებზე ბევრი ზრუნვაა საჭირო, რადგან სამიწო ურთიერთობების მოუწესრიგებლობა და მხარის არასაიმედოობა დიდ დაბრკოლებას უქმნის სასოფლო წარმოებას ქალაქის სიახლოვეს. ირგვლივ მდებარე ტყიანი მთები და თურქეთის საზღვრის სიახლოვე ხელს უწყობს უპატივცემულო დამოკიდებულების თანდაყოლილ ლტოლვას სხვისი საკუთრებისადმი ადგილობრივ მთის მოსახლეობაში და ხელს უშლის ნაყოფიერი ნიადაგის გამოყენებას ევროპელი კოლონისტების მიერ.

სამგზავრო სადგური აქაური მნიშვნელოვანი მიმოსვლისთვის წარმოადგენს სრულიად უკმარის უბრალო ხის დარბაზს (ის შეიცვლება ახალი, ვრცელი და ლამაზი სადგურის შენობით). დიდი ფუთებით დატვირთული მგზავრების, მეტწილად, ადგილობრივების, იერიში მატარებელზე ძალიან დამაფრთხობელია; ხმაური გამაყრუებელი და სულის შემძვრელია. აქაც ბატონობს მოუგვარებელი უწესრიგობა, რაც ევროპის ბევრ ქვეყანაშიც გვხვდება: მატარებლის გასვლამდე მხოლოდ 15 წუთით ადრე იღება საბილეთო და საბარგო სალაროები, მაშინაც კი, როცა ასეთი ძლიერია ხალხის შემოტევა. სალაროსთან გჭირდება დიდი სიმარდისა და სითავხედის გამოჩენა. ევროპიდან ჩამოსულებს სალაროსთან პირველად თვალში ეცემა საანგარიშოს კაკუნი; ესაა სპეციფიკური რუსული შემოქმედება, ურომლისოდაც მთელ ვრცელ რუსეთის იმპერიაში იშვიათად თუ ვინმე ანგარიშობს.[3] ამიერკავკასიის რკინიგზაზე ძალიან მაღალი ტარიფია ბარგზე, ამიტომ მგზავრები ცდილობენ მთელი ბარგი ვაგონში შეიტანონ. ამას გარდა, თითქმის ყველას თან მიაქვს ქვეშაგები, საბანი და ნოხები, რათა ღამით საწოლი მოიწყონ. ხშირად მიაქვთ ჩაისთვის აუცილებელი „სამოვარიც“. ამდენად, ყველა მგზავრობს უამრავი მსხვილი ფუთით და შეკვრებით, უმეტესად, უზარმაზარი ჭრელი ხურჯინებით. ევროპული ფორმის ბარგი იშვიათია. ზოგს თითქოს მთელი ავლადიდება თან წამოუღია და ვაგონში უცერემონიოდ მოუფენია ისე, რომ ხშირად უჭირთ დასაჯდომი ადგილის მოძებნა. მუდამ ვხედავთ უსიტყვო მიშვებულობას მატარებლის პერსონალის მხრივ, რომლებიც მგზავრებს ძალზე მცირედ ემსახურებიან. მგზავრებმა ყოველივე ერ-

[2] ორივე მიმართულებით დღეში ერთი ჩქარი მატარებელი დადის.

[3] ამის შესახებ ადრინდელი მოგზაურებისგან იცოდა და ამიტომ არ ჩაჯდა მატარებელში, ვიდრე ბარგს სათანადო იარლიყები არ დაადო და დააბინავა – გ.გ.

თმანეთში უნდა გაარკვიონ... ვაგონები ერთმანეთში გაისვლება შუაში გამავალი დერეფნით და მგზავრს შეუძლია მატარებლის ერთი ბოლოდან მეორემდე იაროს. ამიტომაც გაუთავებელი პროცესია იქით-აქეთ სიარული. ვაგონები არა მარტო სატრანსპორტო საშუალებაა, არამედ საყოველთაო სასეირნო. ყველა იქ ჩერდება და ჯდება, სადაც ნაცნობს ნახავს, მიუხედავად იმისა, მესამე თუ მეორე კლასის ბილეთი აქვს აღებული. არასდროს წყდება შემაწუხებელი ხმაური და უწესობა; მიდი-მოდიან და გაუთავებლად ლაპარაკობენ ოციოდე უხეშად მჟღერ ენაზე; აგრეთვე აბოლებენ, თამაშობენ ბანქოს, ადუღებენ ჩაის, სვამენ და მიირთმევენ; ქალები აწყნარებენ (აწოვებენ) ბავშვებს. მოკლედ, მგზავრობა იძლევა საშუალებას, შეისწავლო სხვადასხვა ჩვეულებანი და მანკიერებანი. ნერვიული პიროვნებისთვის ეს სატანჯველია. მხოლოდ პირველი კლასია ერთგვარად გამოყოფილი, სადაც დერეფანი გადის არა შუაში, არამედ ნაპირის გასწვრივ, ხოლო ცალკე კუპეებში კარით შედიხარ; თუმცა გამყოლი პერსონალის უტყვი მომთმენლობის გამო არ ხარ დაცულიო უწესო ელემენტების შემოჭრისგან. საერთოდ, რუსი კონდუქტორები სამაგალითო თავაზიანობით გამოირჩევიან, რომელიც დასავლეთში ბევრგან ნიმუშად გამოადგებოდათ. მათი უნიფორმა წუნდაუდებლად სუფთაა და დიდებული. ესენი მეტწილად არიან მაღლები, ლამაზი წვერით და როცა ასეთი ელეგანტური, გაბრწყინვებული ფორმიანი კაცი ვაგონში შემოდის, იფიქრებ, რომ ის არის თავადი, გენერალი ან მსგავსი ვინმე და არა მატარებლის მომსახურე....

ყოველ სადგურზე გამაყრუებელი ხმაური და აუწერელი ჟგლეთაა. მხატვრულად დიდებული ფიგურები სხვადასხვა ჩაცმულობით, გრძელი კავკასიური ხანჯლით ქამარში, მხრებზე მოგდებული ბანჯგვლიანი შავი ნაბდით, ყელზე დაუდევრად შემოხვეული და სირმებით შემკობილი ბაცი ნაცრისფერი ან თეთრი ყაბალახით, ადიან და ჩადიან მატარებელში. მგზავრთა შორის ბატონობს საერთო კავკასიური, ე.წ. ყაბარდოული ჩაცმულობა. რაც შეეხება მამაკაცების ლამაზ აღნაგობას, აღსანიშნავია, რომ უმეტესობა მაღალია, ტანადი, პროპორციული; მსუქნები, როგორიც დასავლეთ ევროპაშია და უფრო გერმანიაში, არ გვხვდება. აქვთ სწორი, კეთილშობილური ნაკვთები, ხშირი წარბები, მუქი ელვარე თვალები. ყველას, იქნება ეს გლეხი, მუშა, თუ წარჩინებული, აქვს თავადური შესახედაობა და მანერები. დიდ წვერთან ერთად შეიმჩნევა დიდი ცხვირიც.

ქართველი ქალები, რომლებიც ასევე მრავლად მგზავრობენ, ევროპელებს, პირველ ყოვლისა, აჯადოებენ ლამაზი წარბების ქვეშ მოქცეული დიდი, მუქი თვალებით; იფიქრებ, რომ მისგან მომავალ მზერაში, ამ განსაკუთრებულ ღრმა ელვარებაში არის რაღაც საიდუმლო, რაღაც დიდი ვნება, განპირობებული ტემპერამენტითა და ში-

ნაგანი სულით. ორი გრძელი შავი ნაწნავი ეშვება ყურებიდან მხრებისკენ ფერმკრთალ, სწორად გამოკვეთილი სახის მოგრძო ოვალის ორივე მხარეს; ხოლო განსაკუთრებული ჩაცმულობა აძლიერებს უჩვეულო გარეგნობას...

კავკასიაში ჩასულს პირველი მგზავრობისას რაც თვალში ხვდება, არის მკვეთრი გარეგნული სხვაობა ქართველურ და თურქულ რასების წარმომადგენლებს შორის. აღნაგობა, სახის ნაკვთები, წარმოსადეგობა და ჩაცმულობა მაშინვე განასხვავებს მათ. ჯმუხი, განიერი სახე, მომცრო თვალები, წვერის სხვა ფორმა, სქელი, განიერი ან სულაც ტყავის სამოსი, ბანჯგვლიანი ფაფახები, ფრთხილი მოქმედება, დაბოლოს, განსაკუთრებით, მუშათა კლასის შემოფლეთილი ტანსაცმელი და უსუფთაობა – ყოველივე მაშინვე განასხვავებს თათრებს ტანადი, მოქნილი და თავის გარეგნობისადმი ყურადღებადმყოფი ქართველებისაგან.

ყოველ სადგურზე მატარებელთან მოდიან პატარა გოგო-ბიჭები, რომელთა გამხდარ სხეულს ძლივს უფარავს ძონძები და სთავაზობენ სხვადასხვა რამეს: ხილს, ცოცხალ ქათმებს, თეთრ ჟოლოს, მაყვალს, ყველს, კიტრს, ნესვს, ყაბალახებს, აბრეშუმს, თიხის დოქებს და სხვას....

ბათუმიდან მატარებელი ჯერ ჩრდილოეთის მიმართულებით გაემართა კლდოვანი ნაპირის გასწვრივ... სუფსის მერე მკვეთრად აღმოსავლეთით.

Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia)

Some Foreign Information about Batumi (Second Half of 19th Century)

Summary

In our report we offer a Georgian translation of an information about Batumi given by German researcher and traveller Gottfried Merzbacher (1843-1926) in his two volume work - "In high Mountain Regions of Kaukasus~(Leipzig,1901). He describes everything he saw himself - the town, its harbor, railway station, an oil-field and oil-tanker, its population and their appearance etc.

სიმონ გოგიტიძე
(ბათუმი, საქართველო)

შილტბერგერის ცნობები ბათუმის შესახებ

XV საუკუნეში ქალაქ ბათუმს რამდენიმე ევროპელი მოგზაური, მისიონერი თუ სახელმწიფო მოხელე სწვევია. მათგან აღსანიშნავია იოჰან შილტბერგერი, იოსიფა ბარბარო და ამროზიო კონტარინი; ბათუმისა და საერთოდ საქართველოს სამეფო–სამთავროთა შესახებ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობები დაუცავს ამავე საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელ ისტორიკოსს ლაონიკე ხანკოკონდილესაც.

იოჰან შილტბერგერი დაიბადა 1381 წელს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში. ის ჯერ რაინდობას გაუტაცია, შემდეგ კი მოგზაურობას. ბოლოს მწერლობისთვისაც მიუყვია ხელი. მას 1420-1426 წლებში საქართველოზე გავლით ორჯერ უმოგზაურია. მის მიერ შეკრებილი ცნობების წიგნი ევროპაში 1812 წელს გამოიცა, რომლითაც ისარგებლა ოდესელმა პროფესორმა თეოდორე ბრუნმა. ამ უკანასკნელმა 1867 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ოდესაში, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის კრებულში – „იოჰან შილტბერგერის მოგზაურობა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში 1394-1427 წლებში“. გერმანელი მოგზაურ–მკვლევრის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შ. რევიშვილმა შემოიტანა.

შილტბერგერი 1426 წელს აფრიკიდან ევროპაში დაბრუნებისას მეორედ მოხვდა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში (რევიშვილი, 1971). მისი გადმოცემით, საქართველო დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებიც თავიანთ პატრონად მიიჩნევენ წმინდა გიორგის. ისინი აღიარებენ ბერძნულ სარწმუნოებას, ლაპარაკობენ განსაკუთრებულ ენაზე და არის „მებრძოლი ხალხი“. საქართველოს გვერდით მდებარეობს აფხაზეთი და სამეგრელო. აფხაზეთის ქალაქია სოხუმი, ხოლო სამეგრელოს (მეგრალ) დედაქალაქია ბათუმი (Гамахария, Гогия, 1997:225). ამ ქალაქის მოსახლეობაც ქრისტიანობის მიმდევრია. საქართველოში ჩემი ყოფნის დროს, ეკუთვნოდა თემურ–ლენგის შვილს. შილტბერგერის გადმოცემით არმენია შედგება სამი სამეფოსაგან–თიბლის, სის და ერსინგენ. უკანასკნელს ეწოდება სომხეთის ერცნგა (მარკო პოლო მას უწოდებს არზინგა – Поло, 1955:56) შეადგენს მცირე არმენიას. ოდესღაც ისინი ფლობდნენ ბაბილონს. ახლანდელ დროს თბილისი და ერზინჯანი ეკუთვნის ტამერლანის შვილს, ხოლო სის – მეფე სულთანს, 1277 წელს ის დაიპყრო კაიროს სულთანმა (Шильтбергер, 1984: 67; Брун, 1867, 111). აქედან ხომალდები მიცურავენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნისაკენ, მათ შორის, იტალიისა და ბი-

ზანტიის მიმართულებით. შავ ზღვას ფლობენ თურქები, მაგრამ მათი ხომალდები სისწრაფეში ვერ სჯობნიან ევროპელთა სწრაფად მცურავ გემებს (რევიშვილი, 1971).

ი.შილტბერგერის გადმოცემით, თურქ-სელჯუკთა სულთანმა ბაიაზიდმა XIV საუკუნის დამლევს, 80 ათასიანი არმიით შეიჭრა ჭანიკის ქვეყანაში და ალყა შემოარტყა მის მთავარ ქალაქს, სამსუნს. განდევნა ჭანეთის ქვეყნის გამგებელი და მის ნაცვლად ამ მხარის მმართველობა ჩააბარა ბულგარეთის ყოფილი ჰერცოგის შვილს ივანე შიშმანს (Брун, 1867: 13-14), რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან – გაბერილი, მსუქანი).

ი.შილტბერგერი 1426 წელს ხუთ მოგზაურსა და ვაჭარ-დიპლომატებთან ერთად იძულებული გამხდარა ყირიმიდან ჩერქეზეთში გადმოსულიყო, მაგრამ ევროპაში გამგზავრება ვერც აქედან მოახერხა. მან ეს სამეგრელოდანაც ვერ შეძლო, ასე მოაღწიეს ბათუმამდე, რომელიც თითქოს სამეგრელოს დედაქალაქი ყოფილა, რომელიც ზღვის სანაპიროზე არსებულა (Шильтбергер, 1984: 67-68). შილტბერგერის წიგნში ბათუმი სხვადასხვა ფორმებითაა გადმოცემული: bothan, კატან, ვათან, ლოათონ ფორმებით (ე. მამისთვალიშვილი, 1981:64 (შენ. 9); Брун, 1867: 123).

თ. ბრუნის ნაშრომში ნათქვამია, რომ ახალციხის გამგებელმა გორგორამ, ე.ი. ყვარყვარე II ათაბაგმა, ამ Bata en careche-დან ანუ ქალაქ ბათუმიდან 1459 წელს მისწერა წერილი ბურგუნდიის ჰერცოგს თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების თაობაზე (Брун, 1880:251). თ.ბრუნის მითითებით, ვარტი ანუ ვატა ეკუთვნოდა გორგორას კალტიხეასთან ანუ ახალციხესთან (Calcican, Ахалчик) ერთად (იქვე). ამდენად, ბათუმი იმ პერიოდში ეკუთვნოდა არა სამეგრელოს ან გურიას, როგორც მკვლევართა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, არამედ სამცხე-საათაბაგოს, მაშასადამე, ამ სამთავროში შემავალ აჭარის საერისთავოს. კონტარინი წერდა, რომ ყვარყვარეს (გორგორას, გორბოლას) ეკუთვნის ვატი (ბათუმი) და ქალტიხეა (ქობულეთი ან ქაჯთა ციხე) (Скржинской 1971:214). მსგავსი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხზე ცნობილ მეცნიერს თ. ბრუნსაც (იქვე, 240, შენ. 43; Брун, 1880:251).

ბათუმიდან მოგზაურები სამხრეთისაკენ დაეშვნენ; ისინი მისულან "მთიან მხარეში": მივედით მთიან მხარეში, სადაც მეოთხე დღეს ცხენით მოგზაურობის დროს დავინახეთ ერთი რეიდზე მდგარი გემი, სანაპიროდან 8 იტალიური მილის მოშორებით (Шильтбергер, 1984: 67-68). ეს ადგილი გონიო-სარფის მხარე უნდა ყოფილიყო. მათივე თქმით, ამ მთებთან მათ დაუყვიათ საღამომდე, შემდეგ კი გაუჩაღებიათ კოცონი. ზღვაში მდგარი გემიდან კაპიტანმა ხალხი გამოგზავნა დასაზვერავად, რომელსაც აინტერესებდა თუ ვინ ვიყავით. ასე მოვხვდით იმ გემზე. გზაში ოსმალების 3 გალერეას გადავეყარეთ, რომლებიც 3 დღის განმავლობაში მოგ-

ვდევდნენ, მაგრამ დაწევა ვერ მოახერხეს. მოგზაური და მისი თანმხლები პირები მისულან ამასტრიაში, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლში (იქვე, 68).

ამ ცნობიდან გამომდინარე, ი. ბექირიშვილი შენიშნავს, რომ 1420 წლისათვის თურქები აჭარის ზღვისპირეთში და საერთოდ შავ ზღვაში უკვე თარეშობდნენ (ბექირიშვილი,1998). მოგზაურები – ამბროზიო კონტარინი და იოსიფა ბარბარო, რომლებიც 5 ათეული წლის შემდეგ სხვადასხვა გარემოების გამო მოვიდნენ ბათუმში აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი მხარე თურქებს უკვე ხარკს უხდიდა (ჯავახიშვილი, 1982:328; იტალიელი მოგზაურები.., 1894:58).

შილტბერგერის ნაშრომში გვხვდება ჩვენი ქვეყნის სახელები შემდეგი ფორმებით – გურზეი და კურზი, ხოლო ქართველები მოხსენიებული არიან გარგეტტერ–ად ან გორგიტენ–ად. ზედსართავი სიტყვა ქართული მოცემულია გორხილას ფორმით. იქვეა აღნიშნული, რომ წარმართები ქართველებს უწოდებდნენ კურჯის ან გურგის (რევიშვილი, 1971; Шильтбергер, 1984: 67).

დასასრულ იოანე შილტბერგერის მიერ მოთხრობილი ერთი უცნაური ჩვევის შესახებ, რომელიც მის დროში ქართველთა (გურგი) და იასების (ასი) ქორწინებას ეხება. ი. ბექირიშვილი თავის ნაშრომში რატომღაც მიიჩნევს, რომ ეს გარემოება მიეკუთვნება ბათუმელთა ქორწინებას. სხვა წყაროებით ქართველთა ეს ჩვეულება არ დასტურდება.

გერმანელი მოგზაური წერს, რომ ქართველებსა და ოსებს აქვთ ჩვეულება, რომლის მიხედვით ქალიშვილის გათხოვების წინ საქმროს მშობლები თანხმდებიან საცოლეს მშობლებთან იმაზე, რომ უკანასკნელი უნდა იყოს სუფთა ქალიშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწინება ჩაიშლებოდა. ქორწილის დათქმულ დღეს დედოფალი მოჰყავთ სიმღერებით საწოლთან და აწვენენ მასში. შემდეგ მოდის სასიძო ახალგაზრდების ერთად, რომელსაც ხელში ეჭირა ალესილი ხმალი, რომელსაც ის არტყამს საწოლს. შემდეგ ამხანაგებთან ერთად ჯდება საწოლზე, მღერის და ცეკვობს. ღრეობის დამთავრების შემდეგ სასიძოს ტანთ ხდიან და თვითონ ოთახიდან გადიან. ახლადშეუღლებულებს ტოვებენ მარტოდ. მოდის საქმროს ძმა ან ახლო ნათესავი ალესილი ხმლით და კარს უკან დგება. თუკი დანიშნული არ გამოდგა ქალწული, საქმრო ატყობინებს თავის დედას, რომელიც რამდენიმე მეგობრის თანხლებით მიდის საწოლთან თეთრეულის შესამოწმებლად. როცა დილით მოვლენ დედოფლის ნათესავები სადღესასწაულოთ, საქმროს დედას ხელში უჭირავს სავსე ღვინით ჭურჭელი, რომლის ფსკერზე არსებული ნახვრეტი თითით აქვს დაცობილი.იგი მიაქვს დედოფლის დედასთან და უშვებს თითებს. მაშინ, როცა უკანასკნელი დალევას მოინდომებს, ღვინო იღვრება. ასეთი იყო შენი შვილი – ამბობს იგი. დედოფლის მშობლებისათვის ეს იყო დიდი სირცხვილი და

მათ მიჰყავთ თავიანთი ქალიშვილი უკან, რადგან შეთანხმებული იყვნენ, რომ სასიძოსათვის უნდა მიეცათ სუფთა ქალიშვილი. შემდეგ მღვდლები და საპატიო პირები თხოვენ მშობლებს, რომ შეეკითხეთ თქვენ შვილს, ხომ არ დაიტევს ცოლადო. თუკი შეთანხმდნენ შეიძლება შემდგარიყო ახალი ქორწინება (Шильтбергер, 1984: 66-67). ი. ბექირიშვილის შენიშვნით, ასე არცხვენდნენ საქართველოში იმ დედას, რომლის უღირსი ქალიშვილი ვიღაცას დანებდა და ნამუსი აახდევინა.

როგორც ვხედავთ, ცნობათა სიმწირის მიუხედავად, ი. შილტბერგერის მონაცემები მეტად ყურადსაღებია. ისინი ავსებენ სხვა ევროპული მოგზაურების მიერ ასევე ძუნწად გადმოცემულ ცნობებს და იძლევიან ერთგვარ წარმოდგენას საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, სამეფო-სამთავროებად მისი დაქუცმაცებულობის, ეკონომიკის დაცემისა და სხვათა შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბექირიშვილი, 1998: – ბექირიშვილი ი., გერმანელი მოგზაური იოჰან შილტბერგერი 1420–1426 წლების ბათუმის შესახებ, გაზ. აღორძინება, 21 დეკემბერი.

იტალიელი მოგზაურები... 1894: – იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მე–XV საუკუნეში, – მოამბე, XI, ტფილისი.

მამისთვალიშვილი, 1981: – XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი ე. მამისთვალიშვილისა, თბილისი.

რევიშვილი, 1971: – რევიშვილი შ., მებრძოლი ხალხი, გაზ. თბილისი, 5 ივნისი.

ჯავახიშვილი, 1982: – ჯავახიშვილი ივ., თხზ., ტ.III, თბილისი.

Брун, 1867: – Путешествия Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год, перевод Ф.Бруна. – Записки императорского Новосибирского университета, т. I, вып. I и II, Одеса.

Брун, 1880: – Брун Ф., Черноморье, сборник исследованный по исторической географии южной России (1852-1877 г.), часть II, Одеса.

Гамахария, Гогия, 1997: – Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси.

Поло, 1955: – Книга Марко Поло, перевод И.П. Минаева, Москва.

Шильтбергер, 1984: – Шильтбергер Иоган., Путешествие по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год, перевод Бруна, Баку.

Gogitidze Simon (Batumi, Georgia)

Shiltberger's Notes about Batumi

Summary

German traveler Shiltberger visited Georgia four time from 1420-1426. He wrote about the history and ethnography of Batumi and the surrounding areas.

გულიკო მჭედლიძე
(თბილისი, საქართველო)

XIX საუკუნის ეპისტოლეები, როგორც საისტორიო წყარო

ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, წერილობით ისტორიულ წყაროებს შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეპისტოლე, ანუ წერილი ადამიანთა ურთიერთობისა და ინფორმაციის მანძილზე გადაცემის წერილობითი ფორმაა. ეპისტოლე ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს შეტყობინებას, გაგზავნას. ადამიანთა შორის მიმოწერა, ანუ ეპისტოლეების გაგზავნა თითქმის დამწერლობის შექმნისთანავე გაჩნდა. ჩვენამდე მოაღწია წერილების უძველესმა ნიმუშებმა ეგვიპტედან, შუამდინარეთიდან და სხვადასხვა ძველი კულტურის მქონე ქვეყნებიდან. ანტიკურ სამყაროში წერილების გაგზავნა ძალიან პოპულარული იყო და ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელ ფორმას წარმოადგენდა. ასე იყო შუა საუკუნეებშიც და ახალ ეპოქაშიც, მაგრამ ეპისტოლეების უჩვეულო სიმრავლითა და მრავაფეროვნებით განსაკუთრებით XIX ს. გამოირჩევა.

შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა წერილის შედგენის წესი, მიმართვის ფორმები, წერილის შედგენილობა ცალკეული ნაწილების მიხედვით და მათი თანამიმდევრობა.

ეპისტოლური მასალა, როგორც საისტორიო წყარო, დოკუმენტური მასალას მიემსგავსება, მაგრამ ამავე დროს საგრძნობლად განსხვავდება მისგან.

ეპისტოლეებისათვის, განსაკუთრებით კი პირადი წერილებისათვის, დამახასიათებელია ემოციებისა და გრძნობების გადმოცემა. დოკუმენტი კი მშრალია და ცივი. თუმცა ორივე თანამედროვის მიერ არის დაწერილი ტრაფარეტად ქცეული ფორმულირებით. ეპისტოლე და დოკუმენტი აღნაგობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და დანიშნულებითაც. თუმცა, ორივე – ეპისტოლეც და დოკუმენტიც აირეკლავს იმ დროინდელი საზოგადოების ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების დონეს. რაც უფრო განვითარებული და დახვეწილია საზოგადოება, მით უფრო დახვეწილად არის შედგენილი დოკუმენტი და დაწერილია წერილი.

ეპისტოლეების შესახებ ცნობები ქართულ ნარატიულ წყაროებში უძველესი დროიდან მოიპოვება. თუმცა ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილი XVI ს-ით თარიღდება. ეს არის ანტონის დაწერილი წერილი ვაჩეძორის მოძღვარ აბრამისადმი. ამ წერილის დედანი დაკარგულია.

იგი ჩვენთვის ცნობილია ე. თაყაიშვილის ფოტოს წყალობით, სადაც ეს ეპისტოლე ნატურალური ზომებით არის გამოსახული.

XVIII ს-ში საგრძნობლად მოიმატა ჩვენამდე მოღწეულმა ეპისტოლეების რიცხვებმა. ამ ძველი ეპისტოლეების საგრძნობი ნაწილი გამოაქვეყნა მ. ბერძნიშვილმა. XIX ს-ის ეპისტოლეების ნაწილი, რომლებიც არქივებშია დაცული, გამოქვეყნებულია, თუმცა არა მთლიანად. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდებში დაცული ეპისტოლეები (6 000 ერთეული) თითქმის მთლიანად გამოუქვეყნებელია. ეპისტოლე განიხილებოდა, როგორც ისტორიული დოკუმენტის სახეობა, და ამგვარად მოხვდა ისტორიული დოკუმენტების ფონდებში წერილები.

ქართულ სინამდვილეში ეპისტოლეს მნიშვნელობით იხმარებოდა შემდეგი ტერმინები: უსტარი, წიგნი, წერილი, ბარათი. აქედან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ტერმინი „წიგნის" ხმარება, რომელიც იქცა ზოგადად დოკუმენტის ყველა სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად და მათ შორის წერილისაც.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ეპისტოლეების ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: საქმიანი ეპისტოლეები და პირადი, ანუ კერძო წერილები. საქმიანი ეპისტოლეები გაყოფილია ორ დიდ ნაწილად:

1) სახელმწიფო მნიშვნელობის საქმიანი ეპისტოლეები, დიპლომატიური მნიშვნელობის წერილები.

2) მოხელეების მიერ დაწერილი საქმიანი წერილები ამა თუ იმ დავალების შესრულების მიზნით, რომლებიც გარეგნულად ეპისტოლეებია, ანუ იწყება მოკითხვით და მთავრდება კარგად ყოფნის სურვილით, მაგრამ შინარსიის თვალსაზრისით განკარგულებებია.

წერილების საერთო სქემა შუა საუკუნეების ევროპაში შემუშავდა იგი 5 ძირითადი კომპონენტისაგან შედგებოდა: 1) მისალმება, 2) მიმართვა, 3) შესავალი, 4) თხრობა, 5) დასკვნა, რომელიც მთავრდებოდა ხელრთვითა და თარიღით.

ქართულ სამყაროში კი წერილს განსხვავებული აღნაგობა ჰქონდა და იგი 6 ნაწილისაგან შედგებოდა: 1) მიმართვა, 2) სახელდება – ადრესატიც და ავტორიც, 3) თხრობა, 4) ხელრთვა (მოგვიანებით ჩაენაცვლა ბეჭედი), 5) თარიღი, 6) მოკითხვები აშიებზე. საერთოდ, ქართული ეპისტოლის წერის დროს მიღებული იყო ადრესატის სახელის ცალკე დაწერის ტრადიცია. იგი იწერებოდა როგორც წესი, წერილის თავში მკაფიო და მსხვილი ასოებით. ეს იყო ადრესატის მარტო სახელი. ცნობილია, რომ წერილს წერდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, ოღონდ განსხვავება იყო სტილში. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, როგორც საერო, ისე სასულიერო პირები, წერდნენ მაღალფარდოვან სტილში, ხოლო დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები კი სადა, უბრალო ენით წერდნენ და

შესაბამისად წერილებიც უფრო საქმიანი და მშრალი იყო. მაგრამ ყველა ეპისტოლე, როგორც საისტორიო წყარო, საინტერესო ინფორმაციის შემცველია, თანამედროვის მიერ არის დაწერილი და აირეკლავს იმ დროინდელ ეპოქას.

ეპისტოლარული მიმკვიდრეობის, როგორც სანდო საისტორიო წყაროს შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანადროული ეპოქისა და საზოგადოების ისტორიის გასაგებად. ეპისტოლარული მასალა წარმოაჩენს წერილის დამწერის თანადროული საზოგადოების ყოფასა და კულტურას, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, იმ ეპოქის საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. წერილი შედგენილია მასში აღწერილი მოვლენების კვალდაკვალ. ამიტომ წერილიდან მიღებული ინფორმაცია ზუსტია და დეტალური ინფორმაციის შემცველი, თუმცა სუბიექტური. სუბიექტური გავლენისგან არც დოკუმენტია დაზღვეული. ასე რომ, ეპისტოლე სანდო ისტორიული წყაროა და გვეხმარება ეპოქის სულისკვეთების გაგებაში. XIX ს. კი ძალიან საინტერესო ეპოქაა საქართველოს ისტორიაში. ეს, მართლაც, დიდი გარდატეხის ხანაა, დაწყებული საქართველოს სახელმწიფოებრივობის დაკარგვით და დიდი ილიას მოღვაწეობით დამთავრებული. ასევე, ძალიან საინტერესოა XIX ს-ის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც აირეკლავს აღნიშნული ეპოქის ცხოვრების ყველა სფეროს. ასე რომ, წერილში კარგად ჩანს ავტორის განათლება, პოზიცია, შეხედულებები, ინტერესები. XIX ს-ის ეპისტოლეები, როგორც საისტორიო წყაროები, ბევრი ახალი ინფორმაციის შემცველია და ამიტომ აქტუალურია მათი გამოცემა.

აქამდე გამოცემული ეპისტოლეები მხოლოდ ქრონოლოგიურად არის დალაგებული. ეპისტოლეები უნდა დაჯგუფდეს თემატურად, ანუ საქმიანი ეპისტოლეები ცალკე და პირადი წერილები ცალკე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. პირადი წერილები კი უნდა დაჯგუფდეს ბუდობრივი პრინციპით, ანუ საგვარეულოების მიხედვით. ეს დაეხმარებათ გვარების ისტორიის მკვლევარებს და ეს ახალი, გამოუქვეყნებელი ეპისტოლეები გაუადვილებთ გენიალოგიური ტაბულების შედგენას. ხშირად წერილებს ერთმანეთს სწორედ ტერიტორიულად დაშორებული ოჯახის წევრები წერდნენ. დედა და შვილები, და-ძმები, ცოლ-ქმარი. ახლო ნათესავები, მეგობრები და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, პირადი წერილები უნდა დაჯგუფდეს შინაარსობრივი თვალსაზრისით შემდეგი თანამიმდევრობით: მოკითხვის ბარათები, სატრფიალო წერილები, სამგლოვიარო ეპისტოლეები, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწერილი წერილები, რომლებიც ბევრი საინტერესო ინფორმაციის შემცველია და ა.შ.

წერილში, ეპისტოლეში დაფიქსირებული მოვლენები და ამბები ისეთ ნიუანსებს შეიცავს, რომელიც თანადროულ ნარატიულ წყაროში მოხსენებული არც არის.

ასე რომ, ეპისტოლე სანდო ისტორიული წყაროა და გვეხმარება ეპოქის სულიკვეთების გაგებაში. წერილს წერს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი და იკვეთება საზოგადოებრივი აზრი.

XIX ს-ის ეპისტოლეებს ეტყობათ რუსული კოლონიური რეჟიმის კვალი. გვხვდება ორენოვანი წერილები: რუსულ-ქართულად დაწერილი, რომელთა ადრესატები რუსი მოხელეები არიან. ან პირიქით, რუსი მოხელეები წერენ წერილებს ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს. რუსულად დაწერილ წერილებს თან ახლავს ქართული თარგმანიც.

XIX ს-ში დაწერილი ეპისტოლეები ამავე დროს დიდი კულტურული მემკვიდრეობაა, რადგან ისე არსად არ მჟღავნდება ადამიანის ქცევისა და წერის კულტურა და წიგნიერება, როგორც ეპისტოლეში, წერილში.

ასე რომ, XIX ს-ის ეპისტოლეები სანდო ისტორიული წყაროებია, რომლებიც დააინტერესებს ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ეთნოლოგებს, საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსებსაც და ჩვეულებრივ, რიგით მკითხველსაც, რომელსაც ხიბლავს წერილები, ადამიანთა გრძნობებისა და განცდების გამომხატველი საშუალებანი, რომელშიც არეკლილია XIX ს-ის საქართველოს ისტორია მძიმე და ძნელი, დიდი სიახლეებით სავსე.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდში დაცულია XIX ს-ის ბევრი გამოჩენილი ადამიანის წერილები. გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ორბელიანის, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის, 1832 წლის აჯანყებაში მონაწილე თითქმის ყველა პირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული ქართველი ბატონიშვილების: ალექსანდრე, იულონ, ფარნავაზ, გიორგი და სხვა ბაგრატიონთა წერილები, დარეჯან დედოფლის, თეკლა ბატონიშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა როგორც პირადი, ისე საქმიანი წერილები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XIX ს-ის საქართველოს ისტორიისაათვის.

ამავე ისტორიული დოკუმენტების ფონდებში ინახება სასულიერო პირთა წერილებიც: ქართლ-კახეთის უკანასკნელი კათალიკოსის ანტონ II-ის, დორეთეოს ქუთათელის, ტარასი ალექსი-მესხიშვილის, გურიის არქიმანდრიტ გაბრიელის და მრავალი სხვა სასულიერო პირებისა.

ასევე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდებში დაცულია იტალიელი მისიონერების წერილები, რომლებშიც ასახულია მათი ურთიერთობა ქართულ სამყაროსთან.

იტალიელ მისიონერებს ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ ბატონიშვილებთან. წარმოადგენდნენ მათ პირად ექიმებს და მრჩევლებსაც. იტალიელმა მისიონერებმა მისცეს ფართო განათლება ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის შვილებს. ასე რომ, ეს ეპისტოლეები შეიცავენ ბევრ საინტერესო და უცნობ ინფორმაციას. ამავე ფონდებში ინახება სატრფიალო წერილები, გლოვის-სამძიმრის წერილები და სხვადასხვა ადამიანური ურთიერთობის ამსახველი, მეგობრების, ახლობლების, ნათესავებისა თუ ოჯახის წევრებისადმი გაგზავნილი ეპისტოლეები. ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციებია დაცული საქმიან ეპისტოლეებში.

ასე რომ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდებში დაცული XIX ს-ის 6 000 ეპისტოლეს შესწავლა და გამოცემა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც აინტერესებს XIX ს-ის საქართველოს ისტორია და ხიბლავს ეპისტოლეები, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები.

წყაროები: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდები

ხეც Hd 7822 XIX ს-ის I ნახევრი

სატრფიალო წერილი ალექსანდრე თარხნიშვილისა თავის მეუღლე მარიამ ერისთავისადმი

ხეც Qd 8914 18. 11. III. 8

საქმიანი წერილი ალექსანდრე ტორმასოვისა მროველ ეპისკოპოს იუსტინიანესადმი პურის გაცემის შესახებ.

ხეც Sd 1792 1887. X. 17

წერილი დიმიტრი ყიფიანისა ეფროსიმე კლდიაშვილისადმი

ხეც. Sd 1594 XIX ს-ის II ნახევარი

წერილი ზურან წერეთლისა სიმონევიჩთან სადაო მამულების შესახებ (საქმიანი ეპისტოლე)

ხეც. Qd 2215 1835. IV. 09

წერილი თეკლა ბატონიშვილისა თავის შვილ ალექსანდრე ორბელიანისადმი

ხეც Sd 1008 1832-34 წწ.

სამძიმრის წერილი ფარნავაზ ბატონიშვილისა გიორგი ერისთავის გარდაცვალების გამო

ხეც Sd 130 XIX ს-ის I ნახევარი

მეფის ასული მარიამის წერილი ბირთველ თუმანიშვილისადმი (საქმიანი ეპისტოლე)

ხეც Sd 1843 15) 1881. I. 5

წერილი დავით ჩუბინოვისა იონა მეუნარგიასადმი. (საქმიანი ეპისტოლე)

ხეც. Qd 122. 14 16) XIX ს-ის II ნახევარი

სომეხთა კათალიკოს ეფრემის წერილი ბირთველ თუმანოვისადმი

ხეც Hd 7897 1813. VI. 20.

წერილი ფარნავაზ ბატონიშვილისა მდივან მანუჩარ თუმანიშვილისადმი

ხეც Hd 1556 1812

წერილი ფარნავაზ ბატონიშვილისა ზაქარია გურამიშვილისადმი

ხეც 9295 XIX ს-ის I ნახევარი

წერილი იულონ ბატონიშვილის ზაალისადმი

ხეც Hd 7535. 16 XIX ს-ის II ნახევარი

წერილი გრიგოლ ორბელიანისა კონსტანტინე თარხანოვისადმი

ხეც 4518 XIX ს-ის II ნახევარი

წერილი გრიგოლ ორბელიანისა დავით თარხანოვისადმი

ხეც Hd 4787 XIX ს-ის I ნახევარი

წერილი ბიძინა ერისთავისა ალექსანდრე თარხანოვისადმი

ხეც Hd 4542 1813. IX. 2

საქმიანი წერილი გორის „ზენცკის" ისპრავნიკისა დავით და ლუარსაბ თარხნიშვილებისადმი, გორის უეზდის გზებზე ყარაულების დაყენების შესახებ., ალექსანდრე ბატონიშვილისათვის გზების შეკვრის გამო.,

ხეც Sd 1719 (1812 წ)

წერილი დავით ბატონიშვილისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი

ხეც 7897 1813. VI.20

წერილი ვახტანგ ბატონიშვილისა მდივან მანუჩარ თუმანიშვილისადმი

ხეც Hd 1556 1812

წერილი ფარნავაზ ბატონისვილისა ზაქარია გურამიშვილისადმი

ხეც Hd 9295 XIX ს-ის I ნახევარი

წერილი გრიგოლ ორბელიანისა კონსტანტინე თარხანოვისადმი

ხეც Hd 9819 XIX ს-ის II ნახევარი

წერილი გრიგოლ ორბელიანისა კონსტანტინე თარხანოვისადმი და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძნიშვილი მ., *ეპისტოლარული მასალა, XVIII ს-ის ბოლო წლებიდან,* ქართული წყაროთმცოდნეობა, I ტ, თბ, 1965 წ.

გაწერელია ა., გრიგოლ ორბელიანის წერილები, I ტომი, თბილისი, 1936.

მისივე, გრიგოლ ორბელიანის წერილები, II ტომი, თბილისი, 1937.

კაკაბაძე ს., ზაქარია არქიმანდრიტისა და იასე გაბაშვილის წერილები იმერეთის დედოფალ ანას მიმართ, თბილისი, 1959.

მეგრელაძე დ., *იმამყული ხანის და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები ვახტანგ VI-სთან,* მსკი, ნაკვ. 33, თბილისი, 1962.

ქავთარია მ., XVIII ს-ის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1977.

ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, XV-1762 წ., შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1986.

ხუციშვილი ს., *სოლომონ დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილის არქივიდან,* მსკი, ნაკვ. II, 1984.

Guliko Mchedlidze (Tbilisi, Georgia)

19th Century Epistles, as the Historical Source

Summary

Among manuscript historical sources epistolary heritage is of great importance. Epistle or a letter is a writing form of transferring relations and information among humans which appeared almost at the time of writings creation in antique and Middle Ages epoch. Sending a letter was a very popular but the 19th century distinguishes with epistles unusual multitude and variety.

In historical documents Fund in Manuscript National Center is kept 19th century epistles (6000 units) a great part which remains unpublished. Epistle is discussed as the type of historical document. That is why epistles were placed in the Manuscript National Center in historical documents fund.

10th century epistles are divided into two groups: business epistles and private letters. Letters were written all representatives of society so epistles are reflecting the modern epoch.

19th century epistles as history source, containing interesting information, that has been written by the modernists and reflects modern society culture, social-economic and political condition.

In 19th century epistles details and nuances are reflected in the letters, which could not be understood as a narrative source and historic documents, so study and rendition of 19th century epistles have great meaning for understanding and in creation of societal opinions about 19th century Georgia.

To this day informatory epistles are chronologically collocated and mixed in together the personal and business letters.

In my opinion, epistles ready for rendition should be collected thematically or they should be separated into business letters and separately private letters, which are collected in small groups - by narrow thematic. For example:'Love Epistles', 'Condolences Epistles' and so on. The private letters should be collocated by covey principles so one family letters should be collocated in chronologic order. For example: 'Tumanishvilis Letters', 'Tarkhnishvilis epistles', 'Bagration-Batonishvilis letters'. Such epistles collocation is justified by that letters often are written to family members, their friends, relatives and close people, what gives us possibility to create genealogic tables according to the data, what would make easier work for history researchers.

Manuscripts National center in history documents fund there are kept 19th century famous people, writers, poets, public figures, famous theological persons, Russia masters and ordinary citizens as private so business epistles. For example, Imereti the last king Solomon, Catholics Anton II, Grigol Orbeliani, Aleksandre Chavchavadze, Ilia Chavchavadze, Dimitri Kipiani, Giorgi Eristavi, Tarasi Aleksi--meskhishvili, Italian missioners and other epistles, which have traces of Russia Government.

So, in 19th century epistles, which are kept in Manuscripts National Centers in history documents funds and present the trustful history sources, they can fill with new materials 19th century history of Georgia and help epoch searchers, so ordinary citizens, who interests in epistles, as interesting sources of human feelings and emotions.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
(ქუთაისი, საქართველო)

ახალი მასალა 1910-იანი წლების ბათუმისა და აჭარის შესახებ

დავით კლდიაშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ახალი მასალების მოძიების დროს, თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში მდებარე დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში ხელნაწერის სახით დაცული და დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი ნაშრომი აღმოჩნდა – ივანე არჯევანიძის (1893-1974 წწ.) მოგონება – „დავით კლდიაშვილის ახლოს. მოგონება“ (1965 წ.). საკმაო მოცულობის მქონე ეს ნაშრომი არა მარტო დ. კლდიაშვილის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს, რითაც ახალი დეტალებით ამდიდრებს თავად მწერლის მონათხრობს საკუთარი ცხოვრების შესახებ, არამედ პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის, ბათუმსა და აჭარაში არსებული მდგომარეობისა და იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიული და თანადროული ყოფის შესახებაც იძლევა მრავალ საგულისხმო ინფორმაციას.

როგორც ცნობილია, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედასამშობლოსთან შემოერთებული ქართული რეგიონების კვლავაც მისასაკუთრებლად პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლებს აწარმოებდა. ამ ბრძოლებში რუსეთის მხრიდან ათასობით ქართველი მეომარიც იღებდა მონაწილეობას, რაც მათი პატრიოტული ინტერესებითაც იყო არსებითად განპირობებული.

ერთ-ერთი მათგანი ზემოთ ნახსენები მოგონების ავტორი ივანე არჯევანიძეც ყოფილა. 1916-1918 წლებში იგი რუსეთის ერობათა კავშირისა და წითელი ჯვრის საზოგადოებათა მიერ ბათუმში, აჭარაში, ბორჩხა-ართვინის მიდამოებსა და ლაზეთში გახსნილ ლაზარეთებში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და საკმაოდ კარგად გაცნობია ხსენებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ყოფა-ცხოვრებას.

ასე რომ, ი. არჯევანიძის, როგორც იმდროინდელ მოვლენათა უშუალოდ თვითმხილველი პიროვნების მიერ მოწოდებულ ცნობებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენებურების ისტორიული და თანადროული ყოფა-ცხოვრებისა და ეროვნული ცნობიერების შესასწავლად.

ხსენებულ რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი ამ მოგონებიდან ამჯერად მინდა ყურადღება იმ ეპიზოდებს მივაპყრო, სადაც ბათუმსა და აჭარაში იმჟამად არსებული ვითარების შესახებაა საუბარი.

მაგალითად, თავისი ფრონტული მოვალეობის შესასრულებლად ბათუმში გამწესებულ ი. არჯევანიძეს იქ ჩასვლისას ასეთი მდგომარეობა დახვედრია: „1916 წლის დამდეგი იყო, მე რომ პირველად ქალაქ ბათუმში ჩავედი.

იმ დღეებში ქალაქის მოსახლეობას აწიოკების და რაღაც შიშის დაღი ესვა. მშვიდობიან მცხოვრებლებს ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონდათ მტრის ჯავშნოსანი კრეისერის „გებენის" თავდასხმა.

ზღვის სანაპირო ბაღში (ბულვარზე) რამდენიმე ადგილას კრეისერიდან გამოსროლილი ყუმბარების კვლები და ორმოები აშკარად ემჩნეოდა.

სამხედრო ციხე-სიმაგრის მთელ რაიონში საგანგაშო მდგომარეობა კვლავაც გრძელდებოდა. საცხოვრებელი სახლების, დაწესებულებების, სავაჭროების ფანჯარა-სარკმლები ბინდიდანვე შუქგაუვალი ფარდებით, ან დარაბებით ინიღბებოდა. ღამეობით ხალხის მოძრაობა ქალაქის ქუჩებში აიკრძალა საგანგებო საშვების გარეშე.

ქალაქში კრეისერის თავდასხმის დროს რამოდენიმე მცხოვრებელი დაიჭრა და მათ შორის ბათუმის აბორიგენი მღვდელი ჩხიკვაძე" (არჯევანიძე, 2013: 34).

იქიდან გამომდინარე, რომ თავისი ფრონტული მოვალეობის შესრულების დროს ი. არჯევანიძეს ძალიან ხშირად უხდებოდა გადაადგილება საომარი ბატალიების ეპიცენტრად ქცეული რეგიონის დასახლებულ პუნქტებში, გარდა ბათუმისა, იგი აჭარის სოფლებში იმხანად არსებული მდგომარეობის შესახებაც გვაწვდის საინტერესო ცნობებს. მაგალითად, ავტორის ინფორმაციით, ბათუმიდან ართვინში მგზავრობის დროს მას გავლა უწევდა „გაძვალტყავებულ, დარბეულ, დაქცეულ და გადამწვარ სოფლებზე. საშინელი აწიოკებისა და გაჩანაგების დაღი აშკარად ემჩნეოდა ამ მხარეს. ბოროტი ადამიანების მოულოდნელმა თავდასხმამ უიარაღო, მშვიდობიან მშრომელ ხალხზე თავზარი დასცა დიდ-პატარიან ყველას" (არჯევანიძე, 2013: 37). ან კიდევ: "შევუყევით თუ არა ჭოროხის ულამაზეს ხეობას, თვალი მოვკარი უკაცრიელ სოფლებს, აწიოკებულ, გადამწვარ სახლებს, გაცარიელებულ და დაობლებულ კარ-მიდამოებს. ამ სურათმა თავზარი დამცა. შუაზამთარში ამ მხარის სოფლების ოჯახების ბუხრებიდან ბოლი რომ არსად არ ამოდის, ეს რაღაც უსაშინლესი უბედურების ნიშანი უნდა იყოს, – ვფიქრობდი" (არჯევანიძე, 2013: 42).

ი. არჯევანიძის ცნობით, მასთან საუბრისას დ. კლდიაშვილი თურმე ხშირად ამბობდა, რომ ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის ქარ-

თულ სოფლებში იმხანად არსებული ამგვარი უმძიმესი მდგომარეობა არა მარტო ომით იყო განპირობებული, არამედ იმ უგუნური პოლიტიკითაც, რასაც რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ მხარეში წარმოგზავნილი ჩინოვნიკები და სამხედროები ატარებდნენ თავიანთი კარიერისტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, დავითის თქმით, „მართალია, შემოსეულმა მტერმა აჭარის, მურღულის ხეობის, ართვინის, ბორჩხასა და ზოგიერთ სხვა ადგილის მახლობლად, ააწიოკა ხალხი, ბევრი მამაკაცი და ახალგაზრდა დახოცა, ზოგიც, მისი სურვილის წინააღმდეგ, ოსმალეთში გადაასახლა, მაგრამ იმ სოფლების დანგრევა-დაწვა და დარბევა მანამდე მოხდა. ამ შემთხვევაში ომი მხოლოდ საბაბი იყო. ორმა „რაინდმა გენერალმა“ (ი. არჯევანიძის განმარტებით, იგულისხმებოდნენ აჭარის ცნობილი დამრბევები: ლიახოვი და მილერი – ა. ნ.) წარჩინება მოინდომა, ამიტომ აჭარლების ამბოხება გამოიგონეს და მთელი აჭარის უიარაღო დაბა-სოფლებს ცეცხლით და მახვილით ჩამოუარეს. არავინ არ დაზოგეს ამ შავრაზმელ-კაციჭამიებმა, არც ძუძუმწოვარა ბავშვი, არც მოხუცი დედაბერი, არც ფეხმძიმე ქალი, არც მოზარდები“ (არჯევანიძე, 2013: 43).

ი. არჯევანიძის „მოგონება“ საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ იგი „სამუსლიმანო საქართველოს“ მკვიდრთა ეროვნული ცნობიერებისა და ისტორიული მეხსიერების შესახებაც გვაწვდის მეტად საგულისხმო ინფორმაციას. კერძოდ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, მიუხედავად მშობლიური წიაღიდან მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტისა და „დიდ მემლექეთში“ დარჩენილი მოძმეებისაგან რელიგიური გაუცხოებისა, ჩვენი გამუსლიმანებული თანამემამულეების ხსოვნაში მაინც იყო შემორჩენილი მათი ეროვნული წარმომავლობისა და ქრისტიანული რწმენის დანაშრევები.

ი. არჯევანიძის თქმით, დ. კლდიაშვილი მასთან საუბრებში თურმე ხშირად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ „აჭარელი და ლაზი ჩვენი მონათესავო ხალხია – ქართველებია... ძალიან თავაზიანი, პატიოსანი, ზრდილობიანი ხალხია. მათ ფაქიზი და ლმობიერი მოპყრობა ესაჭიროებათ. ჩვენ, ქართველებმა, უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენს შორის სარწმუნოების განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – ქართველი მუსლიმანი და ქართველი ქრისტიანი ერთია – ქართველია.

მათ ოსმალებმა ჩააგონეს, რომ აჭარლები და ლაზები ქართველობას აღარ ეკუთვნიან და ასეთი უკუღმართი შეხედულება, საჭიროა, რაც შეიძლება მალე გავუფანტოთ“ (არჯევანიძე, 2013: 45).

ყოველივე ამის შესახებ დ. კლდიაშვილი თურმე ადგილობრივ მოსახლეობასაც ხშირად ესაუბრებოდა და არწმუნებდა იმაში, რომ “ისინიც ისეთივე ქართველებია, როგორც დანარჩენები – იმერლები, გურულები, რაჭველები, ქართლ-კახელები; ამიტომ ძმური დამოკიდე-

ბულება უნდა ჰქონდეთ ქართველ ხალხთან და ხელს არ უნდა უწყობდნენ მტრებს, რომ ჩვენ საერთო სამშობლოს შემოესიონ და აიკლონო.“

დღევანდელი მკითხველისათვის კარგად ცნობილ ამ ჭეშმარიტებას ესოდენი ყურადღება აქ იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ დედასამშობლოს საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი გამუსლიმანებული თანამემამულეების გარკვეულ ნაწილს ამ ჭეშმარიტების არსი იმხანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული, რის გამოც ისინი თავს ქართველად აღარ თვლიდნენ და მშობლიურ მიწაზე ცხოვრებას ოსმალეთში გადახვეწას არჩევდნენ.

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარასა და ბათუმში არსებული დაძაბული მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 1918 წელს. ი. არჯევანიძის თქმით, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც „ერთ დროს დამარცხებულმა თურქეთის არმიამ აქტივობა გამოიჩინა და ართვინ-ბორჩხა-მარადიდისაკენ შემოტევა დაიწყო, შემოიჭრა მარადიდში და აჭარისწყალსაც ემუქრებოდა.“

ბათუმზე მტრის მოახლოების გამო „ქალაქში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ბათუმის სამხედრო ციხე-სიმაგრის რაიონში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა. ქალაქის მოსახლეობა უკვე მეორედ შიშის ზარმა აიტანა; ყველა იმასღა ფიქრობდა, თავს როგორ ვუშველოო“ (არჯევანიძე, 2013: 69).

ი. არჯევანიძის ინფორმაციით, მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ „მდ. ჭოროხის გაღმა (ე. ი. მის მარცხენა ნაპირზე) მაღალი მწვერვალი „415” მტერმა დაიკავა და იქიდან პირდაპირ აჭარისწყალს ემუქრებოდა... ამგვარად, როგორც სამხედრო, ისე წითელი ჯვრის რაზმები, მტრის რკალში იყვნენ მოქცეულები.

ასეთი რთული მდგომარეობის შესახებ შემტევი რაზმის უფროსმა პოლკ. დავით კლდიაშვილმა (ი. არჯევანიძე დ. კლდიაშვილს ხშირად პოლკოვნიკის სამხედრო ჩინის მქონედ მიიჩნევს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში მწერალი პოდპოკოვნიკი იყო – ა. ნ.) ბათუმში სარდლობას აცნობა და სთხოვა, არტილერიით დახმარება აღმოეჩინათ ჭოროხის რაზმისათვის. სამხედრო სარდლობამ სოფელ აჭარისწყლის თავზე, მდინარის მარჯვენა კიდეზე, კიბის პოზიციებიდან (რედუტიდან) მტრის „390” მაღლობიდან უკუგდება გადაწყვიტა“ (არჯევანიძე, 2013: 70).

მოწინააღმდეგის პოზიციების ხელში ჩასაგდებად და მტრის განსადევნად ფრონტის სარდლობამ სოფელ ერგეს მახლობლად სამხედრო საბჭო მოაწყო, რომელსაც „ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი. ამ საბჭოზე გადაწყდა მტრის უკუსაგდებად სამხედრო მეთოდების გამოყენება. გაბაშვილთან ერთად იყვნენ ამოსულები ბათუმი-

დან სამხედრო ციხის უფროსი, გენერალ-მაიორი ალ. გედევანიშვილი, არტილერიის გენერალი ქუთათელაძე, ქვეითთა დივიზიის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ტიტე ართმელიძე, კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვლ. გედევანიშვილი; ჭოროხის სამხედრო რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი დ. კლდიაშვილი... გენერალ გაბაშვილის ბრძანებით, სამთო-ცხენოსან დივიზიონს დაევალა პირველ ყოვლისა კიბის რედუტიდან, ხოლო შემდეგ აჭარისწყლის გზატკეცილიდან ჩქარი ცეცხლით უკუაგდონ მტერი „390" მაღლობიდან, ხოლო შემდეგ ჭოროხის გაღმა მაღლობ „490"-დან" (არჯევანიძე, 2013: 71).

სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, „1918 წლის თებერვლის დამლევს ბათუმის მახლობლად, აჭარისწყლის ხეობის მიმართულებით და მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირის მხარეს, ჭოროხის ფრონტი გაიხსნა და ამ ფრონტზე სამხედრო რაზმი გაიგზავნა, რომლის უფროსად ცნობილი ჩვენი ქართველი მწერალი-ბელეტრისტი, პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი დაინიშნა." ი. არჯევანიძის აზრით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება, პირველყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ „დავითი, როგორც ომამდელ პერიოდში ქალაქ ბათუმში ერთ-ერთ ქვეითთა პოლკში ნამსახურები, გარდა ამისა, ომის პირველ ხანებში ბორჩხა-ართვინის მიმართულებით ნაომარი, მთელ ამ მიდამოებს და გზა-ბილიკებს ძალიან კარგად იცნობდა" (არჯევანიძე, 2013: 70).

ი. არჯევანიძის ინფორმაციით, 1918 წლის თებერვალში მიმდინარე ამ საომარ ოპერაციებში მონაწილე "სამხედრო რაზმის და ფრონტის სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისთვის, წითელი ჯვრის მთავარი რწმუნებულის ბრძანებით, ჭოროხის პირველი მოწინავე რაზმი დაარსდა, რომლის ჩამოყალიბება და უფროსობაც" მას დაევალა. „ამ რაზმის ადგილსამყოფელი, ე. ი. მთავარი ბაზა, სამხედრო რაზმის მახლობლად (ე. ი. მისი შტაბის მახლობლად) მოეწყო, პირველად აჭარისწყალში, ხოლო შემდეგ კი ს. ერგეში (რედუტის მახლობლად)."

ასე რომ, ხსენებული საომარი ბატალიების მიმდინარეობის დროს ი. არჯევანიძესა და დ. კლდიაშვილს, რომლებიც ლაზეთის სოფელ პირონიტში თითქმის ერთი წლიანი ერთობლივი სამხედრო სამსახურის დროს გაეცვნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, კვლავ ერთად უწევდათ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. ი. არჯევანიძის თქმით, იმ ურთულეს პერიოდში დ. კლდიაშვილთან ყოველდღიური შეხვედრებითა და საქმიანი ურთიერთობით იგი "საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დავით კლდიაშვილი დიდი გამბედაობის და დინჯი მეომარი, მასთან, უშიშარი და წინდახედული ადამიანი იყო."

დ. კლდიაშვილის სამხედრო-სტრატეგიული ნიჭისა და გამბედაობის ნათელსაყოფად "მოგონების" ავტორი არა მარტო ზოგადად გვესაუბრება, არამედ კონკრეტული ეპიზოდებიც მოჰყავს მწერლის ომის-

დროინდელი ცხოვრებიდან. მაგალითად, მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზე გამაგრებული მოწინააღმდეგე, რომელიც ბათუმზე შეტევისთვის ემზადებოდა, თურმე სწორედ დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული რთული საბრძოლო ოპერაციის შედეგად გამხდარა იძულებული განზრახვაზე ხელი აეღო და უკან დაეხია.

ი. არჯევანიძის „მოგონებაზე“ საუბრის დროს აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა მივაპყრო ყურადღება – ავტორის მიერ მოტანილ კონკრეტულ ეპიზოდებს მოწინააღმდეგის მხრიდან გამოვლენილი ადამიანური კეთილშობილებისას და ჰუმანიზმისას. მაგალითად: „მოპირდაპირე მხრიდან მტრის ბანაკი იყო. იქიდან გადმომდგარიყვნენ სამხედროები და დურბინდით იყურებოდნენ აქეთ, კატასტროფის ადგილისაკენ (იგულისხმება ჩვენს მხარეს მომხდარი ავტოკატასტროფა, რომლის შედეგადაც უმძიმესად დაშავდნენ “წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის წევრები – ა. ნ.). ჩვენ გვიამბეს ოფიცრებმა, რომ ამ შემთხვევის შესახებ ჩვენ ოსმალთა ჯარისკაცების შეძახილებიდან გავიგეთო. რა წამს ეს ამბავი მოხდა, მათ ყვირილი აუტეხიათ: „იამან!“ „იამან!“ – და კიდევ სხვა სიტყვები: – უშველეთო!“ (არჯევანიძე, 2013: 83).

ხსენებული კატასტროფის შედეგად დაშავებული ადამიანებისადმი თურქების თანამგრძნობ დამოკიდებულებას ავტორი ქვემოთაც აღნიშნავს და წერს: “მოპირდაპირე მხრიდან, სადაც ჩვენი მტრის პოზიციებია, ჩვენს მიმართ სინანულის და თანაგრძნობის შეძახილები გვესმოდა.“

დამოწმებული ეპიზოდების მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან ჩვენი მებრძოლებისადმი გამოვლენილ ამგვარ თანაგრძნობას ი. არჯევანიძე ჯერ კიდევ იმ დროს აღნიშნავდა, როცა თურქეთსა და იმხანად საბჭოთა იმპერიის ნაწილად ქცეულ საქართველოს არა მარტო უმტკიცესად ჩაკეტილი საზღვარი მიჯნავდა ერთმანეთისაგან, არამედ ამ ქვეყანასთან ჩვენი ისტორიული და თანადროული ურთიერთობაც მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში იყო გააზრებული და წარმოსახული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ალბათ, არ გადავაჭარბებთ, კიდევ ერთხელ თუ ვიტყვით, რომ ივანე არჯევანიძის “მოგონება“ ავტორის მიერ აღწერილ მოვლენათა უშუალოდ თვითმხილველი პიროვნების მიერ დაწერილ იმ მემუარს წარმოადგენს, რომელიც ახალი დეტალებით ავსებს დავით კლდიაშვილის ბიოგრაფიას და მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდის პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ბათუმში, აჭარაში, ართვინის ოკრუგსა და ლაზეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ყოფისა და ეროვნული ცნობიერების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

არჯევანიძე, 2013: – არჯევანიძე ი., დავით კლდიაშვილის ახლოს (მოგონება), თბილისი.

კლდიაშვილი, 1961: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, მოთხრობები, თბილისი.

Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

New Material about Batumi and Ajara of the 1910s

Summary

In the village of Simoneti in Terjola region there is a house-museum of David Kldiashvili which stores the manuscript of Ivane Arjevanidze's (1893-1794) memoir 'Near Davit Kldiashvili' (1965) that has not been published until today. It not only adds new details to David Kldiashvili's biography but gives important information about the existing situation during the First World War in Batumi and Adjara. Ivane Arjevanidze actively participated in military operations taking place between Turkey and Russia during the First World War where Turkey tried to reoccupy the territories lost to Russia as a result of 1877-78 war between Turkey and Russia. In particular, in 1916-1918 he held several responsible positions in hospitals established by Russian Union and Red Cross Society. Therefore, he often had to stay in Batumi and Ajara. Based on the above-mentioned it can be judged that he was familiar with the everyday life of local people and in his memoirs he provides important information about them. Besides, I. Arjevanidze's 'Memoir' is very interesting as it gives information about national consciousness and historical memory of local people who were inhabitants of Islamic Georgia for quite a long time. Thus, Ivane Arjevanidze's handwritten 'Memoir' is the description of the events written by the author who was the witness at the same time and provides a lot of interesting data about the existing situation both in Batumi and Ajara during the First World War.

გელა საითიძე
(თბილისი, საქართველო)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

(ისიდორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით)

ისიდორე რამიშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი ათწლეულების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღევანდელმა საზოგადოებრიობამ კი მის შესახებ ცოტა რამ იცის. ყველაზე დიდი „ბრალი“ ამაში მის პარტიულ კუთვნილებას მიუძღვის. მენშევიკური პარტიის ელიტაში ყოფნა იყო ის მიზეზი, რომლის გამო თითქმის ყველა მკვლევარი განსაკუთრებული ჟინით ცდილობდა, მის და მის თანამოაზრეთა ნაღვაწში მხოლოდ საძრახისი დაენახა; რა თქმა უნდა, ის. რამიშვილს და მის თანაპარტიელებს შეცდომებიც ჰქონდათ დაშვებული, მაგრამ მიუკერძოებელ მკვლევართ შეეძლოთ, ობიექტურობის ფარგლებში ყველასათვის დამსახურებისამებრ მიეზღოთ. ის. რამიშვილის პიროვნება ჩემს თვალში განსაკუთრებით ამაღლდა მას შემდეგ, როცა რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროში მისი, როგორც დეპუტატის, გამოსვლებს გავეცანი. მაგრამ გასულ, 2012 წელს, გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ დასტამბულმა ის. რამიშვილის „მოგონებებმა“, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის წყაროთმცოდნეობით ბაზას ძალზე ღირებული წიგნი შემატა. როგორც „მოგონებების“ წინასიტყვაობაშია ნათქვამი: „მისი მოცულობისა და მასში დაცული ცნობების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს, როგორც ხალხოსნური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, ისე, ზოგადად, საქართველოს, მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შესასწავლად“ [რამიშვილი, 2012: 61].

ის. რამიშვილის „მოგონებებისათვის“ თანდართული „წინასიტყვაობისა“ და ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევის (ავტორები პროფ. გოჩა საითიძე და ქეთევან რამიშვილი) გაცნობის შემდეგ, ჩვენ წინ ცოცხლდება სახე თავისი სამშობლოსა და ხალხის მოყვარული პიროვნებისა, რომელიც „მთელი ძალ-ღონითა და თავგანწირვით ებრძოდა ჯერ მეფის რუსეთის სულისშემხუთველ რეჟიმს და სწამდა, რომ თავის მეგობრებთან ერთად შეძლებდა მშრომელი ხალხის ამ მძიმე უღლისაგან განთავისუფლებას, შემდეგ კი ასეთივე თავგანწირვით უპირის-

პირდებოდა ბოლშევიკურ რუსეთს, რომელმაც საბოლოოდ მოუსპო მას ოცნება ნანატრ თავისუფლებაზე“ [რამიშვილი, 2012: 61].

* * *

ის. რამიშვილი დაბადებულა 1859 წლის 7 ივნისს ოზურგეთის მაზრის სოფელ დიდ ვანში (დღევანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), გლეხის – ივანე მამუკას ძე რამიშვილის მრავალშვილიან ოჯახში. წერა-კითხვა მან სოფლის ეკლესიის დიაკვნისაგან შეისწავლა, ხოლო 1871 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე გახდა. 1878 წელს წარჩინებით დაამთავრა ხსენებული სასწავლებელი და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლისას ისიდორე დაუმეგობრდა სამ ნიჭიერ ყმაწვილს – ეგნატე ინგოროყვას, სილიბისტრო ჯიბლაძესა და ბესარიონ კალანდაძეს, რომლებთანაც სიახლოვე სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

1885 წელს ის. რამიშვილმა სემინარია დაამთავრა და შესაძლებლობა ჰქონდა მღვდლად დაეწყო საქმიანობა, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი განაცხადა და, ხალხოსნური იდეებით გატაცებულმა, თანამოაზრეებთან ერთად, ხალხთან დასაახლოებლად მასწავლებლობა აირჩია. 1886 წლის იანვრიდან ის. რამიშვილი წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მასწავლებელი ხდება... იგი სულ მალე ძალზე მეგობრულ, უშუალო დამოკიდებულებას ამყარებს თავის მოწაფეებთან, რაც არ მოსწონს სკოლის ხელმძღვანელს – ილია წინამძღვრიშვილს და მასწავლებლისაგან მეტ სიმკაცრეს მოითხოვს. ეს კი მიუღებელი გამხდარა ისიდორესათვის და სკოლის მაშინვე დატოვება გადაუწყვეტია, თუმცა სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილა. გამოსაშვებ გამოცდებს უამრავი ხალხი დასწრებია, მათ შორის, ილია ჭავჭავაძე თავის მეუღლესთან ერთად. ყველას ძალიან მოსწონებია მოსწავლეთა მომზადების დონე და ისიდორეც შეუქიათ.

1887 წელს ის. რამიშვილი თავს ანებებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში მასწავლებლობას, სადაც, მისივე შეფასებით, „მიიღო გამოცდილება და ცოდნა მასწავლებლობის ხელობისა, უფრო ღრმად შეითვისა ფართო საზოგადოებრივი მოქმედების იდეები“ [რამიშვილი, 2012: 211] და თავის მშობლიურ გურიაში მიემგზავრება.

სურების ხეობაში ჩასულმა, სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებით, პირველი, რისი გაკეთებაც გადაწყვიტა, ეს იყო სკოლისთვის შენობის აგება... არაერთი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, მიზანი მიღწეული იქნა. ისიდორე მთელი ხეობის მოსახლეობის სასურველი და მისაღები პიროვნება გახდა, ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ახალგაზრდა მასწავლებელი წერა-კითხვას და ზოგად განათლებას აძლევს არა მარტო პატარებს, არამედ მოზრდილებ-

საც. კარგად იყენებს წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში მიღებულ გამოცდილებას და მეურნეობის უკეთ გაძღოლაში კონსულტაციებს უწევს მშრომელ გლეხობას.

XIX საუკუნის 90-იანი წლები, ის. რამიშვილის თქმით, იყო ის დრო, როდესაც „ახალი მოძღვრება (გულისხმობს მარქსიზმს – გ.ს) თანდათან ძლიერდებოდა ჩვენს მოწინავე მოაზროვნე ახალგაზრდობაში“ [რამიშვილი, 2012: 234]

ასეთ მოაზროვნე ახალგაზრდად მიუჩნევია სილიბისტრო ჯიბლაძეს ნოე ჟორდანია, რომელიც შემდგომ ის. რამიშვილისათვის გაუცვნია, როცა ისინი 1892 წლის სექტემბერში მას სახლში სწვევიან. „სამი დღე დარჩენილან სტუმრები მის სოფელში, წასვლის წინ კი წინადადება მიუციათ ისიდორესათვის, უთუოდ დასწრებოდა იმ კონფერენციას, რომელიც განზრახული ჰქონდათ ახლო მომავალში გაემართათ, ხოლო თუ სად, ამის შესახებ ცალკე შეტყობინებას დაჰპირებიან“ [რამიშვილი, 2012: 234-235].

რამიშვილის „მოგონებებში“ საუბარია 1892 წლის 25 დეკემბერს დ. ყვირილაში და მომდევნო 1893 წელს თბილისში გამართულ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციებზე და მასში მონაწილე პიროვნებებზე. ის. რამიშვილის აზრით, „ეს კონფერენციები იყო პირველი მოსინჯვა ნიადაგისა, პირველი შეკავშირება დაქსაქსული ძალების და პირველი დამუშავება სამოქმედო გზისა. ჩვენ თამამად შეგვიძლია 1892 წლის 25 დეკემბერი ჩავთვალოთ საქართველოში სოციალ-დემოკრატიზმის შენობის საძირკვლის ჩაყრის დღედ, ხოლო 10 მაისი 1894 წლისა – ეგნატე ინგოროყვას დასაფლავების დღე – მის გაგრძელებად და არა პირიქით“ [რამიშვილი, 2012: 235].

1893 წლის გაზაფხულზე, ის. რამიშვილი, იაკობ გოგებაშვილის დახმარებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის დასტურით, ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში გადადის სამუშაოდ. ძნელი იყო მისთვის მშობლიური სურების ხეობის მიტოვება, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა. მისი თქმით: „ახალ ადგილზე, მე დიდი შეღავათი მომელოდა ... გაცილებით ნაკლები ჯან-ღონის დახარჯვა და დიდი ჯამაგირი – 80 მანეთი თვეში. წამძლია სულმა და ჩამადენინა დანაშაულობა“ [რამიშვილი, 2012: 243].

* * *

სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე, ისიდორესათვის ბევრი რამ აღმოჩენილა მიუღებელი. პირველ რიგში, სკოლის ინსპექტორის ს. ყიფიანის მიერ დამკვიდრებული სულისკვეთება, რომელიც ბავშვებს უქადაგებდა, რომ: „თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება არის ერთადერთი ძლიერი ძა-

ლა, რომელზედაც დამყარებულია საქართველოს ბედ-იღბალი და თუ ეს ორი წოდება დასუსტდა, დასუსტდება ჩვენი ქვეყანაცო. გლეხკაცობა მაშინ არის ძალა, როდესაც ის ემორჩილება თავის მაღალ წოდებასო“ [რამიშვილი, 2012: 253].

ისიდორეს უსამართლობად მიაჩნდა ისიც, რომ სხვა სკოლებთან შედარებით, უდიდესი განსხვავება იყო სახელფასო ანაზღაურებაშიც. მისი თქმით, სენაკის სკოლის დირექტორის წლიური ჯამაგირი 1.200 მანეთი იყო – ბინით, გათბობით, განათებით; თითოეული მასწავლებლისა 90 მანეთი, სკოლის ზედამხედველისა – 600 მანეთი, სენაკის სკოლის წლიური შემოსავალი 8.000 მანეთს შეადგენდა, მაშინ როცა სურების სკოლის შენახვაზე წლიურად 300 მანეთი იყო გამოყოფილი. ის. რამიშვილს წინადადება წამოუყენებია, სათავადაზნაურო სკოლისათვის გამოყოფილი წლიური ბიუჯეტი ცოტა შეემცირებინათ და სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ოთხი სკოლისათვის გადაენაწილებინათ.

სამეგრელოში არსებული სხვა სკოლებისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობას ის. რამიშვილი იქ შექმნილი ვითარებით ასაბუთებდა: „არ ღებულობდნენ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სამეგრელოში რუსიფიკაცია ფართო ტემპით მიმდინარეობდა; რომ შიგნიდან აშორდიები და გარედან ზავადსკი-ლევიცკები (თვითმპყრობელური ხელისუფლების წარმომადგენლები – გ.ს) სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენას არ აჭაჭანებდნენ .... იმ გარკვეული მიზნით, რომ მეგრელები არაქართველებად გამოეცხადებინათ, სამეგრელო საქართველოდან ჩამოეშორებინათ და ადვილად გაერუსებინათ“ [რამიშვილი, 2012: 254].

ის. რამიშვილი არ თმობს პოზიციებს და სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლებთან (ივანე გოგოლაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი და ლავრენტი აღლაძე) ერთად, ისევ მიმართავს ზემდგომ ორგანოებს სკოლაში რევიზიის ჩატარების მიზნით. მათ მიაჩნდათ, რომ სკოლის დირექტორი „სამსონ ყიფიანი, როგორც მასწავლებელი სანაქებო იყო, მაგრამ როგორც სკოლის გამგე და აღმზრდელი, ყოვლად უვარგისი – „არც ანგარიში, არც ბუღალტერია. ყოველივე ეს მისი ჯიბე იყო“ [რამიშვილი, 2012: 254].

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მიერ გაგზავნილ რევიზორებს (ალ. გარსევანიშვილი, დ. ქარიჭაშვილი) დაუდასტურებიათ ის. რამიშვილისა და მისი კოლეგების საჩივრის სისწორე, მაგრამ ს. ყიფიანისათვის ხელი დაუფარებიათ ქუთაისში, სამხრუნველო კომიტეტის თავმჯდომარეს კირილე ლორთქიფანიძეს, ხოლო თბილისში – „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს. „ხოლო ჩვენ – მასწავლებლებს, საყვედური გამოგვიცხადეს „თავხედობისა და დაუმორჩილებლობისათვის“, – გულისტკივილით წერს ისიდორე.

ასეთი განაჩენის შემდეგ საკითხს ფართო საზოგადოებრივი ჟღერადობა შეუძენია. „დაიწყო ბრძოლა ძველსა და ახლებს შორის“, – წერს ის. რამიშვილი [რამიშვილი, 2012: 255].

ის. რამიშვილის „მოგონებებში“ მოყვანილი ზოგიერთი დეტალი განსხვავებულია დღემდე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისაგან. კერძოდ, აქამდე არც ერთ მკვლევარს ხაზგასმით არ აქვს ნათქვამი, რომ ეგნატე ნინოშვილის კუბოსთან გამოსულთა შორის პირველი მომხსენებელი მისი სიყრმის მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე იყო, რომელმაც სოციალ-დემოკრატთა პროგრამა და მოქმედების გეგმა გამოაცხადა, ანუ, ისიდორეს თქმით, „ეგნატეს სასაფლაოზე სოციალ-დემოკრატია პირველად გამოვიდა საფარიდან და ღიად, საქვეყნოდ აღიარა თავისი მოსვლა ამქვეყნად. იმ დღეს ორი თაობის – ახალი და ძველის წარმომადგენელნი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ძველი თაობის წარმომადგენელი იყო გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი და ახლისა კი – სილიბისტრო ბესარიონის ძე ჯიბლაძე. მათ სთქვეს ამ დღეს თავიანთი სიტყვები და სიტყვები ესე ძირფესვიანად ირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ” [რამიშვილი, 2012: 255].

ის. რამიშვილი არც იმ დამსახურებას უკარგავს გიორგი წერეთელს, რომელიც მან ახალი თაობის წინაშე გასწია.

„გიორგი წერეთელმა ახალი მოძღვრების მიმდევართა ჯგუფი „მესამე დასად“ მონათლა, აკრიტიკებდა მათ შეხედულებებს, არ მოსწონდა, მაგრამ რაღაც სასიცოცხლოს ხედავდა მათში“. „გიორგი წერეთელი მეტ სულიერ ნათესაობას ჰპოვებდა „მესამედასელებთან“, ვიდრე „ივერიელებთან“, ამით აიხსნება, რომ მან ფართოდ გადაუშალა თავისი (გულისხმობს გაზეთ „კვალს“ – გ.ს) გაზეთის ფურცლები ახალი თაობის კაცებს... ამრიგად, მარქსისტებმა მოიპოვეს საქართველოში ლეგალური მუშაობის საშუალება“.

სწორედ იმ ხანებში, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის განკარგულებით, ის. რამიშვილი სენაკის სკოლიდან გადაყვანილი იქნა ბათუმის ქართული სკოლის გამგედ ძალზე საინტერესო დახასიათებით: „ცუდი კაცია, მაგრამ კარგი მასწავლებელი“-ო.

ის. რამიშვილი გადაყვანას როდი მიიჩნევს დიდად სამწუხაროდ, რადგან თვლის, რომ ასეთი სასჯელი „იმ თევზის დასჯას გავს, რომელსაც წყალში გადაგდება მიუსაჯეს“. „თუ სენაკის სკოლაში ვეძებდი და ვერ ვპოულობდი საქმეს, აქ, ბათუმში თავზე გადამდიოდა და დღე და ღამე გაბმული ვიყავი როგორც სკოლის, ისე ბევრ საზოგადო და პარტიულ საქმეში. უცებ თავი ამოვყავი ცოცხალს, მოძრაობით სავსე ქალაქში. დაუცხრომელი და შეუყენებელი მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც უკვე გაჩაღებული იყო ბრძოლა მეწარმეებსა და

მუშებს შორის, დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის. ამ კლასთა ბრძოლას ხელმძღვანელობდა უკვე ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატთა ბათუმის კომიტეტი, რომელიც ექვემდებარებოდა თბილისის კომიტეტს [რამიშვილი, 2012: 259].

იგი საინტერესოდ აღწერს თავის პირველ კონტაქტებს ბათუმთან და მის ინტელიგენციასთან: „ბათუმში ჩასვლისთანავე მე დავუკავშირდი იქ მოქმედ ინტელიგენციას და მუშათა მოძრაობას. მე მათგან, როგორც სოფელში დიდხანს ნამყოფი კაცი, ბევრს ახალს და საურადღებოს ვითვისებდი. მალე მათ ფერხულში მეც ჩავები, მაგრამ ჩემი მუშაობა მაინც განსხვავდებოდა მათი მუშაობისაგან. ისინი სავსებით არალეგალურ მუშაობას ეყრდნობოდნენ და ლეგალურ მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, მე, პირიქით, ამ უკანასკნელისაკენ უფრო ვიხრებოდი. ამით აიხსნება, რომ ჩვენი წრის თაოსნობით, ნურიის ბაზარში, გაიხსნა წიგნსაცავ-სამკითხველო. წიგნსაცავისათვის სახლი და შენახვა დავაკისრეთ ქალაქის თვითმმართველობას, საცა უკვე ჩვენი წარმომადგენელი გვყავდა გაყვანილი. ეს იყო კარლო ჩხეიძე, რომელსაც შეჰქონდა ქალაქის საბჭოში წრისაგან დამუშავებული დემოკრატიული მოთხოვნილებანი, შოულობდა მომხრეებს და ამხანაგების გარედან დახმარებით, გაჰყავდა კიდეც ეს მოთხოვნილებები“ [რამიშვილი, 2012: 260].

ბათუმის ქართული სკოლის გამგედ დანიშნულ ის. რამიშვილისათვის გრ. ვოლსკის და მის მხარდამჭერებს (დ. კლდიაშვილი, ნ. ჯაყელი და სხვა) იმთავითვე განუცხადებიათ: „ქართული სკოლა ჩვენ ყოველთვის ორმოცდაათ ხმას გვაძლევდა და შენც ჯობია იმავე გზას გაჰყევიო“, რაზედაც ის. რამიშვილს გადაჭრილი უარი უთქვამს: “სკოლა აქ არსებულ დავაში ვერ ჩაერევა, ის გარეშე იქნება და ვერც ერთ მხარეზე დადგება, რადგან ამაში თავს იყრიან ქართველი ბავშვები ყველა წრიდან და ბანაკიდან და ამ ჩხუბმა რომ ერთი ბავშვიც კი დააკლოს სკოლას, დანაშაული იქნებაო“ [რამიშვილი, 2012: 274]. ასეთი პოზიციის დაკავების გამო, ისიდორესა და გრ. ვოლსკის შორის იმთავითვე არაჯანსაღი დამოკიდებულება ჩამოყალიბებულა.

საინტერესო ინფორმაციის შემცველია მოგონებების ის ნაწილი, რომელშიც ის. რამიშვილი ბათუმიის ქართულ სკოლაში თავისი პარტიული მუშაობის პერიპეტიებზე მოგვითხრობს. “ბათუმის ქართულ სკოლაში ჩემი მისვლის შემდეგ, – წერს იგი, – მალე გაიხსნა საკვირაო სკოლა. ამ სკოლის გახსნის ნებართვა განზრახ სასულიერო უწყებიდან იქნა აღებული, მღვდლის სიმონ თოთიბაძის სახელზე. სახელად იყო ეს საკვირაო სკოლა მხოლოდ სასულიერო უწყების, საქმით კი სულ ჩვენ განკარგულებაში იყო, რაშიც ხელს გვიწყობდა ლიბერალური მღვდელი“.

გარდა ამისა, ბათუმის სასულიერო სკოლა გამხდარა ერთგვარი კონსპირაციული ბინა სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული პარტიული ამხანაგების მისაღებად და დასაბინავებლად. ისიდორეს თქმით: „გემიდან პირდაპირ სკოლას მოადგებოდნენ ჩემოდნით ხელში ცნობილი „პაროლით“ და მეც ყოველივე დახმარება უნდა აღმომეჩინა მოსული ამხანაგებისათვის – საიდუმლო ბინითაც, ნივთიერადაც და გასამგზავრებლადაც. ზოგჯერ დიდი ხნითაც გვიხდებოდა ზოგიერთი ასეთი სტუმრის დამალვა, შეფარება. ასე მოხდა 1897 წელს, როცა ჩვენთან გარეთ გამოუსვლელად იმალებოდა ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, ეს დღეები დაემთხვა ნოე ჟორდანიას დაბრუნებას საზღვარგარეთიდან (1897 წლის ნოემბერი); იგი რამდენიმე დღით შეჩერდა ბათუმში და კამათი გამართა ჩვენთან ნაციონალურ საკითხზე“.

ის. რამიშვილი არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის 900-იანი წლების დასაწყისის ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

„სოციალ-დემოკრატია ახალი საქმე იყო მაშინ ჩვენში, მას აწერდნენ, თითქოს ის უარყოფდეს ყოველივე მშობლიურს და ცდილობდეს საქართველოს ინტერნაციონალიზმში გათქვეფას, გადაგვარებას; მარქსისტები სამშობლოს მოღალატეებად მიაჩნდათ”. როგორც სჩანს, ასეთი აზრისა იყვნენ იქ წ.კ.გ. საზოგადოების ხელმძღვანელობაც. ამიტომ იყო, რომ ერთ დღეს ბათუმს ქართული სკოლის სარევიზიოდ გაგზავნილი თვით იაკობ გოგებაშვილი ეწვია. „ის პირქუშად შემოვიდა სკოლაში. გოგებაშვილი წინათაც მიცნობდა წინამძღვრიანთკარის, სურებისა და სენაკის სკოლებიდან და არ მთვლიდა ცუდ მასწავლებლად, მაგრამ ახლა პირგამეხებული შემეყარა. ჯერ სწავლა არ დაწყებულიყო, რომ შემოვიდა. ჩვეულებრივად, ბავშვებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს სტუმარს. მან თვალი მოავლო უზარმაზარ დარბაზს, რომელიც საკმაოდ იყო ბავშვებით, ანუ იქ 96 მოწაფე იჯდა. განკარგულება გასცა, რომ ყველა გაკვეთილი მე მიმეცა ისე, როგორც ჩვეულებრივად ყოველდღე. მეც საქმეს შევუდექი“.

იაკობი სამ დღეს დარჩენილა ბათუმის ქართულ სკოლაში. წასვლის წინ წიგნში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ბათუმის ქართული სკოლა არის ანთებული ლამპარი, რომელიც შორს ანათებს არემარესა“-ო [რამიშვილი, 2012: 276]

განსხვავებით იაკობ გოგებაშვილისაგან, ის. რამიშვილი უკმაყოფილო დარჩენილა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს (ოქროპირიძე) სკოლაში სტუმრობით და მისი საქციელით.

საინტერესოა „მოგონებების“ ეს ეპიზოდიც. „დიდი ყურადღება მქონდა მიქცეული, რომ ქართულ სკოლაში რაც შეიძლება მეტი მუსლიმანი ქართველი ბავშვი შემოსულიყო. ამისათვის ბათუმში ქართუ-

ლი სკოლის გახსნისთანავე, მიუქცევია ყურადღება მოსე ნათაძეს. მეც დავადექი მისგან გათელილ გზას, დავუახლოვდი გავლენიან პირებს, უფრო სასულიეროს, რადგან მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე, მოვიპოვე მათი თანაგრძნობა და ნდობა. ამით ბავშვების რიცხვი მუსლიმანებიდან გაიზარდა ჩვენს სკოლაში. კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ ერთ დღეს მოხდა დიდი მარცხი“ [რამიშვილი, 2012: 276]. ეს მარცხი კი, ისიდორეს თქმით, ეპისკოპოს ალექსანდრეს სტუმრობას მოჰყოლია. მას არ მოსწონებია, გაკვეთილზე თავმოუხდელი მოწაფეები რომ დაუნახავს და უბრძანებია თავსაბურები მოეხადათ. ისიდორეს აუხსნია მეუფისათვის, რომ მათი რჯული მოითხოვდა, მეჩეთში თუ სკოლაში თავდახურული მსხდარიყვნენ. ეპისკოპოსს ბავშვებისათვის გვარები გამოუკითხავს და როცა გაუგია, რომ ყველა ქართულ გვარს ატარებდა, უფრო მოუთხოვია, რათა ხატის წინ თავშიშველნი მდგარიყვნენ. როცა არც მასწავლებელს და არც მოსწავლეებს მისი მოთხოვნა არ შეუსრულებიათ, მაშინ გაჯავრებული ეპისკოპოსი მოსწავლეებს დამუქრებია – ყველას ძალით ქრისტიანულად დაგნათლავთო. ამის გამგონე, ერთი მოსწავლე, დურსუნ ქიქავა, ამდგარა და უთქვამს: „როცა ჩვენი წინაპრები ძალად ქრისტიანობიდან მაჰმადის სჯულზე გადაიყვანეს, უსამართლობა ჩაიდინეს და თუ თქვენ ახლა ძალად ჩვენ გადაგვიყვანთ ქრისტიანობაზე, თქვენც უსამართლობას ჩაიდენთ“-ო [რამიშვილი, 2012: 277].

ამის გამგონე, ეპისკოპოსი განრისხებული გავარდნილა გარეთ და ის. რამიშვილისათვის გაბრაზებით უთქვამს: „ქრისტიანობას არ იცავთ და „თათრებს“ ანებივრებთო“.

ეპისკოპოსის ამ ქმედებას შედეგად ის მოჰყოლია, რომ მეორე დღეს არც ერთი მუსლიმანი მოწაფე სკოლაში არ მისულა და სკოლის გამგის დიდი მცდელობის შემდეგ 32 მოწაფიდან მხოლოდ 7 დაუბრუნებიათ უკან [რამიშვილი, 2012: 277].

არც რჯულის მასწავლებლის, ქედელი ხოჯის – ირემაძის საქციელი მოსწონს ისიდორეს და მოურიდებლად აღნიშნავს: „იგი სრულიად გაუნათლებელი და უხეში კაცი იყო. ბავშვებს არაბულად ასწავლიდა და ქართულად ერთ სიტყვასაც არ ხმარობდა. ბავშვებს უჭირდათ სწავლა და ხოჯა, ნაცვლად ახსნისა, ცემით უმასპინძლდებოდა მათ. ჩემი ინიციატივით ეს ხოჯა შეცვლილი იქნა საერო პირით, მაგრამ კარგად მომზადებული და განათლებული მამედ-ბეი აბაშიძით“ [რამიშვილი, 2012: 277].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოწვლილვით არის შესწავლილი ბათუმის რევოლუციური წარსულის ისტორია. მოჩხრეკილ-მოძიებულია უამრავი საარქივო თუ სამუზეუმო დოკუმენტი, დაწერილი და გამოქვეყნებულია ათეულობით წიგნი, ბროშურა, საჟურნალო თუ საგაზეთო სტატია, დაცულია სადოქტორო თუ საკანდიდატო დი-

სერტაციები. ერთი სიტყვით, სადაც კი ბოლშევიკებს ფეხი დაუდგამთ და რევოლუციური ლოზუნგი წამოუძახიათ, სრულიად სამართლიანად, აღმართული იყო ობელისკები, გაკრული იყო მემორიალური დაფები და ა.შ. მაგრამ ასევე სრულიად უსამართლოდ მიჩქმალულ-მივიწყებული იყო მათი ტყუპისცალების – მენშევიკების ნაღვაწ-ნამოქმედარი. ასე იყო განდიდებული – იოსებ ჯუღაშვილის, მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძის, ალ. წულუკიძის და სხვათა სახელები, ხოლო მივიწყების ფერფლწაყრილი – სილიბისტრო ჯიბლაძის, ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიას, იოსებ კაკაბაძის, დიომიდე თოფურიძის, ლადო დარჩიაშვილის, დიმიტრი კალანდარიშვილის, ნოე რამიშვილის, ნოე ხომერიკის, ბენია ჩხიკვიშვილის, ისიდორე კვიცარიძის, ალექსანდრე შატილოვის, რაფიელ ჩიხლაძის, ჭოლა ლომთათიძის და სხვა გამოჩენილი სოციალ-დემოკრატების ნაღვაწ-ნამოქმედარი. ასევე არაობიექტურად ხდებოდა მუშა რევოლუციონერების განდიდებაც. მაგ. ყველა მკვლევრისთვის აუცილებელი იყო – სილიბისტრო ლომჯარიას, ილარიონ დარახველიძის, დ. ვადაჭკორიას, პ. ქურიძის, კ. კალანტაროვის, ვ. ჯიბუტის, მ. რუსიძის, ი. დუდუჩავას, ხაშიბ სმირბას და სხვათა სახელების მოხსენიება, ხოლო ბეგლარ მელია, გერონტი ტუსკია, მიხაკო კალანდაძე, ი. მგელაძე. მ. წულაძე, ს. დუნდუა და სხვები, რომლებიც „მესამედასელთა“ პოზიციას ბოლომდე ერთგულობდნენ, არსახსენებელთა შორის მოიაზრებოდნენ.

ბათუმის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს, შესაძლებლობა ეძლევათ, ისიდორე რამიშვილის „მოგონებების“ გაცნობის შემდეგ არაერთი ფაქტი და მოვლენა სხვანაირად შეაფასონ. ის. რამიშვილი, კარლო ჩხეიძესთან და ზოგიერთ სხვა სოციალ-დემოკრატთან ერთად, უშუალო მომსწრე და მონაწილე იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების. ამის შესაძლებლობას მას ბათუმის ქართულ სკოლაში მუშაობა აძლევდა. ეს სკოლა კი, როგორც თვითონ მიუთითებს, რევოლუციური საქმიანობის ბუდეს წარმოადგენდა.

„ბუდე და ბინა ჩემთან ჰქონდათ, ჩემს სკოლაში, სადაც თავს ისე გრძნობდნენ და ისე ეჭირათ, როგორც საკუთარ სახლში, როცა უნდოდათ, ღამით მოდიოდნენ, ღამეს ათევდნენ; როცა სურდათ, ჭამდნენ და მიდიოდნენ საქმეზე. საქმე კი ბევრი ჰქონდათ. სხდომები და თათბირებიც სკოლაში იმართებოდა“ [რამიშვილი, 2012: 273].

ის. რამიშვილის „მოგონებებში“ დაინტერესებული მკითხველი აქამდე უცნობ ბევრ ფაქტობრივ მასალას იპოვის 1901 წლის დასაწყისში, ბათუმში, როტშილდის ქარხნის ადმონისტრაციასა და მუშებს შორის დაპირისპირებასთან დაკავშირებით, რაც 9 მარტს სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა. ავტორის თქმით, როტშილდის ქარხნის ადმი-

ნისტრაციამ მოიწადინა ქარხნის გაწმენდა მოუსვენარი ელემენტებისაგან და დიდძალი მოწინავე მუშები დათხოვნილად გამოაცხადა.

ამ რეპრესიას მუშებმა მოთხოვნილებების წაყენებით და გაფიცვის მუქარით უპასუხეს. დირექციამ გადაჭრით უარი განაცხადა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მხოლოდ ზოგიერთის ნაწილობრივ შესრულებაზე თანხმდებოდა, მაშინ მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა.

ბათუმში ჩავიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც მუშათა წარმომადგენლებმა ყოველივე დაუფარავად აუხსნეს. ამას, შედეგად, გაფიცულ მუშათა დატუსაღება და ციხეში ჩაყრა მოჰყვა. ისიდორეს თქმით, ადგილობრივი ხელმძღვანელები ცდილობდნენ მუშების შეკავებას და მოლაპარაკებების გზით ცალკეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას; თანდათან იკვეთებოდა კიდეც ადმინისტრაციის მხრიდან ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, გაფიცვის მოხსნის შემდეგ დატუსაღებული მუშების გამოშვებაც კი.

„მაგრამ ტფილისიდან ახლად ჩამოსული სოსო ჯუღაშვილი ჩაუდგა სათავეში მუშების აქტიურ გამოსვლას და ტფილისის კომიტეტის სახელით მოუწოდა მათ ძალა ეხმარათ. ეს იყო ცეცხლზე ნავთის დასხმა, ისედაც აპილპილებული მუშები სწრაფად მოეჭიდნენ სოსო ჯუღაშვილის აგიტაციას, “როგორც ერთადერთ საუკეთესო საშუალებას საქმის გამარჯვებით დასაბოლოვებლად“, – წერს ის. რამიშვილი [რამიშვილი, 2012: 268].

ის. რამიშვილი შთამბეჭდავად აღწერს 1901 წლის 9 მარტს, როტშილდის ქარხნის დახვრეტილი მუშების საძმო საფლავში დამარხვას. “გრანდიოზული და დიდებული იყო დამარხვა დახოცილებისა, რომელიც მოაწყო ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ 12 მარტს. წინა დღეებში ცას პირი ჩამოსტიროდა, იდგა გაუვალი ტალახი და წყალი ბათუმის ქუჩებში, ხოლო დახოცილების დამარხვის დღეს იდგა მშვენიერი მზიანი დარი და მთელი ბათუმი გამოვიდა დახოცილების სასაფლაომდე მისაცილებლად. ზღვა ხალხის თავზე შორიშორს მიექანებოდა და მზეზე ლაპლაპებდა 13 კუბო (7 კუბო სოფლად წაასვენეს პატრონებმა). ამოდენა ხალხის სიჩუმეს არ არღვევდა არავითარი ხმაური, ყველა შავი ფიქრებითა და ბრაზით შეპყრობილნი მისდევდნენ საყვარელ კუბოებს. თვით პოლიცია და ჟანდარმერიაც კი, ეს სიკვდილის მოციქულნი, მორიდებით მოგვყვებოდნენ უკან“ [რამიშვილი, 2012: 269].

ის. რამიშვილის თქმით, როტშილდის ქარხანაში მომუშავე ცოცხლად დარჩენილი მუშათა ბედიც სავალალო გამხდარა. „1902 წლის მარტის პირველ რიცხვებში, გაფიცვის გამო დახურული როტშილდის ქარხანა შემდეგში აღარ გაღებულა არასოდეს. დაიკეტა სამუდამოდ და მისი მრავალრიცხოვანი მუშები დაფანტეს. მოისპო ერთი დიდი

საშუალება, როგორც ნივთიერად, ისე იდეურად მუშების გაღონიერებისა, შესუსტდა ბათუმში მუშათა მოძრაობა“, – გულისტკივილით აღნიშნავს იგი [რამიშვილი, 2012: 268].

გაფიცულებმა, გამარჯვების მაგივრად, განრისხებული ხელისუფლებისაგან ტყვია მიიღეს, დატუსაღებული მუშების გასამართლება კი ერთი წლის თავზე დაინიშნა. ის. რამიშვილი საინტერესო დეტალებს გვაწვდის აღნიშნული სასამართლოს მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. სასამართლო 1903 წლის მარტის დასაწყისში გაიმართა. “ჩვენმა ორგანიზაციამ, – წერს ისიდორე, – ამ დღისათვის მოიწვია პეტერბურგიდან საუკეთესო დამცველები: მურავიოვი, ანდრონიკაშვილი (გულისხმობს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს – გ.ს), ტისლენკო... მათ ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლება მოითხოვეს. შესრულებული იქნა მათი მოთხოვნა – 9 ბრალდებულიდან 8 სრულებით გაანთავისუფლა სასამართლომ, ხოლო ერთს მიესაჯა ერთი წელი და მასაც ციხეში წინასწარ გატარებულ 13 თვეში გაუქვითეს და ისიც გამოუშვეს. დამცველებმა არავითარი ჰონორარი არ აიღეს, გარდა გზის ფულისა. ბათუმის საზოგადოებამ სასტუმრო “ორიენტალში“ სასამართლოს გათავების დღეს დიდი ვახშამი გაუმართა ადვოკატებს. ვახშამს დაესწრო ბათუმის მთელი მოწინავე და ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენცია, ქალაქის თვითმმართველობის მთელი შემადგენლობა. ვახშამი ჩატარდა მშვენივრად“ [რამიშვილი, 2012: 277].

„მოგონებებში“ ერთი საინტერესო ცნობაც გვხვდება – ესაა პეტერბურგიდან მუშების ვექილებად საქვეყნოდ ცნობილი იურისტების ჩამოყვანის ორგანიზება. ის. რამიშვილის თქმით, ეს საქმე მის სეხნიას ისიდორე კვიცარიძეს უკისრიაპდა ბოლომდე პირნათლად შეუსრულებია იგი, ბათუმის სასტუმრო „ორიენტალში“ ვახშმის გამართვით და რკინიგზის სადგურიდან საარაკო გაცილებით.

ბათუმში მოღვაწეობის თითქმის ექვსწლიანი პერიოდი უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი იყო ის. რამიშვილისათვის. და არა მარტო მისთვის, არამედ მისი პარტიისა და, საერთოდ, იმდროინდელი ბათუმის მთელი საზოგადოებისათვის, სადაც თანდათანობით მადომინირებულ როლს თამაშობდა ქართველი (როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმანური) მოსახლეობა, თავიანთი საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციებით.

1903 წლის ზაფხულში, ის. რამიშვილს არათუ ბათუმში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში აუკრძალეს ცხოვრება. თუმცა, როგორც კარგი მასწავლებელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ბოლომდე ვერ გაიმეტა და კავკავის ქართული სკოლის გამგედ მიავლინა, ლუარსაბ ბოცვაძის ნაცვლად. მაგრამ იქ ჩასულ ისიდორეს, როგორც პოლიციისაგან ძებნილ პირს, სასტიკი უარი უთხრეს.

დაიწყო მისი, როგორც ცარისტულ რეჟიმთან შეურიგებლის, ნარეკლიანი გზა. მის ცხოვრებაში ერთგვარი გამონათება იყო 1906 წელს რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროში ერთთვიანი მოღვაწეობა, სადაც იგი არჩეული იყო, როგორც ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის წარმომადგენელი. საქართველოდან არჩეული რვა დეპუტატიდან ის. რამიშვილი იყო პირველი, ვინც თვითმპყრობელური სისტემის გასამართლება სახელმწიფო სათათბიროს მაღალი ტრიბუნიდან მოითხოვა. მან იმთავითვე მოიპოვა აღიარება და პოპულარობა, როგორც უშიშარმა პიროვნებამ. თუმცა ცარისტულმა ხელისუფლებამ, ზედმეტი სითამამის გამო, ცხრა წელი გაატარებინა ციხეებსა და სატუსაღოებში. თავისუფლებას მხოლოდ 1917 წელს ეღირსა.

დემოკრატიული საქართველოს წლებში, ისიდორე რამიშვილი, როგორც პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში. ძველი სახალხო მასწავლებელი, სახელმოხვეჭილი ორატორი და პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე – წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სამშობლოში დარჩა და ბოლომდე გაიზიარა თავისი თანამოაზრეების მძიმე ხვედრი, რომელიც მათ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ არგუნა. სიცოცხლის ბოლო თხუთმეტი წელი საბჭოთა „გულაგებში“ გაატარებინეს, მისი ნეშტი კი სადღაც, ადგილისმიუნიშნებლად მიიბარა რუსეთის მიწამ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბერიძე ს., გეგეშიძე ზ., საითიძე გ., საქართველოს ისტორიულ-რევოლუციური ადგილები (მოკლე ნარკვევები), თბილისი, 1975.

გურული ვ., ვაჩნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918 წწ.), თბილისი, 1999.

ირემაშვილი ი., სტალინი და საქართველოს ტრაგედია, თბილისი, 2006.

კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.

ნინოშვილი ე., თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1925.

ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბილისი, 1990.

რამიშვილი, 2012: – რამიშვილი ის., მოგონებები, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

საითიძე გ., ყველას დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოს (შტრიხები ისიდორე რამიშვილის პოლიტიკური პორტრეტისათვის), გაზ. „ერთობა“, 1993, 3-10 აპრილი.

საითიძე გ., ისიდორე რამიშვილი, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 1994, №15, გვ. 11.

საითიძე გ., ათი წელი ფრაქციის სათავეში (კარლო ჩხეიძე), თბილისი, 2001.

საითიძე გ., ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროები (1906-1917 წწ.), თბილისი, 2006.

სიორიძე მ., ბათუმის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა 1888-1920 წლებში, ბსუ შრომები, ტ.5, ბათუმი, 2003.

სურგულაძე ა., წულუკიძე ალ., ბათუმში, ბათუმი, 1974.

შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. I, თბილისი, 1991.

ცქვიტარია ჰ., აჭარის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1880-1914 წწ.), ბათუმი, 1959.

Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)

Social-political Situation in Batumi at the turn of 19-20th Centuries (Based on 'Memoirs' by Isidore Ramishvili)

Summary

Isidore Ramishvili (1859-1937), the prominent Georgian public and political figure, lived in Batumi from 1897-1903 and led an educational activity in the Georgian school of Batumi. He was a graduate of Tbilisi theological seminary but before that received a good experience in the Agricultural School in Tsinamdzgvriantkari, Didi Vani School in his native Surebi gorge and Dzveli Senaki Nobility School. He was considered one of best teachers and a very popular person among his students.

As for his political beliefs, first he shared the ideas of The Narodniks, then stood at the forefront of Georgian members of 'Mesame Dasi' and became the follower and loyal defender of Marxist Theory. After publishing his 'Memoirs' as a separate book ('Artanuji Publishers', Tbilisi, 2012), which is one of important sources of the history of Georgian social-political views, the merits of Isidore Ramishvili before his homeland became more noticeable.

The book contains many unknown facts and events for better studying the history of Batumi.

იოსებ სანიკიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს XIX საუკუნის მეორე ნახევრის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობით, რომელიც ერის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ცხოვრების ახალ, უაღრესად საინტერესო საფეხურს წარმოადგენს. მძიმე სოციალურ-ნაციონალური ჩაგვრის მიუხედავად, ერის მოწინავე შვილებმა თავიანთი პატრიოტული თავდადებით და უანგარობით ყოველგვარი დაბრკოლება სძლიეს და წარუშლელი კვალი დააჩნიეს საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს, შეინარჩუნეს და წინ წასწიეს თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, სამშობლო აზიარეს ეპოქის მოწინავე იდეებს და მტკიცე ნიადაგი მოუმზადეს შემდგომ პროგრესს. ქართული რეალისტური ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, თეატრი, დრამატურგია, კრიტიკა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებითად ამ პერიოდის მონაპოვარია. მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი XIX საუკუნის 60-80-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენებისადმი სავსებით კანონზომიერია, რადგან ამ ხანამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ისტორიაში. ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მთელი რიგი ახალი ამოცანები წამოიჭრა ცხოვრების ყველა სარბიელზე. საზოგადოებრივ აზროვნებაში ფეხს იკიდებს და თანდათან მტკიცდება რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, აღმავლობის გზას ადგება სოციალური და ეროვნული მოძრაობა, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, აზრის ჭიდილი და, ამის მიხედვით, სულ უფრო მეტი გამოცოცხლება ეტყობა ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას. მძლავრი იდეური ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება. თითოეული კლასი, თითოეული სოციალური ფენა ცდილობს, გამოიმუშაოს შეცვლილი ვითარების შესაფერი სამოქმედო პროგრამა, გააანალიზოს არსებული მდგომარეობა, განსაზღვროს განვითარების ტენდენციები და გარკვეული პროგნოზი მისცეს მომავალს.

განახლებისა და გადახალისების ამ ისტორიულ პროცესს ჩვენში სათავეში ედგნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, რომელთაც ღირსეულად უმშვენებენ გვერდს გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი

მესხი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა. მათი ბრწყინვალე ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მსახურებდეს მშობელ ქვეყანასა და ხალხს ერის გამორჩეული შვილი, რომელთა მაგალითებზეც თაობები იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან.

თითეულ მათგანს გულწრფელად სტკიოდა სამშობლო ქვეყნის სატკივარი და მას პირად ტკივილად და მწუხარებად აღიქვამდა. ამიტომაც იყო, რომ მათს ყოველ სიტყვას, ყოველ მოწოდებას, ყოველ ნაბიჯს თან სდევდა ხოლმე უამრავ ადამიანთა თანადგომა, მოწიწება და პატივისცემა. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ყოველივე სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იგრძნობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ერისა და ქვეყნის სატკივარი სხვა ეპოქებში ნაკლებად მტკივნეული იყო და ქვეყნის ბედსა თუ უბედობას არ ინაღვლებდნენ ერის მოწინავე შვილები. არა, უბრალოდ ამ ეპოქამ სამშობლო ქვეყანას კიდევ ერთხელ მისცა შანსი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა, და ეს შანსი ბრწყინვალედ იქნა გამოყენებული, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართული ცნობიერება და აზროვნება კვლავაც უდიდესი დიპლომატიური ნიჭიერებით, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი უზადო სიყვარულით გამოირჩეოდა და ამ ყველაფერს სათავეში ედგნენ ცნობილი თერგდალეულები, რომელთა ნაღვაწ-ნაამაგარი კვლავაც ერის გადამრჩენ-მასაზრდოებელ წყაროდ გვევლინება დღესაც კი, XXI საუკუნეში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედისწერა ამ დროისათვის ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვა მამულიშვილთა საფიქრალ-საზრუნავი და ერთგვარი ბედისწერაც იყო, რომელთა შესახებ გამოხატავდნენ კიდეც ქართულ თუ უცხოურ პერიოდულ პრესაში, რითაც ყოველგვარი პათეტიკის გარეშე აგრძნობინებდნენ ყველას „მამულის, ენისა და სარწმუნოების“, „მამულის ენისა და ისტორიის“, „ღმერთის , სამშობლოსა და ადამიანის“ ერთადერთობას, მარადიულობას, შეუცვლელობას.

გთავაზობთ ქართულ პერიოდიკაში ოქროს მარგალიტებივით გაბნეულ დედასამშობლოს ავბედობით გამოწვეულ გულისტკივილსა და გულისფიქრთაგან მოკლე ამონარიდებს იმ ერისკაცთა და მამულიშვილთა ნააზრევიდან, რომელთა ღირსეულმა და ჭეშმარიტად ეროვნულმა მოღვაწეობამ ნამდვილად ითამაშა გადამწყვეტი როლი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების საქმეში.

ომამდე ხუთი წლით ადრე (იგულისხმება 1877-78წწ.) ნ. ნიკოლაძე თავის ჟურნალ „კრებულში“ წერდა: „ბათუმის ოლქი ასიოდე უბედურ სახლსა და ქოხს ჰქვია. ზოგი მათგანი დაწნილი და შეტკეცილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიპოვება“ (“კრებული”, 1873, №4,) ხოლო მის შეკითხვაზე ოსმალეთისადმი აჭარელ ბეგთა დამოკიდებულების შესახებ, ბათუმში მცხოვრებმა მო-

ხუცმა აჭარელმა ასე უპასუხა: „უწინ სულ სხვა იყო. უწინ ბეგი მართლა თავადი იყო, მთავრობდა, ჯარი ჰყავდა, იბრძოდა და ხალხიც უჯეროდა, მარა ერთმანეთს გადაეკიდა ბეგები, ჯერ ერთმა მოიხმო თათარი მეზობლის წინააღმდეგ, მერე მეორემ, იჩხუბეს ერთმანეთში, ხალხი ამოწყვიტეს, დალიეს ფული და იარაღი და ამასობაში თათარი ქე გამაგრდა და ბატონი გახდა. თვარა ისე ვერ შემოიჭრებოდა, აჰ, ვერ შემოიჭრებოდა, ვერა“ (“კრებული”, 1873, №4,).

„ბერლინის ხელშეკრულებამ (1878წ. 4 ივლისი), – წერდა იაკობ გოგებაშვილი, – ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხვრივ შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირს-სახსოვარია, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ („ივერია“, 1979, №76). „მესხეთის ისტორიაში, – წერდა ი. გოგებაშვილი, – ორი ხანა განირჩევა: პირველ ხანას შეადგენენ ის ხანგრძლივი საუკუნენი, რომელთა განმავლობაში იგი საქართველოს ეკუთვნოდა. მეორე ხანას შეადგენს დრო ოსმალეთის მფლობელობისა. ამ ორ ხანას შუა თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორც დღესა და ღამეს შუა, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შუა“ („ივერია“, 1979, №76).

გიორგი წერეთელი ასე ეხმიანებოდა ამავე პერიოდის საქართველოს მეტად რთულ ვითარებას: „წარსულ ომში ყველამ იცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ მთელი აჭარისა და ბათუმის მაზრის ხალხი საომრად გამოიწვია. ორი წლის განმავლობაში იმათ არ უხნავთ, არ უთესავთ და არც უვაჭრიათ! ყველას თოფი ჰქონდა ხელში. ცოლ-შვილი კი სახლში ეყარნენ უპატრონოდ. ამის გარდა, როგორც ვიცით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჯარს ჯამაგირს არ აძლევდა, აძლევდა მარტო ხორაგს, რომელსაც დარბევით იღებდა იმავე ხალხისგან. ამისთანა ძარცვა-გლეჯისგან, ამ უმუშევრობისგან ბათუმის მაზრის ხალხი და აჭარა-ლივანასი დაღარიბდა. დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი არიან“ (გაზ. „დროება“, 1879, №24). „მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიაც. იქ ვხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს, სიტყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთილი გულით, პურმარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათ მოღრუბლულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. ჩვენ ნათესაობისა და ტომობის სისხლს ვგრძნობდით, ერთმანეთის ნახვა თითქო იმ ღრმა გულის ჭრილობას აჩენდა, მეც ხომ მტანჯავდა და იმათაც კიდევ უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთ წუთს აუტანელი მწუხარების ცეცხლი ორთავეს გვაფიქრებდა“ (გაზ.„დროება“, 1879, №24). „ინგლისი აქეზებდა ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ. „ერთმა ქობულეთელმა ბეიმ დამარწმუნა, მე, ინგლისი დამპირ-

და, რომ ვინც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გახვალთ, თვეში ოთხ ლირას მოგცემთო“ (გაზ. „დროება“, 1878, №92).

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის წევრი სერგეი მესხი მოხსენებაში „ბათუმის სკოლის შესახებ“ აღნიშნავდა: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავდიოდი ბატონ ნათაძის გაკვეთილებზედ და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოვიტანე. შაგირდები დიდის ხალისით დადიან სკოლაში. გაკვეთილების დროს ყურადღებით უსმენენ თავიანთ ოსტატს და ცოცხლად, თამამად უგებენ ყოველ კითხვაზე პასუხს. ერთი სიტყვით ბ. ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიც ისე კეთილსინდისიერად წაიყვანა საქმე, როგორც დღემდი მიჰყავს“ (გაზ. „დროება“, 1882, №38). ს. მესხი თავის მორიგ წერილში აჭარლებისა და ლაზების მდგომარეობას განიხილავს და იქვე ნაწილობრივ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ ვეხმარებითო. იგი დასძენს: „დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან. ახალს ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც კი არ თქმულა იმათზე“ (გაზ. „დროება“, 1875, №76). „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლიერებით მიიღებს ყოველს მცირედ ცნობას, რომელიც იმ ჩვენ ძმებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“ (გაზ. „დროება“, 1875, №76). რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის წინ ს. მესხი ე. მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ სწერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს? აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნება ეს ჩვენი ქართველები, რომელიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში(ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში“ (გაზ. „დროება“, 1875, №76).

რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველოში დამკვიდრება უნდა მოხდეს სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისისა და თურქეთის აგენტებს ფრთები არ შეესხათ. „დროებაში“ ს. მესხმა ეს აზრი ასე ჩამოაყალიბა: 1. რუსეთის ჯარი უნდა შევიდეს კეთილშობილურ დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრავად კი არ მიდიან, არამედ როგორც მოძმე და მათი მეგობრები; 2. ჯარს უნდა მოუძღვებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც იცნობენ მათ ჩვეულებას და ისინი იმათს. ასეთები არიან: თ.გრ. გურიელი და უ.მ. მეფისოვი; 3. ჩვენმა მთავრობამ ადგილობრივ ენაზე უნდა გამოუშვას პროკლამაციები, რომ ჩვენ მათი მტერი არა ვართ, არამედ მეგობრები და კეთილისმსურველები ვართ და სხვა (გაზ. „დროება“, 1878, №26). 1873 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილ-

მა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დ.ბაქრაძემ. იგი იყო ქობულეთში, ციხისძირში, ჩაქვში, ბათუმში, ქედაში, დანდალოში, სხალთასა და ხულოში. მისი მიზანი იყო აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. ბაქრაძეს მოგზაურობაში ხელს უშლიდა თურქეთის ადმინისტრაცია. 1874 წელს აჭარაში იმოგზაურა აგრეთვე გ.ყაზბეგმა. ამ დროს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა დაძაბული იყო. „აზიის თურქეთში, – წერდა ყაზბეგი, – მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში, და თანაც რუსებისათვის. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება, ამიტომ მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას ჩაწეროს ან ჩაიხატოს რაიმე, წინ ათასგვარი დაბრკოლებები ელობება“ (“კრებული”, №7, 1874). რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში თბილისში იბეჭდებოდა, ჯერ კიდევ 1853 წლის ომზე წერდა: „ქართველი მილიციონერები ლაშქრობის დროს იქცეოდნენ ისე ღირსეულად და კეთილშობილურად, როგორც საუკეთესო რეგულარული შენაერთების ჯარისკაცები. ამ ბრძოლაში სახელი გაითქვეს ქართველმა მებრძოლებმა: ჯანდიერმა, მიხეილ ციციშვილმა, გიორგი მაჩაბელმა, ნიკო ჭავჭავაძემ, გიორგი ერისთავმა და სხვებმა“ (გაზ. „კავკაზი“, 1854, №55). 1877წ. 24 აპრილს ქობულეთის რაზმი გადავიდა ჩოლოქზე და იერიშით წავიდა ბათუმისაკენ. გენერალი ოკლობჟიო, რიონის რაზმის უფროსი, ასე მიმართავდა ჯარისკაცებს, რომ აჭარაში მოქმედების დროს რუს მეომრებს არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი: „დაე, გახსოვდეთ, რომ თქვენს წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობითა და ენით ეკუთვნის იმ ერთა ოჯახს, რომლების ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას საერთო საქმისთვის“ (გაზ. „დროება“, 1879, №24). ცნობილი პუბლიცისტი, „ცისკრის“ რედაქტორი, ივ. კერესელიძე, რომელმაც იმოგზაურა აჭარაში ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობის დროს 1870 წელს, გადმოგვცემს: „მე რუსის მთავრობისგან დახმარება მომეცა და 1870 წელს წავედი აჭარაში. იქ მე უნდა მივსულიყავი შერიფ ბეგის სახლში. ჩემი წასვლა იქ საშიში იყო, ამიტომ მე ავიღე რამდენიმე თარი და ჭიანური და როგორც ამეების დამკვრელი, ისე შევედ აჭარაში. სადაც კი მივდიოდი, ყველგან ვუკრავდი თარს და ჭიანურს, ამგვარად, მესტვირულის ოსტატობით მივაღწიე შერიფ ბეგის სახლს, მის სახლის წინ რომ მივედი სხალთას, ეზოში შევედი და თარი დავუკარ, მალე შერიფ ბეგი გამოვიდა კარში და დამიძახა, დაკვრა გამაჩერებინა და სახლში ამიხმო, მკითხა შენ ქართველი უნდა იყო, აქ საიდან მოსულხარო? მერე მე ყველაფერი ვუამბე. მან სთქვა: ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქარ-

თველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისევ გახდესო“. გაზეთი „დროება“ 1877-78 წლების ომის შემდგომ მოვლენებს ეხმაურება და აღნიშნავს: „ქალაქ ბათუმში ქართული სკოლის გახსნას დიდი კმაყოფილებით შეხვდა არა მარტო ქალაქის, არამედ აჭარის სოფლის მოსახლეობაც. გლეხები ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს – ჩვენი შვილებიც მიიღეთო. ჩაცმა-დახურვასა და სმა-ჭამას ჩვენ ვიკისრებთ, თქვენ მხოლოდ ბინის საკითხი მოგვიგვარეთო“ (გაზ. „დროება“, 1882, №238). იგივე „დროება“ აღნიშნავს, რომ ომის დამთავრებამ ხალხში დიდი სიხარული გამოიწვია:

„შედგა თოფების, ზარბაზნების ქუხილი, ელვა,
ქრისტიანების, ოსმალების
შედგა სისხლის ღვრა...
და ითქვა სიტყვა, სიტყვა ტკბილი: შევისვენოთ
და ესოდენი ცრემლი, სისხლი
ხალხს ვაკმაროთ“

(გაზ. „დროება“, 1878, №26).

1878 წლის 20 ნოემბერი, ქალაქი თბილისი, მუხრან–ბატონის სასახლე. აჭარის დეპუტაციის შესახვედრად დ. ყიფიანის თაოსნობით შეიკრიბა ინტელიგენცია: გრ. ორბელიანი, დ.ყიფიანი, აკ.წერეთელი, პ.უმიკაშვილი, ს.მესხი, გ.წერეთელი, ი.მამაცაშვილი, ზ.ანდრონიკაშვილი და სხვ. „აჭარაში შესვლის დღიდან (1878 წ. 8 აგვისტო), რაზმის მოძრაობის მთელ მანძილზე, ზემო და ქვემო აჭარის სოფლების წარმომადგენლები პურმარილით გვხვდება. საერთოდ მოსახლეობის განწყობა ძლიერ კეთილია. სიხარულით გამოაქვთ გასაყიდად თავისი, ღარიბზე უღარიბესი სოფლის პროდუქტები და მზად არიან ყველა ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილონ, ... მოსახლეობა რუსეთის არმიას ყველგან სიხარულით ხვდება. ხალხი თან მიჰყვებოდა ჯარის ნაწილებს, სიმღერითა და მოლხენით ისტუმრებდნენ მათ მახლობელ სოფლამდი, მეომრებს თავიანთი კერძებით უმასპინძლდებოდნენ. მახლობელი სოფლებიდან მოსულნი კი პირობას სდებდნენ ყველგან კეთილ შეხვედრაზე“ (გაზ. „დროება“, 1878, №186). „ჩვენი აზრი ეს არის, – წერდა „დროება“, – რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთის შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში, და არამგონია, რომ ამისთანა შედეგი ვინმესთვის სანატრელი და სასიამოვო იქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნისა და ჩვეულების მცოდნე, ჭკვიანი, პატიოსანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამ გვარს შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე როტა და ბატალიონი ჯარი“ (გაზ. „დროება“, 1878, №186).

სწორედ მსგავსი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დამუხტული იყო მშობლიური ქვეყნისადმი გულმხურვალე სიყვარულითა და პატივისცემით მკურნალ მალამოდ ევლინებოდა როგორც საქრისტიანო, ისე სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ, რაც იმის ნათელი დასტური იყო, რომ ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს ერისა და ქვეყნის გაერთიანებისა და გამთლიანებისათვის მებრძოლ ადამიანებს სანუკვარი ოცნების ასახდენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზ. „დროება“, 1875, №76.
გაზ. „დროება“, 1878, №26; №92; №186.
გაზ. „დროება“, 1879, №24.
გაზ. „დროება“, 1882, №38; №238.
გაზ. „ივერია“, 1979, №76.
ჟურ. “კრებული”, 1873, №4.
ჟურ. “კრებული”, 1874, №7.
Газ. «Кавказ», 1854, №55.

რამაზ სურმანიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის ბულვარის ჯოლონადების მშენებლობის ისტორიისათვის

ბათუმის ბულვარის ემბლემად ქცეული კოლონადების დამპროექტებელსა და მშენებელზე, აგრეთვე, მათი აშენების იდეის ავტორებზე ბოლო დრომდე აზრთა სხვადასხვაობაა. სხვადასხვა პიროვნებას მიაკუთვნეს კოლონადების მშენებლობის პრიორიტეტი, ხოლო მისი პროექტები იტალიიდან საოლქო კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა **არტაშეს გეურჭოვმა** ჩამოიტანაო (საქართველოს არქიტექტორთა.., 2012). ამ საკითხის ბუნდოვანება გამოიწვია იდეის ავტორების, დამპროექტებლების და მშენებლის რეპრესიებმა. ყველა მათგანი 1937-1938 წლებში დახვრიტეს.

ერთ-ერთი პიროვნება, ვისაც მიაწერეს კოლონადების მშენებელი ინჟინრის როლი, არის ბათუმელთათვის კარგად ნაცნობი და დამსახურებული ინჟინერი **ბოგდან კირაკოსიანი** (1912-1972). საკითხის ობიექტურად წარმოსახვისათვის, აუცილებელია გავეცნოთ ბ. კირაკოსიანის ბიოგრაფიას, რომელიც აღებულია მისივე ხელით შედგენილი ანკეტის და ავტობიოგრაფიის საფუძველზე. დაიბადა 1912 წლის 15 ივლისს ქალაქ ბათუმში, მუშის ოჯახში. მამა მურად კირაკოსიანი, დაბადებული 1862 წელს, იყო მტვირთავი, გარდაიცვალა 1929 წელს. დედა, დაბადებული 1884 წელს, დიასახლისი. მათ, ვაჟის გარდა, ჰყავდათ ორი ქალიშვილი. ოჯახი ცხოვრობდა ბათუმში, რუსთაველის ქ. №17-ში. ბოგდან კირაკოსიანმა 1931 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, მიენიჭა ტექნიკოსის კვალიფიკაცია და სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციაში შეუდგა დამოუკიდებელ შრომას. ბათუმის საქალაქო საბჭოში – სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ, ამავე თანამდებობებზე მუშაობდა სხვა სააღმშენებლო ორგანიზაციაში, ასრულებდა ერთ-ერთი კანტორის უფროსის მოვალეობასაც. 1939 წლიდან დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1946 წელს და მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია. აქედან იწყება მისი, როგორც მაღალკვალიფიციური ინჟინერ-არქიტექტორის წარმატებები.

1949 წელს ბ. კირაკოსიანი გაიწვიეს არმიაში, მუშაობდა სამხედრო ნაწილების ინჟინრად, КЭЧ-ის უფროსის მოადგილედ, მთავარ ინჟინრად და ა. შ. 1937 წელს იგი მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1939 წელს – წევრად. ბოგდან კირაკოსიანმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ქ. ბათუმის განაშენიანების საქმეში. ბათუმის მთა-

ვარ არქიტექტორ **კახა ჯავახიშვილთან** ერთად მან, როგორც ქალაქის არქიტექტორ-დამპროექტებელმა, მოამზადა ბათუმის საზაფხულო თეატრის ორიგინალური პროექტი. შენობა აიგო 1949 წელს, ხოლო პროექტმა მოსკოვში გამართულ საკავშირო კონკურსში მესამე პრემია დაიმსახურა. ბოგდანის პროექტით ჩატარდა აგრეთვე ბათუმის სახელმწიფო ცირკის შენობის რეკონსტრუქცია, აიგო რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქალაქ ბათუმში.

მესამე საკავშირო პრემიის გარდა, ბ. კირაკოსიანი დაჯილდოებული იყო ორი მედლით და საკავშირო სიგელით არქიტექტურასა და მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ბოგდან კირაკოსიანი გარდაიცვალა 1972 წ. ქ. ბათუმში, მის ოჯახს დაენიშნა პერსონალური პენსია (აცსა, **ფ. რ-226, ან. 1, ს. №1, ფურც. 81-91; აცსა, ფ. რ-10, ან. 1, ს. №396ა, ფურც. 107; იქვე, ს. №286ბ, ფურც. 80; აცსა, ფ. რ-281, ან. 4, ს. №24, ფურც. 1)**.

*** * ***

ბ. კირაკოსიანის მასწავლებელი ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში იყო ბათუმის მთავარი არქიტექტორი, ინჟინერი **პავლე დიმიტრის ძე ნადარეიშვილი**. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილად ვთვლით გავეცნოთ ამ პიროვნების ბიოგრაფიასაც.

პავლე დიმიტრის ძე ნადარეიშვილი დაიბადა 1897 წელს (ოფიციალური საბუთით 1894 წელს) სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში. დიმიტრი ნადარეიშვილს სამი ვაჟი ჰყავდა და სამივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა: სამსონი მხატვარი იყო, თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, პროფესორი. მეორე ვაჟმა კონსტანტინემ იურიდიული განათლება პეტერბურგში მიიღო, სოხუმში ცხოვრობდა, მუშაობდა პროკურორად. იგი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

პავლემ უმაღლესი საინჟინრო განათლება ***პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში*** მიიღო, დაამთავრა უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-არქიტექტორის კვალიფიკაცია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე პავლე ბათუმში ჩამოვიდა და ***აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში*** ჩაერთო. მან ბათუმში შექმნა ოჯახი. შეირთო ძირძველი ბათუმელის, ფარნაოზ ხაინდრავას ქალი მარიამი (ნადარეიშვილი, **პირადი წერილი)**.

1925 წლამდე პავლე ნადარეიშვილი ბათუმში სხვადასხვა უწყებაში ინჟინრად მუშაობდა. შემორჩენილია „შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მეორე სამხარეთმცოდნეო ყრილობის დადგენილებები და რეზოლუციები“, რომელსაც თან ერთვის დელეგატთა სიები. ბათუმელ დელეგატთა შორის არის ინჟინერ ნადარეიშვილის გვარიც **(Постановления и резолюции.., 1925: 110)**.

ყრილობის მსვლელობისას, 1925 წლის 28 სექტემბერს, სამრეწველო-სამშენებლო სექციის სპეციალური კომისია, რომელსაც სექციის თავმჯდომარე ი.ა. ყიფშიძე ხელმძღვანელობდა, გაემგზავრა მახუნცეთში და დაათვალიერა აწჰესის მშენებლობა, რომელსაც მეგზურობას ახალგაზრდა ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი უწევდა.

ბათუმში დაბრუნებულმა ჯგუფმა მოისმინა ინჟინრების ა. პ. მაშევსკისა და ნ. ნ. ავდულინის მოხსენება, „აჭარისტანის ჰიდრო-ელექტრული სადგურის შესახებ“, რომლის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა პ. ნადარეიშვილი **(Постановления и резолюции.., 1925: 80)**.

1925 წელს პავლე ნადარეიშვილი დანიშნეს ***ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ ინჟინრად***. ერთი წლის შემდეგ ბათუმში გაიხსნა ინდუსტრიული ტექნიკუმი, საქართველოს ერთ-ერთი პირველი ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც გახდა თბილისის ტექნიკური ინსტიტუტის ფაქტობრივი წინამორბედი. ***ტექნიკუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი პავლე ნადარეიშვილი იყო,*** რომელიც ამავდროულად აქვე ეწეოდა ***პედაგოგიურ საქმიანობას***.

პავლეს ოჯახში ახლაც ინახება ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების ფოტოსურათი, რომელზეც ასახულნი არიან ტექნიკუმის დირექტორი **პლატონ ბოჭორიშვილი,** მისი მოადგილე **დობორჯგინიძე,** აგრეთვე ხუთი პედაგოგი, რომელთა შორისაა ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი. საყურადღებოა, რომ პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის არიან ბათუმელთათვის კარგად ცნობილი ინჟინერ-მშენებლები: **კოკი აბაშიძე, ნიკო ჭყონია, ისმაილ კონცელიძე, ენვერ ქიქავა და სხვ (ბათუმის ინდუსტრიული...,1930)**.

პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად პავლე ნადარეიშვილი აქტიურად განაგრძობდა თავისი ძირითადი პროფესიით მუშაობას. მას მუდმივად უხდება მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელობაც ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დროს, როგორიც იყო ***სასტუმროები “ინტურისტი“,“პირველი მაისი“, საცხოვრებელი სახლები*** გორკის (ახლანდელი გორგილაძის), ლუკა ასათიანის, მელიქიშვილის ქუჩებზე და ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში.

ამ წერილის ავტორი საგანგებოდ გაეცნო აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფონდებს, კერძოდ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის (რომლის წევრიც პავლე იყო) 1925-1936 წლების ოქმებს. თითქმის ყველა ოქმში ნახსენებია მთავარი ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი. ოფიციალური დოკუმენტების ძუნწი ჩანაწერებითაც აშკარაა, რომ ***ევროპაში საინჟინრო განათლებამიღებულ ქალაქის მთავარ ინჟინერს,*** პავლე ნადარეიშვილს ანდობდნენ ყველაზე მნიშვნელოვან მშენებლობებს, რომელთაგან

ზოგს თავად აშენებდა, დანარჩენი ობიექტების მშენებლობა კი მისი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.

იგი აშენებდა როგორც საცხოვრებელ სახლებს და სასტუმროებს, ასევე სასწავლო დაწესებულებებს და სამრეწველო საწარმოებს. მისი პროექტებით ზემოთქმულის გარდა აშენდა ***ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, ხის დამამუშავებელი კომბინატი, ქალაქის ტროპიკული სადგური*** (I საავადმყოფო), ***4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი სტალინის (მემედ აბაშიძის) ქუჩაზე ხელმძღვანელი მუშაკებისთვის და სხვ.***

რაც შეეხება ბათუმის ბულვარის კოლონადების დაპროექტებას და მშენებლობას, იგი არ შეიძლებოდა შეესრულებინა ბოგდან კირაკოსიანს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მშენებლობის დასაწყისში – 1931 წელს ის 19-20 წლის ჭაბუკი იყო, არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, გარდა ამისა, ქალაქში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოცდილი ინჟინრები და არქიტექტორები, თვით ბოგდანის მასწავლებლები: პ. ბოჭორიშვილი, გ. დობორჯგინიძე, ვ. სციპიონი, დ. კლემენჩენკო, აგრეთვე პავლე ნადარეიშვილი, ამიტომ არავითარი აუცილებლობა არ იყო, ბულვარის ემბლემის, იტალიური სტილის კოლონადების დაპროექტება, ან მშენებლობა სრულიად ახალგაზრდა ტექნიკოსისათვის მიენდოთ.

როგორც ვთქვით, ქალაქის ყველა პროექტის ექსპერტიზას ატარებდა და ყველა მშენებლობას აკონტროლებდა, ხოლო საკუთარი პროექტებით მშენებლობას პირადად ხელმძღვანელობდა პავლე ნადარეიშვილი. ტროპიკული სადგურის, იგივე პირველი საავადმყოფოს მშენებლობის მიმდინარეობაზე პ. ნადარეიშვილი არაერთგზის აბარებს ანგარიშს ბათუმის საქალაქო საბჭოს **(აცსა, ფ. რ-10, ან. 1, ს. №19, ფურც. 12; იქვე, ს. №24, ფურც. 3, 10; იქვე, ს. №26, ფურც. 15; იქვე, ს. №28, ფურც. 22; იქვე, ს. №37, ფურც. 57; იქვე, ს. №39, ფურც. 64; იქვე, ს. №54, ფურც. 41, 42; იქვე, ს. №77, ფურც. 119; იქვე, ს. №80, ფურც. 219; აცსა, ფ. 9, ან. 1, ს. №167, ფურც. 77)**. როგორც ირკვევა, ეს ობიექტი უნდა დაეფინანსებინა „აზნეფტს“ და „სოიუზნეფტს“, მაგრამ თანხები გვიან ჩამორიცხეს, რის გამო მშენებლობა შეფერხდა, თუმცა მალე გაგრძელდა და როგორც ერთ–ერთი ოქმით დასტურდება, სამუშაო (მწარმოებელი ხასან ანანიძე) ნორმალურად წარიმართა.

ტროპიკული სადგურის, ბულვარის და მოზარდი ახალგაზრდობის პარკის კოლონადების პროექტები ერთ პიროვნებას ეკუთვნის, სამივეს ნახაზები მართლაც იტალიიდან ჩამოიტანეს, ამიტომ პროექტების შედგენა და მშენებლობის წარმართვა შეეძლო ***მხოლოდ ევროპაში განათლებულ არქიტექტორსა და მშენებელს. ეს პიროვნება კი მაშინდელ ბათუმში პავლე ნადარეიშვილი იყო.***

ამავე არქივის ერთ-ერთ საქმეში ინახება ბულვარის კოლონადებზე შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა, რომელსაც ხელს აწერენ **„პრორაბი“ კირაკოსიანი და ბუღალტერი ტულუში (აცსა, ფ. რ-226, ან. 1, ს. №1, ფურც. 81-91)**. აშკარაა, რომ პ. ნადარეიშვილმა მის მიერვე დაპროექტებული ამ მნიშვნელოვანი ობიექტის სამუშაოთა მწარმოებლად მოიწვია ყოფილი მოსწავლე, ტექნიკოსი ბ. კირაკოსიანი, რომელსაც, ალბათ, ამიტომ მიაწერეს ობიექტის დაპროექტებაც და მშენებლობის მართვაც.

ამ შეცდომას ერთგვარად ასწორებს პავლე ნადარეიშვილის ვაჟის, ცნობილი ექიმის **გურამ ნადარეიშვილის** წერილი, სადაც ნათქვამია: “ზღვისპირა პარკის კოლონადები პავლე ნადარეიშვილის დაპროექტებული და აშენებულია, თუმცა, სამწუხაროდ, კოლონადების ავტორად და აღმშენებლად მოიხსენიებენ ინდუსტრიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულს, მამაჩემის ერთ-ერთ მოსწავლეს, ბოგდან კირაკოსიანს.

... ავბედით 37 წელს სხვა მრავალ ნიჭიერ, ინტელიგენტ ადამიანთან ერთად, მამაჩემიც დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერი“. მისი ყველა კვალი გააქრეს, ხოლო გაკეთებული საქმე, მათ შორის კოლონადების მშენებლობა, სხვებს მიაწერეს. მე ეჭვქვეშ არ ვაყენებ ბ. კირაკოსიანის პიროვნებას და პროფესიონალიზმს, მე მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენას მოვითხოვ. 1931 წელს (როცა დაიწყო კოლონადების მშენებლობა), მისი ასაკი (19 წლის), კვალიფიკაცია (საშუალო ტექნ. განათლება) და გამოცდილება (ერთი წელი) შეუძლებელს ხდის მის ავტორად მოხსენიებას.

ბ. კირაკოსიანი ჩვენი სახლის მახლობლად ცხოვრობდა, მას ხშირად ვხვდებოდი. იგი სიყვარულით და სითბოთი იხსენიებდა „პაველ დიმიტროვიჩს“ (მამაჩემს), რომ იგი დიდი ინჟინერი და მასწავლებელი იყო და დიდი ამაგი ჰქონდა მასზე, მისი ხელდასმით გახდა „დესიატნიკი“ და თუ რამ იცოდა, მის დამსახურებად თვლიდა... კირაკოსიანი წესიერი ადამიანი იყო, ამიტომ ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავად შეწუხდებოდა ამ გაუგებრობის გამო, რაც კოლონადების ავტორობას ეხება“ **(ნადარეიშვილი, პირადი წერილი)**.

დიახ, ბატონი გურამი ჭეშმარიტების დადგენას თხოულობს. მართლაც ერთის შეხედვით უბრალო ობიექტი თითქოს არ იმსახურებს ამდენ ხმაურს, მაგრამ იგი გადაურჩა ურა-რევოლუციონერთა მსახვრალ ხელს, კვლავ თავის ადგილას დგას და ქალაქის ემბლემად იქცა. ამიტომ, თუ გვსურს ჩვენგან წასული ადამიანების ხსოვნას პატივი ვცეთ, არ დავუკარგოთ ამაგი, ან კიდევ სხვას არ მივაკუთვნოთ პლაგიატის სახელი, „უნდა აღდგეს ჭეშმარიტება და ბედის უკუღმართობით დამალულმა სიმართლემ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება იზეიმოს“-ო, – წერს ბატონი გურამ ნადარეიშვილი.

* * *

იტალიიდან პროექტების ჩამოტანასაც თავისი ისტორია აქვს, ისტორია რომანტიკული და ტრაგიკული, ამიტომ საჭიროდ ვთვლით ამ მოვლენებსაც გავეცნოთ.

1928 წელს სსრკ ჯანსახკომმა ეროვნებათა ლიგის (ახლანდელი გაერო) სან-ჰიგიენური სექციისაგან მიიღო საგზურები კურსებისა, რომლებიც ტარდებოდა ევროპის ქვეყნების მსხვილ ქალაქებში. 1930 წელს სამი საგზური საქართველოშიც გამოგზავნეს, რომლებიც დაურიგდათ თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, **ივანე კონიაშვილს,** საქართველოს ჯანსახკომის კოლეგიის წევრს, **ივანე ფრანგულიანს** და ბათუმის ტროპიკული სადგურის დირექტორს, **ივანე მჭედლიძეს**. „სამი ივანე“ იტალიაში გაემგზავრა, დაათვალიერეს კურორტები, გაეცნენ მათთვის საინტერესო სამედიცინო დაწესებულებებს და სპეციალისტებს **(Франгулян, 1966: 61-74)**.

სორენტოში ყოფნისას ისინი შეხვდნენ აქ ოჯახით დასასვენებლად მყოფ **მაქსიმ გორკის,** რომელმაც მათ ოთხი დღით უმასპინძლა; თავის მხრივ ხელიც შეუწყო სტუმრებს, გასცნობოდნენ საკურორტო ადგილებს. გადაიღეს მრავალი ფოტოსურათი; მოგზაურობის დროს ექიმებს რამდენიმე შენობა და ქალაქში განლაგებული ხელოვნების ნიმუშები მოეწონათ და გორკის დახმარებით შეძლეს მათი ნახაზების სამშობლოში ჩამოტანა (სურმანიძე, **1978: 10; Сурманидзе, 1978: 13)**. დაბრუნების შემდეგ ესკიზები გადასცეს არქიტექტორებს, კერძოდ, ბათუმის მთავარ ინჟინერს **პავლე ნადარეიშვილს,** რომელმაც ისინი შეუხამა ადგილობრივ პირობებს და შექმნა პროექტები. 1931 წელს დაიწყო ამ პროექტების განხორციელება. ასე გაჩნდა ქალაქ ბათუმში ტროპიკული ინსტიტუტის შენობა (1937 წ.), ბულვარის (1934 წ.) და პიონერთა პარკის შესასვლელის (1939 წ.) კოლონადები.

1937 წელს ივანე მჭედლიძე, ხოლო 1938 წელს ივანე კონიაშვილი და არტაშეს გეურქოვი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ივანე ფრანგულიანი გადარჩა. იგი საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილედ დააწინაურეს. რეპრესირებულთა ხელით გაკეთებული კეთილი საქმეები ბურუსში მოექცა. ამ თემაზე ან საერთოდ აღარავინ ლაპარაკობდა, ან სხვის დამსახურებას სხვას მიაწერდნენ. ასეთი ბედი ეწია იტალიიდან ქართველი ექიმების ი. კონიაშვილის და ი. მჭედლიძის მიერ ესკიზების ჩამოტანას და ბათუმში ამ ობიექტების დამპროექტებელის და მშენებლის, ასევე რეპრესირებული პავლე ნადარეიშვილის მიერ აგებულ უნიკალურ შენობებს.

დადგა დრო სამართლიანობის ზეიმისა. წინაპრებს არ უნდა დავუკარგოთ თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული ამაგი, მით

უმეტეს იმათ, ვინც რეპრესიებს, ძალმომრეობას და უსამართლობას შეეწირა. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა, ფ. რ-226, ან. 1, ს.№1– აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-226, ანაწერი 1, საქმე (საქმეები) №1.

აცსა, ფ. 9, ან. 1, ს. №167.

აცსა, ფ. რ-10, ან. 1, ს. №№19, 24, 26, 28, 37, 39, 54, 77, 80, 396ა, 286ბ.

აცსა, ფ. რ-281, ან. 4, ს. №24.

ბათუმის ინდუსტრიული..,1930: – ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის 1930 წლის I გამოშვების ფოტო, ორიგინალი ავტორთან ინახება.

ნადარეიშვილი, პირადი წერილი – პ. დ. ნადარეიშვილის ვაჟის, **გურამ ნადარეიშვილის** პირადი წერილი, ორიგინალი ავტორთან ინახება.

საქართველოს არქიტექტორთა.., 2012: – საქართველოს არქიტექტორთა საერთო ეროვნული კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის 2012 წლის 27 ივლისის წერილი №2/03.

სურმანიძე, 1978: –სურმანიძე რ., სორენტო 1930.., ჟურ. „დროშა“,1978, №2.

Постановления и резолюции.., 1925: – Постановления и резолюции второго краеведческого сьезда Черноморского побережья и Западного Кавказа, Батум.

Сурманидзе, 1978: – Сурманидзе Р., Четыре дня, ж. “Огонек”,1978, №13.

Франгулян, 1966:– Франгулян И., Воспоминания старого большевика, Тбилиси.

Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)

On the History of Construction of Batumi Boulevard Colonnades

Summary

In the article the author studies the history of the construction of Batumi boulevard colonnades. He says that for years the information about the real author of the project and the property developer of the building was not true. The authors relied on the verbal information and thought that the architect and the property developer of the colonnades was the technician Bogdan Kirakosian (1912-1972). According to the archival materials it has been found out that the plan of the building was brought in 1930 from Italy by the doctors Ivane Mchedlidze, Ivane Franguliani and Ivane Koniashvili. The building was designed and constructed by Pavle Nadareishvili (1847-1937) - the main engineer of Batumi in 1934. As to B. Kirakosian, he worked as the manager of the works on the construction.

შუშანა ფუტკარაძე, მერაბ ახვლედიანი
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმელი ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის[1] სახე ისტორიულ წყაროებსა და მუჰაჯირი ქართველების ზეპირსიტყვიერებაში

ქართული სისხლის ყივილი, ქართველთა მოდგმისა და ჯიშის დღესასწაული იგრძნობოდა ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის არსებაში. მან მიაღწია ოსმალეთის იმპერიის მაღალ თანამდებობას, გახდა ქაფუდინ-ფაშა – ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი. მასვე ემორჩილებოდა სავაჭრო ფლოტიც. მომცრე ტანის გამო მას ზედმეტსახელად „ქუჩუკი“ (პატარა) შეარქვეს.

იგი წარმოშობით ქართველი იყო, მუჰაჯირთა გადმოცემით, ბათომის ოლქიდან. ჰუსეინ ფაშის ქართული გვარი და სახელი უცნობია. „ვიცით მხოლოდ, რომ ის ქართველი იყო და დაიბადა 1750 წელს საქართველოში, ბათომის ოლქში. მაშინ ოსმალეთის მიერ დასავლეთ საქართველოზე გაწერილი ბეგარის ძალით, ის კონსტანტინეპოლში მონად იქნა გაგზავნილი“, – წერს ემიგრანტი პუბლიცისტი ა. მეუნარგია წერილში „ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა“ (მეუნარგია, 1935: 2-3).

მცირეწლოვანი ჰუსეინი თავისი გონიერებითა და სილამაზით გამორჩეული ყოფილა. პატარა მონა ძალიან მოსწონებია ოსმალეთის სულთნის საჭურველთმტვირთველ იბრაჰიმ ფაშას. ცოტა რომ მოზრდილა იგი, იბრაჰიმ ფაშას სულთნის სასახლეში მიუყვანია და სულთან მუსტაფა მესამისათვის (1757–1774) უჩუქებია. სულთან მუსტაფა მესამის უსაყვარლესი მეუღლე იყო, წარმოშობით ქართველი, **მიჰრიშაჰი**. მუსტაფას მხოლოდ ამ ცოლისაგან ჰყავდა ტახტის მემკვიდრე ვაჟიშვილი – სელიმი და ამიტომაც განსაკუთრებით სცემდა პატივს. მიჰრიშაჰსა და მუსტაფას უშვილებიათ ჰუსეინი. მიჰრიშაჰი თავის შვილთან, სელიმთან ერთად, ზრდიდა მას. „იგი სულთან სელიმ მესამის ძუძუმტე გახდა და მასთან ერთად გაიზარდა. სულთნის დედის გაზრდილს „ძიძიშვილსაც“ ეძახდნენო“, – წერს ისტორიკოსი მურათ ქასაბი (ქასაბი, 2012: 69).

ჰუსეინ ფაშამ სასახლეში მიიღო განათლება; თავისი ნიჭიერებითა და სიბეჯითით ჭაბუკობაშივე დაიმსახურა მაღალი საზოგადოების სიყვარული, ყურადღება. იგი სელიმ მესამის უერთგულესი მხლებელი გახდა. სელიმ მესამის მამა – მუსტაფა მესამე ადრე გარდაიცვალა. სულთნის ძმამ აბდულ ჰამიდ პირველმა (1774-1789) ტახტის მემ-

[1] ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი (1750-1803)

კვიდრე ძმისშვილი, სელიმ მესამე, შეიპყრო, ციხეში ჩააგდო და თვითონ გამეფდა. ძუძუმტე ჰუსეინმა ახალგაზრდა პრინცი – სელიმ მესამე არ მიატოვა. რამდენიმე ხანს თავის ძუძუმტესთან ერთად ტყვეობაში იმყოფებოდა, ნებაყოფილებით ციხეში იჯდა სელიმ მესამესთან ერთად (ქასაბი, 2012: 69).

აბდულ ჰამიდ პირველი 1789 წელს გარდაიცვალა; ტახტზე კანონიერი მემკვიდრე სულთან სელიმ მესამე (1789-1807) ავიდა. მას ძალიან უყვარდა ჰუსეინი. იგი 1792 წელს ბიძაშვილ ესმაზე დააქორწინა და ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლად დანიშნა. ნიჭითა და შორსმჭვრეტელობით გამორჩეულმა ჰუსეინ ფაშამ სახელი მოიხვეჭა ოსმალეთში. „მან წესიერი და უანგარო შრომით დიდი წვლილი შეიტანა სელიმ მესამის რეფორმების განხორციელებაში“ (ქასაბი, 2012: 69).

ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის შესახებ ცნობებს გვაწვდის რუსი მხედართმთავარი მიხეილ კუტუზოვიც (1745-1813). იგი იყო რუსეთის ელჩი სტამბოლში 1793-94 წლებში. მ. კუტუზოვის მიერ მეუღლისადმი მიწერილ წერილებში ბევრი საინტერესო ცნობაა მოცემული ოსმალეთის სულთნის სასახლის კარის მაშინდელი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. მ. კუტუზოვი სტამბოლში დაუახლოვდა ქუჩუკ ჰუსეინ ფაშას და სწორედ მისი დახმარებით მოახერხა სელიმ მესამის დედის – მიჰრიშაჰის გაცნობა, სასახლის პანსიონატში – ჰარემში (სერალში) შეღწევა. მის წერილებში ჩანს მიჰრიშაჰის – წარმოშობით ქართველი დიდებული ქალბატონის – პატრიოტული სულისკვეთება. ოსმალეთის სულთნის სელიმ მესამის დედა, კუტუზოვის წერილების მიხედვით, თურმე წუხდა ქართველი ხალხის ბედზე, ბედკრულ სამშობლოზე. როგორც ჩანს, მას ჰქონდა ცნობები აღა-მაჰმად-ხანის ვერაგული ზრახვების შესახებ და ამ საზარელ თავდასხმამდე ერთი წლით ადრე, 1794 წელს, მიხეილ კუტუზოვს სთხოვდა, რომ რუსეთი მიშველებოდა საქართველოს, დაეცვა ირანელების შემოსევისაგან. მ. კუტუზოვი ერთ-ერთ წერილში მოუთხრობს მეუღლეს ჰარემში ცხოვრების წესების შესახებ და მიჰრიშაჰს ასე ახასიათებს: „ყოფილი ქართველი მონა, სულთნის დედა, ჩემთან საუბარში არ ივიწყებდა სამშობლოს. ხელსაყრელ მომენტში მან ერთხელ მკითხა: „როდის იცხოვრებენ თბილისში ქართველები მშვიდად, საშინელი სიზმრების გარეშე? სად არის თქვენი ჯარი? რატომ არ ეხმარებიან ქართველებს?!“ (Дмитриева, 2010).

მ. კუტუზოვი წერილებში როცა ახსენებს მიჰრიშაჰს, იქვე აღნიშნავს, რომ „ამ ქალბატონში ჩქეფდა მდუღარე ქართული სისხლი. „მიჰრიშაჰი“ „მთვარის სახიანს“, მთვარესავით ლამაზს ნიშნავს. იგი ძალიან ჭკვიანი, განათლებული, ქველმოქმედია. საუკეთესო აღზრდა-განათლება მიუღია სულთნის სასახლეში და ფლობდა რამდენიმე ენას,

მათ შორის რუსულსაც“. მიხეილ კუტუზოვის დაკვირვებით, იგი გავლენას ახდენდა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკაზე.

ასეთი დედობილის აღზრდილი ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა ოსმალეთის დიდებულებს შორის დადებითი თვისებებით ყოფილა გამორჩეული. მაღალი მორალური ღირსებით დაჯილდოებულმა პიროვნებამ თავი განსაკუთრებით ისახელა ეგვიპტეში შეჭრილი ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ გამართულ საბრძოლო ეპიზოდებში. ჰუსეინ ფაშამ ფრანგები ეგვიპტიდან განდევნა, ეგვიპტე ოსმალეთს დაუბრუნა და მთავარ მმართველად კაიროში დანიშნა მისი ყოფილი მონა, ტომით ქართველი, შემდეგ ხოსრო ფაშად წოდებული პიროვნება (Ali Kemal Meram, 1997: 223-233).

ა. მეუნარგია წერს: „ეს გახლდათ პირველი მარცხი, რომელიც განიცადა საფრანგეთის მომავალმა იმპერატორმა, მართალია, ხონთქრის საზღვაო მინისტრისაგან, მაგრამ, ამავე დროს, თავისი სამშობლოს მიმართ, სხვათა მუდმივი უსამართლობით აჯანყებული ქართველისაგან“... მაშასადამე, ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა – ოსმალეთის საზღვაო მინისტრი – იყო ის ქართველი, რომელმაც ჯერ კიდევ რუსეთში გალაშქრებამდე, პირველად დაამარცხა ნაპოლეონ ბონაპარტე. მას მეორე დამარცხებაც ქართველთან არგუნა ბედმა. პეტრე ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსეთის არმიამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ნაპოლეონს, გასტეხა მისი სიძლიერე და საბედისწერო შეიქმნა დამპყრობელთათვის. ა. მეუნარგია ქუჩუქ ჰუსეინ ფაშის შესახებ იმოწმებს ფრანგი ლარუსის ენციკლოპედიიდან ამონარიდს: „ამ ახალგაზრდა ქართველის მიღწევები ჩვენთვის საზარალონი აღმოჩნდნენ, ჩვენ გვაიძულა ეგვიპტე დაგვეტოვებინა... ეს უდიდესი პიროვნებათაგანი იყო, რომელიც ოსმალეთს მოევლინა“.

წერილის ავტორი ა. მეუნარგია ქართველი კაცის ამ წარმატებას შემდეგნაირად ხსნის: „მას ხელს უწყობდა სულთნის მისდამი ურეზერვო ნდობა, კარგი განწყობილება; მაგრამ უმთავრესი როლი, რომელმაც მას სახელმწიფოში თითქმის აბსოლუტური ჰეგემონია მოუპოვა, გახლდათ მისი დიდი ნებისყოფა, ერთის მხრივ, და, აბა, რაღა დაგიმალოთ, მისი ჭკუა-გონების **რასიული უპირატესობა,** მეორეს მხრივ... ჩვენ უნდა ვაღიაროთ, როგორც ისტორიული ფაქტი, რომ ქართველებში უხვად არის დაგუბებული წინამძღოლობისა და მმართველობის ნიჭი, ენერგია და, რომ ეს ბუნებრივად თან მიჰყვება ქართველ კაცს ყველგან, სადაც კი მას ბედი გადაისვრის. ოღონდ ჩვენი შეგნებული ზრუნვა იმას უნდა მოხმარდეს, რომ ამ ნიჭსა და ენერგიას მუდამ მართებული, აღმშენებლობითი გაქანება მიეცეს და ისინი ყოველთვის თვით **საქართველოს ინტერესს** ემსახურონ“.

მართლაც, ფრანგების წინააღმდეგ ამხედრებული ჰუსეინ ფაშის თავგანწირული ბრძოლა შთაგონებული იყო სამშობლოს სიყვარუ-

ლით, რომელსაც ბავშვობიდანვე შთააგონებდა დიდებული დედობილი მიჰრიშაჰ დედოფალი, მთვარესავით ლამაზი ქართველი მანდილოსანი. სულთნის სასახლეში მოღვაწე განათლებულმა მანდილოსანმა, ჩანს, კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, ერკვეოდა მსოფლიო პოლიტიკაში. შვილად მიჩნეულ ჰუსეინს ბავშვობიდანვე აცნობიერებდა პოლიტიკურ საკითხებში. მან კარგად იცოდა საფრანგეთის ინტერესების სფერო, რომლის შესახებაც, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ა. მეუნარგია: „ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს მძლავრი სპარსეთის წინააღმდეგ მოკავშირეთა შესაძენად, საფრანგეთის კონსულმა სტამბოლში, ბატონმა მარკიზ დე-ბონაკმა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოს დანაწილების გეგმა შეიმუშავა და ამაზედ ორივე მხარე დაიყოლია. შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ამაოხრებელ აღა-მაჰმად-ხანს, ჯერ კიდევ საქართველოში გალაშქრებამდე, საფრანგეთიდან მრავალი ელჩი ესტუმრა, რომელნიც შაჰს ფეშქაშად საქართველოს სთავაზობდნენ; და ბოლოს, როდესაც ამ ბარბაროსის ლაშქრის მიერ დანთხეული მრავალ ათასეულ ქართველთა კეთილშობილი სისხლი ჯერ კიდევ მიწას სანახევროდ შეწოვილიც კი არ ჰქონდა, ნაპოლეონი, კონსტანტინეპოლში გაწესებული საფრანგეთის ელჩის მრჩევლის დე-რუფფენის საშუალებით, სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველოზე ამხედრებდა და ერეკლე მეფის საწინააღმდეგოდ მათ ლაშქარში ფრანგი ოფიცრებიც კი იგზავნებოდნენ. ეს ნაბიჯები გადადგმული იყო მძლავრი რუსეთის წინააღმდეგ.

სისხლიდან დაცლილი და განიავებული ჩვენი ერი თვითონ ამ აშკარა უკანონობას დუმილით იტანდა. სხვა გზა არცა ჰქონდა. მაგრამ დახეთ იღბალს! ყოველმხრივი უსამართლობის მიერ სამშობლოდან სხვის მიწა-წყალზე გადაყრილ ქართველებს წილად ხვდათ საფრანგეთის პირველი კონსულის მიმართ შურის ძიება და მისი გიგანტური გეგმების არარად ქცევაში პირველხარისხოვანი როლების შესრულება“. ესენი იყვნენ უცხო ცის ქვეშ გაზრდილი სახელგანთქმული ქართველები – **ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა** და **პეტრე ბაგრატიონი**. ცხადია, მათ კარგად იცოდნენ საფრანგეთის, რუსეთისა და ირანის ხელისუფალთა ავი ზრახვები დედასამშობლოს მიმართ. მათ საბრძოლო შემართებას მშობელი მიწის სიყვარულიც აძლიერებდა; მათი გამარჯვების საწინდარიც უმეტესად ეს გრძნობა იყო, გულის სიღრმიდან ფარულად მომდინარე“, – წერს ა. მეუნარგია.

ჰუსეინ ფაშა პირად ცხოვრებაშიც მისაბაძი ყოფილა. როგორც ბიოგრაფიული წყაროები მოგვითხრობს, პირადი ბედნიერებისათვის მას თითქმის არ უზრუნია. იგი ხალხის კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავდა. ისტორიული წყაროების თანახმად, მან თავისი ყმები ყველა გაათავისუფლა, მთელი თავისი ქონება ღარიბ ხალხს მოახმარა. ოსმალეთის საზღვაო ძლიერება მსოფლიოში დაწინაურებული სახელ-

მწიფოების სიმაღლეზე აიყვანა; თავისი ცხოვრების წესით, საქმისადმი ერთგულება, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, მაღალი მორალური თვისებები დანერგა თანამშრომელთა შორის. მისი მოთხოვნით მრავალი სამოქალაქო კანონი იქნა შემოღებული მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. მისი ბრძანებით მაშინ ოსმალეთში ქრისტიანების დევნა-წვალება, შევიწროება აიკრძალა (ქასაბი, 2012: 69; Dedeoğlu, 1976: 74).

„თოთხმეტი წლის განმავლობაში გაწეული მძიმე შრომისა და ღვაწლის ნაყოფით თვითონ ჰუსეინი არ დამტკბარა. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 53 წლისა, გარდაიცვალა 1803 წელს, რამაც მთელს საღად მოაზროვნე ოსმალეთში დიდი მწუხარება და გოდება გამოიწვია.

ოსმალეთის სამეფო კარზე 1808 წლიდან ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის ადგილი ისევ ქართველმა – ხოსრო ფაშამ დაიჭირა, რომელმაც მისი ბატონისა და გამზრდელის საქმე ღირსეულად განაგრძო. „საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ რაც დღეს ოსმალეთს კულტურული რამ გააჩნია, ყველაფრის დასაბამი ამ ხოსრო ფაშისგან მოდისო,“–წერდა ა. მეუნარგია.

წარმოშობით ბათუმელი ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის სახე აისახა მუჰაჯირი ქართველების ზეპირსიტყვიერებაშიც. ოსმალეთში გადახვეწილი ქართველები ამაყობდნენ სულთნის სასახლეში დაწინაურებული თანამემამულეების მიღწევებით. „მესხი სწავლითა ქებული“ ყველა ეპოქაში იყო გამორჩეული. ოსმალეთის ქართველების სოციალურად და ეკონომიურად ძლიერი ნაწილი ყოველთვის აღწევდა წარმატებას როგორც სამხედრო საქმეში, ისე მეცნიერებასა და ხელოვნებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწინაურებული, სამაგალითო ქართველების შესახებ დროთა განმავლობაში იქმნებოდა ლექს–სიმღერები, ლეგენდები და თაობიდან თაობაში გადადიოდა. მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებს დღესაც ახსოვთ ასეთი თანამემამულეების გმირული ცხოვრების ისტორიები, რომელთა დიდი ნაწილი ზღაპრების, ლეგენდების თემებადაა ქცეული.

ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის შესახებაც შეუქმნიათ ლექს-სიმღერები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინეგოლში ცნობილი პიროვნების ნური ეფენდი თავდგირიძის (ოზბეგის) მიერ შექმნილი ლექსი, რომელშიც კარგადაა დახატული გამოჩენილი მხედართმთავრის ქუჩუქ ფაშის სახე. ლექსში ვკითხულობთ:

„ვინ დაგარქვა ქუჩუკი[2] ჩვენო ჰუსეინ ფაშა,
შენი დიდი კაცობის ბურსას[3] ითქვა ვაშა.
მიჰრიშაჰის გაზრდილო, ჭკვას ურიგებ კაცებს,
ნაპოლეონს მისირიდან[4] ახლაც ხომ არ აძებ?![5]

[2] ქუჩუკი – პატარა ტანისა (kuçuk – პატარა);
[3] ბურსა – ქალაქი ანატოლიაში;

დიდო კაცო, ქუჩუკო, შენ დააკლდი ვათანს.[6]
ოსმალეთი შენს კაცობას დავიწყებას ატანს...
დედაშენის ცრემლები ახლაც წვიმად მოდის;
სამშობლოში ნეტაი დაბრუნდები?! როდის?!“

ქუჩუკ ჰუსეინ ფაშას ლექსი უძღვნა ინეგოლელმა ქაზიმ დავითაძემაც (უჩარმა). იგი წერდა:

„ოსმალეთი ასახელე, დიდო ჰუსეინ ფაშა;
შენს ვათანაში ვაჟკაცები ღმერთმა ათამაშა...
კაცი არ ხარ უბრალო, ფადიშაჰზე[7] ქვედაი,
დიდო ფაშავ, ქუჩუქი ვინ დაგარქვა ნეტაი.
დედაშენმა შენს ძებნაში ცრემლის ტბები დააყენა.
ჩვენს მემლექეთს[8] იმ დრუებში ბევრი ქონდა გულის ტკენა...
შენი სული დასტრიალებს მიჰრიშაჰის თურბეს[9]
და გაგონებს მონატრებულ დედაშენის უბეს.
შენ გელოდა დედაშენი, ვერ უძლებდა ლოდინს...
დიდი შვილის ხებერი[10] გურჯისტანში[11] მოდის?!
დაწოლილხარ საყედიმოდ[12] მიჰრიშაჰის ბაღში,[13]
დიდო ფაშავ, შენ გელიან მემლექეთის სახლში.“

ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის მსგავსი სახელოვანი ქართველები მუჰაჯირ ქართველებში აძლიერებდნენ ეროვნული სიამაყის გრძნობას. მათზე შექმნილი ლეგენდები და ლექს-სიმღერები დღესაც აცოცხლებენ ქართულ ფესვებს უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრებ მილიონობით ჩვენებურში. ამიტომაც დიდი ეროვნული დატვირთვა ახლავს ასეთი დიდი წინაპრების წარმოჩენას, მათი სახელების გახსენებას.

საფრანგეთში მოღვაწე ემიგრანტი პუბლიცისტი ა. მეუნარგია წერილის – „ქუჩუქ-ჰუსეინ ფაშა“ – დასასრულს იხსენებს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოღვაწე დიდ ქართველებს, რომლებსაც ფასდაუდებელი ამაგი აქვთ გაწეული უცხო ერების საკეთილდღეოდ, თუმცა იმ ქვეყნებში – ირანში, რუსეთში, ეგვიპტეში, ერაყში, ინდოეთში, ოსმალეთში – სათანადოდ არაა დაფასებული მათი ღვაწლი. ჩვენც მკითხველთან საუბარს ა. მეუნარგიას სიტყვებით დავასრულებთ: „ამგვარად, ქუჩუკ ჰუსეინ ფაშები ჩვენ ვერ გაგვაკვირვებენ. ეს მრავალი და

---

[4] მისირი – ეგვიპტე;
[5] აძებ – დევნი, აგდებ;
[6] ვათანი – სამშობლო (vatan – სამშობლო);
[7] ფადიშაჰი – სულთანი, მეფე, იმპერატორი ოსმალეთში;
[8] მემლექეთი – სამშობლო;
[9] თურბე – საფლავი;
[10] ხებერი – ამბავი;
[11] გურჯისტანი – საქართველო;
[12] საყედიმოდ – სამუდამოდ;
[13] მიჰრიშაჰის ბაღი – ამ ბაღში, დედობილის – მიჰრიშაჰის საფლავის გვერდითაა ქუჩუქ ჰუსეინ ფაშის საფლავი;

მშვენიერი მაგალითები, ჩვენ საბუთს გვაძლევენ ვთქვათ, რომ ქართველი, დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი, თავისი **რასიული გენის წყალობით,** ქართველ ერს მომავალშიაც შეუნარჩუნებს იმ სახელსა და ღირსებას, რომელიც მას ისტორიულად ახასიათებს“.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

მეუნარგია, 1935: – მეუნარგია ა., ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა, გაზ. „საქართველოს გუშაგი“, 1935, №15, პარიზი.

ქასაბი, 2012: – ქასაბი მ., ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი.

Ali Kemal Meram, 1997: – Meram Ali Kemal, Padişah Analari, Istanbul.

Dedeoğlu, 1976: – Dedeoğlu Abd lkadir, Osmanlilar Alb m , Istanbul.

Дмитриева, 2010: – Дмитриева Ольга, Кутузов в гареме, Интернет-журнал "Совершенно секретно", 2010, №11/258; http://www.sovsekretno.ru/articles/id/2627/

Шушана Путкарадзе, Мераб Ахведиани (Батуми, Грузия)

Образ батумца Кучук Хусейн-паши[14] в исторических источниках и устном народном творчестве грузин-мухаджиров

Резюме

Зов грузинского сердца и праздник грузинского гена чувствуются в личности Кучук Хусейн-паши. Он, отданный в рабство грузин, дослужился до высокой должности в Османской империи, стал капудан-пашой, то есть военачальником всех турецких военно-морских сил. Ему подчинялся и торговый флот.

Из-за низкого роста его прозвали «Кучук», что означает «маленький». По преданию он был выходцем из Батумской области. Известно также, что он родился в 1750 году. Грузинская фамилия и имя Хусейн-паши неизвестны.

«По установленному османами для Западной Грузии правилу выплаты повинностей он был отдан в рабство и отправлен в Константинополь»,- пишет эмигрант-публицист А.Меунаргия в очерке «Кучук Хусейн-паша», опубликованном в газете «Страж Грузии» (Париж, 1935 г., №15).

В то время Османской империей правил султан Мустафа III, супругой которого была грузинка по имени Михришах. Их единственным сыном был принц Селим. Ровесник Селима, маленький раб Хусейн, понравился царской

[14] командующий турецкими военно-морскими силами в 1792-1803 гг.

семье и был усыновлён ею. Во дворце он получил прекрасное воспитание и образование. После смерти султана Мустафы III и его брата султана Абдулхамида I на престол взошёл Селим III (1789-1807 гг.). Именно во время его правления Хусейн дослужился до высоких должностей. В 1792 году он женился на двоюродной сестре султана принцессе Эсме и был назначен командующим турецким военно-морским флотом. Способный и дальновидный Хусейн-паша прославился во всей Османской империи. Он внёс большой вклад в осуществление реформ, проведённых султаном Селимом III.

Некоторые сведения о Хусейн-паше предоставляет и русский полководец М. И. Кутузов (1745-1813), который был русским послом в Стамбуле в 1793-1794 годах. В письмах, адресованных Кутузовым своей супруге, имеется много интересных сведений о повседневной жизни царского двора турецкого султана. Именно во время своей посольской миссии в Стамбуле он сблизился с Кучук Хусейн-пашой.

Хусейн-паша особенно прославился в деле изгнания наполеоновской армии из Египта. Именно он вернул Египет Османской империи.

Личная жизнь Хусейн-паши также может быть примером для подражания. Он использовал своё имущество для помощи беднякам. Всегда был примером высоких моральных принципов для соратников. По его приказу было запрещено притеснение христиан в Османской империи.

Скончался Кучук Хусейн-паша в 1803 году в возрасте 53 лет. Его образ нашёл отражение в фольклоре грузин-мухаджиров, проживающих на территории Турции, особенно в стихотворениях двух народных сказителей – Нури-эфенди Тавдгиридзе и Казима Учари.

Оживлённая в легендах и песнях память о великом грузине Кучук Хусейн-паше усиливает чувство национальной гордости и укрепляет сохранившиеся до сих пор национальные корни у проживающих в Турции грузин.

ეთერ ქავთარაძე, ესმა მანია
(თბილისი, საქართველო)

XX საუკუნის ათიანი წლების ბათუმი დავით ყიფშიძის დღიურების მიხედვით

საველე დღიური თუ პირადი ჩანაწერი განსაკუთრებული სპეციფიკური ინფორმაციების მატარებელია. წინასწარი კონცეპტუალური მიდგომებისა და ტენდენციური დამოკიდებულებებისგან თავისუფალ ამ მონაცემებს შინაგანი კონცეფცია და თავისთავადი ღირებულება აქვს. ძალდაუტანებელი, უშუალო აღქმის შედეგად ნახევრად ინტიმურ ტექსტში – პირად ჩანაწერში გადასული ეს ინფორმაცია სანდოობის მაღალი ხარისხით ხასიათდება და შესაბამისად, ისტორიული წყაროს ფუნქციას იძენს.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოხსენიებული, ისტორიის მანძილზე ხან ქვეყნის თითქმის შუაგულში და ხან საზღვრისპირას მყოფი ბათუმი ყოველთვის ქართული პრობლემებით ცხოვრობდა. ეს პრობლემები ზედაპირზე დახვდა დავით ყიფშიძეს თავისი ხანმოკლე (1913 წლის მაისი-ოქტომბერი) ვიზიტის დროს ბათუმში და აისახა მის საველე დღიურებში. დღიურში სულ რამდენიმე დღის (6, 28 მაისი, 6, 28-31 აგვისტო, 1-3 5, 12, 13, 17 სექტემბერი და 9 ოქტომბერი) ჩანაწერია მოცემული.

დავით ყიფშიძე პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის საჩინო წარმომადგენელი იყო. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. სამეცნიერო საქმიანობას ნიკო მარის ხელმძღვანელობით სტუდენტობის წლებშივე შეუდგა. 1917 წელს თბილისში დაბრუნდა. აქ მისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართულ უნივერსიტეტს. 1917 წლის 26 ნოემბრის პროფესორთა საბჭოს პირველ წინასწარ სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოთვალა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებელ პირთა გვარები. მათ შორის იყო დავით ყიფშიძეც. ახლადგახსნილ უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე მას მიანდეს სომხური ენის კურსის წაყვანა. დავით ყიფშიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ არქივში ინახება ლექციების ჩანაწერები, რომლითაც პროფესორი კურსის მსვლელობისას სარგებლობდა.

პეტერბურგში მოღვაწე ქართველ სტუდენტობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ცოდნის მიღების პარალელურად აქტიურად უნდა ემოღვაწა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. დავით ყიფშიძე აქტიურად იყო ჩაბმული იმ ფართო

მასშტაბის მეცნიერულ სამუშაოში, ქართულმა სამეცნიერო წრემ რომ გააჩაღა. ის ამ წრეში კითხულობდა სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებს, წრის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით აწარმოებდა საველე დღიურებს, აგროვებდა სხვადასხვა ხასიათის მასალას ქართული სიძველეების შესახებ. საგულისხმოა, რომ ის თავისი ამ საქმიანობის შესახებ საუბრობს 1913 წლის 29 აგვისტოს ბათუმში შესრულებულ ჩანაწერში: „შინა ვარ. ზაფხულის ნაშრომი გადავათვალიერე. კმაყოფილი ვარ. მე რომ მეგონა, არც ისე ტყუილად გამიტარებია ზაფხული და საზოგადოთ ეს წელიწადი, გვარიანი მასალები მაქვს შეკრებილი ისტორიული და ფილოლოგიური. მაგრამ თავისთავად ეს მასალები სულაც უმნიშვნელო რომ იყოს, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მის შეკრებაში თანდათან შევიმუშავე, ასე ვთქვათ, „ტეხნიკა" ამგვარი მუშაობისა. საზოგადოთ მეცნიერული მუშაობის ტეხნიკა შესამჩნევად გავიუმჯობესე, რაც აწი სერიოზულ მუშაობაშიაც სამსახურს გამიწევს. სხვათაშორის, ტექსტების ჩაწერას მივეჩვიე, აგრეთვე წარწერების კითხვაში გამოვიცადე ცოტათ თუ ბევრათ. ყოველივე ამას ცხადყოფს ზაფხულში შეგროვილი მასალების გადათვალიერება" (ქავთარაძე, 1992: 140).

1913 წლის ბათუმში მიმდინარე ფართოდ გაშლილი სამოქალაქო აქტივობების, გაცხარებული სამოქალაქო ინიციატივების ფონს დამკვირვებლის პოზიციაში ჩამდგარი დავით ყიფშიძე „კულტურულ ომსაც" კი უწოდებს.

„ქართველობა იღვიძებს, – წერს ის, – ირაზმება კულტურული ომისათვის, დრამატული საზოგადოების პროექტში: სახალხო სეირნობა, ქართული ეკლესიის აშენება, შათილოვის პროცესი და ბათუმის საზოგადოების გულისწყრომა მისი დასჯისათვის" (ქავთარაძე, 1992: 118) (6 მაისი, ბათუმი).

დაკვირვებული მკვლევრის თვალს არ გამოპარვია სასამართლო სისტემასთან, როგორც სამოქალქო საზოგადოების „საჯილდაო ქვასთან", დაკავშირებული საკითხების აღქმა.

„სხდომა ბათუმის სასამართლოში სასამართლო პალატისა. აჭარელი მოწმეები უარს ამბობენ თათრულათ ჩვენების მიცემაზედ, კარგად არ ვიციოთო. მერმე ჩვენებას ქართულად ართმევენ, გვარიანათ ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ გურულ კილოზედ" (ქავთარაძე, 1992:1 18). ამ ეპიზოდს ბათუმის სასამართლოს შესახებ ეხმიანება დავითის უფროსი ძმის იოსების 1917 წლის 22-23 აგვისტოს ლაზეთში შესრულებული ჩანაწერი. იოსებთან საუბარში ორთასოფლელი ლაზი აბდულა ამბობს: „30 წელიწადი ჩვენ ბავშვსავით მოვლა დაგვჭირდება, რადგან ენა არ ვიცით და სასამართლოებში თუ კარგი ვექილები არ გვეყოლა, ვერაფერს გავაწყობთო" (28 მაისი, ბათუმი) (ყიფშიძე, 2013: 65). ეს ორი ეპიზოდი კარგად მიუთითებსს, თუ რა სათუთ დამოკიდებულე-

ბებს მოითხოვდნენ უკუღმართი ისტორიული მოვლენებისგან გაორებული და შეწუხებული თანამოძმეები.

დავით ყიფშიძეს საგულდაგულოდ დაუთვალიერებია ბათუმის ღირსშესანიშნაობანი და ქალაქის შემოგარენი. იგი არა მხოლოდ ცოცხლად აღწერს მიღებულ შთაბეჭდილებებს, ისტორიულ ექსკურსსაც აკეთებს და თავის მოსაზრებას აყალიბებს ძეგლებსა თუ მოვლენებზე.

„დავათვალიერე „თამარის ციხის" ნანგრევები ბაქან მახინჯაურის მახლობლათ. მშვენიერი ნაშენები. რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. წინ ჭა აქვს. ხელოვნური გორაკი უნდა იყოს, რომელზედაც იგი ყოფილა აგებული. გარშემო სულ ვაკეა. ეზო და თვით ნანგრევი მაღლობზე მწვანეში სცურავს, აუარებელი ლელვის და ხურმის ხეა. საერთოდ ადგილი რაღაც წმიდა ტყის შთაბეჭდილებას ახდენს. ციხის ნანგრევიდან საუცხოვო ზღვის და კავკასიონის თოვლიანი მწვერვალების პანორამა იშლება" (ქავთარაძე, 1992:140) (30 აგვისტო).

იგი მართლაც შთამბეჭდავად აღწერს ამ ისტორიულ ძეგლს და, რაც მთავარია, გამოთქვამს ვარაუდს, რომ ის ხელოვნურ გორაკზეა აგებული. ეს შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევებმაც დაადასტურა.

31 აგვისტოს ჩანაწერი გვამცნობს, რომ ბათუმში ფოთის გუნდის შესრულებით კონცერტი გამართულა: „საღამოს ვიყავი მეგრელიძის კონცერტზე, ფოთის ინტელიგენტთა შორის გამოჩენილან მუსიკის მოყვარულნი და შეუდგენიათ გუნდი ქართული ხალხური სიმღერების შემაგროვებელ-აღმასრულებელი. საერთოდ კონცერტმა კაი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მომეწონა „ალიფაშა", „პარასკევის სიზმარი", „საცეკვაო ჰარალე", „ფერხულის ხმა ცეკვით" და „მაყრული", არ მომეწონა „ნადური" (ყანური პროგრამით) და ზოგიერთი სხვა სიმღერები, რომლებშიც საეკლესიო ჰანგი სჭარბობს საეროს. ევროპული სიმღერებიც კარგად შეასრულეს: „აღსდექ", „მაღლიდან მოჩუხჩუხებს". არ ვარგოდა „ლაჟვარდ ცაზე". მეორე ნახევარს ნამეტანი აჩქარებული, პირველი ნახევრის ტემპთან შეუფერებელი ტემპით ამბობდნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ ამ სიჩქარით, ამით, რასაკვირველია, სიმღერასაც გამომეტყველება ეკარგებოდა. საერთოდ კმაყოფილი ვარ. ერთი თვეა რაღაც, გუნდი რომ შედგა და ასეთი წარმატება, ვაშა" (ქავთარაძე, 1992: 141).

დავით ყიფშიძის ეს პროფესიული შეფასება შემთხვევითი არ არის. მან ცალკე სტატია მიუძღვნა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის თბილისში სახაზინო თეატრში გამართულ საღამო-კონცერტს. დავით ყიფშიძე ძველი ქართული საეკლესიო და ხალხური სიმღერების არა მარტო შემფასებელი, საუკეთესო შემსრულებელიც იყო. საარქივო მონაცემების თანახმად (ლიტ. მუზ., №327-6), იგი კონცერტებშიც იღებდა მონაწილეობას.

1 სექტემბრით დათარიღებული ჩანაწერში ვკითხულობთ: „ბათუმის ქართველ კათოლიკეთა კოსტელში ვიყავი, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც არქიტექტურით, ისე მხატვრობითა და შინაგანი მორთულობით და განსაკუთრებით კი არღანით ან არღნის აკომპანიმენტიანი სიმღერით“ (ქავთარაძე, 1992: 142).

დავით ყიფშიძე „ბათუმის გაზეთში” გამოქვეყნებულ ერთ სტატიაზეც გამოთქვამს აზრს. ქართული პოლიტიკური ხასიათის პერიოდული ორგანო „ბათუმის გაზეთი” 1911 წ. ივლისიდან ყოველდღიურად, 1913 წლის ივნისიდან კი კვირაში ორჯერ გამოდიოდა. 1914 წლის ივლისში გაზეთი დაიხურა. დ. ყიფშიძე განიხილავს გაზეთის მეთაურ სტატიას, რომელიც მიეძღვნა „სიტყვას” წერილს “მოღალატე მამულიშვილების“ შესახებ. „სიტყვას“ ფსევდონიმით პოლიტიკური მოღვაწე სამსონ ფირცხალავა წერდა. სამსონ ფირცხალავა სოციალ-ფედერალისტური პარტიის დამფუძნებელი იყო. დავით ყიფშიძის პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ამ პარტიას უკავშირდება და ისიც მეთაური სტატიის ავტორის მსგავსად, შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ “ბათუმის გაზეთმა გადაუხვია მიუდგომლობისა და უპარტიობის გზას და ეს-დეკურ (სოციალ-დემოკრატიულ) გზას დაადგა“ (ქავთარაძე, 1992: 145).

დავით ყიფშიძე მეტად აუღელვებია ბათუმში სპარსელ ქართველთან ნარიმან-ხან ქავთარაძესთან შეხვედრას.

„საღამოს ნარიმან-ხან-ქავთარაძე გავიცანი, სპარსელი ქართველი. მამამისი ქართულს კარგად ლაპარაკობს თურმე. ის კი, რადგან დედა სპარსი ჰყავს, ქართულად ვერ ლაპარაკობს. საყურადღებო ცნობები გადმოგვცა სპარსეთის ქართველებზედ. ქართველები სპარსეთში ისპაჰანის ოლქში ცხოვრობენ. წმინდა ქართული მოსახლეობა არის ფერში, 18 სოფელი სულ წმინდა ქართველი ხალხით არის დასახლებული. სულ ქართველები 50 სოფელს შეადგენენო. გარდა ზემოხსენებული 18 სოფლისა, სოფლებში ნარევია მოსახლეობა. ბევრგან თითქმის სპარსული ელემენტი იმდენად სჭარბობს, რომ ქართველები სულ ერთიან გათქვეფილან მათში და თავისებურობა ვერ დაუცავთ, ენა შეუბღალავთ. წმინდა ქართული მოსახლეობა სადაც არის, ე.ი. ფერში, ქართული ენა, ზნე-ჩვეულება (სააღდგომო წითელი კვერცხები, პასკა და სხვა. ზამთარში, სადაც დღესასწაული იციან, ცეცხლს ანთებენ და გარს უვლიან და ცეკვავენო), სარწმუნოებაც კი ძველებური დაცულია. მუსლიმანები მხოლოდ ოფიციალურად არიან, გულით კი ყველანი ქრისტიანები არიანო. ქართული სკოლები არ არის ქართული წერა-კითხა არ იციან“ (ქავთარაძე, 1992: 142).

დ. ყიფშიძეს გადაუწყვეტია, ნარიმან-ხან ქავთარაძეს, რომელმაც ქართული „საყველპუროთ იცის”, და ქართული წერა-კითხვის შესწავლის დიდი სურვილი აქვს, ასწავლოს წერა-კითხვა. ნარიმან-ხანის ნა-

ამბობით შეწუხებული დ. ყიფშიძე იმ ღონისძიებებზე ფიქრობს, რომელთა განხორციელებას ქვეყნის სასიკეთოდ მიიჩნევს. „საჭიროა დაუყონებლივ ამ ქართველობის ადგილობრივ გაცნობა და ქართული შკოლების გახსნა, რომ ამნაირად გაიდვას ხიდი ჩვენსა და უკუღმართ ბედით ჩვენგან ჩამოწყვეტილ ჩვენ მოძმეთა შორის. 200000-მდე ქართველია იქ და ასეთი რიცხვის შემატება პატარა ქართველი ერისათვის დიდ გაძლიერებას და გაღონიერებას ნიშნავს. საჭიროა საჩქაროთ ამ საქმის დაგვირგვინება, რათა იქაური თანაძმანი არ ჩამოგვრჩენ განვითარებაში, ქართული ნაციონალური გრძნობა კიდევ ცოცხალიაო, ამბობს ნარიმან-ხანი" (ქავთარაძე, 1992: 142).

დ. ყიფშიძის ცნობით, ნარიმან-ხანი გაუძარცვავთ და დასაბრუნებელ ფულს ბათუმელი ქართველობა უგროვებს.

დ. ყიფშიძის არქივში (ხეც, დ. ყიფშიძის არქ. №63) ინახება ვალერიან შალიკაშვილის პიესის „გადაჭრილი მუხას" პროგრამა. პიესა ბათუმის ქართულ დრამატულ საზოგადოებას წარმოუდგენია ბათუმში, შმაევსკის თეატრში. პროგრამა დათარიღებულია 1913 წლის 6 სექტემბრით. ამ დროს დ. ყიფშიძე ბათუმში იყო და, სავარაუდოდ, ამ სპექტაკლს ესწრებოდა, ამის დასტურია სპექტაკლის მისივე არქივში შენახული პროგრამა.

დავით ყიფშიძე 1913 წელს ბათუმის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, მას მხედველობიდან არც ყოველდღიური პრობლემები რჩება და არც, ზოგადად საზღვრისპირა რეგიონებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური მულტიკულტურალიზმით გამოწვეული საკითხები. 1913 წლის ბათუმური ცხოვრების მისეული კონტურები კი ასეთ აქტუალურ თემატურ ქრონიკებს გვთავაზობს:

პოლიტიკური ვითარების თავალსაზრისით, ყველაზე მკაფიო პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური ბრძოლის ორომტრიალია, რის ტრიბუნადაც აქტიურად გამოიყენება პერიოდული პრესის ორგანოები. ბუნებრივია, ასეთ საჯარო პოლემიკას, საჯაროობა-სახალხოობის მაღალ ხარისხს, უნდა მოჰყოლოდა სასამართლო სისტემის განვითარება, რისი მუშაობის პასიური თვალყურის მადევნებელი ბათუმის მოსახლეობა, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა. სასამართლო სისტემის არანომინალურ, არაფორმალურ ხასიათზე მიუთითებს მისი ფუნქციონირების სფეროში მშობლიური ენის გამოყენების აუცილებლობის საკითხები. როგორც დღიურის ფრაგმენტიდან ჩანს, მოსახლეობას ორგანიზებული პროტესტის გამოხატვის სურვილი და შესაძლებლობა აქვს. ქალაქი აქტიური კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს, რასაც ადასტურებს, თეატრალური წარმოდგენებისა და ადგილობრივი თუ მეზობელი ქალაქებიდან მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივების აქტივობები; სახალხო სეირნობები, როგორც ერთიანი ნების გამოხატუ-

ლება; ეკლესიათა მშენებლობის კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული პროცესები და სხვა.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, 1919 წლის 16 თებერვალს დავით ყიფშიძე ბათუმში უკვე შეცვლილი რეალობის შესახებ სიძეს პლატონ გოგოძეს სწერს: „ბათუმში სამსახურში შესვლას არ გირჩევ დღევანდელ პირობებში, როცა გამორკვეული არ არის საქართველოს რესპუბლიკას დარჩება იგი თუ არა, სადაც მოსალოდნელია სხვადასხვა სამხედრო ხასითის ექსცესები“ (ქავთარაძე, 1992: 167). როგორც ჩანს, გაურკვევლობის, პოლიტიკური დაძაბულობის ეს განცდა ნიშნეული იყო ამ პერიოდის ბათუმისათვის.

დავით ყიფშიძის ბათუმის დღიურები მნიშვნელოვანია აგრეთვე როგორც რეგიონის სამოქალაქო ყოფისა და სააზროვნო სისტემის ინდიკატორი. სტრიქონებს შორის გაბნეული, ერთი შეხედვით, ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტები და მოცემულობები რეგიონის სამოქალაქო და პოლიტიკური ყოფის, კულტურული ცხოვრების, ფასეულობათა სისტემის შესახებ ერთიან ბადეს ქმნის და განზოგადების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ლიტ. მუზ., №327-6 – ლიტერატურის მუზეუმი, №327-6.

ქავთარაძე, 1992: – ქავთარაძე ე., დავით ყიფშიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი.

ყიფშიძე, 2013: – ყიფშიძე ი., ეგაძე-ყიფშიძე ე., ყიფშიძე დ., ჩანაწერები, თბილისი.

ხელნ, დ. ყიფშიძის არქ. №63 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დავით ყიფშიძის არქივი №63;

Eter Kavtaradze, Esma Mania (Tbilisi, Georgia)

Batumi in the 1910s Century according to David Kipshidze's Diaries

Summary

During its long history from ancient times Batumi was situated in the middle of the country's heart or at the periphery but always lived with problems of Georgia. David Kipshidze, a Georgian linguist and St.Petersburg university graduate, was faced with these problems in his short time in Batumi (1913 May-October) and everything was depicted in his field diaries. Several notes of some days are given in his diary (6, 28 May, 6, 28-31 August, 1-3, 5, 12, 13-17 September and 9 October). The author in his private notes simply depicts a civil society with its political (situations at court, ethnic-cultural configuration) and cultural situation (Georgian church building, situation in Catholic churches, Shatilov's process, architectural relations with landscape, peoples' walking, theatrical and concert life) according to the inhabitant's point of view. Batumi population's thinking system is magnificently described with all its priorities and values.

თინა შიოშვილი
(ბათუმი, საქართველო)

იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ბათუმისათვის“ (1919 წ.)

მშობელი ქვეყნის მთლიანობისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი პათოსია ოდითგან. ეს მძაფრი მამულიშვილური გრძნობა ჩვენს ეროვნულ მწერლობას თავისი არსებობისა და განვითარების ყველა ეტაპზე ახალ-ახალი ძალით ავსებდა და აპურებდა, რაც, თავის მხრივ, უხვად კვებავდა ხალხის პატრიოტულ ენერგიას, სამშობლო ქვეყნისადმი მსახურების, ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენის ნიჭსა და უნარს და გმირობის უპრეცენდენტო მაგალითებით ავსებდა ჩვენი სამშობლოს ისტორიას.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნის დამდეგი სამხრეთ საქართველოსათვის და უმშვენიერესი ბათუმისათვის ავბედითი რეალიებით აღინიშნა, რაც, ბუნებრივია, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ძალისხმევას საქართველოს ამ ძირძველი კუთხისაკენ მიმართავდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნების საერთოქართული სიხარული დიდხანს როდი გაგრძელდა; 1916 წლის 1 ნოემბერს ოსმალეთმა გაუქმებულად გამოაცხადა პარიზის 1856 წლისა და ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულებები და 1918 წლის 14 აპრილს (ძვ.სტილით 1 აპრილს) ოსმალეთის ჯარმა კვლავ დაიკავა ბათუმი (სარალიძე, 2009: 126), რასაც მყისიერად მოჰყვა ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა (დ. კლდიაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია) ჩადგომა სახალხო ლაშქარში (შიოშვილი, 2013: 302).

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო ოსმალთა ჯარის წინსვლის შესაჩერებლად და დროის მოგების მიზნით, ოტომანთა იმპერიის მთავრობასთან დადო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ოსმალეთს უნდა დაეცალა სამუსლიმანო საქართველო (გვაზავა, 1998:5), თუმცა, ბათუმის ოსმალური ოკუპაცია 1918 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

1918 წლის 30 ოქტომბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა ინგლისთან დადო მუდროსის დროებითი საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ოსმალეთის კონტროლქვეშ მყოფი ამიერკავკასიის ტერიტორიები ანტანტის დაქვემდებარებაში გადავიდა; ოსმალებმა დატოვეს ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, ყარსი

და არტაანი; 1918 წლის 1 დეკემბერს ინგლისელები ბათუმის ნავსადგურში შევიდნენ, 3 დეკემბერს კი ბათუმის პორტში გამოჩნდა ინგლისური კრეისერი „ლივერპული“ (სარალიძე, 2009: 130; მისივე, 2012: 94), რაც შავი ზღვის მარგალიტად წოდებულ ბათუმში ახლა უკვე დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის დასაწყისი იყო.

1919 წლის 27 დეკემბრიდან 1919 წლის აპრილამდე ბათუმში მოქმედებდა „მმართველთა საბჭო“, რომელსაც თავმჯდომარეობდა რუსი კადეტი პ. მასლოვი, ხოლო ფაქტობრივი გამგებელი იყო ინგლისის სამხედრო გუბერნატორი, ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი (სიორიძე, 2008: 460).

„მმართველთა საბჭო“ მხოლოდ კუკ-კოლისის განკარგულებებს ასრულებდა. მისი ბრძანებით, ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული უბნების მმართველებად დაინიშნენ თეორგვარდიელი ოფიცრები, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პროტესტი გამოიწვია. 3 იანვარს ბათუმში შეიკრიბნენ სამაჰმადიანო საქართველოს სხვადასხვა კუთხის (შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ართვინი, ზემო აჭარა) წარმომადგენლები და კუკ-კოლისს წარუდგინეს ერთობლივი საპროტესტო მემორანდუმი; 4 იანვარს შედგა ხალხმრავალი მიტინგი. უკმაყოფილება მუდმივად იზრდებოდა... კუკ-კოლისის ბრძანებით, დაიხურა პროფკავშირების ბათუმის საბჭოს ყოველდღიური გაზეთი „ბატუმსკიე ვესტი“, რასაც მოჰყვა 1919 წლის 8 აპრილის ბათუმის მუშათა გაფიცვა; ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაარბია მიტინგი და ორგანიზატორები დააპატიმრა.

როგორც პროფ. მ. სიორიძე მიუთითებს, თვრამეტთვიანი ოკუპაციის პერიოდში ინგლისელები ცდილობდნენ, ბათუმის ოლქი ექციათ არა მარტო სამხრეთ რუსეთის ანტისაბჭოთა მოძრაობის დასაყრდენად, არამედ – ამიერკავკასიაში თავიანთი გავლენის შენარჩუნების პლაცდარმად (სიორიძე, 2008: 470). ინგლისის ამგვარი სამხედრო-საგარეო პოლიტიკური კურსის უშუალო გამტარებელი კი ბათუმის გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი იყო და, ბუნებრივია, ამ აგრესიულობით ცნობილი პიროვნების მიმართ საქართველოს მთავრობას და ქართულ საზოგადოებრიობას მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა.

ინგლისის საოკუპაციო რეჟიმი ფაქტობრივად მხოლოდ ბათუმზე ვრცელდებოდა. ინგლისელი ჟურნალისტის – ბეჩჰოფერის ცნობით, ბრიტანელი ოფიცრები, რომლებიც საერთოდ წესიერი ადამიანები იყვნენ, ბათუმში, სხვადასხვა მიზეზების გამო, ხალხის თვალში ქურდებად და არამზადებად გამოჩნდნენ; ამასთან ერთად, ასევე არაპოპულარული იყო სამოქალაქო გუბერნატორიც, „როგორც ამბობდნენ, მისი ებრაელობის გამო“ (გელაშვილი, 2012: 85); უმთავრეს დამნაშავედ და ანტიქართველად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხალხსაც და ქარ-

თულ მთავრობასაც გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი მიაჩნდა, რასაც ადასტურებს საქართველოში ინგლისის უმაღლესი კომისრის – ოლივერ უორდროპისადმი მიწერილი ე. გეგეჭკორის წერილიც, რომელშიც ნათქვამია: „გენერალ კუკ-კოლისის მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება ანტანტის ქვეყნების, კერძოდ ბრიტანეთის მთავრობის, ჩვენდამი თანაგრძნობის განცხადებებს. მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, აცნობოთ ინგლისის მთავრობას გენერალ კუკ-კოლისის ხრიკების შესახებ, რომელმაც ბათუმის რეგიონში ყოფნის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს რესპუბლიკის საყოველთაოდ აღიარებულმა მტერმა“ (სარალიძე, 2012: 96).

ამგვარი ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართული მწერლობა კუკ-კოლისს და საერთოდ ბრიტანელ ოკუპანტებს მოსისხლე მტრებად მიიჩნევდნენ. ამის დასტურია იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ბათუმისათვის“ (გრიშაშვილი, 1961: 377-378), რომელიც ავტორმა წაიკითხა 1919 წელს ბათუმში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე. როგორც თავად მიუთითებს, „ბათუმის გენერალ-გუბერნატორის, ინგლისელი ოკუპანტის (კუკოლენსის) მუქარის საპასუხოდ“ (იქვე: 377). ლექსი ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს, მისი თარგმანი კი, ავტორის ცნობით, 1919 წელსვე დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში (№4), რომელიც გამოდიოდა ელ. ორბელიანის რედაქტორობით (იქვე).

სავსებით მართებულად მიუთითებს მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი, რომ ი. გრიშაშვილის ლექსში „ბათუმისათვის“ ძლიერად არის გამოხატული „სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე ფიქრი“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 350).

ლექსის რიტორიკული უვერტიურა მშვენივრად გამოხატავს ქართველი ხალხის მშვიდობისმოყვარე, ჰუმანურ სულისკვეთებას:

რა შურთ ჩვენი? რომ სამშობლოს
სხვას არავის ვედავებით,
რომ სხვა ერთა აზატ ჩონგურს
ერთ ტკბილ სიმად ჩვენც ავებით,
რომ ვუსინჯავთ ყველა ერსა
ხმას, სახის ფერს, კბილს თუ კილოს...
და ამიტომ საქართველო
განა უნდა გაიკილოს?

ამ მძაფრ რიტორიკულ კითხვას, რომელიც არა მარტო თანადროულობას ეხება, არამედ სრულად წარმოაჩენს ტვირთმძიმე ისტორიის მთელს მანძილზე შეურყვნელად, ყოველგვარი მწკივლევანების გარეშე გამოტარებულ, ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით გაჯერებულ სახეს ქართველობისას, სრულიად ბუნებრივად მოსდევს პათეტიკით აღსავსე პასუხი, რომლითაც სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი პოეტი

ყველა ჯ̈ურის მტრებს, „ვისაც გულში არ უღვივის წმინდა გრძნობა“, სათანადოდ მიაგებს; მანამდე კი იოსებ გრიშაშვილი ყველას გასაგონად, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და უტყუარობით, ხატავს ბათუმში შექმნილ ვითარებას:

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ
დარაზმა და დაამზადა
ყველა ჯ̈ურის მოღალატე,
ვერაგი და არამზადა.
ყველა მეთქი! ვისაც გულში
არ უღვივის წმინდა გრძნობა,
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს
ვერასოდეს დაეყრდნობა...
და უნდათ, რომ საქართველო –
ეს პატარა ნატვრისთვალი –
კვლავ გახადონ სხვისი მონა,
მორჩილი და შენამკრთალი.

სწორედაც ბათუმიდან – საქართველოს ნატვრის თვალიდან – ეპაექრება პოეტი ჭილყვავებივით შემოსეულ მოძალადეებს და მტკიცედ აცხადებს:

არასოდეს! ვიდრე ზეცა
არ შეწყვეტავს მზის ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს
არ მოსპობს და შეაჩერებს,
ვიდრე ერთი ქართველიც კი
სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
არ მოკვდება საქართველო,
მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...

ი. გრიშაშვილი უდიდესი სიყვარულითა და სიამაყით ამცნობს მტერსაც და მოყვარესაც, რომ მისი სამშობლო „საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი“, რომ იგი „ყველას შეიხიზნებს“, გულში ჩაიკრავს, მაგრამ იქვე იმასაც ხმამაღლა აცხადებს, რომ თუკი „მის აზიზ სულში აფათურეს ბილწი ხელი“, თუკი ქართველი ხალხი ვინმეს შეატყობს „გველურ მიზნებს“,

ავზავთდებით ისე რისხვით,
ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
რომ მტერს ერთ კაცს არ გადვურჩენთ
მათი ამბის მოსათხრობლად!

ქართველი ხალხის ეროვნულ ენერგიას, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთებასა და სიმამაცის ჟინს პოეტი იალბუზის მყინვარებში დაუნჯ̈ებულ ცეცხლს ადარებს:

არ იცით, რომ იალბუზი,

შემოსილი ყინვის ლოდით,
საიდანაც ცეცხლის ხორბლებს
ჩვენ არასდროს მოველოდით,
დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის,
დღეს ყინული დნება... ქრება...
და ყველაფერს, რაც ხელს უშლის,
გადალეკავს, ემუქრება!

ი. გრიშაშვილი აფრთხილებს ბათუმში მოკალათებულ ოკუპანტებს („პოლიტიკურ მაჭანკლებს“), პატივი სცენ ქართველთა ეროვნულ ღირსებას, რათა არ გამოიწვიონ სამართლიანი რისხვა უძველესი ერისა, რომლის გულშიც ჯერ „ჩუმი ცეცხლი ბუდობს“:

მაგრამ თუკი გაგვახელეს?
მაშინ, მტრებო, დაგვიჯერეთ,
რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს,
გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს
და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის
პოლიტიკურ მაჭანკალებს!

ლექსის დასასრულს, ისევე როგორც დასაწყისში, პათეტიკური ტონით არის გაცხადებული ქართველთა უდიდესი ისტორიული ღირსება – მშვიდობისმოყვარეობა, მაგრამ, ამავე დროს, პოეტი საჯაროდ უცხადებს ოკუპანტებს და მათ მესვეურებს – ბათუმის გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისს, რომ ქართველობა არ დათმობს საკუთარ მიწა-წყალს, არ დაუშვებს, რომ მოძალადეებმა თავიანთი ტლანქი ფეხებით გათელონ იგი:

დე, იცოდნენ, სხვის სამშობლოს
ჩვენ არასდროს შევეხებით
და ჩვენსასაც არ დავუთმობთ,
რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1961 წლის გამოცემაში იოსებ გრიშაშვილი თავად მიუთითებს, რომ ეს ლექსი მან წაიკითხა 1919 წელს ბათუმში გამართულ, ლიტერატურულ საღამოზე კუკ-კოლისის („კუკოლენსის“) მუქარის საპასუხოდ. საინტერესოა, რა მუქარას გულისხმობდა პოეტი? ვფიქრობთ, ი. გრიშაშვილის ლექსი ბათუმისათვის უშუალო გამოხმაურება იყო ბათუმის გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის მიერ ბათუმის მუშათა გაფიცვის აკრძალვის ბრძანებისა, რომლითაც გუბერნატორი მკაცრად იმუქრებოდა, რაც შეასრულა კიდეც. ამდენად, ი. გრიშაშვილის ლექსი „ბათუმისათვის“ ღირსეული პასუხი იყო ოკუპანტებისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გვაზავა, 1998: – გვაზავა გ., ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი (პასუხად ზურაბ ავალიშვილს), – გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, იანვარი (№142).

გელაშვილი, 2012: – გელაშვილი გ., ინგლისელი ჟურნალისტი ბეჩჰოფერი ბათუმის შესახებ (1919–1920 წლები), – „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, II, ბათუმი.

გრიშაშვილი, 1961: – გრიშაშვილი ი., თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი.

ნიკოლეიშვილი, 1994: – ნიკოლეიშვილი ა., იოსებ გრიშაშვილი, – XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი.

სარალიძე, 2009: – სარალიძე ლ., ოსმალეთის ოკუპაციის პერიოდის ბათუმის ისტორიიდან (1918 წ.), – „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, I, ბათუმი.

სარალიძე, 2012: – ბათუმში ინგლისელების ყოფნის ისტორიიდან 1919-1920 წწ-ში (აკაკი რამიშვილის არქივის მიხედვით), – „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, III, ბათუმი.

სიორიძე, 2008: – სიორიძე მ., ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

შიოშვილი, 2012: – შიოშვილი თ., პაოლო იაშვილი – ბათუმის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, – „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, III, ბათუმი.

Tina Shioshvili (Batumi, Georgia)

The Poem „For Batumi” (1919) by Ioseb Grishashvili

Summary

In 1919 year poet I. Grishashvili gave a speech on the literary evening in Batumi and read the poem ‘For Batumi’. This poem was an answer to the actions of English occupation and especially on the threatening of general-governor Cooke-Colice.

Georgian people’s appeal was reflected in I.Grishashvili poetry.

ნაილა ჩელებაძე
როინ მალაყმაძე
(ბათუმი, საქართველო)

ანტირელიგიური საბჭოთა პოლიტიკა და ბათუმის სობოროს ისტორია

(საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხელისუფლების წარმართველმა ძალებმა ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას. საბჭოთა იმპერიის ანტირელიგიური პოლიტიკა მიმართული იყო ყველა რელიგიისა და რწმენის, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. კომუნისტები ეკლესიას განიხილავდნენ, როგორც ქართული ეროვნული სულისა და კულტურის მატარებელ სისტემას. ამიტომ აუცილებლად თვლიდნენ მის განადგურებას.

ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისადმი აისახა 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტში, რომელშიც განსაკუთრებით საგანგაშო იყო მე-14 და მე-15 მუხლები. მასთში ნათქვამი იყო, რომ არც ერთ საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებას არ ჰქონდა საკუთრების უფლება და მათი ქონება უნდა გამოცხადებულიყო სახალხო კუთვნილებად.

ბოლშევიკებმა აჭარაში განსაკუთრებული იერიში მიიტანეს წმ. ალ. ნეველის სახელობის სამხედრო კათედრალურ ეკლესიაზე – სობოროზე. სობორო არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ საპორტო ქალაქში ჩამოსული სტუმრებისთვისაც მეტად მიმზიდველი ადგილი იყო და ქალაქის მარკერს წარმოადგენდა. ტაძრის აშენება დაიწყო 1888 წელს. ის წმ. სოფიას სახელობის იყო და წარმოადგენდა სოფიის ტაძრის ანალოგს. XX საუკუნის დასაწყისში შედგენილ ქალაქ ბათუმის რუკაზე ნათლად ჩანს, რომ წმ. სოფიას სახელს ატარებდა როგორც ტაძარი, ასევე ქუჩა, რომელზედაც იგი მდებარეობდა. სავარაუდოდ, 1905-1906 წლებში სობოროსათვის მიუნიჭებიათ წმ. ალ. ნეველის სახელი და ტაძარი სამხედრო უწყებისათვის გადაუციათ (სუიცსა, ფ. 284, ან. 1, საქ. .216, გვ. 18). ამასვე ადასტურებს მრევლის ხელმოწერებიც (სუიცსა, ფ.284, ან. 1, საქ.216, გვ.42).

1923 წელს დაიკეტა თითქმის ყველა ეკლესია და ისინი გამოაცხადეს კულტურის კერებად. თუმცა ერთი წლით ადრე მიმდინარეობდა გამალებული მუშაობა მათი დისკრედიტაციისათვის და დაიწყეს სასულიერო პირთა დაპატიმრება. „ფრიად საიდუმლოდ” შედგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რევტრიბუნალის მიერ ბათუმის სობოროს ჩაბარების საკითხი ადრიდანვე იყო გადაწყვეტილი (აცსა, ფ.რ. 77, ან.

1, ს. 16, ფურც. 37; შსცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 838 გვ. 58). ასევე გასაიდუმლოებული იყო სამხედრო ტაძრების გადაკეთება სკოლებად და კლუბებად. ამ პერიოდში აჭარაში, კერძოდ, ბათუმში დაიკეტა 8 ეკლესია. აჭარაში 1923 წლის 13 იანვრიდან დაილუქა ან სხვადასხვა ორგანიზაციას გადაეცა არაერთი ტაძარი: სობორო, სამხედრო ჰოსპიტლის ეკლესია, გოროდოკის ალ. ნეველისა და მიხეილის სამხედრო ეკლესიები, ბათუმის მთავარანგელოზის ქართული ტაძარი და სხვ. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ცაკის წინადადებით მღვდელ ჩხიკვაძეს დაევალა სობოროსა და მისი ქონების გადაცემა აჭარისტანის კსმგ-ს ანუ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისათვის (აცსა, ფ. 77, ან. 1, საქ. 16, ფურც. 30, 1923 წელი, გვ 30). რამდენიმე თვეში კი მღვდელი ჩხიკვაძე პატიმრობაში აუყვანიათ და ამ გზით შეეცადნენ სასულიერო პირებს შორის დაპირისპირების გამწვავებას (აცსა, ფ. 77, ან. 1, საქ. 16, ფურც. 30, 1923 წელი, გვ. 37). მოგვიანებით, 1925 წელს, ტაძარი და მისი ქონება დირექტორის წინააღმდეგობის მიუხედავად გადაეცა მუზეუმს (საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ან. 1, ს. 2274, ფურც. .23; (სუიცსა, ფ. 284, ან. 1, ს. 216, ფურც. 13, 18, 24).

როგორც ცნობილია, 1922 წლის თებერვალში ხელისუფლებამ გამოსცა საგანგებო ბრძანება ეკლესიიდან ძვირფასეულობის ამოღების შესახებ, რომელიც თითქოსდა სიღარიბის დაძლევისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. საოკუპაციო ხელისუფლებამ 1921–1922 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედ ეკლესიებში ჩაატარა აღწერა საეკლესიო ძვირფასეულობის გამოსავლენად. ეკლესიათა ქონების აღწერისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია. რეალურად კი, ეკლესია-მონასტრები, დანგრევა-დახურვის წინ, საგულდაგულოდ იძარცვებოდა. აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებული შესაბამისი კომისიის ბრძანების მიხედვით მოხდა ეკლესიებზე ჩამორთმეული ნივთების კლასიფიკაცია, რის შედეგადაც საგანძურის მცირედი ნაწილი სამუზეუმო ექსპონატებად გადააქციეს, რითაც მას ისტორიული სიმდიდრის დატვირთვა მიენიჭა, ხოლო უდიდესი – „არაისტორიული მნიშვნელობის“ განძი – ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის“. სინამდვილეში კი, ეკლესიის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები დაიტაცეს. მიწის საყოველთაო ნაციონალიზაციაზე დაჟრდნობით, ეკლესიას დიდძალი ქონება ჩამოერთვა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009).

ასეთივე ბედი ეწია სობოროსაც, საიდანაც უმისამართოდ გაზიდეს ძვირფასეულობა. ალ. ნევსკის (ნეველის) სობოროს გადაცემის საქმეს ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული განყოფილება. შედგა ინვენტარის

აღწერილობითი სია (აქტი 1, 1923 წ. 19 იანვარი), სადაც ტაძრის ქონება იქნა ჩამოწერილი. მიმღები კომისიის თავმჯდომარე დაინიშნა ვ. ასათიანი, როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი. კომისიაში შევიდნენ კომკავშირის წარმომადგენელი ტუღუში, დეკანოზი თოხაძე, ტაძრის „სტარშინა“ ე. ბერძენიშვილი, დიაკვანი ჩიგოვაძე (ალბათ ჩოგოვაძე - ავტორები) და საბჭოს წევრი კეჭეყმაძე. ტაძრის ქონება დაექვემდებარა საეკლესიო საბჭოზე გადაცემას. ამ ქონებიდან საეკლესიო საბჭოს გადაეცა 50 დასახელება. ფასეული ნივთების სიაშია იყო 5 ნივთი, რომელიც, ალბათ, ხელისუფლებას გადაეცა. ტაძარში დაუტოვებიათ 17 დასახელების ნივთი. ამას გარდა, ტაძრის მოვლის მიზნით იქვე დაუტოვებიათ სხვა ნივთებიც. კომისიას მოუთხოვია ქონების საინვენტარო წიგნი, მაგრამ საბჭოს წარმომადგენლების განცხადებით, არ ჰქონიათ არც წიგნი და არც ფული (აცსა, ფ. 77, ან. 1, საქ. 16, ფურც. 37, გვ. 3, 4).

საეკლესიო ქონების ჩამორთმევის შემდეგ ეტაპზე – 1923 წელს გამოცხადდა საეკლესიო ზარების უტილიზაციის პროცესი. საეკლესიო ინვენტარი და ზარები კონფისკაციას დაექვემდებარა და მძიმე მრეწველობის დარგების განვითარებას მოხმარდა. ანტირელიგიურმა კამპანიამ არათუ ეკლესიისა და სხვა საკულტო დანიშნულების ნივთების უსარგებლობა, არამედ თვით ღვთის არსებობა დააყენა ეჭვქვეშ და მთელი რიგი ტაძრებიდან საეკლესიო ზარების ჩამოხსნის პროცესი უმტკივნეულოდ წარმართა. იმავე წლის 19 იანვარს – ნათლისღების დღესასწაულზე „საზეიმო” ვითარებაში მოხდა ალ. ნეველისა და ბათუმის საკათედრო ტაძრებიდან ჯვრის ჩამოხსნა (აცსა, ფ. 77, საქ. 16, ფურც. 21). 1923 წლისათვის საკათედრო საბჭოს ჟურნალის საფუძველზე ირკვევა, რომ ბათუმში დარჩენილა საკათედრო, იგივე ყოფილი სამხედრო, მთავარანგელოზისა და სასაფლაოს ეკლესიების სამი ქართული მრევლი (სუიცსა, ფ. 284, ან. 1, ს. 149, ფურც.4).

საბჭოთა ხელისუფლება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა მეთოდს იყენებდა. ამ მიზნით მან რელიგიაზე არაპირდაპირი შეტევა განახორციელა სხვადასხვა სტრუქტურის შექმნის გზით. საბჭოთა მთავრობა, გარდა პირდაპირი შეტევისა ეკლესიის მიმართ, ყოველნაირი ცილისწამებისა და უსაფუძვლო ბრალდებებისა, სასულიერო პირების დაპირისპირებების საფუძველზე ახერხებდა მორწმუნეებზე ანგარიშსწორებას (აცსა, რ. 77, ან. 1, ს. 16. ფურც. 1-4, 17-19, 21-31, 24, 42, 44-51)

ხელისუფლება ეკლესიების დალუქვისა და გაუქმების შემდეგ ყველანაირად შეეცადა გააქტიურებული სასულიერო პირებისა და მრევლის ურთიერთდაპირისპირებას. მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, სრულიად საქართველოს საკათედრო საბჭომ განაჩინა, რომ „დროებით საკათედრო ტაძრად ცნობილ იქმნეს

მთავარანგელოზის ეკლესია, ხოლო (მისი) წინამღვრობა და გამგეობა დარჩეს იმ კრებულს და სამრევლო საბჭოს, რომელიც ამ ეკლესიაში მსახურებდა ყოფილ სამხედრო-საკათედრო ტაძრის დახურვის წინა დღეებში. დეკანოზი არსენ თოხაძეს კრებულითურთ ნება ეძლევა წირვა-ლოცვა და ყოველივე სხვა წესები შეასრულოს მთავარანგელოზის ეკლესიაში (აცსა, ფ. რ. 77, ან. 1, ს. 16, ფურც. გვ. 46).

ტაძრისთვის აქტიური ბრძოლა გააჩაღა მრევლმა. 1923 წლის 9 ნოემბერს გამართულ კრებას 900-ზე მეტი მორწმუნე დაესწრო (აცსა, ფ. რ. 77, ან. 1, ს. 16, ფურც. გვ. 50). ბათუმის სამივე ქართული მრევლი წლების განმავლობაში ითხოვდა ჩამორთმეული ტაძრების დაბრუნებას რესპუბლიკური და საკავშირო მთავრობის დონეზე. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სობოროს თაობაზე აქტიურობდა როგორც ქართული, ისე რუსული მრევლი. მათი მოტივაცია ტაძრის დაბრუნებაზე განსხვავებული იყო. რუსები თავიანთ თხოვნაში კალინინს ატყობინებდნენ, რომ ტაძრები დაუბრუნდათ სომხებს და ებრაელებს და შეახსენებდნენ, რომ სამხედრო ტაძრებით ცარიზმმა კავკასიის დაპყრობა დააგვირგვინაო. მათ უარი ეთქვათ ამ მოთხოვნაზე. ქართული მრევლის თხოვნას 1108 ბათუმელი აწერდა ხელს. გაგზავნილ წერილში კალინინს არწმუნებდნენ, რომ ამჟამად მიტოვებული ტაძარი ქართული მრევლის იყო 1923 წლის 17 იანვრამდე. ეკლესიაში არსებული შიდადაპირისპირება ისევ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. აქ საგულისხმოა შემდეგი გარემოება: როდესაც 1922 წლის დეკემბერში რუსული სამრევლოები „უმაღლეს საეკლესიო მმართველობას“ დაექვემდებარნენ, ისინი „განმაახლებელთა“ საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლებასთან გაერთიანებული ფრონტით იმედოვნებდნენ საქართველოს ეკლესიის შეერთებას რუსეთის ეკლესიასთან. ამ ფაქტს ააშკარავებს აჭარის რუსული მრევლის კალინინისადმი მიწერილი წერილებიც. საქართველოში 20-იან წლებში შექმნილი რუსული სამრევლოების მმართველობა 1937 წლამდე არსებობდა, თუმცა მათი ჩამოყალიბების პროცესში საპირისპირო მოვლენებიც ხდებოდა. კერძოდ, ბათუმის ღვთისმშობლის საფარველის ტაძრის სამრევლო საბჭომ 1927 წლის ნოემბერში რუსულ სამრევლოთა მმართველობაში შესვლაზე უარი განაცხადა და უშუალოდ საქართველოს ეკლესიას დაექვემდებარა (არაბიძე, 2010: 341-342). აღნიშნული წერილებიდან ჩანს ამ დაპირისპირებათა ხელოვნურობა და მათი მომდინარეობა ხელისუფლების მხრიდან.

აშკარაა, რომ ბათუმში ყველაზე მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი მრევლი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, ქვეყანაში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მორწმუნეს შეეძლო ესარგებლა თავისი კულტის გავრცელების უფლებით იმდენად, რამდენადაც მას შეეძლო „რელიგიური ღონისძიებები თავი-

სუფლად ეზეიმა, ოღონდ აღნიშნული არ უნდა ქცეულიყო მასობრივ სანახაობად“. ასევე „ქვეყნის ყველა მოქალაქე თავისუფალი იყო თავისი რწმენის არჩევანის თავისუფლებაში, მას ასევე შეეძლო არ ეწამა არც ერთი მათგანი“. კოდექსი განსაკუთრებულად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა აღნიშნული უფლებების დამრღვევთა წინააღმდეგ.

1921 წლის 15 აპრილის დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოში 1924-1926 წლებში მიღებულ იქნა დადგენილება №124, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო ტაძრებით სარგებლობა, ოღონდ უნდა დაეარსებინათ რელიგიური საზოგადოება, არანაკლებ შვიდისა. 1924 წლის 21 ნოემბერს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტი „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“ ოფიციალურად იქნა აღიარებული.

1927 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ქრისტეფორე ციცქიშვილის არჩევით ერთგვარად იწყება ხელისუფლებასთან ქართული ეკლესიის ურთიერთობის მოგვარება. თავის მხრივ, ეკლესიაც გარკვეულ დათმობაზე წასულა, კერძოდ, 1927 წლის საეკლესიო კრებამ აღიარა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის პრინციპი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების საფუძველზე. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომისარიატების დადგენილებით, აიკრძალა ზარების რეკვა იმ მოტივით, რომ აღნიშნული გარემოება ქალაქის მოსახლეობის ცხოვრებისეულ რიტმს არღვევდა. აკრძალვა ეხებოდა ისეთ დიდ დღესასწაულებს, როგორიცაა შობა, აღდგომა და სხვ. „მებრძოლი უღმერთოები” ანტირელიგიურ საქმიანობაში შავ საქმეს ასრულებდნენ (ზოსიძე: 1978; პავლიაშვილი: 2004; სილაგაძე: 2006).

1927 წლის 31 იანვარს მორწმუნეებს ასეთ ვითარებაში გადაეცათ სობორო (სუიცსა, ფ. 284, ან. 1, საქ. 216, გვ. 28**)**.

XX საუკუნის 30-იან წლებში სობოროს ბარბაროსულად გაუსწორდნენ და იგი დაანგრიეს. (კომახიძე, 2001: 374).

1932 წლისთვის, 160 ეპარქიიდან მოქმედებდა მხოლოდ 4 ეპარქია. ამათგან ერთ-ერთი იყო ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, რომელშიც შედიოდა აჭარა. ყოველივე ამან მოსახლეობის დამოკიდებულება ეკლესიისადმი მნიშვნელოვნად შეცვალა, საზოგადოება თანდათან გაუუცხოვდა რელიგიურ ფასეულობებს.

საარქივო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ხელისუფლების მხრიდან წარმოებული გამალებული ანტირელიგიური პოლიტიკის მიუხედავად, 1933 წლისათვის სასულიერო პირები მაინც ახერხებდნენ რელიგიურ საქმიანობას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

არაბიძე, 2010: — არაბიძე ი., საქართველოს საკათოლიკოსოს რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების მმართველობა. XX ს. 20-30-იანი წლები, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(8), თბილისი.

აცსა – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ.რ-1, ან.1, ს.78. ფურც. 259; აცსა, პ-12, ან.1, ს. 4(3), ფურც. 34.

ზოსიძე, 1978: – ზოსიძე რ., ისლამი. მორწმუნე თანამედროვეობა, ბათუმი.

კომახიძე, 2010: – კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი I, ბათუმი.

კომახიძე, 2001: – კომახიძე თ., რელიგიური და საღვთისმსახურო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი.

პავლიაშვილი, 2004: – პავლიაშვილი ქ., ერთი საკითხი ისტორიის თეოლოგიიდან – ღვთისმოშიში და უღმერთო ხელისუფლება, თბილისი.

ჯაფარიძე, 2009: – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი.

სილაგაძე, 2006: – სილაგაძე ეკ. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" და კოლექტივიზაციის საკითხი საბჭოთა საქართველოში, თბილისი.

საქართველოს საპატრიარქოს არქივი, – საქართველოს საპატრიარქოს არქივი ან.1, ს.2274, ფურც.23

სუიცსა – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284. ან. 1, ს. 216.

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

შსსცსა – შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 14, ან. 1, ს. 608; ს. 803, ფურც. 7-8;1 3

Naila Chelebadze, Roin malakmadze (Batumi, Georgia)

The Antireligious politics and the history of Batumi Sobori

Summary

After the establishement of the Soviet power in Georgia it was announced that there would be a prohibition against religion in Georgia. That was reflected on the decree of April, 1921. The decree said that not any church or religious society could have a power or the property and their possesions were declared as the people's properties. On the basis of this in 1923, 13 January, Batumi Aleksandre Nevely Church - Sobori was locked and given to the young communists. Later, in 1925 it was given to the museum. At last, in the 1930s the cathedral was destroyed barbarously.

ამირან ჯახიძე,
ნარგიზ სურმანიძე,
თამარ შალიკაძე
(ბათუმი, საქართველო)

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის სამოსახლოთა შორის ერთ-ერთ თავისებურსა და მნიშვნელოვან ძეგლს ბათუმის ციხე წარმოადგენს. ციხე აგებულია ბუნებრივ ბორცვზე, რომელიც მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირას, ზღვის შესართავთან მდებარეობს. ძეგლის შესახებ შემონახულია საინტერესო უძველესი წერილობითი ცნობები; არსებობს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა.[1]

ჩვენი ქალაქის – ბათუმის ისტორია ამ უნიკალური ძეგლით იწყება. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელდა აკროპოლისა და ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის არქეოლოგიური შესწავლა. 2012 წელს ბათუმის ციხის დასავლეთ ფერდზე გასული საუკუნის 60-იან წლებში დადგენილი სტრატიგრაფიის მიხედვით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ თხრილის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე შეგვესწავლა არქაული ხანის გადმონაყარი ფენა (ტაბ. I, 1) და გზისპირა თხრილი. აქ ფაქტიურად მოვასწარით მხოლოდ და მხოლოდ შუასაუკუნეების გადმონაყარი ფენის შესწავლა (ტაბ. I, 2).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული იქნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები. ვისაუბრებთ ცალკეული ჯგუფების შესახებ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით. როგორც წესი, ახალ აღმოჩენებში წამყვანი ადგილი სამეთუნეო ნაკეთობებს უკავიათ.

სამეურნეო ჭურჭელი. ადგილობრივ კერამიკაში წამყვანია სამეურნეო ჭურჭელი. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია კოლხური ქვევრები.

ბათუმის ციხის მასალების მიხედვით ჩანს, რომ ანტიკურ ხანაში მექვევრეობა მეთუნეობის ცალკე სპეციალიზებულ დარგად ქცეულა.

[1] დაწვრილებით იხ.: კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 5-41.

ბათუმის ციხეზე აღმოჩენილ ქვევრებს აქვთ მასიური პირი, მომაღლო ყელი, მხრებგამოყვანილი ტანი და ბრტყელი ძირი. პირის, ყელის, მხრისა და ტანის დიდი ნაწილი დაფარულია სხვადასხვა სახის დეკორით. წამყვანია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზოლები, მერიდიანული, სწორი თუ ტალღოვანი ქედები, დაკბილული იარაღით გამოყვანილი რომბული ბადის რელიეფური, ჰორიზონტალური სარტყლები და ა.შ. (ტაბ. II, III). ისინი უმეტესად მსგავსია წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშებისა (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 60, ტაბ. XII, 1-5; XII, 2-5).

მრავალფეროვანია ქვევრის მხრისა და ტანის შემკობის მოტივები. წამყვანია ჰორიზონტალური და მერიდიანული სწორი თუ ტალღოვანი ქედები. დაკბილული იარაღითაა გამოყვანილი რომბული ბადის რელიეფური, ჰორიზონტალური ზოლებიც. ქედებს შორის არე დაშტრიხულია მჭიდროდ განლაგებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებით, აქაც იყენებენ გრეხილურ ორნამენტს. რამდენიმე ფრაგმენტზე შემორჩენილია რელიეფურად გამოყვანილი წრეები და ნახევარწრეები, რომლებიც ირიბი ნაჭდევებითაა შემკული. გვხვდება ასევე ე.წ. მარცვლისებური ორნამენტიც. ერთ-ერთ ნიმუშზე სავენტილაციო ნახვრეტიც იყო გაკეთებული (ტაბ. III,3). აღმოჩენილია ქვევრის კედლის ფრაგმენტი, რომელსაც ქედებზე აქვს ღილისებური ორნამენტი (ტაბ.II,8). ქვევრის კეცი ძირითადად მოშავო-მონაცრისფრო და ყავისფერია. ცეცხლისაგან გაშავებული ძირი – ბრტყელი.

სამეურნეო კერამიკის შემდეგ სახეობას დერგები ქმნიან. ამ ტიპის ჭურჭელიც წარმოდგენილია პირის, ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტების სახით. ფორმებისა და ორნამენტაციის მიხედვით ხშირ შემთხვევაში იმეორებენ ქვევრების შემკობის მოტივებს, პირზე აქაც გამოსახულია ჯვარედინი, დახრილი ხაზები, თუ ჭდეები. ტანის არე უმეტესად სადაა (ტაბ. III, 4). ორნამენტირებული სახეები დამახასიათებელია უფრო ადრეული – არქაული და კლასიკური ხანისათვის. ელინიზმის ეპოქის ნიმუშები გამოირჩევიან სისადავითა და თხელკედლიანობით (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 28, სურ 24, 3, 4; 114, 1, 2). ბათუმის ციხის მასალები სიახლოვეს იჩენენ ციხისძირის, ფიჭვნარის, სიმაგრის, გურიანთის, ზემო ფარცხმის, ვანისა და კვაშტის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ზოგიერთ ნიმუშთან (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 61-62, ტაბ. XIX, 6-11. აქვე ლიტერატურა; კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 96)

საოჯახო კერამიკა – ქოთნები. ბათუმის ციხის უახლეს მონაპოვრებში ამ სახის ნაწარმი უმეტესად ცალკეული ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (პირის, ყელის, ტანისა და ძირის ნატეხები, ტაბ. IV, 1, 2); არის ყურებიც. აქაც შესაძლებელი ხდება წინაანტიკური და კლასიკური ხანის ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა. წინაანტიკური ხანის ქოთნები, შეიძლება მათ ქვაბ-ქოთანიც ეწოდოს, სწორტანიანია.

ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირთანაა მიძერწილი, ქვედა ტანის დასაწყისთან. ძირი ბრტყელი. კეცი უხეში მოყავისფრო-მონაცრისფრო (ტაბ. IV, 3). ამავე პერიოდისაა ე.წ. ზოომორფულყურებიანი ქოთნები (ტაბ. IV, 1). ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ კოლხეთის სხვა რაიონებში აღმოჩენილ მასალებთან, რომლებიც ძირითადად ძვ.წ. VII ს-თა და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

ხუფები. ბათუმის ციხეზე ჭურჭლის სახურავებად ხშირად იყენებდნენ ქვევრისა და დერგის კედლის საგანგებოდ მომრგვალებულ, შედარებით სწორ ნატეხებსა და ძირებს. წელს ამათ რიცხვს მიემატა თიხის მცირე ზომის ხუფები, შედარებით პატარა ზომის, ცილინდრულსახელურიანი. კეცი ღია მოყვითალო, მინარევებიანი.

ყურმილიანი დოქები – (ტაბ. IV, 7). როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული. იგი კოლხური კულტურის მოსაზღვრე რეგიონებშიაც ვრცელდება. ფიჭვნარის ქვიშაზვინულების მიხედვით ჩანს, რომ ფორმა სათავეს ძვ.წ. VIII–VII სს იღებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მზადდებოდა ძვ.წ. VI-V სს. არსებობას განაგრძობს ძვ.წ. IV ს. და III ს. პირველ ნახევარში. ამის შემდგომ ყურმილიანი დოქების წარმოება წყდება (კახიძე, ვიკერსი, 2004: 31-32, სურ. 28, 41, 58 და სხვა; კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 32, სურ. 40, 9, 124, 11 და სხვა). ათეულობით მთლიანად დაცული ნიმუშია აღმოჩენილი ფიჭვნარის კლასიკური ხანის სამაროვანზე (კახიძე, 2007: 130-131). ისინი მოპოვებულია ადრეელინისტური ხანის სამარხებშიც (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 32-33). ყურმილიანი დოქები ცნობილია საქართველოს არაერთი პუნქტიდან (ფუშრუკაული, კვაშტა, კოლოტაური, ვერნები, გონიო-აფსაროსი, მახვილაური, ციხისძირი, ფიჭვნარი, კოხი, ნიგვზიანი, სიმაგრე, ოჩამჩირე, ერგეტა, ვანი, შუამთა, მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, მაღლაკი, ქუთაისი, მოდინახე, ყულევი, ციხურა, პალური, მუხურჩა, მერხეული, ბრილი, თლის სამაროვანი, საზანო, გოსტიბე, უფლისციხე, ციხიაგორა, სამთავრო და ა.შ. (ლორთქიფანიძე და სხვ., 1981: 33-35, სურ.53-54).

კოლხური სასმისები. ერთეული ცალებითაა წარმოდგენილი სუფრაზე მოსახმარი კოლხური კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა – სასმისები. ისინი სხვადასხვა სახისაა. ნაწილს აქვს საკმაოდ ფართო დისკოსებური მოყვანილობის ძირი, მაღალი, ცილინდრული ტანი, ნაწილი ბრტყელძირიანია, კედლები სწორი, ოდნავ გარეთკენ გაფართოებული (ტაბ. IV, 4-6), მათი გაჩენა კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას უკავშირდება (მიქელაძე, 1974: 62). კოლხური სასმისები ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VII ს. VI–V სს ისინი მასობრივი წარმოების საგანი ხდება (კახიძე, ვიკერსი, 2004: 137, სურ. 315, 322, 324, 326).

ჯამი. ჭურჭლის ეს ფორმაც ფართოდ ჩანს გავრცელებული. მთლიანი ცალები თუ ცალკეული ფრაგმენტები საკმაოდ ხშირად ჩნდება ნამოსახლართა, ნაქალაქართა და სამაროვნების არქეოლოგიური გათხრებისას. ბათუმის ციხის მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ ჯამების წარმოება წინაანტიკური ხანიდან იწყება. მიმდინარე წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა წინაანტიკური ხანის ჯამის პირისა და ტანის ფრაგმენტი. ზედაპირი გაშავებულია, პირმოყრილი, გარეთა მხრიდან მომრგვალებული ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი.

კვირისტავი (ტაბ.IV, 8). აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა. კვირისტავები ფართოდაა გავრცელებული კოლხურ კულტურაში. იგი უკავშირდება საოჯახო ხელოსნობას და ითვლება უძველეს საკულტო ნივთადაც (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 67-68; კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 31-32). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კვირისტავები ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა დადასტურებული. წყალტუბოს ახლოს, თეთრამღვიმეში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ კვირისტავები ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის დამდეგიდან შემოდის ხმარებაში. გვხდება ადრებრინჯაოს ხანის, კერძოდ, ძვ.წ. IV–III ათასწლეულების მიჯნის სამარხებშიც (ამირანის გორა, სამშვილდე, მარნეულის ველი, კიკეთი და სხვა). კვირისტავები მიჩნეულია ბედის მწერალი მრთველი, ქტონური ქალღმერთის ატრიბუტად, რომელსაც ესა თუ ის პირი ხელახლა უნდა მოევლინა ამქვეყნად ახალი სტატუსით (შანშაშვილი, 1998: 23-26).

საკულტო დანიშნულების ნივთები. ამ სახის მასალებიდან გამოიყოფა სადგარისებური ქვები და თიხის სადგარი (ტაბ.VI, 7), რომელიც ოთხკუთხაგანივკვეთიანია, უნდა ჰქონოდა რქისებრი შვერილები. რამდენიმე ფრაგმენტული რქისებრი სადგარი ადრეც იქნა მოპოვებული (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 69-71; ტაბ. XXX, 9), ანალოგები ეძებნება ჩაქვის, ბობოყვათის, ფიჭვნარის, ურეკის და სხვა ქვიშაზვინულების მასალებს შორის, რომლებიც თარიღდებიან ძვ.წ. VIII–VI სს. (თავამაიშვილი, 1987: 34-43, ტაბ. XXVII-XXXIV)

იმპორტული კერამიკა. ბათუმის ციხის არქეოლოგიური გათხრები იმპორტული კერამიკის მეტად საინტერესო გამორჩეულ ნიმუშებს იძლევიან. არსებითია ის, რომ სწორედ ამ ძეგლზე მოპოვებულია იმპორტული ამფორების, სადაზოლებიანი იონური კერამიკისა და სხვა განუსაზღვრელი ცენტრის ნაკეთობათა უადრესი ნიმუშები, რომლებიც არქაული ხანით თარიღდებიან.

ქიოსური ამფორები. როგორც ცნობილია, ამ ცენტრის კერამიკული ტარა ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ბათუმის ციხის მონაპოვარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქიოსური ამფორების უადრესი ნიმუშები, რომელთა ზედაპირი დაფარულია

კარგი ხარისხის თეთრი ანგობის სქელი ფენით. მრავალრიცხოვანი ანალოგების მიხედვით, ბათუმის ციხის მსგავსი თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები ძვ.წ. VII ს ბოლოსა და VI ს პირველი ნახევრით თარიღდება. ბათუმის ციხის არქეოლოგიური მასალის მიხედვით ქიოსური კერამიკული ტარის იმპორტის ხვედრითი წონა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კიდევ უფრო იზრდება ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის დამდეგისათვის.

სასმისისებრძირიანი ამფორები. უახლოეს მონაპოვრებში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სასმისისებრძირიანი ამფორის ძირი (ტაბ. V, 1), რომელიც დაბალი, ცილინდრული მოყვანილობისაა. ძირის დიამეტრი 7 სმ-ია. აშკარაა, რომ იგი წარმოადგენს ამ ტიპის ამფორების ერთ-ერთ უადრეს ნიმუშს. კეცი მოყავისფრო, განატეხში ლეგა-ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანია.

ბათუმის ციხის მასალებში საკმაოდაა წარმოდგენილი სასმისისებრძირიანი ამფორის პირის, ყელისა და ტანის ნატეხები, კონუსისებური მოყვანილობის მაღალი და დაბალი ძირები, მრგვალგანივკვეთიანი ყურები და ა.შ. მათი კეცი ჩვეულებრივ ხორკლიანი მსხვილმარცვლოვანია, თიხაში ურევია ქვიშისა და ქარსის ნაწილაკები, გამოწვა არათანაბარი, ზედაპირზე ღია მოწითალო-მოწაბლისფრო, განატეხში – ლეგა. ანალოგიური ამფორების ნატეხები აღმოჩენილია ფიჭვნარში, გურიანთაში, ფასისის მიდამოებში (საქორქიო) და ვანის ნაქალაქარზე. ბათუმის ციხის მასალები ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ აქ წარმოდგენილია როგორც ადრეული (არქაული ხანის), ასევე გვიანარქაულ-ადრეკლასიკური ხანის ნიმუშები.

სასმისისებრძირიანი ამფორების ლოკალიზაციის პრობლემას ეხება ი. ბრაშინსკი. იგი მიუთითებს, რომ ესენი ფართოდაა გავრცელებული შავიზღვისპირეთში ძვ.წ. V საუკუნეში. ბერეზანის აღმოჩენებით ამათი იმპორტი ივარაუდება ძვ.წ. VI ს მეორე ნახევრიდან. ი. ზეესტმა მოხატულ ვაზაზე მოცემული ამფორების მიხედვით ვარაუდის სახით დაუკავშირა ათენს. საერთოდ კი, განუსაზღვრელი ცენტრის ამფორად თვლის. ვერც კერამიკული ტარის ცნობილმა სპეციალისტმა მოგვცა ატიკური ამფორების განსაზღვრა. ი. ბრაშინსკი ასკვნის, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ არაა გადაჭრილი (Брашинский, 1983: 174). ვ. რუბანი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ათენის ნაწარმად თვლის (Рубан, 1980: 108).

ვ. რუბანი ქვემობუგისპირეთის მონაპოვრების მიხედვით გამოყოფს ამ ტიპის ამფორების სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს. პირველში აერთიანებს ძვ.წ. VII ს მეორე ნახევრისა და VI ს პირველი ნახევრის ნიმუშებს. ამათი პირები კუთხოვანია, ძირები დაბალი და გაფართოებული. მეორე ჯგუფში აქცევს ძვ.წ. VI ს მეორე ნახევრისა და V ს პირველი ნახევრის სასმისისებრძირიან ამფორებს. მათ აქვთ მომრგვა-

ლებული პირი, ძირის დიამეტრიც მკვეთრადაა შევიწროებული. ნიშანდობლივია ძირის შიდა არის გაშლილობა და კედლების გაფართოება. მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ძვ.წ. V ს შუა ხანების ამფორები. ამათი პირი შევიწროვებული და გარეთკენაა გადაშლილი, ძირი არაა გამოყოფილი (Рубан, 1980: 108).

თაზოსური ამფორები. ძვ.წ. V ს-დან პონტოს სანაპირო ქვეყნებში ფართოდ ვრცელდება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის თაზოსის კერამიკული ტარა. ამათი რიცხვი ბათუმის ციხის მონაპოვარში მცირეა, ყურადღებას იქცევს ე.წ. პროტოთაზოსური ამფორის ძირი და ტანის ნაწილი, (ტაბ. V, 2-4). ძირი დაბალი, სწორკედლიანი; აქვს კოპიანი კონუსისებრი მოყვანილობის ფოსო. კეცი ღია მოყვითალო, წვრილმარცვლოვანი, კარგად გამომწვარი.

მენდეს ამფორა. ბათუმის ციხის მასალებში ამფორის ეს ტიპი წარმოდგენილია ერთადერთი ძირის სახით (ტაბ.V, 6). მაღალი, ცილინდრული მოყვანილობის ძირი ბოლოსკენ მკვეთრადაა გაფართოებული. გარეთა ზედაპირზე აქვს წრისებური ფოსო. კეცი მონაცრისფრო-მოყვითალოა. ეს ე.წ. კათხისებრძირიანი ამფორები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩნდება ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარისა და ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლის მასალებში (კახიძე, 1971: 48-49; 2007: 68). რამდენიმე ძირი მოპოვებულია ვანის ნაქალაქარზეც (ფუთურიძე, 1983: 20, №35-37).

როგორც ჩანს, წელს გამოერია კორინთული ამფორის პირი, არის განუსაზღვრელი ცენტრის ამფორის ძირებიც.

სადაზოლებიანი იონიური კერამიკა. საბერძნეთის აღმოსავლეთ რაიონებთან კოლხეთის ურთიერთობის ადრეული საფეხურის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი ჩანს ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი სადაზოლებიანი იონიური კერამიკა. განსაკუთრებით მრავალია ამფორისა და ოინოხოიის ტიპის ჭურჭლის ნატეხები. იონიური ტიპის დოქების ყურის ქვედა ბოლო მიმაგრებულია გამობერილ ტანზე, ხოლო ზედა, კავისებურად მოხრილი ნაწილი, სცილდება რა პირის არეს, ზემოდანაა დაძერწილი პირის ქობაზე. ზედაპირი კარგადაა მოპრიალებული (ტაბV, 7). ბათუმის ციხის მასალებში მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის იონიური ჯამები თუ კილიკების ფრაგმენტები. ისინი წარმოდგენილია სწორი პირებით, ძაბრისებური ძირითა და ტანის ნატეხებით, რომელთა გარე ზედაპირი სადა ზოლებითაა მოხატული, შიდა – ლაკითაა დაფარული და მეწამული წითელი ზოლებით შემკული.

ბათუმის ციხის მასალების მიხედვით ჩანს, რომ ძვ.წ. VI ს. შუა ხანებიდან აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკის შემოტანას უკვე სისტემატური ხასიათი მიეცა.

შავლაკიანი კერამიკა. სადაზოლებიან იონიურ კერამიკასთან შედარებით ატიკური შავლაკიანი ნაწარმი წარმოდგენილია შავლაკიანი

ლეკანისა და კილიკის ნატეხების სახით. მსგავსი ნაწარმი აღმოჩენილია ციხისძირსა და ფიჭვნარში როგორც ნამოსახლარზე, ისე გვიანარქაული ხანის სამარხებში. როგორც ჩანს, ძვ.წ. VI ს. ბოლოდან ამ სახის საღვინე ჭურჭელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ფართოდ ვრცელდება.

სხვა სახის მასალები. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ქვის ნაკეთობანი, სჭარბობს შურდულის ქვები (ტაბ. VI, 2), ბადის საწაფები (ტაბ. VI, 5), სალესები (ტაბ. VI, 6), ხელსაფქვავები (ტაბ. VI, 3), ხუფები (ტაბ.VI, 4).

ყურადღებას იქცევს კაჟის ორფერდა ლამელა (ტაბ.VI, 1), აჩნია დამუშავების კვალი. იგი მსგავსია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მოპოვებული ლამელებისა (ნებიერიძე, 1978; გოგიტიძე, 1978). კაჟის დამუშავებული იარაღები ადრე წარმოებული გათხრების დროსაც იყო გამოვლენილი (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989, ტაბ. V, 1). ბუნებრივია ერთეული მონაპოვრების მიხედვით ამ მიდამოებში ქვის ხანის ადამიანის არსებობის პირობების შესახებ მსჯელობა ჭირს. იმედია, ძეგლზე სამუშაოების გაგრძელების შემდეგ მსგავსი სახის მასალა გამრავლდება, რაც სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

აღმოჩენილია, ასევე, მძივები (ტაბ. IV, 9). 2 ცალი. სფეროსებური. ცილინდრული ნახვრეტით.

ფეოდალური ხანის მასალები. ბათუმის ციხის არქეოლოგიური მონაპოვრის მნიშვნელოვან ნაწილს ფეოდალური ხანის მასალები შეადგენენ. ამ მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ბორცვზე და შემოგარენში ცხოვრება მეტ-ნაკლები ინტენსიურობით გრძელდებოდა ადრე, განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში. ამ ეპოქის მასალებში გამოირჩევა სამშენებლო კერამიკის – კრამიტებისა და აგურის ფრაგმენტები (ტაბ. VII/1).

ცალკე გამოიყოფა ბრინჯაოს ბალთა (ტაბ. VII, 2). როგორც ჩანს, იგი გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი განვითარებული შუასაუკუნეების ბალთების კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს (კახიძე, მამულაძე, 2004: 61, სურ. 42, 43).

საყოფაცხოვრებო კერამიკიდან ყურადღებას იქცევს დოქის ყელისა და კედლის ფრაგმენტები, ტუჩმილიანი დოქის მილის ნატეხი. ისინი XIV–XVI სს თარიღდება. მსგავსი დოქები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული გონიო-აფსაროსში. პარალელები ეძებნება როგორც საქართველოში, ისევე მის ფარგლებს გარეთაც (კახიძე, მამულაძე, 2004: 63-64. აქვე ლიტერატურა).

აღმოჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები. ესენი მწვანე ფერის ჭიქურითაა დაფარული. არის ჯამის კედლისა და ძირ-ქუსლის ნატეხებიც, აქვთ ტანისაგან გამოყვა-

ნილი რგოლისებური ქუსლი, ბრტყელი ძირი და გარეთკენ გაშლილი ტანი. ჯამის ფსკერზე დატანილია წრიული ზოლები, შერჩენილი აქვს თეთრი ანგობის კვალი. გადავლებული ჰქონია მომწვანო-მოყვითალო ფერის ჭიქური (ტაბ. VII, 3, 4). ბათუმის ციხის მსგავსი ერთფეროვნად მოჭიქული ჭურჭლები ანალოგიურია გონიო-აფსაროსში გამოვლენილი მოჭიქული კერამიკისა, რომლებიც ძირითადად XVI–XIX სს თარიღდება. მომდინარეობს თურქეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ადგილზევე ხდებოდა გარკვეული ნაწილის დამზადება (კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002: 45). ამავე პერიოდით თარიღდება მცენარეული ორნამენტით შემკული ფაიანსის ჯამის ფარგმენტიც (ტაბ. VII, 6), საერთოდ მსგავსი ნიმუშები უმთავრესად იზნიკისა და ქუთჰაიას სახელოსნო ცენტრებში კეთდება (კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002: 46). ამავე პერიოდისაა ყავისფერი გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტით შემკული ჩიბუხები (ტაბ. VII, 7). მოპოვებულია თანადროული რკინის ნალი (ტაბ. VII, 8) და ჭურვი.

არქეოლოგიური გათხრების გზით დასტურდება, რომ ბათუმის ციხე წარმოადგენს ბუნებრივ გორასამოსახლოს. აქ დასახლება ადრერკინის ხანიდან, კერძოდ, ძვ.წ. VIII-VII სს-დან იწყება. ირგვლივ ზღვითა და მდინარით დაცულ დასახლებას გააჩნია მეტად მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა. სწორედ ამიტომაც ათასწლეულების განმავლობაში იგი წარმოადგენდა ყოროლისწყლის ხეობის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობების ამსახველი უძველესი არქეოლოგიური მასალა სწორედ ამ ძეგლზეა დადასტურებული. ძვ.წ. IV-III საუკუნეებისათვის აგარასთან ერთად ბათუმისციხე წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წყაროებით ცნობილი საერთაშორისო ტრანსკავკასიური მაგისტრალისა, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს რიონ (ფაზისი)-ყვირილის, მდ. მტკვრის, კასპიისპირეთისა და შუა აზიის ანტიკური ხანის სახელმწიფოების გავლით აკავშირებდა ინდოეთთან.

ურბანიზებულ სამოსახლოს ბევრი გადაკეთება, თავდასხმა და რბევა განუცდია. ასეთად მიგვაჩნია ძვ.წ. VII ს-ის ბოლოსათვის იონიური კოლონიზაციის შედეგად გაჩენილი წვა-რბევის ამსახველი ნახშიროვანი შრე. განსაკუთრებით მძლავრი რბევა განუცდია გვიანშუასაუკუნეებისათვის. ამასვე გვიჩვენებს ახალი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ქვისა და რკინის ჭურვები. მიმდინარე წელს გამოიკვეთა ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე ამ ნგრევის ამსახველი სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგიტიძე, 1978: – გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, ბათუმი.

თავამაიშვილი, 1987: – თავამაიშვილი გ., *არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ქვიშაზვინულებზე,* სდსძ, XVI, ბათუმი.

კახიძე, 1971: – კახიძე ა., *კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან,* სდსძ, II, ბათუმი.

კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: – კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, სდსძ, XVIII, ბათუმი.

კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002: – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., *2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში,* გონიო-აფსაროსი, III, ბათუმი.

კახიძე, მამულაძე, 2004: – კახიძე ა., მამულაძე შ., *სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები,* გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი.

კახიძე, ვიკერსი, 2004: – კახიძე ა., ვიკერსი მ., კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ფიჭვნარი, I, ბათუმი-ოქსფორდი.

კახიძე, 2007: – კახიძე ა., ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლი), ფიჭვნარი, II, ბათუმი-ოქსფორდი.

კახიძე, ვაშაკიძე, 2010: – კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., ელინიზმი და კოლხეთი, ფიჭვნარი, III, ბათუმი-ოქსფორდი.

ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: – ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა., ძვ.წ. VI-IV სს კოლხური კერამიკა ვანიდან, ვანი, V, თბილისი.

მიქელაძე, 1974: – მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

ნებიერიძე, 1978: – ნებიერიძე ლ., დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი.

შანშაშვილი, 1998: – შანშაშვილი ნ., *კვირისტავის სემანტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში,* ძიებანი, I, თბილისი.

ფუთურიძე, 1983: – ფუთურიძე რ., *კერამიკული ტარა,* ვანი, V, თბილისი.

Брашинсий, 1984: – Брашинсий И., Методы исследования античной торговли, Ленинград.

Рубан, 1980 : – Рубан В., *О датировке Ягорлыкского поселения,* Исследования по античной археологии Северного Причерноморья , Киев.

Amiran Kakhidze, Nargiz Surmanidze, Tamar Shalikadze (Batumi, Georgia)

The New Archeological Excavations at Batumi Fortress in 2012

Summary

Batumi Fortress is one of the distinguished and specific landmarks among ancient settlements along the south-western coast of the Black Sea. The fortress is built on natural hill on the left bank of the Korolistskali River at the outflow of the Black Sea. The site is mentioned in dozens of ancient sources by Aristotle, Pliny, Arrian, Michael Panereto; there is also historiographic ancestry (by Kakhidze and Khakhutaishvili, 1989).

Wide archeological excavations were conducted on Batumi Mount and nearby area in 1960s. In 2012 there was decided to study ancient and late middle age layers along the eastern side of the trench based on early stratographic data. Archeological excavations revealed many artifacts. One should mention the leading portion of the pottery including Colchian pitchers with large mouth, long neck, wide-shoulder body and flat bottom. Most parts of the mouth, neck, shoulder and body are covered with different decors of vertical and horizontal stripes, meridian, direct or waved knobs, also horizontal and diamond-shape net relief rings engraved with cogged tool, etc; sometimes the bottom is cut with triple lines or cross-cuts – the so called net-ornament; some samples have sported ornaments as a décor.

It is obvious that Batumi Fortress used to be one of the biggest pottery centers throughout the eastern Black Sea littoral during Ancient and Classical eras.

Next notable samples are tuns. They are represented with parts of mouths, necks, bodies, and bottoms. Their decors are often similar to pitchers. It is possible to draw a line between chronological groups of pre-ancient and classical samples. The pre-ancient jugs could be called pot-jugs. The classical samples are represented with simple fragments.

Quite often specially rounded and comparably flat pieces, bottoms and flat cobble-stones were used as lids for pots and jugs at Batumi Fortress.

Single samples of Colchian table pottery, jugs with hands, Colchian cups, and bowls are found on wider areas.

Loom parts associated to family masters have been found; also horn-trays in honour of bull cult.

The archeological excavations at Batumi Fortress reveal rather interesting and distinguished samples of imported ceramics. It is particularly important that the Chian amphoras and simple horizontally stripped ionic ceramics (fragments of amphoras, oinochoe, pottery, jugs, bowls, and kylix) are also found there. The items are dated back to late 7th c BC and early 6th c BC. To date no similar imported items have been found on the sites along the lack Sea littoral. Some bowl based Thasian, Mende, and other fragments of uncertain amphoras dated back to later pe-

riods are found there. Attic black gloss ceramics are represented only with pieces of lekanis and kylix.

Bow stones, sharpeners, hand mills and lids are found among different items. There are found many samples of net plummets. Fishing used to be one of the leading branches of economy along with pottery. It is quite possible that fishing was so developed that locals exported fish during the ancient period.

Greater part of archaeological materials from Batumi Fortress is dated back to Midlle Age. According to the materials found it could be said that life was well-developed over the hill and nearby the fortress during Early, Middle, and Late Middle Ages. There should particularly be distinguished samples of constructing ceramics of that period, specifically tiles and brick fragments. A bronze clasp should be mentioned separately. It seems to belong ones dated back to developed Middle Ages and found at Gonio-Apsaros.

Jugs' neck, sides, enameled ceramics and faience fragments should be mentioned among commodity ceramics. Brown geometric or flora decorated pipes, an iron horse-shoe and shell are also dated back to the same period.

The archeological excavations prove that Batumi Fortress used to be a well developed settlement on a natural hill. Early settlements appeared from early Iron Age, particularly 8th-7th cc BC. The area protected by the sea and the river around had advantageous strategic location. Thus, the settlement was an economic, political, cultural, and religious center throughout the River Korolistskali Valley during the whole millennium. It should also be noted that the oldest archaeological material proving links to Greece are found exactly on the site throughout the South Caucasus.

During 4th-3rd cc BC Batumi Fortress together with Agara used to be one of the most important sites along the International Trans-Caucasian Route connecting ancient kingdoms along the Black Sea, the River Rioni-Kvirila, the River Mtkvari, the Caspian Sea, and Central Asia to India.

The urban settlements had been destroyed, reconstructed, sacked for many times. A coal layer dated back to late 7th c BC appeared due to ionic colonization. The layer proves existence of great fire and defeat especially in late Middle Ages. The fact is proved by stone and iron shells found during next excavations. Recently, there has also been found a wide picture of massive destroying on the north-western slope.

ტაბულების აღწერილობა

I. 1. ბათუმის ციხის ბორცვის ნიველირებისას შექმნილი პირველი გადმონაყარი დონე; 2. ციხის ნგრევისას გადმოყრილი ქვის წყობა.

II. ქვევრის პირ-კედლის ფრაგმენტები.

III. 1-3. ქვევრის პირ-კედლის ფრაგმენტები; 4. დერგის პირის ფრაგმენტი.

IV. 1. ზომორფული ქვევრის ყური; 2. ქოთნის პირ-ყურისა და ტანის ფრაგმენტი; 3-6. კოლხური სასმისები; 7. ყურმილიანი დოქის ყური; 8. კვირისტავი; 9. მინის მძივი.

V. 1-6. სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ამფორები; 7. იონიური ჭურჭლის კედლისა და ყურის ფრაგმენტები.

VI. 1. კაჟის ლამელა; 2. შურდულის ქვები; 3. ხელსაფქვავი; 4. ქვის ხუფები; 5. ქვის საწაფები; 6. ქვის სალესები; 7. სადგარი.

VII. 1.კრამიტი; 2. ბრინჯაოს ბალთა; 3-4. მოჭიქული ჯამის ძირ-კედლის ფრაგმენტები; 5. ქვევრის პირის ფრაგმენტი; 6. ფაიანსის ძირის ფრაგმენტი; 7. ჩიბუხი; 8. რკინის ნალი.

1

2

II

1 2 3 4 5 6 7 8

III

1

2

3

4

IV

1

2

3



4

5

6

7

8

9

V

1

2

3

4

5

6

7

VI



1 2 3 4 5 6 7

VII

1

2

3

4

5



6

7

8

Brian Gilmour
(Oxford, UK)
Nana khakhutaishvili
(Batumi, Georgia)
Nathaniel Erb-Satullo
(Harvard, USA)

ANCIENT METALLURGICAL INDUSTRY IN THE ADJARA MOUNTAIN REGION

1. Introduction

The organization of metal production and the processes of technological change are key areas of interest for archaeologists studying the Eastern Mediterranean and the Western Asia. Yet despite a number of theories about the reasons for the rise of iron production, many significant questions remain about technological and social changes occurring during this period.

Perhaps the single most significant reason for the lack of resolution on many of these issues is the absence of data on the technology and organization of metal production activities in the Late Bronze Age (LBA) and Early Iron Age (EIA). Investigations of LBA-EIA copper smelting are rare in Western Asia outside of a few well-studied regions such as Cyprus (Kassianidou, 2012, Knapp, 2012) and the Southern Levant (Barker, et al., 2007, Hauptmann, 2007, Levy, et al., 2012). For iron, the picture is even more sparse, with only one well-studied example of primary iron smelting, and a few more secondary iron smithing workshops, in the period before about 500 BC (Eliyahu-Behar, et al., 2008, Eliyahu-Behar, et al., 2012, Veldhuijzen and Rehren, 2007, Veldhuizjen, 2012).

Without evidence from primary production contexts for both iron and copper alloys, it is very difficult to test theories about how iron production emerged. Many argue that the relative organization and distribution of bronze and iron production varied in key ways, which made large-scale iron production more attractive than contemporary bronze production. Iron's geological ubiquity, contrasted with copper and tin's rarity in the earth crust, remains a significant feature of many explanations (Mirau, 1997:110-111), even if the hypothesis of a tin shortage driving the spread of iron has lost popularity (Muhly, 2003:180, Waldbaum, 1999:39). The assumption that the distribution of early iron production matched the geological distribution of ore ignores the human element of production. The landscape of technical knowledge and socio-technic practices likely had a huge influence on where and how iron production first emerged.

The western part of the Republic of Georgia, known in ancient times as Colchis, is an ideal place to investigate the relationship between bronze and iron production. Archaeological excavations and chance finds have yielded huge

numbers of metal artifacts, and the region is extremely rich in copper and iron ores (Gambaschidze, et al., 2001). Evidence of metal production occurs both in settlement sites (casting moulds and tuyères) (Mikeladze, 1990:26), and at dedicated smelting sites outside of settlements. Previous analyses of slags from Colchian metal production sites offer contradictory arguments about whether iron or copper were produced (Inanishvili, 2007, Nieling, 2009:257-259, Tavadze, et al., 1984).

In order to examine the organization and technology of LBA-EIA metal production, we have started a new field project to locate, map, and investigate new and previously-identified smelting sites. This paper focuses on the identification of metal smelting debris, and the reconstruction of the technology of metal smelting. The clarification of this production process is fundamental for further research for two reasons. First, by establishing the various activities which occurred at each site, we can gain a clearer picture of the organization of craft production. Spatial variations in resource acquisition and production practices may suggest varying practices across different communities, and may hint at the participation of distinct social groups in the production process.

Second, through a reconstruction of technological processes, we can investigate the ways in which metalworkers modified or preserved traditions of copper production in their first forays into iron smelting technology. Many scholars have proposed that early iron smelting developed from traditions of copper smelting (Charles, 1980:165-166, Gale, et al., 1990). Others have proposed that an elaborate and potentially conservative tradition of bronze production would have slowed the development of new iron technology (Japaridze, 1999:65). Testing these models requires accurate technological reconstructions and clear evidence for the contexts of different production activities. The goal of the present study is to determine what kinds of metal were produced at smelting sites in Western Georgia, identify the types of ores used, and reconstruct the practices used in the smelting process. This is a fundamental first step in the investigation of questions of economic organization, resource acquisition, and the social context of technological change.

2. Metal Smelting in South-Western Georgia

Hundreds of smelting furnaces have been reported in the region, some of which have been excavated (Gzelishvili, 1964, Khakhutaishvili, 1976, Khakhutaishvili, 2009, Khakhutaishvili, 2006, Khakhutaishvili, 2008). Most of the previous radiocarbon and paleomagnetic dates for these sites fall between c.1500-600 BC, with one or two sites attributed to the period of Greek colonization and influence (beginning c. 600 BC), and a few to the first half of the 2nd millennium BC (Khakhutaishvili, 2009:105-106). Ceramic evidence also suggests that most sites belong to the Late Bronze and Early Iron Age.

In two seasons of fieldwork, we have mapped over 50 smelting sites in the region. The main focus in these two seasons was the region of the Supsa and

Gubazeuli rivers, which yielded the oldest dates in earlier fieldwork (Khakhutaishvili, 2009:105-106). From a regional perspective, metallurgical activity was clustered in several production areas, probably due to a combination of the location of the necessary resources: ore, fuel, and clay. However, within these areas, metal production sites are quite dispersed. Previous excavations have shown that they generally consist of the one or two furnaces, a scatter of slag, and sometimes a small platform or table. Buildings or other habitation evidence have not been found in close proximity to these sites (Khakhutaishvili, 2009). While the size of each individual slag heap does not approach the massive scale seen elsewhere in the Near East (Levy, et al., 2004), in aggregate they represent an extensive landscape of production. Considering the extremely dense vegetation and the small size of the slag heaps, it is likely that the rough count of 400 sites mentioned by David Khakhutaishvili (2009:17), represents a lower bound for the actual number of sites in the LBA-EIA.

As the primary form of material culture found at smelting sites in Colchis, slags are crucial for reconstructing the kinds of activities occurring there. Detailed analysis of these materials can reveal the type of metal produced, the kinds of ores used, and can differentiate between secondary shaping (casting and forging) and primary smelting. Moreover, the examination of the mineral phases present in the slag can reveal the atmospheric conditions in the smelt, and help to reconstruct the smelting process.

The discussion about whether sites in western Georgia represent the remains of copper or iron production has centered around a limited number of chemical and microstructural analyses of the slags. Wüstite (FeO) and metallic iron are characteristic features of bloomery iron slags. Although copper smelting slags contain various iron oxides and occasionally metallic iron, they are clearly distinguished by the presence of copper-bearing phases.

The so called "military and road maps" of the world during the ages of the Roman Empire there were widely spread; however, only one of them is available at present. It is a parchment roll (6.82 m X 34 cm), which is known as the "Tabula Peuntengeriana." It is a copy of a 4th century Roman map made in the middle ages. Tabula is an important historical and geographical source, in particular, for researching Georgian, Laz and Iberian Kingdoms. At present we give special attention to a fragment of a large strategic road, which runs across province of Cappadocia (fig. 2). Argabes, Kissa, Apsaros – Portus altus – Apasidum (- um?) – Nigro – Pasin magistral SN line. Distances applied to the map are given in Roman miles, collation of those with Pliny, Arrian, Ptolemy data allows us to determine the location of these geographical points. Argabes, which nowadays is a small Turkish town called Archavi. Another town, Kis, is 11 miles (16.280 km) from Archavi. At present it is Hopa southern suburbs on a river with the exact same name where it is located an arched (24 m X 3 m) stone bridge. It was a road in the Tabula (in Laz - Kihingi) on the sea coast 2 km away from it. By our observances, the old road did not cross the coastal line like nowadays; it ran across the canyon located to the West of the Laz mountains (Pont ridge). Nowadays Apsaros is a Georgian settlement, which is persuasively confirmed by archeological data. Portus altus is 6 miles (8.800 km) away from present day Batumi. Its local name was conceived first by the Greeks, then by Romans (in their language). According to archaeological data, Portus altus was an important trade and economic centre, which should be investigated within the framework of a special state program, through international efforts. As to Apasidam, we may compare it to Kobuleti. While Nigro is a hydroname (Black Water in Georgian), which exist in suburbs of Poti at present. We believe that Phasis is to be sought in the suburbs of Poti. It was 22 miles (32.550 km) away from Portus altus.

სურათი 1.



სურათი 2.



სურათი 2ა.



რუსლან ბარამიძე
(ბათუმი, საქართველო)

მუსლიმთა სასულიერო სამმართველო ბათუმში* (1921-2004 წლები)

ნაშრომში წარმოდგენილია 1921-2004 წლებში მიმდინარე პროცესების გავლენა რელიგიურ სფეროზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისახებოდა ბათუმში განლაგებულ სასულიერო სამმართველოსა და მასზე დაქვემდებარებულ სტრუქტურაზე, რადგან ბათუმის მეჩეთი, ამავდროულად ამიერკავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლის (ყადის) რეზიდენციას წარმოადგენდა.

საბჭოთა პერიოდი რელიგიური ინსტიტუტების შეზღუდვით, რეპრესიებით და ახალი საბჭოური რიტუალების დანერგვით გამოირჩეოდა (გუგუტიშვილი, 1972; ნათმელაძე, 1993, თურმანიძე, 2012: 178-190, 383-396; ბარამიძე, 2008: 57-63). რელიგიური ორგანიზაციების კონტროლსა და მართვას მინისტრთა საბჭოებთან შექმნილი რელიგიურ საქმეთა საბჭოები ახორციელებდნენ (საბჭოთა.., 1982). ამიტომაც, სახელმწიფოებრივი ინტერესებით ბათუმის მეჩეთი ხელახლა გაიხსნა, თუმცა იქ მორწმუნეთა მოხვედრა მთელ რიგ შეზღუდვებთან და აკრძალვებთან იყო დაკავშირებული (პასპორტის ჩამორთმევა, შეზღუდვები გამშვებ პუნქტებზე, აღრიცხვა და ა.შ.) (ბარამიძე, 2008-2009). ამგვარად, სამუფთოში დაცული დოკუმენტებით ბათუმის ორთაჯამის მეჩეთი 1866-1935 წლებში უწყვეტად მოქმედებდა. 1935 წლიდან ის დაიკეტა და ძირითადად სამხედრო საწყობად გამოიყენებოდა. 1946 წლიდან მეჩეთი აღადგინეს (ბარამიძე, 2008: 164).

ამავდროულად, მაშინ როცა აჭარის სოფლებში ყველა მეჩეთი დაიხურა, გურიაში სოფელ ზოტისა და ჩხაკაურას მეჩეთები ფარულად ფუნქციონირებდნენ (ქართველი.., 2010: 27-31). ასევე არ გამქრალა რელიგიური პრაქტიკები და თავისებური ფორმით გრძელდებოდა ფარული წინადაცვეთის (რაც მუსლიმურ ნათლობად მიიჩნეოდა და ან საჯაროდ არ ცხადდებოდა, ან სრულდებოდა მეზობელ რეგიონებში), რელიგიური ქორწინებისა (მექორწინეების დასწრების გარეშე ოჯახის უფროსი წევრები ასრულებდნენ) და დაკრძალვების (შესაბამის ლოც-

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2012 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და მუსლიმური თემი საქართველოში“ ფარგლებში (საგრანტო ხელშეკრულება №12/48). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ვას ღამით ასრულებდნენ) შესრულება (ქართველი.., 2010: 102-103, 230). ამგვარმა ვითარებამ ხელი შეუწყო რელიგიური ტრადიციების ტრანსმისიას (ძირითადად ზეპირსიტყვიერი ფორმით) არა მარტო ისლამში, არამედ ქრისტიანობაშიც. ამიტომ 1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული რელიგიური გამოღვიძება ეყრდნობოდა სწორედ საბჭოთა პერიოდში შემონახულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და იმ პირებს, ვისაც მემკვიდრეობით გადაეცა შესაბამისი ცოდნა.

გარდაქმნის პოლიტიკას რელიგიური ჯგუფების გააქტიურება მოყვა. ამ პროცესს ადგილი ჰქონდა მუსლიმებშიც. დაახლოებით 1985-89 წლებში მორწმუნეები ადგილობრივ ორგანოებს საკულტო ნაგებობების აღდგენის მოთხოვნით მიმართავენ. ეს პროცესი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა.

1990-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნაციონალისტურ იდეებს. მზარდ როლს მართლმადიდებლობაც თამაშობდა. აჭარაში ამ ორ ფაქტორს ადგილობრივი სპეციფიკაც ახლდა, რაც 1990-იანი წლების საჯარო ნათლობებში გამოიხატა. მაგრამ აჭარაში ადგილობრივი ხელისუფლების განმტკიცებამდე, 1990-იანი წლების დასაწყისში, მოსახლეობის გამოსვლების დროს, ა. აბაშიძის მხარეს მუსლიმი სასულიერო პირების ნაწილი დადგა, რითაც მნიშვნელოვანი მხარდაჭრა და დახმარება აღმოუჩინა. საყურადღებოა, რომ აჭარის ხელისუფალთა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ბათუმში სამუფთოს შექმნის ხელშეწყობა იყო (მანამდე სასულიერო ხელმძღვანელობას ყადი დ. გობაძე ასრულებდა). ამას მოკლე დროში მუფთის ცვლილებაც მოყვა და მუფთ ავ. აბაშიძეს თანამდებობაზე მ. ქამაშიძე ცვლის (ქართველი.., 2010: 463-464). პროცედურულად, რადგან სამუფთოს არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი ჩარჩო, მუფთის ცვლილება ბათუმის მეჩეთის მეჯლისის სხდომაზე, ხელისუფლების ინტერესის გათვალისწინებით მოხდა. ამგვარი შეთანხმება მოგვიანებით თავის გამოხატულებას სასულიერო პირების მხრიდან ხელისუფლების მხარდაჭერაში გამოიხატა. ხელისუფლება ამ რესურსით ძირითადად საარჩევნო პროცესების დროს სარგებლობდა, როცა განსაკუთრებული აფიშირების გარეშე გამორჩეული და პატივცემული სასულიერო პირები ატარებდნენ წინასაარჩევნო შეხვედრებს მორწმუნეებთან. მეორე მხრივ, 1993 წლამდე, ანუ სანამ ქვეყანაშიც დაიძლეოდა პოლიტიკური კრიზისი, დასავლეთ საქართველოში 68 სხვადასხვა ტიპის მოქმედი საკულტო და სასწავლო ნაგებობა აიგო. ამ პროცესში ფორმალური სახე ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას (დასტურდება წერილები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების სახელზე შენობის გამოყოფის ან ადრე არსებული მეჩეთის აღდგენის მოთხოვნით). ხელისუფლების წარმომადგენლები მოთხოვნილ შენობებს ძირითადად, უპრობლემოდ გადასცემდნენ მორ-

წმუნებს, რადგან ყოფილი მეჩეთების დიდი ნაწილი, ისევე როგორც სხვა მოთხოვნილი შენობები საწყობებად, მაღაზიებად, კულტურულ ან ადმინისტრაციულ შენობებად გამოიყენებოდა და ამ დროისათვის მიტოვებული იყო. მორწმუნეებს მხოლოდ რამდენიმე შენობა არ გადაეცა (პოლიციის შენობა მუხაესტატეში, ქობულეთის კინოთეატრი და ა.შ.). ამოქმედებულ ნაგებობებიდან 19 ძველი მეჩეთი იყო, ხოლო 12 მიტოვებული სამეურნეო და ადმინისტრაციული შენობების ბაზაზე გაკეთდა. ამ პერიოდში მოქმედებას იწყებს 20 სასულიერო სასწავლებელი (როგორც მეჩეთთან, ისე დამოუკიდებელ შენობაში). ამათგან 1 შენობა წარსულში სასულიერო სასწავლებელი იყო (ბარამიძე, 2008-2009). აქ ყურადღება ორ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ. პირველი, ამ პერიოდში თანდათანობით იზრდება იმ ახალგაზრდათა რიცხვი, ვინც სხვადასხვა ქვეყანაში მიემგზავრება რელიგიური განათლების მისაღებად. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით იქმნება სპეციალური საინფორმაციო ბაზა, რომელიც ჯერ რამდენიმე პირის, შემდგომ კი ბათუმის მეჩეთის მეშვეობით ვრცელდებოდა. ამ ბაზაში შეტანილი იყო ის უცხოური სასწავლებლები (თავისი მოთხოვნებით), სადაც საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ განათლების მიღება (უმეტესად უფასოდ). ძირითადად ეს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დონისა და ტიპის სასწავლებლები იყო (ყურან–კურსები თუ უმაღლესი სასწავლებლები, სადაც მსურველებს შეეძლოთ ერთდროულად საერო პროფესიის და რელიგიური განათლების მიღება).

მეორე, იწყება სასულიერო პირებში სამი ჯგუფის გამოყოფა: ზეპირსიტყვიერი ისლამის მიმდევრები, ადაპტირებული პრაქტიკის მიმდევარი მუსლიმები და ახალგაზრდა მუსლიმები (ქართველი.., 2010: 474-478).

1994-2000 წლები პოლიტიკური რეჟიმების განმტკიცებითა და გაძლიერებით გამოირჩეოდა. ეს ეხება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას. პარალელურად იზრდებოდა საზოგადოებრივ პროცესებში და საჯარო მოვლენებში რელიგიის წარმომადგენელთა მონაწილეობა. კერძოდ, საპატრიარქოს წარმოამდგენლები სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ საჯარო ღონისძიებებში (მაგ. იხ: ბარამიძე, 2012: 177). იწყება აქტიური მსჯელობა თუ რა როლი და ადგილი უკავია ე.წ. ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიებს სამოქალაქო საზოგადოების, ქართველი ერისა და სახელმწიფოს მშენებლობა-განტკიცების საქმეში. კონფლიქტურ სახეს ღებულობს ურთიერთობები არატრადიციული რელიგიის მიმდევრებთან.

ამ პერიოდში გამოიყოფა სამი მომენტი. პირველი, უცხოეთში მუსლიმური რელიგიური განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდების რაოდენობა არ კლებულობს, მაგრამ იკვეთება ახალი ტენ-

დენცია – მაღალი დონის სასწავლებლებში წასვლის რეკომენდაციას აძლევენ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ უნარი კვალიფიციური რელიგიური განათლება მიიღონ.

მეორე, თანდათან მატულობდა ახალგაზრდა სასულიერო პირების რიცხვი, რაც მათი თვითრეალიზაციის საჭიროებას წარმოშობს. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში დამატებით 115 სხვადასხვა ტიპის მუსლიმური ნაგებობას შეეხო ცვლილება. მათგან 114 შენობა ხელახლა აიგო ან გადაკეთდა, ხოლო 1 რელიგიური სასწავლებელი აღდგა წარსულში არსებული შენობაში. ახლად ამოქმედებულ ნაგებობებიდან 45 სასულიერო სასწავლებელია. ქვეყანაში ასევე მოქმედებას იწყებენ არასამთავრობო ორგანიაციები, რომლებიც პანსიონატების ტიპის სასულიერო სასწავლებლებს ხსნიან. 2000 წლამდე ამგვარი 3 პანსიონატი ამოქმედდა (ბარამიძე, 2008-2009).

და მესამე, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში გავრცელებულია მეცხოველეობასთან დაკავშირებული ნახევრადმომთაბარე ცხოვრების პრაქტიკა, რაც ზაფხულში საქონლის სუბალპურ და ალპურ მდელოებზე (იაილებზე) გარეკვას გულისხმობს (შამილაძე, 1969). 1994-2000 წლებში იაილებზე 25 სეზონური სამლოცველო იხსნება.

2000-2004 წლები პოლიტიკური რეჟიმების შესუსტებით და შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობების ზრდით გამოირჩევა. აქტიურ სახეს იღებს წინააღმდეგობა ე.წ. არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების მიმართ. გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობაში მატულობს საპატრიარქოსა და პატრიარქის ნდობის ხარისხი, რაც საბოლოოდ კონსტიტუციურ შეთანხმებაში გამოიხატა.

საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი რეგიონისა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დაძაბულობის ზრდით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში ხშირად ვრცელდებოდა ცნობები, თუ როგორ უწყობდა ხელს აჭარის ხელმძღვანელობა მუსლიმებს და მეჩეთების აღდგენა-აგებას. ა. აბაშიძე ხშირად სტუმრობდა მეჩეთებს და ხვდებოდა მრევლს, თუმცა ამ შეხვედრებს არ მიუღია რაიმე ტრადიციის სახე. ამავდროულად, აჭარის ლიდერი არანაკლებ ყურადღებას სხვა რელიგიურ მიმართულებების, განსაკუთრებით, მართლმადიდებლების მიმართ იჩენდა. საყურადღებოა, რომ მუსლიმთა ნაწილი, განსაკუთრებით თურქეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები თვლიდნენ, რომ ა. აბაშიძე თავისი მმართველობის წლებში მნიშვნელოვნად ზღუდავდა მუსლიმებს. ამ ახალგაზრდების ნაწილმა რელიგიურ განათლებასთან ერთად სოციალური აქტიურობისათვის საჭირო ცოდნაც მიიღეს. ამიტომ ისინი აქტიურად ერთვებიან მიმდინარე პროცესებში, მონაწილეობენ სხვადასხვა აქციებში. 2004 წელს ბათუმში მიმდინარე საპრო-

ტესტო აქციას სასულიერო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა სასულიერო პირთა ნაწილი შეუერთდა. ისინი ასევე სამუფთოში ცვლილებებს და მოქმედი მუფთის ცვლილებას ითხოვენ. ახალგაზრდა მუსლიმთა მეორე ნაწილის აქტიურობას ზოტში ახალგაზრდა და ასაკოვან მუსლიმებს შორის კონფლიქტი და მეორე მეჩეთის აგება მოჰყვა (ქართველი.., 2010: 477). სხვა ადგილებში ახალგაზრდა და ასაკოვან სასულიერო პირებს შორის თანაცხოვრება კონფლიქტებს გარეშე მიმდინარეობდა.

ამ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში 29 სხვადასხვა ტიპის შენობას შეეხო ცვლილება. მათ შორის 11 მეჩეთი, 12 მედრესე და 5 პანსიონატი ამოქმედდა. საყურადღებოა, რომ შენობების დიდი ნაწილი კაპიტალური სახისაა (ბარამიძე, 2008-2009).

ამრიგად, ქართველ მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს ცენტრი ბათუმში იყო წარმოდგენილი. სამმართველოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება მნიშვნელოვნად იყო გადაჯაჭვული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. ამის შედეგად იცვლებოდა როგორც მუსლიმთა სამმართველო, ისე მუსლიმური საკულტო ნაგებობები, განათლებულ სასულიერო პირთა რაოდენობა, მათი გავლენა და მონაწილეობა როგორც მუსლიმურ თემში, ისე ბათუმში მიმდინარე პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარამიძე, 2008: – ბარამიძე რ., ისლამი და მუსლიმები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტები), საკვალიფიკაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი.

ბარამიძე, 2008-2009: – ბარამიძე რ., დასავლეთ საქართველოს მეჩეთების აღწერის საველე მასალები, 2008-2009.

ბარამიძე, 2012: – Baramidze R., *April 9, 1989 as a Site of Memory: The Policy of Commemoration and History Teaching in Georgia*, The South Caucasus and Turkey: History of the 20th Century, Tbilisi.

გუგუტიშვილი, 1972: – გუგუტიშვილი მ., ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,-საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.

თურმანიძე, 2012: – თურმანიძე ო., *მასობრივი რეპრესიები XX საუკუნის 30-იან წლებში*, სდსინ (აჭარა), IV, ბათუმი; **მისივე,** *ახალი პოლიტიკური რეპრესიები და მოსახლეობის დეპორტაცია XX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს,* სდსინ (აჭარა), IV, ბათუმი.

ნათმელაძე, 1993: – ნათმელაძე მ., დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1945 წლებში), თბილისი.

საბჭოთა.., 1982: – საბჭოთა საკანონმდებლო სახელმძღვანელო დოკუმენტებისა რელიგიური კულტების დარგში (სამსახურეობრივი სარგებლობისათვის), თბილისი.

ქართველი.., 2010: – ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი.

შამილაძე, 1969: – შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა), თბილისი.

Ruslan Baramidze (Batumi, Georgia)

Muslim Religious Organization in Batumi (1921-2004)

Summary

The materials presented in this work reflect the important elements of the influence political processes on Muslim Community. The muslim religious system from the Russian Empire period is characterized by a rather distinct and organized structure, whereas great attention was paid on the kind of attitude they had towards the government and authority. Starting with the Soviet period, changes taking place in religious structure were followed by the reorganization of the Caucasian Muslim management. This, in turn, was followed by moving the centre from Tbilisi to Baku. At this period in Adjara, the main power was accumulated in the hands of Kads. After the Georgian independence, a new management was formed in Batumi. The new managements was headed by Muft. In 2004, the Muft management adopted certain regulations and introduced a new scheme of management guidalines. From 1921 to 2004 political actors have tried to have impact on the muslim community.

ოთარ გოგოლიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს

ცარიზმის მმართველობის პერიოდში ქალაქ ბათუმისათვის განსაკუთრებით მშფოთვარე და დაძაბული იყო 1905 წელი. ქალაქში 1900 წელს დაწყებული მუშათა დემონსტრაციები, გაფიცვები და გამოსვლები, რომელთაც ტონს აძლევდნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები კულმინაციას აღწევს 1905 წელს.

იმ დროისათვის ეთნიკურად და სოციალურად ჭრელ ქალაქში არსებობდა რუსეთის იმპერიის მასშტაბით საკმაოდ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები.

ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ორგანიზაციული სიძლიერისა და მოსახლეობაში გავლენის მიხედვით, ბათუმში 1905 წელს არსებული პოლიტიკური სპექტრი.

ისტორიოგრაფიული, საარქივო და სამუზეუმო მასალებიდან ირკვევა, რომ 1905 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი ორი ფრაქციით მენშევიკებით და ბოლშევიკებით, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, ანარქისტული პარტიის პატარა ჯგუფი, სომხური პოლიტიკური პარტიები „დაშნაკცუტიუნი", „ჰნჩაკი", „დროშაკი", ებრაული პოლიტიკური ორგანიზაცია „ბუნდი", რუსული ულტრანაციონალისტური პარტია „რუსი ხალხის კავშირი".

პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების შედეგად 1905 წელს ბათუმში ფაბრიკა--ქარხნების უმრავლესობა დაიხურა, ვაჭრობა ჩაკვდა, დაცარიელდა ნავსადგური და მაღაზიები, ნავთობი იშვიათ შემთხვევებში იგზავნებოდა გემებით უცხოეთში, შეწყდა სამგზავრო რეისები, მოიშალა რკინიგზის მუშაობა. რევოლუციურ პოლიტიკურ პარტიებს მიტმასნილი ნაძირალები ეწეოდნენ ფულის გამოძალვასა და მოსახლეობის დატერორებას (სდსინ, 2008: 327).

1905 წელს ბათუმში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ფრაქციულ დისკუსიებში იყვნენ ჩაფლული (საქართველოს ისტორია, 2003: 27).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში იმ დროს ათასხუთასამდე წევრი ირიცხებოდა (ახვლედიანი, 1987: 33).

ფრაქციულ დისკუსიებში 1905 წლის აპრილამდე დომინირებდნენ ბოლშევიკები, ხოლო აპრილის ბოლოს ბათუმში ჩატარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის არჩევნები, რომელიც უაღრესად დაძაბული სიტუაციაში მიმდინარეობდა. ბათუმში ჩამოვიდნენ ნოე რამიშვილი და იოსებ ჯუღაშვილი, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში უშედავათო დებატები გამართეს ქალაქის მუშათა კლასის კრებებზე. შიდაპარტიული დისკუსია ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა (შარაძე, 1994: 42). მენშევიკების გამარჯვება ბათუმის კომიტეტში აშკარა გახდა ნოე ჟორდანიას ჩასვლის შემდეგ, რომელიც ბათუმში ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. ბათუმის ათასხუთასკაციანმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით აირჩია შვიდკაციანი მენშევიკური კომიტეტი (გურული, ვაჩნაძე, 1999: 193-194).

1905 წლის აპრილიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ მიიღო მენშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები.

მენშევიკური ბათუმის კომიტეტი კარლო ჩხეიძის ხელმძღვანელობით (რომელიც კომიტეტში არ იყო არჩეული მაგრამ მათ აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა) წინა პლანზე აყენებდა მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების აუცილებლობას მთავრობის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე, უპირისპირდებოდა ბოლშევიკების მოთხოვნას შეიარაღებული აჯანყების დაწყების თაობაზე. 1905 წლის აპრილიდან ბათუმში მიმდინარე პროცესებმა ნათლად წარმოაჩინა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპულარობა.

პოლიტიკურმა ტერორმა რუსეთის იმპერიაში იმ დროს მაღალ დონეს მიაღწია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც ტერორით ცდილობდა ხელისუფლების დეზორგანიზაციას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში ტერორისტული სისტემის მიმართ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობდა. მენშევიკები უარყოფდნენ ტერორის ამოქმედებას, ხოლო ბოლშევიკები მას მიიჩნევდნენ მიზნის მიღწევის უალტერნატივო საშუალებად (გიორგაძე, 1928: 558).

მიუხედავად ფრაქციების განსხვავებული შეხედულებისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ 1905 წლის განმავლობაში მოაწყო 30-ზე მეტი ტერორისტული აქტი ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ (Чулок, 1970: 144). სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ რევოლუციის აღმავლობის წელს (1905) „ბარცხანის გუბერნატორის“ ხელმძღვანელობით ბათუმში მოაწყო 25

იანვრის, 20 თებერვლის, 8 მაისის, 23 ოქტომბრის მუშათა მიტინგები და 28 ნოემბერ-1 დეკემბრის შეიარაღებული გამოსვლა კაზაკებისაგან ქალაქის დასაცავად (თუმცა 28 ნოემბერ-1 დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება ინტერპარტიული ხასიათის იყო) (ცქვიტარია, 1959: 173).

1904 წლის ზაფხულში ბათუმში ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სვიმონ მდივანი, მემედ აბაშიძე, პარმენ საბაშვილი, ვასილ წერეთელი, ზია აბაშიძე და სხვები (კომახიძე, 1993: 15).

1905 წელს ისინი ბათუმში გამოსცემდნენ გაზეთ „გოლოს ბათუმას" (გოგოლიშვილი, 1994: 13-14).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიუროსთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ნესტორ კალანდარიშვილი, გრიგოლ ქიქოძე და სევასტი ჭელიძე (მახარაძე, 1929: 377).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია სოციალ-დემოკრატების შემდეგ ბათუმში 1905 წელს ყველაზე მძლავრ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა (შველიძე, 1993: 294).

1905 წლის რევოლუციის დროს ბათუმში ოპოზიციის მიერ ჩატარებულ მიტინგებზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორატორი იყო სოციალისტ-ფედერალისტი სვიმონ მდივანი (კლდიაშვილი, 1984: 140-141).

1905 წლის 15 ნოემბერს ოდესიდან ბათუმში ჩამოასვენეს რუსი შავრაზმელების მიერ მოკლული მეცნიერი საბა კლდიაშვილი. „აზიზიეს" მოედანზე ჩატარდა გრანდიოზული ანტისამთავრობო დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო (მახარაძე, 1929: 380-381).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო ემხრობოდა ცარიზმის წინააღმდეგ დემონსტრაციებისა და მიტინგების ჩატარებას, თუმცა მათ სამოქმედო არეალში ასევე შედიოდა ტერორისტული აქტების განხორციელებაც. მაგალითად, ბათუმში ხშირად ჩამოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტი ტერორისტი ძმები ქიქავები, რომლებმაც რამდენჯერმე განახორციელეს ტერორისტული აქტი ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკთა წინააღმდეგ (Чулок, 1970: 13).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 29 ნოემბერ – 1 დეკემბრის შეარაღებულ გამოსვლაში. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა 400-კაციან შეიარაღებულ რაზმს, რომელიც ჩადგა ბათუმის ქუჩებში ბათუმელების ჯარისკაცებისა და კაზაკებისაგან დასაცავად („ცნობის ფურცელი", 1905: №2968).

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი დაარსდა 1904 წელს. მას ჰქონდა არალეგალური სტამბა. კომიტეტში გაწევრიანებული იყვნენ ინტელიგენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ორგანიზებას, თუმცა მათი გავლენა ბათუმის მოსახლეობაზე 1905 წლისათვის სუსტი იყო (მახარაძე, 1929: 374).

1905 წლის იანვარში სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტში იყვნენ საკარა (კომიტეტის ხელმძღვანელი), შტიმპელი, მიხაილოვი, გინკულოვი, ფეფელოვი (მახარაძე, 1929: 376).

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტს ჰყავდა ტერორისტთა რაზმი, რომელიც შედგებოდა კრიმინალური ელემენტებისაგან. ისინი ასრულებდნენ კომიტეტის დავალებებს ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

1905 წლის 30 აგვისტოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი ორასი მომხრით გაემგზავრა ქობულეთში და რკინიგზის სადგურში ჩაატარა მიტინგი ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლების მოწოდებით (აცსა, ფ. 1, ს. 17, ფურც. 23-24).

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიაში სამი მიმართულება გამოიკვეთებოდა: ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, დემოკრატიული წყობილების ფორმირება, კერძო საკუთრების დომინანტი. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა პოლიტიკური პარტია ვერ ჩამოაყალიბეს, მაგრამ საქართველოში 1905 წელს არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ჯგუფები, რომლებიც ბათუმში თავს იყრიდნენ ივანე ანდრონიკაშვილის, ივანე მესხის და გრიგოლ ვოლსკის გარშემო („ივერია", 1905: №21).

1905 წელს ქალაქში გახშირებული უწესრიგობების გამო ივანე ანდრონიკაშვილი და მისი ჯგუფი თვითმმართველობის ეგიდით თხუთმეტჯერ მიმართავენ ბათუმის გენერალ-გუბერნატორს ჯარისა და კაზაკების უმსგავსო მოქმედებების აღკვეთის შესახებ („ცნობის ფურცელი", 1905: №2968).

ბათუმის ქალაქისთავმა ივანე ანდრონიკაშვილმა 1905 წლის 2 მარტის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა საკუთარი აზრი ცარიზმის „დამყარებული სახელმწიფო წყობილების" შესაცვლელად. მან ხელისუფლებისაგან მოითხოვა სიტყვის, სინდისის, სარწმუნოების, კრებების, პრესისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებები („ივერია", 1905: №21).

1905 წელს ბათუმში არსებობდა ანარქისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. გვაზავა, ი. სიხარულიძე, ი. დიხამინჯია, ს. გამსახურდია. ბათუმელი ანარქისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრებს ყაჩაღებს უწოდებდნენ, რის გამოც ხშირად იმართებოდა მათ შორის არა მარტო დისკუსიები, არამედ ხელჩართული ჩხუბიც (გოგოლიშვილი, 1994: 32).

ბათუმში 1905 წელს ფუნქციონირებდა სამი სომხური პოლიტიკური პარტია: „დაშნაკცუტიუნი", „დროშაკი" და „ჰნჩაკი". ბათუმში იმ დროს ცხოვრობდა დაახლოებით 30 ათასამდე კაცი, მათ შორის 5200 სული სომეხი, რაც შეადგენდა მოსახლეობის 17% (სიჭინავა, 1958: 115). ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბათუმელი სომხების უმრავლესობა „დაშნაკცუტიუნს" უჭერდა მხარს, შემდეგ „ჰნჩაკი" მოდიოდა, ხოლო ბოლოს „დროშაკი" (ასმხფ, ს. 1520, ფურც. 18-20).

„დაშნაკცუტიუნის" პოლიტიკური ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმში მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რის გამო ხშირად ჩამოდიოდნენ პარტიის ლიდერები სტეფანე ზორიანი და ანდრანიკ ოზანიანი (ჩაჩხიანი, 2007: 90).

1905 წელს „დაშნაკცუტიუნის" ბათუმის კომიტეტში შედიოდნენ: სარიბეკ არუთიუნიანი (თავმჯდომარე), სუმბათ არუთიუნიანცი, არზუმან ავაკოვი, გრიგოლ დანიელოვი, პარინ დარმანიანი, გრაცია ადამიანცი, ქრისტეფორე დანიელიანი (მახარაძე, 1929: 377).

1903 წელს ბათუმში დაარსდა ებრაული პოლიტიკური პარტია „ბუნდი", რომლის შემადგენლობაში ებრაელი მუშები იყვნენ გაერთიანებული (ასმხფ, ს. 1520, 18).

1905 წელს „ბუნდის" ლიდერები ბათუმში იყვნენ: დინინი (თავმჯდომარე), ჩერტკოვი, შმაევსკი, ფეიგინი, გერტზონი, ჩერელკინი (მახარაძე, 1929: 377).

1903 წლიდან ბათუმში მოქმედებდა რუსული პოლიტიკური ორგანიზაცია „რუსი ხალხის კავშირი". ეს იყო ტიპიური ნაციონალისტურ-შოვინისტური პარტია, რომლის წევრები ცდილობდნენ გაეღვივებინათ შუღლი ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის. ისინი განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ ქრისტიანი ქართველების მიმართ (ასმხფ, ს. 1520, 18).

1905 წლის იანვარ-მაისისა და ოქტომბერ-დეკემბრის ბათუმის რევოლუციური პროცესების ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები. ეთნიკური და სოციალური სიჭრელე ბათუმში განაპირობებდა სხვადასხვა ეროვნული და სოციალური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასმხფ, ს. 1520 – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე №1520.

აცსა, ფ. 1, ს. 17 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქმე №17.

ახვლედიანი, 1987: – ახვლედიანი ხ., 1905-1907 წლების რევოლუციის გამოძახილი აჭარაში, ბათუმი.

„ივერია", 1905: – გაზ. "ივერია", 1905, 6 მარტი, №21.

გიორგაძე, 1928: – გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველი რევოლუციამდე (1861-1905), თბილისი.

გოგოლიშვილი, 1994: – გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907) თბილისი.

გურული, ვაჩნაძე, 1999: – გურული ვ., ვაჩნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია, თბილისი.

კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

კომახიძე, 1993: – კომახიძე თ., მემედ აბაშიძე, ბათუმი.

მახარაძე, 1929: – მახარაძე ფ., ამიერკავკასია 1905 წელს, თბილისი.

საქართველოს ისტორია, 2003: – საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი.

სდსინ, 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა, III, ბათუმი.

სიჭინავა, 1958: – სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

შარაძე, 1994: – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. III, თბილისი.

შველიძე, 1993: – შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, თბილისი.

ჩაჩხიანი, 2007: – ჩაჩხიანი არჩ., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი.

„ცნობის ფურცელი", 1905: – გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905, 4 დეკემბერი, №2968.

ცქვიტარია, 1959: – ცქვიტარია პ., აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914), ბათუმი.

Чулок, 1970: – Чулок И., Очерк истории Батумской коммунистической партии, Батуми.

Otar Gogolioshvili (Batumi, Georgia)

Social and Political Situation of Batumi in 1905

Summary

In 1905 in Batumi was functioning Russian Social Democratic Working Class Committee of Batumi, Socialist- Federalist Party Batumi Bureau, Social Revolutionary Party Batumi Committee, Group of National Democratic Movement, Anarchists Small Group, Armenian Political Parties 'dashnaktsution', 'Hachaki', 'Droshak', Jewish political Party 'Bundi' and Russian Ultra National Chauvinistic Party 'Union of Russian People'.

Among these political Parties in Batumi, The most influential was RSDWP Batumi Committee, which was divided into two factions.

Social Democratic Party Batumi Committee was the current revolutionary processes main ruling Opposition Political party in Batumi, in 1905.

Among the Georgian Political parties at that time in Batumi existed Socialist Federalist Party Batumi Bureau.

It could not have been formed like political party, but in Batumi functioned the group of national democrats leaded by Ivane Andronikashvili holding the same views as Ilia Chavchavadze .

Socialist Revolutionary Organization Batumi Committee influence at that time was insignificant.

In Batumi was also functioning Anarchist Small Group.

Armenian population interests in Batumi protected Political parties 'Dashnaktsutian', 'Hachaki", 'Droshak'.

From 1903 in Batumi existed Jewish political organization 'Bundi'.

A Tsarism interest in Batumi, in 1905 was protected by Ultra National Chauvinistic Party, 'Union of Russian People'.

ბიჭიკო დიასამიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი-ყარსის გზის მშენებლობის შესახებ
(XIX საუკუნის 60-70-იანი წლები)

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, 1872 წლის ზაფხულში, ინგლისის კონსული ტრაპიზონში ვილიამ ჯიფორდ პალგრევი, რომელმაც ფეხით მოიარა ტრაპიზონის ვილაეთის ყველა სოფელი თუ ქალაქი, თავის ანგარიშში ასე ახასიათებდა ქალაქ ბათუმს: „ოცი წლის წინ ქალაქი ბათუმი პატარა დასახლება იყო, მაგრამ შავ ზღვაზე რუსეთის სანაოსნოს ჩამოყალიბების, აგრეთვე ფოთის სიახლოვით, მან სავაჭრო მნიშვნელობა მოიპოვა და ზოგი თვისებით ამ ნაპირის სხვა ნავსადგურებზე უფრო მნიშვნელოვანი გახდა... სიპატარავის მიუხედავად, ნავსადგური მშვენიერია და დაცულია ქარებისაგან... ნავმისადგომი თვით ნაპირზეც ღრმაა, ღუზის გასაჩერებელი კარგია“ (პალგრევი, 2012: 80-81). მისივე თქმით, ბათუმის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ქერჩიდან სურმენემდე და სინოპამდეც კი, რამდენიმე ასეული მილის მანძილზე, სანაპიროს არ გააჩნია ისეთი მისადგომი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გემების შეუფერხებელი დატვირთვა და გადმოტვირთვა ყოველგვარ ამინდში (გვ. 82). მისივე თქმით, ბათუმის საბაზრო მოედანზე ამ დროს 385 დუქანი იდგა, სულ ქალაქში კი 246 სახლი იყო ხუთათასამდე მცხოვრებით. თურქეთის ხელისუფალთა „ზრუნვა” ქალაქისადმი იმაში გამოიხატა, რომ ბათუმის გასამაგრებლად... „ნავმისადგომის დასავლეთ მხარეს შენდებოდა 80 ზარბაზნიანი უზარმაზარი ბატარეა. მეორე ასეთივე ბატარეა აშენდა ნავმისადგომის სამხრეთ მხარეს. მესამე კი დაპროექტებული იყო აღმოსავლეთის მხარეს ნავმისადგომის შესასვლელთან (გვ. 83).

თურქეთის ხელისუფლების მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაკარნახევი იყო იმ დროის მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი...) განსაკუთრებული დაინტერესებითა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმით შავი ზღვის სრუტეების, მისი ჩრდილო და აღმოსავლეთის სანაპიროების ხელში ჩასაგდებად (ვაჩნაძე, გურული, 2007). თურქეთს მარტო ბოლო 50 წლის მანძილზე სამი დიდი ომის გადახდა მოუწია რუსეთთან (1806-1812 წწ.; 1828-1829 წწ.; 1853-1856 წწ.) და ყველგან ბათუმის საკითხი ერთ-ერთ მთავარ და მწვავე პრობლემებად ითვლებოდა. ჯერ კიდევ 1804 წელს გენერალი პავლე ციციანოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს (ჩორტოროცკი) წერდა: „ბათუმი და ანაკლია ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოსო“ (მეგრე-

ლიძე, 1956: 22), ხოლო 1828-29 წლების ომის ბოლოს ნიკოლოზ პირველის დირექტივა ყოფილა თურქეთის კონტრიბუციის ნაწილი შეეცვალათ ტერიტორიების დათმობით აზიაში. „ბათუმი და ყარსი, – უთქვამს მეფეს, ღირს იმად, მათთვის გავწიროთ რამდენიმე მილიონი" (Потто, 1908: 43). თურქეთი რუსეთთან ახალ ომს ელოდებოდა, რადგან ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ რუსეთი რევანშისთვის ემზადებოდა. ასეთ პირობებში თურქეთს არ ეცალა იმისათვის, რომ ეზრუნა დაპყრობილი ხალხების და ტერიტორიების ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამიტომაა რომ 1872 წელს ფოთიდან გემით ბათუმში ჩამოსული ცნობილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე ქალაქს ასე წარმოგვიდგენს: „ვიწრო ტალახით სავსე ქუჩები, სადაც ზამთარ-ზაფხულ სიმყრალის სუნი იდგა და გამვლელ-გამომვლელს „ზაფრით და სუნით გულს უკლავდა". ქალაქი ერქვა ასიოდე უბადრუკ სახლსა და ქოხს, რომელთა ნაწილი ფიცრული იყო, ნაწილიც დაბწინილი და შეტკეცილი. გამონაკლისი იყო ორიოდე ქვითკირის შენობა (ნიკოლაძე, 1963: 76).

ბათუმის ზრდა-განვითარება ბევრად იყო დამოკიდებული მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი პირობების, მოხერხებული და ღრმა ნავსადგურის გონივრულ გამოყენებაზე. „მარტო ზღვასთან მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, – წერდა 1878 წელს ცნობილი სამხედრო კორესპონდენტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ფრენკელი, – რომელიც შეიძლება შეუერთდეს ტფილისსა და ბაქოს ერთი მხრივ, ყარსს (ჩვენ ახალ ბეღელს) მეორე მხრივ, ბათუმის მხარეს, თავის დროზე შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ირანული საქონლის სატრანზიტო ქალაქ ტრაპიზონს და იგი საშუალებას მოგვცემს ყარსის პური შავი ზღვით გავიტანოთ საზღვარგარეთ" (ფრენკელი, 2012: 138).

ვ. პალგრევს კი მიაჩნდა, რომ ბათუმის და საერთოდ ქვეყნის განვითარება კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, განსაკუთრებით, გზებისა და ნავმისადგომების მშენებლობას მოითხოვდა. იგი წერდა: „ქვეყნის მატერიალური მოთხოვნილებებიდან, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, მთავარია სოფლებს შორის მოხერხებული საჭაპანო გზების გაყვანა, ხიდების აგება მდინარეებზე, დაბლობ ადგილებში ჭაობების ამოშრობა, მაღლობებზე არსებული ტყით სწორი სარგებლობის ორგანიზაცია, ქვეყნის შიგნით ბორბლიანი ტრანსპორტის გზების გაყვანა: ერთი სურმენედან, მეორე ბათუმიდან და ბოლოს იქ, სადაც შეიძლება რეიდებზე სადგომების აშენება" (პალგრევი, 2012: 137).

როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლებასაც ყველაფერ ამის გაკეთების აუცილებლობა გაცნობიერებული ჰქონდა, განსაკუთრებით „თანზიმათის" რეფორმებთან დაკავშირებით უკმაყოფილო ხალხის გამოსვლების შემდეგ. ამაზე უნდა მიუთითებდეს 40-იან წლებში ოსმა-

ლეთის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, თუ სხვა დოკუმენტები: კერძოდ, „ქვემო აჭარის კაზაში დანგრეული ხიდის მოსახლეობის და სახელმწიფოს მიერ ერთობლივად აღდგენის შესახებ“ (ილდიზთაში, 2012: 237), „ზედმეტი ნალექის გამო მდინარე აჭარისწყალზე დანგრეული ხიდის ნაცვლად ახალის აშენების შესახებ (ილდიზთაში, 2012: 241), „ჩურუქ-სუ-ბათუმის გზის მშენებლობის გამო მოსახლეობის მიერ გამოთქმული მადლიერების შესახებ“ (ილდიზთაში, 2012: 255) და სხვა.

1848 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული წერილი, რომელშიც საუბარია ბათუმ–ყარსს შორის გზის გაყვანის აუცილებლობაზე, ამიტომ წერილის ტექსტი მოგვაქვს სრულად: „თქვენო უდიდებულესობავ, უძლიერესო და მოწყალეო ბატონო, შავი ზღვის განუმეორებელი პორტის მქონე ბათუმიდან 18 საათის მანძილზე მდებარე ყარსამდე გზის გაყვანა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ამ მიზნის განსახორციელებლად მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გარემოს შესწავლისა და სავარაუდო ხარჯების შესადგენად საჭიროა სპეციალური ინჟინრის გაგზავნა. ზაფხულში კი მშენებლობა უნდა დაიწყოს. ავსტრიელი ინჟინრის განწესება ამ საქმეზე, რომელიც მალე უნდა დაბრუნდეს ედირნეს გზის შესწავლიდან, შესაფერისად უნდა იქნა მიჩნეული, ფადიშაჰმაც ასე ინება. მანამდე კი უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლიდან ღირსეული ინჟინრის შერჩევა და გაგზავნა საკმარისი იქნება” (ილდიზთაში, 2012: 235). მოყვანილი ტექსტით კარგად ჩანს, რომ ბათუმ-ყარსს შორის გზის გაყვანა ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი აქვს და წერილში მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარებაზეა საუბარი, მაგრამ არ ჩანს გზის მიმართულება, არადა, ეს იმიტომაცაა საინტერესო, რომ გზატკეცილის მიმართულების შესარჩევად შეიქმნა კომისია, რომელიც ორ ვარიანტს განიხილავდა: პირველი იყო აჭარისწყლის ხეობის საქარავნო გზით სხალთისა და ბაკოს გავლით და მეორე – მდინარე ჭოროხის გაყოლებით არტანუჯისკენ და შემდეგ ყარსისკენ. ამ უკანასკნელშიც ორი მიმართულება გამოიკვეთა: შეიძლებოდა გზა არტაანის გავლით, არტანუჯ-ჩაის გაყოლებით წასულიყო ყარსისკენ, ან თავსკერისა და გიოლის გავლით ყარსისკენ. პირველი ვარიანტი – ჭარისწყლის გავლით გზა ყარსისკენ, არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ იგი რუსეთის საზღვართან ახლოს იყო. თურქეთს ეშინოდა, ეს გზა მოწინააღმდეგეს არ გამოეყენებინა. ალბათ, ეს იყო მიზეზი მაშინაც, როცა გზატკეცილის გაყვანა სხალთიდან უღელტეხილამდე შერიფ ბეგს ხელისუფლებამ შეაჩერებინა (ყაზბეგი, 1995: 56).

40-იანი წლების ბოლოს შემუშავებული ბათუმ-ყარსის გზის ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა. ალბათ, ამაში ყირიმის ომმაც ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ 50-იან წლებშივე განვითარებულ-

მა მოვლენებმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ შეიქმნა შავი ზღვის რუსეთის სანაოსნოს სააგენტო, რითაც ფაქტიურად იგი შავ ზღვაზე ვაჭრობის მთავარ მოთამაშედ და ბათუმის ნავსადგურის ბატონ-პატრონად იქცა, თურქეთის ხელისუფლება აიძულა ბათუმისადმი დამოკიდებულება შეეცვალა. ამიერიდან თურქეთის კონსტანტინეპოლის სანაოსნო საზოგადოებამაც დაიწყო ბათუმში თავისი გემების გამოგზავნა, მაგრამ მათი ტექნიკური ჩამორჩენილობა და უწესრიგობა რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას უპირატესობას ანიჭებდა. ხელისუფლება უკვე ხელს უწყობდა ბათუმსა და მის ახლო-მახლო ადგილებში აფხაზ-ჩერქეზების, ბერძნების, სომხების დასახლებას ადგილობრივებთან ერთად, რაც ქალაქის საზღვრების გაფართოებას, ქალაქური ცხოვრების განვითარებასა და მოსახლეობის გაზრდას უწყობდა ხელს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა ქალაქის ახალი დასახლება – აზიზიეს უბანი – „ახალი ბათომი“ (დიასამიძე, 2013: 50), მოსახლეობის რაოდენობამ 4970 კაცს მიაღწია, რომელთაგან 4500 ადგილობრივი მუსლიმანი იყო, 350 – ბერძენი და 120 – სომეხი (პალგრევი, 2012: 63). იგივე პალგრევის თქმით, „სომხების ყოფნას და მათი რიცხვის ზრდას აღმოსავლეთში აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ებრაელების დამკვიდრებას ევროპაში. ეს არის თერმომეტრი, რომელიც გვიჩვენებს მოცემული ადგილის მზარდ გაფურჩქვნას და მისი ფულადი ბრუნვის გაფართოებას (გვ. 65).

ასეთ პირობებში, თურქეთის ხელისუფლებამ, ტრაპიზონის ვილაეთის მეჯლისის 1869 წლის 31 მარტის მიმართვის „შეთანხმების მიხედვით ბათუმსა და კაპანდიბს შორის გასაყვანი გზის ლივანედან ჰაჯიფაშას ხიდამდე და იქედან არტანუჯის, არტაანის, ოლთისის, არზრუმისა და ყარსის მიმართულებით გაგრძელების შესახებ“ საფუძველზე, რომელშიც დასაბუთებულია ბათუმიდან კაპანდიბამდე საურმე გზის გაყვანის აუცილებლობა (ილდიზთაში, 2012: 281), გადაწყვიტა ბათუმ-ყარსს შორის გზის მშენებლობის დაწყება. 1870 წლის 4 აგვისტოს დოკუმენტით ცხადი ხდება, რომ ბათუმ-ყარსის გზის მიმართულება იქნება: ბათუმი-კაპანდიბი, ლივანა-ჰაჯიფაშას ხიდი, აქედან არტანუჯის და არტაანის გზით ოლთისი-არზრუმი და ყარსი. გზის ნაწილის შესწავლა დამთავრებულია, საჭირო მოხელეები დანიშნული არიან და მომავალი გზის სიფართეც განსაზღვრულია: სწორ მონაკვეთებზე 7-7 წყრთის (3,5 მეტრი) და ფერდობებზე და კლდოვან ადგილებში 6-6 წყრთის (3 მ.) იქნება იგი. იქვე ნათქვამია, რომ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, აანაზღაუროს დენთის, ხის მასალის, სპეციალისტების ჯამაგირის, ხიდის ასაშენებელი, გადახიდვების, ხელფასებისა და საკვების ხარჯები (ილდიზთაში, 2012: 285).

კიდევ ერთი ოსმალური დოკუმენტი იმას გვაუწყებს, რომ „ფადიშაჰს მიერთვა ადგილიდან გამოგზავნილი ტელეგრამები, რომ ყარსსა

და ბათუმს შორის ასაშენებელი ლივანეს გზის ყველაზე ძნელი ნაწილის მშენებლობა 1870 წლის 2 ივნისს დაიწყო (ილდიზთაში, 2012: 287). ასე, რომ 1870 წლის ზაფხულში ბათუმ-ყარსს შორის გზის მშენებლობა დაიწყო ბათუმ-კაპანდიბს შორის გზის გაყვანით, რომელიც ძირითადად 1873 წლის ზაფხულში დასრულებულია (ბაქრაძე, 1987: 35). მართალია, გზის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები არა გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი გამოცდილი თვითმხილველების ცნობები მოგვეპოვება, როგორებიც იყვნენ ინგლისის კონსული ტრაპიზონში ჯიფორდ პალგრევი და ცნობილი სამხედრო სპეციალისტი და მკვლევარი გიორგი ყაზბეგი.

პალგრევის ცნობები 1872 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ამბებს ასახავს. იგი წერს: „თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა გამოიყენოს ჭოროხის ხეობა ბათუმიდან შიგა პროვინციებში გზების გასაყვანად, უმთავრესად ყარსისა და არტაანის მნიშვნელობის გამო... მთელი ეს გზა სიგრძით 180 ინგლისურ მილს უდრის (ერთი მილი 1,6 მეტრი უდრის – ბ.დ.). ჩემი მგზავრობის დროს გზაზე მუშაობდა 7000 კაცი, რა თქმა უნდა, მუქთი მუშა. ერთი პარტია მუშაობდა ჭოროხის ხეობაში, მეორე ლივანესა და არტანუჯს შორის. ეს არის ამ გზის ყველაზე ძნელად დასამუშავებელი მონაკვეთი. იგი სიგრძით 80 მილს, ან ცოტა მეტს უდრის. სამუშაო ორი წლის წინ დაიწყო და დამთავრებამდე კიდევ ოთხი ან ხუთი წელი დასჭირდება. ინჟინრები თურქები არიან, სამუშაო იძულებითია, ანაზღაურების გარეშე. გზა უმთავრესად გაჰყავთ სტრატეგიული მოსაზრებით, თუმცა მთავრობა იმედოვნებს, შესაძლოა მხოლოდ საბაბისათვის, რომ ამ გზით შემოვა ვაჭრობა, არა მარტო აღმოსავლეთ ანატოლიიდან, არამედ საქართველოდან და დასავლეთ სპარსეთიდან. ამ იმედის განხორციელება საეჭვოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს გზა წრიულია და მშენებლობის ტემპის მიხედვით, საეჭვოა დამთავრდეს, მეორეც – იმიტომ, რომ თბილის-კავკასიის გზით საქონლის გატანა გაცილებით მოსახერხებელია. გარდა ამისა, პირდაპირი გზის გაყვანა აჭარისა და შავშეთის გავლით, უფრო ადვილი და სანახევროდ მოკლე იქნებოდა, მაგრამ ამაზე თურქეთის ხელისუფლებას მოსმენაც კი არ სურს“ (პალგრევი, 2012: 101-103). ამ გრძელი ამონარიდით კარგად ჩანს ინგლისელი დიპლომატის თვალით დანახული ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობის მიმდინარეობის სურათი, ტემპი და რაც მთავარია, გზის დანიშნულება: მისი აზრით, ხელისუფლებას გზა გაჰყავს არა ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით და ეჭვი ეპარება, რომ ეს პროექტი დასრულდეს. „კომერციული თვალსაზრისით, ართვინიდან და არტანუჯიდან ბათუმისკენ გზის დაგეგმვა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ძალიან ძვირ შეცდომას წარმოადგენს, – წერს იგი (გვ. 137).

ასევე საინტერესო ინფორმაციას და შეფასებებს გვაწვდის ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობის შესახებ გიორგი ყაზბეგი, რომელიც ამ ადგილებში მოგზაურობდა 1874 წლის ზაფხულში. იგი, პირველ რიგში, ასაბუთებს ამ გზის გაყვანის აუცილებლობას და მისგან მოსალოდნელ დადებით ეკონომიკურ და კულტურულ შედეგებს. იგი წერს: „ლივანის, შავშეთის და ართვინის სიმდიდრე, ბათუმის გზის გარეშე ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცევა და ევროპის გავლენა, რომელმაც აზიის მრავალი კუთხე გაანათლა, დარჩება თურქეთის საქართველოზე შემოვლებული ქვისკენდლებს მიღმა. ... ახალი გზა ერთსაც და მეორესაც გაუხსნის სარბიელს და ათასობით საჭაპანე პირუტყვი, რომელსაც დღეს ძლივსძლიობით გადააქვს ათასი ბათმანი ტვირთი, მომავალში ასიათასობით ფუთს გადაიტანს. კეთილმოწყობილი ბათუმის გზა ბოლოს მოუღებს დაუსჯელ ძარცვას და ბოროტებას, რომლებიც აგრერიგად მძვინვარებს ლივანის მთებში. შესაძლოა, ეს გზა სპარსეთსა და ევროპას შორის სატრანსპორტო მაგისტრალადაც გადაიქცეს" (ყაზბეგი, 1995: 108). გ. ყაზბეგი გზის აუცილებლობას იმითაც ხსნის, რომ აქამდე ართვინისათვის სავაჭრო გზა მხოლოდ სამდინაროა, ბათუმამდე ნავები ჭოროხით 5-6 საათში ჩადიან, მაგრამ უკან დაბრუნებას 4-5 დღე სჭირდება, ბათუმში დატვირთული ნავები დინების საპირისპირო საჭაპანო ღვედებით მიაქვთ. არადა, სავაჭრო საქონელმა იმატა. ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსისა და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ჭოროხის გზით გაგზავნა, აგრეთვე მას ჭოროხის ნაპირებზე, ბათუმთან ახლოს, დაუთვლია 6 სახერხი და ამდენივე აგურ-კრამიტის და ერთი კირის ქარხანა, რომელთა მასალის მთელ მარაგს ბათუმი ლივანიდან ღებულობს (გვ. 115). ასე რომ გზის გაყვანის აუცილებლობა აშკარაა. ავტორის თქმით, გზის გაყვანა დაწყებულია და სამუშაოები დაიწყო ერთდროულად ბათუმსა და არტანუჯში. მუშახელის ნაკლებობა არ არის, რადგან თურქეთის საქართველოში შემოღებულია ბეგარა ემელიე, რომლის მიხედვით, ყველა მამაკაცი 14 დან 60 წლამდე, ვალდებულია გამოცხადდეს გზის სამუშაოზე, წელიწადში 20 დღე (გვ. 105). მისი თქმით, მართალია, 1872 წლამდე სამუშაოებს დიდი წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ 1873 წლიდან ხელისუფლებამ მიიღო ენერგიული ზომები, რათა არტანუჯი და ბათუმი 1874 და 1875 წლების განმავლობაში ერთმანეთთან შეერთებინათ (გვ. 105). ყაზბეგი აზუსტებს: „ართვინში მითხრეს, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ბათუმის მუთესარიფისაგან მიიღეს ტელეგრამა, რომელშიც კაიმაკამს წერდა, მიეღო ყველა ზომა, რათა 1874 წელს არტანუჯი ბათუმს დაუკავშირდეს და ამისთვის გამოიყენოს მუშახელი განუსაზღვრელი რაოდენობით. მუთესარიფს დაავიწყდა რომ... საჭიროა ბათუმიდან არტანუჯამდე აშენდეს 300 ქვის ხიდი და გვირაბი" (ყაზბეგი, 1995: 206). ამ სიტყ-

ვებით, ყაზბეგი ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას უახლოეს წლებში გზის მშენებლობის დასრულების შესახებ. ამ დროს გზა გაყვანილი იყო უკვე არტანუჯის ქვემოთ მდებარე სოფელ ბაცადან ართვინიამდე, თითქმის 30 ვერსის მანძილზე და ბათუმიდან სოფელ მარადიდამდე, თითქმის 40 ვერსის მანძილზე; ყველაზე ძნელი მონაკვეთის მარადიდიდან ართვინამდე, ხოლო სოფელ ბაცადან ყარსამდე არაფერი არ იყო გაკეთებული და ბევრი ფიქრობდა, რომ გზა არტანუჯთან შეწყდებოდა. არადა, გ. ყაზბეგის აზრით, თურქეთის საქართველოს ისტორიაში ეს გზა ეპოქას შექმნის, რადგან ამით მოხდება ბათუმის სპარსეთთან დაკავშირება, რაც შუა აზიის ვაჭართა ძველი სიმღერის ახალი ვარიაციაა (გვ. 104), იგი თვლის, რომ ლივანაზე გავლით დიდი გზატკეცილის გაყვანის საკითხის ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის დაწყებასთან დამთხვევაც არ უნდა იყოს შემთხვევითი და მის უკან იმალება იმ იდეის ჭეშმარიტი და ცოცხალი კავშირი, რომელმაც „გამოიწვია ორივე ამ გზის გამოჩენა“ (გვ. 104).

როგორც ვხედავთ, გ. ყაზბეგიც, ჯ. პალგრევის მსგავსად, ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობის დაწყების მოტივთაგან მთავარ მნიშვნელობას ამ პრობლემის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს ანიჭებს, რადგან დიდი სახელმწიფოების ბრძოლა, პირველ რიგში, მიმდინარეობდა ისტორიული „აბრეშუმის გზის“ დაუფლების საქმეში უპირატესობის მოპოვებისათვის.

რუსეთ-თურქეთის ბოლო ომმა (1877-1878 წ.წ.) ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობის საკითხი უკანა პლანზე გადასწია, მაგრამ სტრატეგიული და ცენტრალური სავაჭრო გზების საკითხი ყოველთვის რჩება სახელმწიფოთა ურთიერთობის საკვანძო პრობლემად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, 1987: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი.

დიასამიძე, 2013: – დიასამიძე ბ., *ოსმალური წყაროები „ახალი ბათომის“ განაშენიანების შესახებ,* ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი.

ვაჩნაძე, გურული, 2007: – ვაჩნაძე მ., გურული ვ., ამასიიდან ყარსამდე (1555–1421), თბილისი.

ილდიზთაში, 2012: – ილდიზთაში მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი.

მეგრელიძე, 1956: – მეგრელიძე შ., აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი.

ნიკოლაძე, 1963: – ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. III, თბილისი.

პალგრევი, 2012: – პალგრევი ვ.ჯ., ტრაპიზონის პროვინცია, ლაზისტანის სანჯაყი (1867–69 და 1872 წლის ანგარიშები, რუსულიდან თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია და საძიებელი დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

ფრენკელი, 2012: – ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

ყაზბეგი, 1995: – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი.

Потто, 1908: – Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. II, Тифлис.

Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)

On the Construction of Batumi-Kars Road (60-70-s of 19th Century)

Summary

In 60-70s of 19th century every traveler-researcher or official enchanted with the natural conditions of Batumi and its deep pier protected from the wind named the construction of Batumi-Kars road as the main provision for the development of the town and the inclusion of the South-west Georgia in international trade.

On bases of analysis of the ottoman documents used in the article the author concludes that the Turkish government prepared the project of the road construction as early as in the end of 40s (1848), but started after 20 years by the construction of Batumi-kapandibi road.

According to the eye-witnesses (J. Palgrev, G. Kazbegi), only the third part of the road was under the construction and it was related to the building of Tbilisi-Poti railway.

The Russian-Turkish War of 1877-1879 held up the construction of Batumi-Kars road, although the struggle for the strategic roads in every period was relevant.

ნუგზარ ზოსიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის საქალაქო ცხოვრება 1917-1918 წლებში

1917 წლის პოლიტიკურმა მოვლენებმა რუსეთის იმპერიაში დიდი ძვრები გამოიწვია, რაც ბათუმის საქალაქო ცხოვრებაზეც აისახა. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციას მოჰყვა 25 ოქტომბერს (ძვ.სტ.) პეტროგრადში დროებითი მთავრობის დამხობა, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა რუსეთის იმპერია.

პირველმა მსოფლიო ომმა კარდინალურად შეცვალა ვითარება მთელ მსოფლიოში, მათ შორის, რუსეთსა და საქართველოში. საომარი ოპერაციების მნიშვნელოვან კერას ამიერკავკასიაც წარმოადგენდა. 1914 წლის 28 ივლისს დაწყებულმა მსოფლიო ომმა ქ. ბათუმი, რომელსაც ბაქოსა და თბილისის შემდეგ თავისი სამრეწველო პოტენციალით ამიერკავკასიაში მესამე ადგილი ეკავა, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო. საომარი, ფრონტისპირა მდგომარეობიდან გამომდინარე, დაიხურა ბევრი საწარმო. მალე, თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ, მთლიანად შეწყდა საზღვაო-სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამან გამოიწვია სასაქონლო ტვითრბრუნვის მკვეთრი შემცირება.

ომამდე რკინიგზის საშუალებით ბათუმი თბილისს უკავშირდებოდა 11 საათში, პეტერბურგს – 3,5 დღეში, ბაქოს – 28 საათში, 15-20 საათში საზღვაო გზით – ნოვოროსიისკს, 10-12 საათში – ტრაპიზონს.

მსოფლიო ომის დაწყებამ ამიერკავკასიაში მოშალა საქალაქო ცხოვრების ჩვეული რიტმი. დაიწყო მოსახლეობის მასიური ევაკუაცია. ომის სუსხი ბათუმსაც შეეხო. ოსმალეთის სამხედრო კრეისერებმა – „გებენმა" და „ჰამიდიემ" დაბომბეს ქალაქი ზღვიდან, თუმცა მას რაიმე სერიოზული ზარალი არ მოჰყოლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსი გენერლის ახირებას, რომელმაც ბათუმის ზღვიდან პირველი დაბომბვის შემდეგ (1914 წლის 10 დეკემბერი) გადაწყვიტა ბათუმის ბულვარში მოეჭრა მაღალი ხეები. მისი აზრით, ისინი მოწინააღმდეგის სამიზნეს წარმოადგენდნე. საბედნიეროდ, ბოლომდე პრინციპული დარჩა ამ საკითხში ქალაქის თავი – ივანე ანდრონიკაშვილი, რომლის წყალობითაც ქალაქის სიამაყე – ზღვისპირა პარკი გადაურჩა განადგურებას. ომის საწყის ეტაპზე რუსეთის არმიამ განიცადა წარუმატებლობა, რის შედეგადაც მტერი ქ. ბათუმის მისადგომებს მოუახლოვდა.

1915 წლის თებერვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 1916 წლის თებერვალში დაეცა ერზერუმი, აპრილში კი რუსებმა აიღეს ტრაპიზონიც. 1916 წლის ზაფხულში დაიწყო ბათუმი-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობა. შემდგომი პერიოდი ამიერკავკასიის ფრონტზე რაიმე შესამჩნევი აქტიურობით აღარ გამოირჩევა, რაც საქალაქო ცხოვრების რიტმსაც დაეტყო; შეწყდა ნავთობის ექსპორტი, რამაც ამასთან დაკავშირებული საწარმოების დახურვა გამოიწვია.

ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიის ფრონტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზურგის ქალაქად. დაიწყო ქალაქის სათანადოდ გამაგრებისათვის ზრუნვა. ბათუმის პორტში ბაზირებდა შავი ზღვის სამხედრო ესკადრა. ბათუმში განთავსდა საინტენდატო სასურსათო, სამხედრო საჭურვლის საწყობები და სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი სამხედრო ჰოსპიტლები. ომის დროს ბათუმში ამოქმედდა რუსეთის ცალკეული სამხედრო ქარხნების ფილიალებიც. ბათუმში არსებულ საწარმოთა მატერიალური და მაღალკვალიფიცირებული შრომითი რესურსები ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მრეწველობის ცალკეული დარგების საომარ ყაიდაზე უმოკლეს დროში გადასვლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმი ცხოვრობდა ფრონტისპირა ქალაქისთვის დამახასიათებელი წესით, რაც, თავისთავად, ქმნიდა მრავალ სირთულეს. იკლო ბათუმის შემოსავლებმა, რაც მეტწილად საწარმოთა დახურვასა და საექსპორტო საქონლის ექსპორტ-იმპორტის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრონტისპირა ბათუმიდან საქალაქო დაწესებულებებისა და მცხოვრებთა ნაწილის ევაკუაციის მიუხედავად, ქალაქის გამგეობა ადგილზე დარჩა და განაგრძობდა მუშაობას. 1915 წელს ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები. ქალაქის სათათბირო 41 ხმოსნით დაკომპლექტდა. ქალაქის თავად კვლავ ივანე ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მის მოადგილედ ევგენი კრინიცკი, გამგეობის წევრად – რეჯებ ნიჟარაძე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩატარდა თვითმართველობის ახალი არჩევნები. ქალაქის თავი გახდა კონსტანტინე საბახტარაშვილი, მოადგილედ – გრიგოლ სოღორაშვილი, გამგეობის წევრად კი – ისმაილ ლორთქიფანიძე იქნა არჩეული.

1917 წლის მიწურულს პოლიტიკური ვითარება საქართველოში მეტად დაიძაბა. ამას ისიც დაერთო, რომ ბათუმს მოაწყდა დემორალიზებულ ჯარისკაცთა დიდი ნაკადი. ისინი ტოვებდნენ ფრონტის ხაზს და ცდილობდნენ რუსეთში დაბრუნებას. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის ბლოკ სახელმწიფოთა შირის ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას, რომლის საშუალებითაც სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ბათუმის ოლქი ქ. ბათუმით.

ქალაქი ბათუმის მიმართულებით საომარი მოქმედებისთვის 1918 წლის მარტში ოსმალთა ძალებმა ტრაპიზონში მოიყარეს თავი. 22 მარტს მოწინააღმდეგის სამხედრო ძალები ზღვის სანაპიროს გასწვრივ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეტევაზე გადმოვიდნენ. რუსეთის ჯარებში გავრცელებული სტიქიური დემობილიზაცია სამხედრო ნაწილების დესტაბილიზაციას იწვევდა. მართალია, საქართველოს ეროვნული საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული საჯარისო ნაწილებით ტრაპიზონის მიმართულებით ფრონტის შევსებას, მაგრამ ქართული ჯარი ამ დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და მისი ნაწილები მიმოფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. ოსმალეთთან მოსალოდნელი კონფლიქტი დღის წესრიგში აყენებდა საჯარისო ნაწილების რაოდენობის სასწრაფოდ გაზრდასა და ბათუმის მიმართულებით დისლოცირებას. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციასთან დაკავშირებით „ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმაც გადაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობისგან შეექმნა შეიარაღებული რაზმი, რომელიც წვლილს შეიტანდა ბათუმის დაცვაში. ამ მიზნით კომიტეტმა სთხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, გამოეყო იარაღის გარკვეული რაოდენობა. სამხედრო სექციამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: „პირველ რიგში დაკმაყოფილდეს ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტის თხოვნა.

ამავე საკითხს მიეძღვნა ქუთაისის გარნიზონის ქართველ ოფიცერთა კრება. მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ოფიცრებს რეგულარული არმიის შექმნამდე ეხელმძღვანელათ გვარდიის ნაწილებისთვის ბათუმის დასაცავად. ქალაქის უშიშროების უზრუნველსაყოფად შემუშავდა ოპერატიული გეგმა, რომლის მიხედვითაც, უნდა შექმნილიყო ორი რაზმი. ერთი დაკომპლექტდებოდა უშუალოდ ოფიცრებისგან და დაიცავდა ბათუმის ციხესიმაგრეს, მეორე კი – ოფიცერთა და გვარდიელთა შემადგენლობით შერეული სახით გაიგზავნებოდა ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულებაში.

1918 წლის მარტის დამლევისთვის ბათუმი საომარ ყაიდაზე ცხოვრობდა, გამოცხადდა 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია, ბათუმში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალამ, საზღვაო ფორტის შორსმსროლელი ქვემეხები მოწინააღმდეგის შესაძლებელი თავდასხმის მიმართულებით მიატრიალეს. ციხესიმაგრის კომენდანტად დაინიშნა გენერალი მდივანი, ქალაქის მისადგომების გამაგრებული პუნქტების საერთო ხელმძღვანელად კი – გენერალი ოდიშელიძე.

ოსმალთა არმიაც არ იყო მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, 1918 წლის 9-10 აპრილს, ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ, იგი მოუახლოვდა ბათუმს. გააფთრებული ბრძოლა გაიმართა თავდაცვის მეორე ხაზზე, მაგრამ ფორტების არტილერიის ნაკლებად ინტენსიური ცეცხლი მოწინააღმდეგეს დიდ დაბრკოლებას ვერ უქმნიდა.

8 აპრილს ოსმალთა აგენტურამ სოფელ ყოროლისთავში მოშალა ქალაქის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და ქალაქი წყლის გარეშე დარჩა. არ მუშაობდა ელექტროსადგური, რის გამოც შეფერხდა პურის გამოცხობა. ქალაქის თვითმმართველობასთან ჩამოყალიბდა თავდაცვის კომიტეტი, რომლის განკარგულებაშიც ყველა სრულწლოვან მამაკაცს უნდა მოეყარა თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ეს ღონისძიება განხორციელდა.

ბათუმის დაცვა ორი სტრატეგიული მიმართულებით დაიგეგმა: ერთი, ზღვის სანაპიროს გასწვრივ სარფი-გონიოს ხაზით, მეორე – ჭოროხის ხეობით, ერგესკენ. ორივე ხაზი ერთიანდებოდა ქალაქის მისადგომებთან, კახაბერ-ადლიას შორის და ჰქმნიდა მესამე სტრატეგიულ ხაზს. 9 აპრილს ოსმალებმა ბრძოლით დაიკავეს სოფელ ერგეს მეტად ხელსაყრელი პოზიციები. ამით მათ შესაძლებლობა მიეცათ მაღლობების გადმოვლით შეეტიათ სამების ფორტისთვის, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა (თავს დაჰყურებდა ბარცხანა-გოროდოკს და ქალაქის სხვა გამაგრებულ ადგილებს). სამების დაკავებით თურქებმა ზურგიდან მოუარეს ქალაქს და ცეცხლი გაუხსნეს დაბლობში არსებულ საარტილერიო წერტებს. ბათუმის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტა „ანარიის" ფორტის დაკარგვამ, რის შემდეგაც ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა.

11-12 აპრილს ბათუმიდან დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია. სამხედროებს ძირითადად მიჰქონდათ სურსათი რის გამოც დიდძალი საომარი ტექნიკა თურქებს დარჩათ. 1918 წლის 14 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის შენობასთან შეიკრიბა ხმოსანთა და ქალაქის ინტელიგენციის ერთი ნაწილი. გადაწყდა, კარს მომდგარ მტერთან გაეგზავნათ დელეგაცია. პარლამენტარები: ლორთქიფანიძე, თავბერიძე და დიმიტრიადი ავტომობილზე აღმართული თეთრი დროშით გაემართნენ მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ. თურქეთის არმიის პოლკოვნიკმა შეკრებილთ უთხრა: „არმიის მეთაურის – ვეხიბ-ფაშას ბრძანებით, გიცხადებთ მადლობას პარლამენტარების გამოგზავნისთვის და პოლიციისთვის, რომელიც წესრიგს იცავს ქალაქში. ჩვენ ვთხოვთ პოლიციას, დარჩეს თავის ადგილზე ხოლო საღამოთი დატოვოს პოსტი რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები. ჩვენი ჯარები შემოვლენ ქალაქში და თუ მოსახლეობის მხრივ იქნება ლოიალური დამოკიდებულება, მაშინ მცხოვრებთ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ.

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში ჯარის ნაწილების შემოსვლა. 14 აპრილს საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბრძანება, რომელიც სამი პუნქტისგან შედგებოდა. ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდის დაცვისკენ, ურჩებს ემუქრებოდა სამხედრო-საველე სასამართლო-

თი, მოითხოვდა ყელა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებას. პირველი ღონისძიება რითაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ოლქის მართვა, იყო სახელმწიფო ქონების აღწერა. კონფისკაცია უყვეს საექსპორტო ნავთობს, აიკრძალა ნავთობპროდუქტების უნებართვოდ გატანა.

პოლიტიკურ სფეროში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის შემოღება. პირველი გუბერნატორი, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მართავდა აჭარას, იყო ჰამიდ-ბეი. მან შექმნა დროებითი სამხედრო-პოლიციური სამმართველო, დაიწყო ძველი მმართველობითი აპარატის თანდათანობით გაუქმება და მის ნაცვლად ოსმალეთში არსებული სახელმწიფო აპარატის მოდელის დამკვიდრება. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქალაქის თვითმმართველობა. ოკუპაციის გამო ბათუმი დაცარიელდა. ძველი მმართველობის აპარატის დიდი ნაწილი გაიხიზნა ქალაქიდან. ბათუმი დატოვა თვითმმართველობის ხმოსანთა დიდმა ნაწილმაც. ამის მიუხედავად ქალაქის გამგეობასა და სათათბიროში შენარჩუნებული იქნა ქართველთა ბირთვი. ქალაქის თავი, კ. საბახტარაშვილი, გამგეობის მდივანი – ივ. მესხი, ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და სათათბიროს წევრი – გრ. ელიავა. ისინი დარჩნენ ოკუპირებულ ბათუმში, რათა დაეცვათ ქალაქისა და მის მცხოვრებთა ეროვნული ინტერესები. საჭირო გახდა სათათბიროს შევსება ახალი დეპუტატებით. კ. საბახტარაშვილის წინადადებით, ქალაქის მმართველობა შეივსო ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით. რუსული ეროვნული საბჭოდან სათათბიროში შევიდნენ პირწავარდნილი შავრაზმელები: ანისიმოვი, პარაიკოშიცი, სერებრიანიკოვი, ბუნაკოვი და სხვ.

თურქეთისა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით 1918 წლის 11 მაისს მუშაობას შეუდგა ბათუმის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაცია თანახმა იყო, მოლაპარაკებები წარმართულიყო ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე. ბათუმის კონფერენცია ითვალისწინებდა თურქეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ტერიტორიულ საკითხებში, კერძოდ, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დათმობით უნდა შეჩერებულიყო მათი ექსპანსია.

მაისის მეორე ნახევრიდან საზავო მოლაპარაკებაში ჩაება გერმანიის წარმომადგენლობაც. 19 მაისს, მოლაპარაკების დაჩქარების მიზნით, გერმანელებმა ამიერკავკასიის დელეგაციას შუამდგომლობა შესთავაზეს. ოსმალეთის მხარემ ამ შუამდგომლობაზე უარი განაცხადა, რის გამოც გერმანიის მისიამ თავისი ყოფნა მოლაპარაკებაზე უაზრობად ჩათვალა და 25 მაისს ბათუმი დატოვა. საქართველოს დელეგაციის წევრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა პოზიცია, რომელიც ითვა-

ლისწინებდა ამიერკავკასიის მთავრობის გარდაუვალ დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

26 მაისს ბათუმში ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურის – აკაკი ჩხენკელის სახელზე, თბილისიდან მოვიდა შემდეგი სახის დეპეშა: „დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე, ეროვნულმა საბჭომ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად – აკ. ჩხენკელი. ამიერკავკასიის სეიმმა თავი სცნო გაუქმებულად და ამიერკავკასიის ერთიანობა შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა ბათუმის საზავო კონფერენციის მსვლელობისას იშვა, საამისო აზრიც აქვე ჩამოყალიბდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტი აქვე შემუშავდა და 26 მაისს თბილისში განხორციელდა.

ბათუმის მოსახლეობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდა.

ახალი რეჟიმი შეეცადა, ბათუმის იერსახის შეცვლას. გუბერნატორის ბრძანებით, 1918 წლის 22 აგვისტოდან მარინეს პროსპექტს დაერქვა სულთან-სელიმის სახელი, პეტროგრადისას – კონსტანტინეპოლის, გრიბოედოვის ქუჩას – ართვინის, პუშკინისას – არდაჰანის, ტურგენევისას – ჰაზი მუხტარ ფაშას, შერემეტიევისას – დერვიშ-ფაშას, ქუთაისისას – აზიზიეს და ა.შ. გამალებით მიმდინარეობდა ძველი მმართველობის აპარატის დაშლა. შეფერხდა ოლქის კულტურული ცხოვრებაც. 1918 წლის აგვისტოში გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობასა და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ჰპირდებოდა, სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესაც. დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ქალაქის ადრინდელი თვითმმართველობა იმდენად დაკნინდა და შეიზღუდა, რომ სრულიად უმნიშვნელო ორგანიზაციად იქცა.

1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში. მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

1918 წლის დეკემბერში ქალაქ ბათუმი და ბათუმის ოლქი დაიკავა დიდი ბრიტანეთის ჯარმა. ქ. ბათუმსა და ოლქში დამყარდა ინგლისის საოკუპაციო რეჟიმი. სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენ. კუკ-კოლისი. სამოქალაქო მმართველობის ფორმატში შეიქმნა „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო, რომლის თავმჯდომარედ ინგლისელებმა და-

ნიშნეს რუსული ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი პრიდადიან მასლოვი.

ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის პოზიციების განმტკიცებას თან მოჰყვა ბათუმის სანაოსნო გზით საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლება. თანდათანობით ინტენსიური ხასიათი მიიღო უცხოური ფირმების მიერ სხვადასხვა დანიშნულების ტვირთების გატან-შემოტანამ. ამ მხრივ მონოპოლური მდგომარეობა ეჭირათ ინგლისის სავაჭრო ფირმებს. ასევე გახშირდა საზღვარგარეთის სავაჭრო გემების მიმოსვლა ბათუმში. ბათუმის პორტში ამ პერიოდში, ძირითადად, შემოდიოდა ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, რუსეთის, საბერძნეთის, ოსმალეთის გემები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი ომამდელ დონეს მკვეთრად ჩამორჩებოდა.

ასეთი იყო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ქალაქ ბათუმში და ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმის დაწყების ჟამს!

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი, 1990: – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, წიგნი II, თბილისი.

ზოსიძე, 1995: – ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.

ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

სვანიძე, 2002: – სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, წიგნი II, თბილისი.

სიორიძე, 2002: – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

სურგულაძე, 1990: – სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბილისი.

სცსსა - საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი

ჯანელიძე, 2003: – ჯანელიძე გ., *გერმანია-თურქეთის წინააღმდეგობანი და ისტორიული ქართული მიწების საკითხი ბრესტის ზავის წინ (1917 წლის დეკემბერი)*, საისტორიო ალმანახი, კლიო №13, თბილისი.

Борьба за победу Советской Власти в Аджарии, дскументы и материалы 1917-1921 гг., Батуми, 1961.

Дскументы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919.

Nugzar Zosidze (Batumi, Georgia)

The City Life in Batumi in 1917-1918

Summary

The political events of 1917 years caused large shifts in the Russian Empire, which was reflected in the life of the Batumi City residents. The First World War cardinally changed the situation throughout the world, including Russia and Georgia. The Caucasus also represented the major source of military operations.

The Treaty of Peace was signed by the bloc states, such as Germany and Russia on 3 March, 1918, and in accordance with this agreement, Soviet Russia ceded Batumi district together with other Georgian territories to Turkey.

The Batumi Treaty Conference started to work on 11 May, 1918 which Turkey and Independent Transcaucasian Federal Republic participated in. Transcaucasian delegation agreed to conduct negotiations on the basis of Brest Treaty.

It should be noted that the need for Independence for country of Georgia was born during Batumi Treaty Conference, and the project of declaration of Independence of Georgia was developed and implemented in Tbilisi on 26 May....

In December 1918, British forces occupied the city of Batumi and Batumi district. England occupation regime was established in Batumi. General Cooke-Colice was appointed as a military governor. Such political and socio-economic conditions was in Batumi city and Batumi district at the beginning of the British occupation.

ოთარ თურმანიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ისტორია

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 ივნისის დადგენილებით, საქართველოში დაარსდა ელექტრომექანიკური და ხელსაწყოთმშენებლობის 21 ქარხანა. მათ შორის, ბათუმში დაარსდა საკავშირო დაქვემდებარების სამი ქარხანა: ელექტროტექნიკური, ელექტროკარები და ელექტროხელსაწყო. საკავშირო პროგრამის მიხედვით, ელექტროტექნიკური ქარხანა გამოუშვებდა საყოფაცხოვრებო სარეცხ მანქანებსა და სამრეწველო მტვერსასრუტებს, ელექტროკარი – ელექტროურიკებსა და ელექტროამწეებს, ელექტროხელსაწყო – სხვადასხვა სიმძლავრის ტრანსფორმატორებს.

აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, შეარჩიეს აღნიშნული ქარხნების განთავსების ტერიტორია. თავდაპირველად, ელექტროკარების ქარხანა განთავსდა ბათუმის პორტის ყოფილ საწყობში, რომელიც მდებარეობდა გოგებაშვილის ქუჩაზე (ზღვისპირას), გემთსაშენი ქარხნის ახლომდებარე ტერიტორიაზე. 1965 წელს ელექტროკარების ქარხანას ეწოდა ელექტრომექანიკური და ეს სახელწოდება შერჩა ბოლომდე.

ელექტრომექანიკური ქარხნის დაარსებასა და განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის პირველ დირექტორს ბორის ლომთაძეს, რომელიც 1958-1963 წლებში საწარმოს თავკაცი იყო. შემდგომ წლებში ელექტრომექანიკური ქარხნის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საწარმოს დირექტორებმა იური უნგიაძემ (1963-1973), მურმან დოლიძემ (1973-1980), პაატა კალოიანმა (1980-1986), სოსო საფარიძემ (1986-1988), ვლადიმერ ჩხაიძემ (1988-1991).

XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა ელექტრომექანიკური ქარხნის სტრუქტურული ერთეულები: სამმართველო აპარატი, განყოფილებები, საამქროები და საწარმოო უბნები, შეიქმნა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია, ეკონომიკური ანალიზის ბიურო, პროფესიული კავშირების საქარხნო კომიტეტი, მუდმივმოქმედი საწარმოო სათათბირო, პოლიტიკური ორგანიზაციები (კომუნისტების საერთო საქარხნო პარტბიურო და კომკავშირული კომიტეტი), რომელთაც შტატიანი აპარატი ხელმძღვანელობდა. 1975 წელს ელექტრომექანიკური ქარხანა განთავსდა ახალ შენობაში (ტაბიძის ქ. №15), რომლის საწარმოო ფართობი 441228 კვ.მ.-ს შეადგენდა, ხოლო დამხმარე საწარმოო ფართობი 20185 კვ.მ.-ს უდრიდა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 8, ფურც. 2).

ახალ შენობაში განთავსების შემდეგ ელექტრომექანიკურ ქარხანაში საწარმოო საქმიანობისათვის ახალი პირობები შეიქმნა. ყველა სტრუქტურულ ერთეულს საკმარისი ფართი ჰქონდა. ქარხანასთან გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი, მოეწყო კლუბი, ტექნიკური ბიბლიოთეკა, მუზეუმი, არქივი, უფრო ადრე დაარსდა კალინინგრადის (რუსეთის ფედერაცია) ელექტროტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილება.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში, რომელიც ელექტროკარებს ამზადებდა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში ელექტროკარის რამდენიმე სახე გამოდიოდა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ელექტროურიკა, ელექტროამწე და ელექტროთვითმცლელი. ისინი ფართოდ გამოიყენებოდა შიდასაწარმოო მომსახურებისათვის. ფაქტობრივად ელექტროურიკა და ელექტროამწე იყო საწარმოთა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე შიდამომსახურების ტრანსპორტი, რომლის მეშვეობით მიმდინარეობდა ტვირთის გადაადგილება საამქროებსა და უბნებს, საწყობებსა და სხვა დანაყოფებს შორის. ელექტროურიკა და ელექტროამწე სხვა მხრივაც გამოიყენებოდა.

პირველ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ელექტრომექანიკური ქარხნის ტექნიკური აღჭურვისა და კადრების ფორმირებისათვის. ქარხანაში დაამონტაჟეს ლითონსაჭრელი ჩარხები და სხვა ტექნიკური მოწყობილობა, რომელთა განახლება სისტემატურად მიმდინარეობდა. მოეწყო საამქროები და საწარმოო უბნები, რომელთა რაოდენობა 70-80-იან წლებში 11-მდე აღწევდა. მათ შორის ძირითადი იყო მექანიკური და საამწყობო საამქროები.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა ინტეგრირებული იყო საბჭოთა კავშირის მრავალ რეგიონთან, საიდანაც იღებდა მაკომპლექტებელ მასალებსა და ნედლეულს, ხოლო თავის მხრივ აწვდიდა მზა პროდუქციას. ქარხანა ლითონის სხმულს, კვანძებს, დეტალებს, ტექნიკურ მოწყობილობას, ხის მასალას და სხვა იღებდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ფონდირებული გეგმით. XX საუკუნის 70-80-იან წლებში არაერთი კვანძისა და დეტალის წარმოება ადგილზეც აითვისეს.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი დასაწყისში მცირერიცხოვანი იყო. 1959 წელს ქარხანაში 176 კაცი მუშაობდა. მათ შორის იყო 116 მუშა და 27 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. პირველი ელექტროკარი 1958 წლის ნოემბერში დაამზადეს. წლის ბოლომდე გამოუშვეს რამდენიმე ცალი ელექტროკარი და სულ აწარმოეს 25 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია (ფულის 1961 წლის მასშტაბით). ეს იყო საქმის დასაწყისი და ქარხნის კოლექტივმა გამოცდა წარმატე-

ბით ჩააბარა. 1959 წელს დაამზადეს 284 ცალი ელექტროკარი, ხოლო საერთო პროდუქცია 815,6 ათას მანეთს უდრიდა.

არსებობის მესამე წელს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის საერთო პერსონალი 322 კაცს ითვლიდა. მათ შორის იყო 237 მუშა და 44 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. გამოუშვა 3,8-ჯერ მეტი – 1086 ცალი ელექტროკარი, აწარმოა აგრეთვე ელექტროკარის სათადარიგო ნაწილები და საერთო პროდუქციამ 1982,1 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 1959 წლის მაჩვენებელს 2,4-ჯერ აღემატებოდა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 86, ფურც. 17-19).

ელექტროკარის პროექტებს კალინინგრადის ელექტროტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ამუშავებდა, მაგრამ ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანასთან აღნიშნული სამეცნიერო დაწესებულების განყოფილების გახსნის შემდეგ მცირეტონიანი ტვირთამწეობის ელექტროკარის პროექტების დამუშავება ადგილზე დაიწყეს. კალინინგრადის ელექტროტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნისათვის მხოლოდ დიდტონიანი ტვირთამწეობის (5 და 10 ტონის) ელექტრომანქანის პროექტებს ამუშავებდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1975 წლამდე ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანას არ გააჩნდა საჭირო ფართი, წარმოების მოცულობა, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა იზრდებოდა და ტექნიკური პროგრესის კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევები იყო.

1965-1975 წლებში ქარხნის საერთო პერსონალი 511-დან 650-მდე, მათ შორის – მუშების – 352-დან 438-მდე, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა 98-დან 103-მდე გაიზარდა. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი განუწყვეტლივ ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში იყო და შედეგებიც თვალსაჩინო ჰქონდა. 1962 წელს ქარხანამ აითვისა თვითმცლელი ელექტროკარის სერიული წარმოება. 1965 წელს პირველად აითვისა 1000 კილოგრამიანი ტვირთამწეობის ელექტროკარის წარმოება და მომხმარებელს მიაწოდა ოთხი დასახელების 2820 ცალი ელექტროურიკა და 102 ცალი ელექტროამწე. ამასთან, ქარხანამ დაამზადა 100,1 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები და შეასრულა 55,2 ათასი მანეთის საწარმოო ხასიათის მომსახურება. მთლიანობაში აღებული გამოუშვა 4143 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 255, ფურც. 2,3, 25, 38).

მომდევნო წლებში კიდევ მეტად გაიზარდა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი. 1966 წელს ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირში პირველად შეიმუშავა 3,2 და 5 ტონა ტვირთამწეობის ელექტროურიკა და დაიწყო სერიული გამოშვება. 1970 წელს დაამზადეს 5 დასახელების 3094 ცალი ელექტროკარი და მათი სათადარიგო ნაწილები, 161 ცალი ელექტროამწე და სხვა. სასა-

ქონლო პროდუქციამ 5,1 მილიონი მანეთი შეადგინა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 378, ფურც. 28). 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების სარდლობის დაკვეთით წარმატებით აითვისეს პროჟექტორების წარმოება და დაიწყო სერიული გამოშვება.

XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ძირითადად დამთავრდა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მოდერნიზება. 1975 წელს ქარხანაში დაიწყო ახალი მარკის ელექტრომტვირთავების სერიული წარმოება და ძირითადი პროდუქციის ასორტიმენტი 8-მდე გაიზარდა, სულ დაამზადა 3402 ცალი ელექტრომანქანა და სასაქონლო პროდუქციამ 6,9 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1980 წელს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის საერთო მომუშავეები 817 კაცს შეადგენდა (588 მუშა და 134 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი). ქარხანა ამზადებდა 10 დასახელების ძირითად პროდუქციას. მათ შორის იყო 7 სახის ელექტროურიკა და 3 სახის ელექტროამწე. ელექტროურიკები იყო ერთტონიანი, ორტონიანი, ხუთტონიანი, შვიდტონიანი და ათტონიანი სიმძლავრისა. სულ დაამზადეს 3078 ცალი ელექტროურიკა და 301 ცალი ელექტრომტვირთავი. სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობამ 9,6 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა (ქარხნის 1980 წლის ანგარიში).

ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანას მაღალი საწარმოო მაჩვენებლები ჰქონდა XX საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში. 1985 წელს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 1200 კაცს უდრიდა. მათ შორის იყო 1000 მუშა და 200 მოსამსახურე. საერთოდ, ქარხანაში ორი კატეგორიის მუშები მუშაობდნენ: ძირითადი საწარმოო და დამხმარე. ძირითადი საწარმოო მუშები იყვნენ ხარატები, ზეინკლები, მღარავები, ელექტროშემდუღებლები, მტვიფრავები, მგლინავები, მეაპარატეები, დურგლები და სხვა სპეციალობის. ისინი კარგად იყვნენ დაუფლებული თავიანთ სპეციალობას და თავდაუზოგავად შრომობდნენ. ქარხანაში დასაქმებული იყო აგრეთვე მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მათგან გამოირჩეოდნენ კონსტრუქტორები ო. ბასილაძე, კ. მეგენეიშვილი, ეკონომისტი ფ. სამსონია და სხვები.

მუშათა კადრების მომზადებასა და გადამზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამისათვის შექმნილი იყო ტექნიკური წრეები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და გამოიყენებოდა ინდივიდუალური სწავლების ფორმაც. ქარხანაში ყოველწლიურად ამზადებდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდა ათობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. მაგალითად, 1966 წელს მოამზადეს 61, 1980 წელს – 50, 1975 წელს – 62 მუშაკი. შესაბამისი წლების მიხედვით კვალიფიკაცია აიმაღლა 76, 50 და 68 მუშაკმა (აცსა, პ-1, ან. 59, ს. 116, ფურც. 207; ფ. რ-524, ან. 1, ს. 378, ფურც. 83).

ახალი კადრების მომზადება იმითაც იყო განპირობებული, რომ ქარხანაში საკმაოდ მაღალი იყო მუშათა დენადობა. იგი შეეხებოდა დამხმარე მუშებს, ძირითადად ახალმიღებულებს. მაგალითად, 1975 წელს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში სამუშაოზე მიიღეს 75 კაცი, ხოლო დაითხოვეს 82. მეტ-ნაკლებად ასე იყო სხვა წლებშიც (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 378, ფურც. 83). მუშა-მოსამსახურეთა სტაბილური კოლექტივის შენარჩუნებისა და თვითნებური დენადობის შესაჩერებლად საწარმოს ხელმძღვანელობამ განახორციელა რიგი ღონისძიებები. ქარხნის ახლომდებარე ტერიტორიაზე ააშენეს ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი, ხოლო ქალაქის სხვადასხვა ადგილას – საუწყებო ბინები (9 ხუთსართულიანი და ერთი თორმეტსართულიანი სახლი). მიუხედავად ამისა, 1988 წლის დასაწყისში ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 30%-ს საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდა (საბჭოთა აჭარა, 12 იანვარი, 1988). ეტაპობრივად განხორციელდა ხელფასის ზრდა. ქარხანას მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1965 წელს 88 მანეთიდან 1970 წელს 137, 1981 წელს – 180, ხოლო 1989 წელს 235 მანეთამდე გაიზარდა. მაღალკვალიფიციური მუშების თვიური გამომუშავება 700-800 მანეთამდე აღწევდა.

ქარხნის ტექნიკურ პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა. თვალსაჩინო რაციონალიზატორები იყვნენ ბ. ლომთაძე, ო. ბასილაძე, ო. ქადეიშვილი და სხვები. ბ. ლომთაძის წინადადების დანერგვის შედეგად ელექტროკარის თვითამწეობა 750 კგ-დან 1000 კგ-მდე გადიდდა და საწარმოს წლიური ეკონომიკური სარგებელი 1,6 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ და სხვა სიახლის გამო ბ. ლომთაძეს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ო. ქადეიშვილმა 1962-1968 წლებში შეიმუშავა რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვის შედეგად შეიცვალა ელექტრომანქანის კონსტრუქცია, დაამზადეს ახალი ნიმუშის დეტალები და კვანძები. წლიურმი ეკონომიკური სარგებელი 47,1 ათას მანეთს უდრიდა. ო. ქადეიშვილს 1969 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება (აცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. 88, ფურც. 103). ო. ბასილაძის რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგად შეიქმნა ახალი კონსტრუქციის ურიკა, კვანძები და დეტალები, რომელთა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი მნიშვნელოვანი იყო.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ქარხანა რეკლამაციას იღებდა. 1985 წელს ქარხანამ გამოუშვა 4200 ცალი ელექტროკარი, 1986 წელს შედარებით ნაკლები – 4063 ცალი, ხოლო სასაქონლო პროდუქცია 15,1 მილიონ მანეთს აღემატებოდა (ასსდმა).

ქარხნის ძირითად პროდუქციას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ანაწილებდა მთლიანად კავშირის მასშტაბით. ნაწილი საექსპორტო იყო. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქცია მსოფლიოს 17 ქვეყანაში იგზავნებოდა. მათ შორის: ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, თურქეთში, სირიაში, ირანში, ავღანეთში, ერაყში, პაკისტანში, მონღოლეთში, კორეაში, ვიეტნამში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა რენტაბელური საწარმო იყო. მოგების დიდ ნაწილს საკავშირო ბიუჯეტში რიცხავდა. ცხადია, ქარხანას რჩებოდა მოგების ნაწილი, რაც გამოიყენებოდა წარმოების განვითარებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის. 1987-1990 წლების ეკონომიკური რეფორმის გატარების პირობებში ქარხანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, საკმარისი რაოდენობით აღარ მიეწოდებოდა ფონდირებული მასალები. მაგალითად, 1987 წელს ვერ მიიღო 18 დასახელების ფონდირებული მასალა და სახელმწიფო გეგმის შესრულებას 2,8 მილიონი მანეთი დააკლო. 1989 წელს წარმოების სახელმწიფო გეგმა 88,1%-ით შეასრულა, რის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მატერიალური წარმოება და სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობა. 1990 წელს ელექტროურიკების წარმოება 2831 ცალამდე შემცირდა, რაც 1985 წლის მაჩვენებელზე 1369 ერთეულით, ე.ი. ერთნახევარჯერ ნაკლები იყო (ასსდმა; "საბჭოთა აჭარა", 1988, 12 იანვარი).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანას მთლიანად შეუწყდა ფონდირებული მასალების მიწოდება. წარმოება თითქმის გაჩერდა. არსებული მარაგის ბაზაზე ქარხანამ 1993 წელს მხოლოდ 54 ცალი ელექტროურიკა დაამზადა. 1991-1992 წლების პროდუქციის ნაწილი რეალიზებული არ იყო. 1994 წლის 01 იანვრის მდგომარეობით 337 ცალი ელექტროურიკა საწყობებში ეწყო, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 443 კაცამდე შემცირდა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 8, ფურც. 3-4).

ქარხნის ხელმძღვანელობა შეეცადა აღედგინა კავშირი ყოფილ საბჭოთა კავშირის საწარმოებთან და რეგიონებთან, მაგრამ ამ მცდელობიდან არაფერი გამოვიდა. 1992 წელს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში შეიმუშავეს ელექტროავტომობილის წარმოების პროექტი და ერთი ცალი საცდელი მანქანა დაამზადეს. 1993 წელს 2 ცალი ასეთი ავტომობილი დაამზადეს, მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაიშალა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 7, ფურც. 2, 24). მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა გაუშვეს უვადო-უხელფასო შვებულებაში.

1999-2000 წლებში განხორციელდა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის რესტრუქტურიზაცია და მის ბაზაზე 2000 წელს შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) „ბათუმის ელექ-

ტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების საწარმოო გაერთიანება“, რომელსაც გადაეცა ბათუმის მანქანათსაშენი და საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნების დაზგა-მოწყობილობანი. თავდაპირველად გაერთიანებაში დასაქმებული იყო 55 კაცი, 2003 წელს მათი რაოდენობა 51-მდე შემცირდა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 33, ფურც. 4; ს. 34, ფურც. 23).

გაერთიანებაში მოამზადეს ტექნიკური დოკუმენტაცია ახალი პროდუქციის: საბავშვო თვითმაგორის, ატრაქციონებისა და სპორტული ტრენაჟორების დამზადებისათვის. განაახლეს ელექტროავტომობილის წარმოება. 2001 წელს დაამზადეს 10 ცალი სასეირნო-საექსკურსიო ელექტროავტომობილი (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 26, ფურც. 5; ს. 33, ფურც. 3). ყველა ეს წამოწყება ჩაიშალა, რადგან უზრუნველყოფილი არ იყო გასაღები ბაზრით, ნედლეულითა და მასალებით. 2002 წელს „ბათუმის ელექტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების გაერთიანების“ საწყობებში 440 ცალი ელექტროკარი და 160 ცალი დაუმთავრებელი ასეთი მანქანა ინახებოდა (აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. 38, ფურც. 7).

მომდევნო წლებში აუქციონის წესით 50%-ის ფასდაკლებით ჯართად გაიყიდა გაერთიანების ანგარიშზე რიცხული მანქანა-დანადგარები, მასალები, ინსტრუმენტები, დამზადებული და დაუმზადებელი მანქანები და სხვა პროდუქცია. 2004 წლის მეორე ნახევარში გაერთიანების შენობაში ეკომიგრანტები და ლტოლვილები თვითნებურად შესახლდნენ, გაანადგურეს ქარხნის არქივი, სხვა ფასეულობანი. მათი გამოსახლების შემდეგ „ბათუმის ელექტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების გაერთიანების შენობა, სხვა ნაგებობანი დაანგრიეს და ამჟამად აღნიშნული საწარმო ისტორიის კუთვნილება გახდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასსდმა – აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი;

აცსა, ფ. რ-524, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-524, ანაწერი 1, საქმე (საქმეები) №№ 7; 8; 33; 34; 38; 86; 255; 378;

აცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე №88;

აცსა, პ-1, ან. 59, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება (პ.), ფონდი 1, ანაწერი 59, საქმე №116;

„საბჭოთა აჭარა”, 1988, 12 იანვარი;

Otar Turmanidze (Batumi, Georgia)

History of Batumi Electromechanical Factory

Summary

In July 1958 electromechanical Factory was established. At first it was known as electro-door factory. In 1965 it was called electromechanical and this name stayed until the end. Electromechanical factory task was production of electro-door and it was used as intra-service. During the Soviet Union it was the only one, which gave industrial productions to enterprises and organizations throughout the union.

The factory was planted in former warehouse of Batumi port and was limited by area. However, in a short time staff and structural units were formed and created. First electro-door produced in November 1958. In the following years company's staff and industrial products significantly increased. In 1975, the factory was relocated in new building, after that normal conditions for industrial work were instituted.

In the article the factory's production activities, industrial staff, technical and technological processes, produced products, and quantitative- qualitative conditions are featured. After the collapse of Soviet Union Batumi electromechanical factory was in serious condition. After the collapse of United Soviet Market, in the Factory stopped production. After 2004, Batumi electromechanical factory's accessories sold for scrap, the buildings destroyed, and now it exists only in the tomes of history.

ჯემალ ჯარალიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 1888-1914 წლებში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ბათუმი და მთლიანად აჭარა რუსეთს შეუერთდა. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარები ბათუმში შევიდნენ. დაიწყო რუსული მმართველობის ჩამოყალიბება. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა დროებითი წესდება ბათუმის ოლქში ახალი ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ, რომლის მეშვიდე პუნქტში აღნიშნული იყო: „ქალაქ ბათუმს ერქმევა სახელად „ნავსადგურის ქალაქი“. ყველა საქმეები ამ ქალაქის შესახებ ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს საშუალებით წარედგინება დასამტკიცებლად კავკასიის მეფისნაცვალს“ („დროება“, 1878, №198) რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელი 10 წლის განმავლობაში ბათუმში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი არსებობდა. მართალია ქალაქის წარჩინებულ მოსახლეობას უფლება ჰქონდა აერჩია ოთხი დეპუტატი, მაგრამ ადმინისტრაცია მათ მხოლოდ გადასახადების აკრეფის დროს იყენებდა. „ბათუმის დაგეგმარების, განაშენიანების, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და სხვა საკითხებს წყვეტდა პოლიცმეისტერი ბათუმის ოლქის უფროსთან და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით („ბათუმის გაზეთი“, 1911, №15). ასეთი სახის მმართველობა ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობის გამოყენებას ვერ უზრუნველყოფდა, პირიქით, საგრძნობლად აბრკოლებდა მის ზრდა-განვითარებას.

საქართველოსთან შეერთების შემდეგ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბათუმის განვითარება. პირველი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ქალაქის მოსახლეობა, ისე მისი ეკონომიკური პოტენციალი. შეცვლილი ქალაქი მოითხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც.

ამას კარგად გრძნობდა ქალაქის მოსახლეობა, რომელთაც ჯერ კიდევ 1885 წელს მოითხოვეს თვითმმართველობის შემოღება. პრობლემის გადაჭრა საგრძნობლად გაჭიანურდა, მაგრამ საბოლოოდ 1888 წლის 28 აპრილს ბათუმზე გაიცა უმაღლესი ბრძანება თვითმმართველობის შემოღების შესახებ.

აღნიშნული განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით

ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანრიგის 36 ხმოსანი. ბათუმის პირველი სათათბიროს შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით შემდეგნაირი იყო: ქართველი – 11, რუსი – 8, სომეხი – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1 (Батумь и его окрестности, 1906: 486). 1 ოქტომბერს შედგა ბათუმის თვითმმართველობის საზეიმო გახსნა. ქალაქის თავად დაინიშნა კ. გავრონსკი, მისი მოადგილე გახდა დ. ბიკოვი, გამგეობის წევრები იყვნენ ა. კოიანდერიდა ი. შადინოვი, ქალაქის მდივანი გახდა ი. მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა ჩამოყალიბებისთანავე ენერგიულად შეუდგა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას. 1889 წლის 13 თებერვლის სხდომაზე შეიქმნა კომისია ი. მამულოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა შეესწავლა ის კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც მოხდა სავაჭრო ფირმებისათვის ნავთობსადენების გაყვანაზე ნებართვის გაცემა (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №57, ფურც. 6). თვითმმართველობა დაჟინებით სვამდა საკითხს ქალაქის ფარგლებიდან ნავთისა და ნავთობპროდუქტების საწყობების გატანის აუცილებლობის შესახებ (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №73, ფურც. 13-17).

1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში მეორედ ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. სიაში მყოფი 318 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 239 კაცმა. მათ აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი.ხმოსნების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი – 19, რუსი – 8, ბერძენი – 5, პოლონელი – 3. ქართველებმა სათათბიროში მიიღეს ადგილების 55%, რამაც უზრუნველყო ქალაქისთავისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი.

ახლადარჩეული სათათბირო და გამგეობა აქტიურ საქმიანობას შეუდგა ბათუმის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. ცხადია, ქალაქისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა პორტის განვითარებას. ამიტომ პორტის თემა სათათბიროს მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1888 წლის 23 სექტემბერს სათათბიროს სხდომაზე მოისმინეს განსაკუთრებული მოსამზადებელი კომისიის მოხსენება „ბათუმის პორტის სანაპირო ზოლის გაფართოებისა და მისთვის მიმდებარე მიწის გამოყოფის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტის შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო: „ამჟამად ბათუმის პორტის ნავსადგომი ზოლი მხოლოდ 380 საჟენს შეადგენს, რაც მხოლოდ ნავთობ-პროდუქტების ექსპორტისათვის არის საკმარისი... ტვირთბრუნვის პროგრესული ზრდის შემთხვევაში არსებული ზოლი მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს თუ დააკმაყოფილებს ... საჭიროა ნავსადგომი ზოლი 800 საჟენი მასშტაბისა“ (აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. №3, ფურც. 10-12).

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, პორტს შემდგომშიც უჭირდა დაეკმაყოფილებინა ტვირთბრუნვის სულ უფრო მზარდი მოცულობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ბათუმისა და ფოთის პორტებში გემების მიმოსვლისა და ტვირთბრუნვის მოცულობის შედარება. 1893 წლის მონაცემებით ბათუმის პორტში შემოვიდა სულ 2751 გემი, (მათ შორის, 2158 ორთქლის, ხოლო 593 იალქნიანი) როცა ფოთის პორტმა მიიღო სულ 590 გემი (მათ შორის 514 ორთქლის, ხოლო 76 იალქნიანი). იმავე წელს ბათუმის პორტში შემოიტანეს 6.068.120 ფუთი ტვირთი (რომლის ღირებულება შეადგენდა 9.701.774 მანეთს), ხოლო გაიტანეს 57.725.902 ფუთი (ღირებულება შეადგენდა 23.556.659 მანეთს). მაშინ, როცა ფოთის პორტში შემოიტანეს 1.787.000 ტვირთი (საერთო ღირებულებით 2.239.500 მანეთი), ხოლო გაიტანეს 11.495.542 ფუთი (საერთო ღირებულებით 2.239.500 მანეთი) (ქცსა, ფ. 130, ან. 1, ს. №178, ფურც. 7-14).

მოითხოვდა რა პორტის გაფართოებას, ბათუმის თავი ლუკა ასათიანი 1900 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „20 წლის წინათ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500. 000 ფუთს, 1899 წელს კი მან 90 მლნ. ფუთს მიაღწია. 1898 წელს ბათუმის პორტში შემოსული გემების რაოდენობამ შეადგინა 1740 (თურქული და რუსული პატარა გემების ჩაუთვლელად). ბათუმის პორტის ნავსადგომი შეადგენს მხოლოდ 600 საჟენს. საშუალოდ ერთ საჟენზე უნდა მოდიოდეს 200.000 ფუთი ნავთობი, ხოლო სხვა ტვირთი 40.000 ფუთი. ამ შესაბამისობით პორტის ნავმისადგომი ზოლი უნდა იყოს 1333 საჟენი... (სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. №713, ფურც. 52-53).

სათათბირო ცდილობდა გაზრდილიყო ბათუმის პორტიდან მარგანეცის ექსპორტიც. ამ მიზნით 1899 წლის 22 თებერვლის სხდომაზე ქალაქის გამგეობას შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრაც დაავალა (აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. №315, ფურც. 5-7).

შემოსავლების გაზრდის მიზნით სათათბირო ხელს უწყობდა სხვადასხვა სავაჭრო სახლებისა და ფირმების დამკვიდრებას ბათუმში (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №112, ფურც. 25). ბათუმის ეკონომიკური ზრდისა და სათათბიროს მეცადინეობის შედეგად თვალსაჩინოდ გაიზარდა ქალაქის ბიუჯეტიც. თუ 1892 წელს შემოსავალმა შეადგინა 122.161 მანეთი, 1896 წელს მიაღწია 334.995 მან., ხოლო 1900 წლისთვის – 680.996 მანეთამდე გაიზარდა (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №214, ფურც. 3-8).

სათათბირო სერიოზულად ზრუნავდა ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სათათბიროსა და გამგეობის შეთანხმებული მოქმედების შედეგები მალე დაეტყო ბათუმს –გაიზარდა ქალაქის ფართობი და მოსახლეობა, გაიხსნა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შეიცვალა ქალაქის იერსახე. 1897 წლის 22 ოქტომბრის ქალაქის სათათბიროს სხდომაზე აღინიშნა: „ბათუმის მოსახლეობა გახდა 26.417 ადამიანი, ახალგაზრდა ქალაქში აშენდა 3000 სახლი, მათ შორის 800 ქვის, ქარხნების რაოდენობა გაიზარდა 18-მდე, მათი საერთო ღირებულებით 7.094.480 მანეთი ვერცხლით. ყოველივე ამას თან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის კეთილმოწყობა“ (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №152, ფურც. 39). ამ წარმატებებში დიდი იყო ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის წვლილი.

1898 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები. 2 დეკემბერს შედგა ხმოსანთა ფიცის დადების ცერემონიალი. 1899 წლის 7იანვარს ჩატარდა გამგეობის არჩევნები. როგორც სათათბიროს, ისე გამგეობის შემადგენლობა ძირითადად უცვლელი დარჩა.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი სამრეწველო განვითარების დონით ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იყო თბილისისა და ბაქოს შემდეგ. სამრეწველო განვითარების შესაბამისად სწრაფი ტემპით იზრდებოდა ბათუმის მოსახლეობაც. თუ 1878 წელს, რუსეთთან შეერთების დროისათვის, ბათუმში 3000 მცხოვრები ითვლებოდა, 1907 წლის აღწერით ეს რიცხვი 33543-მდე გაიზარდა, ხოლო 1913 წელს, ქალაქის სათათბიროს მონაცემებით, თითქმის 40 000-ს მიაღწია (აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. №551, ფურც. 18).

ბათუმის ხელმძღვანელობას დაძაბული მუშაობა უხდებოდა სწრაფი ტემპით მზარდი ქალაქის მრავალრიცხოვან საჭიროებათა გადასაჭრელად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის თავის ივანე ანდრონიკაშვილის დამსახურება. იგი 1902 წლის მარტში

(1901 წლის ნოემბერში ლუკა ასათიანის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ) აირჩიეს ქალაქის თავად და 14 წლის განმავლობაში უძღვებოდა ქალაქის საქმიანობას, ბევრს ზრუნავდა საქალაქო მეურნეობისა და განაშენიანებისათვის, სათანადო მატერიალური ბაზის შესაქმნელად.

ბათუმის ბიუჯეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფუთო გადასახადს. 1889 წლის 9 მაისს ბათუმის ნავსადგურში გავლილ საქონელზე დაწესდა საფუთო გამოსაღები, (ბათუმის პორტზე გავლილი ტვირთი იბეგრებოდა ფუთზე მეოთხედი კაპიკით – ჯ.კ.) რომლის ოთხი მეხუთედი სახელმწიფო ხაზინაში მიდიოდა, ერთი მეხუთედი კი თვითმმართველობას ეძლეოდა ნავსადგურის კეთილმოწყობისა და პორტისაკენ მიმავალი ქუჩების მოკირწყვლისათვის. მართალია, საფუთო გამოსაღებიდან შემოსული თანხები ბრძანებით მხოლოდ ნავსადგურის საჭიროებისათვის უნდა დახარჯულიყო, მაგრამ თვითმმართველობა ახერხებდა ქალაქის სხვა საჭიროებისათვის მათ გამოყენებას (ბენდიანიშვილი, 1982: 252-253). თუ რამდენად დიდი იყო ბათუმის შემოსავლებში საფუთო გადასახადის როლი, ამაზე მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: 1901 წელს ქალაქის მთელი შემოსავალი უდრიდა 575.438 მანეთს, აქედან საფუთო გამოსაღებზე მოდიოდა 244.705 მანეთი, საერთოდ კი 1889-1901 წლებში ამ გზით ქალაქის ბიუჯეტს შეემატა 1.974.521 მანეთი. სამწუხაროდ, 1901 წლის 8 ივნისის კანონით საპორტო შემოსავლების რეორგანიზაცია მოხდა. მომავალში საფუთო გადასახადების აკრეფა დაევალა საბაჟოებს, რომლებსაც ის სახელმწიფო ხაზინაში შეჰქონდათ. ამ კანონმა ბათუმი სერიოზულად დააზარალა. თუ ადრე საფუთო გადასახადიდან წელიწადში საშუალოდ 200-250.000 მანეთს იღებდა, ამიერიდან ბათუმს მხოლოდ 30-40.000 მანეთის მოთხოვნა შეეძლო, ისიც მხოლოდ ნავსადგურისათვის. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა წლების მანძილზე დაჟინებით ცდილობდა აღედგინა საფუთო გადასახადი (აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. №664, ფურც. 366).

ბათუმის თვითმმართველობას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ქალაქის ქონება-საკუთრების ოპტიმალური ექსპლუატაცია. მომგებიანი წარმოება-დაწესებულებები იყო: ნურიის ბაზარი, ლომბარდი, სასაკლაო, წყალსადენი, ელექტროსადგური და რამდენიმე სხვა ობიექტი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. 1901წლიდან, როცა ქალაქს საფუთო გამოსაღები შეუწყდა, იგი დიდი ფინანსური პრობლემის წინაშე დადგა. თვითმმართველობა იძულებული იყო შეემცირებინა ხარჯები, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლები მაქსიმალურად გაეზარდა (ამის ნათელ მაგალითად საფუთო გადასახადის დაწესების დაჟინებული ცდაც გამოდგება, ამავე დროს თვითმმართველობა იმპერიის სხვა ქალაქებშიც გამოფენა-ბაზრობების ორგანიზებით ცდილობდა მიეღო

შემოსავალი. სათათბირო აქტიურობდა ბათუმ-ყარსის რკინიგზის მშენებლობის საკითხშიც. ამ რკინიგზით ბათუმი დაუკავშირდებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონებს, რაც მომარაგებასთან ერთად გაზრდიდა ტვირთბრუნვას და შესაბამისად ქალაქის შემოსავალსაც). თუმცა თვითმმართველობამ დეფიციტი ქალაქის ბიუჯეტში მაინც ვერ აღმოფხვრა. 1911 წელს ქალაქის შემოსავალმა შეადგინა 457.212 მანეთს, როცა იმავე წელს გასავალი 493.973 მანეთს შეადგენდა (სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. №403, ფურც. 26-27).

მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვითმმართველობა ცდილობდა გადაეწყვიტა ქალაქისათვის ისეთი აუცილებელი საკითხები როგორიც იყო წყლით მომარაგება, განათება, სანიტარული მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა.

თვითმმართველობის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენდა ქალაქის ქუჩების განათება. თუ 1879 წელს ნავთის ლამპებით (23 ფარანი) ქალაქის განათებაზე დაიხარჯა 1575 მანეთი, 1888 წელს უკვე 395 ფარანი იყო, ხოლო განათების ხარჯებმა 5335 მანეთს მიაღწია (Батумь и его окрестности, 1906: 478-479). 1911 წელს ბათუმის განათებაზე დაიხარჯა 49.504 მანეთი. აქედან ელექტროგანათებაზე – 45476 მანეთი, ხოლო ნავთით განათებაზე – 4028 მანეთი (სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. №403, ფურც. 39).

ბათუმის თვითმმართველობის ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო სახალხო განათლება. მისი მონდომების გარეშე არ გაიხსნებოდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაც. როცა თვითმმართველობამ იკისრა გიმნაზიის შენობის ასაგები ხარჯები და ყოველწლიური სუბსიდია 15000 მანეთის რაოდენობით, განათლების სამინისტრომ მხოლოდ ამის შემდეგ დართო გიმნაზიის გახსნის ნება. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის შენობის აგებაზე თვითმმართველობამ 215.000 მანეთი დახარჯა. ამის შემდეგაც იგი არ იფარგლებოდა ფინანსური მხარდაჭერით (მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად თავად უჭირდათ) და ყურადღებას არ აკლებდა გიმნაზიას.

თვითმმართველობის ყურადღება არც სხვა სასწავლებლებს აკლდა. ბათუმის ისედაც შეზღუდული ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებაზე მიდიოდა. მაგალითად, თუ 1888 წელს განათლების ხარჯებმა 2300 მანეთი შეადგინა, 1901 წელს ეს ხარჯები 38.821 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1911 წელს 84.394 მანეთს მიაღწია (სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. №403, ფურც. 9). მართალია განათლების სფეროზე ქალაქის თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის მდგომარეობის შესაბამისად მეტნაკლებად მერყეობდა, მაგრამ საშუალოდ წელიწადში იგი ქალაქის ბიუჯეტის 10-15 % შეადგენდა (ბენდიანიშვილი, 1882: 271).

ფინანსური სიძნელეები რომ არა, ბათუმის თვითმმართველობას კიდევ ბევრი სასიკეთო იდეის განხორციელება შეეძლო. უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობის სამოქმედო ასპარეზს არანაკლებ ზღუდავდა იმდროინდელი სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლებებს კვეცავდა.

იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ბათუმის ოლქისა თუ კავკასიის ადმინისტრაცია უხეშად ერეოდა თვითმმართველობის საქმეებში. ამის მაგალითი იყო 1901 წელს გამგეობის წევრადი. ივანოვის კანდიდატურის თავს მოხვევა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორი მოითხოვდა ქალაქისთავისაგან ხმოსნების: გ.სოგოროვის, ე.ბერძენიშვილის, ა.დეკანოზოვის, გ.ელიავას და ხმოსანთა კანდიდატის ე.ხოროშანსკის გადაყენებას და მათ შეცვლას გურგენიძით, ვ.რუხაძით, ნ.საიპოვით და ი.კახიანით („ბათუმის გაზეთი“, 1911, №12).

თვითმართველობის წინააღმდეგ ცილისწამების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1910 წლის 2 აპრილს „რუსკოე ზნამიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ბათუმის თვითმმართველობის წევრებს და გამგეობას 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენების დროს აჯანყებულებზე მხარდაჭერა ბრალდებოდათ (ეს შეიძლება ნაწილობრივ მართალიც იყოს, რადგან ქალაქის მაშინდელი თავის – ი.ანდრონიკაშვილისა და მდივნის – ი.მესხის მემარცხენეობაზე სხვა ცნობებიც მოიპოვება – ჯ.კ.). წერილის ავტორი მოითხოვს, რომ სანამ ბათუმში ასეთი გამგეობა იქნება, მას არავითარი მხარდაჭერა არ უნდა ჰქონდესო. ივანე ანდრონიკაშვილმა სათათბიროსთან შეთანხმების შემდეგ საქმეა ღზრა გაზეთ „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორის დუბროვინის წინააღმდეგ. პეტერბურგში ბათუმის სათათბიროს ინტერესებს იცავდა იურისტი ზარუდნი. ეს საქმე ბათუმის თვითმმართველობამ მოიგო. 1915 წლის 31 მარტს სასამართლომ დუბროვინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №652, ფურც. 1-6, 17-27, 50-52).

ბათუმის საქალაქო თვითმართველობა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ნოვოროსიისკის ქალაქის თავის თხოვნა ივანე ანდრონიკაშვილისადმი, რომ მან გაუზიაროს საფუთო გადასახადის დაწესების საქმეში ბათუმის თვითმმართველობის გამოცდილება (აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №664, ფურც. 304).

1913 წლის 1 ოქტომბერს ბათუმის თვითმმართველობამ აღნიშნა 25 წლის იუბილე. საიუბილეო დღეებში აღინიშნა ის წარმატებები, რომლებიც ბათუმმა მოიპოვა თვითმმართველობის 25 წლის მანძილზე. წინ ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი, მაგრამ 1914 წელს დაწყებული მსოფლიო ომის გამო ბათუმის თვითმმართველობის ბევრი სასიკეთო წამოწყება განუხორციელებელი დარჩა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №57 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, ანაწერი 1, საქმე №57.

აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. №№73, 112, 152, 214, 652, 664.

აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. №№3, 9, 551, 664.

„ბათუმის გაზეთი“, 1911, №12, №15.

ბენდიანიშვილი, 1982: – ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი.

„დროება“, 1878, №198.

სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. №713 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, ანაწერი 1, საქმე №713.

სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. №403.

ქცსა, ფ. 130, ან. 1, ს. №178 – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, ანაწერი 1, საქმე №178.

Батумь и его окрестности, 1906: – Батумъ и его окрестности. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи, Батумъ.

Jemal Karalidze (Batumi, Georgia)

The Main Directions of the Activity of Batumi Municipality in 1888-1914

Summary

The construction of the port and the launch of Baku-Batumi railway line in 80s of 19th century gave the economical development of Batumi a great catalyst. Due to the commercial and industrial increase the population of Batumi grew. The tsarist police administration did not meet the interests of Batumi population. The citizens of Batumi redressed to the administration of the Caucasus to give them the self-governance. In spite of the displayed reluctance the appeal was satisfied. The first elections of town council were held.

The author studies the main directions of economic, social and cultural activity of Batumi Municipality in 1888-1914 on basis of periodical and new archival materials in 1888-1914.

ტატიანა ჯოჰალეიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

პროტესტანტი მრევლი ბათუმში

ბათუმი მრავალეთნიკური და კონფესიურად ჭრელი ქალაქია. ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების გვერდით, არსებობენ ნაკლებად ცნობილი, თუმცა გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, საინტერესო პროტესტანტული კონფესიებიც.

პროტესტანტი მრევლის პირველი ნაკადი აქ გაჩნდა 1880-იანი წლების მეორე ნახევარში, ევანგელურ-ლუთერული რწმენის აღმსარებელთა სახით. დაიგეგმა ეკლესიის შენობის აგებაც, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების გამო, ვეღარ განხორციელდა. 1911 წელს ბათუმში ლუთერული ეკლესიის პასტორი გაიწვიეს, 1915 წელს კი დაიწყო გერმანული მიწათმფლობელობის შეზღუდვა-გაუქმების პროცესი და გერმანელთა გადასახლება (აცსა, ფ.1, ან.1, ს. 516, ფურც. 3).

ბათუმში, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის გარდა, სიძველით გამოირჩევა ბაპტისტური ეკლესია. იგი დღემდე მოქმედია და წარმოდგენილია რამოდენიმე საკრებულოს სახით. საქართველოში 1867 წლიდან ფეხმოკიდებული ბაპტიზმი ახლად შემოერთებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 1890-იანი წლებიდან ვრცელდება.

XX საუკუნეში, საბჭოთა წლებსა და შემდგომ პერიოდში ჩნდება სხვა მრავალი პროტესტანტული მიმდინარეობის ეკლესია.

დღეს პროტესტანტი მრევლი ბათუმში წარმოდგენილია საკმაოდ ფართო კონფესიური სპექტრით. ქალაქში მოქმედებს 10-მდე საკრებულო (ეკლესია): ორი ბაპტისტური, 3 სახარებისეული რწმენის ქრისტიანების (ორმოცდაათიანელები), წმიდა სამების პროტესტანტული, "სიცოცხლის სიტყვა" ქარიზმატული, ხსნის არმია და სხვა. ამათგან მხოლოდ ნახევარს აქვს საკუთარი საეკლესიო შენობა, დანარჩენები კი იკრიბებიან დაქირავებულ დარბაზებსა თუ კერძო სახლებში.

რელიგიური უმცირესობების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მეტ–ნაკლებად ცნობილია, ვფიქრობთ, არანაკლებ საინტერესოა საკუთრივ ამ ჯგუფების პოზიციები და შეხედულებები საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მიმართ, რაც მეცნიერულად შეუსწავლელია. ამ ხარვეზის შესავსებად ჩავატარეთ ბათუმში არსებული საკრებულოების მრევლის გამოკითხვა. ეკლესიებში ზუსტი აღრიცხვიანობის არარსებობის გამო, მრევლის ზუსტი რაოდენობის დადგენა გაგვიჭირდა. კვლევა ჩატარდა ხუთ საკრებულოში, სადაც

გამოიკითხა 80-მდე რესპონდენტი, რაც შეადგენს ამ საკრებულოების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%-ს. გამოკითხვის მიზანი იყო წარმოდგენა შეგვექმნა მრევლის შიდასაეკლესიო ცხოვრებაზე, საზოგადოებრივ განწყობებზე და მორალურ ასპექტებზე.

დაარსების თარიღის მიხედვით გამოკითხულ ეკლესიათა შორის, ყველაზე ძველია სახარებისეული რწმენის ქრისტიანების – ორმოცდაათიანელთა ეკლესია, რომელიც ჩამოყალიბდა 1964 წლიდან. ორმოცდაათიანელთა პირველი ოჯახები აქ ჩამოვიდნენ 1959 წელს ყაზახეთიდან. თავიდან ბაპტისტებთან ერთად იკრიბებოდნენ, თუმცა მალევე გამოეყვნენ და საკუთარი საკრებულო ჩამოაყალიბეს (კოპალეიშვილი, 2013: 104). 1970-იანი წლებიდან დღემდე მსახურება ტარდება 31 დეკემბრის ქუჩაზე (№4) მდებარე სამლოცველო სახლში. მსახურებები ტარდება კვირას (საჯარო წირვა) და პარასკევს (ლოცვის მსახურება).

წმიდა სამების პროტესტანტული ეკლესია დაარსდა 1995 წელს. პირველი მორწმუნეების ჯგუფი 30-მდე წევრს მოითვლიდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მრევლის რაოდენობა 150 წევრს მოითვლის. ეკლესიის იერარქიული წყობა რეფორმატულია. ეკლესიაში არსებობს სამი ძირითადი მსახური: პასტორი, ხუცესი და დიაკვანი. კვირის მანძილზე ტარდება რამოდენიმე მსახურება.

ეკლესია „ცოცხალი რწმენა" ევანგელურ ქრისტიანული მიმართულებისაა. დაარსდა 1994 წელს. კვირის მანძილზე ტარდება 6 მსახურება: კვირის, ლოცვის, საოჯახო ლოცვის, ახალგაზრდული, საკვირაო სკოლა, მახარობლური.

ბიბლიური რწმენის ეკლესია „მადლიერი" არადენომინაციურია და პროტესტანტულსაც არ უწოდებს თავს, თუმცა ფორმითა და შინაარსით ყველაზე ახლოს სწორედ ამ მოძღვრებასთან დგას. დაარსდა 2003 წელს პასტორის ოჯახის და 8-კაციანი ჯგუფის მიერ. პასტორის პოზიცია არჩევითია და ჯერჯერობით უვადო, მაგრამ მალე იგეგმება წესდების რევიზია, სადაც პასტორობის ვადა 5 წლით უნდა განისაზღვროს. დღეისათვის შედგება 32 წევრისგან.

ზემოაღწერილ და სხვა ეკლესიებში გამოიკითხა 80 რესპონდენტი (აქედან 49 ქალი, 31 – მამაკაცი), რომელთა ასაკი მერყეობს 18-დან 80 წლამდე.

გამოკითხულ საკრებულოებში ეთნიკურად ქართული მოსახლეობა პრევალირებს (ქართველი – 86%, სომეხი – 10%, რუსი – 3 %, სხვა (ბერძენი, ებრაელი, უკრაინელი) – 1%), რასაც ვერ ვიტყვით საბჭოთა თუ რევოლუციამდელ დროზე, როცა არაქართული მოსახლეობა ყოველთვის უმრავლესობაში იყო. რელიგიის საქმეთა რწმუნებულები თუ პოლიცმეისტერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ქართულ მოსახლეობაში აღნიშნული სწავლება პოპულარობით ვერ სარგებლობს (აცსა, ფ. ი-1, ან. 1, ს. 447, ფურც. 8; სუიცა, ფ. 1880, ა. 1, ს. 32, ფურც.

30). რამ გამოიწვია ქართული მოსახლეობის წილის ზრდა პროტესტანტულ ეკლესიებში, ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით მრევლის უმეტესობის ეკლესიაში ყოფნის ასაკი 10 წელზე მეტია (10 წელზე ნაკლები – 28%, 10 წელზე მეტი – 49%, 20 წელზე მეტი – 20%), რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს, არაქართული მოსახლეობის ემიგრაციის ტალღებს, ქართული მოსახლეობის 70 წლიანი სულიერი გამოფიტვის შემდგომ შვების ძიების წლებს. საინტერესოა, რომ კითხვაზე, თუ რომელ კონფესიას ეკუთვნოდნენ ამ ეკლესიაში მოხვედრამდე, 46%-მა მიუთითა – არც ერთს, 30% – მართლმადიდებელ ეკლესიას, 18% – ისლამს, კათოლიკობას ან სხვა კონფესიებს. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ პროტესტანტული კონფესიის ამა თუ იმ ეკლესიით მათი დაინტერესების მიზეზს უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენდა ამავე კონფესიის მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობა, ოჯახის წევრთა გავლენა ან საკუთარი სულიერი ძიებები.

რამ განაპირობა თქვენი ამ ეკლესიაში პირველად მოსვლა?

ცხოვრების საზრისზე ფიქრმა	17%
მორწმუნეებთან ურთიერთობამ	54%
ოჯახის წევრთა გავლენამ	25%
სნეულებამ ან განსაცდელმა	3%
სასულიერო ლიტერატურის გაცნობამ	1%

პროტესტანტი მრევლი, ეკლესიასთან სიახლოვის დონის მიხედვით, პირობითად რამდენიმე კატეგორიად იყოფა: ახლად მოსულს, გაეცნობა რა საეკლესიო ცხოვრების თუ ქრისტიანული მოძღვრების ძირითად პოსტულატებს (გაივლის კატეხიზაციას), შეუძლია მიიღოს წყლით ნათლობა და ავტომატურად გახდეს ეკლესიის წევრი. ზოგიერთ ეკლესიაში (მაგ. წმინდა სამების პროტესტანტულ ეკლესიაში), მონათლული შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ საკრებულოში დარჩეს წევრად. ეკლესიის წევრობა გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს მორწმუნეს, როგორიცაა მსახურებებში მონაწილეობა, შიდა საწევრო კრებებზე დასწრება, სადაც ირჩევა შიდა საეკლესიო საქმეები, მიიღება ეკლესიის ცხოვრებისთვის ესა თუ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. წევრისგან არის მოლოდინი მეათედის შეწირვისა, ეკლესიის მსახურებაში აქტიური ან არარეგულარული ჩართვისა. ყველა ეკლესიას გააჩნია შიდა მსახურთა (ან უხუცესთა) წრე, რომელიც ეკლესიის ბირთვს წარმოადგენს და ზურგს უმაგრებს ეკლესიის მწყემსს – პასტორს ან პრესვიტერს. ეკლესიის მსახურებებში ჩვეულებრივ მოიაზრება დიაკვნობა, მქადაგებლობა, გუნდში გალობა, რეგენტობა, საშინაო ჯგუფის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდული შეხვედრების ხელმძღვანელობა, ხაზინადარობა და სხვა.

ბათუმის ეკლესიებში გამოკითხული პროტესტანტი მორწმუნეების 38% მსახური იყო (რაც გულისხმობს მონათლულობას და წევრობასაც), 49% – მონათლული წევრი, 9% – მხოლოდ მონათლული და 4% – მსმენელი. ციფრები ნათლად ასახავს პროტესტანტობის ერთ-ერთ საყვარელ დოქტრინას „საყოველთაო მღვდლობის“ შესახებ, რომელიც კარს უხსნის ნებისმიერ მორწმუნეს აქტიურად ჩაერთოს მსახურებაში (1 პეტრე, 2: 9; ლუთერი, 1520: 5).

ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტოლერანტობის თემა რელიგიათაშორის დიალოგში. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა 2003, 2004, 2006 და 2008 წლებში ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს მსხვილ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი). შედეგები ასახავს დამოკიდებულებას რელიგიური უმცირესობების მიმართ: 2006 წლის მონაცემებით გამოკითხულთა 67.7% თვლიდა, რომ საქართველოსთვის უმჯობესია, თუ ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი იქნება; 30.2% – ფიქრობდა, რომ საქართველოს კეთილდღეობისათვის საზიანო არ იქნება, თუ ქვეყანაში იქნებიან სხვა აღმსარებლობის მატარებელი ქართველებიც. 2%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა (უმცირესობები საქართველოში, 2008: 30). 2008 წლის მონაცემებით კი პროცენტები გადანაწილდა შემდეგნაირად: 82.2%, 16.2% და 1.6% (საქართველოს ქალაქური .., 2010: 7).

2003-2008 წლის გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ კლებულობს რელიგიურ უმცირესობათა მიმართ რადიკალურ-ძალადობრივი ზომების მომხრეთა რიცხვი, მეორე მხრივ, იზრდება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, სკოლაში მხოლოდ მართლმადიდებლობის სწავლების, სხვა კონფესიათა აქტივობის შეზღუდვის მომხრეთა რიცხვი. აღნიშნული ტენდენციების გაძლიერება-შესუსტება დამოკიდებული იქნება ქვეყანაში ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაზე (საქართველოს ქალაქური .., 2010: 16).

ნიშანდობლივი იყო ჩვენთვის საინტერესო რელიგიური ჯგუფის აზრის შესწავლაც ტოლერანტობის თემასთან დაკავშირებით. გამოიკითხა მათი დამოკიდებულება ბათუმში მოღვაწე ძირითადი და საკუთრივ შიდაპროტესტანტული კონფესიების მიმართ:

კითხვა ჟღერდა შემდეგნაირად: რა დამოკიდებულება გაქვთ ბათუმში სხვა კონფესიების მიმართ? შეაფასეთ სამიდან ერთი კრიტერიუმით – პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური.

	პოზიტიური (%)	ნეიტრალური (%)	ნეგატიური (%)
მართლმადიდებ.	24	67	9
კათოლიკური	40	56	4
მუსლიმური	24	52	24
სომხური სამოც.	37	60	3
ადვენტისტური	29	66	4
ორმოცდაათიანელ.	63	37	0
ბაპტისტური	55	45	0
ქარიზმატები	56	42	2
ხსნის არმია	38	62	0
იეჰოვას მოწმეები	3	32	65

როგორც ვხედავთ, ნეიტრალური დამოკიდებულება ჭარბობს ორ შემთხვევაში – ან ტრადიციულ კონფესიებთან ან მათთვის ნაკლებად ცნობილ რელიგიურ ჯგუფებთან. პოზიტიური დამოკიდებულება – პროტესტანტობის შიგნით დოგმატურად ახლო მდგომ კონფესიებთანაა (მაგ: ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ქარიზმატები). მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება კი აქვთ მხოლოდ იეჰოვას მოწმეების საქმიანობის მიმართ.

საინტერესოა, რომ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი გამოკითხვისას იეჰოვას მოწმეებს და ბაპტისტებს სექტებად მოიხსენიებს და ცალკე გამოყოფს „სხვა კონფესიებს“, სადაც დაკონკრეტებულია: კათოლიკები, პროტესტანტები, მუსლიმები. ვფიქრობთ, ასეთი კატეგორიზაცია არ შეესაბამება საკუთრივ პროტესტანტული მრევლის თვითაღქმასა და მიკუთვნების ხარისხს, თუმცა იგი ასახავს მართლმადიდებელი მრევლის წარმოდგენებს, რომელშიც პროტესტანტობა და იეჰოვას მოწმეები ერთად მოიაზრება. ბაპტისტების გამოყოფაც საერთო პროტესტანტული ნიშიდან არ მიგვაჩნია მართებულად. გამოკითხულ ეკლესიათა მრევლი კატეგორიულად ემიჯნება იეჰოვას მოწმეთა შეხედულებებსა თუ საქმიანობას და ისევე ნეგატიურად არის განწყობილი მათ მიმართ, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყურადსაღებია მრევლის აზრი ისეთი სოციალური ასპექტების მიმართ, როგორიცაა მილიტარული თემა და პოლიტიკური აქტივობა. გამოკითხვამ თუ როგორია მრევლის დამოკიდებულება სამამულო ომში მონაწილეობის მიმართ, შემდეგი შედეგი აჩვენა:

ომის შემთხვევაში მორწმუნეს აქვს უფლება წავიდეს ომში იარაღით ხელში;	32%
ომის შემთხვევაში მორწმუნეს აქვს უფლება წავიდეს ომში ალტერნატიულ სამსახურში;	48%
არ უნდა წავიდეს ომში რელიგიური მოტივით;	11%
მიჭირს პასუხის გაცემა	9%

საგულისხმოა, რომ გამოკითხულ ეკლესიათა უმეტესობა ეკლესიური პოლიტიკის დონეზე არ იზიარებს პაციფისტურ პოზიციას – მოძღვრები აცხადებენ, რომ მორწმუნე თავისუფალია თავის არჩევანში და საკუთარი სურვილის შემთხვევაში შეუძლია იმსახუროს ჯარშიც და იარაღით ხელში დაიცვას სამშობლო. თუმცა მრევლის უმეტესობას უფრო მართებულად სწორედ პაციფისტური გზა მიაჩნია.

რაც შეეხება პოლიტიკურ აქტივობას, საკითხში გარკვევის ინტერესი ნაკარნახევი იყო საბჭოთა დროს პროტესტანტ მორწმუნეებში არსებული მარგინალური და ხშირად მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა მთავრობის მიმართ. არაღვთისნიერ საქციელად ითვლებოდა უღმერთო მთავრობასთან კოლაბორაცია, მით უმეტეს – პოლიტიკოსობა. მორწმუნეები გაყოფილნი იყვნენ ორ ბანაკად – რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ეკლესიებად (კოპალეიშვილი, 2013: 102). რეგისტრირებულებშიც კი მორწმუნის პოლიტიკური აქტიურობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით. საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ რა ცვლილებები განიცადა შეხედულებებმა პოლიტიკური რეჟიმების ცვლის ფონზე.

დამოკიდებულება საჯარო სამსახურის ან პოლიტიკის მიმართ:

ვთვლი, რომ მორწმუნეს აქვს უფლება მონაწილეობდეს პოლიტიკაში ყველა დონეზე;	42%
ვთვლი, რომ მორწმუნის მონაწილეობა პოლიტიკაში უნდა გამოიხატებოდეს არჩევნებში მონაწილეობითა და მთავრობისადმი მორჩილებით.	49%
მორწმუნე არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში არც ერთ დონეზე	9%

როგორც ჩანს, ძველი დროის გამოძახილი იგრძნობა დღევანდელ მორწმუნეებშიც. ჯერ კიდევ დიდია იმათი წილი, ვინც თვლის, რომ მორწმუნე მინიმალურად უნდა იყოს პოლიტიზირებული. თუმცა მკვეთრად არის გაზრდილი იმათი რიცხვიც, ვინც თვლის რომ მორწმუნე უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური მოქალაქე.

რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი თემების ერთ-ერთი თავისებურებაა ეთიკური საკითხებისადმი უფრო კონსერვატული და კატეგორიული დამოკიდებულება. ეს, სავარაუდოდ, აიხსნება

თვითგადარჩენის სურვილით ნაკარნახევი უფრო ჩაკეტილი და თემური თანაცხოვრების წესითა და იდენტობის გამძაფრებული განცდით – „ჩვენ უნდა განვსხვავდებოდეთ უმრავლესობისგან". ასეთ მცირერიცხოვან თემებში ეთიკურ საკითხებზე კონტროლის მექანიზმებიც შესაბამისად მეტია და მათი სისრულეში მოყვანაც უფრო ადვილია. ბათუმის პროტესტანტული მრევლიც ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. ეს კარგად გამოჩნდა მრევლის გამოკითხვისას ნიკოტინთან, კონტრაცეფციასთან, ქორწინებასთან და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ საკითხებში.

დამოკიდებულება ნიკოტინთან:

ვეწევი და ვთვლი რომ ეს ნორმალურია	0 %
ვეწევი, მაგრამ არ ვთვლი რომ ეს ნორმალურია	1.5 %
არ ვეწევი, მაგრამ სხვას არ ვუშლი	7 %
არ ვეწევი და სხვას სიგარეტის მოწევაში არ შევუწყობ ხელს	92 %

კონტრაცეფციის თემასთან დაკავშირებით, სიტუაცია ბოლო ათწლეულებში საკმაოდ შეცვლილია. საბჭოთა დროინდელი პროტესტანტები ცნობილი იყვნენ მრავალშვილიანი ოჯახებით. ზოგადად, მსოფლიო პროტესტანტობაშიც, კონტრაცეფციისადმი ერთიანი პოზიცია არ არსებობს, როგორც მაგალითად კათოლიკურ ეკლესიაში, ამდენად ყოველი საკრებულო თავისუფალია შიდა პოლიტიკის შემუშავებაში.

დამოკიდებულება კონტრაცეფციის მიმართ:

გამოყენება დასაშვებია	54%
გამოყენება დაუშვებელია	15%
გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში	31%

დამოკიდებულება აზარტული თამაშების მიმართ:

	დასაშვებია	არასასურველია	დაუშვებელია
ბანქოს/კარტის თამაში	9%	30%	61%
ინტერნეტში თამაში	23%	31%	46%
ყველა ზემოთ ჩამოთვლილის ფულზე თამაში	0%	18%	82%
ლატარეის ბილეთების ყიდვა	26%	28%	46%
კაზინოში თამაში	0%	24%	76%

ქორწინება დასაშვებია:

მხოლოდ ჩემი კონფესიის წევრთან	3%
ნებისმიერი პროტესტანტული ეკლესიის წევრთან	44%
ნებისმიერ ქრისტიანთან	32%
ქორწინება დასაშვებია ნებისმიერ ადამიანთან განურჩევლად მისი რელიგიური კუთვნილებისა	21%

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მცირერიცხოვანი პროტესტანტი მრევლი ბათუმში სხვათაგან განსხვავებით, უფრო კონსერვატულად ცხოვრობს, მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, მაინც უფრო კარჩაკეტილია და ზომიერად თანამშრომლობს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გარკვეულ წვლილს შეიტანს მკითხველში პროტესტანტების ცნობადობის ამაღლებასა და მათდამი ობიექტური დამოკიდებულების ფორმირებაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

გამოკითხვის მასალები (პირადი არქივი).

აცსა, ფ.1, ან. 1, ს. 516: – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე №516

აცსა, ფ. ი-1, ან. 1, ს. 447.

კოპალეიშვილი, 2013: – კოპალეიშვილი ტ., პროტესტანტული ეკლესიების ისტორიისათვის ბათუმში, *ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა*, III, ბათუმი.

საქართველოს ქალაქური .., 2010: – საქართველოს ქალაქური მოსახლეობა რელიგიური და პოლიტიკური საკითხების შესახებ, თბილისი.

სუიცა, ფ. 1880, ა. 1, ს. 32. – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, ანაწერი 1, საქმე №32.

უმცირესობები საქართველოში, 2008: – უმცირესობები საქართველოში, თბილისი.

ლუთერი, 1520: – Лютер М., К Христианскому дворянству Немецкой нации, 1520; http://www.gumer.info/ bogoslov_Buks/protestant/lyuter/15.php

Tatiana Kopaleishvili (Batumi, Georgia)

Protestant Parish in Batumi

Summary

Many different research projects have been completed on how Georgian society relates to religious minorities. However, there has been no research on how these minorities feel about Georgian society concerning tolerance, politics, and morality. This article attempts to fill this gap. Based on the opinion poll of Protestant Christians in Batumi, the author draws a picture of current views and lifestyle of this particular group of religious minorities by comparing past perceptions with current ones. The author concludes that this parish lives more conservatively, but the past few decades there is a tendency towards liberalization of lifestyle and moral issues, and steps to integrate minorities into overall society.

გენადი მახარაძე
(ბათუმი, საქართველო)

საგამომცემლო საქმის ისტორიიდან (1879-1921 წ.წ.)

ოსმალთა მმართველობის პერიოდში ბათუმის ოლქი მოკლებული იყო პრესას და წიგნის ბეჭდვის სიკეთეს. მხოლოდ მშობლიურ კერაზე დაბრუნების შემდეგ გახდა შესაძლებელი აქ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის და, საერთოდ, საგამომცემლო საქმის ორგანიზება.

პირველი სტამბა ბათუმში ამუშავდა 1879 წ. [ახასსმხფ, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1; იქვე, ს. 148, ფურც. 7; "წითელი მბეჭდავი", 1923] და იარსება 1921 წლამდე. მისი ორგანიზატორი იყო ცნობილი პოლიგრაფისტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მახარაძე,[1] რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა. უკვე მომდევნო წლიდან, გვიანდელი გამოცემების მიხედვით, იგი "ტიპო-ლითოგრაფიის ფირმად" გადაკეთდა.

ალ. მახარაძის სტამბა ბეჭდავდა განცხადებებს და ბლანკებს, ამზადებდა კონვერტებს, ღია ბარათებს, ასრულებდა სხვა ინდივიდუალურ დაკვეთებს ქართულ, რუსულ, სომხურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. 1882 წლის 1 ივნისიდან დაიწყო რუსულ ენაზე ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთის "ბატუმსკი ლისტოკ"-ის გამოცემაც,[2] რომელიც აჭარაში იყო პირველი გაზეთი. ."ჩვენი გაზეთის პროგრამა, – აღნიშნავდა ალ. მახარაძე სარედაქციო განცხადებაში, – ძალიან ნათელია და მოკლე: მოვემსახურებით ადგილობრივ საჭიროებებს, ინტერესებს და სურვილებს" [«Батумский листок», 1882].

სტამბამ 1884 წ. აგვისტოში დაბეჭდა „Уставь батумскаго благотворительнаго общества",[3] რომელიც აჭარაში იყო პირველი ნაბეჭდი წიგნი.[4]

1889 წ. ალ. მახარაძის სტამბაში დაიბეჭდა აჭარაში პირველი ქართული წიგნი. ეს იყო მღვდლის შვილის გერასიმე თევზაძის მიერ

---

[1] ალ. მახარაძე 1866 წლიდან (13 წლის ასაკში) ეუფლებოდა ტიპოგრაფიულ საქმეს. 1879 წლის დამდეგს საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და იმავე წელს აქ მოაწყო კერძო სტამბა. მისი ავადმყოფობის (1895 წ.) და გარდაცვალების (1899 წ.) გამო სტამბას უძღვებოდნენ ჯერ მეუღლე ეფემია, შემდეგ კი შვილი ალექსანდრე მახარაძე.

[2] გაზეთის პირველი 20 ნომერი დაცულია რუსეთის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი).

[3] ერთი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივის ბიბლიოთეკაში.

[4] ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ცნობით, პირველი წიგნი აქ დაიბეჭდა 1889 წელს (იხ. „საქართველოს სსრ", გვ. 332), რაც არ დასტურდება.

შედგენილი „ახალი სახალხო ლექსები სედლოზედ, სალდათობაზედ და ჯიბის ფულზედ“.[5] გაზეთი „კვალი“ წერდა: „სმენა რომ იყოს, მაშინ განვლილ დროთა ჩვენთა მამა-პაპათა ძვალნი სამარეშიაც კი უნდა შეიძრნენ სიხარულით, რომ დღეს მათ ნატვრას – ქართულ სიტყვიერებას – კვალათ მიეცა აღორძინება; ვიტყვით, რომ ძველათ, ოსმალთაგან უწყალოთ დახოცილთ და წამებულთ ქართველთა მამათა ნატვრა აღსრულდა, მათი ცრემლი და სისხლი უბრალოთ არ დაინთხა, მათი ტანჯვა და წამება დროთა და ჟამთა ვითარებამ შეიწყნარა და სადაც გუშინწინ ქართველთა ხსენება და ენა ფერფლათ ქცევას და პირქვე დამარხვას ეძლეოდა, დღეს იქ ჟამთა ვითარების მეოხებით, ქართული სტამბის ჩარხი ტრიალებს და ქართული წიგნები იბეჭდება“ [„კვალი“, №31, 1896, გვ. 559].

მესტამბე ალ. მახარაძემ შემდგომაც არაერთი სახალხო წიგნი გამოსცა, რაც იყო საზოგადოების კითხვით დაინტერესებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ასევე იგი ხელს უწყობდა უცხო ენის შესწავლას. ამ მიზნით მან დაბეჭდა გ. მერაბაძის „თვითმასწავლებელი“ სახელმძღვანელო წიგნი ფრანგული ენის შესასწავლად. ცნობილია ამ სტამბიდან გამოსული 12 დასახელების წიგნი ქართულ ენაზე და 14 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე. აგრეთვე ქართულ ენაზე იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთები: „ბათუმის გაზეთი“ (1911 წ. 15 ივლისი),[6] „ტალღა“ (1917 წ.), „მუშის სიმართლე“ (1918 წ.).

1886 წ. ბათუმში გაიხსნა მეორე სტამბა, რომლის მეპატრონე იყო პ. ა. ლობკო. სტამბა ღებულობდა ყოველგვარ დაკვეთას, კერძოდ, ბეჭდავდა რუსულ ენაზე წიგნებს და გაზეთებს, აფიშებს, პრეისკურანტებს, ბლანკებს და ა.შ. იმავე წლის 5 ივლისიდან დაიწყო გაზეთი „ბატუმ“-ის (ჩრდილოეთის სატელეფონო სააგენტოს დეპეშები და განცხადებები) გამოცემა, ხოლო აგვისტოში რუსულ ენაზე დაბეჭდა ა. კრასოვსკის წიგნი „Морские купанья в Батуме”.

1887-1888 წლების მიჯნაზე პ. ა. ლობკოს სტამბა გადავიდა ფ. ფ. კრიშტოფოვიჩის საკუთრებაში. ახალმა მეპატრონემ გამოცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ, შეიძინა „ამერიკული კონსტრუქციის დიდი... სწრაფმბეჭდავი მანქანა“ თავისი „ახალი შრიფტით, მორთულობით და საჩამომსხმელოთი“ და 1888 წ. 17 მარტს განაახლა მუშაობა [«Батум», 1889]. იგი განაგრძობდა რუსულ ენაზე წიგნების და გაზეთების გამოცემას.

[5] ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება სანკტ-პეტერბურგში სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (საინვენტარო №6645).

[6] აქ და ქვემოთ მითითებულია გაზეთების მხოლოდ პირველი ნომრების გამოცემის თარიღები.

1893 წ. იანვრის შუა რიცხვებში ფ. ფ. კრიშტოფოვიჩის სტამბა შეიძინა ნ. პ. გურსკაიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა. ჩვეულებრივი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო შეკვეთების შესრულების გარდა, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას. ცნობილია ამ სტამბაში გამოცემული 30 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე განაგრძობდა რუსულ ენაზე გაზეთების გამოცემას და ქართულ ენაზე „ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოების ოქმები და შრომები“-ს ბეჭდვას.

1908 წ. ნ. პ. გურსკაიას სტამბა შეისყიდეს ნ. ი. ხვინგიამ (იგი აქ მუშაობდა 1900 წლიდან) და მისმა მეგობარმა ვ. ი. ჩანტლაძემ **[ახასსმხფ,** ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1]. 1912 წელს ეს უკანასკნელი მოკლეს და სტამბის ერთპიროვნული მფლობელი გახდა ნ. ხვინგია, თუმცა, მომდევნო წელს ამ სტამბაში გამოშვებულ წიგნებზე მითითებულია „ნ. ი. ხვინგია და კომპანია“!. ამ შემთხვევაში სტამბის მესაკუთრეს ვიღაც უნდა ჰყავდეს შეამხანაგებული. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წლების გამოცემებზე, ნ. ი. ხვინგიასთან ერთად, სხვა კომპანიონი არ ჩანს. ახალმა მეპატრონემ გარდაქმნა სტამბის ტექნიკური აღჭურვილობა, შეცვალა მოძველებული შრიფტი, საბეჭდი მოწყობილობა, 1910 წლიდან დაიწყო ინტენსიური საქმიანობა და იარსება 1921 წლამდე. ძირითადად აქ იბეჭდებოდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მხატვრული ლიტერატურა. 1921 წლის მარტის დასაწყისში აქ დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. აგრეთვე გამოიცა ნ. ბარათაშვილის ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“, ვ. ჰიუგოს „მხიარული ცხოვრება“ და სხვ. ცნობილია ამ სტამბიდან გამოსული 16 დასახელების წიგნი ქართულ (მათ შორის ერთი თარგმნილია ფრანგულიდან, ერთიც ჩინურიდან) და 12 სახელწოდების წიგნი რუსულ ენებზე, აგრეთვე ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთები: „ბათუმის მოამბე“ (1911 წ. 7 მარტი), „ხმა“ (1914 წ. 11 თებერვალი), „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914 წწ.), „სამუსლიმანო საქართველო“ (1919-1921 წწ.),[7] „მუშათა პრესის დღე“ (1917 წ.) რამდენიმე ნომერი და ასევე გაზეთები რუსულ ენაზე.

1895-1900 წლებში ბათუმში აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას შეუდგა კ. თავართქილაძისა და ა. მიქელაიშვილის სტამბა, მასთან არსებობდა წიგნის მაღაზიაც.[8] აქ დაიბეჭდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ე. ნინოშვილის თხზულება „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, თ. ხუსკივაძის საისტორიო მოთხრობა „ბატონიშვილი ეკატერინე“, მ.

[7] იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანო. რედაქცია (და სტამბა) ბოლოს მდებარეობდა მარინეს გამზირზე.

[8] სტამბაც და წიგნის მაღაზიაც გახსნილი იყო მარინეს (დღეს მ. აბაშიძის) გამზირზე.

ლერმონტოვის „დემონის“ მ. გურიელისეული თარგმანი, ფ. კოპპესის ერთ მოქმედებიანი დრამა „შენდობა“-ს ა. ნიკიტინისეული თარგმანი, ანდერსენის ზღაპრების (წიგნი პირველი და მეორე) ნ. ნაკაშიძისეული თარგმანი და სხვ. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემულია 33 დასახელების წიგნი ქართულ (29) და რუსულ (4) ენებზე.

1900 წ. ბათუმში ამოქმედდა „ძმები თავართქილაძეების“ სტამბა, რომელიც 1904 წლამდე ბეჭდავდა წიგნებს, ჰქონდა წიგნის მაღაზიაც. აქ დაიბეჭდა ს. გუგუნავას საისტორიო პოემის „თამარიანი“-ს მეოთხე გამოცემა, დ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხე“ – მეოთხე გამოცემა და სხვ. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემული 12 დასახელების წიგნი ქართულ ენაზე.

1900 წ. ბათუმში სტამბა გახსნეს გიორგი თავართქილაძემ, ბართლომე კილაძემ[9] და მაქსიმე წულაძემ (ეს უკანასკნელი ექვსი თვის შემდეგ ჩამოშორდა ამ საქმეს) [ახასსმხფ, ფ. 5, ან. 1, ს. 143/162, ფურც. 2; იქვე, ს. 173, ფურც. 1]. 1909 წ. ბ. კილაძე გადადის თბილისში, ხოლო გ. თავართქილაძე მარტო საქმიანობდა ბათუმში 1921 წლამდე. 1905 წ. 6 მარტს ამხანაგობა პრესაში გამოვიდა განცხადებით: “მრავალი წლის გამოცდილებამ, ტიპოგრაფიის ხელოვნებაში სპეციალურმა ცოდნამ და საქმისადმი ჩვენმა ენერგიულმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მოგვცა თანდათანობით გავაფართოვოთ ჩვენს მიერ 1900 წ. დაარსებული სტამბა იმდენად, რომ დღეისათვის შეგვიძლია შევთავაზოთ ჩვენს პატივცემულ კლიენტებს ყოველივე ის, რასაც ჰქვია საბოლოო სიტყვა ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაში. ძალებისა და საშუალებების დაუზოგავად, რომ ღირსეულად გვეპასუხა ჩვენი კლიენტების სურვილებზე, აგრეთვე, საქმის მოხერხებულობისათვის. ჩვენ ამა წლის 1 იანვრიდან სტამბასთან გავხსენით წიგნის, საწერი ქაღალდის, საკანცელარიო ნივთების მაღაზია. სტამბა უშვებს წიგნებს, ანგარიშებს, ცირკულიარებს, წერილების ბლანკებს, სავიზიტო და მისალოც ბარათებს, აგრეთვე, ასრულებს ყოველნაირ ტიპოგრაფიულ სამუშაოს რუსულ, ქართულ, სომხურ და ევროპულ ენებზე“ [«Черноморский вестник», 1905]. ამ სტამბაში დაიბეჭდა დ. კლდიაშვილის მოთხრობების I და II ტომის მ. კალანდარიძისეული გამოცემა, სამხარეთმცოდნეო გვირგვინად იქცა მხარის დაბრუნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „Батум и его окрестности“ 1906 წელს გამოცემული, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და სხვ. ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 24 დასახელების

[9] ბართლომე კილაძე ამხანაგობასთან ერთად ბათუმში წიგნის ცნობილი გამომცემელი იყო. დასაწყისში სტამბა ჰქონდათ დონდუკოვ-კორსაკოვის (დღეს გამსახურდიას) ქუჩაზე, 1905 წ. გადაიტანეს მარინეს გამზირზე კომერციული ბანკის შენობაში.

წიგნი ქართულ და 55 დასახელებისა რუსულ ენებზე. ამის გარდა, სტამბაში სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა გაზეთები რუსულ ენაზე.

1899-1902 წლებში ბათუმში მოქმედებდა ვერეიჩევისა და კამენმახერის სტამბა.[10] აქვე არსებობდა სამხაზველო და საამკინძაო. გამოვლენილია ამ სტამბაში დაბეჭდილი 4 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე.

1902 წლის შუა რიცხვებში აღნიშნული სტამბა შეისყიდა ა. ვ. კულჩიცკიმ. იგი მას ფლობდა 1903 წ. დამლევამდე. დადგენილია მხოლოდ 2 წიგნის გამოცემა რუსულ ენაზე. შემდეგ სტამბა ხ. მ. შმაევსკიმ დაისაკუთრა. მის ხელში იგი მოქმედებდა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული გაზეთები: „ბათუმის ფურცელი“ (1920 წ.), „ბათუმის ცხოვრება“ (1920-1921 წწ); აგრეთვე რუსულ ენაზე გამოცემული 41 დასახელების წიგნი და 10 დასახელების გაზეთიც.

900-იანი წლების დამდეგიდან მოქმედებდა ი. ბ. მინკინის სტამბა. იგი ბათუმში იყო პირველი ორთქლზე მომუშავე სტამბა. მას ჰქონდა უახლესი კონსტრუქციის 4 სწრაფმბეჭდავი მანქანა, საკუთარი საამკინძაო, საგრავიორო, შტამპებისა და ბეჭდების, აგრეთვე, ქაღალდების, კონვერტების, მოსაწვევი და სავიზიტო ბარათების დასამზადებელი საამქრო საწყობითურთ. აქ გამოიცა ნ. ბარათაშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის პოემა „ეპიზოდები ყაჩაღის ცხოვრებიდან“, ს. ჭელიძის „ჩანგური“ და სხვ. დღეისათვის ცნობილია ამ სტამბაში 1904 წ. დაბეჭდილი 11 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე იბეჭდებოდა გაზეთი რუსულ ენაზე. სტამბა, როგორც ჩანს, 1905 წლის შემოდგომამდე მოქმედებდა, რადგან სექტემბრის შემდეგ გაზეთებში მასზე ველარაფერს ვხვდებით. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის 1905 წ. 29 იანვრის პატაკიდან ჩანს რომ 25 იანვარს ი. ბ. მინკინის სტამბის მუშებს გაფიცვა მოუწყვიათ [აცსა, ფ. 89, ან. 1, ს. 28ა, ფურც. 55].

არსებობს მწირი ცნობები ბათუმში არსებული სხვა სტამბების შესახებაც. ერთ-ერთი იყო გ. პუტკინის სტამბა-ლითოგრაფია, სადაც სრულდებოდა სხვადასხვა ქრომო-ლითოგრაფიული და საგრავიურო სამუშაოები. ცნობილია აქ რუსულ ენაზე დაბეჭდილი 2 დასახელების წიგნი და ერთიც გაზეთი.

1918 წ. გ. პუტკინის სტამბის მფლობელი გახდა ნ. კარნაუხოვი და იგი ამუშავა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთები რუსულ ენაზე.

1905-1921 წლებში ბათუმში მუშაობდა დ. კაპელის სტამბა.[11] ამ სტამბიდან გამოვიდა რუსულ ენაზე 27 დასახელების წიგნი, 2 დასახელების ჟურნალი, ერთი გაზეთი და სხვ.

---

[10] მდებარეობდა სასტუმრო „ფრანციის“ პირდაპირ, ბაბურიშვილის სახლში.

[11] 1905 წლიდან მდებარეობდა მიხაილოვის ქუჩაზე, სასტუმრო „ფრანციის“

1908 წლიდან ბათუმში რეგისტრირებულია ა. შარიპოვის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა რუსულ ენაზე 2 დასახელების გაზეთი და ერთიც ჟურნალი.

გვაქვს ცნობები ბათუმში მოქმედი ბერძნული სტამბების შესახებაც. აქ მუშაობდა ა. დიმიტრიადის „ბერძნული ტიპოგრაფია“, რომლიდანაც ცნობილია 1911 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდილი მხოლოდ ერთი წიგნი. სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ნ. გალინოსის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა ბერძნულ ენაზე გაზეთი „ხავარგი“. ეს სტამბა მუშაობდა 1921 წლის შემდეგაც. ბოლშევიკები ამ სტამბით ინტენსიურად სარგებლობდნენ ინგლისელთა ოკუპაციის წლებშიც. ინგლისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ „სტამბას არ ჰქონდა რუსული შრიფტი“ და ამიტომ სერიოზულად არც გაუჩხრეკიათ. ამის გამო ბოლშევიკები რუსულ ენაზე აქ შეუფერხებლად ბეჭდავდნენ თავიანთ პროკლამაციებს [ცქვიტარია, 1962: 121-122].

აღნიშნულის გარდა, ბათუმში არსებობდა სხვა სტამბებიც, რომლებიც ეკუთვნოდა ცალკეულ პირებს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. 1904-1920 წლებში გამოცემული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დასტურდება მ. ნ. სუკოიანის, კ. გ. პაპამოსკიჩის, „განათლების“, კ. ნ. ნიკიტინის, „ბათუმის საურთიერთო საზოგადოების ბანკის“, „პორუჩიკ მიხაილოვის“ სტამბები. ცნობილია ამ სტამბების გამოცემული 20 დასახელების წიგნი ქართულ (14) და რუსულ (6) ენებზე. აქ იბეჭდებოდა გაზეთებიც.

ცხადია, გაოცებას იწვევს პატარა ქალაქ ბათუმში ამდენი სტამბის არსებობა, მით უმეტეს, რომ ბევრი ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა. სინამდვილეში გასაოცარი აქ არაფერია, თუ გავეცნობით ამ „საწარმოების“ ტექნიკურ აღჭურვილობას ან შესაძლებლობას. ამ მხრივ კი ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მეტწილად ეს იყო პრიმიტიული, არსებითად ერთი ან სამი საბეჭდი მანქანით აღჭურვილი – სტამბა, რომელსაც ემსახურებოდა ორიდან (უმეტეს შემთხვევაში ერთი თავად მეპატრონე) ექვს მუშამდე. ამასთან, აქ დასახელებული სტამბებიდან ზოგი სრულიადაც არ იყო დასაქმებული წიგნების ან ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვით. მათი დიდი ნაწილი უპირატესად საამკინძაო საქმით, აფიშების, მოსაწვევი ბარათების ბეჭდვით, აგრეთვე, შტამპების, ბეჭდების, კარის გრავირებული დაფების თუ ემალირებული აბრების დამზადებით იყო დაკავებული. და მაინც, XX საუკუნის პირველ ოცეულში ბათუმში იყო რამდენიმე დიდი სტამბა, რომლებიც გამოირჩეოდა ტექნიკური აღჭურვილობით, გამოშვებული პროდუქციის სიჭარბით, დასაქმებულ მუშათა რაოდენობით, წარმოების კულტურით.

პირდაპირ, მისამართი უცვლელი იყო შემდეგ წლებშიც.

ყველა ამ სტამბამ დიდი კვალი დააჩნია ბათუმის კულტურულ ცხოვრებას. ისინი ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ იმ წიგნებსა და გაზეთებს, რომლებშიც თანამშრომლობდნენ ამ რეგიონის მკვიდრნიც და მშობლიური წერა-კითხვის სურნელი, სიტკბო და მადლი შეჰქონდათ უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობითა და ძალად თავსმოხვეული უცხო რელიგიით დაბეჩავებულ ხალხში. გამოვლენილია ბათუმის სტამბებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი სამასზე მეტი დასახელების წიგნი, მათგან 116 ქართულ ენაზე. ბევრი ამ წიგნთაგან, განსაკუთრებით, ეროვნულ-პატრიოტული შინაარსისა, საგანმანათლებლო მისიით მოვლენილმა პედაგოგებმა თუ მოგზაურებმა გაავრცელეს ბათუმის ოლქის სოფლებში, რითაც დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებასა და ქართველი ხალხის ერთიანობის განმტკიცებაში.

ბათუმში წიგნებს გამოსცემდნენ ცალკეული ენთუზიასტებიც. ამ მხრივ აქტიურობდა 1911 წ. „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორი, ცნობილი გამომცემელი სპირიდონ ჭელიძე. იგი ბეჭდავდა და საზოგადოებას აწვდიდა არა მარტო საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს (კრებულები „სატირული ლექსები“, „სასიყვარულო ლექსები“), არამედ ქართველი (იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე) და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებსაც (კრებული „ქნარი“). მანვე გამოსცა ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული, აგრეთვე, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის ლიტერატურა, მათ შორის კ. მარქსის „საქირაო შრომა და კაპიტალი“, ვ. ლიბკნეხტის „რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს“, მ. კოვალევსკის „ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება“, ანონიმი ავტორის მიერ თარგმნილი „პოლიტიკური ეკონომიის ანბანი (მრეწველობის განვითარება)“ და სხვ.

ქართული წიგნების გამომცემელნი კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, თუ რა ხასიათის ლიტერატურის გამოცემა იქნებოდა სასარგებლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მათ „რეპერტუარში“ ჭარბად იყო წარმოდგენილი პატრიოტული შინაარსის წიგნები, მათ შორის: შოთა რუსთაველის პოემა, ილიას და აკაკის ლექსები, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამია გურიელის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, სიმონ გუგუნავას, შალვა დადიანისა და სხვ. ნაწარმოებები, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვ. ნაშრომები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმელ მესტამბე-გამომცემელთ უაღრესად გამახვილებული ჰქონდათ პოლიტიკური გრძნობა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დროის მსვლელობას და ოპერატიულად მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები. შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ხვინგიას სტამბის გამოცემები: “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის

პროგრამა და ინსტრუქცია“ (1919 წ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ. 21 თებერვალს მიღებული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921 წ.) და ა. შ.

ბათუმში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ წიგნით ვაჭრობასაც. კერძო სტამბების ქართველი მფლობელნი, რომლებიც ბეჭდავდნენ გაზეთებს, განსაკუთრებით – წიგნებს და მათი გავრცელებით იყვნენ დაინტერესებულნი, ცდილობდნენ საკუთარი მაღაზიების მოწყობასაც. ამ მხრივ გამოირჩეოდა ნიკო ნიკოლაძის ძმის – მიხეილ ნიკოლაძის მაღაზია,[12] რომელიც წიგნებით ვაჭრობასთან ერთად ეწეოდა წიგნის პროპაგანდასაც. აქ ხშირად იკრიბებოდნენ საბაასოდ არა მარტო ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ თბილისიდან ჩამოსული ქართული კულტურის ამაგდარნი. ბევრმა ბათუმელმა სწორედ ამ მაღაზიაში გაიცნო ქართული მწერლობის კლასიკოსები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

ლიტერატორი ლევ მაირანოვსკი იგონებდა: „1909 წ... ერთ დღეს, როცა ამხანაგებთან სამეცადინოდ მივდიოდი, ივლისის პაპანაქება სიცხეში, ყოფილ მარინეს პროსპექტზე მდებარე ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში, თვალი მოვკარი აკაკი წერეთლის ნაცნობ სახეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ მგოსანი ბათუმში ელოდებოდა იტალიის გემის მოსვლას საფრანგეთში გასამგზავრებლად. მწერალთან ერთად იდგნენ ნიკო ნიკოლაძის ძმა, ქალაქის გამგეობის წევრი ვოლსკი, მწერალი დავით კლდიაშვილი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ექიმები ელიავა და მხეიძე. წიგნის მაღაზიაში შესული მოქალაქეები მოწიწებით ესალმებოდნენ აკაკი წერეთელს და მის თანმხლებთ“ [„საბჭოთა აჭარა“, 1960].

ბუკინისტური მაღაზია („მეგობარი“) ჰქონდა, აგრეთვე, სპირიდონ ჭელიძეს, ბაზრის (დღეს ზ. გორგილაძის) ქუჩაზე, ზედ ბაზართან (ახლა ხელოვნების მუზეუმის ტერიტორიაზე). მან იგი 1897 წ. გახსნა. დავით კლდიაშვილის სიტყვით: „ჰქონდა მაღაზია ავსილი ძველი და ახალი წიგნებით, წიგნაკებით, ფურცლებით, გაზეთებით... დაჰქონდა სოფლებში, ხან ჰყიდდა, ხან ისე ავრცელებდა-არიგებდა... საკმაოდ ენამეტყველი – იგი საოცარი ენერგიის პატრონი იყო, ამასთან, გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. ახალგაზრდა თავისი ტკბილი სიტყვით და მოქცევით ხიბლავდა ახალგაზრდობას, რომელიც მხოლოდ მოდიოდა მის მაღაზიაში და ხშირად მართავდა საერთო საუბარს-დაობას ამა თუ იმ საგანზე“ [კლდიაშვილი, 1984: 72].

სპ. ჭელიძის მაღაზიის ხშირი კლიენტები იყვნენ დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, კარლო ჩხეიძე, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ., აგრეთვე, საკვირაო სკოლის მსმენელი მოწინავე მუშები, ე.წ.

[12] მდებარეობდა მარინეს გამზირზე თავადი ქალის გურიელის სახლში. აქ დღესაც წიგნის მაღაზიაა.

ახალი თაობის ახალგაზრდები და ცხარედაც კამათობდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. ამის შესახებ თვით დ. კლდიაშვილი აღნიშნავდა: „მე ძლიერ მიყვარდა ამ მაღაზიაში სიარული – მიყვარდა მისი პატრონი და მიყვარდა მოსმენა იმ გაცხარებული დაობისა, რომელიც იქ იმართებოდა ყმაწვილებს შორის“ [კლდიაშვილი, 1984: 72].

ბათუმში ცნობილი იყო აგრეთვე წიგნებისა და საწერი ქაღალდის სხვა მაღაზიებიც. „უნიონი“,[13] „განთიადი“[14] და სხვ., რომლებიც ეკუთვნოდა ქართული წიგნის გამავრცელებელთა ამხანაგობებსა და საგამომცემლო საზოგადოებებს: „გლეხი“, „მუშა“, „ცოდნა“, „მეგობრობა“ და ა. შ.

ამრიგად, XIX ს. დამლევსა და XX ს. პირველ ოცწლეულში ბათუმში მოქმედმა პოლიგრაფიულმა საწარმოებმა, მათ მიერ გამოცემულმა სხვადასხვა სახის ლიტერატურამ და ჟურნალ-გაზეთებმა დადებითი როლი შეასრულა ბათუმის ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ განვითარებაში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

აცსა, ფ. 89, ან. 1, ს. 28ა – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 89, ანაწერი 1, საქმე №28ა.

ასმხფ, ფ. 5, ან. 1, ს. 173 – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი 5, ანაწერი 1, საქმე №173,; იქვე, საქმე №№148; 143/162

„კვალი“, №31, 1896: – გაზ. „კვალი“, 1896, №31.

კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

„საბჭოთა აჭარა“, 1960: – გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 27.11. 1960.

ცქვიტარია, 1962: – ცქვიტარია პ., აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, ბათუმი.

„წითელი მბეჭდავი“, 1923: – გაზ. „წითელი მბეჭდავი“ (აჭარის პოლიგრაფთა ერთდღიანი საიუბილეო გაზეთი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), ბათუმი, 1923.

«Батум», 1889: – Газ. «Батум», 26.02.1889.

«Батумский листок», 1882: – Газ. «Батумский листок», 1.06.1882.

«Черноморский вестник», 1905: – Газ. «Черноморский вестник», 06.03. 1905.

[13] 1904 წ. იყო მიხაილოვის ქუჩის დასაწყისში, სასტუმრო „ფრანციის“ შენობაში.
[14] 1914 წ. მდებარეობდა მარინეს გამზირზე.

Genadi Makharadze (Batumi, Georgia)

From the History of Publishing (1879-1921)

Summary

During the period of Ottoman rule newspapers and books were rarely printed in Batumi. Publishing was available only after the war between Russian and Turkey in 1877.

The first printing house opened in 1879 and lasted till 1921. It was established by a famous polygraphy worker, Alexander Makharadze. It printed books, newspapers and forms. It prepared cards, served individual orders in Georgian, Russian, Armenian, French and other languages.

The second printing house opened in 1886. The owner was P. A. Lobko. During the evenings of 1887-1888, P. A. Lobkos's printing house moved to the ownership of F. F. Krishtofovich. In 1893 the F. Krishtofovich printing house was purchased by N. P. Gurskaia. In 1908 N. P. Gurskaia's Printing house was bought by N. I. Khvinkia and V. I. Chantladze. After the murder of V. Chantladze the printing house was owned by N. Khvingia who printed books under griffith ,,N. I. Khvingia and Company''. This printing house published books and newspapers in Georgian and Russian.

In 1895 K. Tavartqiladze's and A.Miqelaishvili's printing house started publishing actively. This printing house printed books in Georgian and Russian.

The ,,Brothers Tavartqiladze'' printing house was activated In 1900. It is known for publishing books in Georgian.

G. Tavartqiladze, B.Kiladze and M.Tsuladze opened their printing house in 1900 in Batumi. It lasted till 1921 and published books in Georgian and Russian.

Vereichevi's and Kamenmakheri's printing house launched in 1899 and then was purchased by A.V. Kulchitski in 1902. After that Kh.M Shmaevski took ownership of it. It is known to have published books in Russian and newspapers in Georgian.

Also, in Batumi from 900 ies worked I.B. Minkini printing house, G. Putkini printing house which was moved later to N.Karnaukhov ownership, D.Kapel printing house, A.Sharipov printing house,A. Dimitriady ,,Greek Typograhpy'', as well as printing houses of N.Galinosi, M.N Sukoian, K.G. Papamorskich ,,Education'',K.N. Nikitin ,,Interrelation society bank of Batumi'', and ,,Porchuk Mikhailov-''.They printed book and newspapers in Georgian and Russian languages.

Thus at the end of 19th century and in the early 20th century the Batumi publishing companies edited different selections of books and newspapers. They played an important role in the development of social, political and cultural life.

მერაბ მეგრელიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში

ბათუმში საკონსულოების მოღვაწეობის საკითხი შესწავლილი იქნა აწ განსვენებულ პროფესორ მალხაზ სიორიძის მიერ. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლები, სხვადასხვა გარემოებათა გამო არაიშვიათად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ამის მიუხედავად შესაძლებელია ძირითად მათგანთა მისამართების დადგენა. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში საკონსულოების ადგილსამყოფელის და კონსულთა ვინაობის დადგენა და მათი მოღვაწეობის შესწავლა მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას. XX საუკუნის დასაწყისში ვაჟთა გიმნაზიაში მოღვაწე ნიკოლოზ დერჟავინი წიგნში „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან" აფიქსირებს 14 სახელმწიფო საკონსულოს.

ავსტრია-უნგრეთის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (დღევანდელი მემედ აბაშიძის) და თბილისის (ბარათაშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელის ვუჩინოს სახლში, კონსული ჯონ სტივენსი. ბატონი მალხაზი დიდი ბრიტანეთის ვიცე კონსულად წარმოგვიდგენს სტივენს, მაგრამ არ მიუთითებს სახელს, ეს იყო პატრიკ სტივენსი, რომლის რეზიდენცია მდებარეობდა ბაზრის (დღევანდელი ზურაბ გორგილაძის) და ვოზნესენსკის (დღევანდელი მელიქიშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელ ჯაიანის სახლში.

ბელგიის საკონსულო მდებარეობდა მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, კონსული ო. დეიბელი.

გერმანიის საკონსულო განთავსებული იყო ოღდას ქუჩაზე ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული ფრიდრიხ ბურგკარდტი.

საბერძნეთის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, ბერძენი მოქალაქის ანგელიდის კერძო სახლში, კონსული იყო არისტიდ პავლიდისი.

დანიის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, კონსული გ.ხ ვარნეკე. იტალიის საკონსულო რეზიდენცია განთავსებული იყო საზღვაოს (დღევანდელი 26 მაისის სახელობის) ქუჩაზე, კონსული ერნესტ სპანიოლი. ბატონ მალხაზს იტალიის კონსულად დასახელებული ჰყავს ლორენსო ვალერი. ეს უკანასკნელი დასაზუსტებელია.

ირანის საკონსულო მდებარეობდა ოღდას ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული მირზა აღა ხანი.

1906 წლის 24 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე ირანის კონსული ბათუმში მცხოვრები კოლონისტების სახელით მო-

ითხოვდა 400-500 კვ. საჟ. მიწის გამოყოფას. მათ სურდათ შიიტური სწავლებისთვის მეჩეთის აშენება. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მიწის გამოყოფას შერემეტიევის (დღევანდელი ლუკა ასათიანის) ქუჩაზე, რომელიც ეკუთვნოდა თავად მაჭუტაძეს. ისინი უარს აცხადებდნენ ანგისაში მათთვის გამოყოფილ მიწაზე. თვითმმართველობის სხდომაზე გამოსულმა შაშიკ ოღლიმ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. მას განუმარტეს, რომ დიდ პატივს სცემდნენ მორწმუნე ხალხის მოთხოვნებს, მაგრამ ქალაქის ცენტრში სხვა მშენებლობები იყო დაგეგმილი (აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 413, ფურც. 8).

ჩრდილოეთ ამერიკის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, ფოსტასთან ახლოს, კონსული ჯონ ჩემბერსი.

ბატონი მალხაზი ასახელებს სახელდობრ ამერიკის საკონსულოს და კონსულ ჰარი ბრიგსს. ეს უკანასკნელიც დასაზუსტებელია.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ამერიკელ ებრაელთა ორგანიზაცია „ჯოინტ", რომელიც საქველმოქმედო საქმით იყო დაკავებული, მას თავის ხარჯით მწვანე კონცხზე გახსნილი ჰქონდა უპატრონო ბავშვთა სახლი, სულ იყო 39 ბავშვი.

ნიდერლანდიის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას) ქუჩაზე. საკონსულოს უფლებები ვრცელდებოდა მთლიანად ამიერკავკასიაზე. კონსული იყო ჰენრიხ ბლეი. თურქეთის საკონსულო მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, კონსული იყო აბდულ ქერიმ საბით ბეი.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ორი მეჩეთი, აჰმედ ფაშას, სანაპიროს და ქუთაისის ქუჩაზე და აზიზიეს მეჩეთი (თავისუფლების მოედანი)

საფრანგეთის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კ. გამსახურდიას) ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული იყო დელაკრუა.

შვედეთ-ნორვეგიის საკონსულო მდებარეობდა ბულვარის (დღევანდელი ნინოშვილის) ქუჩაზე, პალაშკოვსკის კერძო სახლში, კონსული იყო ა. ჰააგერი. 1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ჭურჭლის პირველი ქარხანა. მათი დაწყებული საქმე 1886 წელს გააგრძელა როტშილდმა (ბერძენიშვილი, 1958: 505).

იპონიის საკონსულო რეზიდენცია მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, შავი და კასპიის ზღვების მენავთობეთა სახლში, კონსული იყო ა.ი ვანშეიდტი (დერჟავინი, 1902: 57). ბატონ მალხაზს ნ. დერჟავინისგან გასხვავებით მითითებული აქვს 15 საკონსულო, ესპანეთის შტატ გარეშე კონსულად ასახელებს სპადოროს, რომლის ადგილსამყოფელი დასადგენია (სიორიძე 2009: 67).

საკონსულოებმა და მათთან დაკავშირებულმა სახვადასვა სახის სააგენტოებმა თუ საქველმოქმედო საზოგადოებებმა დიდი როლი ითამაშეს ქალაქ ბათუმის განვითარების საქმეში. ასეთები იყო: „ბლერდ აჟენი" – ინგლისის საზღვაო სააგენტო, შუტცის და ციმერმანის – გერმანიის საზღვაო საგენტო, მათი რეზიდენციები სანაპიროს ქუჩაზე იყო განთავსებული. ასევე ფრანგულ-გერმანული საზღვაო-სანაოსნო საზოგადოებები „მესაჟერ-მარიტინი" და „დ.ლ ჰილბერმეისტერი," რომელთა მოღვაწეობამ ბათუმში განაპირობა მათი ქვეყნების საკონსულოების გახსნა.

ბათუმში არსებული საკონსულოები თვითმმართველობასთან ერთად ზრუნავდნენ უცხო ენოვანი სკოლების გახსნაზე. 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის და საზოგადოება „პოლონური სახლის" მიერ კომაროვის და გეორგიევსკის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი დ. თავდადებულის და ზუბალაშვილის) დაფუძნებული იქნა სკოლა და ბიბლიოთეკა.

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის და მისი წინამძღვრის დონ გაბრიელ ასლანიშვილის ინიციატივით პოლონელი, ჩეხი, ფრანგი ბავშვებისთვის გაიხსნა სკოლა. ამ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები (აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 488, ფურც. 39). XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში ლიტვის საკონსულო დაარსდა, კონსული ლეონ ზიკა (სიორიძე, 2009: 68).

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საკონსულოების ღვაწლს ქალაქის ეკონომიკის და კულტურის განვითარების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე (საქმეები) №№ 413; 488.

ბერძენიშვილი, 1958: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია, თბილისი.

დერჟავინი, 1902: – დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, რუსულ ენაზე.

სიორიძე, 2009: – სიორიძე მ., *უცხოეთის ქვეყნების საკონსულოები ბათუმში,* ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)

The Consulates in Batumi in 1901-1903

Summary

The present article deals with the location of consulates at the beginning of the 19th century in Batumi. It also investigates the activity which was carried out by those consulates in the aforementioned period.

ერმილე მესხია
(ბათუმი, საქართველო)

ევროპის დელეგაცია ბათუმში 1920 წელს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის საერთაშორისო აღიარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

სან-რემოს (იტალია) საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 1920 წლის ივლისში, დიდმა ბრიტანეთმა ბათუმიდან გაიყვანა თავისი ჯარები და ბათუმის ოლქი დედასამშობლოს დაუბრუნდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის საერთაშორისო აღიარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

სან-რემოს (იტალია) საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 1920 წლის ივლისში, დიდმა ბრიტანეთმა ბათუმიდან გაიყვანა თავისი ჯარები და ბათუმის ოლქი დედასამშობლოს დაუბრუნდა.

ქვეყნის საერთაშორისო აღიარების საკითხი კი კვლავ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩებოდა. მართალია, 1920 წლის მაისში რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ევროპა „საქართველოს საკითხში“ ისევ სიფრთხილეს იჩენდა და შორიდან აკვირდებოდა ამიერკავკასიაში მოვლენების განვითარებას.

ამ ვითარებაში, საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთის მხრივ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებზე, დიპლომატიურ შეხვედრებს უცხოეთის ქვეყნების მთავრობებთან და პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, მეორეს მხრივ კი, უცხოელთა ვიზიტებს საქართველოში.

1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს არაერთი უცხოელი დიპლომატი, პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე ეწვია, მაგრამ მაშინ, ქვეყნისათვის გამორჩეულ მოვლენად იქნა შეფასებული ევროპის სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი დელეგაციის ვიზიტი 1920 წლის სექტემბერში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო სამთავრობო დელეგაცია (იგი მთლიანად დაკომპლექტებული იყო საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ბელგიის პოლიტიკური მოღვაწეებით), „მნიშვნელობა დელეგაციის მსოფლმხედველობრივ მიმართულებებს და პარტიულ კუთვნილებას კი არ ეძლეოდა, არამედ უფრო მთავარს: საქართველო ეძებდა

მეგობრებს და მხარდამჭერთ ყველგან, რადგან ახალფეხადგმულ და უაღრესად საშიშ გარემოცვაში მყოფ დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა და აღიარება სჭირდებოდა“ (კირთაძე, 1997: 41).

საქართველოს ხელისუფლება ამ ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც იქეიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მთავრობამ 15 სექტემბერი უქმე დღედ გამოაცხადა, დელეგაციის მისაღებად კი შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა სტუმრების მიღების პროგრამის მომზადება („სახალხო საქმე”, 1920: №926).

რომიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილ რადიოტელეგრამაში კონსტანტინე გვარჯალაძე იტყობინებოდა: „სექტემბრის 4-ს გამოვედით ტორენტოდან. სექტემბრის 14-ს ბათომს ვიქნებით. საქართველოში მოდიან კარლ კაუტსკი, ლუიზა კაუტკისა; ინგლისიდან: მაკდონალდი, ტომას შოუ და ქ-ნი სნოუდენი; საფრანგეთიდან: რენოდელი, ინგელსი და მარკე; ბელგიიდან: ვანდერველდე, ჰიუსმან, ჰიუსმანის მეუღლე და დე ბრიუკერი. სულ 15 კაცი“. გაირკვა, რომ დელეგაცია საქართველოში 14 დღეს დარჩებოდა (სახალხო საქმე, 1920: №922).

ავადმყოფობის გამო, კარლ კაუცკი (მეუღლითურთ), ორი კვირის დაგვიანებით, 29 სექტემბერს ჩამოვიდა ბათუმში (გოგოლიშვილი, 2005: 163-164). საპატიო სტუმარს ღირსეული შეხვედრა და გაცილება მოუწყო ბათუმის თვითმმართველობამ და საზოგადოებამ. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით კ. კაუცკის მიესალმა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი შარაშიძე. საზოგადოებას სამადლობელი სიტყვით მიესალმა კარლ კაუცკი („საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: №221).

ბათუმის თვითმმართველობაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მომზადდა ბათუმში დელეგაციის მიღების გეგმა (საქართველოს რესპუბლიკა, 1920: №205). სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ქალაქის თავი გ. ანჯაფარიძე, პროფკავშირთა სამდივნოს თავმჯდომარე აიოლო, თავმჯდომარის ამხანაგი ნაკაშიძე, თვითმმართველობის თავმჯდომარე ო. რამიშვილი.

ბათუმში დელეგაციის მიღების პროგრამა იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი: დახვედრა ნავსადგურში; დელეგაციის მიღება თვითმმართველობაში; ჩაქვის ჩაის საწარმოსა და პლანტაციების დათვალიერება; ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება (ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, მწვანე კონცხი); მიღება მუშათა პროფკავშირების სასახლეში; მუშათა მიტინგზე დასწრება; საზეიმო ვახშამი; დელეგაციის გაცილება რკინიგზის სადგურიდან.

სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო: ქალაქის მოედნის, ქუჩებისა და შენობების საზეიმოდ მორთვა ყვავილებითა და დროშებით;

მუშათა პროფკავშირების სასახლის წინ სპეციალური თაღის გაკეთება; დელეგაციის ვიზიტის დროს ქალაქში მუშაობის შეჩერება. დელეგაციასთან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებდნენ პროფკავშირთა წევრები, სახალხო გვარდია მთელი შემადგენლობით. თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა გირლიანდების დასამზადებლად.

მაშინდელი გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ევროპის დელეგაციის ბათუმში ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ მუშათა უბნები და ემზადებოდნენ სტუმრების დასახვედრად.

საქართველოს მთავრობის დავალებით ბათუმში გაიგზავნა სპეციალური მატარებელი. ცენტრალურმა კოოპერაციულმა კავშირმა ბათუმში მიავლინა ხელოვანთა ჯგუფი დოკუმენტური კინოფილმის გადასაღებად.

14 სექტემბერს, დილით ბათუმის ნავსადგურში დელეგაციას საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით დახვდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ს. ჯიბლაძე, მთავრობისა და ადგილობრივი პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, ქალაქის თავი გ. ანჯაფარიძე, სახალხო გვარდიის საპატიო ყარაული ცხენოსანთა დივიზიის ორკესტრით.

ევროპის დელეგაცია მიიპატიჟა ბათუმის ქალაქის თვითმმართველობამ, სადაც გაიმართა საგანგებო სადღესასწაულო სხდომა. დარბაზი სავსე იყო ხმოსნებით. თვითმმართველობას დიდძალი ხალხი მიაწყდა.

საზეიმო სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარე ონიფანტე რამიშვილმა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ისიდორე რამიშვილმა: „საქართველოს სოციალ-დემოკრატია და მთელი ქართველი ხალხი აღფრთოვანებული გეგებებით. ორი წელიწადია საშინელ პირობებში გვიხდება სახელმწიფოს მესაჭეობა. ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ცოტა რამ მაინც გავაკეთეთ“ (მხედარი, 1920: №16).

საქართველოს მთავრობის სახელით ფრანგულ ენაზე სტუმრებს მიესალმა კ. საბახტარიშვილი (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე): „ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ შემთხვევა გვეძლევა გაგაცნოთ საქართველოს დემოკრატიის აღმშენებლობის მუშაობა. რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში შეცდომებსაც ნახავთ, ვინაიდან დესპოტურ სახელმწიფოს ნანგრევებზე ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და მისი სოციალისტურ პრინციპზე დამყარება ადვილი საქმე არ არის. საქართველოს დემოკრატიას კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის სულიერი ჯანმრთელობა და ევროპის დემოკრატიასთან თანამშრომლო-

ბა საშუალებას მოგვცემს ავიცილოთ ყოველგვარი განსაცდელი და დაუახლოვდეთ ჩვენს საერთო იდეალს“ („მხედარი”, 1920: №16).

დასკვნითი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავმა გიზო ანჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა: „ამ დარბაზს ორი წლის წინათ ესტუმრა სხვა პირები (იგულისხმება თურქეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები, ე.მ.) და მათ შორის ეგრეთ წოდებული მესამე ინტერნაციონალის საპატიო წევრი ენვერ ფაშა, რომელიც მოვიდა აქ ცეცხლითა და მახვილით. ეხლა კი ბათომის დემოკრატია სხვა პირებს უცქერის. ეს საყურადღებო კონტრასტი ბევრი რამის მღაღადებელია („საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: №210).

ქალაქის თავმა გ. ანჯაფარიძემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით: 1. ბათუმის მთავარ ქუჩას – მარინის პროსპექტს ეწოდოს მეორე ინტერნაციონალის პროსპექტი. 2. ბათუმის ორ (ქალ-ვაჟთა) გიმნაზიაში ღარიბი მოსწავლეებისათვის დელეგაციის საპატივცემულოდ დაარსდეს სტიპენდია და სტიპენდიანტთა არჩევნები პროფესიონალურ კავშირს მიენდოს. 3. დელეგაციის წევრები არჩეულ იქნან ბათუმის საპატიო მოქალაქეებად. საბჭომ ერთხმად მიიღო ყველა წინადადება.

შეკრებილ საზოგადოებას სტუმართაგან მიესალმა რამზეი მაკდონალდი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაკდონალდმა მჭუხარე ხმით მეტად მგრძნობიარე სიტყვით მადლობა გადაუხადა ბათუმელებს ასეთი შეხვედრისათვის. „ჩვენ ვიცნობთ ძველ საქართველოს სიმამაცეს. ვიცით, თუ რა ბრძოლა გადახდა ქართველ ხალხს ამ ორი წლის განმავლობაში. ჩვენ მოვედით აქ არა მარტო ზეიმისათვის, არამედ ყოველდღიურ ცხოვრების და მუშაობის გასაცნობად და საქართველოს სინამდვილის შესასწავლად. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ვნახეთ თავისუფალი და დემოკრატიული, არის საქართველო. სამწუხაროდ, ჩვენთან, რომ მოხვიდეთ, ასე ვერ მიგიღებთ. ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლა გვჭირდება“ („მხედარი”, 1920: №16).

მაკდონალდმა თავისი სიტყვა ინგლისურ ენაზე წარმოსთქვა. ბევრმა ვერ გაიგო მისი სიტყვა, მაგრამ ორატორის ემოციურმა გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა. დარბაზი მჭუხარე ოვაციითა და აპლოდისმენტებით შეხვდა საპატიო სტუმრის გამოსვლას („საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: №210).

ქალაქის თვითმმართველობიდან სტუმრებმა საგანგებოდ მორთული ავტომობილებით გადაინაცვლეს მუშათა სასახლეში, სადაც შეკრებილი იყვნენ ქალაქის მუშათა საზოგადოების წარმომადგენლები. „დარბაზი მშვენივრად იყო მორთული ტყე წითელი დროშებით“. სტუმრების დარბაზში შესვლას ორკესტრი „ინტერნაციონალით“ დახვდა. დელეგაციის წევრებმა ორკესტრთან ერთად შეასრულეს ინტერნაციონალი და სასახლის აივანზე საგანგებოდ მომზადებული ტრიბუნა დაიკავეს. მიტინგი გახსნა პროფკავშირის თავმჯდომარემ აიოლომ.

სტუმრებს მიესალმნენ: სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით კ. გოგოლაძე, პროფკავშირის წარმომადგენელი ნაკაიძე, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი ქორქაშვილი.

ვანდერველდემ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „მე მახსოვს 1917 წელი, როცა პირველად შევხვდი ქართველს. ეს იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. მაშინ ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. მე, დანგრეული, განადგურებული ბელგიის შვილმა, ვიცი საქართველოს სულისკვეთება. მე აქ ვხედავ წითელ დროშას, მარა ეს არ არის ის წითელი დროშა, რომელიც ჩრდილოეთით ფრიალებს. იქ ის დამყარებულია მონობაზე, აქ კი, თავისუფალ ნებისყოფაზე. მე აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ წითელ დროშას ეროვნულზე გადაჭდობილს. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც ელირსება დღეს რომელიმე ერი. როდესაც მე დილით გემიდან გამოვედი და გადავხედე საქართველოს მთებს, ხოლო შემდეგ წინ შეგვეგება ზღვა ხალხი სავსე სიხარულით, მე მაშინ ვიგრძენი, რომ ეს არ არის სპექტაკლი და ბუტაფორია, არამედ არის ხალხის გულიდან ამონახეთქი სიხარული და სიყვარული“ („მხედარი”, 1920: №16).

დასასრულს სტუმრებსა და შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ვლასა მგელაძე. მიტინგს დაესწრნენ ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომამადგენელი შარაშიძე.

ბათუმის აზიზიეს მოედნიდან საგანგებო მატარებლით დელეგაცია გაემგზავრა ჩაქვის მიდამოების დასათვალიერებლად. მაშინდელი პრესა იუწყებოდა, რომ „მორთულ-მოკაზმული ბათომი გაზაფხულის ახლად აყვავილებულ თაიგულს წარმოადგენდა, ქალაქის ქუჩებიდან სადღესასწაულოდ გამოსული ხალხი ესალმებოდა სტუმრებს“. ჩაქვის სადგურიდან სტუმრები ეტლებით გაემგზავრნენ ჩაის პლანტაციებისაკენ, სადაც დაათვალიერეს წარმოება და გაეცნენ ადგილობრივ მუშათა მდგომარეობას. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა მაკდონალდმა, რომელიც ჩაის წარმოებას კარგად იცნობდა ცეილონიდან. სტუმრები აღფრთოვანებული დარჩნენ ბოტანიკური ბაღის დათვალიერებით. ჩაქვის მამულების მმართველობამ ჩაიზე მიიპატიჟა სტუმრები. სნოუდენმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა: „პირველად ჩემს სიცოცხლეში მოვედი ისეთ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი გვხვდება სიხარულით და ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ევროპელები და თქვენ აზიის მოსაზღვრე ქართველები ერთ გზაზე ვდგევართ. ამიერიდან ჩვენი კავშირი იქნება კიდევ უფრო ძლიერი“ („საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: №205).

ჩაქვიდან დაბრუნების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა ვახ-

შამი, სადაც მიწვეულნი იყვნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრებს, ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებმა, ამაღელვებელი და საზეიმო გაცილება მოუწყვეს რკინიგზის სადგურში. საღამოს 10 საათზე დელეგაცია საგანგებო მატარებლით თბილისში გაემგზავრა („საქართველოს რესპუბლიკა", 1920: №207).

ბათუმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. თბილისისაკენ მიმავალი დელეგაცია აღფრთოვანებას ვერ მალავდა ქართული სტუმარმასპინძლობის გამო და ერთმანეთს უზიარებდნენ ნანახსა და განცდილს. მარკემ აღნიშნა: „ეს ხალხი დიდს იმედებს იძლევა", რაზედაც მაკდონალდმა უპასუხა: „იმედებს კი არ იძლევა, ეს ხალხი თვით იმედია" („საქართველოს რესპუბლიკა", 1920: №201).

თბილისისაკენ მიმავალ საგანგებო მატარებელს რკინიგზის სადგურებში გირლიანდებითა და ყვავილებით ხვდებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, მოსამსახურეები და მუშები. საზოგადოების მოთხოვნით, რამდენიმე წუთით ქობულეთში შეჩერდა მატარებელი. სადგურში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ქობულეთის საზოგადოება რკინიგზის სადგურში სასულე ორკესტრით დახვდა სტუმრებს. დელეგაციის სახელით რენოდელმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას. მასპინძელთაგან მიესალმნენ ხუხუნაიშვილი, რუსიძე და ბარამიძე.

დელეგაციის წევრებს ასეთივე შეხვედრა გაუმართეს ნატანებში. ჯუმათში ანთებული ჩირაღდნებით დახვდა ადგილობრივი მოსახლეობა. სამტრედიაში დისლოცირებილი სამხედრო ნაწილის ოფიცრები და ჯარისკაცები, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, შუა ღამით სამხედრო ორკესტრით დახვდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. რენოდელმა სამადლობელ სიტყვაში აღტაცება გამოხატა შეკრებილი საზოგადოების არაჩვეულებრივი დახვედრის გამო. რკინიგზის ყველა სადგურში მთელი ღამის განმავლობაში ელოდა ადგილობრივი მოსახლეობა საგანგებო მატარებლის შემოსვლას („ერთობა", 1920: №211).

ევროპის დელეგაციის ვიზიტს კმაყოფილებით შეხვდა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალები, გარდა ბოლშევიკებისა. დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომაში მონაწილეობდა ყველა პოლიტიკური პარტია და ფრაქცია, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ დელეგაციის ვიზიტის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას („სახალხო საქმე", 1920: №926).

ბათუმში ევროპის დელეგაციის ვიზიტს მცირე ექსცესებიც მოჰყვა. ბოლშევიკებმა ევროპელთა ვიზიტი პროკლამაციების გავრცელებით გააპროტესტეს. მოუწოდებდნენ მუშებს, შეკრებილიყვნენ მესამე ინტერნაციონალის გარშემო. მიმართვაში უხამსი სიტყვებით იყვნენ

მოხსენიებულნი დელეგაციის წევრები და ურჩევდნენ მუშებს, ზურგი ექციათ „ყვითელ მასპინძლებისა და ყვითელ სტუმრებისათვის“. ამ ფურცლების გავრცელებისათვის რამდენიმე პირი დააპატიმრეს.

ბათუმელი ბოლშევიკები რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა დირექტივით მოქმედებდნენ. მოგვიანებით ბათუმში საბჭოთა საკონსულომ შუამდგომლობა აღძრა ბათუმის ოლქის განსაკუთრებული კომისრის წინაშე დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ. შუამდგომლობას საკონსულო იმით ასაბუთებდა, რომ დაპატიმრებულნი საბჭოთა მოქალაქეები და მცირეწლოვანნი იყვნენ. გარდა ამისა, დაპატიმრებულ იქნა ვინმე სერგეი მელიქ ოსიპოვი, რომელსაც საბჭოთა რუსეთის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა აღმოაჩნდა.

ბოლშევიკები არ დასჯერდნენ ბათუმში გავრცელებულ პროლკლამაციებს და უცხოურ პრესაში „ობშჩეე დელე“, „დაილუ ნერალეტ“, „იუმანიტე“, „ჟოურნალ დუ ტეუპლე“-ში სცადეს დელეგაციის მოგზაურობის სახელის გატეხა. მათ გაავრცელეს ხმა, თითქოს ბათუმის საზოგადოება პროტესტის ნიშნად ხმამაღალი შეძახილებითა და სტვენით შეხვდა ევროპელ სტუმრებს.

რენოდელმა თავის გაზეთ „ლა ვიე სოციალისტე“-ში ამ ჭორის შესახებ საპასუხო კრიტიკული წერილი მოათავსა სათაურით „თუ ვერ უარყოფთ, ცხადია სტყუით“.

საქართველოდან სამშობლოში დაბრუნებულმა დელეგაციის წევრებმა აქტიური მუშაობა წამოიწყეს ვიზიტის შედეგების პოპულარიზაციისათვის. ევროპის ჟურნალ-გაზეთები, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, ფართოდ გამოეხმაურნენ ევროპის დელეგაციის ვიზიტს საქართველოში.

დიდი ბრიტანეთის გაზეთებში „თაიმსი“ და „ტიმეს“-ი დაიბეჭდა ინტერვიუ სნოუდენთან, ლონდონის ყოველკვირეულში – „ტშე მატიეთ“-ში – მაკდონალდის წერილი. განსაკუთრებით ბევრი წერილი დაიბეჭდა ფრანგულ პრესაში. ფრანგულ გაზეთ „ლე კრიდუ ნორე“-ში დაიბეჭდა ა. ინგელსის ვრცელი წერილი, გაზეთ „ლე ბრიტ პოპულაირე“-ში – მოწინავე წერილი და წერილების სერია ინგელსისა, გაზეთებში „ეკლაირ“, „ჟურნალ“, „ფარე დე ლა სოირე“, „პემპსი“ – მარკეს წეილები, ბრიუსელის გაზეთ „ლე სეირ“-ში და „ლე პოპლ“-ში – საუბარი ვანდერველდესთან და სხვ.

ლონდონის ყოველკვირეულ „დე მატენ“-ში დაიბეჭდა რ. მაკდონალდის (დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი) ვრცელი წერილი „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში“, რომელშიც ნათქვამი იყო: „თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რო-

მელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე“.

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ქართულად თარგმნეს და დაბეჭდეს საქართველოს სამთავრობო გაზეთებმა („საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“).

დელეგაციის წევრები, გარდა პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა, ენერგიულ ბრძოლას ეწეოდნენ საქართველოს სასარგებლოდ საჯარო გამოსვლებითა და ლექციებით.

რამზეი მაკდონალდი ინგლისელ მუშათა წინაშე ყველა საჯარო გამოსვლაში საქართველოს შესახებ საუბრობდა.

ევროპელთა დელეგაციის ვიზიტის შედეგები შეჯამებულია ვ. ნოზაძის წერილში „საქართველოდან დაბრუნებული სოციალისტები“: „...ხალხი, რომელიც სავსებით არ იცნობდა საქართველოს, რომელსაც მხოლოდ „რაღაც“ გაეგონა საქართველოს შესახებ, დღეს თავგამოდებით იცავს მას, ლაპარაკობს მის შესახებ და ცდილობს სხვებსაც გააცნოს იგი... საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთ უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოდ გვეგონა, ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყობდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეოხებით სწარმოებს“ („საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: №273; „ერთობა”, 1920: №273).

ქართველი ერის პატივისცემა დელეგაციისადმი კარგად გამოხატა სასიქადულო მწერალმა და მამულიშვილმა გრიგოლ რობაქიძემ მისასალმებელ ვრცელ სიტყვაში: „მაღალნო სტუმარნო! ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევით მოვლენილი... ამიერიდამ ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის. ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ... თაყვანი თქვენ, მაღალნო და ძვირფასნო სტუმარნო, ქართველ მწერალთაგან თქვენი მოსვლა ამღერდება ზომაგადასულ შაირებში“ (კირთაძე, 1997: 61-63).

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგოლიშვილი, 2005: – გოგოლიშვილი ო., სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი.

„ერთობა,” 1920: – გაზეთი „ერთობა“.

კირთაძე, 1997: – კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბილისი.

„მხედარი”, 1920: – ჟურნალი „მხედარი“.

„საქართველოს რესპუბლიკა”, 1920: – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

„სახალხო საქმე”, 1920: – გაზეთი „სახალხო საქმე“.

Ermile Meskhia (Batumi, Georgia)

European Delegation in Batumi, 1920

Summary

Georgia has been visited by numerous foreign diplomats, politicians and public men since the 26th of May, 1918, but the most important event was recognizing the delegation of European countries to Georgia in September of 1918.

In spite of the fact that it wasn't a governmental delegation, Georgia gave much significance to that visit. September 15th was announced as a holiday and a special committee was created in order to elaborate a program to host the guests.

The program for the delegation was quite busy and various: meeting foreign guests at the harbor, receiving them in a government building, visiting the Chakvi Tea Factory and plantations, going sightseeing in Batumi (Batumi Boulevard, Batumi Botanical Garden, Green Cape), having at the palace with the worker's trade union, attending workers' meetings, a ceremonial dinner, seeing the guests off at the railway station.

The visit of European delegation was very important for Georgia in order to get international support and be recognized as an independent state.

ოთარ ნიკოლეიშვილი
(ქუთაისი, საქართველო)

ბათუმის საკითხი ბერლინის 1878 წლის კონგრესზე

(გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული წერილების მიხედვით)

როგორც ცნობილია, საქართველოსთვის, თავისი შედეგებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად იქცა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. 1878 წლის 3 მარტს გაფორმებული სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად, „ბრწყინვალე პორტას" რუსეთისათვის კონტრიბუციის სახით დაეკისრა 1400 მილიონი რუბლის გადახდა. ვინაიდან ოსმალეთმა ამის გაკეთება ვერ შეძლო, იგი იძულებული შეიქნა, რუსეთის სასარგებლოდ ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო, რის შედეგადაც დედასამშობლოს კვლავ დაუბრუნდა მის მიერ საუკუნეების წინათ მიტაცებული ქართული ტერიტორიები, მათ შორის, ბათუმიცა და აჭარაც.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების დადებით რუსეთის გაძლიერებამ ძალზე შეაშფოთა ევროპის იმჟამინდელი მოწინავე სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა კი, ინგლისი და თავად თურქეთი. რუსეთ-თურქეთის ხსენებულ ომში რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შესასუსტებლად „ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მეთაურმა ბიკონსფილდმა (დიზრაელმა) შეადგინა ახალი ომის სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო ბათუმში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნა... თურქეთისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა მომავალ ომში გამარჯვების უზრუნველსაყოფად დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ... აჭარის მოსახლეობას დევრიშ–ფაშამ 7 ათასი თოფი დაურიგა... თურქებს აჭარაში აჯანყების მომზადებაში ინგლისელი აგენტები ეხმარებოდნენ...

1878 წლის 1 მაისს ბათუმში ორი ინგლისელი გენერალი და თორმეტი ოფიცერი ინჟინერი ჩამოვიდა. ინგლისელი აგენტები აჭარის სოფლებში დადიოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში. ისინი მათ ფულს და იარაღს ურიგებდნენ." აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად „ინგლისს გვერდში ედგნენ საფრანგეთი, ავსტრია, იტალია და გერმანია" (მეგრელიძე, 1956: 68).

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთი იძულებული გახდა ბერლინის კონგრესის მოწვევას დათანხმებოდა, რომლის უმთავრეს მიზანსაც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა წარმოადგენდა. ხსენებულ კონგრესზე, რომელიც ერთი თვის განმავლობაში – 1878

წლის 13 ივნისიდან 13 ივლისამდე მიმდინარეობდა, მწვავედ დაისვა ბათუმისა და ზოგადად, აჭარის რეგიონის რუსეთის იმპერიისათვის მიკუთვნების საკითხი. აღნიშნული პრობლემა იმხანადაც და შემდგომშიც არაერთხელ გამხდარა როგორც ქართველ მამულიშვილთა, ისე უცხოელ ავტორთა ინტერესისა და მსჯელობის საგანი. ნათქვამის დასტურად აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც უშუალოდ ბერლინის კონგრესის მიმდინარეობის პერიოდში გამოქვეყნდა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი გაზეთის – „ნიუ-იორკ ტაიმსის" ფურცლებზე.

გაზეთის 7 ივლისის ნომერში დასტამბული სარედაქციო სტატია „კონგრესი ბერლინში" მკითხველს აუწყებდა, რომ თოთხმეტი მონაწილისაგან შემდგარ კონგრესის სხდომაზე, რომელსაც გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელი ჰოენლოე (საუბარია ხლოდვიგ კარლ ვიქტორ ჰოენლოეზე, რომელიც აღნიშნულ კონგრესზე გერმანიის დელეგაციის ერთერთი წარმომადგენელი იყო, ხოლო 1894-1900 წლებში კი ამავე ქვეყნის კანცლერი – ო. ნ.) თავმჯდომარეობდა, განხილვის უმთავრეს საგანს ბათუმის საკითხი წარმოადგენდა. გაზეთის ინფორმაციით, მიუხედავად ხანგრძლივი მსჯელობისა, კონგრესის მონაწილენი ვერანაირ შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ. „ნიუ-იორკ ტაიმსის" შეფასებით, ეს სულაც არ იყო გასაკვირი, რადგანაც ბათუმის, როგორც ციხე-სიმაგრის, საკითხის გადაწყვეტა იმავდროულად დარდანელის პრობლემის მოგვარებასაც უკავშირდებოდა (New York Times, July 7, 1878).

როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესის გამართვამდე, ბრიტანეთში საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ რობერტ სესილ სოლსბერსა და რუსეთის ელჩ გრაფ პეტრე შუვალოვს შორის 1878 წლის 18–30 მაისს ლონდონში შედგა მოლაპარაკება, რომელიც ინგლის-რუსეთის საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. აღნიშნული დოკუმენტით „უნდა გადაჭრილიყო, თუ რა დათმობაზე წავიდოდა რუსეთი ევროპის კონგრესზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით რუსეთი ბათუმს ღებულობდა, მაგრამ გარდა არზრუმისა, როგორც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, თურქეთს უნდა დაბრუნებოდა ალაშკერტი და ბაიაზეთი". ეს მოთხოვნა კი იმით იყო გამოწვეული, რომ „ამ ქალაქებზე გავლით მიდიოდა სატრანზიტო-სავაჭრო გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთში და ამიტომ არ სურდათ ევროპის სახელმწიფოებს მათი რუსეთისთვის დატოვება" (მეგრელიძე, 1956: 77).

მიუხედავად ზემოთქმული ხელშეკრულების გაფორმებისა, მოლაპარაკებები კონგრესზე ბათუმის საკითხის გარშემო სულაც არ წარმართულა მარტივად. ამის მთავარი მიზეზი კი ლონდონის გაზეთ „გლობუსში" (The Globe – გამოდიოდა 1803-1921 წლებში), 1878 წლის 14 ივნისს, ანუ ბერლინის კონგრესის გახსნიდან მეორე დღესვე, გამოქვეყნებული ის სტატია გახდა, რომელმაც ზემოთქმული შეთანხმების პირობები საშკარაოზე გამოიტანა. რუსეთისათვის ბათუმის დათმობის წინასწარი შეთანხმება

ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მარცხად იქნა შეფასებული და მას საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

შედეგად, ლორდმა ბიკონსფილდმა (იგივე ბენჯამინ დიზრაელმა, 1874-1880 წლებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კონსერვატიული პარტიიდან) და მისმა მთავრობამ უარი განაცხადა ლონდონის ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე. სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ მოლაპარაკებებში, გრაფი შუვალოვის მოთხოვნით, გერმანიის იმპერიის კანცლერ ოტო ვონ ბისმარკის ჩართვა გახდა აუცილებელი. სწორედ მისი ძალისხმევით მოხერხდა როგორც რუსეთისთვის, ასევე ინგლისისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება – ბათუმის თავისუფალ ქალაქად ე. წ. „პორტო ფრანკოდ" გამოცხადება. აი, როგორ გამოეხმაურა კონგრესზე მიღებულ ზემოთქმულ გადაწყვეტილებას გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი":

„ვენადან მიღებული ტელეგრამით ვგებულობთ, რომ ბათუმი არ გახდება ჰამბურგის, ან ალტონას (ისტორიული ქალაქი გერმანიაში, რომელიც ამჟამად ჰამბურგის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში შედის – ო. ნ.) მსგავსი თავისუფალი პორტი, არამედ იგი იქნება რუსული თავისუფალი პორტი, რომელიც აბსოლუტურად სხვა რამ იქნებ" („New York Times", July 9, 1878).

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული მასალებიდანაც ნათლად ჩანს, ბერლინის კონგრესის დამთავრებას და მის მიერ მიღებული საბოლოო ხელშეკრულების გამოქვეყნებას არა მარტო ევროპისა და აზიის ქვეყნები მოელოდნენ უდიდესი ინტერესით, არამედ ამერიკელებიც. ამას ბერლინის კონგრესის დასრულებიდან მეორე დღესვე, 14 ივლისს, ამერიკული გამოცემის ფურცლებზე დასტამბული წერილიც ადასტურებს, რომელშიც ნათქვამია:

ბერლინის კონგრესის უკანასკნელმა სხდომამ საათნახევარი გასტანა და 4 საათზე დასრულდა. ხელშეკრულებას ყველა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი ანბანური თანმიმდევრობით. ქაუნთ ანდრასიმ (1871-1879 წლებში ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამავე ქვეყნის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბერლინის კონგრესზე – ო. ნ.) განსაკუთრებულად თბილად მოიხსენია ბისმარკი კონგრესის ხელმძღვანელობისათვის. თავის მხრივ, ბისმარკმა ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის. აღნიშნული ღონისძიება საღამოს დიდი ბანკეტით დასრულდა, რომელიც სასახლის თეთრ დარბაზში გაიმართა... აღნიშნულ ღონისძიებას მხოლოდ ლორდი ბიკონსფილდი და პრინცი გორჩაკოვი არ ესწრებოდნენ" („New York Times, July 14, 1878).

სამწუხაროდ, თურქეთის მიერ რუსეთისათვის ბათუმის, აჭარისა და სხვა ქართული ტერიტორიების გადაცემის თაობაზე ხსენებულ პუბლიკაციაში ერთი სიტყვითაც კი არაფერია ნათქვამი.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერლინის კონგრესის მიმდინარეობის პერიოდში გამოქვეყნებული წერილებით გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" თავის მკითხველებს ოპერატიულად მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთის მიერ რუსეთისათვის გადაცემული ქართული რეგიონების შესახებ ხსენებულ პუბლიკაციებში ცოტა რამ არის ნათქვამი, აღნიშნულ მასალებს გარკვეული ყურადღება მაინც იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ მათი მეშვეობით უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამერიკელთა იმჟამინდელ დამოკიდებულებაზე იმ პოლიტიკური მოვლენებისადმი, რომლებიც XIX საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარეობდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

მეგრელიძე, 1956: – მეგრელიძე შ., აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისგან, ბათუმი.

"New York Times" – "New York Times", 1878 წლის 7, 8, 9, 10 და 14 ივლისის ნომრები.

Otar Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

The Issue of Batumi at the Congress of Berlin in 1878 (According to the Letters Published in the Newspaper 'The New York Times')

Summary

At the International Congress that took place in Berlin from June 13th to July 13th the issue of the allocation of Batumi and Adjara was discussed. Many important questions were talked about after the Russo-Turkish War of 1878. The most important though was Adjara going to the Russian empire. The New York Times, a newspaper published in the United States, promptly responded to the above mentioned event before the Congress was closed.

Despite the fact that the aforementioned publication looked at the issue, little is said about Turkey handing over the Georgian regions of Batumi and Adjara to Russia. The material still deserves some attention since it can help to form a clear idea concerning the attitude of the Americans towards the political events taking place in European and Asian countries in the 1870s.

უჩა ოქროპირიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის პორტის განვითარება 1878-1914 წლებში

რუსეთმა ჯერ კიდევ ბათუმის შემოერთებამდე გადადგა გარკვეული ნაბიჯები მასთან კავშირის გასაძლიერებლად და უკვე 1865 წელს თბილისი ტელეფონით დაუკავშირდა ჯერ ბათუმსა და ტრაპიზონს, შემდეგ კი კონსტანტინეპოლს [სცსია, ფ. 416, ან. 3, ს. 771, ფურც. 1-2]. ბათუმის შემოერთების შემდეგ კი, სწრაფად დაიწყო მისი, როგორც საპორტო ქალაქ-ნავსადგურის განვითარება.

საგზაო ურთიერთობის სამინისტროს განკარგულებით, 1884-1885 წლებში ბათუმში მოეწყო ხის ნავმისადგომები, ხოლო 1885-1892 წლებში გაშენდა ნავმისადგომი ნავთობისათვის და ნავთობპროდუქტების დასატვირთად, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დამცავი ჯებირით იყო ჩაკეტილი. ამასთანავე, დაიწყო დამცავი ჯებირის მშენებლობა ბურუნ-თაბიეს კონცხთან, უბის კონცხის მხრიდან ტალღებისაგან დასაცავად; თუმცა ეს სამუშაოები ბოლომდე არ იქნა მიყვანილი აქ აღმოჩენილი დიდი სიღრმეების გამო. ნავსადგურის აშენების პირველსავე წლებში ცხადი გახდა პორტში არსებული სივიწროვე და მასში ტვირთბრუნვის სწრაფი ზრდა, რამაც გამოიწვია პორტის გაფართოების და ნავთობის ნავმისადგომის აღმოსავლეთით საკაბოტაჟე ნავსადგურის აშენების აუცილებლობა. სულ მალე ამ სამუშაოების დაწყებიდან საკაბოტაჟე ნავსადგურის პროექტის განხორციელება ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით შეჩერდა და საქმე დამცავი ჯებირებისა და სანაპიროს მოწყობით შემოიფარგლა. საკაბოტაჟო ნავსადგური ვერ აკმაყოფილებდა მასზე წაყენებულ მოთხოვნებს, რადგან იგი სულ მალე ამოვსებული იქნა მდ. ბარცხანას ჩამონატანებით. 1897 წელს საკაბოტაჟო ნავსადგურის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ბათუმის პორტში, მიუხედავად მრავალი პროექტისა და წინადადების არსებობასა, დიდი სამშენებლო სამუშაოები 1914 წლამდე აღარ ჩატარებულა და გემების მიღება და პორტის ტვირთბრუნვა, რომელმაც წელიწადში თითქმის 100 ათას ფუთს მიაღწია, წარმოებდა მეტად შემავიწროვებელ, ეკონომიკური განვითარების ნორმალური პირობების შემაფერხებელ პირობებში. მიუხედავად ამისა, შეინიშნებოდა საწარმო ძალთა თვალსაჩინო ზრდა პორტის რაიონში [Труды, 1925: 2], ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის შემოერთებიდან სულ რაღაც მცირე პერიოდში, იგი იქცა ზღვისპირა პროვინციული ბინძური დასახლებიდან, ევროპული ტიპის ქალაქად და საერთაშორისო დანიშნულების ნავსადგურად, სადაც შემოდიოდნენ გემები მსოფლიოს თით-

ქმის ყველა კონტინენტებიდან. ბათუმისა და მისი ნავსადგურის განვითარების ტემპი რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, საკმარისია მოკლედ გადავათვალიეროთ ეს ისტორია.

ცნობილია, რომ შემოერთების მომენტისათვის ბათუმის დაკავშირება ამიერკავკასიის ცენტრებთან უგზოობის გამო შეუძლებელი ხდებოდა და ამიერკავკასიის ვაჭრობა უმთავრესად კვლავ ფოთის ნავსადგურში იყრიდა თავს. მაგრამ 1883 წელს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებისა და საგზაო-სატრანსპორტო მდგომარეობის რამდენადმე მოგვარების შემდეგ, ბათუმის პორტი გახდა ერთ-ერთი ძირითადი დამაკავშირებელი ხაზი, სადაც თავს იყრიდა სატრანსპორტო გზები ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან აზიისა და აღმოსავლეთისაკენ.

ფაქტია, რომ ბათუმის შემოერთებამდე აქ იყო სრულიად მოუწყობელი ბუნებრივი ნავსადგური, რომლის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში შეეძლოთ დიდ გემებს შესვლა, სამხრეთით კი, მხოლოდ მცირე მოცულობის გემები ჩერდებოდა. რაც შეეხება ნავსადგურის მთლიან სანაპირო ხაზს, იგი შეადგენდა 300 საჟენს (დაახლ. 640 მეტრამდე). მაგრამ უკვე 1879 წ. შეიქმნა სპეციალური კომისია ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის პროექტის შესამუშავებლად, რომელმაც საპროექტო სამუშაოები 1882 წელს დაამთავრა. ბათუმში რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ბათუმის პორტიდან უნდა გასულიყო მსოფლიო ბაზარზე ამ რკინიგზით აქ მოზიდული საქონელი, რაც გავლენას ახდენდა მის მეზობლად არსებული სატრანზიტოდ მნიშვნელოვანი პუნქტების, მაგალითად, სამტრედიის განვითარებაზე [„დროება", 1885, №12].

ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქისა და ნავსადგურის მნიშვნელობის გაზრდაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ბაქოს ნავთობის ექსპორტმა მსოფლიო ბაზარზე ბათუმის გავლით. ამ საქმიანობის გრანდიოზული პერსპექტივები დღის წესრიგში აყენებდა ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობის, მისი გაფართოების და იმ პერიოდისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მისი აღჭურვის საკითხს. ნავთობისათვის აუცილებელი იყო ცალკე ნავსაყუდელის აშენებაც, რაც დაწყებული იქნა, როგორც აღვნიშნეთ, 1885 წელს. ხოლო მისი მშენებლობისათვის საჭირო მასალა გამოზიდული ციხისძირის ქვის სამტეხლოებიდან [აცსა, ფ. 16, ს.15, ფურც. 71-72]. 1888 წლის დეკემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა მისი ნაწილი, ხოლო ნავსადგურის ძირითადი ნაწილის მშენებლობა საბოლოოდ დამთავრდა 1892 წელს და საკმაოდ გაიზარდა მისი ტვირთბრუნვაც. ახლა ნავსადგურს ერთდროულად 14 გემის მიღება შეეძლო [Путеводитель, 1901: 45; Церетели, 1906: 364]. უნდა ითქვას, რომ მუშაობა ნავსადგურის გასაუმჯობესებლად არც შემდეგ წლებში შეწყვეტილა და მასზე 5 მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯა [6], მაგრამ სამაგიეროდ, ქალაქ ბათუმის

საშემოსავლო ბიუჯეტის 40 პროცენტზე მეტი ნავსადგურიდან გატანილი ნავთობის სააქციზო გადასახადიდან შემოდიოდა [სცსია, ფ. 13, ან. 2, ს. 3, ფურც. 130-131] და ნავთობის მრეწველობის სწრაფი განვითარება აქ იწვევდა მრავალი ახალი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საწარმოების აშენება–ამოქმედებას, ქალაქის სწრაფ ზრდას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ბათუმის პორტის შესაძლებლობათა გაზრდის აუცილებლობასთან.

ამ მხრივ ბათუმის პორტის განვითარების ტემპები პირველი მსოფლიო ომის წინ, მართლაც, შთამბეჭდავი იყო. ომის წინ ბათუმის პორტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში. ამ პერიოდში შავი ზღვით გატანილ ფასეულობათა საშუალო წლიური რაოდენობა 257 მლნ. რუბლით, ხოლო შემოტანილის – 69 მლნ რუბლით განისაზღვრებოდა. ამათგან, ბათუმის პორტზე მოდიოდა გატანილი 35 მლნ რუბლის და შემოტანილი 10 მლნ რუბლის საქონელი, ანუ ფასეულობათა გატანის 13,6% და შემოტანილი ტვირთის 14,5%, ხოლო სულ შავ ზღვაში შემოტანილი ტვირთის 8% [Труды, 1925: 2].

საერთოდ კი ბათუმის პორტის წილი რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში გატანილი საქონლის 3%-ს, ხოლო მთელი შემოტანილი საქონლის 1,03%-ს შეადგენდა, და ეს იმ დროს, როდესაც იგივე მაჩვენებლები სანკ-პეტერბურგის პორტისთვის იყო 7.4% და 12,5%, ოდესისთვის – 6% და 5%, ნოვოროსისკისთვის – 3,5% და 0,7%. ამ მაჩვენებლების მიხედვით ბათუმის პორტს ეს ქალაქები უსწრებენ, მაგრამ აღნიშნული ბრუნვის ფულადი გამოხატულებით, 1908 წლისთვის ბათუმი თითქმის არაფრით ჩამორჩება ნოვოროსისკს (ნოვოროსისკი – 43.5 მლნ., ბათუმი – 40,2 მლნ. რუბლი), ხოლო იმავე პერიოდში მიღებული, პორტიდან გასული გემების და მათში მოთავსებული ტვირთების რაოდენობით საკმაოდ უსწრებს მას. ნავთობპროდუქტების ექსპორტში კი ამ ორი მნიშვნელოვანი პორტის მაჩვენებლები ომის წინა პერიოდში წლების მიხედვით ასე გამოიყურება [Труды, 1925: 2]:

წლები	გატანა ბათუმის პორტიდან მილიონ ფუთობით	პროცენტებში	გატანა ნოვოროსისკიდან მილ. ფუთებში	პროცენტებში
1904	79.1	70,6	23,8	21,2
1908	38,2	78,6	3,4	7,1
1911	35,9	69,0	9,5	18,3
1913	37,1	64,3	10,5	18,2

არანაკლები წილი დაიდო ბათუმის პორტმა რუსეთის საკაბოტაჟო ცურვაში და შავი ზღვით გატანილი 192 მლნ ფუთი ტვირთიდან

ბათუმის პორტის გავლით გავიდა 14,2 მლნ. ფუთი საქონელი. შესაბამისად, სავაჭრო საქმიანობიდან ბათუმის პორტს შემოჰქონდა მნიშვნელოვანი შემოსავლები, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბაჟო შემოსავლები, რომელიც 1908 წლის 1.165 ათასი რუბლიდან, 1911 წლისთვის 1,336,9 ათას რუბლამდე გაიზარდა. ხოლო ბათუმის პორტის საქმიანობიდან შემოსული ყველა შემოსავლის რაოდენობა იმავე წლებში განისაზღვრა შესაბამისად 1.748,4 ათასი და 1.942,9 ათასი [Труды, 1925: 2], რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, სულ მცირე დროში, იგი უმნიშვნელო, ძირითადად სამხედრო დანიშნულების მქონე სტრატეგიული დასახლებიდან, ევროპული ტიპის ქალაქად და საერთაშორისო მნიშვნელობის პორტად გადაიქცა, რაც განაპირობა მისი ადრინდელი ფუნქციის სრულიად შეცვლამ და ახალ გეოსტრატეგიულ გარემოში გარდაუვალმა და სწრაფმა განვითარებამ.

თუ ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მას ჰქონდა ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ექსპანსიის შეკავების მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ამასთანავე წარმოადგენდა რუსეთის მსოფლიო ბაზარზე ამიერკავკასიის რეგიონიდან შეჭრის შემზღუდავ გარემოებას, ახალ პირობებში იგი იქცა „რუსეთის სიმდიდრეთა“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გატანისათვის მოწოდებულ უდიდესი მნიშვნელობის კარიბჭედ, ამასთან, ამავე რუსეთთან მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისათვის აუცილებელ უმნიშვნელოვანეს პუნქტად.

აღნიშნულ დანიშნულებას იგი წარმატებით ინარჩუნებს დღესაც პოსტსაბჭოურ სივრცეში და მისი მნიშვნელობა ამ სივრცისათვის მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა, ფ. 16, ს.15 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 16, საქმე №15.

„დროება“, 1885, №12 – გაზ. „დროება“, 1885, №12, 17 იანვარი.

სცსია, ფ. 416, ან. 3, ს. 771 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე №771.

სცსია, ფ. 1438, ს. 447.

სცსია, ფ. 13, ან. 2, ს. 3.

Путеводитель.., 1901: – Путеводитель по гор. Батуми.

Труды, 1925: – Труды отдела портов ЭКЗ, вып. II, Экономическая записка о значении Батумского порта и перспективах его развития, Тифлис.

Церетели, 1906: – Церетели Н.В., Очерки торгово-промышленного развития г. Батума, – сб. Батумъ и его окрестности, Батумъ.

Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)

Development of Batumi Port in 1878-1914 years

Summary

The growing dynamics of Batumi port development from 1878 to 1914 is described in this scientific work. The percentage indicators of the cargo turn-over in the given period exceeded more than 2300. It became especially productive after Batumi port had stopped being in the Porto-Franca regime and it became one of the main oil products exporters of the Russian market.

From 1878 to 1914 the Batumi port was equipped and developed at a high level. Its carrying capacity and income was only exceeded the ports of Saint-Petersburg and Odessa, but it excelled considerably compared to the port of Novorossiysk.

ლელა სარალიძე
(თბილისი, საქართველო)

ქართული სამხედრო სკოლა და ბრძოლა ბათუმისათვის (1921 წ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დადგენილებით, ასევე, გენერალ გიორგი კვინიტაძის ინიციატივით, 1919 წელს, თბილისში, იუნკერთა ქართული ორწლიანი სასწავლებელი დაარსდა. სამხედრო ხელოვნებას 182 იუნკერი ეუფლებოდა. ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა. სკოლის პირველი ხელმძღვანელი გიორგი კვინიტაძე იყო. 1919 წლის 27 აპრილს, გიორგი კვინიტაძე საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. მის ნაცვლად სასწავლებლის ხელმძღვანელი გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი გახდა. მას შემდეგ, რაც 1921 წლის თებერვალში, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოზე თავდასხმა განხორციელდა, გიორგი კვინიტაძე საქართველოს ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა, ხოლო სამხედრო სკოლის ორგანიზაციის წესდების თანახმად, 17 თებერვალს, მთავარსარდლის ბრძანებით, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე სკოლის უფროსად, ხოლო გენერალი ანდრონიკაშვილი კი მთელი ფრონტის უფროსად დაინიშნა [სარალიძე, 2010: 41]. სამხედრო სასწავლებელი ორწლიანი იყო. პირველ წელს საერთო თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობდა, ხოლო მეორე წელს სწავლება დიფერენცირებული იყო: ქვეითთა ჯარის, მესანგრეთა ჯარის, ცხენოსანთა ჯარის, ასევე, საარტილერიო დარგებად. სამხედრო სკოლაში ლექციებს ცნობილი ქართველი გენერლები: გიორგი კვინიტაძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ხოლო პრაქტიკულ დარგს სათანადო დარგის რჩეული ოფიცრები კითხულობდნენ. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი საგნების სწავლას, როგორიცაა: სამხედრო ისტორია, ტაქტიკა, ტიპოგრაფია, ფორტიფიკაცია, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა. სკოლაში საქართველოს ისტორიას ივანე ჯავახიშვილი, ხოლო ქართულ ენას ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი ასწავლიდა.

იუნკრებს სპეციალური ფორმა ეცვათ. ალექსანდრე ჩხეიძის გადმოცემით: „იუნკრების ფორმა იყო: ქართული ხალათი და თუშური ქუდი ეროვნული ფერების ყაითნებ მოვლებული; წითელ-კიდურიანი სამხრეულები ინიციალებით „სკ" (სამხედრო სკოლა – ლ. ს.) და ზამ-

თარში ბობოხი. ოფიცრებს ეცვათ ინგლისური ჭილოფის ფრენჩი და ფრანგული გამოჭრილობის ფარაჯა“ [ჩხეიძე, 1933: 8]. ქართულ არმიაში იუნკრებს გამორჩეული ადგილი ეკავათ. ბრძოლის ველზე ეს იყო ყველაზე დისციპლინირებული და ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფი. ლამაზ ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდა კურსანტებს საზოგადოება სიყვარულით ეკიდებოდა. არ ყოფილა შემთხვევა იუნკერს ქალაქში წესრიგი დაერღვიოს. თბილისში უცხოეთის დელეგაციის ჩამოსვლის დროს იუნკრებს, როგორც საჩვენებელ ნაწილს, საპატიო ყარაულში აყენებდნენ.

იუნკრები მონაწილეობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით წარმოებულ თითქმის ყველა საბრძოლო ოპერაციებში. მათ თავი გამოიჩინეს რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. 1921 წლის 24 თებერვალს, იუნკრებთან ბრძოლაში ბაქოს წითელ კურსანტთა პოლკმა პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი დაკარგა. მძიმე დანაკლისი განიცადეს იუნკრებმაც. მიუხედავად ამისა, პოზიციებს კვლავ ქართული ნაწილები აკონტროლებდნენ. რვა დღის განმავლობაში იუნკრებმა რუსებს ტაბახმელასთან გამართული თითქმის ყველა ბრძოლა მოუგეს. იუნკრებმა ბრძანება პოზიციების დატოვების თაობაზე, 24 თებერვალს, ღამის 12 საათზე მიიღეს. მათ ბათუმისაკენ მიმავალი სამთავრობო მატარებლის დაცვა დაევალათ. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკებმა თბილისი დაიკავეს. XI არმიის სხვა ნაწილებთან ერთად, საქართველოს დედაქალაქში ბაქოს წითელ კურსანტთა პოლკი შემოვიდა, რომელიც ქართველ იუნკერთა სკოლაში განთავსდა. ქართველი იუნკრები იმ დროს უკვე ბათუმში იყვნენ.

1921 წლის 25 თებერვალს, თბილისის დაცემის შემდეგ, 13 მარტამდე ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა შიდა ქართლში, აფხაზეთსა და იმერეთში. მათ შორის იყო 5-6 მარტის სურამის ბრძოლა, რომელშიც ქართული ჯარი ბოლშევიკების შეჩერებას ლიხის ქედზე ცდილობდა. ხაშურის აღმოსავლეთით, ოსიაურთან 6 მარტს გამართული ბრძოლა ქართველთა მარცხით დამთავრდა [სილაქაძე, 2011: 239]. აღნიშნულ ბრძოლებში მარცხის შემდეგ, ქართული სარდლობა გურია-აჭარაში უკანასკნელი თავდაცვითი ხაზის შექმნას ცდილობდა, მაგრამ ამ პერიოდში აჭარაში ოსმალები შემოიჭრნენ და ეს გეგმა ვერ განხორციელდა. უკანდახევის დროს იუნკრებმა ბათუმამდე მთელი გზა ბრძოლით გაიარეს. იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა დაგვხვდა. სადგური, ქუჩები, მოედნები სავსე იყო ჯარებით, გვერდით კი იმავე ქუჩებში პატარ-პატარა წითელი ფესკებდახურული შეიარაღებული ოსმალეთის ჯარისკაცთა ჯგუფები დადიოდნენ. ზღვაზეც მოჩანდა თეთრიალქნიანი ჯარისკაცებით სავსე მოზრდილი ნავები. მთის მწვერვალებზე მყოფი სი-

მაგრეებიდან სროლის ხმა მოისმოდა. წესრიგის აღსადგენად და მორალის ასამაღლებლად გენერალმა კვინიტაძემ აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები. წესრიგში მოიყვანეს ნაწილები... ბათუმის სიმაგრეების დამცველნი ტყვიამფრქვევით და ზარბაზანთა ცეცხლით ზღვასა და სიმაღლეებისკენ ერეკებოდნენ ოსმალეთის ნაწილებს. ბათუმის ოსმალთაგან გაწმენდა გენერალმა კვინიტაძემ გენერალ მაზნიაშვილს მიანდო. ამ საქმეში მას ბოლშევიკთა ჯარებიც ეხმარებოდნენ...“ [მათიკაშვილი, კვალიაშვილი, 1990: 22-23].

ბათუმში, იმ დროს, ერთადერთი სამხედრო ნაწილი, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა საბრძოლო წესრიგი, სამხედრო სკოლა იყო. პარტიული ნიშნით დაკომპლექტებულ გვარდიის წევრთა არაორგანიზებულობაზე საუბრობს, მოგვიანებით ემიგრაციაში მყოფი, გენერალი შაქრო ბაქრაძე. იგი უშუალო თვითმხილველი იყო რუსეთ-საქართველოს ომის დროს ფრონტზე განვითარებული მოვლენების. ბათუმისაკენ უკანდახევის ფაქტთან დაკავშირებით იგი წერს: „იმ დროს, როცა მთელი ჩვენი ფრონტი იხევდა ბათუმისაკენ, მე, თანახმად მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის ბრძანებისა, მოვხსენი ჩემი ფრონტი, შევკრიბე ნაწილები რაჭაში და ჩამოვიყვანე ყვირილის სადგურთან, საცა მოველოდი მთავარსარდალს. აქ მოვიდა ჩემთან გვარდიის ათასეულის უფროსი და მომახსენა, რომ თანახმად მიღებული ბრძანებისა, შედის თავის ათასეულით ჩემს განკარგულებაში. ვუბრძანე დაესვენებინა ათასეული და მოეთმინა მანამ გავცემდი განკარგულებას, თანახმად მთავარსარდლისაგან მიღებული ბრძანებისა. ჩამოვიდა მთავარსარდალი, დავუხვდი და მივართვი სათანადო პატაკი. პატარა ხანს უკან ჩამოვიდა მატარებელი ბევრი ვაგონებით. ცოტა ხანი იდგა სადგურზე, და ისევ დაიძრა ბათუმის მიმართულებით. ამის შემდეგ შევამჩნიე, ჩემთვის სრულებით მოულოდნელათ, რომ არც ერთი გვარდიელი არ დარჩა სადგურზე და მთელი ათასეული თავის უფროსით სადღაც გაჰქრა. ამნაირი მაგალითები, და მეტიც – პოზიციებიდან მთელი ერთეულების თავისი ნებით მოხსნისა მტერთან ბრძოლის დროს, ან ჩუმათ ღამით გაპარვა მთელი ნაწილებით და ამით დანარჩენი ფრონტის კრიტიკულ მდგომარეობაში დატოვება ბევრი იყო“ [ბაქრაძე, 1934: 27-28].

1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს მიეკუთვნა, ართვინი და არტაანი ყარსის ოლქთან ერთად კი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ემიგრანტი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წერს: „...სწორედ 16 მარტს 1921 წელს, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით, თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბა-

თუმზე. აქედან ირკვევა, რომ ეს „სუვერენობა“ მას უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანევრი. თუმცა მისი პრეტენზია მუდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენნ რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ! ეტყობა, არც საქართველოს მთავრობას, არც სარდლობას და არც ადგილობრივ კომუნისტებს 17 მარტს ეს არ სცოდნიათ, თორემ ღია კარების მტვრევა არ დასჭირდებოდათ... თურქები, თანახმად ხელშეკრულებისა, უნდა წასულიყვნენ და თურქულ საბუთებშიც დამარცხებაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ბათუმის დაცლაზე” [მანველიშვილი, 1984: 301-302].

ქართულმა საჯარისო ნაწილებმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, ბათუმისათვის გამართულ ბრძოლაში ოსმალების დამარცხება მოახერხეს. 1921 წლის 20 მარტის 12 საათისათვის ბათუმსა და მის ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო [ჯანელიძე, 2011: 138]. სწორედ, ქართველი გმირების წყალობით, ბათუმი დღეს საქართველოს იურისდიქციაშია და არა თურქეთის.

დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომაზე, ბათუმში, 1921 წლის 21 თებერვალს, გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყანას ტოვებს და დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება იმ იმედით, რომ უცხოეთიდან შეეცდებოდა საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლებისგან გათავისუფლებას. იუნკრებს გამოუცხადეს: ვისაც სურვილი ჰქონდა, შეეძლო სამშობლოს დატოვება; საზღვარგარეთ მთავრობა ზომებს მიიღებდა მათი ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებელში მოსაწყობად. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „გამოგვიცხადეს და საფიქრალშიც ჩაგვაგდეს, დავრჩეთ თუ წავიდეთ? დარჩენა მტრის სამსახურში ჩადგომას ნიშნავდა, წასვლით კი შეიძლება უცხოეთში უმაღლესი ცოდნა მიგვეღო და მომავალში განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულიყავით... ზოგმა ჩვენგანმა სახლში დაბრუნება არჩია. გავინაწილებთ სამშობლოს ბედს და მშობლებსაც ხომ პატრონობა უნდაო“ [მათიკაშვილი, კვალიაშვილი, 1990: 23]. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩხეიძე იგონებს: „ქუთაისიდან სკოლა გადმოვიდა ბათუმში და დადგა კინოში, მთავარსარდლის მახლობლად; ბათუმის ქუჩებზე დადიოდნენ ქემალისტების ნაწილები და ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ისინი შემოუშვებდნენ ბოლშევიკებს ქალაქში; მაგრამ მათ საკუთარი განზრახვა ჰქონდათ. სახელდობრ – ხელში ჩაეგდოთ ბათუმი! აქ ჩვენ მოვედით 14-15 მარტს; 18-ს ჩვენმა მთავრობამ უკვე გადაწყვიტა დაე-

ტოვებინა საქართველოს მიწა-წყალი და წასულიყო კონსტანტინეპოლში; ნაბრძანები იყო, წამოსულიყვნენ, აგრეთვე, მსურველი ოფიცრები და იუნკრები...“ [ჩხეიძე, 1933: 62].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, გვარდიისა და სამხედრო მეთაურების მხრიდან, არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, სამხედრო სკოლის ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივ პოზიციაზე იდგა. ალექსანდრე ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ბათუმში მყოფ სამხედრო სკოლის წარმომადგენლებთან, მისი იქ არყოფნის პერიოდში მივიდა პოლკოვნიკი აბესაძე, რომელიც თავის დროზე სოციალ-დემოკრატების ნდობით სარგებლობდა და მათი ხელშეწყობით სკოლის ინპექტორადაც უნდა დაენიშნათ, რასაც მაშინ გენერალმა გიორგი კვინიტაძემ შეუშალა ხელი. მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მხრიდან ნდობისა, აბესაძემ სკოლის ოფიცრებს მოსთხოვა იუნკრების დახმარებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დატყვევება. სწორედ, იმ დროს ბათუმში დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიცრების და ჯარისკაცების უმეტესობა არ ეთანხმებოდა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო დაეტოვებნათ, სკოლის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი იყო მთავრობის დატყვევების. ალექსანდრე ჩხეიძე წერს: „...სკოლაში არ აღმოჩნდა არც ერთი კაცი, რომელიც მათ წინადადებას თანაგრძნობით შეხვედროდა! ოფიცრებმა გულისწყრომით უკუაგდეს მათი განზრახვა და განუცხადეს პოლკოვნიკ აბესაძეს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სკოლის სადგომი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ, რომ საჩქაროდ ყველაფერს მე შემატყობინებდნენ. სამწუხაროა, რომ ეს ჩაიდინეს ქართველმა ოფიცრებმა, მაგრამ მეორე მხრივ, აქ გამოირკვა მათი სახე. ესენი იყვნენ იმ ჯგუფის ოფიცრები, რომელნიც მთავრობისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრივ განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. უკვე პირველი დღიდან, ბათუმში, დადიოდა ხმები, რომ ქალაქის კომენდანტი კაკაბაძე და გერასიმე ქავთარაძე, სარგებლობდნენ რა პირველის თანამდებობით, მიდიოდნენ ციხეში სერიოჟა ქავთარაძესთან და აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ეს იმ დროს, როდესაც მთავრობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოდან გასვლა“ [ჩხეიძე, 1933: 60].

ბათუმში შექმნილ სიტუაციას და ოსმალეთის პოლიტიკას ასე აფასებს თედო ღლონტი: „...ჩვენ მოწმე ვართ საქართველოს საზღვრებზე ჩვენი მტრების დიპლომატიური და მილიტარისტული დემონსტრაციებისა და ამ სცენებმა ჩვენ ყველას დაგვანახა, რომ საქართველოს ტერიტორიის დამგლეჯნი საქართველოს რევკომის ხალხს უცქერიან, როგორც ყოვლად უძლურ ძალას, რომლიდანაც ყველას შეუძლია საქართველოდან ყველაფრის წაგლეჯა თუ ამას მოახერხებს

დროზე, მოასწრებს... ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს აღარა ჰყავს პატრონი, რომ რევკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაციაა, რომ საკმაოა საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა, რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა, ვინც შეძლებს ასეთს ცერემონიალს...“ [ღლონტი, 1921: 3].

1921 წლის 18 მარტს მცირე შემადგენლობით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან ევროპაში გაემგზავრა. მას შემდეგ, რაც ოსმალებისგან გათავისუფლებული ქართული მიწა ბოლშევიკურ მთავრობას ჩააბარა, გიორგი მაზნიაშვილმა საზღვარგარეთ წასვლა ითხოვა, რაზეც უარი უთხრეს. მან უშუალოდ ლენინს მიმართა, რაზეც პასუხად მიიღო: მაზნიაშვილმა დაიმსახურა, სადაც სურს, იქ იცხოვროს [მეგრელიძე, 1990: 13]. მოგვიანებით გიორგი მაზნიაშვილი ემიგრაციაში წავიდა, თუმცა უკანვე დაბრუნდა. 1937 წელს იგი ბოლშევიკებმა სამშობლოს სამსახურის გამო დახვრიტეს.

მარტის მიწურულს, ქართველი იუნკრები სტამბულში გემით ჩავიდნენ, იქიდან კი საბერძნეთის, საფრანგეთის და პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში გადანაწილდნენ. მრავალმა მათგანმა უცხოეთის ქვეყნების ისტორიაში გმირული კვალი დატოვა. სამშობლოდან იძულებით წასვლის განცდებია გადმოცემული იუნკერ ვანო ნანუაშვილის დღიურებში. იგი წერს: „...ცოტა ხნის შემდეგ, შორეულ ბურუსს ეფარებოდა ბათუმი, გემის ბაქანზედ მოსჩანდნენ იუნკრები, რომლებიც სასოწარკვეთილი სიჩუმით გასცქეროდნენ სამშობლოს უკანასკნელ ნაკუწს, საიდანაც ზარბაზნების მძიმე გმინვით მოისმოდა უკანასკნელი აკორდი ქართლის ტრაგედიისა. გემი ნელ-ნელა მისცურავდა და სამშობლოს უკანასკნელი აჩრდილი ნელ-ნელა იფერფლებოდა, ჰქრებოდა ნაღვლიან თვალთახედვიდან. სად მიდიოდნენ იუნკრები? რა იცოდნენ?! მხოლოდ აქ, აქ საქართველოში, სადაც ახლად დადგა ჩექმა რუსეთის ჯარისკაცმა აღარ შეეძლოთ მათ ყოფნა“ [ნანუაშვილი, 1929: 12]. საქართველოში დარჩენილი იუნკრების ნაწილი მოგვიანებით ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბაქრაძე, 1934: – ბაქრაძე შ., „ორიოდე სიტყვა გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის ნაწერის შესახებ „მხედარ“-ში (ამონაწერი „ჩემი ფიქრები“-დან), ჟურნალი „მხედარი”, №17, პარიზი.

მათიკაშვილი, კვალიაშვილი, 1990: – მათიკაშვილი ნ., კვალიაშვილი მ., იუნკრები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

მანველიშვილი, 1984: – მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო.

მეგრელიძე, 1990: – მეგრელიძე ი., გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი", თბილისი.

ნანუაშვილი, 1929: – ნანუაშვილი ვ., იუნკერის დღიურიდან, ჟურნალი „მხედარი", პარიზი.

სარალიძე, 2010: – სარალიძე ლ., სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, თბილისი.

სილაქაძე, 2011: – სილაქაძე დ., ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი.

ღლონტი, 1921: – ღლონტი თ., ფურცლები (ქმალის სცენები), თბილისი.

ჩხეიძე, 1933: – ჩხეიძე ა., სამხედრო სკოლა, ჟურნალი „მხედარი", პარიზი.

ჯანელიძე, 2011: – ჯანელიძე ო., ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი.

Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)

Georgian Military School and the Struggle for Batumi (1921)

Summary

From the analysis of archive documents, scientific and memoir literature, the history of a Georgian cadets' heroic fight in March of 1921 was recorded in this article. During the Georgian – Russian a battle wwas taking place in Batumi. On February 25th, 1921, after the fall of Tbilisi intense battles were taking place in Shida Kartli, Abkhazia and Imereti. There was also a battle in Surami on March 5th and 6th. In this battle the Georgian army was trying to stop the Bolsheviks on the Likhi mountain range. After a defeat in these battles, Georgian military leaders were trying to create a last line of defense in Guria and Achara, but at this very time the Ottomans invaded Achara and the aforementioned plan failed. To purge the Ottomans from Batumi general Kvinitadze entrusted general Mazniashvili. In this affair he was supported by the Bolsheviks' army. It is also mentioned in the article that the leaders of the Georgian military school had a proper state policy. Cadets had a special place in the Georgian army. In battles they were the most disciplined and capable military unit. On February 25th the Bolsheviks occupied Tbilisi. Together with the 11th army units from the Baku regiment of red cadets they marched

into Tbilisi. They were placed in the school of Georgian cadets. At that very time Georgian cadets were already in Batumi. During the retreat cadets were fighting to Batumi. The only military unit at that time which maintained military discipline was the military school. Cadets were ordered to leave their positions on February 24th at midnight. They were ordered to defend the government train going to Batumi. Cadets, students and volunteers were devotedly fighting together. Because of these Georgian heroes today Batumi is under the jurisdiction of Georgia and not Turkey.

On March 14th, 1921, a cease-fire agreement was signed. Before the disarmament, Georgian military units managed to defeat the Ottomans in the battle for Batumi. The threat to lose Batumi finally made the government of Georgia to make an armistice agreement with the Bolsheviks on March 17th. The government of The Democratic Republic of Georgia neither capitulated nor refused authority. On March 18th, 1921, the government of the democratic republic left Georgia and emigrated. Cadets were told that they could leave Georgia if they wanted. At the end of March part of the Georgian cadets arrived on a ship in Istanbul from Batumi and from there they dispersed to the military schools in Greece, France and Poland. Many of them left a prominent heroic trace in the history of these foreign countries. The other part of the cadets who remained in Georgia, were later shot by the Bolsheviks.

ნატო სონღულაშვილი
(თბილისი, საქართველო)

ქართული გამოწვევა და სოციალური გარემო*
(1900-1917)

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დიდი ადგილი ეთმობა ეროვნული იდენტობის კვლევას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ამ ფონზე საინტერესოდ მიგვაჩნია ქართული სინამდვილის ასახვა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ რთულ და მრავალმხრივ პერიოდთან მიმართებაში.

საქართველოს ისტორიის არა ერთი პრობლემა: პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ რელიგიური სიღრმისეულად არის შესწავლილი და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევაა შექმნილი. ამჯერად, ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო საზოგადოებრივ აღქმებზე, სხვადასხვა წყაროში დაცული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე, შევისწავლო და შევაფასო – საქართველოში შექმნილი მოვლენებიდან გამომდინარე, რა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას და ეს ყოველივე რა გავლენას ახდენდა სხვადასხვა სოციალური ფენის ცნობიერებაზე.

რაც შეეხება იმას, როგორია ეპოქა და ქართული გამოწვევა ეპოქის პირისპირ და რას ვგულისხმობ მასში. XIX საუკუნის II ნახევარი ევროპაში აღინიშნება ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებით, მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნებით. საქართველო კი ახალი ეპოქის დაწყებას რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნით ხვდება. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია, აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა, ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით, საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თა-

* აღნიშნული სტატია დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (12/50) ფარგლებში.

ნაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მთავარი გამოწვევა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებაა, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა და ქართველი საზოგადოების მობილიზება დამპყრობლის წინააღმდეგ. ერთის მხრივ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიარაღებული აჯანყებების დამარცხებამ და მეორეს მხრივ, იმ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი დაარწმუნა ბრძოლის ახალი მეთოდის შემუშავებაში. სამოციანელები ნათლად აცნობიერებდნენ ეპოქის იმ გამოწვევას, რომელშიც მთელი ევროპა იყო ჩართული და ცდილობდნენ ახალი დროისთვის ფეხი აეწყოთ, ქართულ სინამდვილეზე მოერგოთ და ეს ყველაფერი საქართველოს აღორძინებისათვის გამოეყენებინათ. სწორედ აღნიშნული მოღვაწეობის გზა გრძელდება XX საუკუნის დასაწყისში. მართალია, XX საუკუნე ახალი ეპოქის დასაწყისია, თუმცა იდეური თვალსაზრისით, ეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შექმნილი მოვლენების გაგრძელებაა.

აქედან გამომდინარეა ეპოქის მახასიათებლები. XX საუკუნის დასაწყისში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაელახა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო.

ეს გამომდინარეობდა იქიდანაც, რომ აღნიშნული პერიოდი გამოირჩევა სოციალური ფენების მრავალრიცხოვნობით, თითოეულ მათგანს კი საკუთარი მოთხოვნა და გამოწვევა გააჩნდა საქართველოსთან მიმართებაში და ახალი ეპოქის პირისპირ. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმის გავრცელების შედეგად ყალიბდება ორი ახალი სოციალური ფენა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. საკუთარ ისტორიულ უფლებას კარგავს გლეხი და თავადაზნაურობა, ბუნებრივია, ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ქართულ სინამდვილეში კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება ახალი გარდაქმნები არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს არის ორი

სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის: ნაციონალიზმის და სოციალიზმის პროპაგანდის პერიოდი. ნაციონალიზმის და სოციალიზმის იდეოლოგები ცდილობენ ყველა სოციალური ფენის ფასეულობათა გაერთგვაროვნებას, განსხვავება იმაშია, რომ სოციალიზმი მიზნად ისახავს საერთო „მშრომელთა“ სახელმწიფოს შექმნას, ნაციონალიზმი კი – სახელმწიფოებრივი და ეროვნული შეგნების ამაღლებით თავისუფლების ბრძოლის მოწოდებას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის აქტიურობისა, საქართველოში ნაციონალისტური იდეოლოგია განმსაზღვრელი იყო. სოციალიზმის იდეოლოგს საქართველოში წარმოადგენდა ქართული სოციალ-დემოკრატია, ნაციონალიზმისა: ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვა.

ეროვნული იდენტობის სრულყოფილად შესწავლა სხვადასხვა სოციალური ფენების თუ სოციალური ჯგუფების ცნობიერების გაანალიზების გარეშე შეუძლებელია. ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი და შემადგენელი ფასეულობების მნიშვნელობა ქართველი ერისთვის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე, სასიცოცხლო როლს თამაშობდა. მართალია, ეროვნული იდენტობის გააზრებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს და ფაქტობრივად, წარმოუდგენელიც კია მისი შესწავლა და წარსულის აღდგენა: ქრისტიანობის, ენის, მამულის, ისტორიული მეხსიერების, ტრადიციის გარეშე, თუმცა პრობლემის ამომწურავად შესწავლისათვის აუცილებელია კომპლექსური ანალიზი და, მათ შორის, სოციალურ ფენათა თუ სოციალურ ჯგუფთა როლის წარმოჩენა და გათვალისწინება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა გლეხობის, როგორც ერთ-ერთი სოციალური ფენის, საკითხის შესწავლას, თუმცა ნაკლები აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა ცვლილებებს განიცდის მისი ღირებულებები. რამდენად აქვს განვითარებული ეროვნულობის შეგნება. როდესაც აღნიშნული პერიოდის მოვლენებს ვაფასებთ, ვეხებით პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ეპოქის რაობა და ეპოქის გავლენა საზოგადოებაზე და, პირიქით. მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ ვინ არის გლეხი და რას წარმოადგენს იგი. რა გზა განვლო მისი ცნობიერების ფორმირებამ, როგორ მოიაზრებდა თავს საქართველოს ნაწილად და რა ფასეულობათა სისტემა განსაზღვრავდა მის მიმართებას ქართულ ჩვენ-ჯგუფთან. როგორ პასუხობდა ეპოქის გამოწვევებს. გლეხის ცნობიერების განვითარებაში გამოვყავი 3 ეტაპი: 1. ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი და სამოციანელთა მოღვაწეობის შედეგად გლეხის ეროვნული შეგნების, ეკონომიკური და ინტელექტუალური დონის ამაღლება; 2. გლეხის შეუკავშირებელი და

უსისტემო ბრძოლა მებატონეების წინააღმდეგ მიწის მოსაპოვებლად; 3. ქართული სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის შედეგად გლეხის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებისთვის ბრძოლა და ჩაბმა „იმპერიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პროლეტარის საკითხის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში პროლეტარის როლი გაზვიადებულია. ერთის მხრივ, ის წარმოჩენილია როგორც „ჩაგრული“ ფენა, რომელიც ბურჟუაზიის მსხვერპლია და, მეორეს მხრივ, ყველაზე გათვითცნობიერებული სხვადასხვა სოციალურ კლასებს შორის, რომელმაც მთავარი როლი იტვირთა რევოლუციის მსვლელობაში.

არსებულ გამოკვლევებში ძირითადად აქცენტი კეთდება კაპიტალიზმის გავრცელებასა და მუშათა კლასის ბრძოლის საკითხზე საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ არსებობს პრობლემის მეორე მხარეც, არასწორია პროლეტარიატის მხოლოდ ერთი კუთხით განხილვა: მისი როლის წარმოჩენა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებში. პროლეტარი ახალი ეპოქის შვილია და რაც მთავარია, ის არა მარტო სოციალიზმის განხორციელებისთვის იბრძვის, რომელთა მთავარი იდეოლოგი სოციალ-დემოკრატები არიან, არამედ ნაციონალური იდეების ნაკლებობასაც არ განიცდის. მას არათუ სამშობლოს აღქმის განცდა გააჩნია, არამედ მისი შენარჩუნებისთვის იბრძვის. გაზეთი „ზვირთი“ 1915 წელს აღნიშნავდა: „მუშათა კლასი თავის სამშობლოსთან მარტო გრძნობით არ არის დაკავშირებული. სამშობლო ის კუთხეა, სადაც მთელი მისი სულიერი და ქონებრივი კულტურა იქმნება. მუშას ავიღებთ, თუ გლეხს – ყველა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან“ („ზვირთი“, 1915: 1). თუ კარგად დავაკვირდებით არსებულ მონაცემებს, დავინახავთ, რომ პროლეტარიატის ეროვნულ ცნობიერებაზე საუბარი არა მხოლოდ 1918-1921 წლებშია, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე გარკვეულწილად შეცვალეს თავისი პროგრამა, არამედ მანამდეც.

მნიშვნელოვანია ჯარის და ჯარისკაცის ადგილის განსაზღვრა და შეფასება. ქართულ ისტორიოგრაფიაში, აგრეთვე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამხედრო ისტორიის საკითხების შესწავლას. ამ პრობლემას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა, სადაც ძირითადად აქცენტი გაკეთებულია საბრძოლო ხელოვნებაზე, ჯარის ჩამოყალიბება-გაძლიერებაზე, სხვადასხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმოებული ომების ხასიათზე და ა.შ. თუმცა აღნიშნული საკითხების შესწავლასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობისაა ჯარისკაცის ეროვნული ცნობიერების შეფასება, განსაზღვრა იმისა,

თუ რა გზა განვლო მისი ცნობიერების განვითარებამ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე. აღნიშნულ პერიოდში საქართველო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში და გარკვეული სტრუქტურები განსაკუთრებით განიცდიდნენ გარუსების პოლიტიკას. მათ ჯგუფში იყო ჯარი, რომელიც რუსეთის იმპერატორის დასაყრდენ საშუალებას წარმოადგენდა. გაზეთი „ტალღა“ 1906 წელს წერდა: „პირველი იმედი მთავრობისა არის ჯარი. თუ ჯარი ერთგული ეყოლება, მთავრობა არ შეუშინდება არავითარ რევოლუციურს მოზღვავებას, არავითარ მგზნებარე ძახილს აგიტატორებისას, ერთგული ჯარი რევოლუციას ხალხის სისხლში ჩაახშობს. მაგრამ ერთი პატარა გარემოება ავიწყდება მთავრობას: ჯარი იმავ ხალხის შვილებიდან სდგება, შეუძლებელია ხალხის მოძრაობის ტალღები ჯარსაც არ მოხვდეს და მასშიაც არ გამოიწვიოს ისეთივე ლტოლვილება, რომელიც ხალხს აღელვებს“ („ტალღა“, 1906: 1). არსებული დოკუმენტი მიუთითებს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცი რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში იყო, პოლიტიკური და კულტურული ელიტის მოღვაწეობა მიმართული იყო ჯარისკაცში ეროვნული იდეების განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია ერთ-ერთი სოციალური ფენის – სამღვდელოების როლის შეფასება. არავისთვის უცნობი არ არის ის ფაქტი, რომ ქართული სასულიერო წოდების წარმომადგენლები ქართველი ერის გამაერთიანებელ როლს თამაშობდნენ, ხოლო ქრისტიანობა და ქართველობა განუყოფელი ცნებები იყო ყოველი ქართველისთვის. ქართულ სამეცნიერო (და არა მხოლოდ) ლიტერატურაში აღნიშნული ფაქტი ხაზგასმით არის აღნიშნული, ეს უკავშირდება უშუალოდ ეკლესიის ისტორიის განხილვას. ქრისტიანობის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფაქტორის აღნიშვნა, როგორც წესი, გარდაუვალია.

ზემოთქმულთან ერთად მნიშვნელოვანია იმის შეფასება თუ როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს სამღვდელოება 1900-1917 წლებში და რა განაპირობებდა მათ მიმართ ცვალებად და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან. მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი მეფე აღარ არსებობდა, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელოება.

ის, რომ სამღვდელოებასა და ხალხს შორის კავშირი გაწყდა და იგი ვეღარ ასრულებდა იმ როლს იმ მასშტაბით, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მათი ქმედებების“ გამო დაეკარგა ხალხს რწმენა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო სულ სხვა რამ და ეს პირველ რიგში ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობდა. რუსეთის თვითმპყრობელობამ ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე ჩამოართვა მიწები ეკლესიას და ფაქტიურად შემოსავლის გარეშე დატოვა. მათი ძირითადი სარჩენი საშუალება იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ფართო ფენები, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, ანუ მთავარი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა და არა იმაში, რომ სამღვდელოება „გარუსდა“. ამიტომ შესუსტდა ის კავშირი ხალხთან, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა. გაჭირვებული ხალხი ვერ ინახავდა სამღვდელოებას და მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა. ეს იყო სწორედ რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება, სხვა მრავალთა შორის. „ხალხის გულგრილობა ეკლესიისადმი ეკონომიკურ საკითხში მდგომარეობს. როგორც ვიცით, ეკლესია მთელი თავისი შემადგენლობით, ხალხს აწევს კისერზე, მან უნდა შეინახოს ეკლესია და არჩინოს სამღვდელოება. ამ ნიადაგზე ხშირად აღიძვრის უთანხმოება ხალხსა და ეკლესიის წარმომადგენელთა შორის. ბრძოლა არსებობისათვის მთელი თავისი სისასტიკით არის გამეფებული ჩვენს დროში. ხალხს კი თავის გამოკვებაც უძნელდება. არამც თუ სხვის შენახვა. ამ მიზეზით ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს ხარჯებს და შორდება ეკლესიას“ (სცსსა, ფ. 1830, ს. №9, ფურც. 3).

თავადაზნაურობა ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი სოციალური ფენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე პრივილეგირებულ და შეძლებულ კლასს წარმოადგენდა. მათი უფლებები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ არათუ დიდი პატივით სარგებლობდა სამეფო კარზე, არამედ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური თუ სამხედრო საკითხების გადაწყვეტისას მეფე მათზე იყო დამოკიდებული. ფაქტობრივად, თავადაზნაურობა მონარქიული სახელმწიფოს არსებობის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებით, თავადაზნაურობა ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო უფლებააყრილ ფენად გადაიქცა. მან დაკარგა არა მხოლოდ მამულები და გავლენა, არამედ XIX საუკუნის საქართველოსთვის ის სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. ეს გამოწვეული იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად და მეორეც, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შექმნილი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებით, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებით. შეიძლება ითქვას, რომ 1900-1917 წლებში თავადაზნაურობა უკვე აღარ წარმოად-

გენდა ძლიერ სოციალურ ფენას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაწყებული თავადაზნაურთა უფლებების შეზღუდვის პროცესი ნელნელა მიმდინარეობდა მთელი XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისიდან ახალ სტადიაზე გადავიდა. აღნიშნული პროცესების განვითარებას თავადაზნაურობის საწინააღმდეგოდ ხელი შეუწყო კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში, რასაც შედეგად მოყვა ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. თავადაზნაურობა განსახილველ პერიოდში უკვე აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში გააჩნდა. ახალმა ეკონომიკურმა წყობამ გარკვეული გარდაქმნები განაპირობა და მოდერნული ეპოქისთვის ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენა მიუღებელი აღმოჩნდა.

ისევე როგორც ყველა განხილულმა სოციალურამ ფენამ, ბურჟუაზიამაც თავისი ცნობიერების განვითარების გარკვეული ეტაპი განვლო. ბურჟუაზია, როგორც ახალი ეპოქის, კაპიტალისტური წყობის პროდუქტი, მიმართული იყო ბატონყმობის ნაშთების მოსპობისკენ. მათი მთავარი მიზანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაფართოება, ახალი ბაზრების დაპყრობა და ძლიერი სავაჭრო ობიექტების გაჩენა იყო. პირველმა მსოფლიო ომმა ბურჟუაზიას საშუალება მისცა ამ გეგმის რეალიზაციისთვის. საქართველოსთვის ბურჟუაზია მიუღებელი იყო იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა არაქართველებისაგან შედგებოდა. თუმცა ისიც ფაქტი იყო, რომ ქართველი ბურჟუაზიული ელემენტების ჩამოყალიბება ვერ განხორციელდა ნაციონალური გზით. შუა საუკუნეების საქართველოში შექმნილი ვითარება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართველი ვაჭრები გაძლიერებულიყვნენ. მუდმივ ომში ჩართული ქართველობა ვერ ახერხებდა ვაჭრობაში ჩართულიყო. ამიტომ საქართველოში ყოველთვის უცხო ერის წარმომადგენლების კომპეტენცია იყო ვაჭრობა. ასეთივე სიტუაციას ვხედავთ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ბურჟუაზია ძირითადად არაქართველებისაგან შედგებოდა, მხოლოდ უმცირესობა იყო ქართველი. ეს ფაქტი, ბუნებრივია, უარყოფითად აისახებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. ეს გარემოება ბურჟუაზიის მიმართ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებდა. მით უფრო, რომ იგი თვითმპყრობელობის მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა.

ქართველი საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ინტელიგენციამ. საერთოდ, როდესაც XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართველ ინტელიგენციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სოციალური ჯგუფის შემადგენელ ნაწილად არ მოვიაზროთ მხოლოდ კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელიც მთავარი ძალა იყო და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდეც ქართველი ერის ცხოვრების მი-

მართულებას. ამ პერიოდის ინტელიგენცია შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები: მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მსახიობები. და 2. ქალაქის და სოფლის ინტელიგენცია: მასწავლებლები, ექიმები, სტუდენტები, მოსწავლეები. ესენი ყველანი თავისებური გზით საზოგადოებასთან კავშირის დამყარებას ცდილობდა.

ქართველი ინტელიგენციის დანიშნულებად მიიჩნეოდა ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და მათი ინტერესების დაცვა. რუსეთის თვითმპყრობელობის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად გამოწვეული პრობლემები, რაც ეროვნული მიმართულების თითქმის ყველა სფეროში გამოიხატებოდა ბუნებრივია, ქართველი ერის ცნობიერების და ცხოვრების წესის შეცვლას განაპირობებდა. ინტელიგენცია კი, საზოგადოების ყველაზე განათლებულ და გათვითცნობიერებულ ნაწილად მიიჩნეოდა და არც თუ უსაფუძვლოდ, ამიტომ მათ მოვალეობას შეადგენდა ქართველი ერის ინტრესების დაცვა.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოვკვეთეთ ეპოქის მახასიათებლების ფონზე ქართული გამოწვევის მიზეზები და აღნიშნულის ფონზე სხვადასხვა სოციალური ფენების პოზიცია და მიმართება ეპოქისა და საქართველოს პირისპირ XX საუკუნის დასაწყისში.

გამოყენებული წყაროები:

„ზვირთი“, 1915: – გაზ. „ზვირთი“, 1915, №2.

სცსსა, ფ. 1830, ს. №9 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1830, საქმე №9.

„ტალღა“, 1906: – გაზ. „ტალღა“, 1906, №2.

Nato Songulashvili (Tbilisi, Georgia)

Georgian Challenge and National Identity (1900-1917)

Summary

The history of Georgia has had several problems: political, cultural, social, economic and religious. These have been thoroughly studied and numerous scientific works have been written on these topics. The study of these issues will give us the opportunity to find out how the Georgian nation, social group or the society comprehended themselves. How did they view themselves as a part of the Georgian nation and what was the system of values that defined their struggle for self salvation and self establishment.

During the first two decades of the 20th century Georgia appeared before many new challenges. On the one hand she had to overcome the difficulties caused by the breakdown of feudalism and establish herself in a new social and economic environment. On the other hand, she had to continue to struggle for restoration of state independence in different ways: through education, knowledge and organization instead of armed actions. with the demands conformable to the epoch and the interests and possibilities of the country.

The beginning of the 20th century is marked as a new stage of Georgian history. In this period the liberation movement was entering a new phase. However, at this time the national movement faces a certain kind of formation, but as for its idea, it does not change at all. From the second half of the 19th centur to the first 20 years of the 20th century, the Georgian cultural elite were completely focused on national values and on the renaissance propaganda of symbols in every layer of society, especially in its lower layer.

The analysis of self consciousness or national identity of the Georgian nation (revealing of social perceptions) will give us the possibility to examine a different historical phenomena and look at numerous scientific issues from different perspective.

In spite of the anti-Georgian policy established by the Russian Empire in the early 20th century the unification process of Georgian society developed in the new stage. This was also due to the active actions of the cultural and political elite of Georgia. Of course the life under the Russian Empire's rules was not so easy and the current events of the Empire had their own reflections over the state. and it was usually identified by Georgian society's line of thoughts. All of this certainly had a great influence upon the national consciousness. According to this, it must be identified what challenges the epoch offered to Georgia and vice-versa.

გურამ ჩაგანავა
(ბათუმი, საქართველო)

ყარსი-ბათუმის დაჯავებასთან დაჯავშირებით რუსეთ-თურქეთის გარიგების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები

(XX საუკუნის 20-იანი წლები)

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასა და თურქეთის დიდი ეროვნული საბჭოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ მრავალი ათეული წლის განმავლობაში განაპირობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული მოწყობა და ამავე დროს ქალაქების ბათუმისა და ყარსის კუთვნილება. რუსეთ – თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენცია (პირველი კონფერენცია ჩატარდა 1920 წლის ივლის-აგვისტოში) დაიწყო 1921 წლის 26 თებერვალს. მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობებში ბათუმის პრობლემა რჩებოდა უმთავრეს ტერიტორიულ საკითხად. მოსკოვში გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ გამოყენებული ყოფილიყო ყველა დიპლომატიური საშუალება და თურქეთის დაინტერესება საბჭოთა დახმარებით, რათა ბათუმი რუსეთს მიერთებულიყო. ეს გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე იყო, რომ როდესაც ქაზიმ ქარაბექირის ხელმძღვანელობით თურქებმა დაიკავეს ბათუმის შემოგარენი (ბათუმის მნიშნელოვანი ობიექტები – გ.ჩ.), ამან ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის ურთიერთობათა უდიდესი დაძაბულობა გამოიწვია და მხარეები სამხედრო შეტაკების საზღვარზე იმყოფებოდნენ (Озтюрк, 2010: 184).

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის გაზაფხულზე კავბიუროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ამიერკავკასიაში ყველაზე არამყარ მდგომარეობაში იმყოფებოდა აზერბაიჯანის მუსავატისტური მთავრობა, გადატრიალებისათვის შედარებით უარესი პირობები იყო სომხეთში და ყველაზე მეტი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო საქართველოს მენშევიკური მთავრობის გადასაყენებლად. იმის მიუხედავად, რომ სოვეტიზაციის ოპერაცია მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით ტარდებოდა, ძალების ნაკლებობა და ბაქოს ნავთობის საბადოებისა და შავიზღვისპირეთის პორტების მნიშვნელობამ განაპირობა ოპერაციები აზერბაიჯანისა და საქართველოს „სასარგებლოდ” (Квашонин, 1997: 166). 1920 წლის 17 მარტს ლენინი შემდეგი შინაარსის ტელეგრამას უგზავნის ორჯონიკიძეს: „ბაქოს აღება ჩვენთვის უკიდურესად აუცილებელია. ყველა ძალისხმევა ამ მიმართულებით

წარმართეთ... იგივე ეხება საქართველოს" (Квашонин, 1997: 166). ამრიგად, საბჭოთა რუსეთს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული გამოკვეთილი პოზიცია საქართველოსა და ბათუმის მიმართ.

მოსკოვის კონფერენციაზე კი თურქეთის მხარე თავიდანვე ითხოვდა ბათუმისა (ართვინის რეგიონის ჩათვლით) და ყარსის ოლქების, აგრეთვე, ახალციხის, ახალქალაქის, სურმალინისა და ნახჭევანის მაზრების მის მფლობელობაში გადასვლას (Зограбян, 1991: 63). ე.ზოგრაბიანის (1991) მითითებით, ალექსანდრე ბექზადიანი ათაბეკიანისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ „საკუთარი მომგებიანი მდგომარეობის გათვალისწინებით, თურქები მაქსიმალურ მოთხოვნებს აყენებენ კონფერენციაზე და საზღვრების დადგენაში წარმოუდგენელ დაჟინებულობას ავლენენ. ამავე დროს გაუგებარია თურქეთის მხარის ასეთი დაჟინებულობა. მოსკოვის კონფერენციის ჩატარებაში ზუსტად თურქები მოჩანან უფრო დაინტერესულ მხარედ, რადგან, როგორც ცნობილია, მოსკოვში თურქების ჩასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო რუსეთისაგან ფინანსური და სამხედრო-ტექნიკური დახმარების მიღება. რა თქმა უნდა, ის რომ თურქი ქემალისტები თავისი ტერიტორიული მოთხოვნების საფუძვლად მიუთითებდნენ მათ მიერ 1920 წლის იანვარში მიღებულ ე.წ. „ეროვნულ აღქმას", სინამდვილეში მას არავითარი საერთაშორისო ღირებულება არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთისათვის სავალდებულო, რადგან ის მხოლოდ ქემალისტების შიდა თურქული მისწრაფებების, სურვილების საზღვრებს ასახავდა მხოლოდ. მაგრამ საინტერესოა, რომ რუსული მხარე, რატომღაც თურქების მიმართ დამთმობლურ პოზიციას იკავებდა.

ეს თითქოსდა წინააღმდეგობრივი მდგომარეობა ახსნას იმაში პოულობს, რომ სინამდვილეში თურქეთის მხარე ყველანაირად ხელს უწყობდა ბოლშევიკურ რუსეთს ამიერკავკასიის დაკავებაში. თურქეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ თვალსაზრისით. ამას ადასტურებს მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ 1920 წლის 26 აპრილს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობისადმი მიწერილი წერილი, სადაც, რატომღაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა საქართველოზე. წერილიდან ჩანს, რომ მუსტაფა ქემალი ყველანაირად ცდილობს უბიძგოს რუსეთს განახორციელოს სამხედრო აგრესია ან დიპლომატიური იძულება საქართველოს მიმართ. მუსტაფა ქემალი წერდა: „თუ საბჭოთა ძალები ვარაუდობენ გახსნან სამხედრო ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ ან დიპლომატიური გზით, საკუთარი ზეგავლენის მეშვეობით შევიდეს (საქართველო – გ.ჩ.) კავშირში (იგულისხმება რუსეთთან დაახლოებულ რესპუბლიკათა კავშირი – გ.ჩ.) და განდევნონ ინგლისელები კავკასიიდან, მაშინ თურქეთის მთავრობა საკუთარ თავზე იღებს ოპერაციებს იმპერიალისტური სომხეთის

წინააღმდეგ და აიძულებს აზერბაიჯანის რესპუბლიკას შევიდეს საბჭოთა რესპუბლიკის წრეში". 1920 წლის 14 აგვისტოს მეჯლისში გამოსვლისას მუსტაფა ქემალმა აღნიშნა, რომ „ჩვენმა რეკომენდაციებმა, გავლენამ და მხარდაჭერამ საშუალება მისცა მათ (ე.ი. ბოლშევიკებს) (Алекперли, 2013) ადვილად გადმოელახათ ჩრდილო კავკასია და შესულიყვნენ აზერბაიჯანში (Алекперли, 2013).

პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობისა და დამარცხების შედეგად თურქეთმა დიდი ადამიანური, მატერიალური და ტერიტორიული დანაკარგები განიცადა და 1920 წლისათვის ის კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. წერილის დაწერის დროს მას საბერძნეთი უტევდა, რომელსაც დაახლოებით ისეთივე რაოდენობის ჯარი ჰყავდა, როგორც თვით თურქეთს (90-90 ათასი ჯარისკაცი) და ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მიერ საბერძნეთისათვის მხარის დაჭერის შემთხვევაში თურქეთის მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაუარესებდებოდა. საქმე იმაშია, რომ 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესაბამისად თურქეთისადმი მიკუთვნებული ტერიტორიები საქართველომ მისი სამხედრო ძალების მეშვეობით უკან დაიბრუნა. თურქეთი მხოლოდ პროტესტით შემოიფარგლა (Киладзе, 2011). ალბათ, საქართველოს სამხედრო ძალების ასეთმა აქტიურობამ და პირველ მსოფლიო ომში მონაწილეთა საქართველოში შედარებით დიდმა რაოდენობამ ქემალისტებს შესაძლებლობა მისცა ეფიქრათ, რომ საქართველოს შეეძლო მხარი დაეჭირა საბერძნეთისათვის. ბათუმისა და ბათუმის ოლქის (ბათუმის „ოკრუგის") გამო მოსკოვის კონფერენციაზე დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა და მის საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას სინანულით აღნიშნავდა ქემალ ათათურქი მის „მოგონებებში", სადაც ის წერდა: „მოსკოვთან ხელშეკრულების თანახმად ბათუმი ისევ იქნა დატოვებული" (Жевахов, 2008: 174). ქემალ ათათურქის ფრანგი ბიოგრაფი ჟევახოვი ბათუმის მიმართ ლენინის დამოკიდებულების გამო წერს, რომ „ბათუმი არასდროს გახდება თურქული". ლენინი კმაყოფილი იყო ხელშეკრულებით: „თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება სამუდამოდ აუქმებს კავკასიაში ომის რისკს". რუსეთს იმ დროს 5-მილიონიანი არმია ჰყავდა, მაგრამ ის ერიდებოდა თურქეთთან ომის დაწყებას. იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთს ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდა სიმშვიდე, სამოქალაქო ომით დანგრეული ქვეყნის აღდგენა და შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ რუსეთი შეურიგდა ფინეთის, ბალტიისპირეთის, ბესარაბიის, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის დაკარგვას. რუსეთმა დასძლია სურვილი ეძია შური პოლონეთთან წაგებული ომის გამო და დადებითად თვლიდა მასთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამიტომ საბჭოთა რუსეთის მიერ თურქებისადმი განხორციელებული გულუხვობა ტერი-

ტორიების დათმობის თვალსაზრით ვერ შეედრება იმ დანაკარგებს, რაც საბჭოთა რუსეთმა განიცადა საბჭოთა რუსული იმპერიის სხვა რეგიონებში. ასეთი ვარაუდი გამართლებული უნდა იყოს იმის გამოც, რომ რუსეთს არანაირად არ სურდა თურქეთთან ომი არც საქართველოს და არც სომხეთის გამო, რაც შეაფერხებდა ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთის ძირითად ორიენტაციას მშვიდობასა და საერთაშორისო კავშირების დამყარებაზე, რომელიც მას საშუალებას მისცემდა ფეხზე წამოეყენებინა დანგრეული ქვეყანა და შეენარჩუნებინა საბჭოთა ხელისუფლება. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი შემთხვევა. 1921 წლის 20 იანვარს ყარსიდან ორჯონიკიძეისადმი მიწერილ წერილში ბუდუ მდივანი წერდა, რომ „მართალია, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საბჭოთა სომხეთზე, მაგრამ, ამავე დროს, არანაკლებ მნიშნელოვანია ისიც, რომ თურქებსაც უნდა მივხედოთ და ამჟამად ეს უფრო მნიშვნელოვანია. ყველაზე საშინელი არის ის, რომ მოსკოვში ზოგი ერთს ლაპარაკობს, ხოლო ზოგი კი – მეორეს. კობა და ილიჩი ოფიციალურ ტელეგრამაში ამბობენ, რომ თურქებთან არ შეიძლება ჩხუბი ყარსის გამო, ხოლო თურმე ჩიჩერინმა მოითხოვა ვანი და მუში და ამის შესახებ მე მხოლოდ ახმედ მუხტარის საპასუხო წერილიდან ვიგებ.” როდესაც ორჯონიკიძეისაგან სტალინმა გაიგო ჩიჩერინის მოთხოვნის შესახებ, ის გააფთრებული იყო. 1921 წლის 12 თებერვალს, ე.ი. კონფერენციის (მოსკოვის) დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ვ. ი. ლენინისადმი მიწერილ წერილში ის წერდა: „ამხანაგო ლენინ, მე მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ ჩიჩერინმა ნამდვილად გააგზავნა რომელიღაც სულელური და პროვოკაციული მოთხოვნა ჭარბი თურქული მოსახლეობით ვანის, მუშისა და ბითლისის (თურქეთის პროვინციები) სომხეთის სასარგებლოდ დათმობის შესახებ. ეს სომხური იმპერიალისტური მოთხოვნა არ შეიძლება იყოს ჩვენი მოთხოვნა. ჩიჩერინს უნდა აეკრძალოს ნაციონალისტურად განწყობილი სომხების კარნახით თურქებისადმი ნოტების გაგზავნა” (Зограбян, 1991: 77).

საინტერესოა ბ. არუთუნიანის მოსაზრებები ბათუმის ოლქის საქართველოსადმი გადაცემასთან დაკავშირებით. მისი აზრით, 1920 წლის 24 აგვისტოს ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, საბჭოთა რუსეთი ფაქტობრივად ცნობდა თურქეთის „ეროვნულ აღქმას”, რომლის მიხედვით ბათუმისა და ყარსის ოლქები თურქეთის ხელშეუვალ ნაწილებად ცხადდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ზუსტად ის ტერიტორიებია, რომლებიც 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად აღმოჩნდნენ ოსმალეთის იმპერიის კონტროლს ქვეშ. სურმალინის მაზრა არ შედიოდა იმ ტერიტორიებში, რომლებიც აღნიშნული იყო ეროვნული აღქმით და ამრიგად, საბჭოთა რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუთმომბდა მას,

თურქეთს, გარკვეული კომპენსაციის გარეშე. მოსკოვის ხელშეკრულება მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორი იყო კომპენსაცია. კერძოდ, ხელშეკრულებაში ნათქვამია: „თურქეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი პორტზე და ქალაქ ბათუმზე და ტერიტორიებზე, რომლებიც განლაგებულია საზღვრის ჩრდილოეთით მითითებული ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში და რომელიც შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს" (Арутюнян, 2011). ამრიგად, არუთუნიანი თვლის, რომ ზუსტად სომხეთისადმი კუთვნილი სურმალინის მაზრის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მიუერთა ბათუმის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი (ანუ რუსული ტერმინოლოგიით ბათუმის „ობლასტის", ბათუმის „ოკრუგი" – გ.ჩ.). უფრო მეტიც, არუთუნიანის აზრით, ზუსტად იყო გათვლილი ისიც, რომ რადგან საქართველოსადმი მიკუთვნებული ბათუმის ოლქის ნაწილი შეადგენს 3 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო სურმალინის მაზრა კი შეადგენდა 3750 კვ.კმ.-ს და სხვაობა იყო 750 კვ.კმ., ამიტომ სომხეთის რესპუბლიკას გადაეცა ყარსის ოლქისა და ნახჭევანის რეგიონის ნაწილები, რომლებმაც 750 კვ. კმ. შეადგინა (Арутюнян, 2011).

ალექსანდრე ჟევახოვი წერს, რომ მოსკოვთან ხელშეკრულების გამო თურქებმა არამხოლოდ ბათუმი, არამედ იმავდროულად პანთურქიზმის ვირუსიც დაკარგეს სამუდამოდ, რომლის პირველი ეტაპი გულისხმომდა კავკასიაზე კონტროლის დაწესებას. ქემალისათვის ეს რთული გადაწყვეტილება იყო (Жевахов, 2008: 175). მაგრამ ახალი თურქეთისათვის ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან, როგორც ჩანს, ლენინსა და სტალინს სულაც არ ჰქონდათ ილუზიები თურქეთის „გაწითლებაზე", როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ. ისინი თურქების ისლამურ სამყაროში „ბოლშევიზმის მსოფლიო რევოლუციისათვის" გამოყენებას კი არ ლამობდნენ, როგორც ამის შესახებ თვითონ ქემალ ათათურქის გარემოცვა ფიქრობდა, არამედ ცდილობდნენ თურქული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ბლოკირებას, რომელიც თვით ახალი წითელი რუსეთის იმპერიისათვის იყო საშიში. თუ მივიღებთ მხედველობაში მუსლიმანურ სამყაროში ათათურქის მზარდ ავტორიტეტს, რომლის შესახებ კიდევაც მიუთითებს ჟევახოვი (Жевахов, 2008), გასაგები ხდება, რომ ლენინმა და სტალინმა კომუნისტური პარტიის სხვა ლიდერებისაგან განსხვავებით, არა „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე" აიღეს აქცენტი, არამედ რუსეთის წითელი იმპერიის შენარჩუნებაზე. კომუნისტური იდეოლოგია უკვე იმ პერიოდში საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებისა და გაძლიერების იარაღად და არა მთავარ მიზნად გამოიყენებოდა. ამიტომ ლენინი და სტალინი თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რომ თურქეთში კომუნისტების დევნა, შევიწროება და პარტიის ლიდერების განადგურებაც კი იყო გაჩაღებული. კარგად ჩანდა, რომ ქემალ ფაშა არ ისახავდა ფანტასტიკურ,

გაზვიადებულ მიზნებს და პანთურქიზმის ნაცვლად ანატოლიურ თურქულ სამყაროს აფუძნებდა. ეს კი ზუსტად ის იყო, რაც შეესატყვისებოდა იმ დროს სამოქალაქო ომით და ინტერვენციით გადაღლილ საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა, ამავე დროს, რეალურად აფასებდა იმ შესაძლო გართულებებს, რომლებიც, მას შეეძლო შექმნოდა მუსლიმანებით და თურქული წარმომავლობის მოსახლეობით დასახლებულ ახალი წითელი რუსული იმპერიის რეგიონებში. ასეთი მსჯელობა რომ არ არის საფუძველს მოკლებული, კარგად ჩანს თვით მუსტაფა ქემალ ათათურქის ნაწერებიდან. ცნობილია, რომ მუსტაფა ქემალ ათათურქი მტკიცედ უარყოფდა და მკვეთრად უტევდა პანთურქიზმსა და პანისლამიზმს: „ჩვენი ხალხი და მთავრობა უსურვებს წარმატებას ერთმორწმუნე ხალხებს, ჩვენ მათ დამოუკიდებლობას ვუსურვებთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თურქეთი იმპერიად გადავაქციოთ, რომელიც ყველა მუსლიმანურ ხალხს გააერთიანებს. ეს ილუზიაა, რომელიც ეწინააღმდეგება მეცნიერებასა და ლოგიკას. დამოუკიდებლობას მიღწეული ყოველი ერი, დაიცავს მას ყველასაგან, მათ შორის ერთმორწმუნეებისაგან. პანისლამიზმის ქადაგება არის თურქი ხალხის გაწირვა უბრალო კაპრიზის, ფანტაზიის, ცრუ იდეის გამო. დანგრეული ოსმალეთის იმპერიის აღდგენის შესახებ მოწოდებები არის ავანტურიზმი და მისი აღდგენის მცდელობას არაფერი შეუძლია მოუტანოს თურქეთს გარდა სირცხვილისა და უბედურებისა. დღეს პანისლამიზმი და პანთურქიზმი სხვა არაფერია, თუ არა მირაჟი". მუსტაფა ქემალ ათათურქი თვლიდა, რომ ახალ თურქეთში ისლამი იქნება გაბატონებული სარწმუნეობა, მაგრამ ყველა რელიგია და ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილი უნდა იყოს" (Розалиев, 2003).

ახალი თურქეთის ხელმძღვანელი ზუსტად ის ადამიანი იყო, რომელიც თურქეთის ინტერესებს ფაქტიურად იმდროინდელი თურქეთის ტერიტორიით ანუ ანატოლიით შემოსაზღვრავდა და რაც საბჭოთა ხელისუფლებას იმის სრულ გარანტიას აძლევდა, რომ ქემალ ათათურქი არანაირად არ შეეცდება ჩარევას არც კავკასიისა და არც ცენტრალური (შუა) აზიის საქმეებში, რისი სურვილი, რა თქმა უნდა, ჰქონდათ თურქეთის ზოგიერთ საზოგადოებრივ ჯგუფს.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის კონფერენციამდე და აგრეთვე კონფერენციის მსვლელობისას თურქეთი ცდილობდა გარკვეული ნაბიჯები გადაედგა იმისათვის, რათა საბჭოთა რუსეთი მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა. ეს არა მხოლოდ ნახჭევანის მაზრას ეხებოდა, არამედ აგრეთვე ბათუმსაც (Зограбян, 1991: 68). ჯერ კიდევ 21 თებერვალს ქემალისტებმა ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს საქართველოს მთავრობას ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის თურქეთისათვის გადაცემა და ამასთან დაკავშირებით თურქეთის დიდ

ეროვნულ კრებაში ახმედ მუხტარი აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობის თანხმობის შესაბამისად, ჩვენს ჯარებს მიეცა ბრძანება დაიკავონ ბათუმი. ბათუმის დაკავების შემდეგ იქ ჩატარდება პლებისციტი, და თუ მოსახლეობა მოისურვებს, მაშინ ბათუმი ჩვენი იქნება (Зограбян, 1991: 68). უკვე 11 მარტს თურქული რაზმი შევიდა ბათუმში, ხოლო ქემალისტების წარმომადგენელმა საქართველოში იგი თურქეთის კუთვნილებად გამოაცხადა. მაგრამ ამჟამად თურქებმა წარუმატებლობა განიცადეს: 18 მარტს წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ ბათუმში და განდევნეს თურქი ასკერები (Зограбян, 1991: 68). სინამდვილეში წითელი არმიის ნაწილებს არავითარი წვლილი არ მიუძღვით ბათუმის შენარჩუნებაში (თურმანიძე, 2012: 31-42).

მოსკოვის კონფერენციის მსვლელობისას თურქული დელეგაცია აჭიანურებდა ბათუმზე ხელშეკრულების ხელმოწერას, რაც საბჭოთა ხელმძღვანელების წუხილს იწვევდა. 1921 წლის 9 მარტს ლენინი ამის გამო წერდა გ. ჩიჩერინს: ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ ასეთი გაჭიანურების ნება. განიხილეთ ასეთი საშუალება: თქვენ ჩემთან საუბრის საბაბით შეწყვეტთ ნახევარი საათით თქვენს კონფერენციას, ხოლო ამ დროს სტალინი პირდაპირ, ღიად ესაუბრება თურქულ დელეგაციას, რათა გამოარკვიოს ვითარება და დღესვე ბოლომდე მიიყვანოს საქმე. ლენინის ეს მითითება შესრულებული იყო. თურქები დათანხმდნენ მეტად აღარ მოეთხოვათ ბათუმის თურქეთზე მიერთება. 1921 წლის მოსკოვის მოლაპარაკებებში ელჩის რანგში მონაწილე ალი ფუადი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის ელჩს თურქეთში ვილსონს უყვებოდა, რომ მაშინ, მოსკოვში საზღვრების განსაზღვრა შეფერხდა ორი პუნქტის გამო: ბათუმი და ყარსის სამხრეთ-დასავლეთი. გამოუვალი მდგომარეობის გამო სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შემოიტანა წინადადება მიემართათ სტალინისათვის, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ჩიჩერინს. ამგვარად, მოლაპარაკება დასრულდა საზღვრების გარკვევით თურქეთს, საქართველოს სსრ-სა და ერევანს შორის. ალი ფუადმა გაიხსენა, რომ სტალინს უნდოდა ბათუმის შენარჩუნება და ჰპირდებოდა, რომ თუ თურქეთი გაიმეტებს ბათუმს, მაშინ რუსეთი უარს იტყვის ყარსის სიახლოვეს მიწებზე. ამ პირობებით დადგენილი იქნა საზღვარი (Гасанлы, 2011). აი, რას წერს ამის თაობაზე თურქი ისტორიკოსი ბიიქლიოგლუ: „ბათუმის ნაცვლად ჩვენ შემოგვთავაზეს სურმალინის მაზრა და აზერბაიჯანის პროტექტორატის ქვეშ ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა (Зограбян, 1991: 69). ზოგრაბიანი წერს, რომ მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთთან გავლებული ახალი საზღვრები განსაკუთრებით წამგებიანი იყო სამხედრო თვალსაზრისით. თურქების ხელში აღმოჩნდა სტრატეგიული პუნქტები და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და სამეურნეო ცენტრებისაკენ მიმავალი ოპერატიული გზები. უშუალო

დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზა – ტბილისი-ალექსანდროპოლი-ერევანი-ჯულფა. თურქების ხელში არ-თვინის გადასვლით უკიდურესად რთული ხდებოდა ბათუმის დაცვა (Зограбян, 1991: 74). ზოგრაბიანის ვარაუდის თანახმად, საბჭოთა რუსე-თის მიერ თურქეთისადმი დამთმობლური პოლიტიკა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1. საბჭოთა რუსეთს სურდა ამიერკავკასიაში მყარი და ხან-გრძლივი მშვიდობის დამყარება;

2. კონფერენციაზე ტერიტორიული და სხვა საკითხების გადაჭრი-სას მხედველობაში მიღებული იყო აგრეთვე აღმოსავლეთში საბჭოთა პოლიტიკის საერთო პერსპექტივები. აღმოსავლეთში იმპერიალიზმის რღვევის პირობებში, საბჭოთა რუსეთი ყველანაირად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ანტიიმპერიალისტურ მოძრაობებს;

3. თურქეთის მხარის ძალისხმევის საფუძველზე საბჭოთა სომხე-თი მოცილებული იყო მოლაპარაკების პროცესს და ამგვარად, არ ჰქონდა საკუთარი ხალხის ინტერესების დაცვის საშუალება ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც იყო ტერიტორიუ-ლი გამიჯვნა.

ვფიქრობთ, რომ ზოგრაბიანის მიერ წამოყენებული ფაქტორები მოითხოვენ სერიოზულ მსჯელობას. საბჭოთა რუსეთს თურქეთთან მოლაპარაკების დროს მისი ძირითადი მამოძრავებელი მიზნები ჰქონ-და და სავსებით ბუნებრივია, რომ ის მისი ინტერესების საფუძველზე და არა სომხეთის, საქართველოს თუ აზერბაიჯანის ინტერესების საფუძველზე მოქმედებდა.

მართალია, რომ საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიაში მყარი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება სურდა, მაგრამ ასახსნელი ზუს-ტად ის არის, თუ რატომ სურდა რუსეთს ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის უმნიშვნელოვანესი მიზეზი ის იყო, რომ თურქეთთან მოლაპარაკების პროცესში სომხეთისა და სა-ქართველოს ინტერესების გათვალისწინება უცილობლად გამოიწვევ-და მოსკოვის კონფერენციის ჩაშლას. საქმე იმაშია, რომ, როგორც ჩანს, თურქეთი თვლიდა, რომ მან ისედაც, უდიდესი საჩუქარი გაუ-კეთა საბჭოთა რუსეთს, როდესაც ფაქტობრივად, ყოველგვარი წინა-აღმდეგობის გარეშე დაუთმო აზერბაიჯანი და უფრო მეტიც, თურქე-თი ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეწყო რუსეთისათვის ამიერკავ-კასიის დაკავებაში.

ზოგრაბიანი წერს, რომ „თუმცა ოფიციალურად საბჭოთა რუსეთს წარმოადგენდა გ. ჩიჩერინი და ჯელალედდინ კორხმაზოვი, მაგრამ მოლაპარაკების მსვლელობაზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე (განსაკუთრებით ტერიტორიული გამიჯვნა) ძლიერი ზემოქმედება მო-ახდინა ი.ბ. სტალინის ჩარევამ... „მან შეუნარჩუნა ბათუმი საქართვე-ლოს”. ობიექტურად, მართლაც სტალინის ჩარევამ შეუნარჩუნა ბათუ-

მი და ბათუმის ოლქი საქართველოს. მაგრამ სინამდვილეში, ამ შემთხვევაში, ბათუმის საქართველოსათვის შენარჩუნება ნიშნავდა ბათუმის საბჭოთა რუსეთისათვის შენარჩუნებას, რადგან ზუსტად ლენინი აგზავნის სტალინს თურქებთან მოლაპარაკებაზე და ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ სტალინი ბათუმთან დაკავშირებით ლენინის პოზიციას იცავდა, რომელიც, როგორც ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, შეესატყვისებოდა სტალინის საკუთარ სურვილს. ასე რომ არ ყოფილიყო და მხოლოდ სტალინის ჩარევა კმაროდა ტერიტორიების საქართველოსათვის შესანარჩუნებლად, მაშინ რა დაუშლიდა მას ხელს, რომ საქართველოსათვის შეენარჩუნებინა ართვინისა და არდაგანის ოლქები. ეს შეუძლებელი იყო მისთვის. ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს ინტერესების დამცველი გამოვიდოდა რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რომელიც ამ მოლაპარაკების მსვლელობაში, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა იმ ფაქტორს, რომ კავკასიაში ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიების ნაწილის დათმობა განპირობებული იყო საბჭოთა რუსეთისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემებით, რომლის საფუძველზე თურქეთის კავკასიისა და ცენტრალური აზიისაგან იზოლაცია იყო საჭირო. ეს ხელს აძლევდა და გამართლებული იყო საბჭოთა რუსეთისათვის. მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ იყო „მსოფლიო რევოლუციის” იდეა, არამედ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა იმპერიაში შინაგანი სტაბილურობის შენარჩუნება, რაც თავისთავად გულისხმობდა ცენტრალური აზიისაგან და მთლიანად კავკასიისაგან თურქეთის იზოლირებას, რომელსაც შეეძლო გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა ამ რეგიონების მუსლიმანურ მოსახლებაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. იმის გამო კი, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების „გაწითლებაში” დიდი იყო ქემალისტური თურქეთის წვლილი, არაფერია გასაკვირი, რომ თურქეთი ჯიუტად მოითხოვდა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორც ერთგვარ საზღაურს რუსეთისათვის გაწეული დახმარების გამო. ბათუმს იმ დროისათვის გააჩნდა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ვ. ლენინს. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესებული იყო და იქ სტაბილურობის უზნუნველყოფა იყო უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ზუსტად ამ პერიოდში, როდესაც მოსკოვში რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება დაიდო, საბჭოთა მთავრობამ ინგლისთან გააფორმა სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მხარეებს ავალდებულებდა თავი შეეკავებინათ ერთმანეთის წინააღმდეგ ყოველგვარი მოქმედებისაგან. საინტერესოა, რომ ლოიდ ჯორჯი ამ დოკუმენტს ბრიტანეთის მიერ საბჭოთა რუსეთის აღიარებად თვლიდა (Атаев, 2006). გასაგებია, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერამ ხელები გაუხსნა ინგლისს და მან კიდევაც უბიძგა ბერძნებს თურქების წინააღმდეგ შე-

ტევაზე გადასულიყვნენ (Атаев, 2006). ასე რომ, ის დებულება, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ქემალისტური თურქეთის გაწითლებას მოელოდა, ნაკლებ სარწმუნოა, რადგან რუსეთის მიერ ინგლისთან ხელშეკრულების ხელმოწერით, სინადვილეში ქემალისტების წინააღმდეგ ძალიან მნიშნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ატაევი წერს, რომ აქ მთავარი იყო ეკონომიკური ინტერესები. როგორც წყაროების ნაწილი აჩვენებს, ინგლის-რუსეთის ერთობლივი წარმოება „არკოსი" ამ პერიოდში ლონდონში გარდაიქმნა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის აპარატად (Атаев, 2006). სავსებით გასაგებია, რომ ასეთ ეკონომიკურ ურთიერთგაგებას პარალელურად არ შეეძლო არ გამოეწვია აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯები და მხარეებს გარკვეული ტერიტორიული და ადამიანური მსხვერპლიც უნდა გაეღოთ. ასე რომ, არაფერია გასაკვირი მკვლევარ მიხეილ კრუტიკინის ხატოვან კონსტატირებაში, რომ საბჭოთა რუსეთის დე-ფაქტო აღიარებას მოჰყვა ვაჭრობის გამართვა „იმპერიალიზმის ბურჯთან" (იგულისხმება ბრიტანეთი – გ. ჩ.), ირანის შაჰისადმი გილანის საბჭოთა რესპუბლიკის, ხოლო ინგლისელებისადმი აზიის ყველა დანარჩენი ხალხების მიყიდვა (Атаев, 2006). საყურადღებოა, რომ რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობაზე, რომელმაც მიიღო დადგენილება ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, ლენინმა ღიად დახატა რუსეთისათვის მშვიდი დროის აუცილებლობა. მან აღნიშნა, რომ „კაპიტალის დახმარების" გარეშე შეუძლებელი იქნება ამ სიტუაციის შენარჩუნება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ პროლეტარული ხელისუფლება ქვეყანაში (Атаев, 2006).

ოციანი წლების დასაწყისში კარგად გამოჩნდა, რომ ლენინი და როგორც ჩანს, მასთან ერთად სტალინი, კომუნისტური ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელებისაგან (ტროცკი და სხვა) განსხვავებით, უკვე პირველ ადგილზე აყენებდნენ არა კომუნისტური იდეოლოგიის, არამედ რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღირებულებებს, რამაც კიდევაც ჰპოვა ასახვა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ამიტომ, გასაგებია, – წერს ატაევი, – რომ რუსეთის მოქმედებები თურქეთის მიმართულებით, ამ ეტაპზე დამუხრუჭებული აღმოჩნდა იგივე „ეკონომიკური" მიზეზების გამო. მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, სამაგიეროდ მოსკოვის გავლენის სფეროში აღმოჩნდა სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზია (Атаев, 2006). აქედან გამომდინარე, თავისთავად ქემალისტებთან რუსეთის პოლიტიკაში კარგად ჩანს, რომ რუსეთი სულაც არ ვარაუდობდა, რომ ის შეძლებს ქემალისტების „გაწითლებას" და ზუსტად ამიტომ ცდილობდა თურქეთში კომუნისტური მოძრაობის დაფუძნებას ან ქემალისტების ნაცვლად რუსეთისათვის უფრო მისაღები პოლიტიკური ჯგუფისათვის მხარდაჭერის აღმოჩენას. საყურადღებოა, რომ 1921 წლის 22 აპრილს, ანუ თურქეთთან მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელმოწერის ერთი თვის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალ-

ხო კომისარიატის ხელმძღვანელი წერდა, რომ საჭიროა არაქემალისტური თურქი ნაციონალისტების მხარდაჭერა (Атаев, 2006). ასეთ „ნაციონალისტებად" საბჭოთა ხელმძღვანელები მიიჩნევდნენ ენვერ-ფაშას ირგვლივ შემოკრებილ თურქების პოლიტიკურ ჯგუფს. თურქი მკვლევარი მუსტაფა ოზთურქი აღნიშნავს: ქემალისტებს სერიოზულად ეშინოდათ, რომ ბერძნების არმიასთან საკარიასთან ბრძოლაში წარუმატებლობის შემთხვევაში, ენვერ-ფაშა ქემალისტების წინააღმდეგ გამოსვლებს ჩაუდგებოდა სათავეში. ენვერ-ფაშა იმ დროს (1921 წლის შემოდგომა) ბათუმში იმყოფებოდა და 5-8 სექტემბერს მოაწყო ე. წ. სახალხო საბჭოთა პარტიის კრება, რომელიც უნდა გამხდარიყო „სოციალისტური რევოლუციის ავანგარდი" თურქეთში და გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა საბჭოთა თურქეთის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მუსტაფა ქემალის ბერძნებზე გამარჯვებამ საკარიასთან (1921 წლის 23 აგვისტო-13 სექტემბერი) შეცვალა გეოპოლიტიკური მდგომარეობა (Атаев, 2006). ამრიგად, გასაგებია, რომ რუსეთის მთავრობა (ისევე, როგორც თურქეთი) ორმაგ თამაშს თამაშობდა.

იმ შემთხვევაში კი, თუ ქემალისტები შეძლებდნენ თურქეთში ხელისუფლების შენარჩუნებას კავკასიაში რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთის რეგიონების დათმობით და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით, შესაძლებელი ხდებოდა ქემალისტების ანატოლიაში ჩაკეტვა, რაც ბუნებრივად გამოიწვევდა თურქეთის ზოგიერთ სოციალურ ჯგუფში პანთურქული და პანისლამური იდეებისა და ტენდენციების ბლოკირებას. ასეთ ვითარებას რეალურად უწყობდა ხელს აგრეთვე თვით მუსტაფა ქემალ ათათურქის მისწრაფება თურქული საზოგადოების ევროპეიზაციისაკენ, რაც პანისლამისტური და პანთურქული იდეების ბლოკირებას ნიშნავდა უთუოდ. უეჭველია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით ლენინსა და სტალინს, კარგად ჰქონდათ ეს ყველაფერი გათვალისწინებული, რადგან ასეთ შემთხვევაში დაიბლოკებოდა თურქეთის ზემოქმედება საბჭოთა რუსეთის კონტროლს ქვეშ მყოფი რესპუბლიკების თურქული წარმომავლობისა და მუსლიმანური აღმსრულებლობის მოსახლებაზე, რაც, საწინააღმდეგო შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთს უდიდეს პრობლემებს შეუქმნიდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ საბჭოთა რუსეთმა მოსკოვის ხელშეკრულებით, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეაჩერა თურქული საზოგადოების ნაწილში არსებული პანთურქული და პანისლამისტური ტენდენციების განხორციელებისადმი სწრაფვა.

ამრიგად, 1920-1921 წლებში, საბჭოთა იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდში, დღის წესრიგში დადგა იმპერიის საშინაო სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხი, რამაც კომუნისტური იდეოლოგიის საკითხი მეორე პლანზე გადასწია. ზუსტად ამიტომ, მოსკოვის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკე-

ბის დროს, რუსეთის მხარე, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა ამიერკავკასიის დაუფლებისას საბჭოთა რუსეთისათვის პერსპექტიული ეკონომიკური ფაქტორებით უზრუნველყოფას. ასეთი მიზანი კი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა ნავთობსაბადოების მქონე აზერბაიჯანისა და შავი ზღვის პორტების მქონე საქართველოს დაუფლების პროცესში არ დარღვეულიყო ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც აქ მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვა-გატანასთან დაკავშირებით. ეს სისტემა კი აუცილებლობით გულისხმობდა ბაქოსა და ბათუმის ფლობას. ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავიდანვე დაინტერესებული იყო ბათუმისა და მისი მიმდებარე რეგიონის შენარჩუნებით. ბუნებრივია, რომ ეს ამოცანა უკეთესად შეასრულა ი. სტალინმა, რადგან მას, სავარაუდოდ, ამისათვის დამატებითი სტიმული ჰქონდა. ამავე დროს გ. ჩიჩერინი, რომელიც ყარსის შენარჩუნებით დაინტერესებული პირების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სავარაუდოდ, ბათუმის საკითხის გადაწყვეტისას, თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს შეიძლება წასულიყო დათმობაზე, რითაც უდიდეს ზარალს მოუტანდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საბჭოთა ეკონომიკას. მაგრამ, როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, მოვლენათა ასეთი განვითარება ნაკლებ მოსალოდნელი იყო, რადგან ვ. ლენინის პოზიცია ცალსახად ბათუმის რუსეთის საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შენარჩუნების სასარგებლოდ იყო მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

სდსინ : სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, გამომცემლობა "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2012.

Алекперли, 2013: Алекперли Ф., Российско-турецкие взаимоотношения и их влияние на политическую ситуацию в Азербайджане – htth: // myazerbaijan/org. index. php=history

Арутюнян, 2011: Арутюнян Б., Московский и Карсский договоры 1921 года были позорнее Александропольского, – http://www.regnum.ru/news/polit/1465891.html

Атаев, 2006: Атаев Т., О некоторых нюансах Российско-Турецких взаимоотношений второй половины 1922 года, или «Армянский вопрос» теряет актуальность – http://postsoviet.ru/publications/3664/

Гасанлы, 2011: Гасанлы Дж., Послевоенные территориальные претензии СССР к Турции или «нереальные планы» г-на С. Саргсяна, ИА REGNUM, Часть третья – http://www.regnum.ru/news/1434696.html

Жевахов, 2008: Жевахов А., Кемаль Ататюрк, Изд. «Молодая гвардия» – http//Kazez.net/book

Зограбян, 1991: Зограбян Э.А., Территориально-разграничительные вопросы на второй Московской русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), сб.: Мурадян П.М., К освещению истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении, Изд. Ереванского гос. университета, с.61-90.

Квашонкин, 1997: Квашонкин А.В., Советизация Закавказья в переписке Большевистского руководства 1920-1922гг. – http://www.persee.fr/web/revues/ home/prescript/article/cmr_1252-6576_1997_num_38_1_2487

Киладзе, 2011: Киладзе С., Карсский мир – ошибка допущенная 90 лет назад, «Квирис палитра», 30/11, 2011.

Озтюрк, 2010: Озтюрк М., Взаимные сомнения и недоверие между большевиками и кемалистами в период становления советско-турецких отношений в 1920-1922 год – http: //elar.urfu ru/bits/ream/10995/18862/ 1.iurp-201

Розалиев, 2003: – Розалиев Ю.Н., Мустафа Кемаль Ататюрк, официально названный отцом – http://website.informer.com/visit?domain=nov.docdat.com

Guram Chaganava (Batumi, Georgia)

Socio-political Aspects of Coherence Between Russia and Turkey Over the Occupation of Kars-Batumi (20-years of XX century)

Summary

In the period of the Soviet empire from 1920 to 1921, the question of internal stability and economic development of the Empire was put on the agenda. At the time, a matter of communist ideology was pushed back and at least it was a means of maintaining the empire and not the main goal. That is why during negotiations at the Moscow conference of Soviet Russia and Turkey in 1921, the Russian delegation primarily sought to provide themselves with promising economic factors. This mean that in the Transcaucasus things have been associated with the mastery of Azerbaijan and its oilfields and also the mastery of Georgia and its Black Sea ports. in particular, with the mastery of marketing of oil and oil productions through the Batumi port. Thus the Soviet government initially had an interest in preserving Batumi and adjacent regions. Stalin completed this task in a better manner because he had extra incentive to do so. At the same time, Chicherin, who was probably under the influence of stakeholders in the preservation of Kars and its region could make concessions on the issue of Batumi. This would have caused great damage to the formation of the Soviet economy. Such a development was unlikely, as the view of Vladimir Lenin was clearly in favor of keeping for a city of Batumi.

ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი როტშილდების სამრეწველო ინტერესებში

ბათუმი შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია. მის მნიშვნელობას, უმთავრესად, განაპირობებს მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა და ღრმა, ბუნებრივად დაცული ნავსადგური. იგი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ბათუმი რუსეთის მზარდი იმპერიის ცხოველი ინტერესის არეალში მოექცა. ეს გასაგებიცაა – ქართლ-კახეთის სამეფოს ინკორპორაციით, ამიერკავკასიაში დამკვიდრებული რუსეთისათვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შემდგომ გაფართოებას ირან-ოსმალეთის შევიწროების ხარჯზე ფიქრობდა, ბათუმი, მთელი თავისი დადებითი მხარეებით, ყურადღების მიღმა ნამდვილად ვერ დარჩებოდა. 1906 წლის საიუბილეო გამოცემაში «Батумъ и его окрестности» შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეფანოვი, ეხება რა XVII საუკუნის შუახანებში კაზაკების მიერ ბათუმის აღების უშედეგო მცდელობას, აღნიშნავს: „ოცნება ბათუმის დაუფლების შესახებ კვლავ მხოლოდ 150 წლის შემდეგ ჩნდება, როდესაც გურიამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო (1810 წ.). ჩვენი სურვილი, დაგვებრუნებინა ის, რაც ძველთაგანვე გურიას ეკუთვნოდა, ბუნებრივი იყო. გარდა ამისა, ბათუმს გააჩნდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც საუკეთესო უბეს (бухта) შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების მთელ სიგრძეზე. სანაპირო ხაზის ყველა სხვა შეზნექილობა (изгибы) ძალიან უმნიშვნელოა და ხელოვნური ჩარევის გარეშე უამინდობის დროს დიდი გემების თავშესაფრად ვერ გამოდგება. ამ უბის წყალობით იყო კიდეც ბათუმი თურქთა მთავარი საყრდენი პუნქტი როგორც შავი ზღვის ჩვენი სანაპიროების, ისე აფხაზეთის, გურიისა და იმერეთის წინააღმდეგ მოქმედებისას. ჩვენის მხრივ, ჩვენც ყოველი თურქული ომის დროს ვესწრაფოდით ხელში ჩაგვეგდო ბათუმი“ (Стефанов, 1906: 90-91).

ოსმალეთის იმპერიასაც კარგად ესმოდა ბათუმის მნიშვნელობა და იმ მოსალოდნელი საფრთხის მთელი სერიოზულობა, რაც აღნიშნული ქალაქის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლებოდა შექმნოდა ანატოლიის შიდა რაიონებს. აქედან გამომდინარე, ბრწყინვალე პორტა ძალ-ღონეს არ იშურებდა ბათუმის შემოგარენის სათანადო დონეზე დასაცავად, რაშიც დასავლურ-ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერასაც იყენებდა. სწორედ ამ ძალისხმევის შედეგი იყო ის, რომ მიუ-

ხედავად XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დათავისება.

სანუკვარი ოცნების განხორციელება პეტერბურგმა მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოახერხა. თუმცა, ირკვევა, რომ ეს არ ყოფილა მარტოოდენ რუსული იარაღისა და დიპლომატიის დამსახურება. როგორც არსებული მონაცემები მიუთითებენ, ამ საქმეში არცთუ მცირე როლი როტშილდების გვარის საფინანსო-სამრეწველო ინტერესებმაც ითამაშა.

როტშილდების ფინანსურ იმპერიას საფუძველი მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე ებრაული ოჯახიდან გამოსულმა მაიერ ამშელ როტშილდმა (ბაუერმა) ჩაუყარა, რომელმაც, რამდენიმე ათწლეულიანი წარმატებული საქმიანობის შემდეგ, 1810 წელს გერმანულ ქალაქ მაინის ფრანკფურტში დააარსა ბანკი „მაიერ ამშელ როტშილდი და შვილები“. იგი 1812 წელს გარდაიცვალა. მამის საქმე მისმა ხუთმა ვაჟიშვილმა გააგრძელა, რომლებიც ევროპის ხუთ მსხვილ ქალაქში დამკვიდრდნენ და ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით მნიშვნელოვნად გააძლიერეს როტშილდების საგვარეულო კლანი (Шнее Генрих).

უფროსი ვაჟი ამშელ მაიერი ფრანკფურტში არსებულ ბანკს ჩაუდგა სათავეში, სოლომონი – ვენის ბანკს, ნათანი – ლონდონის, კალმანი (კარლი) – ნეაპოლის, ხოლო უმცროსი ვაჟი ჯეიმსი (იაკობი) – პარიზის ბანკს. განსაკუთრებულ სიძლიერეს პარიზისა და ლონდონის საბანკო სახლებმა მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ როტშილდთა ლონდონის ბანკი 2004 წლამდე იყო ერთი იმ ხუთ ბანკთაგანი, რომლებიც დღეში ორჯერ განსაზღვრავდნენ მსოფლიო ფასს ოქროზე (ოქროს ფიქსინგი) (Ротшильды, 2012).

უკვე XIX საუკუნეში როტშილდები უდიდეს გავლენას ახდენდნენ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკასა და ფინანსებზე, სასულიერო და საერო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებზე. მათ შეეძლოთ სამეფო ტახტზე ვისიმე აღზევება და ტახტიდან ჩამოგდება; ომების თავიდან აცილება, თუკი ეს ომები მათ მილიონებს საფრთხეს უქმნიდა; მინისტრების გადაყენება და მათთვის სასურველი პირების გამინისტრება; ფულის საშუალებით პარლამენტებისა და გაზეთების მართვა; კონკურენტი ბანკების გზიდან ჩამოშორება და ახალთა დაარსებაში მონაწილეობის მიღება; უამრავი მსხვილი პოლიტიკური თუ სამრეწველო-ეკონომიკური ღონისძიების დაფინანსება და ა.შ. (Ергин, 1999; Ротшильды, 2012).

ნიშანდობლივია პარიზში მყოფი პრუსიის ელჩის გარი ფონ არნიმის (1872-1874 წწ.) შენიშვნა, რომლითაც ნათლად იკვეთება XIX საუკუნის ევროპაზე (და არა მარტო მასზე) როტშილდების გავლენის

მასშტაბები. „როტშილდების საბანკო სახლი წარმოადგენს ჩვენი დროის უდიდეს ფინანსურ სიმძლავრეს; მხოლოდ ზოგიერთ მთავრობას შეუძლია თქვას თავის თავზე, რომ იგი არ არის შებოჭილი ამ ბანკის ოქროს ბორკილებით," – მიუთითებდა ელჩი (Ротшильды, 2012).

როტშილდები ომებშიც აბანდებდნენ ფულს და ამით საკმაოდ ზრდიდნენ თავიანთ კაპიტალს. საინტერესოა, რომ ისინი არ ერიდებოდნენ პარალელურ რეჟიმში დაეფინანსებინათ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომი ძალები. ასე მაგალითად, 1861-1865 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს როტშილდების ლონდონის საბანკო სახლი ჩრდილოეთელებს აფინანსებდა, პარიზის სახლი კი – სამხრეთელებს (Тимофеев, 2011).

S.İ., who was originally a native of Giresun, the a neighboring town proudly narrated about her life in Tirebolu, to which she came as a young bride. Her sister was apparently just as impressed from by Tirebolu's social life: 'Such a dolce vita,' she used to say, 'such a courteous life!' Of course, S.İ. was the wife of a prominent entrepreneur of Tirebolu and had a rather easy life with servants at her command and greater access to Istanbul for shopping. Giresun and Trabzon, as opposed to Tirebolu, were declared to be as vilayets, 'city-provinces,' in the Republican administrative system, having their own governor, state hospital and public schools. Having shared the same administrative status during the Ottoman era, the fact that Tirebolu was not administratively acknowledged as a 'city-province' under the Republic, instead being and made part of the province of Giresun, created a sense of resentment among Tirebolites. This was a different stance vis-à-vis Trabzon which

had always been a provincial capital during Ottoman times, being that it was an important commercial and administrative centre. To many residents, the new positioning of Tirebolu between the old town city of Trabzon and the new town city of Giresun condemned their town to an 'administratively lower position.' The fact that some of the coastal villages like Espiye and Görele, once linked to Tirebolu in the Ottoman times, had 'risen' to the same administrative status during the Republican reorganization also created a sense of resentment.

In the minds of Tirebolu's residents, Giresun had a paradoxical position. On the one hand, many despised the Giresun dialect for sounding 'rougher' than that of Tirebolu dialect. On the other hand, however, they would fiound Tirebolu's people to be more 'open-minded' and 'civilized.' Their being 'more civilized' obviously meant to being 'more modern' under Republican times. As a new Republican city, Giresun now had a governor, deputies in the Parliament, military chiefs and other employees who made the city's life more colorful. N.K. recalled the wedding of a Giresun bride in Tirebolu. She was impressed that the bride's young relatives coming from Giresun danced in public – both boys and girls together. But more than that, when compared to Tirebolu, Giresun's people were known to spend more money on entertainment. As expressed in a Tirebolu folk saying, 'Dalda fındığı satarlar, sefalarını atarlar,' The people of Giresun were framed as those who would sell the raw hazelnuts still on the branch to so as to earn their money for their own entertainment. According to S.İ., 'money has always been more valuable here in Tirebolu. When our men had some money, they invested it in more land so that their children would inherit more.'

Trabzon, on the other hand, was the unrivaled commercial center. In Tirebolu women's memory, it marked the pre-wedding visits to buy gold, fabric and new dresses. Some women, however, would order their dresses directly from tailors in Istanbul. Well-to-do husbands who frequently traveled to Istanbul would come back either with silk textiles, or newly designed dresses and chic hats. Some would travel to Istanbul as a family every few years and stay in hotels like the Sipahi Palas or the Bristol Hotel.

This chic style of certain Tirebolu women, seen in their 'hats' and 'furs' and 'beaded dresses', symbolized today what made Tirebolu unique, vis-à-vis other coastal towns like Espiye and Görele, which were formerly seen as villages linked to Tirebolu. The peasant culture was usually associated with Espiye, the neighbouring coastal village. Once known as the source of malaria due to its ill-guarded rice fields, Espiye became now an expanding town, enriched with the capital of migrant workers sending money home from Germany. Yet to N.K. for instance, it was a vain temptation: 'Espiye may behave expanded, but it cannot develop' (genişler, ama gelişemez). This memory became even more verbalized as the town's demography changed with the elite's migration to bigger cities and their replacement by peasants settling in the centere of the town after the 1950s.

Many women expressed their resentment at this demographic change in

Tirebolu. They usually saw this change as a ‘decay’, however although they understood the process. The process began with richer families who left the leaving town in the 1950s for better education or better jobs. Since Tirebolu’s men tended to died at an early age, most sons men educated out of the town, did not want to come back to live in Tirebolu. They preferred to sell their properties to mountain villagers who wanted to move to the seaside areas. Hazelnut fields were left in the hands of yarıcıs, peasants who collected the crop to return half of it to the owner. Men explained the decay in other terms. According to İ.S., the hilly geography of Tirebolu had not allowed it to grow further. ‘In Görele,’ he said, ‘the land was all plains, you could easily build new buildings, the rent was cheaper, and people did not need to look for other resources. Tirebolu, however, was confined by its geography, the land was expensive, and there was no room for expansion.’

*****

Although many women complained about the hardships of their youth and the relative decay of their town, all had still preserved a strong attachment to it even if they had moved to other cities and visited Tirebolu only in the summers. “I love Tirebolu” said M.N. “I feel myself as though I am in prison when I go to Istanbul to visit my daughter.” Given her age, Tirebolu was now a manageable locality, in which she can still feel self-sufficient as an old lady. This was not simply a matter of having easy access to easy shopping, or being in good hands when she had emergency medical needs. To her, Tirebolu was still a ‘legible’ place, where she could interpret the changes around, engage into gossips, and transfer her knowledge to her grand-children. Similarly, E.D. rejected to go the idea of living with her children in Istanbul. She explained that she was afraid to of dying there and being buried in Istanbul instead of Tirebolu. Those women who lived in other cities, but returned every summer to look after the family hazelnut fields expressed a similar sense of attachment. ‘I love my town’ expressed N.K., whose children were not longer interested anymore in Tirebolu. Her narrative concerning her attachment may be a good way to summarize the sense of belonging many shared about their native town: “Give me a summer house in the best place of Istanbul, I would prefer to come to Tirebolu. My daughter has a summer house in Princes' Islands, another in the Mediterranean. She says, ‘Mother, why don’t you come?’ But I get bored there. Look, when I am here I am not bored at all. My house stands at the heart of the town, this is perhaps why! You could get bored anyway, but I don't. I go to our gardens, go to the beach everyday. And in summer, other friends come too. We know what we eat. Here, it is more decent than anywhere else. It is cooler, it has the clean sea, and the water is tasty water too.’

Cited References:

Öztürkmen, Arzu, 2003 - Öztürkmen, Arzu. *Remembering through the Material Culture: Local Knowledge of Past Communities in a Turkish Black Sea Town*. Middle Eastern Studies, vol.39, no.2, pp.179

Öztürkmen, Arzu. 2005 - Öztürkmen, Arzu. *Local Responses to Regional Change: Memory of a Social and Economic Transformation in a Turkish Black Sea Town*. East European Quarterly, 39/1, pp. 47-62.

Öztürkmen, Arzu. 2006 - Öztürkmen, Arzu. *Remembering conflicts in a Black Sea town: A multi-sited ethnography of memory*. New Perspectives on Turkey, Spring 2006.

.

არზუ ოზთურქმენი
(სტამბული, თურქეთი)

ქალების ხმა ტირებოლუდან: არსებობის სივრცე და ძალაუფლების ქსელი

ეს არის შავი ზღვის ქალაქ ტირებოლუს ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევითი პროექტის პირველი ფაზა. 1994 წლის შემდეგ კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. მისი სხვადასხვა ასპექტი უკვე გამოქვეყნდა (ოზთურქმენი, 2003, 2005, 2006). წინამდებარე ნაშრომი*, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოქვეყნება დიდი ხნით გადაიდო, ზემოხსენებული პუბლიკაციების შთაგონების წყაროს წარმოადგენდა.

1990-იან წლებში, როდესაც იზრდებოდა ქალების კვლევების მიმართ ინტერესი, ჩემი ორიგინალური იდეა ტირებოლუში კვლევის დაწყებისა, გახლდათ მცდელობა შეგვეხედა ქალების ცხოვრებაზე პატარა ქალაქის პერსპექტივიდან, ადგილმდებარეობაზე და ძალაუფლების ქსელებზე კონცენტრირებით. ტირებოლუ დედაჩემის მშობლიური ქალაქი გახლდათ, ადგილი და კულტურა, რომელსაც ბავშვობიდანვე ვსწავლობდი. წლების მანძილზე ვინტერესდებოდი ამბებით იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ქალაქი. თუკი შეეკითხებოდით ასაკოვან ადამიანებს (თუნდაც ახალგაზრდებს), თანამედროვე ტირებოლუ იყო „დაკნინებული ქალაქი" როგორც მეზობელ დასახლებებთან, ისე მის გვიანოსმალურ ან ადრეულ რესპუბლიკურ წარსულთან შედარებით.

1994 წლიდან, როგორც კი დავიწყე კვლევა, ვცდილობდი გამეგო ცვლილების ადგილობრივი აღქმა ქალთა ნარატივების მეშვეობით. ეს ნარატივები შეიცავდა ბევრ სასაცილო ისტორიას ბერძნებისა და სომხების შესახებ ქალების საოჯახო და საზოგადოებრივ სივრცეებში, მაგრამ ამ ამბებში დარღვეული იყო თანმიმდევრული ისტორიული თხრობა ეთნიკური დაპირისპირების ფაქტებსა და შემთხვევებზე. ამის შემდეგ გადავწყვიტე მემუშავა მეორე პროექტზე, მამაკაცების ცხოვრებისეულ ამბებზე და გამეგო მათი მონაყოლიდან, თუ როგორ წარმოიშვა წარსული ეთნიკური საზოგადოების საკითხი. ბევრი მამაკაცი უფრთხოდა მსგავს თემებზე საუბარს, რადგან არ იყვნენ მზად გამოეშკარავებინათ პოლიტიკურ-ისტორიული პროცესები, რომელიც ქალაქმა განიცადა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. ამას მოჰყვა მესამე

* ნაშრომი გამოქვეყნებულია: *Economy and Society on Both Shores of the Aegean* (Vangelis Kechriotis, Lorans Barouth (eds.), Athens, 2010: Alpha Bank Historical Archives, pp. 423-445. სტატია თარგმნეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის IV კურსის სტუდენტმა ანა დიასამიძემ და ნინო ინაიშვილმა.

პროექტი. თურქული ნარატივების შეგროვებამ 90-იანი წლების ეთნიკური დაპირისპირების შესახებ ბუნებრივად მიმიყვანა საჭიროებამდე – გავცდენოდი თურქულ ნაციონალურ ჩარჩოს. ბერძენი ტრიპოლელების წერილობითი და ზეპირი მოგონებების გასაცნობად, საბერძნეთში განვახორციელე კვლევა ათენში დასახლებული ტრიპოლელების მეორე თაობის წარმომადგენლებს შორის. აგრეთვე, მოვიპოვე მდიდარი დოკუმენტაცია ტირებოლუს შესახებ მცირე აზიის (ანატოლიის) ცენტრის არქივში, სადაც ანატოლიიდან დევნილების ზეპირი გადმოცემები ინახება და კლასიფიცირებულია 1920-იანი წლებიდან. ტირებოლუსა და ათენში განხორციელებულმა მრავალმხრივმა ძიებამ არქივებში და ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი უწყვეტობა ქალაქში არსებულ ორ საზოგადოებას შორის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებში. მონათხრობების მრავალფეროვნებამ, იქნებოდა ეს ბერძნული თუ თურქული, მამაკაცისა თუ ქალის, შესაძლებლობა მომცა დავკვირებოდი განსხვავებას დისკურსში. თუკი შევხედავთ აქამდე შეგროვილ მასალებს, უთუოდ შევნიშნავთ, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო ქალების გამოცდილება ისტორიული ამბების გადმოცემაში, ან დავრწმუნდებით ადგილობრივი ისტორიების გენდერულ ხასიათში. ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ დაგვაბრუნებს ქალების ორიგინალურ ნარატივებთან.

ტრიპოლიდან ტირებოლუმდე: მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ტირებოლუ გახლავთ სანაპირო ქალაქი თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირა რეგიონში. მისი თავდაპირველი სახელი – ტრიპოლი მომდინარეობს სამი ციხესიმაგრიდან, რომლებიც ქალაქის ირგვლივაა განლაგებული. ქალაქის ცენტრი კვლავ გორაკიან ადგილზე მდებარეობს, რომელიც გადმოჰყურებს ზემოხსენებულ ციხესიმაგრეებს, დათარიღებულს იმ პერიოდით, როცა გენუა განაგებდა ვაჭრობას შავ ზღვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტირებოლუ იყო იმ საზღვაო გზის ნაწილი, რომელიც აკავშირებდა აბრეშუმის გზას ტრაპიზონსა და სტამბულთან, თავისი კლდოვანი სანაპიროს გამო ის არასოდეს ყოფილა ტრაპიზონის დონის საპორტო ქალაქი. მეთოთხმეტე საუკუნეში თურქული მოდგმის ტომები – *ჩეპნისები* დასახლდნენ შავი ზღვის რეგიონში. მეჰმედ II-ის მიერ 1461 წელს ტრაპიზონის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის შემდეგ, ქალაქი ოსმალთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. ადგილობრივ ეკონომიკაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავდა თხილის წარმოებას, მეთევზეობას, სპილენძის მოპოვებას, ქალაქს, თავისი მრავალეთნიკური მოსახლეობით, აქტიური სოციალური ცხოვრება ჰქონდა მე-19 საუკუნემდე. ფარუქ სუმერის საარქივო კვლევის მიხედვით, მე-19 საუკუნის ბოლოს ქალაქის მოსახლეობის 60% შეად-

გენდნენ თურქები, 35% – ბერძნები და 5% – სომხები. ქალაქის დემოგრაფიული სტაბილურობა დაირღვა 1900-იანი წლების დასაწყისში, რაც მოყვა მიგრაციასა და არამუსლიმი ხალხის დევნას და მუჰაჯირობის პერიოდს, როცა თურქი ხალხი გადაადგილდა შავი ზღვის დასავლეთით მდებარე ქალაქებში 1916 წელს, როცა რუსები შეესივნენ ტრაპიზონს.

დღეს ტირებოლუს მიტოვებული ქალაქის იერი აქვს თავისი დანგრეული შენობებითა და ნახევრად დასრულებული ახალი დასახლებებით. სხვა შავიზღვისპირა ქალაქებისაგან განსხვავებით, რესპუბლიკური პერიოდის განმავლობაში ტირებოლუს მდგომარეობა გაუარესდა. ასაკოვანი ადამიანების უმეტესობა წარსულ პერიოდს უკეთესი სოციალური ცხოვრების ნოსტალგიით იხსენებს. იქიდან გამომდინარე, რომ 1950-იან წლებში ადგილობრივი საზოგადოების წარჩინებული ნაწილი გადავიდა უფრო დიდ ქალაქებში, მიჰყიდა თავისი ქონება სოფლის მცხოვრებლებს, ქალაქის თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა უფრო სოფლის ტიპის მოსახლეობით, რაც „ცვლილებაზე" ნეგატიურ დისკურსს აძლიერებდა.

პერსონალური *Lieux de Memoires*[6]-დან ისტორიულ ეთნოგრაფიამდე

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი „ფორმალური კვლევა" განვახორციელე 1994-96 წლების ზაფხულში, ბავშვობიდან ვსწავლობდი ტირებოლუსა და მის ადგილობრივ კულტურას. ტირებოლუ, საზაფხულო კურორტი, ჩემი დედულეთი გახლდათ, ამიტომ წლების მანძილზე ჩამომიყალიბდა პირადი დამოკიდებულება გარკვეული ადგილებისა და ადამიანების მიმართ. სტამბულთან შედარებით ტირებოლუ იყო ბავშვისთვის სამოთხე, თავისუფლებით და მეტი სივრცითი სოციალიზაციით, ადვილი მისაწვდომობით კინოსთან, სანაპიროებთან, მდინარისპირეთთან და მთებთან. საკუთარი ***Lieux de Memoires*** –ში ხეტიალით, მოგვიანებით გამიჩნდა ინტერესი ადგილების, სახლების, რელიქვიების და ლეგენდების მიმართ, რამაც მომცა გასაღები გამეგო იმ ტირებოლუსი, რომელიც განსხვავდებოდა ჩემი ტირებოლუსაგან. რელიქვიების და ადგილების ისეთი სახელები, როგორიცაა კირსებურნუ (ეკლესიის კონცხი) ან ერმენი მეზარლიღი (სომხების სასაფლაო) საჭიროებდა ყურადღების მიქცევას ძველ ტოპოგრაფიასა და ყოფილ ***Lieux de Memoires***-ზე. ანეკდოტებმა და ამბებმა ჩემი ყურადღება მიმართეს ადამიანებისადმი, განსაკუთრებით ტირებოლუს შესანიშნავი ქალებისადმი. ეს ქალები განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყვნენ როგორც თავიანთი „სტილით", ქუდებით, ელეგანტური ჩაცმულობით

[*] ხსოვნის ადგილები

და სტამბოლური ტანსაცმლით, ასევე „ძალაუფლებით" საჯარო სივრცეში, მთაში ცხენზე ჯირითით, სოციალური რიტუალების გაძღოლით. რადგან მსგავსი ტიპის ამბების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, გადავწყვიტე ფორმალურად გავსაუბრებოდი ასაკოვან ქალებს თავიანთ ცხოვრებისეულ ისტორიებზე. გასაუბრების პირველი ჯგუფი შედგებოდა უბრალო წარმომავლობის მოხუცი ქალბატონებისაგან, რომლებიც დარჩნენ ტირებოლუში, განსხვავებით სხვა, უფრო წარმოსაჩენი წარსულის მქონე ქალებისაგან. ქალები, რომლებსაც გავესაუბრე ზაფხულის ვიზიტისას, თხილის სეზონის დროს, იყვნენ „კონსერვატორები" თავიანთი იერითა და მსოფლმხედველობით, გარკვეული გამონაკლისის გარდა. მიუხედავად განსხვავებული მდგომარეობისა, ქონებისა, ეს ქალები დაწვრილებით საუბრობდნენ თავიანთ შეზღუდულ გარემოზე პატარძლობის პერიოდში, როცა ცხოვრობდნენ ქმრის ოჯახთან, სოციალურ დისტანციაზე კვარტლებსა და სამეზობლოებს შორის, მათთვის დასაშვებ საზოგადო გასართობ ადგილებზე. მათი ნარატივი ადგილების შესახებ ჩვეულებრივ უკავშირდებოდა სხეულის ცნობიერებას, სადაც ქალის სხეული მის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა.

მეუღლის ნათესავებთან ცხოვრება: სამზარეულო და სარდაფი, ფანჯრები და წინკარი.

ადრეულ ასაკში გათხოვილი ქალები ყვებოდნენ ამბებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო მათი ქმრების ნათესავებთან, ვიდრე საკუთარ მშობლებთან. გავესაუბრე მათ თავიანთ სახლებში, სადაც ერთ დროს შევიდნენ, როგორც რძლები და ახლა თვითონ მართავდნენ ოჯახებს. ბევრ შემთხვევაში, ქალები თავიანთ მონაყოლს აგებდნენ სახლების ირგვლივ, სადაც ისინი ყმაწვილქალობიდან ქალობაში გადავიდნენ. მაგალითად, ნუ.კ. მოყვა ამბავს, თუ როგორ მიიღეს ის რძლად სახლში, რომელიც ქმრის ოჯახმა ბერძნული სახლის ნანგრევებზე ააშენა: „20 ადამიანს შორის აღმოვჩნდი პატარძლად", იხსენებს ნუ.კ., ქმრის ოჯახში დომინირებდნენ : დედამთილი, მამამთილი, მულები. ისინი წინასწარ განსაზღვრული ფუნქციებით ინარჩუნებდნენ „დაწესებულ ტრადიციას" ოჯახში. უჩვეულო არ იყო ის, რომ მისი ქმარი ქორწილის შემდეგ მალევე წავიდა სამხედრო სამსახურში და თვეების, ზოგჯერ წლების მანძილზეც კი შინ არ დაბრუნებულა. რძლისთვის ეს იყო ახალ ოჯახურ ცხოვრებასთან შეგუებისა და სწავლების პერიოდი.

> ახალმოსულ რძალს უნდა შეეთვისებინა საკუთარი ადგილი და როლი ოჯახში. სამზარეულო და სარდაფი დაკეტილი იყო რძლისთვის. მათ დედამთილი აკონტროლებდა. ა.ჩ.-ს მოგონებით

დედამთილის სახე ასეთი იყო: „ქალი წელზე მიმაგრებულ დიდ რგოლზე რკინის გასაღებების აცმით“. იქიდან გამომდინარე, რომ სარდაფი დაკეტილი იყო, რძლები საკუთარ სახლში ხშირად შიმშილობდნენ ხოლმე. მ.ნ-მ მიამბო იმის შესახებ, დედამთილმა როგორ გადასცა „მონოპოლია“ სარდაფზე: „ოჯახში ორი ახალნამშობიარევი რძალი იყო: მათ ჰყავდათ მული, რომლის მეუღლე, მექასკენ მიმავალი, გარდაიცვალა. მული საკუთარ დედასთან დადიოდა საჭმელად. როგორც დედამთილი ამბობდა, მას ვერაფერს ვეტყოდით, რადგან ის ქალიშვილი იყო და თანაც ქვრივი. რასაც ვაკეთებდით, გახლდათ მხოლოდ ის, რომ თვალი გვეჭირა სარდაფის კარზე. ხანდახან ის კარს ღიას ტოვებდა და შეგვეძლო შეპარვა, ფუნთუშების და შაქრის მოპარვა. ვიცდიდით, სანამ ჩაეძინებოდა დედამთილს. მათ ასევე შეეძლოთ დღიური რძის მოპარვა და მონაც ვლეობით საკუთარი თავისა და ჩვილების გამოკვება.

დედამთილი საჭმლის მომზადებასაც აკონტროლებდა. რძალს ყოველდღიური მომსახურება უნდა გაეწია ოჯახისთვის: ყავის მომზადება, მეუღლისა და მამამთილის მომსახურება, სტუმრების გამასპინძლება. „საჭმელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი” – იხსენებდნენ ნ.კ. და ს.ი. ტირებოლუს მამაკაცებს უყვარდათ ჭამა. ქალები პროდუქტების საყიდლად არ მიდიოდნენ, ეს მამაკაცის მოვალეობა იყო. ისინი არ ჩევდნენ „საუკეთესო” ხორცს და „ახალ” კვერცხს. მათ ჰქონდათ საკუთარი წესები, თუ როგორ დაეჭრათ ლიმონი ან რამდენ ხანს გაეჩერებინათ ყავის მადუღარა ცეცხლზე. მამაკაცები მგრძნობიარენი იყვნენ წყლის განსხვავებულ გემოზეც. ზოგიერთი მათგანი ექსპერტი გახლდათ ახლომდებარე წყაროებისა და შადრევნებისა. ქალები, რომლებსაც ველაპარაკე, იხსენებდნენ, თუ როგორ გადიოდნენ ბავშვობაში უსასრულო გზას მთავარ წყარომდე, რათა მოეტანათ წყალი თავიანთი მამებისა და ბიძებისთვის.

ახალი რძალი უნდა დაკმაყოფილებულიყო ერთი ოთახით. მ.ნ. ამბობს, რომ მისი ქმრის ოჯახმა სახლი ორად გაყო, როცა ორი ვაჟი დაქორწინდა. ბავშვები პატარა შიდა სივრცეში იზრდებოდნენ. აქედან თავდასაღწევად ბევრი სხვადასხვა ადგილს ეძებდა: ბაღებს, მინდვრებს, ბებიებისა და ახლო ნათესავების სახლებს. სხვადასხვა სახლთან მისაწვდომობა დამოკიდებული იყო ბავშვის ურთიერთობაზე სახლის „დედა დედოფალთან”. მაგალითად, მ.ნ. იხსენებს, თუ როგორ შეფერხდა მისი ვიზიტები ბებიის სახლში ბებიას გარდაცვალების შემდეგ.

„მე აქვე „სვეტებიან სახლში” გავიზარდე. იქ მივდიოდით, როგორც საკუთარ სახლში, თავისუფლად შეგვეძლო გვეჭამა და გვესვა, როგორც საკუთარ სახლში. მას შემდეგ, რაც ბებია-

ჩემი გარდაიცვალა, ჩვენ აღარ შეგვეძლო იქ მისვლა. ჩვენ არ ვიყავით ახლოს მის რძალთან. მას თავისი წრე ჰყავდა.”

ყველა ბავშვს არ ჰქონდა გადადგილების მსგავსი თავისუფლება. მაგალითად, ნ.კ.-მ განაცხადა, რომ მას მშობლები გარკვეული ასაკის შემდეგ გარეთ თამაშის უფლებას არ აძლევდნენ, იმ მიზეზით, რომ ის „მეტისმეტად ლამაზი” იყო და ყურადღებას იქცევდა. ეს იყო სიფრთხილე, რომ ნაადრევი ხელის თხოვნა თავიდან აერიდებინათ. ნ.კ-მ შეაჯამა თავისი ქმრის ოჯახთან ცხოვრების გამოცდილება ერთი სიტყვით: „მოთმინება!” „მერე იყო მოთმინება,” – თქვა მან, – „ჩვენ პატივს ვცემდით ქმრებს, მათ ნათესავებს.” ფაქტიურად, პატივისცემა და შემწყნარებლობა იყო ის აუცილებელი რამ, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა დალაგებული და „მშვიდი ცხოვრება” შეგენარჩუნებინა იმ პატარა სივრცეში. შიდა სივრცე ზედმიწევნით განაწილებული და მორთული იყო და თითოეულ ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ა.ჩ. მოჰყვა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორი კონფლიქტის გამოწვევა შეეძლო მცირე ცვლილებასაც კი. ეს შემთხვევა მოსავლის აღების დროს მოხდა, როცა ავეჯის დიდი ნაწილი წაღებული ჰქონდათ სოფლის სახლებში, რომ შეეგროვებინათ თხილის მოსავალი. ა.ჩ.-ს დედამთილი ნახევრად პარალიზებული იყო და ზრუნვა სჭირდებოდა, ამიტომ მისი ქალიშვილი გადმოვიდა მასთან სახლში, რომ დახმარება გაეწია მაშინ, როცა სხვები სოფელში იყვნენ.

ერთხელ ა. ჩ.-ს მეუღლემ უთხრა, რომ სადილზე მზად უნდა ყოფილიყო სტუმრის მისაღებად. მას შემდეგ, რაც ა.ჩ.-მ აღმოაჩინა, რომ ოთახი სტუმრის მისაღებად მოწყობილი არ იყო, გადაწყვიტა პლედი აეღო, რომელსაც მისი მული საწოლის გადასაფარებლად იყენებდა და დაეგო ის იატაკზე. შემდგომ ამბავს ის ასე ჰყვება:

> „მას უკვე ჰქონდა გამოყენებული შალის ზეწარი, კიდევ სხვა საბანი და ამ ყველაფერზე პლედი გადაეფინა. ახლა როცა უკვე ასაკში შევედი, მივხვდი, როცა ტკივილი გაწუხებს, გინდა რომ თბილად იყო. მე ვუთხარი მას, „დაო, სტუმრები გვყავს ამაღამ, ნება მომეცი ავიღო შენი პლედი და იატაკზე გამოვიყენო და როგორც კი წავლენ, დაგიბრუნებ”. მან კი მიპასუხა: „როგორ ბედავ დაუგო ის მამაკაცებს, რომლებიც ჩემს პლედზე ალკოჰოლს დაღვრიან!“ მე არაფერი მითქვამს, წავედი და ავიღე პლედი, დავაფინე იატაკზე და სტუმრების ოთახი მოვაწესრიგე. შემდეგ მაღლა ავედი რაღაცის ასაღებად. როცა უკან დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ პლედი წაეღო. ნებართვის გარეშე კიდევ ერთხელ ავიღე პლედი იმ ადგილიდან, სადაც დადო და ისევ დავაფინე იატაკზე. შემდეგ ის შემოვარდა ოთახში, ჩაავლო ხელი პლედის ერთ კუთხეს. ახლა ერთი კუთხე იმას ეჭირა, მეორე მე და ვიმეორებდი : „ხელი გაუშვი, არ წაიღო!”

ისიც ექაჩებოდა და მეც. უნდა გენახათ ჩვენი უმეცრება და ბავშვური საქციელი! ვუთხარი: „დატოვე სადაც არის,” მან მიპასუხა: „შენ მასზე ალკოჰოლის დაღვრას აპირებ?”. თითქოს ის ჩვენზე ღრმად მორწმუნე მუსლიმი იყო! ისიც ექაჩებოდა და მეც, შემდეგ მან უფრო ძლიერად მოქაჩა და მე იატაკზე აღმოვჩნდი. „ქრისტიანის შვილი, ქრისტიანის შვილი” – ამგვარად გაჰკიოდა. თავზე მადგა. იმ დროს ჩემი თმა, მართალია, გრძელი არ იყო, მაგრამ სქელი იყო. მაგრამ, მისმინე, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ნათესავები ვართ. ამიტომაც არ თქვა „ქრისტიანის ქალიშვილი”, არამედ „ქრისტიანის შვილი (ვაჟი)”. როცა ასე ვჩხუბობდით, ჩვენმა მოხუცმა კურბან ნენემ ჩავლისას შემთხვევით გაიგონა ხმაური. ის სასწრაფოდ გაიქცა მეორე რძალთან, რომელიც სახლში ცხოვრობდა და კივილი მორთო: „გაიქეცი, გაიქეცი. ფანი (ჩემი მეუღლე) მოკლავს მას! რაღაც ხდება! სხვა ქალები შემოვიდნენ, მაგრამ ამ დროს ჩხუბი უკვე დამთავრებული გვქონდა. მული სხვა ოთახში გავიდა. პლედიც გაიყოლა, და იმეორებდა: „ქრისტიანის შვილი, ქრისტიანის შვილი! მან აიღო პლედი, რომელსაც მე ვხმარობ”.

ამ დროს, მულის შვილი მუტებერი და რძალი ემინე თავიანთი პარალიზებული ბებიის სანახავად მოვიდნენ. მათ მითხრეს, რომ დაიცდიდნენ, სანამ სახლის საქმეებს მოვრჩებოდი. ისინი სახლის მეორე ნაწილში იყვნენ, როცა პლედი ავიღე და ჩხუბი მომივიდა. ჩვენი ჩხუბის დროს ერთ-ერთი მსახური გაიქცა და მუტებერს მოახსენა, რომ დედამისი მცემდა. ისინი მოვიდნენ. მაგრამ, როცა ორივე ძირს დაგვინახა, მუტებერი ჩემკენ გამოემართა და მითხრა: „როგორ ბედავ დედაჩემის ცემას”. იმ დროს ის დიდი იყო. მეორე დღეს ვნახე, რომ ის ისეთი დიდი აღარ იყო. მუტებერი კვლავ გამოემართა ჩემკენ და თმებით მითრია. ამ დროს ემინემ უთხრა: „სირცხვილია, ჭკუა ხომ არ და გიკარგავს?”, თუმცა მუტებერმა მცემა. მე არ ვიყავი მასავით ძლიერი.

მულმა დამტოვა თავის ქალიშვილთან ერთად და დერეფნისკენ გაემართა, თან იმეორებდა „ქრისტიანის შვილი, მეძავის შვილი, ჩემი პლედის წართმევას აპირებდი, არა!” იქვე ღუმელის გვერდით შეშის გროვა იყო. ერთი შეშა ავიღე და სწრაფად გავემართე, საკუთარი თავის კონტროლი დავკარგე და შეშა პირდაპირ კისერზე მოვუქნიე. ის დაეცა. გარკვეული დროის შემდეგ, როც პრასის სუპს ვამზადებდი და დერეფანში გავედი წყლის ასაღებად, უცებ ვიღაცამ ზურგზე დამარტყა ჩემი ქმრის ჯოხი. ჯოხი ორად გაიყო!... გავჩუმდი და მულმაც დამტოვა, ალბათ, გარკვეული გამარჯვების გრძნობით. მის შემდეგ მათ აღარ ველაპარაკებოდი”.

ა.ჩ.-ს მეუღლემ მოსამსახურისგან გაიგო, რაც მოხდა. სანამ დასაძინებლად წავიდოდნენ, ორივენი დუმილს ინარჩუნებდნენ. მოგვიანებით მეუღლემ უთხრა, რომ არასწორი იყო, მეორედ რომ მოინდომა პლედის აღება, თუმცაღა შესტკიოდა მასზე გული, რადგან სწორედ ის აღმოჩნდა ნაცემი. ასიემ შური იძია მეორე დღეს და თავის მულს სარდაფთან მისასვლელი კარი ჩაუკეტა. თუმცა მას მაინც ახსოვდა თავისი სირცხვილი, როცა მული კარის გაღებას ცდილობდა, სანამ არ აღმოაჩინა, რომ ის განზრახ იყო ჩაკეტილი.

ცოლ-ქმრის ურთიერთობა უფრო მეტად დაკავშირებული იყო ცნებასთან „პირადი დრო", ვიდრე ცნებასთან „პირადი სივრცე". ნუ.კ-ს განმარტებით „შენ გქონდა ღამეები, ღამეები შენი იყო!" მაგრამ ჩვეულებრივ, კაცები გარეთ იყვნენ ყავის სახლში ან სტუმრად, ქალები იძულებული იყვნენ გვიანობამდე დალოდებოდნენ სასაუბროდ, „მაშინ, როცა პრობლემა გქონდა ქმრის ნათესავებთან" თქვა ნუ.კ-მ. როდესაც სასაუბრო მომენტი დგებოდა, მაშინ უკვე კაცის გადასაწყვეტი იყო სიტუაციის დამშვიდება. „იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე არ გეტყოდათ მოგესმინათ მისთვის და ყურადღება არ მიგექციათ სხვებისთვის, სახლში დიდი აყალმაყალი იქნებოდა".

განმარტოება ან „მშვიდი დროს" პოვნა არ იყო იოლი, სერიოზულ მენეჯერულ უნარს მოითხოვდა. დამალობანას თამაშის მსგავსად ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, არავის შეენიშნე გარკვეულ დროს. იმის ჩვენება, რომ შხაპი მიიღე, ასოცირდებოდა ქმართან სექსის ქონასთან, როგორც ეს ისლამის მიხედვით იყო მიღებული: „მათ გაიგონეს ჭრიალი, მნახეს სველი თმით," გაიხსენა ნუ.კ-მ. ა.ჩ. ამას „შიშით ბანაობას", „დამალულ ბანაობას" ეძახდა. მან გაიხსენა შემთხვევა, როცა საპირფარეშოში მიმავალმა მამამთილმა შემთხვევით გამოიჭირა სააბაზანოში. ა.ჩ.-მ ჩაკეტა შიგნიდან და არ პასუხობდა მამამთილის დაძახილს. საცოდავი დაუსრულებლად აკაკუნებდა კარზე, სანამ ცოლმა არ დაუძახა. დედამთილი მიხვდა, რომ თავისი შვილი ან რძალი იმალებოდა შიგ და ადროვა მათ საკუთარ ოთახში გაპარულიყვნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ზოგიერთ შემთხვევაში რძლებს პატარა ოთახზე დიდ ადგილს აძლევდნენ, მათ შორის თავდაპირველად მცირე სივრცის მქონეებსაც. მსგავსი სიტუაცია დიდხანს აღარ გასტანდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, „დამკვიდრებული" რძლები ცალკე – საკუთარ სახლში გადადიოდნენ საცხოვრებლად, რაც, ფაქტობრივად, სტატუსის ცვლილების ნამდვილი რიტუალი გახლდათ. როგორც ნუ.კ-მ თქვა, „ამის შემდეგ უკვე მხოლოდ ერთი ადამიანისგან გჭირდებოდა ნებართვის აღება!" ეს ნიშნავდა, რომ შენი მეგობრების მოწვევა შეგეძლო, გექნებოდა შენი სამზარეულო და საკუთარი „წესები". თუმცა სახლის საქმე რჩებოდა „ისეთივე მძიმე, როგორც ადრე". მეო-

რე რძალი ნე.კ საოჯახო საქმეებს გულისწყრომით იხსენებდა, ამტკიცებდა, რომ ადრეული ახალგაზრდობა ენატრებოდა:

„15 წლის ასაკში დავინიშნე. უცებ აღმოვაჩინე რომ 35 წლის ვარ. თავი მოხუცებულად ვიგრძენი... ჩვენი ახალგაზრდობა დამქანცველ შრომაში გავატარეთ: არ იყო სარეცხი მანქანა, ჭურჭლის მანქანა, არ გვქონდა ელექტრობა. როგორც კი გათენდებოდა სახლის საქმეებს ვეშურებოდით. მოსამსახურეები გვყავდა, მაგრამ სრულად ვერ დავეყრდნობოდით. ყოველ დილით – ბავშვის საცვლები, ტანსაცმელი! ვფიქრობ, საკმაოდ კარგად გამოგვდიოდა, თან გართობასაც ვასწრებდით. სახლის დალაგებას და კარტის თამაშს ერთდროულად ვახერხებდით. მაგრამ, ვფიქრობ, ამგვარად ყოველგვარი ღონე გვეცლებოდა.“

რძლად ყოფნის პირველ პერიოდში რძლის სტუმრობას დედამთილი აკონტროლებდა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ პარასკევი ლეგიტიმური დღე იყო რძლისთვის საკუთარ ოჯახში სტუმრობისთვის, ნებართვის აღება ყოველთვის სტრესთან იყო დაკავშირებული. ე.დ. იხსენებს, თუ რა სიძნელეების გამოვლა უწევდა, როცა თავისი ნათესავების მიერ ორგანიზებულ, სპეციალურ რელიგიურ შეკრებაზე – მევლუდზე სურდა ხოლმე წასვლა. ცოლები ქმრების გარკვეულ წესებს უნდა დამორჩილებოდნენ. ს.ი. – უფრო მაღალი კლასის ქალბატონი იხსენებს, რომ გაფრთხილებული იყო, ფანჯრიდან არ გადაეხედა და კარი პირადად არ გაეღო. მამაკაცი, რომელსაც არ უნდოდა, რომ მისი მეუღლე „თავისი სოფლის” გლეხებს დაენახა, მოსამსახურეს ავალებდა კარის გაღებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაღალი კლასის ქალებისთვის ფანჯრები და კარი არ იყო ბუნებრივი ნაწილი საკუთარი სახლისა. თუმცა, ოჯახში შესაძლებელი იყო რადიკალურად განსხვავებული სურათი ყოფილიყო. მაგალითად, ს.ს. იხსენებს, პატარაობისას მამამისი აწყობდა სპეციალურ გასართობ საღამოებს და თავის ცოლს სთხოვდა მუსიკა დაეკრა, რათა ქალიშვილებს ეცეკვათ.

რადგან სახლის თითოეული სექცია საკმაოდ პატარა იყო, დეკორაცია გახლდათ ერთადერთი საშუალება – განგესხვავებინა საკუთარი სხვისგან. კერვა და სხვა ხელსაქმე გახლდათ ამ განსხვავების შემქმნელი საშუალება. ნემსის ისეთი გამოყენების სწავლა, რომელიც უცხო იყო სხვებისთვის, გარკვეულ პრივილეგიას განიჭებდა თანატოლებთან მიმართებაში. შედეგი ამ მუშაობისა შეგეძლო გეჩვენებინა იქ, სადაც გალამაზების უფლება გქონდა: რძლების ოთახში ან სამზარეულოში. ქალების უმეტესობა ადრეული ასაკიდანვე სწავლობდა მაგიდის, საწოლის გასაფარებლების და ფარდების კერვას. დედებს ერჩიათ თვითონ ეკეთებინათ სახლის საქმეები, ოღონდ თავიანთ ქალიშვილებს კერვა ესწავლათ. ეს იყო სწავლება, თუ როგორ გამო-

ეყენებინათ დრო მოსაწყენ საშინაო ცხოვრებაში. „ხელსაქმე გააკეთე" – ეტყოდა მ.ნ-ს დედა, როგორც კი უქმად მყოფს შენიშნავდა. როგორც ხელსაქმე, ასევე საკუთარი ბაღის მოვლა წარმოადგენდა შენს განმასხვავებელ ნიშას. ზოგიერთ ქალს გარკვეული რეპუტაცია გააჩნდა საკუთარი ბაღების გამო და ქორწილებსაც კი მასპინძლობდნენ იქ. ბევრი მათგანი პატარა ბავშვივით აღმერთებდა მათ და „ერთგული" მზრუნველები რჩებოდნენ იმ დაკარგული ბაღებისა.

გოგონები მშობლებთან ერთად იშვიათად მიდიოდნენ სტუმრად. ისინი, ძირითადად, სახლში რჩებოდნენ და ხელსაქმით იყვნენ დაკავებული. თუკი ქალიშვილები დედებს გაჰყვებოდნენ სტუმრად, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ ლაპარაკი, როცა შეკითხვას დაუსვამდნენ. ზოგიერთი ტოლერანტი მშობელი შეკრებებს აწყობდა საკუთარ სახლში. ნ.კ.-ს ახსოვს მთელი წლის მანძილზე გაგრძელებული წვეულებები, სადაც ის საჭმელებს ამზადებდა, ცეკვავდა და მღეროდა მეგობრებთან ერთად. სამწუხაროდ, წვეულებების ჯაჭვი შეწყდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა სტუმარმა სცადა საცოლეს მოტაცება წვეულებიდან.

კვარტლები და სამეზობლო: შიგნით, გარეთ და ქუჩები

ტირებოლუ განთავსებულია საკმაოდ შემოსაზღვრულ ლანდშაფტზე, მდებარეობს ორ მთავარ გზაზე: ერთი თარიღდება ოტომანთა პერიოდით, მეორე კი აგებულია 1950-იან წლებში. ქუჩა-კიბეები ზოგჯერ ერთადერთი გზაა ზედა სამეზობლოში ასასვლელად, და რამდენიმე საათი საკმარისი იყო ქალაქის მთლიანად შემოვლისათვის. ეს კომპაქტური ტერიტორია იყოფოდა რამდენიმე კვარტლად (მიწის ნაკვეთად): ჩარში მაჰალესი, სელიმაღა, იენიქოი, ჰამამ მაჰალესი, მეზარლიქბაში, ჯინთაში, ჩათალი, ონდორთ ევლერ, ჰუქუმეთ, ფარქ, ერმენი მეზარლიღი, ქალედიბი, ქირსებურნუ, ქორლიმანი და სხვ. ზღვის სანაპირო და კლდეებიც საკუთარი სახელებით იყო აღნიშნული: ილგინი, პლაჟი, ბეიგირ ქუმუ, ბარაბუთი ან უსთრამა, უზუნთაში, ქაბათაში, გირესუნ თაში, ფირინ თაში.

ქალთა ნარატივებმა ამ ადგილების შესახებ გამოავლინა, რომ წარსულში თითეულ კვარტალს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, რომლის გადალახვაც რთული იყო. ნ.კ. იხსენებს, რომ იენიკლის კვარტალში მცხოვრები ოჯახი მოსთქვამდა თავისი ახალგათხოვილი გოგოს წასვლის გამო კალე დიბიში, რომელიც მხოლოდ 15 წუთის სავალით იყო დაშორებული. გირესუნიდან მოსული სარძლო, რომელიც მხოლოდ 30 მილითაა დაშორებული ტირებოლუდან, ითვლებოდა, რომ ემიგრაციაში იმყოფებოდა, რაც მისთვის სახლის მონატრების ტოლფასი იყო. „ჩვენ გვეცოდებოდა ის სარძლო, რომელიც მისი ბუნებრივი სამეზობლოს გარეთ თხოვდებოდა", – იხსენებს ე.დ. ნუ.კ. აღია-

რებს, რომ მისი ყველაზე დიდი ბავშვობისდროინდელი შიში დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მისი და ცოლად არ გაჰყოლოდა ვინმეს გირესუნიდან. დამკვიდრებული აზრი იყო, რომ „კარგი მდგომარეობის" ოჯახები არ გააგზავნიდნენ თავიანთ შვილებს შორს და მხოლოდ გაჭირვებულები იყვნენ იძულებულნი ასე მოქცეულიყვნენ. მისი თქმით, ბევრი მშვენიერი გოგო იყო უმამობის მსხვერპლი, და ეს იყო სოციალური წესი, რომელიც კლასზე მაღლა იდგა. ქალაქური ქორწინებების შესანარჩუნებლად იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენდა beşik kertmesi,* რომელსაც ბევრი ოჯახი მისდევდა და გულისხმობდა ჩვილი ბავშვების მშობლებს შორის საქორწინო შეთანხმებას. ვინაიდან ქალებს არ ჰქონდათ დიდი მობილობის საშუალება ქალაქის ფარგლებში, სამეზობლო, სადაც ის ცხოვრობდა, ფაქტიურად წარმართავდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას. მცირე ვიზიტების გარდა, რომელიც ხორციელდებოდა მისი მეუღლის ან მისი ქმრის ნათესავების ნებართვით, მათი ყოველდღიური რუტინული ცხოვრება ჩაკეტილი იყო სამეზობლოს საზღვრებში, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებდა როგორც მისი საცხოვრებლის გაგრძელება. ქალაქის სხვა ნაწილების და ხალხის შესახებ ახალი ამბების ქსელი თქვენამდე მოაღწევდა, როგორც „სამეზობლო თემის" ამბები. უმეტეს შემთხვევაში, მეზობლები ან „საუკეთესო მეგობრები" ხდებოდნენ ან კიდევ თქვენ უნდა ყოფილიყავით ტოლერანტი, რომ გქონოდათ ყოველდღიური ასატანი ცხოვრება. ბერძნებისა და სომხების შესახებ ხსოვნა შემორჩენილია, როგორც „კარგი მეზობლების" იმიჯი.

შემოსაზღვრულ გეოგრაფიაში მოცემული ლანდშაფტის გამო ტირებოლუს სახლები დაკავშირებული იყვნენ მიხვეულ-მოხვეული უკანა ქუჩებითა და კიბეებით. ფაქტობრივად, სამეზობლოს საზღვრები განპირობებული იყო უკანა კარებით ერთმანეთთან დაკავშირებული კერძო ქსელებით. ქალებს უშუალოდ მათი სახლის კარს გარეთ არსებული სივრცე თავიანთი კარ-მიდამოს გაგრძელებად მიაჩნდათ, სადაც უკანა ქუჩები და დამაკავშირებელი კიბეები ფუნქციონირებდნენ როგორც სახლის ეზო, სადაც მეზობლებს შეეძლოთ შეკრება და საუბარი ხელსაქმის პარალელურად. ე.დ. იხსენებს რომ ახალგაზრდობაში უნდა შეხვედროდა თავის მეგობრებს საღამოობით ხის ქვეშ, სამეზობლოს მცირე მოედანზე. ბავშვებს, რასაკვირველია, სამეზობლოში გადაადგილების უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდათ. როდესაც დედები მოიწვევდნენ თავიანთ ახალგათხოვილ ქალიშვილებს, რომლებიც გადასახლდნენ სხვა სამეზობლოში, მათ ადვილად შეეძლოთ ამ-

* *beşik kertmesi* აღნიშნავს წესს, როდესაც ორი ოჯახი გადაწყვეტდა დანათესავებას მათი მცირეწლოვანი ან ახალშობილი ბავშვების მომავალში დაქორწინების გზით, ანუ აკვანშივე დანიშვნას. პირდაპირი თარგმანით ნიშნავს აკვნების გადაბმას, შეხებას.

ბის მიტანა ბავშვების მეშვეობით. სხვა სიტყვებით, დისტანციის სოციალური შეხედულება ზრდასრულებისთვის დამაბრკოლებელი იყო, ბავშვებს კი თავისუფლად შეეძლოთ საზღვრების გადალახვა ფიზიკური გაგებით.

სამეზობლოს ფარგლებში ყოველდღიური ჩაცმულობა მისაღები იყო. მაგრამ ქალს უნდა დაეცვა კონკრეტული ჩაცმულობა უფრო საჯარო ქუჩაში გამოჩენისას, საბაზრო ადგილებში, სხვა სამეზობლოებში. ბევრი ჩემი ინტერვიუერი სპეციფიურად ხაზს უსვამს ჩაცმულობას საზოგადოებრივ ადგილებში. ეს საკითხი გახდა უფრო მეტად მნიშვნელოვანი კანონით განსაზღვრული ჩაცმულობის რეფორმის შედეგად, რომელიც ეხებოდა არჩევანს ნაციონალურ-მოდერნისტულსა და ტრადიციულ-კონსერვატიზმს შორის. პირბადე (ჩადრი) არ უნდა ეტარებინათ, მაგრამ რითი ჩაენაცვლებინათ ის საზოგადოებრივ ადგილებში – ეს იყო მნიშვნელოვანი იდენტობის მანიშნებელი იყო ბევრი ქალისთვის. თავშლის ტარება შარფის ნაცვლად იყო კონსერვატიული არჩევანი. მ.ნ. იხსენებს დედამისს, რომელიც ატარებდა თავშალს და პალტოს გრძელი *ჩარშაფის* ნაცვლად. ს.ს. ამაყად ადასტურებდა, რომ არასოდეს გასულა გარეთ მხოლოდ შარფით, ის ყოველთვის თავშალს ატარებდა“. ბევრი მათგანი ხაზს უსვამდა, რომ არასოდეს გასულა გარეთ მხოლოდ კაბით, არამედ ყოველთვის ეცვა ზემოდან პალტო.

თუმცა, ახალგაზრდა თაობას ახსოვდა განსაკუთრებული ქალების იერი ქუჩებში. მათ შორისაა ჰაფიზ ზეჰრა, ძალიან მსუქანი ქალბატონი: ის ყოველთვის დადიოდა თავისი მოახლის თანხლებით, რომელიც ხელით დაატარებდა სკამს, რომ მომსახურებოდა თავის ქალბატონს, როდესაც ის დაიღლებოდა. რასაკვირველია, ჰაფიზ ზეჰრა წარჩინებული კაცის ცოლი იყო და შეეძლო შეეცვალა „წესები“. მეორე ასეთი ქალბატონი იყო მურვერ ჰანიმი, რომელიც ატარებდა შავ პირბადეს და საკუთარ ცხენს თავს ქოლგით უფარავდა. ფაქტობრივად, ცხენზე მოჯირითე ქალის გამოჩენას სპეციფიური მესიჯის ხასიათი უნდა ჰქონოდა. უფრო კონსერვატიულ ქალებს ცხენებით სიარული შეეძლოთ მხოლოდ ქალაქის შესასვლელ კარიბჭემდე და შემდეგ ფეხით გაევლოთ დარჩენილი მანძილი. შედარებით „გამორჩეულებს“ შეეძლოთ გაევლოთ ქალაქის ქუჩებში ცხენით და ჩამოქვეითებულიყვნენ მხოლოდ საკუთარი სახლის კარის წინ.

დამოკიდებულება კონსერვატიზმსა და მოდერნიზმს შორის რთული იყო. ბევრი ადამიანი ტირებოლუში ლოიალობას იჩენდა ქემალ ათათურქის და მისი რეფორმების მიმართ. ამდენად, მათი ცოლებისათვის თავღიად გამოსვლის ნების მიცემა ნიშნავდა მათთვის საკუთარი ხიდის გადებას წარსულსა და თანამედროვეობას შორის ახალი ნაციონალური იდენტობისაკენ. მაგრამ ყველა ქალს არ შეეძლო ადაპ-

ტირება სწრაფი ცვლილებებისადმი. ა.კ. უარი განაცხადა მისი ქმრის სურვილზე – თავდაუბურავი გასულიყო ქუჩაში. ის იხსენებდა, თუ როგორ ეუბნებოდა მეუღლე: „შენ შეგიძლია ატარო შენი თავსაფარი როდესაც მიუახლოვდები სახლს, თუკი ჩემი მშობლების აზრი გაბრკოლებს“, მაგრამ ის არ დაემორჩილა.

ქალის სხეული, როგორც უკანასკნელი ნავსაყუდელი

თავსაბურავის მოხსნა არ იყო იოლი ცვლილება, მაგრამ მთლიანობაში სხეულის გამოჩენა მეტად პრობლემური იყო, იმისდა მიუხედავად, რა გეცვა და სად მიდიოდი. ბევრი ქალი იხსენებს ძლიერ ბრაზს საკუთარი სხეულის მიმართ, როცა წამოიზრდებოდნენ. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო გოგონების მოტაცების ტრადიცია, თუმცა მომტაცებელი შესაძლოა საქმრო ყოფილიყო. თუკი სასიძოს ოჯახს არ ჰქონდა ქორწილის გამართვის საშუალება, მათ შეეძლოთ წაეხალისებინათ სასიძო – მოეტაცა თავისი შეყვარებული. ე.დ. იხსენებს, თუ როგორ ეშინოდა საქმროსი. უსაფრთხოების მიზნით, ის ერიდებოდა ვიზიტებს საკუთარ ნათესავებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ მის მომავალ მოკეთეებთან. სამწუხაროდ, ის მაინც მოიტაცა საქმრომ და დღემდე განიცდიდა, რომ არ ჰქონდა შესაფერისი ქორწილი და მზითევი, რასაც იმსახურებდა.

ჩვეულებრივ, ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც გადაწყვეტდა ამ საქმეს, დეტალურ გეგმას ადგენდა. პატარა ქალაქში, რთული არ იყო ჭორს მიეღწია ახალგაზრდა გოგოს ოჯახის ყურამდე. ერთხელ, დედამ გაიგო, რომ მისი შვილის საქმრო ემზადებოდა მოსატაცებლად. მან მაშინვე შეუთვალა ოჯახს, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა სტუმრად, დაეცვათ იგი (არ გამოეშვათ). აღტკინებულმა საქმრომ დაიბანაკა ამ სახლის წინ და ყვიროდა – მიეცათ გოგო, ქვებიც კი ესროლა ფანჯრებს. საბოლოოდ, მან წარმატებას მიაღწია – შეაღწია სახლის წინკარში თოფით, მაგრამ სხვათა ხელშეშლით გონს მოვიდა და უკან გაბრუნდა. ნათელია, რომ ეს შემთხვევა არ იწვევდა ქორწილის ხარჯების ეკონომიას, მაგრამ იყო როგორც რეაქცია ქორწილის გადადებაზე სარძლოს ოჯახის მხრიდან. სხვა შემთხვევაში, როცა გოგოს და ბიჭის ოჯახები ვერ რიგდებოდნენ, ბიჭს არჩევანი არ ჰქონდა, გარდა მოტაცებისა, რათა დაქორწინებულიყო მასზე, ვინც უყვარდა. ის მოემზადა ამისთვის თავის ბიძაშვილთან ერთად, რომელიც უნდა დახმარებოდა. მოტაცების დღეს, როდესაც ბიძაშვილმა გადადგა პირველი ნაბიჯი და ხელი მოჰკიდა გოგოს წელზე, მას აუცილებლად უნდა ეთქვა გოგოსთვის, რომ მას იტაცებდნენ მისი ბიძაშვილისთვის და არა მისთვის.

მოტაცების ნარატივები წარმოადგენს გოგოების საუბრების რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც თითქმის საშინელებათა ფილმის ეფექტი ჰქონდა, როცა ისინი წამოიზარდნენ. საკუთარი სხეული, როგორც სიმაგრე, ისე უნდა დაეცვათ და მისი დაცვის მთელი პასუხისმგებლობა მათ მხრებზე იყო, ვიდრე დაქორწინდებოდნენ. მომტაცებელს არ სჭირდებოდა შორს წასვლა. ჩვეულებრივი ფაქტი, გოგოს სხეულზე ძალადობრივად ხელის მოხვევა საკმარისი იყო. მამაკაცის შეხებას ან მამაკაცისგან თვალის შევლებასაც კი უნდა მორიდებოდნენ. ნუ.კ. გაიხსენა, თუ როგორი ღრმა სირცხვილის განცდა დაეუფლა, როდესაც მას გაეხუმრა მისი ბიძაშვილი, რომელიც მის საქმროს ახლდა მხიარული დღესასწაულის დროს. როდესაც მან მიიღო შეთავაზება ბიძაშვილისაგან მანქანით გასეირნების შესახებ, რაც ძალიან გავრცელებული მოვლენა იყო 1930-იან წლებში, მან გაიაზრა, რომ მისი საქმრო იჯდა მანქანაში. გოგონამ მაშინვე დაიწყო ტირილი და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როდესაც მანქანის კარი დაიკეტა. ე.დ. გაიხსენა სხვა მსგავსი შემთხვევა: როცა საკუთარი სახლის წინ ისხდნენ გოგონები, მათ აღმოაჩინეს, რომ მათ ნავიდან პროჟექტორის სხივი აშუქებდა. ისინი გაიფანტნენ შეშინებულები და შეწუხებულნი იყვნენ იმით, რომ გაჩნდა მასალა პოტენციური ჭორისთვის.

ქალის სხეული შესაძლოა მისი უკანასკნელი თავშესაფარი ყოფილიყო უკან დასახევად. თუ სხვაგან ვერსად, ქალს შეეძლო საკუთარ სხეულს შეკედლებოდა „მდუმარედ“. ქორწინების პირველ კვირაში, ზოგიერთი პატარძალი ინარჩუნებდა დუმილს, რაც ქორწინების შემდგომი რიტუალის ნაწილს წარმოადგენდა და მას *gelinlik tutmak* ეწოდებოდა. ჩვეულება აიძულებდა მას უარი ეთქვათ ლაპარაკზე, ვიდრე დედამთილი არ მიიწვევდა საამისოდ. ტრადიცია გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც, სხვა სახლეულის ვიზიტისას, სადაც ახლად დაქორწინებული პატარძლები ძლივს ამბობდნენ ერთ სიტყვას. სხეული, როგორც ქორწინების წინ ყველაზე მოწყვლადი ადგილი, საკუთარი განმარტოების ადგილად გადაიქცეოდა ხოლმე ქმრის ნათესავებთან.

საჯარო გასართობი ადგილები: ჰამამი, კინო და პარკი

ყოველდღიური სამუშაო რუტინის გვერდით, ქალების დაშვება საჯარო ადგილებში რეგულირდებოდა და ზოგჯერ განსჯის საგანი ხდებოდა. ანატოლიის სხვა ქალაქების მსგავსად, საზოგადოებრივ აბანოს, ჰამამს, ცენტრალური ადგილი ეჭირა ტირებოლუს ქალთა სოციალურ ცხოვრებაში. კვირაში ერთხელ თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც, ქალი დადიოდა ხანგრძლივ საბანაო პროცედურებზე, რომლისთვისაც სამზადისი გაცილებით ადრე უნდა დაეწყოთ. ქალე-

ბის უმრავლესობისათვის ჰამამი იყო ლეგიტიმური ადგილი, სადაც საჯაროდ შეეძლოთ ეჩვენებინათ თავიანთი განსაკუთრებული უნარები საჭმლის კეთებაში, ამბების მოყოლაში, სიმღერასა ან ცეკვაში, აგრეთვე, გამოემზეურებინათ თავიანთი მშვენიერება და მატერიალური სიმდიდრე: შიშველი სხეული და ოქროს სამკაულები.

წარჩინებულ ქალებს თავიანთი არაფორმალური დაჯავშნილი ადგილები ჰქონდათ. მ.ნ.-ს ახლაც ახსოვს ჰამამის პროცედურები, თელლაკის (ჰამამის პატრონი) ხმამაღალი შეძახილებით: „რაბია ხანუმი აქ არის? აზიზე ხანუმი მოვიდა? მუტებერ ხანუმი მოვიდა? შეუნთეთ ცეცხლი, შეუნთეთ ცეცხლი!" უეჭველია, რომ ჰამამი ასევე იყო სოციალური და კლასობრივი იერარქიის ადგილი, რაც დიდწილად დამოკიდებული იყო მათი ქმრების ან მამების რეპუტაციაზე. დღეს მ.ნ. წუხს იმაზე, რომ ისინი ემორჩილებოდნენ ამ წესებს: „ჩვენ ვიხდიდით იგივე თანხას, რასაც ისინი იხდიდნენ", ამბობს ის, – „რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ჩვენ მაინც იგნორირებული ვიყავით, ეს იყო სიმდიდრის ხანა და ჩვენ მას პატივს მივაგებდით".

ზოგიერთ წარჩინებულ ოჯახს ჰქონდა ტრადიცია – დაეჯავშნა მთელი ჰამამი, კერძოდ, განსაკუთრებული შემთხვევების დროს, მაგალითად, ქორწილების ან სოფლებიდან და მთებიდან ქალაქში დაბრუნებისას. ჰამამის რიტუალებში მთავარი ადგილი ეკავა საკვებს. ნ.კ.-ს ჯერაც ახსოვს მჟავეულის და ხილის გემო, რომელსაც იგი ამზადებდა და ჰამამის სუფრაზე მიჰქონდა გასამასპინძლებლად. მუსიკა და ცეკვა იყო ასევე გამასპინძლების ნაწილი. ჩვეულებრივ დიდ ქვაბებს გადმოატრიალებდნენ და იყენებდნენ მუსიკალური აკომპანიმენტისთვის, ქალებთან ერთად, რომლებიც უკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე.

ერთკვირიანი საქორწინო ცერემონიები მოიცავდა ჰამამის ნაწილს სამშაბათობით, თუკი მასპინძელი ოჯახი მდიდარი იყო. ქორწილები ორგანიზებული იყო იმგვარად, რომ აძლევდა საშუალებას ოჯახებს, მისი ნაწილების ადაპტაცია მოეხდინათ და წარემართათ ის ეკონომიური მდგომარეობის შესაბამისად. კვირა იყო საპატარძლოს მომზადების დღე მომავალი ქორწილისთვის: კიდურების ცვილით დაზელვა, წარბების გაკეთება, რომელსაც საკუთარ სახლში ინიციაციის სახე ჰქონდა. ორშაბათს იშლებოდა სუფრა საპატარძლოს უახლოესი მეგობარი გოგონებისთვის. თუკი სარძლოს ოჯახს ამის საშუალება ჰქონდა, სამშაბათი გამოყოფილი იყო ჰამამისთვის. ოთხშაბათს სასიძოს ოჯახი უნდა მოსულიყო სარძლოს ოჯახში საქორწინო სამკაულით. ხუთშაბათს, ოჯახს მიჰყავდა ქალიშვილი მისი მშობლების სახლიდან ბანკეტზე თავის სახლში. მომდევნო დღე თაფლობის დღე იყო, როგორც ამას უწოდა ნ.კ-მ, რომელსაც მოყვებოდა საპატარძლოს მონა-

ხულების ერთკვირიანი პერიოდი (*gelin bakma*). ამ დროის განმავლობაში პატარძალი საქორწინო კაბით იყო შემოსილი.

რელიგიური დღესასწაულების დროს, ტირებოლუს, სხვა ქალაქების მსგავსად, გააჩნდა თავისი საკუთარი ფესტივალების ადგილი – კარუსელებით, აკრობატებით და სხვა პერფორმანსებით. მათ შორის, კარუსელებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბევრი ქალის მეხსიერებაში თავის საქმროსთან დაკავშირებით. ჩვეულებრივი ამბავი იყო ახალგაზრდა კაცისთვის, დალოდებოდა თავის დანიშნულს კარუსელთან და გადაეხადა თანხა. მოგვიანებით, კარუსელი შეცვლილი იქნა ავტომობილის ტურით. ორივე შემთხვევაში ფლირტი მთლიანად ფესტივალების არეალში ხდებოდა. თეატრი და კინო იმ საზოგადოებრივ ადგილებს შორის იყო, სადაც ქალებს ლეგიტიმურად ჰქონდათ შეღწევის უფლება გართობისთვის. ტირებოლუს ჰქონდა თეატრის შენობა, რომელსაც ნ.კ. და ნ.მ. უწოდებდნენ „იმაზე უკეთესს, ვიდრე სტამბულშია!" თეატრს ჰქონდა კერძო ლოჟები ოჯახებისთვის, რომ ეცქირათ საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობებისათვის. მას ასევე ჰქონდა მუსიკალური საკონცერტო დარბაზი, სადაც მთელი ოცდაათიანი წლების განმავლობაში ჯაზის პერფორმანსი იმართებოდა. კინოში წასვლა მარტო ან ოჯახთან ერთად – ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო 30-იანი წლების ქალებისათვის. განსაკუთრებით, კვირაობით, კინოთეატრები (ერთი მათგანი ყოფილი ეკლესია იყო, გადაკეთებული თეატრად, მეორე – ახლადაშენებული), სპეციალურ სეანსებს აწყობდნენ ქალებისა და ბავშვებისათვის. ნ.კ.-ს მიხედვით, ორმოციანების ბოლოს, მოდაში იყო ლავაშის ჭამა სახლში და მერე კინოში წასვლა. თუმცა, ზოგიერთი ქალი აღიარებს, რომ ისინი კინოში მეუღლისგან მალულად დადიოდნენ.

მეორე საჯარო გასართობი სივრცე იყო რესპუბლიკის პარკი. პარკი იმ ადგილას გაშენდა, სადაც ოდესღაც იდგა ეკლესია, რომელიც ეთნიკური წმენდის შემდეგ დაანგრიეს. პარკის დიზაინი იმგვარი იყო, რომ ხალხს შეეძლო ჩამოჯდომა და დალევა აუზის გარშემო და მისი გამოყენება საცეკვაო პლატფორმად. ტირებოლუს პირველი თაობის „გამოსულმა ქალებმა" მამაკაცებთან საჯარო ცეკვის გამოცდილება აქ შეიძინეს. ს.კ. იხსენებს, მისი მშობლების რეგულარულ ვიზიტებს პარკში და დედამისის ელეგანტურ, საკმაოდ ძვირფას საღამოს კაბას, რომელიც დაიხა პარკის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ საღამოზე. ეს წვეულებები ჩვეულებრივ *სახალხო სახლების* (Halkevleri) აქტივობების ნაწილი იყო. როგორც სხვა ადგილობრივ თემებში, *სახალხო სახლების* აქტივობების მიზანი იყო გავრცელება რესპუბლიკური რეფორმებისა, რომლებიც სრულად ვერ ახდენდა ადგილობრივი ხალხის მობილიზებას. საოჯახო ყოფით შემოფარგლულ ზოგიერთ ქალს, მსგავსად ნ.კ.-სა, შეეძლო გამოეხატა: „მე არ ვიცოდი *სახალხო*

სახლებისა და მსგავსი რაღაცეების შესახებ", და ასკვნის: „წარმოგიდგენია, ისინი წასვლის ნებას გვრთავდნენ". თუმცა, ს.ს. ამბობს, რომ მისი ქმარი დადიოდა იქ მუსიკის დასაკრავად. როდესაც ჰკითხავ, თავად მიდიოდა თუ არა იქ, ის დასძენს: „ეს არ იყო მიღებული, ჩვენ კონსერვატორები ვიყავით". მ.ნ.–ს მიხედვით, ერთადერთი აქტივობა, რომელიც ასოცირდებოდა მისთვის *სახალხო სახლებთან,* იყო ხელსაქმის გამოფენები, რომელსაც ესწრებოდა საღამოობით ბავშვობის წლებში. ს.ე.-ის მიხედვით, მიზეზი, თუ რატომაც არ დადიოდა იმ ადგილებში, იყო ის, რომ მისი ქმარი ეჭვიანი იყო და არ აძლევდა უფლებას გამოჩენილიყო ამგვარ საჯარო ადგილებში. მაშინ, ვინ ესწრებოდა *სახალხო სახლების* ამგვარ აქტივობებს? ესენი იყვნენ ძირითადად სახელმწიფო მოხელეები, მაგალითად გამგებელი, მოსამართლე, ბანკის თანამშრომლები, მათი ცოლები და ბავშვები. ერთადერთი ადგილობრივი წარმომადგენლები იყვნენ პარტიისა და *სახალხო სახლების* უფროსები. ს.ს., რომელიც იყო მმართველის (გამგებლის) მეუღლის მეგობარი, სტუმრობდა მას სახლში, მაგრამ არ დადიოდა *სახალხო სახლებში,* რომელთანაც ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ, ს.ს. გახდა ყველაზე მხურვალე პროპაგანდისტი დემოკრატიული პარტიის ოპოზიციისა პირველი საარჩევნო კამპანიის დროს და არ რცხვენოდა ტირებოლუს გარშემო სოფლებში სტუმრობა სხვა პარტიის ქალებთან ერთად. „ჩვენ გვყავდა ჩვენი ცხენები, – იხსენებს ის, – და დანები, დამალული კაბების ქვეშ". ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ყველანი შემოსილები და თავსაფრიანები, გვევლო დღითა და ღამით და დაგვერწმუნებინა ხალხი, მიეცა ხმა დემოკრატებისთვის. შესაძლოა, გლეხებს მისთვის ეწოდებინათ ზაჰურიე ემი, „დეიდა ზაჰურიე!" ამდენად, საჯარო სივრცის ლეგიტიმურობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მოახერხებდი ადგილის გამოყენებას შენი მობილობის ლეგიტიმიზაციისათვის. *სახალხო სახლებში* სიარული დიდ გაბედულებად მოჩანდა, დემოკრატიული პარტიის კამპანიისთვის მთის სოფლებში სიარული კი არ წარმოადგენდა რაიმე პრობლემას.

ქალაქგარეთ: მთები, სოფლები და პიკნიკები წყაროებთან და მდინარის პირას

ზამთრის ყოველდღიური რუტინული ცხოვრება იცვლებოდა გაზაფხულის დასაწყისიდან ზაფხულის ბოლომდე. გაზაფხულის დღესასწაულს აღნიშნავდნენ, როგორც სახალხო ზეიმს ტირებოლუში და მის მახლობლად ბევრ ადგილას. ზოგიერთი მიდიოდა კირსებურუნში (ეკლესიის კონცხი), სხვები კი თავიანთ საოჯახო თხილის ბაღებში. ბრინჯით დატენილი შემწვარი ცხვრის ხორცი ტრადიციული საკვები იყო ბორეკთან (ღვეზელთან) და ტოლმასთან ერთად, რომელიც წი-

ნასწარ დიდი რაოდენობით მზადდებოდა დღესასწაულების დროს. ხეების ქვეშ, ხალხური სიმღერის შემსრულებლები უკრავენ ლოკალური სიმებიან ინსტრუმენტზე (bağlama), ხოლო დასარტყამი ინსტრუმენტების კონსტრუირება ხდებოდა საჯარო სარგებლობისათვის. პიკნიკი და სხვა ღონისძიება, ჩვეულებრივ, ტარდებოდა კორლიმანის (ძველი პორტი) ტერიტორიაზე, სადაც ქალები და ბავშვები რეგულარულად მიდიოდნენ, რომ ენახათ ყოველკვირეული საფეხბურთო თამაში, რომელიც პიკნიკის დროს იმართებოდა.

ზაფხულის განმავლობაში, ბევრი ოჯახი მიდიოდა მთაში, იალაღზე, რომ ზამთრისთვის მოემარაგებინა საკვების ნაწილი – ყველი, თაფლი და ჩირი. ს.ს. იხსენებს, რომ ისინი ხუთ თვეს ატარებდნენ მთებში, იალაღზე, რომელიც მალარიისგან თავდაცვის საშუალება იყო. იალაღზე ცხოვრება იყო აგრეთვე ქალაქის მკაცრი წესებისაგან თავის დასაღწევი ადგილიც. ბევრი ქალი და ახალგაზრდა გოგონა ცხენზე ჯირითობდა და ეს უფრო ფართო ნებადართული სივრცე იყო სამოძრაოდ. უფრო მეტიც, უმეტესი ოჯახებისთვის, რომელებიც ზამთრის განმავლობაში შემოზღუდული იყვნენ რამდენიმე ოთახით, მთაში ასვლა საშუალებას აძლევდა გადაელახათ შეზღუდული სოციალური სივრცეები. ს.ს. იხსენებს საკუთარ თავს, როგორც მთის გოგოს და ამაყად ყვება, რომ ის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი მეგობრები, მათ შორის მისი ტოლი ბიჭები და მისი საკუთარი საქმროც. ის ასევე იხსენებს, რომ მიუხედავად მძიმე შრომისა, მთაში ცხოვრება არ იყო მოსაწყენი დედასთან და სხვა ასაკოვან ადამიანებთან ერთად. „ჩვენ ჩვეულებრივ ყოველდღიურად მივდიოდით სხვა წყაროსთან და იქ გვქონდა პიკნიკი“. ყოველ წყაროს თავისი საკუთარი მახასიათებელი ჰქონდა, რაც წყლის გემოზე იყო დამოკიდებული. თითოეული წყარო მათი საცხოვრისის გარშემო არსებული ლანდშაფტის განმსაზღვრელი მარკერი იყო, ამიტომ თითოეული მათგანი ყოველწლიურად უნდა მოენახულებინათ, როგორც ტაძარი.

იალაღის მსგავსად, სოფელი იყო მეორე საზაფხულო დასასვენებელი ადგილი. საკუთარი მინდვრებისა და თხილის ბაღების მქონე ოჯახები მოსავალს აგვისტოში იღებდნენ. საამისოდ, მთელი ოჯახი უნდა წასულიყო და დროებით დასახლებულიყო ოჯახის კუთვნილ სოფლის სახლში. როგორც ა. ჩ. ამბობს:

„იმ პერიოდში ჩვენ უნდა ჩაგველაგებინა ყველაფერი და წავსულიყავით სოფელში. ზოგჯერ მძიმე ავეჯიც უნდა წაგველო თან. ახლა, მათ შეუძლიათ თავიანთი ბიზნესის წარმოება ტირებოლუდან, იმიტომ რომ უამრავი მანქანა მოძრაობს ამ გზაზე. მაშინ ჩვენ არ გვქონდა გზები, და ერთხელ წასულები, უნდა დავრჩენილიყავით მოსავლის შეგროვების დასრულებამდე.”

თხილის მოსავლის აღება ნიშნავდა ძალიან ბევრი მუშის ხელ-

მძღვანელობას. ბევრი ქალისთვის ის ნიშნავდა უფრო მოუცლელ ცხოვრებას, ვიდრე ტირებოლუში: დრო გადიოდა მომუშავეებისათვის სადილის მომზადებაში, სამუშოს გაკონტროლებასა და საჭიროების შემთხვევაში სხვა დახმარების გაწევაში. მიუხედავად ამისა, ადგილის შეცვლა, ღია სივრცეში შეღწევა, და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის გარეთ, მინდვრებზე გასვლის ნებართვა – იყო დიდი მიღწევა.

ტირებოლუ შედარებით პერსპექტივაში

ს.ი., რომელიც წარმოშობით გირესუნიდან იყო, უშუალო სამეზობლო ქალაქიდან, ამაყად საუბრობდა თავისი ცხოვრების შესახებ ტირებოლუში, სადაც ის მოვიდა ახალგაზრდა პატარძლის სახით. მისი და მოხიბლული იყო ტირებოლუს სოციალური ცხოვრებით: „როგორი ტკბილი ცხოვრებაა", იტყოდა ხოლმე ის, „როგორი საამური ცხოვრებაა!" რასაკვირველია, ს.ი. იყო წარმატებული მეწარმის ცოლი ტირებოლუში და შედარებით დალხენილი ცხოვრება ჰქონდა, მის განკარგულებაში იყვნენ მსახურები და გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდა წასულიყო სავაჭროდ სტამბულში. გირესუნი და ტრაპიზონი, ტირებოლუს საპირწონედ, გამოცხადებული იქნა ვილაიეთებად, „ქალაქ პროვინციებად" რესპუბლიკურ ადმინისტრაციულ სისტემაში, საკუთარი მმართველით (გამგებლით), სახელმწიფო საავადმყოფოთი და საჯარო სკოლებით. ის ფაქტი, რომ ოტომანთა ეპოქაში ყველა მათგანს მსგავსი ადმინისტრაციული სტატუსი გააჩნდა, ხოლო რესპუბლიკის პერიოდში ტირებოლუ ადმინისტრაციულად არ იყო აღიარებული ქალაქ-პროვინციად და იგი გირესუნის პროვინციის ნაწილი გახდა, ტირებოლელებში წყენის განცდას ბადებდა. მას ჰქონდა განსხვავებული მდგომარეობა ტრაპიზონთან შედარებით, რომელიც ყოველთვის იყო პროვინციული დედაქალაქი და მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრი ოტომანის პერიოდში. ტირებოლუს ახალი მდგომარეობა ტრაპიზონის ძველ ქალაქსა და გირესუნის ახალ ქალაქს შორის ბევრი მაცხოვრებლისათვის განიხილებოდა, როგორც მათი ქალაქის „ადმინისტრაციულად დაბალი პოზიცია". ის ფაქტი, რომ რამდენიმე სოფლის ტიპის სანაპირო ქალაქი, როგორიცაა ესპიე და გორელე, ოდესღაც, ოტომანთა ეპოქაში, ტირებოლუსთან იყო მიერთებული, რესპუბლიკური რეორგანიზაციების პერიოდში იმავე ადმინისტრაციულ სტატუსამდე აღზევდა, ტირებოლელებში უკმაყოფილების განცდას ბადებდა.

ტირებოლელ რეზიდენტთა გონებაში, გირესუნს ჰქონდა პარადოქსული მდგომარეობა. ჯერ ერთი, ბევრი ვერ იტანდა გირესუნის დიალექტს, რომელიც უფრო „უხეშად" ჟღერდა, ვიდრე ტირებოლუს დია-

ლექტი. თანაც, მეორე მხრივ, მათ ტირებოლუს ხალხი უფრო გონებაგახსნილად და ცივილიზებულად მიაჩნდათ. მათი უფრო ცივილიზებულობა რესპუბლიკის პერიოდში ნიშნავდა მათ მოდერნისტულობას. როგორც ახალ რესპუბლიკურ ქალაქს, გირესუნს ახლა ჰყავდა მმართველი, დეპუტატები პარლამენტში, სამხედრო მეთაურები და სხვა მოხელეები, რომლებმაც ქალაქის ცხოვრება უფრო საინტერესო გახადეს. ნ.კ. იხსენებს გირესუნელი პატარძლის ქორწილს ტირებოლუში. ის გაოგნებული იყო იმით, რომ სარძლოს ახალგაზრდა ნათესავები გირესუნიდან სახალხოდ ცეკვავდნენ, – ბიჭებთან და გოგონებთან ერთად. მაგრამ კიდევ მეტი, ტირებოლუსთან შედარებით, გირესუნის ხალხი ცნობილი იყო იმით, რომ ძალიან ბევრს ხარჯავდნენ საკუთარი სიამოვნებისთვის. როგორც ტირებოლუს ხალხური გამონათქვამი ამბობს: ისინი „ნედლ თხილს ტოტზევე გაყიდნენ", რათა ეს ფული საკუთარი გართობისთვის დაეხარჯათ. ს.ი. მიხედვით, „ფული ტირებოლუში უფრო მეტად ფასობდა. „როდესაც ჩვენს კაცებს ჰქონდათ რაღაც თანხა, ისინი ინვესტიციაში დებდნენ და ყიდულობდნენ მეტ მიწას, რომ მათი შვილებისთვის მეტი მემკვიდრეობა დაეტოვებინათ".

მეორე მხრივ, ტრაპიზონი იყო უბადლო კომერციული ცენტრი. ტირებოლუს ქალების მეხსიერებაში, ის წინასაქორწინო მოგზაურობების ადგილია, სადაც ყიდულობდნენ ოქროს სამკაულს, ქსოვილს და ახალ კაბებს. თუმცა, ზოგიერთ ქალს შეეძლო უშუალოდ სტამბულის მკერავებთან დაეკვეთა თავისი კაბები. შეძლებულ ქმრებს, რომლებიც ხშირად მოგზაურობდნენ სტამბულში, შეეძლოთ უკან დაბრუნებისას თან ჩამოეტანათ აბრეშუმის ქსოვილი ან ახალი დიზაინის კაბები და ბრწყინვალე ქუდები. ზოგიერთს ჰქონდა საშუალება ყოველწლიურად ოჯახებით ემოგზაურა სტამბულში და გაჩერებულიყო ისეთ სასტუმროებში, როგორიცაა Sipahi Palas ან ბრისტოლის სასტუმრო.

ტირებოლუს ქალების ბრწყინვალე სტილი, რაც თვალსაჩინო იყო „ქუდებით", „ბეწვეულით" და „მძივებიანი კაბებით", დღეს სიმბოლურად ტირებოლუს უნიკალურ იერს ქმნის ისეთ სხვა სანაპირო ქალაქებთან შედარებით, როგორიცაა ესპიე და გორელე, რომლებიც ადრე ტირებოლუსთან დაკავშირებული სოფლები იყვნენ. გლეხური კულტურა ჩვეულებრივ ასოცირდებოდა ესპიესთან, მეზობელ სანაპირო სოფელთან. ოდესღაც ცნობილი, როგორც მალარიის წყარო, მისი ავადმყოფური ბრინჯის მინდვრებით, ესპიე ახლა გახდა განვრცობილი ქალაქი, გამდიდრებული გერმანიის მიგრანტი მუშების მიერ გამოგზავნილი კაპიტალით. თუმცა ნ.კ.-სთვის ეს არის უნაყოფო მცდელობა: „ესპიე შესაძლოა განვრცობილ იქნას, მაგრამ ის ვერ განვითარდება". ეს ხსოვნა უფრო ვერბალიზებულია, რადგანაც ქალაქის დემოგრაფია შეიცვალა ელიტის მიგრაციით დიდ ქალაქებში და მათ ნაცვლად გლეხების ჩამოსახლებით ქალაქის ცენტრში 1950-იანი წლებიდან.

ბევრი ქალი გამოთქვამს უკმაყოფილებას დემოგრაფიული ცვლილების მიმართ ტირებოლუში. ამ ცვლილებას ისინი ჩვეულებრივ აღიქვამენ, როგორც „დაკნინებას“, თუმცა მათ ესმით ეს პროცესი. პროცესი დაიწყო უფრო მდიდარი ოჯახების მიგრაციით 1950-იან წლებში უკეთესი განათლების ან უკეთესი სამსახურისთვის. ტირებოლუს მამაკაცთა ნაწილი გარდაიცვალა, მათი შვილები გაეშურნენ განათლების მისაღებად დიდ ქალაქებში და აღარ სურდათ ცხოვრება ტირებოლუში და ამჯობინებდნენ მიეყიდათ თავიანთი ქონება მთის მცხოვრებლებისათვის, რომელთაც სურდათ სანაპირო არეალში ცხოვრება. თხილის ბაღები დატოვებული იქნა *იარიჯების* ხელში, ესენი იყვნენ გლეხები, რომლებიც მოსავლის ნახევარს მესაკუთრეს აძლევდნენ. მამაკაცები „დაკნინებას“ სხვა ტერმინებით ხსნიდნენ. ი.ს.-ის მიხედვით, ტირებოლუს გორაკიანი გეოგრაფია არ იძლეოდა განვითარების საშუალებას. გორელეში, ის ამბობს, „მიწა იყო სწორი (ვაკე), თქვენ შეგეძლოთ ადვილად აგეშენებინათ ახალი ნაგებობები, იჯარა იყო უფრო იაფი, და ხალხი სხვა რესურსებს არ ეძებდა. ტირებოლუში კი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული ლანდშაფტის გამო, მიწა იყო ძვირი და არ იყო ადგილი გავრცობისათვის.

*****

თუმცა, ბევრი ქალი უკმაყოფილო იყო თავისი მძიმე ახალგაზრდობისა და ქალაქის შედარებითი დაკნინების გამო, ყველა მათგანი ჯერაც ძლიერადაა მიჯაჭვული მასთან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი გადასახლდნენ და მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობდნენ მას. „მე მიყვარს ტირებოლუ“ ამბობს მ.ნ.: „სტამბულში, ჩემს შვილთან მე ვარ, როგორც ციხეში“. მიუხედავად ასაკისა, ტირებოლუ იყო ხელსაყრელი ადგილი, სადაც ის კვლავ თვითდამკვიდრებულად გრძნობდა თავს, როგორც ასაკოვანი ქალბატონი. ეს არ იყო განპირობებული მხოლოდ სავაჭრო ადგილების ან საჭიროების შემთხვევაში ხარისხიანი სამედიცინო დახმარების ადვილი ხელმისაწვდომობით. მისთვის ტირებოლუ იყო ჯერ კიდევ „ლეგიტიმური“ ადგილი, სადაც მას შეეძლო მის ირგვლივ მიმდინარე ცვლილებების ინტერპრეტირება, ჩართულობა ჭორაობაში და თავისი ცოდნის/გამოცდილების გადაცემა შვილიშვილებისათვის. მის მსგავსად, ე.დ. უარი თქვა წასულიყო და ეცხოვრა სტამბულში თავის შვილებთან. მას ეშინოდა იქ სიკვდილის და არ სურდა დამარხულიყო სტამბულში ტირებოლუს ნაცვლად. ის ქალები, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვა ქალაქებში, მაგრამ ყოველ ზაფხულს ბრუნდებოდნენ, რათა მიეხედათ თავიანთი თხილის ბაღებისათვის, მსგავს მიჯაჭვულობას ამჟღავნებდნენ. „მე მიყვარს ჩემი ქალაქი“, – ამბობს ნ.კ. რომლის შვილებიც მეტად აღარ ინტერეს-

დებიან ტორებოლუთი. მიჯაჭვულობის მისეული განმარტება, შესაძლოა, საუკეთესო გზაა შევაჯამოთ საკუთარი ქალაქისადმი კუთვნილების განცდა: „მომეცი ზაფხულის სახლი სტამბულის საუკეთესო ადგილას, მე ვირჩევდი ტირებოლუში ჩამოსვლას. ჩემს შვილს აქვს საზაფხულო სახლი პრინცის კუნძულებზე, მეორეს – ხმელთაშუაზღვისპირეთში. ის მეუბნება: „დედა, რატომ არ ჩამოდიხარ ჩვენთან?" მაგრამ მე მოწყენილი ვარ იქ. შეხედე, მე სულაც არა ვარ მოწყენილი აქ. ჩემი სახლი დგას ქალაქის ცენტრში, ალბათ ამიტომ! თქვენ შეიძლება მაინც მოგწყინდეთ, მაგრამ მე არა. მე წავალ ჩემს ბაღებში, წავალ სანაპიროზე ყოველდღე. ზაფხულში, სხვა მეგობრები მოვლენ ჩემთან. ჩვენ ვიცით რას ვჭამთ. აქ, ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია. აქ უფრო კარგია, ზღვა უფრო სუფთაა და წყალი უფრო გემრიელია, ვიდრე სხვაგან".

თამთა ხალვაში
(ჯოპენჰაგენი, დანია)

ტრადიცია და თანამედროვეობა გარდაცვალების სიმბოლიზმში: ქართული საფლავის ქვების სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაცია

სიცოცხლის დასასრულის აღმნიშვნელი საფლავის ქვები ისტორიულ მატიანეს აცოცხლებენ. მასზე ამოტვიფრული წარწერები საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და მასში არსებული კულტურული მოდელების გამომხატველია (Collier, 2003). ეს ერთგვარი ნარატივია, რომელიც ადამიანების სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს და ხშირად ისტორიული სურათის რეკონსტრუქციაშიც გვეხმარება. თუმცა ამ სტატიით მსურს არა ისტორიული ეპოქის აღდგენა, არამედ თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების გაანალიზება. ამ თვალსაზრისით, შევეცდები ვაჩვენო თუ როგორ აისახება საზოგადოებაში მიმდინარე ტრანსფორმაციები საფლავის ქვებზე ამოტვიფრულ სიმბოლიკასა და ტექსტებში.

ტრადიციული და თანამედროვე კულტურული მოდელებისა და სოციალური სტრუქტურის გასაანალიზებლად გამოვიყენე ისეთი საფლავის ქვების ნიმუშები, რომლებიც ვერა ბარდაველიძის (ბარდაველიძე, 2003) ეთნოგრაფიულ დღიურში, „ივრის ფშაველებშია" დაფიქსირებული და ასევე, ჩემ მიერ მოძიებული თანამედროვე საფლავის ქვასთან დაკავშირებული სიმბოლოები და ტექსტები. მათი ანალიზით მსურს ვაჩვენო თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ურბანულ და თანამედროვე საფლავის ქვებსა და მთიანი საქართველოს ტრადიციულ საფლავის ქვებს შორის. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ასახავს საფლავის ქვების სიმბოლიკა მიმდინარე და წარსულ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

ვერა ბარდაველიძის ეთნოგრაფიული კვლევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებზე, კერძოდ კი, ივრის ფშაველებზე შეიცავს მრავალფეროვან მასალას ტრადიციული სასაფლაოსა და საფლავის ქვის წარწერების შესახებ. ეს ფშაური სასაფლაოები დაახლოებით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. მათი ეთნოგრაფიული და ვიზუალური აღწერით საფლავის ქვებით მოთხრობილ შინაარსებს ვეცნობით.

ჩემ მიერ მოძიებული საფლავის ქვები კი თბილისის ანუ ურბანული სივრცის კულტურული ნიმუშებია.კვლევისათვის, საბურთალოს სასაფლაო ავირჩიე, სადაც საფლავები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე თარიღდება. ამიტომ, მასთან ასოცირებული სიმბო-

ლოები და წარწერები თანამედროვეობის კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. ტრადიციული და თანამედროვე ეპოქების საფლავის ქვების სიმბოლოები და წარწერები ერთმანეთისგან ბევრი დეტალით განსხვავდება, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

ამ კვლევით მინდა ვაჩვენო, რომ ურბანულ და სოფლის სივრცეში არსებული საფლავის ქვა და მასთან დაკავშირებული სიმბოლიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ორივე მათგანი შეიცავს ნარატივს იმ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ დინამიკაზე, რომლის დროსაც აღნიშნული საფლავის ქვები წარმოიშვნენ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნარატიული გამოხატვის ის ფორმები, რომლის საშუალებითაც ადამიანები სიკვდილს აღნიშნავენ და გარდაცვლილის „მემორიალურ" უკვდავყოფას ახდენენ (Hertz, 1960).

გარდაცვალებასთან დაკავშირებული ანთროპოლოგიური მიდგომები

იმისათვის რომ გავაანალიზოთ საფლავის ქვებით მოთხრობილი სოციო-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები, აუცილებელია სიკვდილის ფენომენთან დაკავშირებული ძირითადი ანთროპოლოგიური მიდგომების მიმოხილვა. მსგავსი ანალიზი დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ საფლავის ქვების სიმბოლურ-სოციალური მნიშვნელობა.

ევოლუციური ანთროპოლოგიის წარმომადგენლებისთვის, სიკვდილის ფენომენი, მეცნიერული შესწავლის ცენტრალური საგანი იყო. ამ მიდგომის მიხედვით, გარდაცვალება განიხილებოდა რელიგიის წარმოშობის ძირითად ფაქტორად. ტაილორი (Tylor, 1972) ფიქრობდა, რომ რელიგიის წარმოშობა დაკავშირებულია სიკვდილისადმი და მასთან ახლოს მდგომი ფიზიოლოგიური მდგომარეობებისადმი (როგორებიცაა ძილი და სიზმარი) კოლექტიურ რეაქციასთან. ეს რეაქცია გულისხმობდა ერთგვარ შიშს სიკვდილისადმი. მისი აზრით, ადამიანებს სჯეროდათ სულიერი სამყაროს არსებობის, რაც ცხოველებისა და მცენარეების გაფეტიშებაში გამოიხატებოდა და გარდაცვალების შემთხვევაში, ეს ფეტიშები ერთგვარი მედიუმის ფუნქციებს ასრულებდნენ სულების სამყაროსთან დასაკავშირებლად. სწორედ ამის გამო, ანთროპოლოგმა ფრეიზერმა (Frazer, 1977) შეკრიბა მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული მასალა ეგზოტიკური რიტუალების შესახებ, რათა აღეწერა სიკვდილისადმი უნივერსალური შიშის არსებობა და სულისა და სიკვდილის შემდგომ ცხოვრების რწმენის გავრცელება სხვადასხვა კულტურებში. ბახოფენმა კი ხაზი გაუსვა დაკრძალვის რიტუალებში არსებულ სქესობრივ და ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ სიმბოლიკას. მისი აზრით, ნაყოფიერებისა და თავიდან დაბადების სიმბოლიზმი მჭიდრო კავშირშია გარდაცვალების რიტუალებთან.

ფრანგული სოციოლოგიური სკოლის მიდგომა სიკვდილისადმი მნიშვნელოვნად განსხვავდება ევოლუციონისტური ანთროპოლოგიური დისკურსისგან. ამ სკოლის ფუძემდებლის, ემილ დიურკჰემის (Durkheim, 1915), ცნობილმა პუბლიკაციამ თვითმკვლელობის შესახებ, სტიმული მისცა სიკვდილთან დაკავშირებული ორგანიზაციული ასპექტების შესწავლას საზოგადოებაში. ევოლუციონისტებისგან განსხვავებით, რომლებიც სიკვდილს დიალექტიკურ კონტექსტში განიხილავდნენ, აქ სიკვდილის სოციოლოგიური შინაარსი ხდება მნიშვნელოვანი, რაც ჯგუფურ სოლიდარობაში გამოიხატება. დიურკჰემის მიმდევარმა, რობერტ ჰერცმა (Hertz, 1960) განავითარა აზროვნების ეს ტრადიცია და მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაწერა სიკვდილის ფენომენთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და პოპულარული ნაშრომი. ჰერცის კვლევა ყურადღებას ამახვილებდა დაკრძალვის რიტუალებზე, რომლის საშუალებითაც ის შემდეგი სახის დასკვნებამდე მივიდა: 1. სიკვდილი არ განიცდება, როგორც ინდივიდუალური ცხოვრების წამიერი დესტრუქცია; 2. სიკვდილი განიხილება, როგორც სოციალური მოვლენა, ცერემონიალური პროცესის დასაწყისი, სადაც გარდაცვლილი პიროვნება წინაპრად იქცევა; 3. სიკვდილი არის ინიციაცია საიქიოში, რაც თავიდან დაბადების ტოლფასია.

ჰერცმა ხაზი გაუსვა რიტუალისა და დატირების ტექსტის სოციალურ მნიშვნელობასაც. მან მიუთითა, რომ ახალდაბადებული ბავშვისთვის გარდაცვლილის სახელის დარქმევა გლოვის ციკლის დასასრულს ნიშნავს, რაც გარდაცვლილის რეანიმაციასა და მკვდრეთით აღდგომას ემსახურება. მისი აზრით, გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიტუალების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა სოციალური მდგომარეობის რეორგანიზაცია და საზოგადოების მუდმივი არსებობის რწმენის აღდგენა, რაც ადამიანის გარდაცვალებით დაირღვა. ჰერცის ეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სიკვდილისადმი დამოკიდებულება სოციალური კონსტრუქტია და სოციო-კულტურული გარემოებების ცვლილებების მიხედვით ტრანსფორმირდება, დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ეთნოგრაფიული ანალიზის თვალსაზრისით.

ფრანგმა ანთროპოლოგმა ვან გენეპმა (Gennep, 1960) 200-გვერდიანი მონოგრაფია მიუძღვნა გადასვლის რიტუალების, მათ შორის სიკვდილის ფენომენის ანალიზს. გადასვლის რიტუალებში იგულისხმება ინდივიდების ერთი სოციალური მდგომარეობა/პოზიციიდან მეორეში გადასვლა, რაც დაბადების, ინიციაციის, ქორწინების ან გარდაცვალების პროცესებში გამოიხატება. მისი აზრით, გარდაცვალება არის რიტუალური გადასვლების ერთ-ერთი სერია სიცოცხლის ციკლში. გარდაცვალება და სხვა გადასვლის რიტუალები სამი ძირითადი ფაზისგან შედგება: განცალკევების რიტუალები (მომაკვდავი ადამიანის

მომზადება), გადასვლის რიტუალები (დასაფლავება და მასთან დაკავშირებული რიტუალები) და შეერთება/ინკორპორაციის რიტუალები (გარდაცვალების შემდგომ გამართული რიტუალები). ის ფიქრობდა, რომ განცალკევების ელემენტი შედარებით უფრო გამოკვეთილია დაკრძალვის ცერემონიალში, ვიდრე სხვა გადასვლის რიტუალებში. თუმცა, მისი დაკვირვებით, გარდაცვალების შემთხვევაში, გადასვლა ანუ ლიმინალური პერიოდია მთავარი, რაც გამოიხატება დატირების რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ სიმბოლიზმში. ამ დროს, მომაკვდავი ადამიანი აღიქმება დროებითორ სამყაროს შორის მყოფ არსებად. გადასვლის ეს რიტუალები სოციალურ ვალიდურობას ანიჭებენ გარდაცვალების, დაბადებისა თუ ქორწინების პროცესს.

მაშინ, როცა ევოლუციონისტი ანთროპოლოგები დაინტერესებულნი იყვნენ რელიგიის წარმოშობის საფუძვლებით, ხოლო ფრანგული სოციოლოგიური სკოლა იკვლევდა სიკვდილისადმი სოციალურად დეტერმინირებულ დამოკიდებულებებს, ბრიტანული ფუნქციონალისტური სკოლის დისკურსი ყურადღებას ამახვილებდა გარდაცვალების რიტუალებისა და მასთან დაკავშირებული ემოციების ურთიერთდამოკიდებულებაზე. მაგალითად, მალინოვსკი (Malinowski, 1972) გარდაცვალებასთან დაკავშირებულ წესებსა და რიტუალებს, დესტრუქციული ტენდენციების დიალექტიკურ გადაწყვეტას უწოდებდა, რაც მოქმედებს სოციალური კრიზისის დროს. მისი აზრით, სიკვდილთან დაკავშირებული ცერემონია ცოცხალ ადამიანს გარდაცვლილის სხეულთან და დასაფლავების ადგილთან აჯავშნებს, ხოლო რწმენა სულის არსებობის შესახებ კი, გამოიხატება გლოვის ან მსხვერპლშეწირვის ცერემონიებში. ამ თვალსაზრისით, რელიგიის ფუნქციაა გაანეიტრალოს შიში, სევდა, დემორალიზაცია და მოახდინოს ჯგუფის სოლიდარობის რეინტეგრაცია. რედკლიფ ბრაუნის (Radcliffe-Brown, 1972) აზრით კი, ადამიანთა გარდაცვალება „სოციალური შეჭიდულობის ნაწილობრივ დესტრუქციას" იწვევს მანამ, სანამ ახალი წონასწორობა არ დამყარდება. ამ თვალსაზრისით, მას აინტერესებდა სენტიმენტების ანუ ემოციების რიტუალური გამოხატულების შესწავლა და მსგავსი ემოციების გავლენა სოციალური შეჭიდულობის რეკონსტრუქციაზე. მისი საველე კვლევა ანდამანის კუნძულის მცხოვრებლებში ჩატარდა. ამ კვლევით, ბრაუნი შეეცადა ეჩვენებინა, რომ დატირება ადამიანების სოციალური სტრატიფიკაციისა და ორგანიზაციის გამომხატველია, რაც სიკვდილთან დაკავშირებულ რიტუალებში აისახება.

ამ თვალსაზრისით, ფუნქციონალისტურმა პოზიციამ ევოლუციონისტური მიდგომისგან განსხვავებით, გარდაცვლილის სხეულთან დაკავშირებული რიტუალები უკანა პლანზე დააყენა და მნიშვნელობა მიანიჭა საზოგადოების დამოკიდებულებას სიკვდილის ცნებისადმი. ამ თვალსაზრით, ყურადღება მიექცა „სოციალური დანაკარგის" ცნებას,

მემკვიდრეობის საკითხებს, უფლებებისა და სტატუსის გადანაწილებას და მგლოვიარის რეინტეგრაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თანამდეროვე ანთროპოლოგიაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომა მნიშვნელოვანი ეტაპია სიკვდილის ანთროპოლოგიის კვლევაში. თუმცა ითვლება, რომ ევოლუციონისტების მიდგომები უბრალო ეთნოგრაფიული აღწერილობით შემოიფარგლება და საკითხის დიალექტიკურ ანალიზს წარმოადგენს, ხოლო ფუნქციონალისტური და ფრანგული სოციოლოგიური სკოლის დისკურსი სოციალურ-კულტურული პროცესების მკვეთრად დეტერმინირებული გაანალიზებაა. ამიტომ, მეცნიერებმა დაიწყეს სიკვდილის ფენომენის ახლებური გააზრება არა მხოლოდ ანთროპოლოგიის, არამედ ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის დარგშიც, რაც ანთროპოლოგიური კვლევისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა.

ერთ-ერთ გამორჩეულ და თანამედროვე მონოგრაფიას სიკვდილთან დაკავშირებით წარმოადგენს, ფსიქიატრ, რობერტ ჯეი ლიფტონის ნაშრომი, „დარღვეული კავშირი: გარდაცვალებისა და სიცოცხლის გაგრძელების შესახებ" (Lipton, 1979). მისი თეორიული მიდგომით არსებობს სიკვდილთან დაკავშირებული წარმოსახვები, რომლებიც ადამიანების „სიმბოლურ უკვდავყოფას" ახდენენ. მისი აზრით, საზოგადოებას ახასიათებს „უკვდავების შეგრძნება", რომელიც შეიძლება გამოიხატოს ხუთი ძირითადი სახით: ბიოლოგიური, თეოლოგიური, შემოქმედებითი, ბუნებრივი და ტრანსცენდენტური გამოცდილებით. ადამიანები ახდენენ უწყვეტობის სიმბოლიზაციას ტრანსცენდენტური სიკვდილის წარმოსახვითი ფორმებით იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ სიკვდილის ფაქტს. უკვდავების ბიოლოგიური სახეობა, რომელიც ხორციელდება ოჯახის უწყვეტობის წარმოსახვის საშუალებით, არის ყველაზე ფუნდამენტური და უნივერსალური ყველა სხვა სახეებს შორის. სწორედ, ეს სახეობა განიხილება ყველაზე ხშირად ანთროპოლოგების მიერ. თუმცა ეს სახეობა ბოლომდე არ ინარჩუნებს თავის ბიოლოგიურობას და იმავდროულად ბიოსოციალური ხდება, რაც ჯგუფში, ტომში, ორგანიზაციაში, ხალხებსა და ნაციაში ვლინდება.

უკვდავების შეგრძნების თეოლოგიური სახეობა გულისხმობს „უკვდავი სულის" ცნებებსა და იმქვეყნიურ კონცეპტუალიზაციებს, სადაც დაშვებულია მარადიულ რეალობაში თავიდან დაბადების შესაძლებლობა. მესამე სახეობა მიიღწევა „მუშაობით", რასაც შემოქმედებითობა ეწოდება. მაგალითად, ადამიანის მიერ ცხოვრებაში მოპოვებული დიდება ან მოპოვებული აღიარება, რაც მარადიულად იარსებებს. უკვდავების შეგრძნების მეოთხე, ბუნებასთან დაკავშირებული ფორმა ძლიერადაა გამოხატული იაპონიაში. მაგალითად, ჰიროსიმაში გადარჩენილი ადამიანები ხშირად ამბობენ ძველ ჩინურ ანდაზას, „სახელმწიფო შეიძლება დაინგრეს, მაგრამ მთები და მდინარეები მაინც

რჩებიან". უკვდავების შეგრძნების ბოლო სახეობაა ტრანსცედენტურობა, რაც მხოლოდ ფსიქიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ასეთ დროს, ადამიანი ისე ძლიერი და ყოვლისმომცველია, რომ მისთვის დრო და სიკვდილი აღარ არსებობს.

სიკვდილის შესახებ შექმნილ კიდევ ერთ შედარებით თანამედროვე ნაშრომში, ლინ ლოფლანდი (Lofland, 1976) ამტკიცებს, რომ თანამედროვე სამყაროში, სიკვდილთან დაკავშირებულ პროცესს ახასიათებს დროში გაგრძელება, ბიუროკრატიზაცია და სეკულარიზაცია. თანამედროვე სამყაროს სეკულარიზაციამ გამოიწვია სულიერი ტრანსფორმაციების რიტუალური გამოხატვის შემცირება. მიუხედავად ამისა, დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალები მაინც აგრძელებენ არსებობას, რადგან დაკრძალვის ცერემონიალი ემსახურება გარდაცვალებით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური წნეხისგან გათავისუფლებას.

საფლავის ქვების ტრადიციული და თანამედროვე სიმბოლიზმი

მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილისადმი ზემოთ ხსენებული ანთროპოლოგიური მიდგომების ანალიზი საფლავის ქვის წარწერებისა და ეპიტაფიური ნარატივების პირდაპირ ანალიზს არ შეეხება, ის მნიშვნელოვანია გარდაცვალებასთან დაკავშირებული ზოგადი ანთროპოლოგიური ტენდენციების განსაზღვრისათვის. თუმცა, იმის გამო, რომ სიკვდილთან დაკავშირებული რიტუალები თუ წესები ქართულ და უცხოურ ეთნოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი, ჩემი კვლევის ობიექტია – საფლავის ქვები, როგორც სოციო-კულტურული ქცევისა და პოლიტიკური ცვლილების მატიანე, რაც ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ ჩემი კვლევის ძირითად თემას არა გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიტუალების განხილვა წარმოადგენს, არამედ საფლავის ქვებზე დაწერილი ტექსტებისა თუ ეპიტაფიების ანალიზი და მათი შედარება ტრადიციულ ფორმებთან.

ამისათვის, პირველ რიგში მივმართავ ლიფთონის „უკვდავების შეგრძნების" თეორიას. საფლავის ქვები და მათზე დაწერილი ტექსტი ყველა კულტურულ ფორმაციაში ადამიანის მემორიალურ უკვდავყოფას და „უკვდავების შეგრძნების" გაგრძელებას ემსახურება. საფლავის ქვა, როგორც წესი, გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მზადდება, რაც გლოვის ციკლის ერთგვარ დასასრულსაც ნიშნავს. მასზე გამოსახული წარწერა, დანფორდის ტერმინით, გარდაცვლილის რეანიმაციასა და უკვდავყოფას ემსახურება, რომელიც ფინალური ცერემონიაა და გლოვის განსაცდელის დასასრულის ერთ-ერთი ნიშანია. ივრის ფშაველების საფლავის ქვების წარწერებიც სწორედ სწორედ ასეთ ტენდენციაზე მიუთითებს:

„დამბადებელო მანიჭე განათლება და ცხონება,
მამკვიდრე სასუფეველი, შემიმსუბუქე მონება.
თამარი მიხეილის ასული, ლევან ხიზანიშვილის მეუღლე
გარდაიცვალა 1936 წ. თებერვლის 15-სა შობით 68 წლისა".

თუმცა უკვდავყოფის ფორმები და შინაარსები ერთი და იგივე კულტურაშიც სოციალური და პოლიტიკური გარემოს მიხედვით იცვლება. ლინ ლოფმანის მიხედვით, თანამედროვე ინდუსტრიულ სამყაროში გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიტუალები გაცილებით ბიუროკრატიზებული და სეკულარიზებულია, ვიდრე ტრადიციულში. მაგალითად, ისეთ ქალაქურ გარემოში, როგორიც თბილისია, ადამიანის დასაფლავებისათვის მიწის შეძენაა საჭირო და რაც უფრო კარგ ადგილასაა სასაფლაო, მით უფრო ძვირია გადასახადიც; საფლავის ქვის დასამზადებლად გარკვეული ფირმის მომსახურება გამოიყენება და ამ ყველაფრის მოსაგვარებლად დაკრძალვის ორგანიზების კომპანიებიც არსებობენ, რომლებიც ბიუროკრატიული თანმიმდევრობით ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებენ. ასეთ პირობებში, გარდაცალებასთან დაკავშირებული ცერემონიები პროფანული ხდება, რაც თანამედროვე საზოგადოების შედარებით უფრო სეკულარული ცხოვრების წესზე მეტყველებს.

ჩემი დაკვირვებით, მსგავსი პროფანაცია საფლავის ქვების წარწერებში და მასზე გამოხატულ სიმბოლოებშიც აისახება. მაგალითად, თუ ვერა ბარდაველიძის მიერ ივრის ფშაველებში დაფიქსირებული საფლავის ქვების უმეტესობა მკვეთრად გამოხატული რელიგიური სახის ტექტებსა და სიმბოლოებს შეიცავს, მსგავსი ტენდენცია ურბანულ სივრცეში, ჩვენს შემთხვევაში კი, საბურთალოს სასაფლაოს ქვებზე სხვა სოციო-პოლიტიკურ დინამიკას შეიცავს. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას და მასთან დაკავშირებული იდეოლოგიისა თუ რიტორიკის გავრცელებას. მაგალითად, საბურთალოს სასაფლაოზე დაფიქსირებული საფლავის ქვების უმეტესობა, რომლებიც კომუნისტურ პერიოდში, 1930-დან 1980 წლამდეა გაკეთებული, თითქმის საერთოდ არ შეიცავს რელიგიური სახის სიმბოლოებს, რაც ათეისტურ პოლიტიკურ წარსულთან არის დაკავშირებული. მსგავსი სახის ლაკონური და სიმბოლიკით დაუტვირთავი საფლავის ქვები დამახასიათებელია კომუნისტური ეპოქის, ურბანული თბილისის ბევრი საფლავისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ათეისტურ ხანაში, ბევრი ადამიანი ფარულად დადიოდა ეკლესიაში და რელიგიურ წესებსაც ასრულებდა. ასეთ ფარულ ქმედებას წარმოადგენს ისიც, როდესაც გარდაცვლილის ოჯახი რელიგიურ სიმბოლიკას საფლავის ქვის გასაფორმებლად სხვადასხვაგვარი ფორმით მაინც იყენებდა. ხშირად, თვითონ საფლავს ჰქონდა ჯვრის ფორმა, რაც თითქოს შეფარულ რელიგიურ ქმედებას წარმოადგენდა.საინ-

ტერესოა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საფლავის ქვის ტექსტი რუსულ ენაზეა ამოტვიფრული მაშინაც კი, როცა გარდაცვლილი ქართველია, რაც საბჭოთა რუსულ გავლენაზე მეტყველებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფლავის ქვების სიმბოლოები და მასზე ამოტვიფრული ტექსტები ერთგვარი ლინგვისტურ-პოლიტიკური მატიანეცაა.

მიუხედავად იმისა, რომ საფლავის ქვა ითვლება უცვლელ მარკერად, რომელიც გარდაცვალების აღსანიშნავად გამოიყენება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზოგიერთმა საფლავის ქვამ ცვილილება განიცადა. 1990-იანი წლებიდან, როდესაც საზოგადოებაში რელიგიის, კერძოდ კი, მართლმადიდებლური ეკლესიის როლი მკვეთრად გაიზარდა, საბურთალოს სასაფლაოების ქვებზე ამოტვიფრული წარწერებისა და სიმბოლოების შინაარსებიც შეიცვალა. ახლა, სულ უფრო ხშირად გამოიყენება რელიგიური სიმბოლიკა (ჯვრები, ხატები, პატარა ეკლესიები) გარდაცვალების აღსანიშნავად და ზოგიერთი ძველი საფლავის ქვა ახალი რელიგიური სიმბოლიკით გაფორმდა. საბურთალოს სასაფლაო საზოგადოების რელიგიური მისწრაფებების საუკეთესო გამოხატულებაა, სადაც თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს მართმადიდებლური რელიგიის დომინანტური როლი ადამიანების ცხოვრებაში და შესაბამისად, ქვეყნის ნაციონალურ წარმოსახვებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ურბანულ სივრცეში საფლავის ქვის წარწერები პიროვნებაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე პიროვნების თემთან კავშირზე, როგორც ეს ივრის ფშაველების საფლავის ქვების შემთხვევაში გვხვდება. ეს კი იმას მიუთითებს, რომ ინდისტრიული და ურბანული საზოგადოებები უფრო ინდივიდუალისტურია, ვიდრე კოლექტიური. სოფლის არეალში, ჩვენს შემთხვევაში კი, ივრის ფშაველებში, ადამიანის ოჯახთან ან კოლექტივთან კუთვნილებას ანუ სოციალურ ინსტიტუციებთან იდენტიფიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ურბანულ სივრცეში საფლავის ქვები შეიცავენ ლაკონურ ინფორმაციას მხოლოდ გარდაცვლილის სახელი/გვარისა და დაბადება/გარდაცვალების თარიღის შესახებ. ხშირია შემთხვევები, როცა გარდაცვლილის საფლავის ქვას მხოლოდ მისი სახელი აწერია. ამიტომ განსხვავებით, ივრის ფშაველების ეპიტაფიებისა, სადაც რელიგიურ და სოციალურ ინსტიტუციებთან იდენტიფიკაციაა მთავარი, ურბანული სივრცე სულ უფრო მეტად ინდივიდუალიზირებულია.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ურბანული საზოგადოება ხასიათდება ინდივიდის წინა პლანზე დაყენებით, სადაც კოლექტივთან ან თემთან იდენტიფიკაცია შემცირებულია. უფრო მეტიც, გარდაცვალების რელიგიური და სოციალური რიტუალები უფრო და უფრო ინსტიტუციონალურია. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ გარდაცვალების რიტუალებს არა ოჯახის წევრები, არამედ გარდაცვალების რიტუა-

ლების შემსრულებელი ინსტიტუტები აწარმოებენ, როგორებიცაა სარიტუალო დარბაზები და დამკრძალავი ბიუროები. ხშირ შემთხვევაში, რელიგიური რიტუალებიც სწორედ ასეთი ბიუროკრატიული ინსტიტუტის ნაირსახეობას წარმოადგენს. შესაბამისად, ურბანულ სივრცეში გარდაცვალების რიტუალები უფრო ბიუროკრატიზებული, ინდივიდუალიზებული და პროფანული ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე, 2003: – ბარდაველიძე ვ., ივრის ფშაველები, თბილისი.

Bachofen, 1967: Bachofen J. J., An Essay on Ancient Mortuary Symbolism. In Ralph Manheim trans., *Myth, Religion, and Mother Right.* London: Routledge & Kegan Paul.

Collier, 2003: Collier, A., Tradition, Modernity, and Postmodernity in Symbolism of Death, *The Sociological Quarterly*, Vol. 44, No. 4.

Durkheim, 1915: Durkheim É., *The Elementary Forms of the Religious Life.* London: George Allen & Unwin.

Frazer, 1968: Frazer J. G., *The Belief in Immortality and the Worship of the Dead.* 3 vols. London: Dawsons.

Frazer, 1977: Frazer J. G., *The Fear of the Dead in Primitive Religion.* 3 vols. New York: Arno Press.

Gennep, 1960: GennepA., *The Rites of Passage,* translated by Monika B. Vizedom and Gabrielle L. Caffee. Chicago: Chicago University Press.

Hertz, 1960: Hertz Robert, A Contribution to the Study of the Collective Representation of Death. In Rodney Needham and Claudia Needham eds., *Death and the Right Hand.* New York: Free Press.

Lipton, 1979:–Lipton R. J., The Broken Connection: On Death and the Continuity of Life. New York: Simon & Schuster.

Lofland, 1976: Lofland L. H.,Toward a Sociology of Death and Dying. Bavarly Hills: Sage Publications.

Malinowski, 1972: Malinowski B., The Role of Magic and Religion. In William A. Lessa and Evon Z. Vogt eds., *Reader in Comparative Religion: An Anthropological Approach.* New York: Harper and Row.

Radcliffe-Brown, 1972: Radcliffe-Brown A., 'Taboo' In William A. Lessa and Evon Z. Vogt eds., *Reader in Comparative Religion: An Anthropological Approach.* New York: Harper and Row.

Tylor, 1972: Tylor E. B., Animism. In William A. Lessa and Evon Z. Vogt eds., *Reader in Comparative Religion: An Anthropological Approach.* New York: Harper and Row.

Tylor, 1903: Tylor E. B., *Primitive Culture.* London: John Murray.

Tamta Khalvashi (Copenhagen, Danmark)

Tradition and Modernity in the Symbolism of Death: Socio-political Transformation of Georgian Tombstones

Summary

This articles sheds light at the importance of tombstones in the analyses of post socialist transformations in the Republic of Georgia. Although it is considered that once the tombstone is made, it becomes a fixed marker of death and separation, some Georgian tombstones have experienced constant material and symbolic changes. It is because the collapse of the Soviet Union, which resulted into the revival of Orthodox Christianity as a main source of national identification, triggered a desire to decorate and incorporate Christian symbolisms in the materiality of death. Secular or Muslim tombstones both in the rural and urban parts of Georgia, thus, have experienced extensive re-decorations signaling radical socio-political transformations of people's identities and intimate belongings. This way, tombstones serve as material palimpsests through which people set up new relations not only with the nation but also with the dead bodies of their family members, which mark important personal, social and political reorientations.

როზეტა გუჯეჯიანი
(თბილისი, საქართველო)

ბათუმთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ასპექტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში

ეთნოგრაფიული კვლევის თანახმად[1], თურქეთელი ქართველებისათვის ბათუმი მხოლოდ რიგითი ქართული ქალაქი ან ტოპონიმი არ არის. მათთვის ბათუმი მშობლიურ ფესვებთან მაკავშირებელი განზოგადებული ცნებაა, რომელთანაც არის გადაჯაჭვული სოციალური მახსოვრობის უმნიშვნელოვანესი ელემენტები.

ბათუმს, როგორც სამშობლოს კრებით სახელს, უდიდესი ადგილი უჭირავს თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფასა და თანამედროვე ეთნო-კულტურულ პროცესებში.

ცნობილია, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე ბათუმი ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობისათვის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ამავე დროს, მოგონებები ბათუმის შესახებ შემოინახეს არამხოლოდ კლარჯეთისა და ტაოს ავტოქტონმა ქართველებმა, არამედ აჭარიდან და ისტორიული საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (ზემო მაჭახელი, იმერხევი, შავშეთი, არტაანი, კოლა, ნიგალის ხეობა) თურქეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირეთის რეგიონებში მიგრირებულ („მუჰაჯირ") ქართველთა შთამომავლებმაც. 1877-78 წლებიდან მოყოლებული, მუჰაჯირებისა და მათი შთამომავლებისათვის, ტკივილიანი მოგონება სამშობლოზე უმთავრეს სოციალურ ფაქტად იქცა და იგი აკუმულირდა ცნება „ბათუმში."

თურქეთის რესპუბლიკის ქართველთა შორის მიმდინარე თანამედროვე ეთნო-კულტურული და სოციალურ-კულტურული პროცესები მრავალფეროვანია და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის აღდგენისა და ეთნიკური იდენტობის გადარჩენა-განვითარების საკმაოდ მძლავრი იმპულსებიც წარმოადგენს.

სოციალური მახსოვრობით, თურქეთელი ქართველებისათვის, ტოპონიმი „ბათუმი" ხშირ შემთხვევაში მოიცავს მთელ საქართველოს, სამშობლოს „მემლექეთის" კრებითი სახელია. როდესაც იმერხეველი

[1] ნაშრომი ეყრდნობა თურქეთის რესპუბლიკაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოველწლიურად (2007-2013 წწ.) განხორციელებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალას, ავტორის პირად საკუთრებას.

ან მაჭახლელი ამბობს, – „იმ თეფედან ბათუმი ჩანს“ – აქ არა კონკრეტულად ქალაქი ბათუმი და მისი სანახები, არამედ საზღვარს მიღმა დარჩენილი სამშობლოს მიწა-წყლის ესა თუ ის მონაკვეთი იგულისხმება.

როგორც უკვე ითქვა, ისტორიული საქართველოს იმ მხარეებისათვის, რომელებიც დღეს ართვინის, არტაანის, ნაწილობრივ არზრუმისა და ყარსის რეგიონებშია მოქცეული, 1920-იანი წლების დასრულებამდე, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს ბათუმი წარმოადგენდა. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული მხარეები უძველესი დროიდან მოყოლებული და ასევე, მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში (თოფჩიშვილი, 2010: 142-150). ამ მხარეებში უწყვეტად ცხოვრობდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა. მაგალითად, მაჭახელი ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გამო ძველი მსოფლიოს მთავარი საქარავნო-სავაჭრო გზის ერთ მონაკვეთს მოიცავდა, ასევე გვიან შუასაუკუნეებშიც შავშეთისაკენ მიმავალი გზა მაჭახელზე გადიოდა და გადმოცემით, ამ მხარის ბოლო თემში – ეფრატში მდებარეობდა ერთ-ერთი სახელმწიფო საბაჟო პუნქტი (კახიძე, 1974: 7-8).

1921 წლიდან ისტორიული საქართველოს დიდი ნაწილი თურქეთის საზღვრებში ექცევა. ამ დროიდან იწყება ზედა მაჭახლის ხეობის, შავშეთის, კოლა-არტაანის, იმერხევის, ნიგალის, ამიერტაოს შორის არსებული ტრადიციული სოციალური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა და ნოვაციური ყოფითი ელემენტების გაჩენა-დამკვიდრება. თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართველებისათვის წყდება ბათუმთან მაკავშირებელი ყველა ძაფი. ბათუმი (საქართველო) მოგონებად იქცა. ეს მოგონებები თანდათანობით თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში მთავრ სოციალურ ფაქტად ყალიბდება, და მახსოვრობის მეორე მნიშვნელოვან სეგმენტთან ერთად (თამარ დედოფალი//დოდოფალი), განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

თურქეთელ ქართველთა შორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული სოციალური ფაქტები//ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგანაც კოლექტიური მეხსიერების მთავარი ნიშანი კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების დაკარგვა და იგნორირებაა. სოციალურ მეხსიერებაში რჩება მთავარი და არსობრივად მნიშვნელოვანი ფაქტები და ხდება მათი მკვეთრი მითოლოგიზირება (Гуревич, 1972; Элиаде, 1987; Ле Гофф, 1992; ხიდაშელი, 2010: 247-258).

თურქეთელ ქართველთა შორის შემონახული სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ანარეკლი უნივერსალური სიუჟეტების სახით არის

გავრცელებული მთელ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და თურქეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირეთის რეგიონებში მცხოვრებ „მუჰაჯირთა“ შთამომავლებში[2]. როგორც უკვე ითქვა, წმიდა თამარ მეფესთან („თამარ დედოფალი//დოდოფალი“) ერთად, „ბათუმის“ ანუ სამშობლოს მოგონება ქცეულია ქართულ იდენტობასთან მაკავშირებელ მთავარ სოციალურ ფაქტებად. თურქეთელ ქართველთა შორის შემონახული თამარ მეფესთან („თამარ დედოფალი//დოდოფალი“) დაკავშირებული ისტორიული მომენტები, ცხდია, შეიცავენ ლოკალურ ნიუანსებს, მაგრამ, ამავე დროს, ავლენენ დიდ მსგავსებას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებში არსებულ გადმოცემებთან. შესაბამისად, თურქეთელ ქართველთა სოციალური მახსოვრობის ის შრე, რომელიც თამარ მეფეს უკავშირდება, უნივერსალურია და ზოგადქართული კულტურის კონტექსტში მოიაზრება. ლოკალურ ნაირსახეობას კი ქმნის სამშობლოს მონატრების განცდა და ეთნიკური ფესვების ძიების მაღალი ხარისხი – არსებული თურქეთელ ქართველთა შორის. თამარ მეფის ნათელი ხატება თურქეთელ ქართველთათვის ეთნიკური იდენტობის უმთავრესი მარკერია და ტრადიციულ ქართულ კულტურასთან მაკავშირებელი მთავარი სოციალური ფაქტია. რასაკვირველია, სოციალური მეხსიერების ფაქტები მრავალმხრივ საყურადღებო ელემენტებია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ტრადიციულ კულტურასთან მაკავშირებელი კოლექტიური მეხსიერების ესა თუ ის მოტივი. ამ მხრივ, თამარ მეფის სახებაა უმთავრესი და მასში ფოკუსირებულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან (გუჯეჯიანი, 2012). თამარ მეფე თურქეთელ ქართველთა მსოფლაღქმაშიც იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ „მთელი ბათუმი და დუნია იმისი ყოფილა“.

[2] ისტორიულ ფაქტთაგან აღსანიშნავია ამა თუ იმ ტოპონიმთან, სოფლის დაარსებასთან, ციხეების, ხიდებისა და აბანოების აგებასთან, ეკლესიებთან და ნაეკლესიარებთან, წყაროების „ამოფეთქვასთან“, არხებისა და გზების გაყვანასთან დაკავშირებული საისტორიო გადმოცემები, შემონახულია მასალა ოსმალეთისა და რუსეთის ომების დროს ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მომხდარი ბრძოლების შესახებ, რუსეთის არმიის მიერ ჩადენილი არაერთი სისასტიკის ამსახველი ამბავი, სომეხთა მიერ ქართული სოფლების რამდენიმეგზის აოხრების ისტორიები. ცალკე გამოიყოფა სიუჟეტები, რომლებშიც მოთხრობილია ქართველი ქალების მშობლიურ მხარეებთან განსაკუთრებული მიჯაჭვულობისა და სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული მძაფრი ნოსტალგიის შესახებ, მაგალითად, არტანუჯის ბეგის ასულისა თუ ჩიხორელი ქალის ტრაგიკული ისტორია; საინტერესოა ე. წ. ზიარეთობასთან დაკავშირებული ტრადიციები, მოყრიანობის ხსოვნა, ზოგიერთ დღემდე არსებულ ხალხურ დღეობათა დაარსების ისტორიები და სხვ. „მუჰაჯირთა“ შთამომავლებში შემონახულია გადასახლებასთან დაკავშირებული სულისშემძვრელი ისტორიები, სამშობლოს მონატრების მძაფრი განცდა.

ბათუმთან (საქართველოსთან) დაკავშირებულია წინაპართა პატივისცემა (ბათუმიდან მოსული დედების ტკივილიანი მოგონებების ცხოველმყოფელობით). მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის „ბათუმი“ ისეთად რჩებოდა, როგორადაც მას იქიდან მოსული წინაპრები აღწერდნენ. „ფევზიეში დავბადულვარ, ჩემი დიდდედე ჩამოსულა ბათუმიდან. ბათუმი ლამაზიაო, ბაბამ მითხრაო, იტყოდა ჩემი ბაბა. მე ვერ ვნახე“ (ბურსის რეგიონი, ინეგოლი, სოფელი ფევზიე). „ბათუმიდან მოსულან ჩვენი დედები ფარნუხ, იმათი დაშენება ვართ ჩვენ. ერთი ჭალაძე მოსულა, ერთი კახიძე, ერთი ჭივიძე, ერთი მელქიენთი. დასახლებულან. მანმადე აქ ან გურჯი ყოფილა, ან სხვა, ესენი აღარ დახვედრიან“ (იმერხევი, სოფელი ფარნუხი); „ძველად ორი კაცი მოსულან ბათუმიდან: ალი და ომერი. ისინი გაბევრებულან, გაყრულან, სოფელი უქნიან“ (ტაო, პარხლისწყლის ხეობა, ქობაის თემი); „ბათუმის სამძღვარი დაღობილი ყოფილა, ჭოროხიდან გადმოცურებულან, ვოი, იმფერი ტიბილი ყოფილა ჭოროხი, ბოლოს რომ უნახვიენ, ლამაზი. ბაბაოი ისე მოკტა, ჭოროხის წყალი მასვითო და არ მოვკტებიო“ (საქარიას რეგიონი, ჰენდეკი). „ენ წინ ბათუმიდან ამდგარა, ბორჩხას დამდგარა, მარადიდიდან მოსულა ჩემი ბაბოი, ჩემი ნენეს ბაბაოი ომანადან მოსულა“ (საქარიას რეგიონი, ჰენდეკი). „რაფერ მოსულან აქ? ბათუმიდან ნავით მოსულან, ხოფას გამცდარან, იმის უკან ფეხით წამოსულან, სამი წელი გზაში ვიყავით, დიდნენეს თვალები სულ სველი ყოფილა, ბათუმს ვერ ვნახევო. ბაბა ცხრა წლის ბაღანა ყოფილა, ნენე რათ ტირისო, ისიც ატირებულა“ (საქარიას რეგიონი, ქარასუს რაიონი). „მე მეხუთე ვარ, ბაბას ბაბუა გამოსულა. მიორე ძმა ბაბასი ბათუმ დარჩენილა, ჭკუვა ჰქონებია. მოვზებნეთ იმისები, ვნახეთ აქაც იყვნენ“ (საქარიას რეგიონი, აქიაზის რაიონი). „თქვენ ღმერთს ყვარებიხართ, ბათუმ დარჩენილხართ“ (საქარიას რეგიონი, ჰენდეკი).

თურქეთელ ქართველთა მოგონებებში ფართოდ იხატება ბათუმთან ძველად არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის კვალი: „ჩემ დედეს ბათუმიდან მოჰქონდა დიდროანი შაქარი, ნატეხი, ნაფთი, აქედან მიქონდა კროჭები და გობები“. (იმერხევი, ბაზგირეთის თემი); „ჩვენი დედები გადადიოდნენ, ფურ-მურ წაიყვანდნენ ბათუმამდე. აქედან ბათუმამდე სამ დღე გადაიარები, ასე მთიდან გადაარუნიებდნენ, დიობანის მთიდან. იქ ასკერებ იდგნენ. ჩემი ბაბაი გადასულგადმოსულა. საჭმელი მოჰქონდნენ, გაყიდიდნენ, ფარა მოჰქონდენ, ზოგი იქა მუშაობდნენ“ (იმერხევი, ზიოსი); „ჩემ დედეს ბათუმში სახლები უკეთებია, უსტა იყო. ერთ თვეს არ გასწევდა, ერთ სახლ გააკეთებდა ბათუმში. ბათუმიდან გუგუმ აიღებდა, ქვაბ, თეშტ, შაქარ ეიღებდნენ. ბაღვობიდან მახსოვს, მუჭის სიმსხო შაქრები, დანახული მაქვს“ (იმერხევი, მანატბა). „ვიცოდით დედების სახელის დარქმევა. დედები ბათუმ წევდოდნენ, იყიდევდნენ ჩასაცმელებ. პური მოჰქონ-

დენ. იქაური პური გემრელი ყოფილა. ცხენით და ფეხით მიდიოდნენ ბათუმ. კაიღით კი მარადიდიდან წავიდოდნენ“ (მურღულის ხეობა, გურბინის თემი). „ძველად ცხოვრობდენ მიწით, თუთუნ მოჰქონდა ფული, ძროხითაც, მადენითაც. აქ ყოფილა ჩემი დედეს ბაბოს იატაღი. 500 ცხვარი ჰყავდა. ზაფხულში აქა, ზამთარში ძანსულში. ქომო სოფლებში, საცხა არ გათოვლდებოდა, იქაც წავიდოდნენ ცხვარები. ხევი ჩადის გუუთოვლებელი, მაგალითად, ერეგუნაში, ბორჩხამდე, იქიდან ბათუმს. იმათ მატყლას მივცემდით. ისინი კი ჩვენთან გამოიყვანდნენ ზაფხულში, ბორჩხას ჩასვლამდი“ (მურღულის ხეობა, ოზმალის თემი) „მატყლს ბათუმ ვყიდდით, ართვინ, ერმენებში, ჭანებში, იყიდებდნენ“ (მურღულის ხეობა, დურჩა).

სოციალური მახსოვრობის სხვადასხვა ელემენტი მნიშვნელოვანია მენტალური თავისებურებების კვლევის კუთხით და ეროვნული სიამაყის მასულდგმულებელი მომენტების არსებობის მიმართულებითაც: „ქართველი თეთრი სიხლისა არს, შენც თეთრის სიხლისა ხარ, ბათუმიდან მოსულხარ“ (ტაო, პარხლისწყლის ხეობა, ქობაის თემი). „ბათუმიდან მოსულხართ? დუნია გაგვინათდება, თქვენ რომ დიგინახავთ“ (იმერხევი, მანატბა). „თელი ბათუმში ვყოფილვართ, მემრე ჩვენ გურჯები გავყოფილვართ: ზოგი იქ დარჩენილა, ზოგი – აქ“ (იმერხევი, ბაზგრეთის თემი). „ლაზი და გურჯი ძმები ყოფილან. ლაზი ზღვიდან წამოსულა, ქართველი – მთებიდან. ბათუმში შეხვედრილან. ჩვენ „მსახლი“ ვიტყვით, ისინი – “სხული“ (იმერხევი, მანატბა).

ქართველობა, „ბათუმიდან“ მოსულობა ზრდილობასთანაც არის ასოცირებული: „ჩემი ბაბა „დაჯექი“-ს არ იტყოდა, “მობრძანდი“, „დაბრძანდი“ – ამბობდა, ბათუმიდან იყო და იქ ასე ლაპარიკობენო“.

ბათუმიდან მოსულობის თემა გადაჯაჭვულია გამორჩეულ ხასიათის ქონასთან – სიმტკიცესთან, გამძლეობასთან. მუჰაჯირობის ამსახველი მასალების ჩაწერისას სწორედ ამგვარი სიუჟეტები იჩენდა თავს: „აქაც იყო მუჰაჯირობა. აქ მარტო ერთი ქალი დარჩენილა, ჩემი დიდნენეი, ბათუმიდან გელინი იყო, 23 წლის ქვრივი დარჩენილა, 4 ღარჭით, სხვა ვინმე არა, მას აქ ვინმე არ მუუშვია, ღარჭები დუუზრდია. ჰაჯერი ერქვა. ბაბოს ანოი იყო, 114 წლის გახდა, ახალი კბილები ამოუვიდა, მე ასკერში ვიყავი, როცა მოკვდა“ (ბაგინისწყლის ხეობა). „ჩემი დედე დარჩენილა მარტო მუჰაჯირობიდან, მე არ მეშინიაო, გამჩენელ ვუყურებო, იმის ბაბოი ბათუმიდან ყოფილა, ძალუვანი კაცი ყოფილა“ (ადაგულის თემი). თურქეთელი ქართველებისათვის ამავე კონტექსტში მოიაზრება ქართული კულტურისათვის დამახასიათებლი „ბუღების ჭედობის“ წესიც. ცნობილია, ბუღების ჭედობა საქართველოს ბევრ მხარეს ახასიათებდა (სვანეთი, აჭარა, მესხეთი, ისტორიული ნიგალის ხევი: მურღულისწყლის ხეობა, დევსქელის ხეობა, ადაგულის თემი, ახალდაბის თემი, პეტრულის თემი, ქართლას თემი,

თხილაზორის თემი, ორჯის თემი; ისტორიული ტაო: პარხლისწყლის ხეობა...) და იგი საწესო-სამხედრო ასპარეზობების ნაწილი იყო, ზოგიერთ მხარეში თანხვდებოდა კვირაცხოვლობას (სვანეთი), ზოგან ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლში იყო მოქცეული, ზოგან „შუამთობას“ ემთხვეოდა და ა.შ. თურქეთელ ქართველთა შორის ჩაწერილი გადმოცემებით, ძველად, საუკეთესო ბუღები „ბათუმიდან“ გადმოჰყავდათ. ასეთ ბუღებს განსაკუთრებით სქელი კისერი და ბასრი რქები ჰქონია.

საბჭოთა კავშირის დაშლას და საქართველოს გათავისუფლებას, რასაკვირველია, თურქეთელი ქართველებიც უდიდესი სიხარულით შეხვდნენ, რადგან საბჭოთა საქართველო მათთვის, ფაქტობრივად, რუსეთად მიიჩნეოდა. ორ სახელმწიფოს შორის (საბჭოთა კავშირი და თურქეთის რესპუბლიკა) იძულებით გახლეჩილი საქართველოს ყოფა უამრავ ტრაგიკულ ადამიანურ ისტორიას მოიცავს. საზღვრის გახსნის შემდეგ შესაძლებელი გახდა ახლობელ-ნათესავების მოძიება და გაწყვეტილი ნათესაური ურთიერთობების აღდგენა. ცნობილია, საზღვრის ჩაკეტვის გამო (1921 წელი) მთელი 60 წლით ერთმანეთს დაშორდნენ უახლოესი ნათესავები, ოჯახები ორად გაიყო. არათუ კონტაქტის საშუალება, არამედ, მაგალითად, იმერხევისა და შუახევის რაიონის მოსახლეობისათვის, ან ზედა ან ქვედა მაჭახლის მოსახლეობისათვის გაღმა დარჩენილი ხეობისაკენ ხელის გაშვერაც კი ისჯებოდა როგორც საბჭოთა, ასევე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან. ერთ-ერთი მთხრობელის დედას ქვედა მაჭახელში დარჩენია სამი და და ერთი ძმა. თვითონ კი ზედა მაჭახელში ყოფილა გათხოვილი, „ნენეი დილას ღელეზე ჩადიოდა, წყალს შესვამდა და პაწაის უკან ჩაღვრიდა, ჩემს სოფელს ჩაიარს, ჩემი და დალევს და იცნობს, გამიხსენებენ“-ო. საზღვრის გახსნის შემდეგ ეს ქალი მის შვილს ქვედა მაჭახელში ჩაუყვანია, ქალს 60 წლის უნახავ დედმამიშვილებთან დაუყვია ერთი თვე. შემდეგ უთქვამს, სიკვდილის აღარ მეშინიაო. ასეთი უამრავი სიუჟეტია დაფიქსირებული ყველა თემსა და სოფელში, როგორც ზედა, ასევე ქვედა მაჭახელში, მთელ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და მუჰაჯირთა შთამომავლებში. ბურსის რეგიონის ინეგოლის რაიონში მსხლის ხესთან მიგვიყვანეს, „ეს ბათუმიდან, მემლექეთიდან მოტანილი მსხალიაო“. ამ ხეს მთელი სოფელი საგულდაგულოდ უვლის. საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული კეთილმეზობლობის შედეგად ყოველდღიურად უამრავი თურქეთელი ქართველი გადმოდის ისტორიულ სამშობლოში. მათთვის „ბათუმი“ წინაპართა სახელებთან გადაჯაჭვული ადგილია, ერთგვარად საკრალიზებული და მითოლოგიზირებულიც კი. ხშირია ნათესავების მოძიებისა და კავშირების აღდგენის ფაქტები. მუდმივი კომუნიკაციაა, რასაკვირველია, სასურველი და იმედისმომცემია. „ბაბა ბათუმისთვინ ტიროდა. მისი კალოს დანახ-

ვა უნდოდა. ახლა იქ სხვა ვინმები ზიანო. შარშან გეველ ბათუმში. ბაბას სოფელში ავედი. მიველ ბაბოს კალო-კართან. გოგო იდგა, რა საქმეზე ხარო? აქ ბაბას კალო იყო, სად არიან უმპროსები-თქო, დუუზახა. აიდინოღლების კალო დამანახვენ თქო. დამანახვენ. იქიდამ სამი ოყა მიწა ავიღე, ბაბას მეზერზე მოვაყარე. მე ქართველი ვარ, მე იქ ქართველს რაცხა დაემართოს, მე აქ ვტირი“ (საქარის რეგიონი, კარასუს რაიონი). „ჩემი ბაბოის ბაბოი ჩამოსულა. მე ბათუმში ჩავედი, ვიტირე“ (საქარის რეგიონი, ყარასუს რაიონი).

სამწუხაროდ, დღეისათვის თურქეთელ ქართველთა მოზარდ თაობაში დედაენის ცოდნის ხარისხი თითქმის ნულოვანია. „ჩვენ მოვკვდებით, ქართველობა ადგება, ოც წელიდადში თურქეთში ქართველობა აღარ იქნება“ – ამ ტკივილიან ფრაზას ყველგან ვისმენდით. მას ნაღვლიანი მოხუცები და შუახნის ადამიანები წარმოთქვამდნენ. ქართველთა შორის ეთნიკურობის მთავარი მარკერის – ქართული ენის ცოდნის – შენარჩუნებისათვის აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, ცალკეულ თურქეთელ მოღვაწე ქართველთა მწირი შესაძლებლობებით ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. ჩვენს თვალწინ, თურქეთში, ქართული ეთნოსი ქრება და საქართველოს სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები არ ჩანს. ამ მხრივ, მეტად დადებითი შედეგები ჰქონდა რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთელი ქართველებისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში უფასო სწავლებას. სამწუხაროდ, ეს პროექტი ამ ეტაპზე დროებით შეჩერებულია.

ერთგვარ დადებით ნაბიჯებად მოვიაზრებთ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირების გაღრმავებას, ასევე, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას ტრანზიტული მიზნით: ცნობილია, ზედა მაჭახლის ხეობა ორგანულად არის დაკავშირებული ქვედა მაჭახელთან, ვინაიდან თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიული საქართველოს სხვა ნაწილებთან მას რთული გეოგრაფიული პირობების გამო ზამთრობით გზა ეკეტება. ეს გზა ზემო მაჭახელს ქლასკურთან და ბორჩხასთან აკავშირებს და, იგი პაწამთაზე დიდთოვლობის გამო, ზოგჯერ მთელი 7-8 თვით იკეტება. საქართველოს გათავისუფლების შემდეგ (1991 წელი) თანდათანობით მომზადდა ნიადაგი და რამდენიმე წლის წინ ზამთრობით ხეობაში ჩაკეტილ ზედა მაჭახლელებს უფლება მიეცათ ქვედა მაჭახელში გადასვლისა და იქიდან სარფის გზით თურქეთისკენ გადაადგილებისა. ამგვარ მგზავრობას თურქეთის ადმინისტრაციის ნებართვით თურქეთის სპეციალური „სერვისი“ ემსახურება. ორ სახელმწიფოს შორის მზადდება ზედა და ქვედა მაჭახლის დამაკავშირებული გზის გახსნა. ეს გზა უშუალო საზღვარია საქართველოსთან. ბათუმის აეროპორტითაც ხშირად სარგებლობენ ართვინის ვილაიეთ-

ში მიმავალი მგზავრები. მათ ბათუმში გადასვამენ ავტობუსებში და გადაჰყავთ თურქეთში.

ბათუმი//სამშობლო ფაქიზი თემაა თურქეთელი ქართველებისათვის. აქაური ქართველები უნდა ვეცადოთ, რომ ურთიერთობები გაღრმავდეს და საქართველო თურქეთელი ქართველებისათვის ისეთივე ეთნიკური სიამაყის წყაროს წარმოადგენდეს, როგორიც მათ სოციალურ მახსოვრობაში თამარ დედოფლის სახეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გუჯეჯიანი, 2012 – გუჯეჯიანი რ., სოციალური მეხსიერების ფაქტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, სპეციალური გამოშვება, კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა, თბილისი.

კახიძე, 1974 – კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, "საბჭოთა აჭარა", ბათუმი.

Гуревич, 1972 – Гуревич А. Я., Категории средневековой культуры, Москва.

Ле Гофф, 1992 – Ле Гофф Ж., Цивилизация средневекового Запада, Москва.

Элиаде, 1987 – Элиаде М., Космос и история, Москва.

Gujejiani Rozeta (Tbilisi, Georgia)

The Social-Cultural Aspects of Batumi in the Traditional Life of Georgians in Turkey

Summary

The work is based on the materials obtained in various ethnographic expeditions in the Republic of Turkey. According to this, Batumi was not just the ordinal Georgian city or toponym for Georgians in Turkey. Batumi is a generalized concept linking them to their roots, which unites the most important elements of the social memory.

Batumi, as the collective name of their motherland, takes the most important place in the traditional life and modern ethno-cultural processes for Georgians in Turkey.

Batumi, before the beginning of 1930s, was the trade, economic and cultural center for people of the historical Tao-Klarjeti. The paper reveals the memories about Batumi existing in the social memory of Georgians in Turkey which are sa-

ved not only among native Georgians from Klarjeti and Tao, but also among the descendants of ("Muhajir") Georgians who migrated from Adjara and various historical-ethnographic parts of historical Georgia (Zemo (Upper) Machakheli, Imerkhevi, Shavsheti, Artaani, Kola, Nigali Gorge) to the central and Black Sea coast regions of Turkey. Since 1877 Muhajirs and their descendants have had painful memories about their motherland become the main social fact and it was accumulated in one concept "Batumi".

The paper presents the variety of modern ethno-cultural and social-cultural processes which take place among the Georgians in the Republic of Turkey and one of its most important segments is the existence of powerful impulses for restoration of the relationship with the historical motherland and the survival and development of an ethnic identity.

მარინა გიორგაძე, ნუგზარ მგელაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმისა და ბათუმის შემოგარენის ჰონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობის საკითხისათვის[1]

ბათუმსა და ბათუმის შემოგარენის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის ზეპირსიტყვიერების შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, უპირველესად კი, ფოლკლორისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში ჩამოსახლებულმა ამ მცირე ეთნიკურმა ჯგუფმა, რომელთაც „პონტოელი ბერძნების" სახელით ვიცნობთ, ისტორიულ სამშობლოსა თუ ევროპაში დამკვიდრების მიზნით საქართველო ეტაპობრივად დატოვა. ბევრი რამ უკვე დავიწყებას მიეცა. ამიტომ, ყოველ გადარჩენილ დაუფიქსირებელ ზეპირსიტყვიერ ნიმუშს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ენის, პონტოური დიალექტის, ისე ფოლკლორული შემოქმედების თვალსაზრისითაც. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები ძირითადად ჩაწერილია დაგვაში, კვირიკეში, ახალშენში, ორთაბათუმში და ბერძნებით დასახლებულ სხვა სოფლებში. ჩვენ უკვე საკმაოდ დიდ დროა, რაც პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობის საკითხებით ვართ დაკავებული და ამ პრობლემას რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომიც მივუძღვენით (**გიორგაძე, მგელაძე,** 2009: 124-137). ამჯერად, პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული ნიმუშებით დავინტერესდით.

ბათუმსა და ბათუმის შემოგარენის სოფლებში ბერძენი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი სახლობს. მათი უმეტესობა ხანდაზმულია. ეს შედეგია ბოლო ოცწლეულში აქტიურად მიმდინარე მიგრაციული პროცესისა. საველე მასალების ძიებისას რამდენიმე საინტერესო მთქმელთან გვქონდა საუბარი. მასალათა სიძველეს მხოლოდ ის მოწმობს, რომ რაც მათ იციან, წინაპართაგან ახსოვთ. მთქმელები, უმეტესად, უფროსი თაობისანი არიან, როგორც მამაკაცები, ასევე, ქალები. ზოგიერთი ფოლკლორული ნიმუშის ჩაწერისას ორი მთქმელი ერთმანეთს ეხმარებოდა, ახსენებდნენ და უსწორებდნენ, ავსებდნენ ერთმანეთის ნაამბობს. ის ლექსები, რომლებიც ჩავიწერეთ, უპირატესად სასიმღეროდ გამოიყენებოდა, რომელთაც ახალგაზრდობაში ჯგუფურად ასრულებდნენ. ახლა კი მარტოდ დარჩენილ მოხუცებს უჭირთ ტექსტის აღდგენა. რაც შეეხება საველე წყაროების ჩაწერის პროცესს, მასალებს რუსულ-ქართულად გვაწერინებდნენ. ვინც ქართული კარგად იცოდა, ქართული ასოებით სარგებლობდა, ბევრიც რუსულ დამ-

წერლობას იყენებდა. წარმოგიდგენთ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშს:[1]

სოფელ დაგვაში მცხოვრებ, 1931 წელს დაბადებულ, პროფესიით მშენებელ გიორგი ირაკლის ძე მალკოციდისაგან რვა სტროფისაგან შემდგარი ისტორიული ხასიათის ლექსი ჩავიწერეთ, სადაც პონტოელ ბერძენთა საქართველოში ჩამოსახლებაზეა საუბარი. შემოგთავაზებთ ამ ლექსის პწკარედულ თარგმანს:

1. „ათას ოთხას ორმოცდაცამეტ წელს
თურქეთმა დაიპყრო ბიზანტია,
2. სამუდამიდ გაიყარნენ
დედები და შვილები,
ცხოვრებაში ამას არ ელოდა პონტი[2].
3. გაიქცნენ და მიატოვეს
ოჯახი და კერა,
კილომეტრები იარეს
ტალახიანი გზებით.
4. ბათუმში ჩამოვიდნენ ულუკმაპუროდ,
„პონტიმ" აქაც ვერ ნახა
ერთი პატარა ალაგი.
5. გაიქცნენ და დაიფანტნენ
გემებზე ყველანი ცალ-ცალკე,
დედები შორს დარჩნენ
შვილებისაგან
6. უბედური პონტოელი
ქვეყნიდან გარიყულია,
რა დაუშავა ღმერთს
დაწყევლილი რომ არის.
7. ახლა პონტოელები გაექცნენ
შიმშილს შორს,
დატოვეს თავისი დედ-მამა,
ეს დასამალი არ არის.
8. მხოლოდ „რომეები"[3] არ არიან,
პონტოელები არიან კიდევ
სომხები სხვა ეროვნების ხალხებიც
და არის იბერიაც" (**სმ**, 7, ტ. №1 – ბსუკფკა).

ლექსის ბოლო სტროფში დაფიქსირებულია ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ნიუანსი, კერძოდ ის, რომ ისტორული პონტოს ტერი-

[1] ველზე შეკრებილი ბერძნული ტექსტები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კაბინეტის არქივში (ბსუკფკა) ინახება.
[2] **პონტი** – პონტოელი ბერძნები თავის თავს ასე მოიხსენიებენ.
[3] საქართველოში მცხოვრები ბერძნები თავს რომეებს უწოდებდნენ.

ტორია გამოირჩეოდა ეთნიკური სიჭრელით. ცნობილია, რომ პონტოს ტერიტორიაზე მოსახლე ბერძენთა შორის სხვა მრავალი ეროვნების ხალხიც ცხოვრობდა, მათ შორის, სომხები და იბერები. ჰეროდოტედან მოყოლებული, ბერძნულ წყაროებში არაერთგზის მოიხსენება **პონტო,** სადაც ცხოვრობდნენ ელინები, არაელინი კოლხურ-ქართველური ტომები და სხვები.

ბერძენთა ფოლკლორში ხშირად გვხვდება მცირე ზომის ლირიკული ნიმუშები – ოთხ და ექვს სტრიქონიანი ლექსები, რომლებიც სოციალურ, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო თუ წუთისოფლის თემებს ეხება.

პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის ზოგი ნიმუში შორეული წარსულიდან მოდის და ძველი ცხოვრების ამსახველია. მათში ტრაგიკული ბედის გამო ხალხის უიმედო, მძიმე მდგომარეობა, მათი სულიერი ტკივილი და მწუხარებაა ასახული.

სოფელ დაგვაში კონსტანტინე კუსიდისაგან ჩაწერილი ნიმუშიც ამ თემას უკავშირდება:

„დედა რატომ გამაჩინე
ჩემთვის რატომ იწვალე,
ჩემი აკვანი დაწვეს
მე სადაც გამზარდე" (**სმ**, 7, ტ. №12 – ბსუკფკა).

სამშობლოს მონატრების სევდაა, როგორც ჩანს, ამ პატარა ლექსში, რომელიც გიორგი ირაკლის ძე მალკოციდისგან ჩავიწერეთ:

„ვწყევლი შორეულ გზას,
სადაც არ მიდის ჩემი ხმა,
თვალები დამიბნელდა
მონატრებისაგან" (**სმ**, 7, ტ. №3 – ბსუკფკა).

სევდის მოტივს უკაშირდება სასიმღერო ლექსი სათაურით – "დატანჯული სული", რომლის რესპოდენტიც პართენა გიორგის ასული სიმიონიდი გახლავთ – დაბადებული 1961 წელს. იგი სოხუმელი პონტოელი ბერძენია, გათხოვილია სოფელ დაგვაში ისევ პონტოელ ბერძენზე. პროფესიით მასწავლებელი იყო და ეს სიმღერები (ლექსები) მასაც ძველთაგან ახსოვს:

„დატანჯული სული მაქვს
და გული მტკივა,
რატომ არ არის ჩემთან
ჩემი შვილი, სული დამელია.
არავინ იცის სად იმყოფებიან,
როგორ ქრებიან ეს წლები,
ვწუხვარ და ვტირი მონატრებისგან,
ნეტავი, ღმერთო (შვილი) ვიპოვო,
ცოტაც და სული თან დამელევა" (**სმ**, 7, ტ. №4 – ბსუკფკა).

სოფელ დაგვაში დავაფიქსირეთ სატრფიალო ლირიკის ნიმუშებიც. ერთ-ერთი საინტერესო მთქმელია 1926 წელს დაბადებული ქრისტინა ივანეს ასული სტეფანიდი. იგი სოფელ დაგვაში ცხოვრობდა. მისგან ჩავიწერეთ მოკლე ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„მოდი, მოდი საყვარელო,
ნუ დამტანჯე,
ჩემი სული პატარაა
და ვეღარასოდეს იპოვი„ (**სმ**, 7, ტ. №5 – ბსუკფკა).

საერთოდ, პონტოელ ბერძენთა ფოლკლორულ ვარიანტებში, რომლებიც სხვადასხვა წლებშია ჩაწერილი, ხშირია, სატრფიალო ლირიკის ნიმუშები. როგორც წესი, ისინი მოკლე – ოთხსტრიქონიანი ლექსებია, რომლებშიც სასიყვარულო განცდები, მიჯნურთა ერთმანეთისაკენ ლტოლვა, მათი განშორებით გამოწვეული სევდა უშუალოდაა აღწერილი.

სატრფიალო თემას უკავშირდებ, ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტისაგან – 1928 წელს დაბადებული მარია ალექსის ასულ სეირიაკიდისაგან ჩაწერილი შაირის ნიმუში. მარია სეირიაკიდიც დაგვის მკვიდრი იყო:

„ერთი გოგო შემიყვარდა,
მდინარის გაღმა მხრიდან,
ერთხელ კიდევ თუკი ვნახე,
დაღუპავს ჩემს გვარს" (**სმ**, 7, ტ. №6 – ბსუკფკა).

პონტოურ ფოლკლორში ყურადღებას იპყრობს ხალხში შაირების სახელით ცნობილი მსუბუქი განწყობის გამომხატველი პატარა, ოთხხუთ სტრიქონიანი ლექსები, ძირითადად, სატრფიალო შინაარსისა. ერთ-ერთი მთქმელი შაირისა 1928 წელს დაბადებული, სოფელ დაგვის მკვიდრი მათვეი ევსტაფის ძე პავლიდი გახლავთ:

„არ დაიტანჯო გული,
თუ მოვკვდები, არ იტირო,
მიტირე ცოცხლად და
გაიშალე თმა" (**სმ**, 7, ტ. №7 – ბსუკფკა).

სატრფიალო ლირიკის ნიმუშია შემდეგი ტექსტიც, რომელიც პართენა გიორგის ასულ სიმიონიდისგან ჩავიწერეთ:

„სევდა,
დამეტანჯა გული,
სულში სისხლი მეწვეთება,
დაგავიწყდა შენი ჩიტი,
მუდამ შენზე რომ ღელავდა.
თითქოს დაიძინებ და
ჩემზე იფიქრებ,
სხვა გაკოცებს და

შენ გეტკინება,
დამტანჯავს ჩვენი დაშორება,
შენ სხვაზე დაიწერ ჯვარს.
გავლენ წლები და შენი ჩიტი,
შენზე მზრუნველი დაგავიწყდება,
უკან დააბრუნე ნიშანი,
არ დაიწერო ჯვარი,
ორ დანას ერთად დამარჭობ
[დამტანჯავს შენზე ჯავრი]" – (**სმ**, 7, ტ. №8 – ბსუკფკა).

ერთ-ერთ რესპოდენტთან მოვიძიეთ ფილოსოფიური ლირიკის ნიმუში, რომლის მთქმელია სოფელ დაგვის მკვიდრი, პროფესიით მასწავლებელი, 1930 წელს დაბადებული გიორგი ირაკლის ძე კასიტერიტი. ეს ლექსი მასაც წინაპართაგან ახსოვდა:

„ერთი სხეული და ერთი სული
მარტო ეს მაქვს ვალი,
ერთს წაიღებს მიწა,
მეორეს უფალი" (**სმ**, 7, ტ. №9 – ბსუკფკა).

საგულისხმოა, რომ დაგველი ბერძნები ფოლკლორის კუთხით თანამედროვე ყოფასაც ეხმიანებიან. ცნობილია, რომ 1990-ანი წლებიდან მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით გაძლიერდა. ბერძნების ნაწილი, უმეტესად კი ახალგაზრდობა, ისტორიული სამშობლოსაკენ – დღევანდელი საბერძნეთისაკენ მიიწევდა:

„ვჭამოთ და დავლიოთ
ამ კვირას,
გემები მოვა და
საბერძნეთში წავალთ" (**სმ**, 7, ტ. №10 – ბსუკფკა).

ამ ლექსის მთქმელი მათვეი ევსტაფის ძე პავლიდია იყო.

საველე ექსპედიციების პერიოდში გამომზეურდა ირონიული შინაარსის პატარა ლექსიც, რომელიც იმ რეალურ ფაქტებს ეხება, საბერძნეთში გადასახლებულთ რომ სირთულეები ხვდებოდა. ყოველივე ეს ამძაფრებდა მათ სულიერ გაორებას. ლექსში პონტოელი მეუღლეს დაუფარავი ირონიით მიმართავს:

„ადექი დილით, მითხარი:
იორიკა, საბერძნეთში მივდივარ,
ვითომ შენთვის მოამზადეს
იქ თაფლი და რძე" (**სმ**, 7, ტ. №11 – ბსუკფკა).

პონტოელ ბერძენთა უფროსი თაობა ერთხმად აღიარებს, რომ უკუღმართმა ბედმა მათ სამშობლოს ცნება ერთგვარად დაუკარგა. მათთვის სამშობლოდ თანამედროვე თურქეთის „ისტორიული პონტოს" ტერიტორია ითვლება, მომდევნო თაობისათვის – საქართველო, მაგრამ ისტორიულ სამშობლოდ ყველასათვის მაინც საბერძნეთი რჩე-

ბა. თაობებს შორის განსხვავებული განწყობილება უფრო ღრმად შემდეგ ხალხურ ლექსში იკვეთება, სადაც ჩანს თუ როგორ უჭირს უფროსი თაობის წარმომადგენლებს უკვე სამშობლოდ ქცეული საქართველოს დატოვება, სადაც მათ წინაპართა საფლავები და ეკლესიები რჩებათ:

„არასოდეს არ წავალ
სამუდამოდ საბერძნეთში,
არ დავტოვებ ოჯახს
და ჩემს ლამაზ ეზოს.
წავალ საბერძნეთში
ორ წელიწადში ერთხელ,
შემოვეხვევი მეგობრებს და
ვაკოცებ პატარა ბარტყებს.
არ მივატოვებ ძვირფას ღვთისმშობელს
და უნატიფეს ჩემს ეკლესიას" (**სმ**, 7, ტ. №12 – ბსუკფკა).

ცნობილია საქართველოში ჩამოსახლებულ ბერძენთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. აჭარაში, ყველა სოფელში, სადაც კი ბერძნები დასახლდნენ – ეკლესიები ააგეს, მათ შორის, სოფელ დაგვაშიც, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების დღეს მიეძღვნა, ხოლო მეორე ეკლესია ამავე სოფელში წმიდა გიორგის სახელზე აიგო და 2001 წელს იკურთხა.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი პირველად 1901-1903 წლებში ხის მასალით აიგო, 1908 წელს კი ეკლესია ქვით აშენდა. ეს პროცესის ბუნებრივი გაგრძელება გახლდათ. როგორც ცნობილია, ბერძნები ცნობილი კალატოზები იყვნენ და ეკლესიის მშენებლობაშიც თავად მიიღეს მონაწილეობა. 1937 წელს ეკლესია კომუნისტებმა გააჩანაგეს. 1989 წელს ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო დახმარებით მისი რესტავრაცია დაიწყო, 1993 წელს კი – ეკლესიის აღდგენა დასრულდა. ეკლესიის მშენებელი გახლდათ წარმოშობით **პონტი** სტავრო მალკოციდი.

პონტოური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ბათუმელი ბერძნები მშობლიური ეკლესიის მიმართ უდიდეს სიყვარულს ადასტურებდნენ. ისინი მასში ერთადერთ ნუგეშს ხედავდნენ. ეკლესიისადმი მათ განსაკუთრებულ სიყვარულს მოწმობს ის ფაქტი, რომ სოფელ დაგვაში ყოველწლიურად, 28 აგვისტოს (ძველი სტილი), ღვთისმშობლის დღესასწაულს – მარიამობას დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ. ეკლესიაში 27 აგვისტოს მრევლი ლოცვა-კურთხევით ათენებდა და დილით კი მორწმუნენი სტუმრებს მასპინძლობდნენ. ყოველ მარიამობაზე საბერძნეთში სოფელ დაგვიდან წასული ბერძნების დელეგაცია ჩამოდიოდა და სადღესასწაულო წირვა-ლოცვას ესწრებოდა. სტუმრები სოფელ დაგვაში რამდენიმე დღეს რჩებოდნენ და წმინდა ადგილებს, წინაპართა

საფლავებს მოილოცავდნენ. ისინი თავიანთ „ღვთისმშობელს და ძვირფას ეკლესიას" მართლაც არ ტოვებდნენ, როგორც ნათქვამი იყო ზემოთ მოყვანილ ფოლკლორულ ნიმუშში.

საზეიმოდ აღნიშნავდნენ საეკლესიო დღესასწაულებს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმშიც, სადაც წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაა. ამ სოფლის მკვიდრის, პანაიოტი პაპანდოპულოს თქმით, 8 აგვისტოს, საღამოს ეკლესიაში მთელი სოფელი იკრიბებოდა, განსაკუთრებით ავადმყოფები მიჰყავდათ. ეკლესიის ეზოში ღამით ცეკვა-თამაში იმართებოდა, ბერძნულ ეროვნულ საკრავ ბუზუკზე უკრავდნენ, ღამეს ათენებდნენ. ამ მხიარულებაში ბერძნებთან ერთად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობაც მონაწილეობდა (**სმ**, პირადი არქივი).

სოფელ კვირიკეს მკვიდრი, უხუცესი ბერძენი, სამოცდაცხრამეტი წლის აბრაამ ქსანთოპულო, დაგვის ეკლესიის შესახებ შემდეგს გადმოგვცემდა: „დაგვის ეკლესია არის „ხრისტოს ანესტი". ვინც ეს ეკლესია დაარსა, ხრისტო ერქვა, მამამისს კი ერქვა ანესტი, ხრისტომ ნახა საოცარი სიზმარი და ამის შემდეგ ააშენა ეს ეკლესია" (**სმ**, პირადი არქივი).

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით საინტერესოა ბერძენთა საოჯახო დღესასწაულები, განსაკუთრებით ქორწილი. დღესასწაულების პერიოდში შესაბამისი ფოლკლორული ნიმუშებიც ფიქსირდება. 1920 წელს დაბადებული აფინა პარასკევოპულოსაგან ჩავიწერეთ შემდეგი სტროფი:

„მშვენიერია ჩვენი პატარძალი,
მშვენიერია მისი მზითვი,
მშვენიერია მისი სამეგობრო,
რომელიც ქორწილს ატარებს" (**სმ**, პირადი არქივი).

საქორწილო ფოლკლორის ნიმუშია, ასევე, შემდეგი ლექსი, რომელიც ახალდაქორწინებულთა დალოცვას წარმოადგენს:

„ერთ სიმღერას გიმღერებთ,
ამ ბლის ხიდან,
დაე, ახალდაქორწინებულებმა
იცოცხლონ და ერთმანეთს შეაბერდნენ" (**სმ**, პირადი არქივი).

საქორწილო ფოლკლორის ნიმუშია ლექსები, რომლებიც ბათუმში მცხოვრები 90 წლის სოფია ლაზოპულოსაგან ჩავიწერეთ. ამ სიმღერას, მთქმელის განმარტებით, ქმენჯეზე მაშინ ამღერებდნენ, როცა პატარძალი შინიდან მიჰყავდათ:

„მე ხომ არ წამიყვანთ სხვა ადგილზე?
მე მინდა რომ თქვენ ჭამოთ, სვათ და თმები დამვარცხნოთ,
ჭამეთ, სვით, ახალგაზრდებო, არ დაიშუროთ ფული,

რადგან მოვა დრო, როცა ვერ გაიხსენებთ წარსულს” (**სმ**, პირადი არქივი).

პატარძლის გაცილების სიმღერაა ასევე შემდეგი მოკლე ლექსიც:

„ტოვებს ქალიშვილი თავის დედას და იძენს ახალ დედას,

ტოვებს ქალიშვილი თავის მამას და იძენს ახალ მამას” (**სმ**, პირადი არქივი).

ბათუმის მკვიდრის, 83 წლის ანტიგონე ჩილინგარიდისაგან სატრფიალო შაირები ჩავიწერეთ: მთხრობელის თქმით, ბერძნებით დასახლებულ სოფლებში სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებზე შეკრებილი ახალგაზრდობა დამეს ათენებდა, მხიარულობდა, მღეროდა. სწორედ მათი რეპერტუარიდანაა შაირები, რომლებიც ანტიგონემ ჩილინგარიდმა გაიხსენა, სულ თექვსმეტი. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

1. „როცა გვერდით ჩაგივლი,
   თვალებს ვხრი,
   გაიგე, რომ მიყვარხარ,
   მაგრამ არ ვამჟღავნებ”.
2. „შეყვარებული ჩიტები,
   მეც შემიყვარე,
   რადგანაც მოვა დრო,
   დამკარგავ მეც”.
3. „შემიყვარე, რომ მეც მიყვარდე,
   მისურვე, რომ მეც მსურდე,
   იქნებ მოვა ისეთი დრო,
   რომ შენ გინდოდეს მე კი – არა”.
4. „შენი თვალები შენი წარბები
   შენი ტანი და შენი ყელი,
   ეს ოთხი რამაა, რაც მე მაიძულებს,
   რომ შენს თვალწინ მოვიკლა თავი”.
5. “ჩემო ტკბილო,
   თაფლო ტკბილეულით,
   მიწამლე
   ამ კვირაში”.
6. „შენი შავი თვალების გამო ვიკარგები,
   ცისფერისათვის – ვკვდები,
   ერთი პატარა შავგვრემანისათვის,
   გავყოფ წყალსა და მიწას”.
7. „შენ ისა ხარ, რომლითაც აღტაცებული ვარ,
   და არასდროს არ გაგცვლი,
   თუნდაც მთელი სამყარო
   მაჩუქონ სანაცვლოდ”.

8. „არა თქვა, რომ მე შენ დაგივიწყე,
რომ დრო გადის,
მე ისეთი გული მაქვს,
რომელიც არასდროს არ ივიწყებს”.
9. „დედას, რომელმაც გშობა,
ოქროს მუცელი ჰქონდა,
შვა ჩემი ბატკანი
რომელზედაც მე ვდარდობ” (**სმ**, პირადი არქივი).

ზემოთ მოყვანილი შაირები, ძირითადად, სატრფიალო შინაარსისაა. პონტოელ ბერძენთა ფოლკლორში სწორედ სატრფიალო თემატიკა ჭარბობს. საგულისხმოა რომ ჩვენს მიერ მოძიებული მასალები იმ ნიმუშებისაგან განსხვავდება, რომლებიც აქამდე არ იყო გამოქვეყნებული და შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში ე. ლაზარევის ჩანაწერების საფუძველზე მოხვდა (ბერძნები.., 1990: 107-128).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბერძნები.., 1990: – ბერძნები საქართველოში, თბილისი.

გიორგაძე, მგელაძე, 2012: – გიორგაძე მ., მგელაძე ნ., პონტოელი ბერძნების დასახლების ისტორია ბათუმში, *ბათუმი, ისტორია და თანამედროვეობა*, II, ბათუმი.

სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №1 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №2 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №3 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №4 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №5 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №6 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №7 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №8 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №9 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №10 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №11 – ბსუკფკა.
სმ – საველე მასალა, 7, ტექსტი №12 – ბსუკფკა.
სმ, პირადი არქივი – საველე მასალები, ავტორთა პირადი არქივი.

Marine Giorgadze, Nugzar Mgeladze (Batumi, Georgia)

Regarding the Issue of Pontic Greeks' Folk Heritage in Batumi and Its Vicinities

Summary

The study of oral tradition and folklore of the Greek population living in Batumi and different neighboring villages is an urgent task for Georgian historiography and in particular for folklore. This small ethnic group known under the name of "Pontic Greeks" settled in Georgia after the Russian-Turkish wars and they left Georgia step-by-step to establish themselves in their historic homelands or Europe. Much has been forgotten. Therefore, each survived unregistered folklore sample has great significance from the viewpoint of linguistic, Pontic dialect as well as folklore activities.

This time our concern is the folkloristic samples of the Pontic Greeks.

ნარგიზ ახვლედიანი
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი და მისი შემოგარენი სანკტ-პეტერბურგის არქივში

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ სანკტ-პეტერბურგის ისტორიული არქივის საცავებში დაცულ ერთ საბუთს, რომელიც დათარიღებულია 1907 წლის 17 ოქტომბრით. ეს არის ცნობა გარკვეული მიწის ნაკვეთის ფაქტიური მფლობელების შესახებ (РГИА, Фонд №396, Опись №5, Дело №169-9, с.309), რომელზეც ამჯერად არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას; მოვუთხრობთ მოცემულ წყაროში მითითებულ ადგილთა სახელწოდებებზე ანუ ტოპონიმებზე, რომლებიც ბათუმის შემოგარენშია. ესენი გახლავთ: **ფერია, ბარცხანა, მახინჯაური, აჭყვა, სოუქ-სუ, იჯადიე, სალიბაური, სახრო**.

ტოპონიმი, ანუ ადგილის საკუთარი სახელი, მისი შემქმნელი კოლექტივის ენობრივი მასალიდან აღებული სიტყვაა და ჩვეულებრივ შეიცავს ინფორმაციას სახელდებული ობიექტის შესახებ. ტოპონიმი თაობიდან თაობას, ეპოქიდან ეპოქას, ხალხიდან ხალხს გადაეცემა და ათასწლებს უძლებს. სწორედ ამიტომ ტოპონიმია წარმოადგენს ძვირფას მასალას ქვეყნის ისტორიის, ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური წარსულის შესასწავლად. კარგადაა ნათქვამი: ტოპონიმიკა დედამიწის ენაა, ხოლო დედამიწა არის წიგნი, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურით იწერება [(ნადეჟდინი (ცხადაია, 1985:3)].

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მოგითხროთ რამდენიმე მათგანზე. ესენია: „იჯადიე“, „სოუქ-სუ“, „ფერია“. სოუქ-სუ მდებარეობს ბარცხანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბონთან ახლოს. არის შემაღლებული გორაკი ადგილი. ადგილობრივების გადმოცემით, ადრე აქ ხშირი ტყე იყო ცივი წყაროებით. აჭარაში ოსმალთა გაბატონების შემდეგ მას თურქულად თარგმნილი სახელი : „სოუღქ-სუ“ უწოდეს. დროთა განმავლობაში ასობგერა „ღ” დაიკარგა და დარჩა კომპოზიტი: „სოუქ-სუ”, რაც ქართულად ცივ წყაროს (წყალს) ნიშნავს. დღეს ეს ტერიტორია ბათუმის პანთეონს წარმოადგენს.

იჯადიე – გორაკი ახალშენში (ხელვაჩაურის რ-ნი). განთიადის მკვიდრი 83 წლის ნიაზ ახვლედიანი იხსენებს: „სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა მამაჩემმა ყანის მოსათოხნად წამიყვანა იჯადიეში. იქ ისეთი მაგარი მიწა იყო, თოხი ვერ გავკარით და წამოვედით.” ნიადაგი იჯადიეში მართლაც მაგარია და ძნელი დასამუშავებელია. ნიადაგთან არის დაკავშირებული შემდეგი ტოპონიმიც, ეს გახლავთ:

„ფერია". **ფერია** – სოფელია ხელვაჩაურის რაიონში. ადგილობრივი მკვიდრის, ოსმან ხინკილაძის ინფორმაციით, რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთი თქმულებით, ამ ტერიტორიაზე სანამ ხალხი დასახლდებოდა, იყო ძალიან ლამაზი ტყე, აქ ჩამოსახლდნენ აფხაზები და სილამაზის გამო დაერქვა ფერია. მეორე თქმულების მიხედვით, ამ ადგილებზე რამდენიმე ფერის მიწა ყოფილა, ძალიან ლამაზი ფერის, თიხანარევი, რომელიც სხვადასხვა კუთხეში გაჰქონდათ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის (თიხისგან ამზადებდნენ: თონეებს, ქვევრებს, კეცებს და სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელს). „შეხედე რა ფერია" – ასე ამბობდნენ ამ მიწაზე და აქედან დაერქვა სოფელს ეს სახელიო. ფერი, როგორც ქართულში, ისე მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ერთი და იგივე მნიშვნელობისაა და ფერს ნიშნავს. ასე მაგ.: ფერი – ფერ-ი, უფერო – უფერო (ჭარაია, 1997:135); ფერ (ი̆შ, ალ, ბზ., ლნტ. – არ, ბქ., – ალ, ლაშხ.) – ფერი. ფერიშ – ზს., ლნტ., ნათ. ბრ. სახელისაა ფერ – მსგავსი; უცნაური – არავისი მსგავსი (ქალდანი, 2000: 758), „ჩაჟილდ ჯ̆ეყად ქ̆უიშმიშ ფერიშ" – ცხენი გვყავდა ქვი̆შისფერი. ნიადაგთან დაკავშირებული ტოპონიმები არაა იშვიათი ქართველური ონომასტიკისათვის. ასე მაგალითად, შდრ.: **ატკენჩილი** – სახნავი ადგილი, სოფ. კობალთა (შუახევის რ-ნი), **კაპეტი** – სოფ. ზედა აჭი (ქობულეთის რ-ნი), **ნაუჩვარი** – სათესი ადგილი, სოფ. კირნათი (ხელვაჩაურის რ-ნი), **ონძოლირა** – ღელე, სოფ. კოხი (ქობულეთის რ-ნი), **ოროკი** – ჩაის პლანტაცია, სოფ. ევგენიძეები (ხელვაჩაურის რ-ნი), **ოჭვაბურა** – სახნავ-სათესი ადგილი, სოფ. კირნათი (ხელვაჩაურის რ-ნი) (ახვლედიანი, 2009: 64-68).

ფერიაში დაკვირვებულ თვალს დღესაც არ შეიძლება გამოეპაროს განსაკუთრებული ფერის ანუ განსხვავებული, უცნაური შეფერილობის მქონე მიწა. ამდენად, რაც შეეხება ტოპონიმ ფერიის ეტიოლოგიას, ჩვენი ვარაუდით, იგი მართლაც, ნიადაგის შეფერილობის გამო სახელდებული ობიქტი ჩანს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ახვლედიანი, 2009 - ახვლედიანი ნ., ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში, ბათუმი.

ქალდანი, 2000 - ქალდანი მ., თოფურია ვ., სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაია, 1985 : ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბილისი.

ჭარაია, 1997 : ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი თბილისი.

РГИА (Российский Государственный исторический архив), Фотд №396, Опись №5, Дело №169-9.

Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia)

Batumi and Its Vicinities in St-Petersburg Archives

Summary

The present article presents one document preserved at the archive in Saint Petersburg which tells about place names in Batumi and its vicinities. Right now we would like to draw your attention to the following geographical names: “Ijadie”, “Souk-su” and “Peria.” We are making an attempt of presenting the etymology of the names.

მაია მანია
(თბილისი, საქართველო)

ბათუმის *ინტურისტი* - პოსტკონსტრუქტივიზმის გამორჩეული ნიმუში

ქალაქ ბათუმის ურბანული ქსოვილი ქუჩათა რეგულარული ქსელით 1880-იან 1890-იან წლებში შეიქმნა. 1880-იან – 1920-იან წლებში ჩამოყალიბდა ქალაქის არქიტექტურული სახე. ბათუმის არქიტექტურა სტილისტური თვალსაზრისით იგივე ტენდენციებს ასახავს, რასაც ევროპული ქალაქების აბსოლუტური უმრავლესობა. აქაც სხვადასხვა სტილთა მონაცვლეობა, მრავალი სხვადასხვა სტილით შენების პრაქტიკაა დამახასიათებელი. 1880-იანი, 1890-იანი წლების ბათუმში ერთდროულად ნეობაროკული და როკოკოს სტილის ფასადებიც იქმნებოდა, რენესანსული ფორმები და სადა კლასიციზმიც. ბათუმის ქუჩების ქსელი ისლამური ფორმებითაც არის მდიდარი. მის სტილისტურ მრავალფეროვნებას რომანტიული მიმდინარეობის შენობებიც ქმნის და პალადიანიზმის ნიშნებით გამორჩეული ნაგებობებიც. XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის Art Nouveau-ს სტილის შენობები კი აღნიშნული სტილის საუკეთესო ნიმუშებს შორის დგას საქართველოში.

ის, რაც ბათუმს საყურადღებო მოვლენად აქცევს არქიტექტურული თვალსაზრისით, უთუოდ კონსტრუქტივიზმიც არის. მასობრივი საბინაო მშენებლობა 1920-იანი 1930-იანი წლების მიჯნაზე ბათუმში კონსტრუქტივისტული სტილის მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებლებით აღინიშნა. კონსტრუქტივიზმის პარალელურად და უფრო მოგვიანოდაც, აქ მრავალსართულიანი საცხოვრებლები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები შენდება, რომელთა მხატვრული სახე ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენებით იქმნება.

არის ბათუმში ერთი ნაგებობა, რომელიც სტილისტური თვალსაზრისით განცალკევებით დგას – ეს სასტუმრო *ინტურისტის* შენობაა (სურ. 2, 3, 4, 5). სწორედ მას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

პოსტკონსტრუქტივიზმი 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში გარდამავალი სტილია რუსულ ავანგარდულ არქიტექტურასა და სტალინურ ნეოკლასიციზმს შორის. ტერმინი დამკვიდრებულია რუსული ავანგარდული არქიტექტურის ცნობილი მკვლევარის, სელიმ ხან მაგომედოვის (1928-2011) მიერ, რომელიც აღნიშნულ სტილს 1932-1936 წლებს შორის აქცევს, თუმცა სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლი-

ვობის გამო, აღნიშნული სტილის ქრონოლოგია 1941 წლითაც მოისაზღვრა. ზოგიერთმა პოსტკონსტრუქტივისტულმა შენობამ რუსეთში Art Deco-ს ნიშნებიც შეითვისა. ილია გოლოსოვის, ანდრეი ფომინის და სხვა არქიტექტორების პოსტკონსტრუქტივისტული შენობების ანალოგიით, ბათუმის *ინტურისტის* და თბილისის *იმერის* შენობებიც, როგორც ქრონოლოგიურად, ისე სტილისტური თვალსაზრისით, პოსტკონსტრუქტივიზმს უნდა მიეკუთვნოს.

ბათუმის *ინტურისტის* პროექტის ავტორი ცნობილი რუსი ხუროთმოძღვარი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი, რუსეთის საპატიო არქიტექტორი და რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი ალექსეი შჩუსევია (1873-1949).

ალექსეი შჩუსევის მიერ დატოვებული არქიტექტურული მემკვიდრეობა სტილისტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მის ნაწარმოებებში ვხვდებით როგორც Art Nouveau-ს სტილის, ისე კონსტრუქტივისტულ შენობებს. შჩუსევის შემოქმედების მწვერვალად ლენინის მავზოლეუმი (მოსკოვი) არის მიჩნეული (1920-1930).

ამავე დროს, ა.შჩუსევი წარსულის არქიტექტურული ტრადიციების დამნერგავიც იყო. ამ მხრივ საყურადღებოა მის მიერ თბილისში აშენებული მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის შენობა (1938), რომლის მხატვრული შთაბეჭდილების საფუძველს ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მორთულობა ქმნის. მეტიც, თბილისური შენობის ასაშენებლად ხუროთმოძღვარი ტრადიციულ ქართულ სამშენებლო მასალას იყენებს და თავისი შენობის ფასადებს ქართულ-ტრადიციული ბოლნისის ტუფით აპირკეთებს და მთავარი ფასადის კოლონების მწკრივს რუხი ფერის ე.წ. კურსების გრანიტით აგებს.

ალექსეი შჩუსევის საქართველოში აშენებული ორი შენობის – ბათუმის *ინტურისტის* და თბილისის *იმერის* შენობების (სურ. 3 და 8) განსხვავებული მასშტაბის, გეგმარების და ფუნქციის მიუხედავად, შენობები მრავალ მსგავსებას ამჟღავნებს – მსგავსია ნაგებობების სივრცით-მოცულობითი სტრუქტურა და სტილი, რომელსაც ისინი წარმოადგენს. ორივე ნაგებობა პოსტკონსტრუქტივიზმის ნიშნების შემცველია და ზოგადადაც აღნიშნული სტილის საუკეთესო ნიმუშებს წარმოგვიდგენს.

ცნობილია, რომ პოსტკონსტრუქტივისტული არქიტექტურა კონსტრუქტივიზმის ფორმებსა და პრინციპებს ინარჩუნებს. თუმცა პოსტკონსტრუქტივიზმის შემთხვევაში ავანგარდული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი უკიდურესი სისადავით გამორჩეული ფორმები უფრო მორთული და გამდიდრებულია. კვლავ დამახასიათებელია უპროფილო, სადა პარაპეტები, კიბის უჯრედების უწყვეტი ვერტიკალური ფენესტრაცია და სხვა. ამავე დროს, პოსტკონსტრუქტივისტულ შენობებზე ჩნდება ატიკის სართულები, სართულშუა გადახურვის მომნიშ-

ვნელი დამატებითი კარნიზები, სადგომები უხშირესად კესონური ჭერითაა გადახურული, ორდერი უკუგდებულია, შვერილი მოცულობები ხშირად ღია გალერეებითაა გარშემორტყმული. გალერეის ბოძები უპირატესად კვადრატული კვეთის არის და უკაპიტელოა, კაპიტელის ადგილი ბოძებზე ზოგჯერ Art Deco-ს სტილისათვის დამახასიათებელი, წრიული მოხაზულობის სიბრტყით ან მარტივი გეომეტრიული ფორმით არის აქცენტირებული. პოსტკონსტრუქტივიზმისთვის დამახასიათებელია მისწრაფება ჰორიზონტალური განვითარებისკენ.

ალექსეი შჩუსევის მიერ ბათუმსა და თბილისში აშენებული ნაგებობები სტილისტური თვალსაზრისით, თითქმის ყველა იმ ნიშნის მომცველია, რაც ზოგადად ახასიათებს პოსტკონსტრუქტივიზმს. ბათუმის *ინტურისტისა* და თბილისის *იმელის* შენობაც ქრონოლოგიურად პოსტკონსტრუქტივისტული შენობების აგების დროს ემთხვევა. 1934-1938 წლებია მიჩნეული ალექსეი შჩუსევის მიერ კავკასიაში აგებული კიდევ ერთი ნაგებობის, ბაქოს ე.წ. *ძველი ინტურისტის* შენობის (სურ. 9) აგების თარიღად (ნ. იაკოვლევისა და ი. ფრანცუზის მონაწილეობით). ხუთსართულიანი ნაგებობის როგორც გარე, ისე შიგნითა ფორმები პოსტკონსტრუქტივიმისთვის დამახასიათებელი მრავალი ნიშნით გამოირჩეოდა.[1]

ოდესღაც რუხი ფერის ტერაზიტული ლესვით მოპირკეთებული სასტუმრო *ინტურისტის* შენობა (სურ. 2, 3) ზღვისპირის მეტ-ნაკლებად სწვრივად განვითარებული რეგულარული ქალაქის მიმდებარე განაშენიანების ნაწილია და იგი ბათუმის ერთ-ერთი უძველესი უბნის, *ნურიეს* ზღვისპირა ფასადის მოშენების მნიშვნელოვან აქცენტს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ბათუმის *ინტურისტის* შენობა 1936-1939 წლებში აშენდა და მან ელეგანტური პროპორციებით გამორჩეული, მონოქრომული დიდი და მცირე ზომის გუმბათებით დაგვირგვინებული წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია შეცვალა (სურ. 1)[2].

ნაგებობა წარმოადგენს ბათუმის ცენტრში, ურბანული ქსოვილის ზღვისპირა ნაწილში ჩართულ მსხვილმასშტაბიან ნაგებობას, რომელსაც ნინოშვილის, დუმბაძის და რუსთაველის ქუჩებს შორის მოქცეული კვარტალის დიდი ნაწილი უჭირავს. მთავარი ფასადით ნაგებობა cour d'honneur-s უყურებს (სურ. 2). შენობა ზღვისპირის მიმდებარე ბულვარის გარდავლით, ზღვისკენ არის ორიენტირებული. ბათუმის

[1] ბაქოს ე.წ. *ძველი ინტურისტის* შენობა 2000 წლის ძლიერმა მიწისძვრამ დააზიანა, 2005 წელს კი აქ ხანძარი მოხდა. შენობა 2006 წელს დაანგრიეს.

[2] ბათუმის *წმინდა ალექსანდრე ნეველის* ეკლესიის მშენებლობას, რომელსაც მისი სამხედრო უწყებაში გადაცემის შემდეგ *სამხედრო ტაძარი* ეწოდა, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III და მისი ოჯახის კავკასიაში სტუმრობისას, 1888 წელს ჩაეყარა საფუძველი. ტაძრის მშენებლობა 1906 წელს დასრულდა.

ინტურისტის მთავარ ფასადს წინ ეგნატე ნინოშვილის ვიწრო ქუჩა ჩაუდის, რომელიც ნაგებობას ბათუმის ბულვარისგან მიჯნავს. სწორედ ინტურისტის შენობის ღერძიდან იხსნება ხედი ბათუმის ბულვარისა და ფორმის ლაკონიურობით გამორჩეული *კოლონადების* გავლით ზღვის სანაპიროზე.

მიუხედავად *ინტურისტის* შენობის არა ვერტიკალური, არამედ მკაფიო ჰორიზონტალური განვითარებისა, იგი ბათუმის წყლისპირა ზოლის ერთი კონკრეტული მონაკვეთის მნიშვნელოვან სივრცით აქცენტს წარმოადგენს.

ბათუმის ინტურისტის შენობა წარმოადგენს სივრცეში ჰორიზონტალურად გაშლილ, ასიმეტრიული გეგმის შენობას, რომელიც მთავარი ფასადით ბულვარისა და ზღვის პირისკენ არის მიქცეული[3]. ცნობილია, რომ შჩუსევის სიმეტრიული ნაგებობის თავდაპირველი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და ინტურისტის შენობის მხოლოდ ნახევარი აშენდა. დღევანდელი შენობის მთავარი ფასადის, ისევე როგორც მთელი სივრცითი სტრუქტურის თავისებურებას დიდწილად განსაზღვრავს მთავარი ფასადის წინ მდებარე cour d'honneur-ში მდგომი ფასადის სიბრტყიდან ძლიერად შვერილი, გეგმით ნახევარწრიული ფორმის მოცულობა. Cour d'honneur-ის სივრცე შენობის განაპირა, მარჯვენა ფლიგელით და შენობიდან შვერილი, ცილინდრს მიახლოვებული მოცულობით იქმნება. ოთხსართულიანი ნახევარცილინდრი ფასადის ძირითად სიბრტყეზე არა პირდაპირ არის მიდგმული, არამედ ნახევარწრის ცენტრიდან ფასადის წრფებდე ნახევარწრის კედლები გაგრძელებულია, რის გამოც ფასადის ფრონტალური აღქმისას ცილინდრული მოცულობა ძლიერად შვერილად, სრულ ცილინდრულ ფორმად აღიქმება (სურ. 3).

მთავარი ფასადის წინ მდებარე სივრცის წარმოსადგენად არსებითი როლი ენიჭება *ინტურისტის* შენობის მიმდებარე მიწის ნაკვეთის მომფარგლავ დაბალ ზღუდესაც. ტერაზიტული ლესვით მოპირკეთებულ, კვადრატული კვეთის ბოძებს შორის რკინის ცხაურებია მოთავსებული, დაბალ ბოძებს კი ცენტრალურ ნაწილში კრატერის მოყვანილობის ქვის საყვავილეები, განაპირა მხარეებზე კი ქვის ბურთულები ასრულებს.

და მაინც, *ინტურისტის* მთავარი ფასადის თავისებურებას, cour d'honneur-ის სივრცისკენ მიქცეული ფოიესა და რესტორნის სივრცის შემცველი, გეგმით ნახევარწრიული მოცულობა წარმოადგენს (სურ. 2, 3). მიჯრით განლაგებული ღიობებით შემოსაზღვრული 4 სართულია-

[3] ბათუმის *ინტურისტის* ფასადებისა და სივრცითი სტრუქტურის აღწერა სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ წყაროებში მოძიებულ ფოტომასალას, ნაგებობის რეკონსტრუქციამდე გადაღებულ ფოტოებს და 2005 და 2013 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებულ საველე შესწავლას ეფუძნება.

ნი ნაწილი შენობისა, cour d'honneur-is სიღრმეში მოქცეული შენობის ფლიგელთა, ერთი მხრივ, გლუვი სიბრტყის (მარცხნივ, პირით ფასადისკენ) და მეორე მხრივ, წყვილი ფართო ღიობების შედარებით მეჩხერი ინტერვალით ფენესტრირებული, მეორე, მესამე და მეოთხე სართულების სწვრივად მოთავსებული ღია აივნებიანი ფასადის – ფონზე გამოიყოფა. ფასადის სიღრმითა სიბრტყე კუთხეს ქმნის მის მართობულად მდებარე, cour d'honneur-ის მომფარგლავ შენობის ფლიგელთან, რომლის არქიტექტურული მორთულობა ზემოაღწერილის იდენტურია. სწორხაზოვნად განვითარებული, დაბალი ტიხრებით დანაწევრებული ბეტონის აივნები ბეტონის რიკულებიანი მოაჯირით, ღიობთა მსგავსი განაწილებით; შენობის ორი ფრთის შეყრის კუთხე კოშკურა მოცულობით არის აქცენტირებული.

ცილინდრული მოცულობის სიმრგვალეს მეორე სართულის ღია, გადახურული აივნის წრიულად მიმყოლი ფორმა უსვამს ხაზს. მრუდის სიძლიერე აივნის მოაჯირის შემადგენელი, გეგმით წრიული, ბეტონის რიკულების წვრილი რიტმითაც არის გაძლიერებული. აღსანიშნავია ნახევარცილინდრის ტანის სიმრგვალის მიმყოლი, ბეტონის კონსოლებზე დაყრდნობილი ბეტონის გადახურვის უმნიშვნელო დახრა და მისი პროფილის სინატიფე, რომელიც ცილინდრის როგორც აივნის იატაკის, ისე სართულშუაგადახურვის მომნიშვნელ სალტეებს და მის დამასრულებელ პროფილირებული კარნიზის ფორმებს ეხმიანება.

შენობის cour d'honneur-ის სიღრმეში მოთავსებული განაპირა მარჯვენა, ნაწილის არქიტექტურული მორთულობა ცილინდრის არქიტექტურული მორთულობისაგან უმნიშვნელო ნიუანსებით განსხვავდება.

ნახევარცილინდრის დანაწევრება ორდერის ელემენტებსაც შეიცავს. მეორე და მეოთხე სართულის სადა პილასტრები ხაზს უსვამს ფორმის როტონდულობას, მაშინ როდესაც მესამე სართულის ფენესტრაცია, წარმოადგენს ფანჯრების არა უწყვეტ ზოლს, არამედ ზემოხსენებული პილასტრების შესატყვისად, მზიდი გარე კედლის ფრაგმენტებით დანაწევრებულ სიბრტყეს. ღიობთა აღწერილი დანაწევრება მიჯრილად აღიქმება. მასვე ეხმიანება გარე კედლის უფრო ფართო ფრაგმენტებით დანაწევრებული ნახევარცილინდრის პირველი სართულიც. მასშია დატანებული სწორედ მთავარი, *ინტურისტის* შენობის ფოიეში შესასვლელი კარი.

განსხვავებით ნახევარცილინდრისაგან, cour d'honneur-ის სიღრმეში მოქცეული შენობის ფლიგელის და მის მართობულად მდებარე, დუმბაძის ქუჩის სწვრივად განვითარებული შენობის ნაწილის cour d'honneur-ისკენ მიპყრობილი ფასადების ღიობები შეწყვილებულად, გარკვეული ინტერვალით არის განაწილებული; ბეტონის აივნებიც, ცილინდრის აივნებისგან განსხვავენბით, გრძივად მისდევს ფასადებს, ფლი-

გელთა დამასრულებელი კარნიზიც რთულად პროფილირებული კი არა, არამედ სადაა და მას წვრილი კრონშტაინების მწკრივი მიუყვება. წყვეტილ ფენესტრაციას, აივნის დამანაწევრებელი დაბალი ტიხრები მისდევს. აივნების არქიტექტურული მორთულობა ინტურისტის შენობის ყველა ფასადზე, ექვს-ექვსი რიკულით შევსებული, გარკვეული ინტერვალით დანაწევრებული მოაჯირისგან შედგება. ოღონდ რიკულები სწორკუთხა კვეთის არის, კაპიტელის ადგილას შემოყოლებული მარტივი პროფილის ფორმით. აღნიშნულ შენობაზე შჩუსევს წრიული კვეთის რიკულებიც აქვს გამოყენებული, წრიულივე კაპიტელისნაცვალი მარტივი ფორმით.

შენობის ნახევარწრიული და სწორხაზოვანი ნაწილების განსასხვავებლად ალექსეი შჩუსევს ღიობთა დამანაწევრებელი ალათების ნახატიც უმნიშვნელოდ განუსხვავებია. მთავარი, ნახევარწრიული მოცულობის ღიობების დანაწევრება ყველა სართულზე ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ უფრო მსხვილია, ვიდრე სწორხაზოვან მოცულობებზე (იხ. სურ. 2).

არსებითია ზემოაღწერილი ორი ფრთა – ფლიგელის მიმყოლი თხრილი, რომლიდანაც სარდაფის ტექნიკური სართული ნათდება და ნიავდება. იგი რკინის ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილი ბადით არის გადახურული. თხრილი მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ ესთეტიკური თვალსაზრისითაც. შორიდან უხილავი თხრილი სიმსუბუქეს ანიჭებს ჰორიზონტალურად განვითარებულ მონუმენტურ ნაგებობას.

აღსანიშნავია დუმბაძის ქუჩის სწვრივად მდებარე მართობული ფლიგელი, რომლის დაბოლოებაც ნინოშვილის ქუჩის პირზე ტერასულ სივრცით სტრუქტურას ქმნის.[4] ღია ტერასებად დანაწევრებულ ვიწრო ფასადს ზემოაღწერილის იდენტური მოაჯირი აქვს და ზღვისკენ ორიენტირებული ფასადი ღია ტერასა-აივნებით არის მიპყრობილი. დუმბაძის ქუჩისპირა გრძივი ფასადი, ვიწრო ფასადის ტერასების საფეხურებრივი პროფილით, ბეტონის სწორხაზოვანი აივნების ტერასული სტრუქტურის შესაბამის კომპოზიციურ განაწილებას კარნახობს ავტორს (სურ. 7). გვერდითი ფასადის ძირითადი სიბრტყე ფანჯრის ღიობებით არის დანაწევრებული. ამავე ფასადის ცოკოლის სართულზე, ბათუმის კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, მრავალი ათეული წლის განმავლობაში შემუშავებული საველტილე ხვრელებია მოთავსებული. თუ XIX საუკუნის ბათუმურ შენობებზე სხვადასხვა საველტილე ხვრელები, ეპოქის შესაბამისად, ხან ვოლუტებიანი, ხან მცენარეულ ან ეპოქისთვის დამახასიათებელი სხვა რამ ნახატის მქონე ცხაურით არის დაფარული, აქ, პოსტკონსტრუქტივის-

[4] ინტურისტის შენობის 2005 და 2013 წელს გადაღებული ფოტოები შესრულებულია მაია მანიას მიერ.

ტულ ნაგებობას ავტორი ფასადის სიბრტყიდან სიღრმეში შეწეული ცხაურის მარტივ, თარაზული ხაზებით დანაწევრებულ სავენტილე ხვრელის ცხაურს უსადაგებს.

რუსთაველის ქუჩისკენ მიპყრობილი შენობის ფასადი, მასათა განაწილების თვალსაზრისით სადაა. ისიც cour d'honneur-iania, ოღონდ არაპომპეზური. შენობის ტანიდან ორი განაპირა ფლიგელი-ფრთა არის შვერილი, რომელთა შორის ეზოს ვიწრო ზოლია მოქცეული.

ასეთი იყო ბათუმის *ინტურისტის* შენობის ავტორისეული სივრცით-კომპოზიციური ჩანაფიქრი. აქ გეგმის ყველა ფორმა მარტივ გეომეტრიას ასახავს (ნახევარწრე, სწორკუთხედი). რთული იქნებოდა ბათუმისთვის სინატიფით, დახვეწილი პროპორციებით გამორჩეული საკულტო ნაგებობის ნაცვლად ახალი შენობის მიღება. ალექსეი შჩუსევმა არქიტექტურა არქიტექტურით შეცვალა. მიუხედავად შჩუსევის ბათუმური შენობის 2004 და 2006 წლებში ხელყოფისა, ოდესღაც ტერაზიტული ლესვით შემოსილი, სივრცეში ჰორიზონტალურად გაშლილი ბათუმის *ინტურისტისთვის* თავდაპირველი ფორმების და სახის დაბრუნება შესაძლებლად მიმაჩნია, მით უფრო, რომ შენობას დღესაც კი დიდი შემოქმედის ხელი ატყვია.

თბილისის *იმელის* შემთხვევაშიც არამთავარ, რუსთაველის პროსპექტისპირა ფასადისაგან (იხ. ზემოთ) სრულიად განსხვავებულ ყოფილი კვალის ქუჩისპირა ფასადის არქიტექტურულ სახეს, განაპირა ორ ფლიგელს შორის მოქცეული ნახევარწრიული ცილინდრული მოცულობა განსაზღვრავს. შჩუსევის ბათუმური შენობისაგან განსხვავებით, აქ მომაპირკეთებელი მასალა არა რუხი ტერაზიტი, არამედ მოყვითალო-ოქროსფერი ბოლნისის ტუფია (სურ. 8).

იმელის უკანა ფასადის ცილინდრული მოცულობის გრანიტის ფილებით შემოსილ მძლავრ ცოკოლზე დაყრდნობილი, ღია გალერეის მომნიშვნელი, ორი სართულის მომცველი, კვადრატული კვეთის გიგანტური ბოძები, ცილინდრის ზედა სართულებს იჭერს. სართულშუა გადახურვის მომნიშვნელი წვრილი კბილანების და მედალიონების მწკრივებისაგან შემდგარი კარნიზის თავზე მეჩხერი რიტმით განაწილებული კვადრატული ფორმის ღიობებია, რომლის თავზეც სართულშუა გადახურვის და პროფილირებული კარნიზით გამოყოფილი, ხის ალათებით წვრილ გეომეტრიულ ფორმებად დანაწევრებული, სამსამი ვიწრო პროპორციის ფანჯრის ღიობებისაგან შემდგარი ფენესტრაციაა. ვიწრო ღიობთა გამმინჯნავ სიბრტყეზე მდებარე პილასტრები, ისევე როგორც ზემონახსენები ბოძების კაპიტელები, ქართული შუასაუკუნეებრივი ორნამენტით არის ნასაზრდოები. ცილინდრული მოცულობის პარაპეტში გაჭრილი, კონცენტრულ წრეში მოქცეული ლუნეტები სიმრგვალეს შემოწერს. ცილინდრს სადად პროფილირებუ-

ლი ქვის კარნიზი ასრულებს, რომელსაც ქვედა მხრიდან ქვის კრონშტაინების მწკრივი მიუყვება (სურ. 8).

ა.შჩუსევმა თავისი საქართველოში აშენებული შენობების – ბათუმის სასტუმრო *ინტურისტის* და თბილისის *იმელის* ლაიტმოტივად ნახევარწრიული მოცულობის მოტივი აქცია. სწორედ ეს ნახევარცილინდრული მოცულობა ჰმატებს ინდივიდუალობასა და განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სტილისტურად ესოდენ გამორჩეულ შჩუსევის ორივე შენობას საქართველოში.

ალექსეი შჩუსევის ქართული შემოქმედების ორივე ძეგლი, ქრონოლოგიურად ერთმანეთის მეტ-ნაკლებად პარალელურად აშენდა. შჩუსევმა ორივე შენობის სივრცითი სტრუქტურის მთავარ თემად გეგმით ნახევარწრიული ცილინდრული მოცულობა აქცია. აღნიშნული ფორმა თბილისის კონსტრუქტივისტულ შენობებზე უფრო ადრე გვხვდება (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, არქიტ. ნიკოლოზ სევეროვი, 1930). მაგრამ ალექსეი შჩუსევის შენობებში ნახევარცილინდრულ მოცულობებს გეგმარებითი და სივრცით-კომპოზიციური თვალსაზრისით წამყვანი როლი ენიჭებათ. სწორედ აღნიშნული ფორმის მიმართება შენობის დანარჩენ ნაწილებთან დიდწილად განსაზღვრავს ნაგებობის ესთეტიკურ სახეს. მათ (გეგმით ნახევარწრიულ სადგომებს) ფუნქციური თვალსაზრისითაც დიდი როლი ენიჭებათ.

არის კიდევ ერთი რამ, რაც ჩემს ყურადღებას იპყრობს. შჩუსევის ქართული შემოქმედების ცილინდრული მოცულობა, თავისი წარმომავლობით რომის პანთეონთან პოულობს სიახლოვეს, სევეროვისეული ნახევარწრიული ფორმა კი პირდაპირ კავშირშია რუსი კონსტრუქტივისტების ნამუშევარებთან (შჩუსევისავე „ნარკომზენის“ შენობა, დ. ბულგაკოვთან და ი. ფრანცუზთან ერთად, 1928-1933, ან გინზბურგის „ნარკომფინის“ შენობა, ი. მილინისთან ერთად, 1928-1930, თუნდაც კონსტანტინ მელნიკოვის საკუთარი სახლი მოსკოვში და სხვ.). აღსანიშნავია ის სიმსუბუქე, რაც სევეროვის ზემომოტანილ შენობას ახასიათებს და ის მონუმენტურობა და სიმძიმე, რაც შჩუსევის საქართველოში აშენებულ შენობებს აქვს. სწორედ ამიტომ, ეგებ პოსტკონსტრუქტივიზმის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშნად რომაული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი „სიმძიმე“ ვიფიქროთ.

ბათუმის *ინტურისტიცა* და თბილისის *იმელის* შენობაც ბათუმის და თბილისის ყველა დროის ძეგლთა იმ უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის არა მხოლოდ ექსტერიერი, არამედ ინტერიერიც საგანგებოდ არის გააზრებული და დამუშავებულ-მოპირკეთებული და, რაც მთავარია, ორივე შენობის ინტერიერი ბოლო დრომდე თავდაპირველი სახით იყო გადარჩენილი. იმელის შენობის შემთხვევაში ინტერიერშიც, ისევე როგორც შენობის გარეგან სახეშიც არის

მცდელობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენების და მისი სტილისტური გადამუშავების.

ბათუმის *ინტურისტის* ინტერიერი საგანგებოდ იყო მორთული. აქაც, ისევე როგორ თბილისის *იმელის* შენობის ინტერიერში, ვხვდებით პოსტკონსტრუქტივისტული სტილის ერთ-ერთ არსებით ნიშანს – კესონურ ჭერს. უთუოდ ეპოქის მაუწყებელია *ინტურისტის* შენობის ინტერიერში კესონური ჭერის პარალელურად, გეგმით ნახევარწრიული დარბაზის (მეორე სართულზე) ჭერის მარაოსებრი კომპოზიცია და მოხატულობა.

შჩუსევის ქართული შემოქმედების სახით საქმე გვაქვს ერთიან გააზრებულ მხატვრულ მთელთან, რომელშიც იგრძნობა გამოცდილი ხუროთმოძღვრის ნიჭი და ალღო, იგი თავისი დროის შენობას უსადაგებს გარემოს, ურბანულ კონტექსტს, ადგილობრივ ტრადიციებს და თანამედროვე მოთხოვნებს.

ბათუმის *ინტურისტიცა* და თბილისის *იმელიც* Gesamtkunstwerk-ის ნიმუშებია. (ორივე შენობის ინტერიერის მორთულობა, იმელის შენობის მთავარი, რუსთაველის პროსპექტისპირა ფასადის შემამკობელი იაკობ ნიკოლაძის ორი ბარელიეფი და თამარ აბაკელიას საყოველთაოდ ცნობილი ფრიზი და სხვ.).

არადა, ჩვენი ღრმა რწმენით, შესანარჩუნებელ-გასაფრთხილებელია ზემომოტანილ შენობათა არა მხოლოდ გარეგანი სახე, არამედ შიდა გეგმარება და ინტერიერის მორთულობის ყველა დეტალი.

ბათუმის *ინტურისტმა* დროთა განმავლობაში არაერთი რემონტი და გადაკეთება განიცადა. განსაკუთრებით საბედისწერო 2004 და 2006 წლების რეკონსტრუქცია აღმოჩნდა. ამ დროს დაირღვა სწორედ ბათუმის *ინტურისტის* შენობის თავდაპირველი სივრცითი სტრუქტურა და მასებს შორის პროპორციული თანაფარდობა. *ინტურისტის* შენობაზე ატიკის სართულის დაშენებამ შეცვალა ნაგებობის ნაწილების პროპორციული თანაფარდობა და დაუკარგა დომინანტური მნიშვნელობა ნაგებობის სივრცითი კომპოზიციის მთავარ ცილინდრულ მოცულობას (შდრ. სურ. 2, 3 და სურ. 4, 5). ცილინდრული მოცულობის სართულშუა გადახურვის მომნიშვნელი ჰორიზონტალური სარტყლების შემოსვამ მეტალის ფირფიტებით დაფარა კარნიზების პროფილები და ტექტონიკურობა დაუკარგა შენობას (შდრ. სურ. და სურ. 4, 6).

მთავარი, ზღვისპირა ფასადის ღიობების ალათების გამოცვლამ და ძველი დანაწევრების უარყოფამ დაარღვია როგორც სიმრგვალის, ისე განაპირა მარჯვენა (პირით ფასადისკენ) ნაწილის ნატიფი პროპორციები და ღიობების მასშტაბი (შდრ. სურ. 2 და სურ. 4).

2004 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციისას დაიკარგა და გაქრა შენობის ფასადების ტერაზიტული ლესვით შესრულებული მოპირკეთება. ნაგებობის ყველა ფასადი ე.წ ბაირამ-იქსის ლესვით მოპირკეთდა, 2006 წელს კი ბაირამ-იკსი, შჩუსევის შენობისთვის ასევე მიუღე-

ბელმა ფაქტურულმა, აჭრელებულმა (ყვითელი, თეთრი) დეკორატიულმა შელესვამ შეცვალა (შდრ. სურ. 4 და სურ. 5). რუხი ტერაზიტი დასახიჩრებული და დღეს უხილავია. აღსანიშნავია გვერდითი, დუმბაძის ქუჩისპირა ფასადის სიბრტყეზე რუსტების გამოსახვა ნაკაწრი ხაზებით.

ამდენად, 2004 და 2006 წლების რეკონსტრუქციის შედეგად დაკარგულია ინტურისტის შენობის თავდაპირველი სახე, ავტორისეული ჩანაფიქრი, სტილის ნიშნებიც კი. დასახიჩრებულია ბათუმის ზღვისპირა ქსოვილის მიმდებარე განაშენიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი.

დაბოლოს, მიწის ვიწრო ნაკვეთზე ოდესღაც სივრცეში თავისუფლად მდგომი ბათუმის *ინტურისტის* შენობა, როგორც მთავარი ფასადის, ისე რუსთაველის ქუჩის მხრიდან, მინაშენებით შეიზღუდა. დამატებითი მოცულობების გაჩენამ სამუდამო ლახვარი ჩასცა შენობის სრული მოცულობით, თავისუფალ აღქმას (სურ. 5).

მაგრამ, მიუხედავად ბათუმის *ინტურისტის* შენობაზე არასწორად ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, შენობა იძლევა თავდაპირველი სახის დაბრუნების შესაძლებლობას.

დღეს ბათუმის სივრცითი სტრუქტურის მთლიანობა დარღვეულია, ხელყოფილია მის ქუჩათა რეგულარული ქსელი. სამწუხაროა, რომ ვერც ცალკეულ ისტორიულ ნაგებობებს ვიცავთ.

ბათუმის *ინტურისტის* აღდგენა წვლილს შეიტანს ბათუმის ურბანული ქსელის აუთენტურობის შენარჩუნებაში. შენობა შესანახია, ასევე, როგორც პოსტკონსტრუქტივიზმის სტილის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ნიმუში, არქიტექტურის ისტორიის ზოგადი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაგებობა.

Maia Mania (Tbilisi, Georgia)

Batumi *Intourist* – an Outstanding Example of Postconstructivism

Summary

Batumi urban structure was formed in the period from the 1880s through the 1890s. The architectural image of the city was forged from the 1880s through the 1920s. Stylistically, the architecture of Batumi of the second half of the 19th century followed the traditions of European cities. Neoclassicism, Neo Baroque, elements of Islamic architecture or even signs of Palladianism can be seen in Batumi. In early 20th century some of the finest examples of Art Nouveau were created in the city. Batumi is rich in Constructivism heritage.

The hotel *Intourist* stylistically stands apart and the presented article is dedicated to the building itself. The hotel *Intourist* building was designed by the celebrated Russian architect Alexei Shchusev (1875-1948) in 1936-1939.

Previously on the site which was used by Shchusev the Military Cathedral of Alexander Nevsky stood, the foundation of which was laid in 1888 in the presence of the Emperor of Russia Alexander III and the members of his family.

The *Intourist* building bares all signs typical for the Postconstrustivism. This style was typical for the Soviet Union cities and spans the period between late 1930s till 1941. The term was intoduced by a well-known architectural historian, the researcher of the Russian Avand-garde architecture Selim Khan-Magomedov (1928-2011).

Based on the photographs from different bibliographical sources and the fieldwork executed on the building in 2005 and 2013, the article gives a detailed description of the space structure of the edifice and its architectural adornment before its reconstruction.

Two buildings designed by Alexei Shchusev are in Georgia - Batumi *Intourist* and the Tbilisi *Imeli* building (1938). The buildings were constructed in approximately the same period. Shchusev employed a cylindrical shape in creating the spatial structure of the both buildings. Cylindrical shape is often used in earlier Constructivist buildings located in Tbilisi (e.g. the building of the Central Committee of the Georgian Communist Party designed by the architect N. Severov, 1930). However, in Shchusev's building the cylindrical form plays a decisive role in terms of spatial and compositional organisation. The presence of cylindrical shapes in the composition of both buildings and their relation to other elements are what distinguish Shchusev's Georgian works.

The cylindrical volume employed by Shchusev in Georgia seems to be derived from the Roman Pantheon, while the semicircular shape of Severov's designs must be rooted in the Russian Constructivist architecture. Severov's building is characterised by lightness, and Shchusev's building is notable for its monumentality and gravity. Therefore, gravity typical of Roman architecture can be considered to be another characteristic of Postconstructivism.

The article focuses on construction works held on the *Intourist* building in 2004 and 2006, as a result of which the spatial structure of the building was ruined and the authentic facing and adornment was lost. Inspite of the fact that the Shchusev's building in Batumi (encroachments) lost its authenticity after the alterations and facings of 2004 and 2006, the field study showed that the building with its horizontal space composition once faced with the terrazite facing can still return the previous shapes and the glory. The architecture of the *Intourist* building still reveales the hand of great master.

The restoration of the Hotel *Intourist* will play a role in preserving the authenticity of the urban network of Batumi. The building is important to preserve as one of the finest examples of the Postconstructivist style and it has meaning for the development of the history of architecture.

ბათუმის ხედი. შუაში მოჩანს წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია. სერგეი პროკუდინ გორსკის ფოტო. შავარაუდოდ, 1906-1915 წწ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტი*. 1960-იანი წწ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტი*. 1950-იანი წწ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტ - პალასი*. 2005 წ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტ - პალასი.* მთავარი ფასადი. 2013 წ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტ - პალასი.* ცილინდრული მოცულობის ფრაგმენტი. 2013 წ.

ბათუმი. სასტუმრო *ინტურისტ - პალასი.* გვერდითი ფასადი. 2004 წ.

თბილისი. ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა. უკანა ფასადი. 2010 წ.



ბაქო. სასტუმრო *ძველი ინტურისტი*. არქიტექტორი ალექსეი შჩუსევი

მაია ჭიჭილეიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

ძველი ბათუმის რეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტი

ქალაქი მუდმივად განახლებადი, ცვალებადი ფენომენია. იგი სხვადასხვა თაობის, ეპოქის, პერიოდის ნიშან-თვისებებს, ტრადიციებს, სოციო-კულტურულ ფასეულობებს შეიცავს, ორგანულად ერწყმის და ითვისებს გეოგრაფიულ გარემოს, კლიმატურ პირობებს და თავისი ურბანული სახით ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ განუმეორებელ სულს, რასაც „ადგილის სულს“ ეძახიან.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული ძველი ბათუმის სული მის მდებარეობაში, ზღვასთან სიახლოვესა და განუყოფლობაში, ბუნებრივი ლანდშაფტისა და არქიტექტურული წესრიგის ჰარმონიაში მდგომარეობს. მის თავისთავადობას განსაზღვრავს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, მხატვრულ-არქიტექტურული, სივრცითი, ლანდშაფტური, სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტების ერთობლიობა და ურბანული ქსოვილის ჯერ კიდევ შენარჩუნებული პირველქმნადობა. თუმცა ძველი და ახალი ტენდენციების სინთეზი, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ისტორიული და თანამედროვე კონტექსტების დაბალანსება ბათუმისათვის ისევ რთულ და გადაუჭრელ ამოცანად რჩება.

ნაშრომის მიზანს ბათუმის ერთი კონკრეტული უბნის მაგალითზე რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროცესების გაანალიზების მცდელობა და ზოგიერთი ასპექტის წარმოჩენა შეადგენს.

2006-2007 წლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით შემუშავდა ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომელიც შეიცავდა მონაცემებს განაშენიანების გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული კვარტლების ჩამოყალიბების, ძეგლების ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობის, ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების – ჩარევის ფორმის და სხვა საკითხების შესახებ. შეიქმნა გარკვეული საფუძველი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისათვის. 2007 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ შემუშავებულ იქნა ბათუმის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის საფუძველზე განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქცია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ შედგენილი პროექტი, ძირითადად, ითვალისწინებდა ევროპის მოედნის მიმდებარე ტე-

რიტორიის (მემედ აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, შოთა რუსთაველის) და ასევე იაკობ გოგებაშვილის ქუჩებზე მდებარე ნაგებობების რეკონსტრუქციას. ამ პროექტის მიხედვით განსაზღვრული იყო: ძეგლის სტატუსის მქონე შენობების სიმაღლისა და მასშტაბების ზრდა; ისტორიული (ძეგლებისა და ფონური) შენობების მიმბაძველობითი რეკონსტრუქცია არსებითი სტილისტური ცვლილებების გარეშე; ახალი მაღლივი ნაგებობების განთავსება ბათუმის ზოგიერთ ისტორიულ უბანში (შოთა რუსთაველის ქუჩა); ძველი, არსებული ურბანული ქსოვილის ჩანაცვლება ახალი თანამედროვე ტიპის განაშენიანებით (ი. გოგებაშვილის ქუჩა).

ამ პროგრამის მიუხედავად, 2008-2011 წლებში, ბათუმის ძველი უბნების რეკონსტრუქცია განხორციელდა პირვანდელი ჩანაფიქრისაგან განსხვავებული ფორმით. ძველი ბათუმის რეაბილიტაციის პროცესი უმეტესწილად დაეფუძნა არა ძეგლთა პირვანდელი სახის შენარჩუნების, რესტავრაცია-კონსერვაციის, არამედ ძეგლად აღიარებული კულტურული ფასეულობების „განახლების“, მოდერნიზაციის, ავთენტურობის ნიველირების პრინციპს. ძველ უბნებში განხორციელებული ახალმშენებლობების წყალობით ბათუმის „განახლებას“ მეტნაკლებად შეეწირა ისტორიული ქალაქის ზომიერი და ადამიანური მასშტაბი, ძველი უბნების ინტიმურ-კამერული გარემო, განაშენიანების რიტმი, სტილისტური სისადავე, წინარე პერიოდებისათვის დამახასიათებელი გამწვანების ხასიათი. გარკვეულწილად დაიკარგა ძველი ბათუმის ისტორიული კონტექსტი, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში წარმოქმნილი, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული ურბანული ქსოვილი, რომელიც ქმნიდა ძველი ქალაქის ძირითად ხიბლს, მხატვრულ-ისტორიულ, მემკვიდრეობით ღირებულებას.

რეაბილიტაციის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მემედ აბაშიძის ქუჩის გარკვეული მონაკვეთი, კერძოდ კი, ევროპის მოედნის ირგვლივ მდებარე ისტორიული შენობების გარეგნული სახე.

მემედ აბაშიძის ქუჩა, ყოფილი „მარინის“ პროსპექტი, წარმოადგენდა ორი ისტორიული უბნის – „აზიზიესა“ და „ნურიეს“ გამაერთიანებელ ღერძს. იგი იწყებოდა “აზიზიეს” მოედნიდან და სრულდებოდა ალექსანდრეს პარკთან - ნური გელის ტბის მიდამოებში.

მემედ აბაშიძის ქუჩა თავისი, მეტ-ნაკლებად ტიპობრივი სტრუქტურით, საინტერესო ხუროთმოძღვრული სახით, მარადმწვანე საფარით საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა გამორჩეულ მნიშვნელობას. გასული საუკუნის დასაწყისში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებული იყო პროსპექტის არქიტექტურული სახე. მისი ურბანული ქსოვილი წარმოადგენდა XX საუკუნის სხვადასხვა სტილისტური მიმართულებების საინტერესო ნაზავს, რომელშიც ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს ფსევდო სტილების (კლასიციზმი, ბაროკო), მოდერნისა და

საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშები. რეკონსტრუქციამდე მემედ აბაშიძის პროსპექტის ურბანულ სახეს განსაზღვრავდა შენობების საერთო ზომიერი მასშტაბი, ქუჩის მხარეს ფრონტალურად განლაგებული ნაგებობების უწყვეტი რიტმი და სხვადასხვა სტილით გადაწყვეტილი ფასადების მრავალფეროვნება, ისტორიული შენობების მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული ავთენტურობა (სურ. 2).

მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით გამორჩეული იყო პროსპექტის შუა ნაწილი, რომელიც მოიცავდა კ. გამსახურდიასა და ნ. ბარათაშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთს. განიერი გადამკვეთი ქუჩები, სკვერის სივრცე ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა ძველი ქალაქის ამ მონაკვეთში მდებარე მაღლივი და კაზმული შენობების აღქმისათვის.[15] მემედ აბაშიძისა და დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაში (ყოფილი თბილისის) გადიოდა რკინიგზის ხაზი, რომელიც მრუდედ უხვევდა რუსთაველის (მაშინდელი სმეკალოვის) პროსპექტისაკენ და მიემართებოდა პორტში (სურ. 1). ეს მონაკვეთი წარმოადგენდა მთავარ მაგისტრალებთან დამაკავშირებელ ერთგვარ კვანძს, რომლის ურბანულ პლასტიკას განსაზღვრავდა სარკინიგზო ხაზის მიმართულება. სარკინიგზო ხაზის გაუქმების შემდეგ ქუჩების სტრუქტურა შენარჩუნდა, თუმცა მათ შორის ჩამოყალიბდა მცირე სკვერი, რომელიც ერთგვარ პაუზას ქმნიდა პროსპექტის უწყვეტ კვარტალურ განაშენიანებაში და ხელს უწყობდა ქალაქის ამ მონაკვეთის ორგანულ დაკავშირებას სანაპიროსაკენ მიმავალი გზებისაკენ. ამ კორექტურის გარდა მემედ აბაშიძის ქუჩის განაშენიანება ძირითადად ტიპობრივი იყო ძველი ბათუმისათვის - მის ურბანულ სახეს ქმნიდა ერთმანეთის გვერდით, მჭიდროდ, მიჯრით განთავსებული ზომიერი მასშტაბის შენობები. გასული საუკუნის დასასრულს, ძველი ურბანული ქსოვილის ლიკვიდაციის შედეგად, ჩამოყალიბდა ევროპის მოედანი, რომელიც ფართო სივრცული აქცენტის მიუხედავად, წარმოდგენილი იყო რამდენადმე დაუბალანსებელი, ფასადური განაშენიანების მიღმა არსებული შიდა ეზოების უსახური ხედებით. ქალაქის განვითარების შემდეგ ეტაპზე – XXI საუკუნის დასაწყისში, ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ქუჩის პირვანდელი სტრუქტურისა და რიტმის აღდგენა, თუმცა პროექტის თანახმად განხორციელდა ევროპის მოედნის ირგვლივ არსებული ისტორიული ნაწილის განახლება.

პროექტის მიხედვით, პირვანდელი სახით დაცულ და უცვლელ კომპონენტს წარმოადგენდა ფოსტის შენობა, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა უბნის არქიტექტურული დომინანტის როლს. მდებარეობის, მასშტაბის,

[15] XX ს-ის დასაწყისში ბათუმში მოქმედი რეგულირების წესების თანახმად, ნაგებობის სიმაღლეს განსაზღვრავდა ქუჩის სიგანე.

მოცულობის განმსაზღვრელ ფაქტორებთან ერთად აღსანიშნავია მისი მაღალმხატვრული გადაწყვეტა და სამშენებლო ოსტატობა.

მოედნის მიდამოებში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე რეკონსტრუქციას დაექვემდებარა ფოსტის პირდაპირ მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე "აფთიაქის" შენობა (მემედ აბაშიძის №34). გასული საუკუნის დასაწყისში აფთიაქის შენობის ადგილას იდგა ერთსართულიანი ბელეტაჟი. მისი ფასადები შემკული იყო მშვილდა თაღოვანი ფანჯრებითა და სადა კლასიცისტური დეკორით. მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, მას დააშენეს მეორე სართული (სურ: 1, 3). ნაგებობის რეკონსტრუქციისას გათვალისწინებულ იქნა შენობის გეგმარება, შესასვლელებისა და ფანჯრის ღიობების განთავსების რიტმი, უბნის ზომიერი მასშტაბი და ზოგადი სტილისტური ნიშნები. ფასადის მხატვრული გადაწყვეტა დაეფუძნა კლასიცისტური ელემენტების განმეორების პრინციპს, რასაც, თავის მხრივ, გამომსახველობას სძენდა პარაპეტები, შენობის დამასრულებელი ბალიასინებისა და სადგამებზე მოთავსებული დეკორატიული ლარნაკების რიგი. ნაგებობის რიგით მესამე რეკონსტრუქცია, განხორციელდა 2008-2010 წლებში (სურ: 4), მესამე, მანსარდის სართულის დაშენების შედეგად გაიზარდა ნაგებობის მასშტაბი, შეიცვალა პირველი სართულის ფანჯრის ღიობების რიტმი და ფორმა: პირვანდელი სარკმლები გრძელ და ფართო ვიტრინებად გადაკეთდა, ფანჯრებს შორის არსებული გლუვი სიბრტყეები მოირთო რელიეფური სწორკუთხედებითა და ღარებით, ღიობების მშვილდა საპირეებს ზედა ნაწილში დაემატა ნაძერწი ორნამენტული დეკორი სკულპტურული სახეებით, მეორე სართულის დონეზე ფანჯრებს ქვემოთ განთავსდა ასევე სწორკუთხა სიბრტყეები ღრმად ნაძერწი მცენარეული მოტივებით, სარკმლებს შორისი კედლები შეიმკო პილასტრებით, სარკმლების თავსართები კი – საჭექი ქვების, გირლანდების მოტივებით. სართულის პირვანდელი მორთულობიდან შემორჩა მხოლოდ სარკმელთა გადაბმული თავსართები, პარაპეტისა და ბალიასინების მოტივები. შენობის კიდეებსა და ცენტრალურ ნაწილში აღიმართა გუმბათები თევზისფხის ფაქტურის მქონე გადახურვით. განსაკუთრებულად აქცენტირებული აღმოჩნდა შენობის შუა, შეტეხილი ნაწილი, რადგან აქ დადგმული გუმბათის მოცულობა და პროპორციები მნიშვნელოვნად სჭარბობს კიდურა ფორმებს. ფასადის კომპოზიციაში გარკვეულ როლს ასრულებს კარვისებური აქცენტები, ფრონტონებითა და თაღოვანი თავსართებით მორთული ღიობები, სადგარებზე დამყარებული ლარნაკების მოტივები. ფასადის ასეთი გადაწყვეტა ფსევდო ბაროკული სტილის ნიშნებს ავლენს და არსებითად განსხვავდება პირვანდელი დეკორისაგან. ფასადის მორთულობაში ჭარბად გამოყენებული ღრმად ნაძერწი დეკორი რამდენადმე „უჩვეულოა" ძველი ბათუმის ნიმუშებისათვის, რადგან მათ უმეტეს ნა-

წილს, მოკრძალებული კლასიცისტურ-ბაროკული, რენესანსულ-ბაროკული სტილის ელემენტების ზომიერი გამოყენება ახასიათებთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფასადის უხვი ნაძერწი ფორმები შესრულებულია საკმაოდ უხეშად, უხარისხოდ, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით და შესაბამისად მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას. ამდენად, შენობის მოცულობის, სიმაღლის, მასშტაბის ზრდა, სტილისტური თავისებურებების არსებითი ცვლილება, ტრადიციული სამშენებლო მასალის უარყოფა მოწმობს, რომ „აფთიაქის“ შენობის რეკონსტრუქცია განხორციელდა ძეგლის ავთენტური ნიშანთვისებების გათვალისწინების გარეშე, მისი ახლებური ინტერპრეტაციის პრინციპით.

ავთენტურობის კვალი წაშლილია ევროპის მოედნის მიმდებარე – ნ. დუმბაძის ქუჩის განაშენიანებაშიც, სადაც მდებარეობდა ფონური და რიგითი ტიპის შენობები. ჩვენი საუკუნის დასაწყისში დუმბაძის ქუჩის განაშენიანება წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით შემორჩენილი XIX-XX სს-ის მიჯნის ბელეტაჟებითა და გასული საუკუნის მიწურულს აგებული საცხოვრებელი სახლებით. 2008-2009 წლების რეკონსტრუქციის შედეგად დუმბაძის ქუჩაზე მდებარე ფონურ ერთსართულიან შენობებს ჩაენაცვლა სამსართულიანი სახლები, რომელთაც თავდაპირველ ნაგებობებთან მხოლოდ მრთულობის კლასიცისტური დეტალების გამოყენება აკავშირებს. ქუჩის ახალი ურბანული ქსოვილი ხასიათდება გაზრდილი მასშტაბითა და მოცულობებით, სტილისტური „რემინისცენციებით“, რაც ძველი იერსახის, „ისტორიზმის დაცვის“ ერთგვარ საშუალებადაა მიჩნეული. თუმცა, ახალი სამშენებლო მასალებითა და ტექნოლოგიური საშუალებებით აგებულ შენობებს, ფასადების ფსევდო კლასიცისტური გადაწყვეტის მიუხედავად, აღარ აქვთ სიძველის შეგრძნება, წაშლილია ზღვარი შენობის ძველსა და ახალ ნაწილებს შორის. ურბანული ქსოვილის სიძველის, როგორც ისტორიული ფასეულობის დაკარგვის მიუხედავად, დუმბაძის ქუჩის რეაბილიტაციის ერთგვარ პოზიტიურ მხარედ შეიძლება ქუჩის უწყვეტი, პერიმეტრული განაშენიანების აღდგენა, მეტნაკლებად ზომიერი მასშტაბების შენარჩუნება, ფასადების მშრალი, მაგრამ მოკრძალებული მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტა მივიჩნიოთ. ამდენად, ქუჩის ამ მონაკვეთის რეაბილიტაცია განხორციელდა ისტორიული ნაწილის განახლების, არსებითი ცვლილებების გზით, ძველი მხატვრულ-კომპოზიციური ხერხების რემინისცენციების საფუძველზე, ავთენტური ქსოვილის „გაკეთილშობილების“ მიზნით, თუმცა აქაც სიძველის, როგორც ფასეულობის ნიველირების ხარჯზე.

მემედ აბაშიძის ქუჩის განაშენიანებაში შეიძლება წარმოჩინდეს ისტორიული შენობების ნაწილობრივი რეკონსტრუქციის მაგალითებიც. ამის ნიმუშია ევროპის მოედნის მოპირდაპირედ მდებარე XIX-XX

სს-ის მიჯნის ორსართულიანი შენობები (№29, 27), რომლებსაც, ძეგლის სტატუსის მიუხედავად, მანსარდები დააშენეს და დაუმატეს „ფერწერულ-მოზაიკური“ დეკორი. მანსარდის პროპორციები, ტექტონიკა, ფანჯრების რიტმი მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში აღმოჩნდა ნაგებობის ავთენტურ ნაწილებთან, თუმცა გაზარდა უბნის მასშტაბი და დაიკარგა ადგილის კამერულობის განცდა. რეკონსტრუირებული ფასადების გადაწყვეტაში დისონანსი შეიტანა ჭრელმა მოზაიკურმა პანოებმა, რომლებიც წინააღმდეგობაში აღმოჩნდა კლასიცისტური სტილის ქვის ფასადების ფაქტურასთან. აღნიშნული ნაგებობების ფასადებზე ჭრელი დეკორატიული დეტალების განთავსება მომიჯნავედ მდებარე განახლებული „ბანკის” შენობის მხატვრული გადაწყვეტით უნდა იყოს განპირობებული. 1900 წელს აგებული ისტორიული შენობა წარმოადგენდა ორსართულიან ნაგებობას, რომლის პირველ სართულზე, შვერილ პილასტრებს შორის, განთავსებული იყო დიდი ზომის სწორკუთხა შემინული ღიობები (სურ. 2). მეორე სართულის რიტმს განსაზღვრავდა შედარებით უხვად დეკორირებული თაღოვანი ფანჯრები. ფასადების დამუშავებაში ზომიერად იყო წარმოდგენილი ბაროკული და მოდერნის სტილის ელემენტები. ნაგებობის მესამე, საბჭოთა პერიოდში დაშენებული სართული, თავისი პროპორციებით, ჰარმონიულად ერწყმის ავთენტურ ნაწილს (სურ: 5). დაშენებული სართულის მხატვრული გადაწყვეტა, შეწყვილებული პილასტრების, ვერტიკალური ფორმის მაღალი, თაღოვანი და სწორკუთხა სარკმლების რიტმი ეფუძნება შენობის ტექტონიკას, არ არღვევს ფასადის მხატვრულ მთლიანობას, იმეორებს ქვის კედლის ფაქტურას და მონუმენტურობას ანიჭებს მას. ბანკის შენობის რეკონსტრუქცია საბჭოთა პერიოდში განხორციელებული რეაბილიტაციის ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუშია. შენობა თავისი მასშტაბით, საკვანძო მდებარეობით, ხარისხიანი მასალით და შესრულების ოსტატობით ქალაქის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა და ამ თავისებურებათა გამო ბათუმის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროგრამით, მისი რეკონსტრუქცია გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნული მხატვრული ღირებულების მიუხედავად, ყოფილი ბანკის შენობის ტრადიციული აღქმა გამოწვევის წინაშე დადგა და იგი ხელახლა იქნა ინტერპრეტირებული (სურ. 6). ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგად, თითქმის სრულიად დაიკარგა შენობის პირვანდელი, ავთენტური სხეული, შეიცვალა მასშტაბი, მოცულობა, გეგმა, შენობის პლასტიკა, ნაგებობის ტრადიციული მიმართება ისტორიულ გარემოსთან. გაჩნდა უცხო ელემენტები, სხვადასხვა ფორმის პლასტიკური ნაწილები, კოშკურა მოცულობა ბელვედერით, ერკერები, დაკიდული აივნები, ჩარდახები, ფანჩატურები, გადახურვის ოქროსფერ შპილიანი, კარვისებური და ბოლქვისებური ფორმები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს

შენობის არც პირვანდელ ფორმებთან და არც ძველი ბათუმის სხვა ტრადიციულ ნაგებობებთან. ფასადები შეიმოსა უხვი დეკორატიული ნაძერწი და ფერწერული ელემენტებით, ვიტრაჟებით, სკულპტურებით, რომლებიც ასევე ეკლექტურ, სტილისტურ ქაოსს ამკვიდრებენ ფასადზე. მხატვრული თვალსაზრისით შენობის გარეგნული მხარე შეიცავს დასავლური, რუსული, ქართული, კლასიცისტურ-რენესანსულ ელემენტებით გაჯერებულ ფორმებს და ვერ უზრუნველყოფს ფასადის მხატვრული მთლიანობის შეგრძნებას. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ბანკის შენობის რეკონსტრუქცია განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მხატვრული თავისებურებებისა და ავთენტურობის სრული იგნორირებით, მისი სიძველის, ისტორიული ღირებულების უგულვებელყოფისა და დაკნინების ხარჯზე, ამჟამინდელ შენობას თითქმის არაფერი აქვს საერთო მის წინამორბედთან.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქცია, ინტერპრეტაცია, უხეში ხელყოფა ბათუმის რეალობაში დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ამის მაგალითია ფოსტის შენობა, რომლის რეკონსტრუქცია, ძველი ბათუმის რეაბილიტაციის თავდაპირველი გეგმის მიხედვით, განსაზღვრული არ ყოფილა. მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანებისა და ძეგლზე ჩატარებული უხეში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად ფოსტის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დომინანტური მნიშვნელობა დაკნინდა და იგი, როგორც ძეგლი, განადგურდა.[16]

ამდენად, რეკონსტრუქციის შედეგად სიძველედაგაკარგული ისტორიული შენობების ინტერპრეტაციისა და ახალმშენებლობების წყალობით ძველი ბათუმის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, კამერული, ჰარმონიული ქუჩის ეს მონაკვეთი ახალი მხატვრული რეალობის გამოხატულებად იქცა, რომელსაც ცოტა რამ, ან თითქმის არაფერი აკავშირებს ძველი ქალაქის "ადგილის სულთან." განაშენიანების, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიას ახლა რამდენადმე აქტიური და ჯერ კიდევ ქაოსური, პრეტენზიული, ჭრელი არქიტექტურის დომინანტა ცვლის.

ბათუმის ამ ერთი ისტორიული მონაკვეთის რეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტის წარმოჩენა მოწმობს, რომ ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაში ორი ძირითადი მიდგომა ვლინდება: ერთი მხრივ, სახეზეა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქცია პირვანდელი ფორმების ნაწილობრივი გათვალისწინებით, ძველი შენობების ფსევდო სტილისტური თავისებურებების მი-

[16] ფოსტის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა. მთლიანად დანგრეულია ფოსტის შენობის ინტერიერი, ნაწილობრივ შენარჩუნებულია ფასადის კედლები. შენობას მოხსნილი აქვს მანსარდის სართული, შპილიანი გუმბათი, თუჯის პორტიკი და სხვა დეტალები.

ბაძვის პრინციპით; მეორე მხრივ, თვალსაჩინოა კონტრასტული დამოკიდებულება, რაც ძველი ფორმების ინტერპრეტაციასა და მოდერნიზაციაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტურობისა და მხატვრული მთლიანობის იგნორირებაში იჩენს თავს. სტილისტური თავისებურებების ნიველირება, ნაგებობათა მასშტაბის, მოცულობის გაზრდა, რესტავრაციის ხარისხისა და ტექნოლოგიის შეუსაბამობა, ხელოსნური ხასიათი, ახალმშენებლობების უპირატესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში განსაზღვრავს ძველი ქალაქის ესთეტიკური ფასეულობების, წარსულის ისტორიული კონტექსტისა და არქიტექტურის ჰარმონიის რღვევას, „ჩამოყალიბებული" ურბანული წესრიგის, ქალაქის „ადგილის სულის" ტრანსფორმაციას ახალი, მასშტაბური, დინამიკური, ჯერ-კიდევ გაუაზრებელი და დაუბალანსებელი არქიტექტურით.

Maya Chichileishvili (Batumi, Georgia)

Some aspects of reconstruction of Old Batumi

Summary

The aim of the article is to attempt to analyze the process of rehabilitation and reconstruction and to discuss it using examples pertaining to the concrete district of Old Batumi.

There are two approaches to the rehabilitations of Old Batumi's historical districts. On the one hand we have a reconstructed cultural heritage buildings with partial conservation of initial forms. The pronciple of the old building remains with added pseudo stylistic features. On the other hand, the contrasting additions are obvious. This is revealed in old form's interpretation and subsequent modernization. Also, it is visible in the ignoring of cultural heritage building's authenticity and artistic integrity. Leveling of stylistic features, enhanced scaling and volume of buildings, irrelevance of restoration quality and technology, artificial character, modern construction features overriding the cultural heritage of buildings determine the decomposition of old city aesthetic values, the historical context of the past and architectural harmony. In addition, all the above mentioned issues determine the transformation of 'established' urban order and city 'genius loci' to new, large-scale, dynamic and still not realized unbalanced architecture.

სურათი 1

სურათი 2

სურათი 3

სურათი 4

სურათი 5

სურათი 6

მაია აზმაიფარაშვილი
(გორი, საქართველო)

კლიმატის ცვლილების გავლენა ტურიზმის დარგსა და დანიშნულების ადგილებზე

კლიმატის თანამედროვე ცვლილება კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი შესწავლა XIX საუკუნის 70-იან წლებში იწყება და კლიმატოლოგ ვ.კიოპენის (1873) სახელს უკავშირდება, რომელმაც იმ დროს მთლიანად დედამიწისათვის დაადგინა ტემპერატურის 1^0C-ით დაცემა. ვ. ვილეტმა (1950) შეაფასა პლანეტარული ტემპერატურის ცვლილების ტენდენცია 1880-1930 წლების პერიოდისათვის, და მიიღო საშუალო პლანეტარული ტემპერატურის $0,5^0$C-ით გაზრდა. ხოლო ზამთრის თვეების ტემპერატურისა 1^0C-ით გაზრდა. მ. ბუდიკომ (1971) დაადგინა, რომ XIX საუკუნის დასასრულს დაიწყო დათბობა და სუსტად გამოხატულ მაქსიმუმს მიაღწია. 70-იანი წლების შემდეგ კი, გლობალურმა ტემპერატურამ დაიწყო ინტენსიური ზრდა [ელიზბარაშვილი, 2007: 368].

კლიმატის ცვლილების ამჟამინდელი ფენომენი საცნაური გახდა წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა შემჩნეულ იქნა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი აწევის ტენდენცია და გახშირებული კლიმატური კატასტროფები. დღეისთვის უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ნამდვილად ხდება და გამოიხატება საშუალო ტემპერატურის აწევაში და ამასთან დაკავშირებით ნალექების გახშირებაში, რაც მრავალი, უკიდურესად უარყოფითი ფორმით აისახება ექსტრემალური მოვლენების სახით.

საქართველოში კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგების შესწავლა-ანალიზმა გამოავლინა კლიმატური პარამეტრების (საშუალო წლიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურები, ნალექთა საშუალო წლიური ჯამი და ნალექების მოსვლის რეჟიმი) საგრძნობი ცვლილებები XX ს. დასაწყისიდან დღემდე. თანამედროვე გლობალური დათბობის საერთო ფონზე აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ტემპერატურის ზრდა, ხოლო დასავლეთში უმთავრესად კლება. საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის ყველაზე მაღალი სიჩქარეები აღინიშნება ქვემო ქართლის ვაკეზე, ქართლის და კა-

ხეთის ქედებზე, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე. ამ რაიონებში ტემპერატურის ზრდის ყველაზე მაღალი სიჩქარე აღემატება 0.005^{0}C-ს. დათბობის ცალკეული კერებია შავი ზღვის სანაპიროზე [ელიზბარაშვილი, 2007: 368].

ზღვის სანაპირო ზოლები ყველგან მთელ მსოფლიოში ამჟღავნებს განსაკუთრებულ მგრძნობიარობას კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენის მიმართ და ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს შავიზღვისპირეთი წარმოადგენს, სადაც სანაპირო ზოლის მთელ სიგრძეზე შეინიშნება ზღვის დონის აწევა ხმელეთთან შედარებით, შტორმების გახშირება და გაძლიერება, ზღვაში მდინარეების ჩამონატანის გაზრდა და ზღვის ზედაპირული წყლების ტემპერატურის ცვლილება. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა მდ. რიონის დელტაში, ქ. ფოთთან, სადაც გვაქვს ორმაგი პრობლემა (შექმნილი მდინარის ორი ტოტის მიერ): ერთი მხრივ, ზღვის შემოჭრა და ხმელეთის მიტაცება და მეორე მხრივ, მდინარის შეჭრა ზღვაში და ნაშალის ჩატანა ზღვაში. უახლესი კვლევები [საქართველოს II ეროვნული ანგარიში, 2009] აჩვენებს, რომ შავი ზღვის სანაპირო ზონა წარმოადგენს საქართველოში ამჟამად ყველაზე მოწყვლად ეკოსისტემას კლიმატის ცვლილებისადმი და მოდელირებული პროგნოზები კიდევ უფრო სავალალო სურათს გვიხატავს 2100 წლისათვის.

სანაპირო ზონის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი ყალიბდება ძირითადად შავი ზღვიდან შემოჭრილი ნოტიო ჰაერის მასების კავკასიონის სამხრეთ ფერდობებთან და მესხეთის ქედის დასავლეთ კალთებთან ურთიერთქმედების შედეგად. ჰაერის მოძრაობის რეჟიმზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ადგილობრივ ცირკულაციას, რომელიც ხმელეთი-ზღვის უთანაბრო გათბობით წარმოიქმნება. ასეთ ცირკულაციას ქმნიან ბრიზები, მუსონები (შავი ზღვისთვის დამახასიათებელი სახეცვლით) და მთა-ხეობის ქარები (ზღვისა და ხმელეთის არათანაბარი გათბობა-გაცივების შედეგად წარმოიშვება თერმული ქარები-ბრიზები და მთა-ბარის ქარები). ზღვიური ბრიზების გააქტიურება იწყება აპრილის დასასრულს და მთავრდება აგვისტოს დასასრულს. 700-800 მ სიმაღლეზე ზღვის ბრიზები მხოლოდ შუა ზაფხულში აღინიშნება.- ამ კრიტიკულ ზღვარს შემდეგ ბრიზების მოქმედება შეუმჩნეველია. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ბათუმში არსებული მაღალი შენობები ბრიზების მოქმედებისათვის ხელისშემშლელია.

შავიზღვისპირა ზოლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, აქ განლაგებულია ქალაქები ბათუმი, ფოთი და სოხუმი თავიანთი პორტებით, სუფსის და ყულევის საზღვაო ნავთობტერმინალები, ბათუმის აეროპორტი და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის ბირთვს ქმნიან. ამ ზოლში არსებობს მაღალგანვითა-

რებული სანაპირო ინფრასტრუქტურა სარკინიგზო და საავტომობილო გზების ხშირი ქსელით, რომელთა თითქმის 60% ზღვისპირს მიუყვება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზღვის ეკოსისტემის პარამეტრების ცვლილება სერიოზულად აისახება ინფრასტრუქტურაზეც.

იმისათვის, რომ ქვეყანა ყოველ ნალექზე კატასტროფის წინაშე არ აღმოჩნდეს, საჭიროა სწორი გარემოს დაცვითი პოლიტიკა. კლიმატის ცვლილების გამო მომატებულია ტენიანობა, ერთ დღეში ერთ ადგილზე შეიძლება მთელი წლის ნალექიც კი მოვიდეს, მერე შეიძლება ამას ხანგრძლივი გვალვა მოჰყვეს, რაც გარემოზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთან ტემპერატურის სხვაობა დღესა და ღამეს შორის საკმაოდ დიდია, რაც ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბუნებაზე, თუმცა ამას ემატება გარეშე მიზეზებიც ანუ ადამიანური ფაქტორები. განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ტყის მასივების გაჩეხვა. ასეთ ვითარებაში აუცილებელია წინასწარი ღონისძიებების ჩატარება. ყოველწლიურად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი, რათა დადგინდეს რა რაოდენობის წყლის გატარება შეუძლია ამა თუ იმ მდინარეს, ხომ არ ხდება ხევების გამოფიტვა და ა.შ. ექსპერტთა დაკვირვების მასალების მიხედვით დასტურდება, რომ აჭარის სანაპიროზე ბოლო წლების განმავლობაში ზღვის დონემ საგრძნობლად მოიმატა. ზღვის ნაპირების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია შავი ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცოდნა, მონიტორინგი და შეფასება, რომ მოხდეს სანაპირო ზონის განვითარების პროგნოზირება.

მიმდინარე გლობალური დათბობის ფონზე შავი ზღვის ეკოსისტემისათვის გამოიკვეთა ოთხი ძირითადი საფრთხე: ევსტაზიის (ზღვის დონის აწევა ხმელეთის მიმართ) სიჩქარის ზრდა; შტორმული მოდენების (შტორმები) ინტენსივობისა და სიხშირის ზრდა და მოხდენის სეზონების ცვლილება; მყინვარული საზრდოობის მდინარეთა დელტებში სედიმენტაციის გააქტიურება (ემუქრება მხოლოდ რიონის დელტას და მის შუაწელს) და ზღვის თერმული მახასიათებლების შეცვლა. ზღვის ეკოსისტემასთან უშუალოდ დაკავშირებული ამ ოთხი ინდიკატორის გარდა, აქ მნიშვნელოვანია ჰაერის ტემპერატურის ცვლილება და სიცხის ტალღების მოხდენის ალბათობის ზრდა ტურისტულ სეზონში.

21-ე საუკუნეში, ტურიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლებს მოუწევთ გარემოს პრიორიტეტად აღიარება. ტურიზმის სფერო დღეს მსოფლიოს უდიდეს ინდუსტრიად ითვლება, გარემოს კი, მის განვითარებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. რადგანაც მომავალში გარემოს მეტი ყურადღება დაეთმობა, ისეთი პრიორიტეტები, რომლებიც ეკონომიკურად ეფექტიანია, მაგრამ ეკოლოგიურად არასასურველი, განუხორციელებელი დარ-

ჩება. გარემო ტურისტული პროდუქტის საფუძველია, ამიტომ ტურიზმის მომგებიანობა დამოკიდებულია იმ ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმზიდველობაზე, რომლის ნახვა-გაცნობიერებაც ტურისტებს სურთ.

უნდა აღინიშნოს, რომ რთულ საკანონმდებლო სამყაროში მეტად მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს გეოგრაფიული არეალი, რომელზეც არის მიმართული ტურიზმის პოლიტიკა. გამოვიყენებთ ისეთ ზოგად ტერმინს, როგორიცაა ტურისტული დანიშნულების ადგილი. ტურისტული დანიშნულების ადგილი, მარტივი გაგებით, არის კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონი, რომლის ფარგლებშიც ვიზიტორი ღებულობს სარგებელს სხვადასხვა სახის ტურისტული შთაბეჭდილებებისაგან.

არსებობს კლიმატის ცვლილებების შედეგად ზემოქმედების 4 ძირითადი კატეგორია, რომლებიც, თავის მხრივ, მოქმედებს ტურისტული დანიშნულების ადგილების კონკურენტუნარიანობასა და მათ მდგომარეობაზე. 1. პირდაპირი კლიმატური ზემოქმედება (Direct climatic impacts): კლიმატი ტურიზმის ძირითადი რესურსია, რადგანაც განაპირობებს დანიშნულების ადგილებში მთელ რიგ ტურისტულ აქტივობებს. კლიმატს წამყვანი როლი უჭირავს ტურისტული მოთხოვნის სეზონურობაშიც და მნიშვნელოვნად განაპირობებს ოპერაციული დანახარჯების მოცულობას, მათ შორის, ისეთებს, როგორიცაა გათბობა--კორდინაცია, საკვებისა და წყლის მარაგი და სადაზღვევო ხარჯები. 2. გარემოს ცვლილებებზე არაპირდაპირი ზემოქმედება (Indirect environmental change impacts): რადგანაც გარემოს მდგრადობა ტურიზმის კრიტიკული რესურსია, კლიმატით გამოწვეული ეკოლოგიური ცვლილებები ფართო ზეგავლენას მოახდენს ტურიზმზე, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე. ცვლილებები წყლის ხელმისაწვდომობაში, ბიომრავალფეროვნების შემცირებაში, ლანდშაფტის ესთეტიკურობის დაკარგვაში, ცვლილება სოფლის მეურნეობის წარმოებაში, მზარდი ბუნებრივი საფრთხეები, სანაპირო ეროზია და წყალდიდობები, სხვადასხვა ფორმით გავლენას იქონიებს ტურიზმზე. 3. ტურისტულ მობილობაზე ზემოქმედების შერბილების პოლიტიკა (Impacts of mitigation policies on tourist mobility): ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა სათბურის გაზების გამოყოფის შემცირებასთან დაკავშირებით, აისახება ტურისტული ნაკადების მოძრაობაზეც. ეს გამოიწვევს სატრანსპორტო დანახარჯების ზრდას და შესაძლოა, ხელი შეუწყოს გარემოსადმი დამოკიდებულების შეცვლას, რაც აიძულებს ტურისტებს შეიცვალონ მოგზაურობის მოდელი. 4. სოციალური ცვლილებების არაპირდაპირი ზემოქმედება (Indirect societal change impacts): ფიქრობენ, რომ კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის ზოგიერთი ქვეყნის

სამომავლო ეკონომიკურ ზრდას და პოლიტიკურ სტაბილურობას [გელდნერი, რითჩი, 2013: 430];

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების მასშტაბების მიუხედავად, ტურიზმში ჩართულ ყველა ბიზნესსა და დანიშნულების ადგილს მოუწევს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, რათა მინიმუმამდე შეამცირონ მისი თანმხლები რისკები და გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის ფარგლებში. გარემოსა და კლიმატის მჭიდრო კავშირის გამო, ტურიზმი ითვლება კლიმატზე დამოკიდებულ მგრძნობიარე ეკონომიკურ დარგად. დიდია იმის ალბათობა, რომ კლიმატის ცვლილებამ გამოიწვიოს დანიშნულების ადგილის და ტურისტების რეგიონული ცვლილება, რაც მოითხოვს ადაპტაციას ტურიზმის დარგში ყველა მონაწილის მხრიდან. ტურიზმს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილების გამოწვევებს, თუმცა შეუძლია იმოქმედოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში. მდგრადი ტურიზმის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებამ და აღიარებამ საფუძველი დაუდო ეკოტურიზმის ცნების აღმოცენებას. ტურიზმის სამყაროში ტერმინები მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება. ეკოტურიზმისაგან განსხვავებით, ტერმინი მდგრადი ტურიზმი გულისხმობს საზოგადოების ფუნქციურ ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.

კლიმატის ცვლილების ფენომენის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მისი შეჩერებისათვის კაცობრიობის ძალისხმევის გაერთიანება. კლიმატის ცვლილება ესაა მთელი კაცობრიობის წინაშე არსებული, ეგზისტენციალური მასშტაბის გამოწვევა ჩვენი ცხოვრების სტილისათვის, ჩვენი სამომავლო გეგმებისათვის. ჩვენ წარმოვაჩენთ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებიც უნდა მოვნახოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჩარლზ რ. გელდნერი, ჯ. რ. ბრენტ რითჩი, 2013: – ჩარლზ რ. გელდნერი, ჯ.რ. ბრენტ რითჩი, ტურიზმი. საფუძვლები, თეორია, პრაქტიკა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ელიზბარაშვილი, 2007: – ელიზბარაშვილი ე., საქართველოს კლიმატური რესურსები, თბილისი.

ხორავა, 2012: – ხორავა ს., კლიმატის ცვლილებაზე საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება, ბათუმი (ავტორს დიდ მადლობას მოვახსენებთ მისი კვლევებით სარგებლობის უფლებისათვის).

კლიმატის ცვლილება, 2012: – მოკლე ინფორმაცია კლიმატის ცვლილების მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

საქართველოს მთავრობის პოზიცია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ 2010-2012. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე თვითმმართველი ქალაქი ბათუმში არსებული მდგომარეობა. USAID

Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia)

Impact of Climate Change on Tourism Field and Places of Destinations

Summary

The article discusses the impact of climate change on the tourism industry. The tourism industry is the largest in the world. It occupies a central place in the development of the environmental tourism. There are 4 main categories of impacts resulting from climate change: 1. Direct climatic impacts; 2.Indirect environmental change impacts; 3. Impacts of mitigation policies on tourist mobility; 4. Indirect societal change impacts.

გიული გიგუაშვილი
(გორი, საქართველო)

ბათუმის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები

ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, მათი განვითარების პოტენციალის განსაზღვრა და რეალიზაცია, ხელს შეუწყობს ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად სახელმწიფოებრივი ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებასა და სრულყოფას, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ეფექტურ მონიტორინგს. ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემურ მიდგომას საფუძვლად უნდა დაედოს თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული სისტემური ცოდნა, რომლის საფუძველზეც მოხდება ქალაქების ფუნქციონირებისა და განვითარების გონიერი მართვა.

საქართველოს დიდ ქალაქებს შორის (თბილისი – 1 090 000, ქუთაისი – 185 965 და რუსთავი – 138 000) სამართლიანად მოიხსენიება ქალაქი ბათუმი, რომლის მოსახლეობა 2002 წლის აღწერის მონაცემებით 121 800 კაცს შეადგენდა, ხოლო ამჟამად 180 ათასს აღწევს. ბათუმის შესახებ პირველი ცნობები ძვ.წთ-ის მე-4 საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ნაშრომებში გვხვდება. იგი შავი ზღვის სანაპიროზე კოლხეთში მდებარე ქალაქს „ბათუსის“ სახელით მოიხსენიებს. „ბათუსი“ ბერძნული სიტყვაა და ღრმას ნიშნავს, რასაც მის ღრმა და მოხერხებულ ნავსაყუდელს უკავშირებენ. ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი ტერიტორია შეადგენს 6494,31 ჰექტარს. ქალაქი გაშენებულია ღრმა, კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელის ბათუმის ყურის ნაპირას.

თანამედროვე ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები დაკავშირებულია საქართველოს გეოპოლიტიკურ როლთან. ჩვენი სამშობლო წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის საკვანძო ქვეყანას, უწინარესად, აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ნავთობპროდუქტების დასავლეთის ქვეყნებში ექსპორტის თვალსაზრისით, რაც უშუალო გავლენას ახდენს ქ. ბათუმის განვითარების პერსპექტივებზე. ბათუმის ზონა ერთადერთია საქართველოში, სადაც ხდება სახმელეთო (სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი) და საზღვაო (ბათუმის პორტი) ტრანსსასაზღვრო ფუნქციების ზედდება, რაც მნიშვნელოვან საგარეო-ეკონომიკურ, ლოჯისტიკურ კვანძს ქმნის [ქ. ბათუმის.., 2008:15].

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, აჭარა საქართველოს ერთ-ერთ განვითარებულ რეგიონს წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ ამ რეგიონში ქ. ბათუმს წამყვანი ადგილი უჭირავს. რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის სახეობებიდან წარმოდგენილია ძირითადად: სამეწარმეო სფერო, სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა, თევზჭერა, მრეწველობა, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლის და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა, საფინანსო შუამავლობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება, ასევე სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი იყო. მთავარი დარგები იყო ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ფარმაკო-ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. ახლა განვითარებულია აგრეთვე საშენი მასალების წარმოება და ხეტყის გადამუშავება. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო უმთავრესად ადგილობრივი მოთხოვნილების ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს.

თანდათან იზრდება ბათუმის როგორც ტურიზმის, საკონფერენციო, საფესტივალო თუ სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კვანძის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მნიშვნელობა. ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ერთერთ ძირითად ინდიკატორს საბანკო სისტემა წარმოადგენს. ამ მხრივ ქ. ბათუმის ბანკების ქსელი საკმაოდ კარგადაა განვითარებული.

ბათუმი რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის უნიკალურ კვანძს წარმოადგენს. ქალაქი კავკასიის ნავთობის გაზიდვის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შავი ზღვის მთლ სანაპიროზე. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და დიდ საოკეანო ტანკერებს ემსახურება. სატრანსპორტო კვანძის საერთო ტვირთბრუნვაში სატრანზიტო ტვირთებთან ერთად დიდი ადგილი უკავია თვით ქალაქის და მისი უახლოესი მიდამოების სამეურნეო ტვირთებს. მთლიანად მექანიზებულია მშრალი ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები. მნიშვნელოვანია აგრეთვე მგზავრთა გადაყვანა შორეული და ადგილობრივი მარშრუტებით. აღსანიშნავია, რომ ტვირთის გადატანა ყოველწლიურად იზრდება. ამასთან, ტვირთგადაზიდვების ლომის წილი რკინიგზაზე მოდის (99.8%). რაც შეეხება მგზავრთა გადაზიდვას, აქ აშკარად ლიდერობს საავტომობილო ტრანსპორტი (გადაყვანილ მგზავრთა – 96,8%). სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას ბათუმში 1880 წელს ჩაეყარა საფუძველი

სამტრედია-ბათუმის მონაკვეთის რკინიგზის პროექტით. 1883 წლის 21 მაისს კი პირველმა მატარებელმა გაიარა; სარკინიგზო მარშრუტი ბა-ქო-ტფილისი-ბათუმი გამჭოლი გახდა. ამან ქალაქის ზრდა-განვითარე-ბას უძლიერესი იმპულსი შესძინა.

ბოლო წლებში ქალაქის ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში დი-დად გაიზარდა ავტოტრანსპორტის როლი. თანამედროვე საავტომობი-ლო გზატკეცილებით ბათუმი დაკავშირებულია საქართველოს უმნიშ-ვნელოვანეს ცენტრებთან, აჭარის შიგა რაიონებთან და თურქეთთან.

ბათუმის საზღვაო ნავსადგური ისტორიულად ითვლებოდა კავ-კასიის რეგიონის ლოჯისტიკურ ცენტრად. კერძოდ, ის არის საქარ-თველოს ერთ-ერთი ნავსადგური, რომლის საშუალებით საქართველო გახდა ტრანზიტული ქვეყანა. დღეს ბათუმის ნავსადგური თამაშობს დიდ როლს რეგიონის ცხოვრებაში და განვითარებაში. ბათუმის საზღვაო პორტი ემსახურება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გა-დაზიდვებს. ბათუმის მრავალპროფილიანი ნავსადგური სატრანსპორ-ტო-საკომუნიკაციო კვანძს წარმოადგენს და რეგიონის სოციალურ-კო-მუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების მასტიმულირებელ რგო-ლად გვევლინება. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის 2012 წლის ტვირ-თბრუნვის რეკორდულ მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვამ შეადგინა 1 577 393,69 ტ., რაც 3,93% მეტია 2011 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. 2013 წლის პირველი ნახევარ-წლების შედეგების მიხედვით, მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვამ შეადგინა 789 629 ტ., რაც 163 207 ტონით (26,05%) მეტია გასული 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით და წარ-მოადგენს აღნიშნული პერიოდის საწარმოო გეგმის შესრულების 100% შედეგს. სალიდერო პოზიცია კვლავ უჭირავს სატრანზიტო ტვირთებს, ნავსადგურის საერთო ტვირთბრუნვის 37 %-ს მაჩვენებ-ლით. მეორე ადგილზე იმპორტია – 36 %. 2013 წლის პირველ ნახე-ვარწლედში, ბსნ-ს გავლით გადატვირთული ტვირთების მიმღებ ქვეყ-ნებს შორის ლიდერად კვლავ რჩება აზერბაიჯანი. ამ ქვეყანას ეკუთ-ვნის ბსნ-ის მთლიანი ტრანზიტული ნაკადის 95%. იმპორტირებული ტვირთების უმრავლესობა მიიღება უკრაინიდან, თურქეთიდან, ძირითა-დად – მადნის ნაყარი ტვირთები და სამშენებლო მასალები. 2011 წელს ნავსადგურის მიერ დამუშავდა 862 გემი, 2012ში – 702 გემი, ხო-ლო 2013 წლის პირველ ნახევარწლედში 348 გემი, რაც 25 ერთეულით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარე-ბით [http://www.batumiport.com/?page=shownews&id=77].

ბათუმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საჰაერო მიმოს-ვლის უზრუნველყოფა. ქალაქს, ისევე როგორ მთელ რეგიონს, ემსა-ხურება საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც 2007 წლიდან ფუნქცი-ონირებს. საჰაერო ტრანსპორტის განვითარებაზე დადებითი ზეგავლე-

ნა მოახდინა აეროპორტის რეკონსტრუქციამ. მიმდინარეობს აეროდრომის ტექნიკური მახასიათებლებისა და მგზავრთა მომსახურების ახლებური ფორმების დანერგვა. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის აეროპორტი ჩაერთო თურქეთის რესპუბლიკის აეროპორტების შიდა ქსელში და ტრაპიზონის აეროპორტთან ერთად, ბათუმი ხდება რეგიონული მნიშვნელობის საჰაერო გადაზიდვების მნიშვნელოვანო ცენტრი.

ბათუმში ყოველდღიურად ინერგება და ვითარდება კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის თანამედროვე ფორმები. ბათუმი დაფარულია ფიჭური სატელეფონო კავშირგაბმულობით; ქალაქში მოქმედებს ყველა ოპერატორი – მაგთი, ჯეოსელი და სხვა.

ტრადიციულად, თბილისის შემდეგ, ქ. ბათუმი იყო საქართველოს მასშტაბით მეორე ქალაქი სოციო-კულტურული პოტენციალის თვალსაზრისით. ამას ხელს უწყობდა არა მხოლოდ ამ სფეროს ინსტიტუციები, არამედ, ბათუმის იმთავითვე ურბანული ბუნება და ქალაქური ცხოვრების წესის მდგრადი ტრადიციები. ბუნებრივია, ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების კვალდაკვალ, ცვლილებებს განიცდის ქალაქის სოციოკულტურული სფეროც. ამასთან ერთად, სტაბილურობას ინარჩუნებს ამ სფეროს ისეთი ფუძემდებელი სექტორი, როგორიცაა განათლება, რასაც მოწმობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი სასწავლებლების სიმრავლე და მათში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ქ. ბათუმი ყოველთვის იყო და რჩება ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად. ბოლო დროს ის იძენს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფუნქციებსაც – კონფერენციები, სამუსიკო ფესტივალები, სილამაზის კონკურსები და ა.შ. [ქ. ბათუმის.., 2008: 83].

ბათუმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ ადგილს საქართველოში. დიდია ტურისტული ნაკადი ევროპიდან და ამერიკის კონტინენტებიდანაც. დამსვენებლების რეკორდული მაჩვენებლი – 400 000 ათასი ადამიანი დაფიქსირდა 2009 წელს და აქედან მოყოლებული სულ უფრო მატულობს უცხოელ დამსვენებელთა რიცხვი. ინტენსიურად ხდება თანამედროვე სასტუმროებისა და გასართობი ცენტრების მშენებლობა. განახლდა სპორტული ობიექტები, სპორტული მოედნებისა და ბავშვთა სათამაშო მოედნების ფართო ქსელი, საციგურაო მოედანი. რეორგანიზებას განიცდის სასტუმროების ქსელი. მცირე და ოჯახურ სასტუმროებთან ერთად, შენდება მრავალფუნქციური, სხვადასხვა მასშტაბურ ღონისძიებებზე ორიენტირებული სასტუმროები. ეს გარემოება უთუოდ გააძლიერებს ბათუმის ტურისტულ მიმზიდველობას და ხელს შეუწყობს მისი კონკურენტუნა-

რიანობის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით [http://www.batumiport.com/?page=shownews&id=77].

ვფიქრობთ, ბათუმის ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავების, მათი ეფექტური რეგულირებისა და შესაბამისი სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილებათა მისაღებად უაღრესად მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკური პოტენციალისა და გამოწვევების ობიექტური შეფასება, მისი შედარებითი უპირატესობების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა, დასაქმების, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, მეურნეობის ცალკეული დარგების, მეწარმეობის განვითარების, ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების, სოციალური განვითარების – ჯანდაცვა, განათლება, ცხოვრების არსებული დონის მაჩვენებლების ანალიზი და ამის საფუძველზე ქალაქის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, სადაც განმსაზღვრელი ადგილი სწორედ ეკონომიკურ პრიორიტეტებს უნდა მიენიჭოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქ. ბათუმის.., 2008: – ქ. ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა, თბილისი.

http://www.batumi.ge/ge/

http://www.batumiport.com/?page=shownews&id=77

Giuli Giguashvili (Gori, Georgia)

Economic Development Prioritiesof Batumi

Summary

The role of providing socio - economic development in individual regions of Georgia belongs to the big cities. Batumi is an important industrial center region of Adjara. It accounts for a large portion of the total production industry of Adjara. Batumi is gradually increasing as tourism, conferences, festivals and other public events increase there as well as transport. The city is a logistical and cultural hub and has much value as an educational center. The city's economic potential and an objective assessment of its comparative advantages, strengths and weaknesses will contribute to the development of economic priorities the region's subsequent sustainable development.

ლეილა მამულაშვილი
(გორი, საქართველო)

უცხოური ინვესტიციების განვითარება ბათუმში თანამედროვე ეტაპზე

დღეისათვის საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის საკმაოდ მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს, რაც განპირობებულია ქვეყანაში შექმნილი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, დაბალი გადასახადები, ლიბერალური საგაჭრო რეჟიმი, ინვესტორების დასაცავად არსებული ძლიერი სამართლებრივი გარემო, გამარტივებული სანებართვო პროცედურები და ა.შ. დღეისათვის ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველი სფეროებია: ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონება, კორპორაციები, საბანკო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სექტორები, კომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა და სხვა.

საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთადერთი რეალური გზა უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. საქართველომ კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა ქვეყნებს და მიზნის მისაღწევად „უპირატესობა“ უნდა მოიპოვოს კონკრეტულ სფეროებში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის შეფასების მექანიზმის შექმნა, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული აქცენტები გაკეთდეს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში, რაც ინვესტიციების მოზიდვისას კონკურენტული უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. კონკურენტუნარიანობის შეფასების მექანიზმზე მუშაობის პროცესში შესწავლილი უნდა იყოს როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ცალკეულ რეგიონში მიმდინარე პროცესები. ემპირიული მონაცემების ანალიზი საფუძვლად დაედება ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებას და უცხოელ ინვესტორთა მოზიდვას. სამწუხაროდ, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად შემცირდა. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაქსიმუმი 2 მილიარდ დოლაზრე მეტი 2007 წელს დაფიქსირდა.

საქართველოში ქართველ და უცხოელ ინვესტორთა ჯგუფმა დაარსა ახალი კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელიც მოიზიდავს დაფინანსებას მსხვილი კომპანიებისგან, სუვერენული ფონდებისა და დიდი კაპიტალის მფლობელი ფიზიკური პირებისგან. თანაინვესტირების ფონდში დღეისთვის მოზიდულია 6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. კერძო საინვესტიციო ფონდი ინვესტორებს უქმნის ხელსაყრელ პირობებს და აძლევს განსაკუთრებულ შესაძლებლობას, საქარ-

თველოში მოახდინონ პორტფელური და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება. ფონდი ინვესტიციებს ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სექტორებში განახორციელებს.

მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონში უცხოური ინვესტიციების ანალიზი ბოლო წლებში. როგორც ვიცით, საქართველოში „ტრამპ ჰაუერის“ ინვესტიცია ჩაიდება. შეთანხმება ამერიკელი მილიარდელის დონალდ ტრამპის ორგანიზაციასთან გაფორმებულია. კერძო ინვესტიცია პირველ ეტაპზე 250 მილიონი დოლარით განისაზღვრა და ის ბათუმსა და თბილისში საცხოვრებელი კომპლექსებისა და სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს. მშენებლობა თავდაპირველად ბათუმში დაიწყება.

იტალიური კომპანია La casa TINA, რომელიც აერთიანებს იტალიაში ცნობილ 15-მდე ბრენდს, გეგმავს აქტიურად ჩაერთოს ბათუმის ინფრასტრუქტურული განვითარების პროცესში. მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული ბრენდები – Kempinsky, Hilton, Holiday Inn და სხვა, 2013-2015 წლებისათვის ბათუმში მაღალბიუჯეტიანი სასტუმროების განთავსებას გეგმავენ. სწორედ ამ მიმართულებისათვის ხელშეწყობასა და დამკვეთებთან აქტიურად თანამშრომლობას გეგმავს აღნიშნული კომპანია.

ასევე, მრავალმხრივი და ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს გერმანიასა და საქართველოს შორის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანული ფირმების ინვესტიციები აჭარაში. 2007 წლის სექტემბრიდან საქართველოში ფუნქციონირებს გერმანული ფირმების კავშირი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საქართველოს ბაზარზე მოღვაწე გერმანელი მეწარმეები. 2013 წელს ჰაიდელბერგცემენტმა ბათუმში ბეტონის ახალი ქარხანა გახსნა, რომელიც მეოთხე ბეტონის ქარხანაა საქართველოში; მთლიანი ინვესტიცია დაახლოებით 200 მილიონი ევროა. საქართველოში ფუნქციონირებს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც ეხმარება პოტენციურ გერმანელ ინვესტორებსა და ფირმებს საქართველოს ბაზარზე შემოსვლაში.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორები თურქეთიდან, ევროპიდან და ირანიდან ბიზნესის სხვადასხვა სექტორში, განსაკუთრებით, ტურიზმის, მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებში კვლავაც აპირებენ დააბანდონ კაპიტალი რეგიონში. ბათუმში 2009 წელს დაფუძნებული საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია დღეს 18 წევრ-კომპანიას აერთიანებს. 2005 წლიდან 2012 წლამდე უცხოური კაპიტალით დაფუძნებულმა კომპანიებმა აჭარის რეგიონში 1.5 მილარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს ტექსტილის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიისა და ტურიზმის სფეროებში.

არსებული რისკებისა და ევროპაში მიმდინარე კრიზისის მიუხედავად, ბათუმში დასრულდება ცნობილი ბრენდის „კემპინსკის“ მშენებლობა და გაგრძელდება „ჰილტონის“ სასტუმროების მშენებლობა. ასოციაციის წევრი-კომპანიების შპს Nurol Georgia-ს მიერ ბათუმში აშენდა სასტუმრო „შერატონი“. ‘Development Solutions’ -მა ბათუმში ასევე ააშენა სასტუმრო „რედისონი“. ინვესტორთა ასოციაციის წევრები ძირითადად აჭარაში მოღვაწეობენ.

მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საერთაშორისო საავტომობილო კავშირისა (IRU) და საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაციის (GIRCA) მხარდაჭერით „სამოდელო გზატკეცილის ინიციატივა ბაქო-თბილისი-ბათუმი-ტრაბზონის” (MHI BTBT) პროექტის განხილვა გაიმართა. აღნიშნული პროექტი მოცემულ მონაკვეთზე დამხმარე საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში ტურისტული პოტენციალის ამაღლებას.

სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს 152 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა წელთან შედარებით 2%-ით მეტია. რეგიონში ყველაზე მეტი ინვესტიცია თურქეთიდან შემოვიდა და მთლიანი ინვესტიციის 65% შეადგინა. ყველაზე მაღალი საინვესტიციო აქტიურობა დაფიქსირდა 2007 წელს – 170 მილიონი ამერიკული დოლარი, 2008 წელს კი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო, მკვეთრად დაეცა ინვესტიციების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლისათვის ინვესტიციების 32 % ტურიზმზე მოდის. ქვეყნების მიხედვით კი, 2012 წლისათვის ინვესტიციების 21% მოდის რუსეთზე, 4-4% – უკრაინასა და ყაზახეთზე, 3% – სომხეთის რესპუბლიკაზე. 2011 წელს ყაზახური ინვესტიციების წილი შეადგენდა 75%-ს, 14 % მოდიოდა თურქულ ინვესტიციაზე, 5% – სომხეთის რესპუბლიკაზე, 4 % – უკრაინაზე და 2% – რუსეთზე. 2011 წელს ყაზახური ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წონა განპირობებული იყო სასტუმრო „რედისონის“ მშენებლობის დასრულებით. თუკი გავაანალიზებთ ბოლო წლების დინამიკას – რეგიონში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციების 40% უცხოურ ინვესტიციებზე მოდის, ხოლო ადგილობრივი ინვესტიციების ხვედრითი წილი უცხოურ საინვესტიციო ნაკადებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. ეს ტენდენცია უფრო მეტადაა გამოკვეთილი 2008 წლიდან, რაც განპირობებულია იმით, რომ მშენებლობის სექტორში ძირითადად ადგილობრივი ინვესტორები არიან ჩართულნი. თუ განვიხილავთ რეგიონში 2013 წლის განმავლობაში მოქმედ საინვესტიციო პროექტების მოცულობას, 2013 წლისთვის დასაწყებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტებს, წლის განმავლობაში საინვესტიციო

წინადადებების სახით შემოსული პოტენციური საინვესტიციო პროექტების მოცულობას და ჯერ კიდევ მოლოდინის პროცესში მყოფ უახლოეს მომავალში გასააქტიურებელ ინვესტორთა პროექტებს, მიმდინარე წელს უნდა ველოდოთ საინვესტიციო ნაკადების ზომიერად ზრდად დინამიკას, თუმცა არის რამდენიმე მსხვილი პროექტი და საინვესტიციო აქტიურობაც შეიძლება იყოს მკვეთრად აღმავალი. ინვესტირების პროცესში სახელმწიფოსა და ინვესტორის, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა უნდა იყოს მაქსიმალურად კრისტალიზებული, რადგან საინვესტიციო გარანტიებს უნდა ქმნიდეს საკანონმდებლო ბაზა და არა კონკრეტული პიროვნებები ან ინსტიტუციები. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის ეფექტურად წარმართვა, ისევე როგორც აღებული ვალდებულებების შესრულება, სახელმწიფოს საიმედოობის უპირველესი საინვესტიციო საზომია. ინვესტორი ყოველთვის ინტერესდება, გვაქვს თუ არა მის ქვეყანასთან ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება, რაც ინვესტიციების მოზიდვას საგრძნობლად ზრდის. ამჟამად ორმხრივი ხელშეკრულება საქართველოს მხოლოდ 25 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული, რომლის საფუძველზეც დავისას ინვესტორს უფლება აქვს მიმართოს საინვესტიციო დავების მოსაგვარებელ საერთაშორისო ცენტრს ვაშინგტონში.

2013 წლისათვის რეგიონში ეკონომიკური ზრის ტემპის შენარჩუნება, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მნიშვნელოვანია რეალურ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა. ევროპის ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ საქართველო ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით კვლავ მიმზიდველ ქვეყნად რჩება. დღეს სტიმული ინვესტორებისთვის შეიძლება გახდეს შრომის კოდექსში ცვლილებები, რაც დამსაქმებლის სრულ უპირატესობას დასაქმებულის მიმართ საგრძნობლად კვეცს. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე და ბუნებრივია, ესეც რეგულაციების გამკაცრებას უკავშირდება. ასევე საჭიროა უახლესი კვლევების ჩატარება ისეთი მიმართულებით, რომელიც დაუკავშირდება რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ანალიზს, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებას, უძრავი ქონების ბაზრის კვლევას, პოსტპრივატიზაციული და პოსტსაინვესტიციო შეფასებებს და ბიზნესპორტფელების ფორმირებას. საჭიროა საინვესტიციო ციკლის სრულყოფა. თითოეული პოტენციური ინვესტიცია რეგიონში უნდა შეფასდეს კომერციული, ფისკალური, სოციალური, ეკონომიკური საინვესტიციო ეფექტების მხედველობაში მიღებით. ასევე მნიშვნელოვანია არსებული და პოტენციური ინვესტორების საინვესტიციო პროექტების საინფორმა-

ციო ბანკის ფორმირება და ეტაპობრივად განახლება. ყოველივე ეს დაეხმარება პოტენციურ ინვესტორს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

სამსონია ნ., ლომსაძე მ., თოფურია მ., საინვესტიციო პროექტის დაგეგმვის მეთოდოლოგიური ასპექტები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია", №2 (50), ნაწ. 2, 2009.

სიჭინავა ა., ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბილისი, 2010.

www.g-p.ge/geo/T

www.interpressnews.ge/ge/ekonomikis-da.../247623-la-casa-tina-.htmlT

www.tiflis.diplo.de/Vertretung/tiflis/ka/02/.../UB__Wirtschaft.htmlT

www.citizens.ge/index.php?name=PagesF&op=page&pid=54T

www.geostat.ge

commersant.ge/?page=news&id=2229T

www.economy.gov.ge/.../samodelo-gzatkecilis-iniciativa-baqo-tbilisi-bat...T

www.batumelebi.ge › Home › siaxleebiT

www.kvirispalitra.ge/.../15390-2-miliardis-investiciebi-ocneba-thu-realo...T

Leila Mamulashvili (Gori, Georgia)

Development of Foreign Investment in the Present Stage in Batumi

Summary

Nowadays, Georgia is a very attractive place for foreign investors, a condition created by various factors. It is important to analyze foreign investment in the Adjara. According to statistics in 2012, $ 152 million was invested in the region, a 2 % increase in comparison with the previous year. It is necessary to conduct new research on this topic and connect it with the analyses of region's investment potential, separate fields of economy and thereby evaluate the attractiveness of Adjara's investing environment. This is necessary to improve the investing cycle. Each potential investment should be evaluated by taking into account commercial, fiscal, social, and economic investing effects. It is also important to form continually updated information banks of existing and potential investors' investing projects. All the above mentioned will help a potential investor to make an efficient decision.

ზურაბ მეგრელიშვილი, ირაკლი ტუნაძე
(ბათუმი, საქართველო)

ნიკო ნიკოლაძის ხედვა ბათუმის ნავთობტერმინალის განვითარების შესახებ

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკურ განვითარებაში უმეტესწილად მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი იყო მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდგომარეობა. გეოპოლიტიკური, სავაჭრო-სატრანსპორტო და სამრეწველო ინტერესები, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ყალიბდებოდა კავკასიის რეგიონის ირგვლივ, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ღირსებასა და მიმზიდველობას მატებდა საქართველოს. სწორედ ასეთი ღირსება-ღირებულების მქონე ცენტრად ყალიბდება ბათუმი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პროცესებს, თავს მხრივ, მყარი ნიადაგი მოუმზადა ინდუსტრიული ეპოქის სამრეწველო მოთხოვნილებებმა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეკუთვნის ნავთობს.

1878 წლის შემდგომ ნავთობი და ბათუმი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ბათუმს შავ ზღვაზე, სევასტოპოლის შემდეგ, ყველაზე ღრმა (მაქსიმალური სიღრმე 58 მ.) და მოხერხებული ნავთსაყუდელი გააჩნდა. ეს შეიქმნა ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რომ 1878-1886 წლებში ბათუმის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ. 1883 წელს ბათუმი რკინიგზითაც დაუკავშირდა ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელს; განხორციელდა ნავსადგურის რეკონსტრუქცია; გაიყვანეს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი (1896-1906). შედეგად, ბათუმი საერთაშორისო მასშტაბის ნავსადგური გახდა.

ბათუმის ტერმინალი დღესაც ნავთობის ექსპორტის უმსხვილესი კარიბჭეა შავ ზღვაზე, ქალაქი კვლავ წარმოადგენს საკვანძო საექსპორტო პუნქტს, საიდანაც ხდება კასპიის ზღვის რეგიონის სწრაფად განვითარებადი საბადოებიდან მოწოდებული ნედლი ნავთობისა და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების ექსპორტი. ნავთობის მოწოდება ბათუმში წარმოებს საქართველოს რკინიგზის მეშვეობით – ვაგონცისტერნებით, რომლებიც იცლება თანამედროვე ესტაკადებზე. ტერმინალის სარეზერვუარო პარკებიდან ნავთობი მილგაყვანილობით გადაიტვირთება ნავმისადგომებზე. ოთხი ნავმისადგომებიდან ერთი უნაპიროა, სადაც თავისუფლად დგება 130 000 ტონა წყალწყვის ტანკერები.

თავად საქართველოს რკინიგზა დღეისათვის შავი და კასპიის ზღვების ძირითადი დამაკავშირებელი არტერია, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. საქართველოს სარკინიგზო გზების შემოსავალი ერთ ტონა ნავ-

თობზე 8,5 დოლარია, აქედან გამომდინარე, ნავთობგაზსადენების და ნავთობგაზსაცავების პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის საკითხების სწრაფი და თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტა მთელ მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში კიდევ მრავალი ათეული წელი აქტუალურ საკითხად დარჩება.

1883 წელს, კომპანია „ბრანობელმა“ უფრო განავითარა და მასშტაბური სახე მისცა ბათუმის გავლით საზღვარგარეთ ნავთობპროდუქტების ექსპორტს. ამ დროისათვის ბათუმში აშენდა პირველი ნავთობტერმინალი, მოეწყო ნავთობსაქაჩი სადგურები. ბაქოდან მომავალი მილსადენი, რომელიც ბათუმის ნავთობის ტერმინალთან წყდებოდა, იმ დროისათვის მსოფლიოში პირველი და ყველაზე გრძელი (833 კმ.) იყო. მილების დიამეტრი 200 მმ. უდრიდა, ხოლო წელიწადში 900 000 ტონა ნავთობს ატარებდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაქოში იწყება ნავთობმრეწველთა გაერთიანება და მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება, იწყება ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემების შექმნა. ეს პროცესები ბუნებრივია ზრდიდა და ამძაფრებდა კონკურენციას. 1889 წლისათვის ნავთობმრეწველის ხარისხში აფშერონის ნახევარკუნძულზე რეგისტრირებული იყო 28 ფირმა და 41 ინდივიდუალური მეწარმე. მათ შორის იყო სულ ხუთი ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია, რომლებიც ბაქოს ნავთობის 42,2 % აწარმოებდნენ და ევროპის მიმართულებით ნავთობპროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში, მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ ბათუმის პორტზე, რამდენადაც იმ დრიოსათვის ევროპაში ბაქოს ნავთის გატანა მხოლოდ ბათუმის პორტიდან იყო შესაძლებელი.

სამრეწველო მონოპოლისტური კაპიტალის კონცენტრაცია ინდუსტრიული ეპოქისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო იმ განსხვავებით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში იგი განსხვავებული სიმძლავრით გამოვლინდა და განვითარდა, სხვადასხვა იყო ანტიმონოპოლისტური კამპანიებიც. საქართველოში ეს საკითხი დაკავშირებულია ნიკო ნიკოლაძესთან.

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი და ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო. იგი ხასიათდებოდა გაბედული გეგმებითა და პროექტებით, საინჟინრო-ეკონომიკური აზროვნების სიღრმითა და ორიგინალურობით. ნიკო ნიკოლაძე თავისი დროის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მამამთავარი იყო.

დღეს, როცა მთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მტკიცედ ებრძვიან მონოპოლიების წარმოქმნას, უთუოდ ინტერესს იწვევს

ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმები ნობელების მიერ შექმნილ ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მონოპოლიასთან.

ნიკოლაძე ინტერესდება და იკვლევს, თუ როგორ მოხვდა მათ ხელში ნავთობის საქმის გასაღები. მისი აზრით, არც ერთი წარმოება არ შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ მას თავს მოვახვევთ მიმოსვლის საშუალებათა მოწყობასა და შენახვასაც: „განა ჩვენი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ან მეღვინეობა განმტკიცდებოდა, სოფლის მეურნეობა რომ თვითონვე ყოფილიყო ვალდებული გაეკაფა თავისთვის გზა მთავარი სამომხმარებლო ბაზრებისაკენ? ამ გზების გაჟვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა საქმეა, რადგან კერძო პირის ხელში ის აუცილებლად ქმნის მონოპოლიას, რაც ყოველგვარ წარმოებას კლავს (მონოპოლია წარმოებაში კი არ აღმოცენდება, არამედ გადატანის დროსო). ჩვენ საშუალება მივეცით ჩვენსავე თავს კერძო საზოგადოებას ჩავვარდნოდით ხელში, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფომ მაშინვე არ შეასრულა იმ ამოცანათა ნაწილიც კი, რომელიც უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როდესაც საჭირო იყო თანხა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ჩამოსასხმელი ვაგონებით გასაზრდელად, ხოლო ვოლგასა და კასპიის ზღვაზე ასევე ჩამოსასხმელი გემები, ყველა მექარხნეს, ვისაც კი მისწვდა, ნობელმა (ლუდვიგმა – ვ.შ.) თავისი სამსახური შესთავაზა. რა საჭიროაო, ამბობდა ის, ახალი ხარჯები, რისთვის უნდა გავზარდოთ რკინიგზისა და გემთა საზოგადოების საობლიგაციო კაპიტალი? ეს ხომ ტვირთად აწვება სახელმწიფო სახსრებს, გარანტიის დანამატს. მე ვიკისრებ ყველა ამ ხარჯს, მე თქვენ შემოგიყვანთ შესანიშნავ გემებს, ბრწყინვალე ვაგონცისტერნებს და ეს სახელმწიფოს კაპიკი არ დაუჯდება... ჩვენ მოგვეწონა ასეთი კეთილისმყოფელი და პირდაპირ წინ დავუდგით ტაბლა. ამიტომ შეძლო მან ასე ადვილად მილიონების მოხვეჭა, მაგრამ, ცნობილია, თუ ვინმეს ჯიბეში მილიონს დავინახავთ, თუნდაც სიზმრად, მაშინვე ფარ-ხმალს ვყრით მის წინაშე. ხედავთ – ეს ძალაა! ყოველგვარი ძალის წინაშე ქედის მოხრის თანდაყოლილი თვისების გამო ჩვენ მალე ვიქეცით ყურმოჭრილ მონებად (ნიკოლაძე, 2003ა: 236).

საბოლოოდ, ნიკოლაძე დაასკვნის, რომ „ძმები ნობელების ამხანაგობა" სრულიადაც არ არის დაინტერესებული წარმოების შემდგომი წარმატებითა და გაუმჯობესებით, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლია უზრუნველყოფს მათ წარმატებას, როგორიც არ უნდა იყოს მათი პროდუქციის ხარისხი და ფასი. ნიკო ნიკოლაძემ რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს შესთავაზა ამ მონოპოლიიდან თავდახსნის გზები და საშუალებები: „აუცილებელია ყურადღება მიექცეს ნავთობის პროდუქტების გადასაზიდი გზების მოწყობასა და განთავისუფლებას, აუცილებელია, ვაიძულოთ ყველა

რკინიგზა, რომელიც ვოლგასა და შავ ზღვას აკრავს და დაკავშირებულია მის აუზებთან, ჰქონდეს ჩამოსასხმელ ვაგონთა საჭირო რაოდენობა, ხოლო მთავარ სადგურებზე კი, საკმაო მოცულობის რეზერვუარებიც.

ასევე აუცილებელია, ყველა მექარხნეს, მეწარმესა და ვაჭარს მივცეთ ისეთივე შეღავათიანი პირობები ნავთის ჩამოსხმის სახით გადატანისა, ბ-ნ ნობელს რომ აქვს მინიჭებული, რკინიგზის სამმართველოსაგან... საერთოდ კი პრინციპულად უნდა დადგინდეს, პირველ ყოვლისა ის, რომ მთავრობის მიერ ზურგის შექცევას ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის საქმისგან, სამიმოსავლო გზების გაუმჯობესებისაგან და ამ საქმეების მთლიანად გადაბარებას ნავთობის მეწარმეებზე, მონოპოლიის შექმნისაკენ მივყავართ (ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მომხრე იყო გარკვეული დოზით სახელმწიფოს ჩარევისა ბიზნესის სამართლიანად დამარეგულირებლის, არბიტრის როლში, რაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის გაბატონებული ტენდენციაა და კეინსამდე გაცილებით ადრეა წამოყენებული). მეორეც ის, რომ ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის ყველა საშუალება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანაბარი პირობებით“ (ნიკოლაძე, 2003ბ: 297).

ნიკო ნიკოლაძე აქვე მიუთითებს იმასაც, რომ თუ ნობელების მონოპოლია განმტკიცდება, მაშინ ნავთის ფასიც, გაიაფების ნაცვლად, სწრაფად აიწევს. ნიკო ნიკოლაძის მიერ დაყენებულ საკითხს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სხდომაზე კენჭი უყარეს და იგი გავიდა: 29 კაცი იყო ნიკოლაძის მომხრე, 9 კი – წინააღმდეგი.

ნ. ნიკოლაძე კიდევ ერთხელ დაასკვნის, რომ ნავთობის დიდ საქმეში დაშვებულია დიდი პოლიტიკური შეცდომა: „დიდ მრეწველობას რომ ვნერგავდით, ჩვენ არ გვიზრუნია გზა გაგვეხსნა მისი პროდუქტების გატანისათვის. ამის შედეგად მრეწველობას დააწვა გარეშე ვალდებულება – სამიმოსვლო გზების მოწყობა. ასეთი ტვირთი უმეტესობის ძალას აღემატება. ვისაც შეუძლია გზის გაყვანა, ცხადია, ის თავისთვის გაიყვანს და არა ყველასთვის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო არ აღმოცენებულიყო მონოპოლია და აღმოცენდა კიდეც.

ნიკო ნიკოლაძის ეს დაპირისპირება მაშინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ ძმებ ნობელებთან ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის ძალიან საინტერესო ფურცელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნიკოლაძე, 2003ა: – ნიკოლაძე ნ., ვ. ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო, თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი.

ნიკოლაძე, 2003ბ) – ნიკოლაძე ნ., დიდი შეცდომა დიდ საქმეში, თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი.

Zurab Megrelishvili, Irakli Tunadze (Batumi, Georgia)

Niko Nikoladze about the Development of Batumi Oil Terminal

Summary

The data on economic situation and on perspectives of the Batumi oil terminal in the second half of 19th century are given. The relation of Niko Nikoladze to this issue is shown.

ჭანი მიქაშავიძე, ვახტანგ მიქაშავიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის საკურორტო მეურნეობის აგროტურისტული პოტენციალი

ტურიზმის ინდუსტრიაში აგროტურიზმი შედარებით ახალი და-მოუკიდებელი მიმართულებაა, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნა-ხევარში ჩამოყალიბდა ევროპის კონტინენტზე. მსოფლიოში მეოცე-ოც-დამეერთე საუკუნის მიჯნაზე ამ კუთხით გამოიკვეთა მოწინავე ქვეყ-ნები, სადაც აღნიშნულმა მიმართულებამ დიდი პოპულარობა მოიპო-ვა, კერძოდ: იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ხორვატია, პოლონეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, კვიპროსი და სხვ. თითოეულ ამ ქვეყანაში აგროტურიზმი თავისი დამახასიათებელი, განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით ვითარდება, ამიტომ, აგრარული ტურიზმის ერთიანი უნი-ვერსალური კონცეფცია დღეისათვის არ არსებობს. საერთოს წარმო-ადგენს ის, რომ აგროტურიზმი ფაქტობრივად გადაიქცა ეკონომიკის ეფექტიან და შემოსავლიან წყაროდ. აგრარული ტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს ტურისტთა დასვენე-ბას შედარებით წყნარ და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვ-ნების პირობებში. აგროტურისტები დაინტერესებული არიან მიიღონ სიამოვნება დაცული ტერიტორიისა და ველური ბუნების წიაღში გა-სეირნებით, აგრეთვე, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექ-მნილი ისტორიულ-კულტურული ღირებულების დათვალიერებით. საკ-ვებად მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, იცხოვრონ სოფ-ლის ცხოვრებით, გაეცნონ სოფლის მაცხოვრებელთა ყოფას, ტრადი-ციულ და კულტურულ თავისებურებებს. ტურიზმის ეს სეგმენტი ამა-ვე სფეროს სხვა სახეობებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ არ საჭირო-ებს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოზე ზიანის მიყენება [მაისურაძე, 2008: 199-200]. აქ-დან გამომდინარე, აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის აუცი-ლებელ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ტურისტთა განთავსების ადგილი უნდა იმყოფებოდეს სოფლად ან მცირე ქალაქებში, რომლე-ბიც გარკვეული მანძილით არიან დაცილებული სამრეწველო ობიექ-ტებისა და მრავალსართულიანი მშენებლობებიდან. ამასთან ერთად, აგრარული ტურიზმის განვითარების მოთხოვნები რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო ადგილებში ტურისტული რესურსების არსებობა. ეს შეიძ-ლება იყოს უნიკალური ბუნებრივი ობიექტები კერძოდ, ბალნეოლოგი-ური კურორტები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ჩანჩქერები და

ა.შ. აგროტურიზმისათვის მეორე პირობას წარმოადგენს განთავსების თავისუფალ ადგილთა არსებობა – კარ-მიდამო, კოტეჯები, მონასტრები, აგროტურისტული სოფლები, სანადირო და სათევზაო სახლები, კემპინგები და სხვა. მესამე პირობა აგროტურისტული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის არის სპეციალური ორგანიზაციულ-ფინანსური და საკანონმდებლო ღონისძიებები, რომელიც სტიმულს აძლევს სამეურნეო აქტიურობის მოცემულ სახეს [ვოსკრესენსკი, 2008: 401].

ბათუმის საკურორტო ტურისტული ზონა აჭარის საკურორტო-ტურისტული ზონის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მოიცავს საკუთრივ ბათუმს, მწვანე კონცხს, მახინჯაურს და სამთო-კლიმატურ კურორტს ცისკარას. ამგვარად, ბათუმის საკურორტო ტურისტული მეურნეობა შედგება ქალაქ ბათუმისა და მის შემოგარენში არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების პირველადი კომპლექსებისაგან. მას, ისე როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანას, აგროტურიზმის სფეროში შედარებითი უპირატესობანი გააჩნია. ეს არის ჩვენი ქვეყნის უძველესი ცივილიზაცია, არსებული ტრადიციები, გეოგრაფიული მდებარეობა, სტრატეგიული სავაჭრო გზები, ფლორისა და ფაუნის დიდი მრავალფეროვნება, ხალხის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ღირსშესანიშნაობანი. ამასთან ერთად, ბათუმის საკურორტო--ტურისტულ ზონას გააჩნია თვალწარმტაცი ბუნება, თბილი კლიმატი, რბილი, ჯანსაღი ჰავა, დიდებული მთები, ულამაზესი პლაჟები, მინერალური წყლები, საინტერესო ლანდშაფტები და სხვა. ამ ზონაში ტურიზმის განვითარებამ შეიძლება კატალიზატორის როლი შეასრულოს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების სრულფასოვანი გამოყენება. საჭიროა აღინიშნოს, ამჟამად რეგიონში ფუნქციონირებს 10-მდე აგროტურისტული მეურნეობა, რომელთა საოჯახო სასტუმროებში ერთდროულად შეუძლია დაისვენოს და დრო გაატაროს 75-80-მდე სტუმარმა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ბათუმის საკურორტო-ტურისტულ ზონაზე, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს არცერთი აგროტურისტული მეურნეობა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, მინიმალურადაც კი არაა გამოყენებული ის დიდი პოტენციალი, რაც აღნიშნულ საკურორტო-ტურისტულ ზონას გააჩნია. ამის უმთავრეს მიზეზად, ჩვენი აზრით, შეიძლება მიჩნეული იქნას სოფლის მეურნეობაში განვითარებული ტენდენციები და უკანასკნელ ათწლეულში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახლებური მიდგომების გაუთვალისწინებლობა. ამ პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიანი გამოცდილების დემონსტრირება გვიჩვენეს ევროკავშირის ქვეყნებმა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ევრო-

პის განვითარებული ქვეყნები გახდა სოფლმეურნეობრივი წარმოების ინოვაციის, კერძოდ, აგროტურიზმის განვითარების სამშობლო.

აგროტურისტული მომსახურების სფეროში ინოვაციური მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა კვიპროსის გამოცდილება. ამ ქვეყანაში შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით ხორციელდება სასოფლო სახლების რესტავრაცია და ეროვნულ სტილში გაფორმება თანამედროვე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის სანაპიროზე. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში, შეიარონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში. აგროტურისტული პროგრამა ამუშავდა 1991 წლიდან კვიპროსის მთავრობის სრული მხარდაჭერით. შეიქმნა კვიპროსის აგროტურისტული კომპანია, რომელიც წარმოადგენს აგროტურისტული ობიექტების მფლობელთა ასოციაციას. კომპანია აწარმოებს ერთიან მარკეტინგულ პოლიტიკას, სარეკლამო კომპანიას, დაჯავშნის ცენტრალიზებულ სისტემას. უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის დამუშავებას და მის განთავსებას ერთიან ვებ-საიტზე, ტურისტები ძირითადად ჩამოდიან ევროპის ქვეყნებიდან (ბრიტანეთი, ავსტრია, გერმანია) [გელაშვილი, 2011: 413].

ტურისტული ბიზნესის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ეფექტიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაზე. ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ფაქტორების, პირობების ანალიზისა და დიაგნოსტიკის შედეგების გამოყენება, არამედ იმ საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის შემოქმედებითად გამოყენება და მისადაგება ქვეყნის ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებთან [მესხია, 2010: 220]. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერეს იწვევს ბათუმის საკურორტო-ტურისტულ ზონაში ტურიზმის განვითარების კარგად აპრობირებული კვიპროსის აგროტურისტული მოდელის (კონცეფციის) გამოყენება რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ტურისტულ-რეკრეაციული მიზნით მოვახდინოთ ზღვისა და მთის შესაძლებლობების კომპლექსური გამოყენების იშვიათი შეხამება – ტურისტთა ნაკადების გადართვა სანაპირო ზონიდან მაღალი რეკრეაციული დატვირთვის მქონე შიდა მთიან სასოფლო რეგიონებში. აქ მხედველობაშია მისაღები ისტორიული გამოცდილებაც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ძველთაგანვე არსებობდა საქართველოს ქალაქისა და ბარის მოსახლეობაში ზაფხულში ქვეყნის მთიან სოფლებში ოჯახური დასვენების ტრადიცია. ტურისტებს საშუალება ექნებათ ზაფხულისა და შემოდგომის სეზონზე სურვილისამებრ დღის პირველ ან მეორე ნახევარში იარონ ზღვის სანაპიროზე

ისუნთქონ ზღვის სასარგებლო ჰაერით, დატკბნენ მზისა და ზღვის აბაზანებით, ხოლო დღის დარჩენილი დრო გაატარონ და დაისვენონ იშვიათი კლიმატური თვისებების მქონე მთიან სოფლებში. რაც შეეხება წლის დანარჩენ პერიოდს (გაზაფხული, ზამთარი), ამ შემთხვევაში რეგიონის სანაპირო ზოლი და იქ განლაგებული ტურისტულ–რეკრეაციული ცენტრები და მისი მიმდებარე მთიანი სოფლები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც კლიმატური კურორტები. აგროტურიზმის აშკარად გამოხატული უპირატესობა სწორედ ის არის, რომ იგი ხელს შეუწყობს ტურისტული მომსახურების პერიოდის გახანგრძლივებას და ამინდის უარყოფითი შედეგების კომპენსირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთის ზოლისა და მისი მიმდებარე მთიანი სოფლებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ნალექების სიუხვის მიუხედავად, აქ ჩვეულებრივ თბილი ზამთარი და ზომიერად ცხელი ზაფხული იცის. კლიმატის ეს თავისებურება კი მიმზიდველს ხდის ამ რეგიონს მთელი წლის განმავლობაში ტურისტების მოსაზიდად, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ტურისტთა რაოდენობის ზრდას და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმებას ტურისტულ სფეროში. მის ფართო შესაძლებლობას ბათუმის საკურორტო-ტურისტული ზონის მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება. შავი ზღვის სანაპირო ზოლის სულ რაღაც 7-10 კმ-ის დაშორებით არსებულ მთებზე შეფენილია ულამაზესი თვალწარმტაცი სოფლები, უნიკალური ტყის ფონდით, საინტერესო ფლორითა და ფაუნით, მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით. ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მთიან სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილია და მისდევენ ორიგინალურ ხალხურ ხელოსნობას – ხეზე კვეთილობას, მუსიკალური ინსტრუმენტის (ჭიბონის) და ხის მერქნით დაწნული ნივთების დამზადებას. ტურისტებისათვის მეტად საინტერესო იქნება გლეხთა (ფერმერთა) სახლებში, როგორც ორიგინალურ მინიატურულ სასტუმროებში ცხოვრება, რათა დროებით მაინც გამოეთიშონ ცივილიზებული სამყაროს სტრესებს და ჩაერთონ გლეხური ცხოვრების ატმოსფეროში. ტურისტები დიდი ინტერესით მოელიან საცხოვრებელ ადგილის ახლო-მახლო შთაბეჭდილებებით მოგზაურობებს, ისტორიული ძეგლების, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების, აგრეთვე დაცული ტერიტორიებისა (მტირალასა და მაჭახლის ხეობის ეროვნული პარკები, კინტრიშის ნაკრძალი, ქობულეთის დაცული ტერიტორია) და ბათუმის შესანიშნავი ბოტანიკური ბაღის ხილვას, ორიგინალურ ეროვნულ სამზარეულოსა და ქართულ ღვინოს.

ვეხებით რა ბათუმის საკურორტო-ტურისტული ზონის უნიკალური შესაძლებლობების, ზღვისა და მთის რეკრეაციული რესურსების ბუნებრივი შეხამების სარგებლიანობას, ესთეტიკურ ფაქტორებთან

ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამკურნალოდ ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის ზღვისა და მთის კეთილსასურველ თვისებების დიდი მრავალფეროვნება და მნიშვნელობა.

კვიპროსის ზემოაღნიშნული მოდელის რეალიზაცია ბათუმის საკურორტო-ტურისტულ ზონაში საშუალებას იძლევა დაწესდეს კონკურენტუნარიანი ტურპროდუქტების ფასები, რაც აამაღლებს მოთხოვნის დონეს და შესაბამისად გაზრდის თანმდევ დადებით ეფექტებს. კერძოდ, განაპირობებს სეზონურობის მნიშვნელოვან დაძლევას, ტურისტთა რაოდენობის ზრდას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების მატებას, მოცემულ პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის ზრდას, ეკონომიკის მდგრად ფუნქციონირებას და განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, უფრო სტაბილურს გახდის აგროტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, სოფლის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის, აგრეთვე ბუნებისა და გარემოს დაცვას, ეკონომიკის მომიჯნავე დარგების სინქრონულ განვითარებას და აქედან გამომდინარე, მთლიანად ეკონომიკის აღმავლობას.

ამჟამად, ტურიზმის განვითარებაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური საქმიანობისა და დაფინანსების სახელმწიფოებრივი ბერკეტების გამოყენებას. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ფინანსური მხარდაჭერა შეუძლებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო. ჩვენი აზრით, ამ პირობებში საჭიროა ირიბი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების უფრო აქტიურად და გაბედულად გამოყენება. მიზანშეწონილია ამ ეტაპზე დაინერგოს საგადასახადო პრეფერენცების სხვადასხვა სახე. მათ შორის ისეთები, როგორიცაა: საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო არდადეგები, ტურისტული საგნების ზოგიერთი სახეობის წარმოებისა და იმპორტის გადასახადიდან გათავისუფლება, საგადასახადო განაკვეთის შემცირება (დიფერენცირება), გადასახადის დროის გადავადება, ადრე გადახდილი გადასახადის დაბრუნება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში სახელმწიფოს ხელშეწყობა და სხვა.

ამგვარად, ბათუმის საკურორტო მეურნეობაში ტურიზმის ცალკეულ მიმართულებებსა და მათ შორის აგროტურიზმში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია, სახელმწიფოსა და ბიზნესსაზოგადოების ინტერესების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნას ქვეყანაში ტურისტული მომსახურების ახალი კონცეფცია, რომელიც დაფუძნებული იქნება ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ახალ ინოვაციურ მოდელზე. ამ მოდელის პრიორიტეტი უნდა იყოს სხვადასხვა პრეფერენციებისა და შეღავათების გა-

მოყენების გზით ტურისტული ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ტურიზმის სფეროში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე ახალი, განსხვავებული ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შექმნა და შეთავაზება მომხმარებლისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, დოკუმენტი № 200/01-015, 2013.

გაბუნია, 1996: – გაბუნია ი., საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, გამომც., „ქართული ფილმი“, თბილისი.

გელაშვილი, 2011: – გელაშვილი მ., *აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში,* ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბილისი.

ვოსკრესენსკი, 2008: – ვოსკრესენსკი ვ.ი., საერთაშორისო ტურიზმი, გამომც., იუნიტი-დინა“, მოსკოვი, რუსულ ენაზე.

მაისურაძე, 2008: – მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, გამომც., „საარი“, თბილისი.

მესხია, 2010: – მესხია ი., ჟურ. “ბიზნესი და მენეჯმენტი”, № 2.

ჩაგელიშვილი, 2010: – ჩაგელიშვილი ლ., *ინოვაციები ტურიზმში და ტურიზმის მდგრადი განვითარება,* ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.

Zhani Mikashavidze, Vakhtang Mikashavidze (Batumi, Georgia)

The Agro-tourism Potential of Batumi Resources and Touristic Zone

Summary

The Batumi resource-touristic zone has a great potential for development of agro-tourism but unfortunately even the minimum capacity of the area’s potential has not been utilized. In this aspect, an important effect can be achieved via the establishment of an innovative agro-tourist model which has been well-recieved in Cyprus. This helps to predict specific peculiarities of the Batumi resource-touristic zone which includes a rare combination of mountain and sea tourism opportunities. This geography allows for the efficient use of resources, particularly to move the flow of tourists from the littoral zone to the rural area zones which have high recre-

ation potential. According to the mentioned method, tourists will be given the possibility to have a rest in the first or second half of the day at their wishes on the littoral and the rest of their free time to spend in villages with rare climatic peculiarities.

Realization of this model gives the possibility to set competitive prices for the sub-tropics that will increase the level of demand and correspondingly will increase positive effects. This will support significant reduction of seasonality, increase of number of tourists, creation additional working places, raise the general income of the population, and allow for growth of product vitality, sustainable development and economy. In order to develop modern forms of agro-tourism, it is essential to get more indirect financial support from the state.

ძირითადი შემოკლებანი
Abbreviations

ასმსხფ – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი

ასსდმა – აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი

აცსა - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

ბათუმი – ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალები. ბათუმი.

სდსინ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა). ოთხტომეული.

სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები (ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების კრებული)

სუიცსა – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

სცსსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ქწა – ქართული წყაროთმცოდნეობა

შსსცსა – შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო არქივი

ხეც – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კრებულის ავტორები
Authors of the Articles

აზმაიფარაშვილი მაია (გორი, საქართველო)
ბიოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Azmaiparashvili Maia (Gori, Georgia)
PhD in Biology, Associate Professor, Gori State Teaching University

ახვლედიანი მერაბ (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Akhvlediani Merab (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ახვლედიანი ნარგიზ (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Akhvlediani Nargiz (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Senior Researcher, Department of Folklore and Dialectology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ბარამიძე რუსლან (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Baramidze Ruslan (Batumi, Georgia)
Phd in History, Senior Researcher, Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

გელაშვილი გია (თბილისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Gelashvili Gia (Tbilisi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გიგუაშვილი გიული (გორი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Giguashvili Giuli (Gori, Georgia)
PhD in Economics, Full Professor, Gori State Teaching University

გიორგაძე მარინე (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Giorgadze Marine (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

გოგიტიძე სიმონ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Gogitidze Simon (Batumi, Georgia)
Candidate of Historical Sciences, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

გოგოლიშვილი ოთარ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Gogolishvili Otar (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

გუჯეჯიანი როზეტა (თბილისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Gujejiani Rozeta (Tbilisi, Georgia)
Doctor of History, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

დიასამიძე ბიჭიკო (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი
Diasamidze Bichiko (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Head of the Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

დიასამიძე ხათუნა (ბათუმი,საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
Khatuna Diasamidze (Batumi,Georgia)
PhD in History, Assistant Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ზოსიძე ნუგზარ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
Zosidze Nugzar (Batumi, Georgia)
Candidate of Historical Sciences, Deputy Dean of Technological Faculty of Batumi Shota Rustaveli State University

თურმანიძე ოთარ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Turmanidze Otar (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

კარალიძე ჯემალ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
Karalidze Jemal (Batumi, Georgia)
PhD in History, Assistant Professor, Batumi Shota Rustaveli State University

კახიძე ამირან (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი
Kakhidze Amiran (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor, Director of Batumi Archaeological Museum

კოპალეიშვილი ტატიანა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი
Kopaleishvili Tatyana (Batumi, Georgia)
PhD in History

ლორთქიფანიძე გურამ (თბილისი, საქართველო)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
Lortkipanidze Guram (Tbilisi, Georgia)
Full Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of the Israel Center, Correspondent Member of the National Academy of Sciences

ლორთქიფანიძე ქეთევან(თბილისი, საქართველო)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის ასოცირებული პროფესორი
Lortkipanidze Ketevan(Tbilisi, Georgia)
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მალაყმაძე როინ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი
Malakmadze Roin (Batumi, Georgia)
PhD in History, Director of the Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

მამულაშვილი ლეილა (გორი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Mamulashvili Leila (Gori, Georgia)
PhD in Economics, Full Professor, Gori State Teaching University

მანია ესმა (თბილისი, საქართველო)
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Mania Esma (Tbilisi, Georgia)
National Centre of Manuscripts, Research Assistant, PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მანია მაია (თბილისი, საქართველო)
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, არქიტექტურის ისტორიკოსი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი
Mania Maia (Tbilisi, Georgia)
PhD in Art, Architectural Historian, Apolon Kutateladze Tbilisi State art Academy; G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation

მახარაძე გენადი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი
Makharadze Genadi (Batumi, Georgia)
Candidate of Historical Sciences, Director of Akaki Tsereteli Batumi Public Library

მგელაძე ნუგზარ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Mgeladze Nugzar (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მეგრელიშვილი ზურაბ (ბათუმი, საქართველო)
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Megrelishvili Zurab (Batumi, Georgia)
Doctor of Technical Sciences, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მეგრელიშვილი მერაბ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე
Megrelishvili Merab (Batumi, Georgia)
PhD in History, Deputy Director, Scientific Library, Batumi Shota Rustaveli State University

მესხია ერმილე (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
Meskhia Ermile (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor, Rector, Batumi Art State Teaching University

მიქაშავიძე ვახტანგ (ბათუმი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
MikashavidzeVakhtang (Batumi, Georgia)
PhD in Economics, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მიქაშავიძე ჟანი (ბათუმი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
Mikashavidze Zhani (Batumi, Georgia)
PhD in Economics, Assistant Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მჭედლიძე გულიკო (თბილისი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-მკვლევარი
Mchedlidze Guliko (Tbilisi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Researcher, National Centre of Manuscripts

ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქუთაისი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nikoleishvili Avtandil (Kutaisi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Full Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ნიკოლეიშვილი ოთარ (ქუთაისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nikoleishvili Otar (Kutaisi, Georgia)
PhD in History, Assistant Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ოზთურქმენი არზუ (სტამბული, თურქეთი)
პროფესორი, დოქტორი, ისტორიის დეპარტამენტი, ბოსფორის უნივერსიტეტი
Özturkmen Arzu (Istanbul, Turkey)
Professor, Doctor, Department of History, Boğaziçi University

ოქროპირიძე უჩა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Okropiridze Ucha (Batumi, Georgia)
PhD in History, Principal Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

საითიძე გელა (თბილისი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Saitidze Gela (Tbilisi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor, Principal Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სანიკიძე იოსებ (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sanikidze Ioseb (Batumi, Georgia)
Candidate of Philological Sciences, Batumi Shota Rustaveli State University

სარალიძე ლელა (თბილისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Saralidze Lela (Tbilisi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სონღულაშვილი ნატო (თბილისი, საქართველო)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
Songulashvili Nato (Tbilisi, Georgia)
Assistant Professor, Georgian Technical University

სურმანიძე ნარგიზ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი
Nargiz Surmanidze (Batumi, Georgia)
PhD in History, Research Assistant, Batumi Archaeological Museum

სურმანიძე რამაზ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი
Surmanidze Ramaz (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Doctor of Medical Sciences, Rector of Batumi Medical-Ecological Institute

ტუნაძე ირაკლი (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრი
Tunadze Irakli (Batumi, Georgia)
Bachelor of Mountain and Geo-Engineering, Batumi Shota Rustaveli State University

ფუტკარაძე შუშანა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსი
Putkaradze Shushana (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Head of the Department of Folklore and Dialectology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ქავთარაძე ეთერ (თბილისი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი
Kavtaradze Eter (Tbilisi, Georgia)
Doctor of Philology, Main Specialist, National Centre of Manuscripts

შალიკაძე თამარ (ბათუმი, საქართველო) ისტორიის დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი
Shalikadze Tamar (Batumi, Georgia)
PhD in History, Researcher, Batumi Archeological University

შიოშვილი თინა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Shioshvili Tina (Batumi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ხალვაში თამთა (კოპენჰაგენი, დანია)
კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი
Khalvashi Tamta (Copenhagen, Denmark)
PhD Student, Faculty of Social Sciences, Department of Anthropology, University of Copenhagen

ჩაგანავა გურამ (ბათუმი, საქართველო)
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Chaganava Guram (Batumi, Georgia)
Doctor of Psychological Sciences, Full Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ჩელებაძე ნაილა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის აკადემიური დოქტორი**,** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Chelebadze Naila (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher, Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ჭიჭილეიშვილი მაია (ბათუმი, საქართველო)
ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Chichileishvili Maia (Batumi, Georgia)
PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor, Batumi Art Teaching University

ხახუტაიშვილი ნანა (ბათუმი, საქართველო)
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Khakhutaishvili Nana (Batumi, Georgia)
Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ჯიბაშვილი ოლეგ (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
Jibashvili Oleg (Batumi, Georgia)
PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

სარჩევი Contents

წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

გია გელაშვილი - ზოგი უცხოური ცნობა ბათუმის შესახებ (XIX ს-ის მეორე ნახევარი) 3
Gia Gelashvili - Some Foreign Information about Batumi (Second Half of 19th Century) 8

სიმონ გოგიტიძე - შილტბერგერის ცნობები ბათუმის შესახებ 9
Gogitidze Simon - Shiltberger's Notes about Batumi 13

გულიკო მჭედლიძე - XIX საუკუნის ეპისტოლეები, როგორც საისტორიო წყარო 14
Guliko Mchedlidze - 19th Century Epistles, as the Historical Source 20

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ახალი მასალა 1910-იანი წლების ბათუმისა და აჭარის შესახებ 22
Avtandil Nikoleishvili - New Material about Batumi and Ajara of the 1910s 28

გელა საითიძე - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ისიდორე რამიშვილის „მოგონებების" მიხედვით) 29
Gela Saitidze - Social-political Situation in Batumi at the turn of 19-20th Centuries (Based on 'Memoirs' by Isidore Ramishvili) 41

იოსებ სანიკიძე - ბათუმი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში 42

რამაზ სურმანიძე - ბათუმის ბულვარის კოლონადების მშენებლობის ისტორიისათვის 49
Ramaz Surmanidze - On the History of Construction of Batumi Boulevard Colonnades 55

შუშანა ფუტკარაძე, მერაბ ახვლედიანი - ბათუმელი ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის სახე ისტორიულ წყაროებსა და მუჰაჯირი ქართველების ზეპირსიტყვიერებაში 56
Шушана Путкарадзе, Мераб Ахвледиани - Образ батумца Кучук Хусейн-паши в исторических источниках и устном народном творчестве грузин-мухаджиров 62

ეთერ ქავთარაძე, ესმა მანია - XX საუკუნის ათიანი წლების ბათუმი დავით ყიფშიძის დღიურების მიხედვით 64
Eter Kavtaradze, Esma Mania - Batumi in the 1920s according to David Kipshidze's Diaries 70

თინა შიოშვილი - იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ბათუმისათვის" (1919 წ.) 71
Tina Shioshvili - The Poem „For Batumi" (1919) by Ioseb Grishashvili 76

ნაილა ჩელებაძე, როინ მალაყმაძე - ანტირელიგიური საბჭოთა პოლიტიკა და ბათუმის სობოროს ისტორია (საარქივო მასალების მიხედვით) 77

Naila Chelebadze, Roin malakmadze - The Antireligious politics and the history of Batumi Sobori 83

ისტორია და არქეოლოგია

ამირან კახიძე, ნარგიზ სურმანიძე, თამარ შალიკაძე –
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე 84
Amiran Kakhidze, Nargiz Surmanidze, Tamar Shalikadze –
The New Archeological Excavations at Batumi Fortress in 2012 93

Brian Gilmour, Nana khakhutaishvili, Nathaniel Erb-Satullo –
Ancient Metallurgical Industry In The Adjara Mountain Region 103
ბრაიან გილმოური, ნანა ხახუტაიშვილი, ნატანიელ ერბ-სატულლო –
უძველესი მეტალურგიული წარმოება აჭარის მთიან რეგიონში 117

ქეთევან ლორთქიფანიძე, გურამ ლორთქიფანიძე - ბათუმი (PORTUS ALTUS)
და მისი შემოგარენი რომაულ სამხედრო-საგზაო რუკებზე 118
Ketevan Lortkipanidze, Guram Lortkipanidze - Batumi (Portualtus) and Its
Suburbs On Roman Military and Road Maps 123

რუსლან ბარამიძე - მუსლიმთა სასულიერო სამმართველო ბათუმში
(1921-2004 წლები) 125
Ruslan Baramidze - Muslim Religious Organization in Batumi (1921-2004) 130

ოთარ გოგოლიშვილი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა
ბათუმში 1905 წელს 131
Otar Gogolioshvili - Social and Political Situation of Batumi in 1905 137

ბიჭიკო დიასამიძე - ბათუმი-ყარსის გზის მშენებლობის შესახებ
(XIX საუკუნის 60-70-იანი წლები) 138
Bichiko Diasamidze - On the Construction of Batumi-Kars Road
(60-70-s of 19th Century) 145

ნუგზარ ზოსიძე - ბათუმის საქალაქო ცხოვრება 1917-1918 წლებში 146
Nugzar Zosidze - The City Life in Batumi in 1917-1918 153

ოთარ თურმანიძე - ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ისტორია 154
Otar Turmanidze - History of Batumi Electromechanical Factory 161

ჯემალ კარალიძე - ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის
ძირითადი მიმართულებები 1888-1914 წლებში 162
Jemal Karalidze - The Main Directions of the Activity of Batumi Municipality
in 1888-1914 169

ტატიანა კოპალეიშვილი - პროტესტანტი მრევლი ბათუმში 170
Tatiana Kopaleishvili - Protestant Parish in Batumi 178

გენადი მახარაძე - საგამომცემლო საქმის ისტორიიდან (1879-1921 წ.წ.) 179
Genadi Makharadze - From the History of Publishing (1879-1921) 188

მერაბ მეგრელიშვილი - საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში 189
Merab Megrelishvili - The Consulates in Batumi in 1901-1903 192

ერმილე მესხია - ევროპის დელეგაცია ბათუმში 1920 წელს 193
Ermile Meskhia - European Delegation in Batumi, 1920 201

ოთარ ნიკოლეიშვილი - ბათუმის საკითხი ბერლინის 1878 წლის კონგრესზე (გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული წერილების მიხედვით) 202
Otar Nikoleishvili - The Issue of Batumi at the Congress of Berlin in 1878 (According to the Letters Published in the Newspaper 'The New York Times') 205

უჩა ოქროპირიძე - ბათუმის პორტის განვითარება 1878-1914 წლებში 206
Ucha Okropiridze - Development of Batumi Port in 1878-1914 years 210

ლელა სარალიძე - ქართული სამხედრო სკოლა და ბრძოლა ბათუმისათვის (1921 წ.) 211
Lela Saralidze - Georgian Military School and the Struggle for Batumi (1921) 217

ნატო სონღულაშვილი - ქართული გამოწვევა და სოციალური გარემო (1900-1917) 219
Nato Songulashvili - Georgian Challenge and National Identity (1900-1917) 227

გურამ ჩაგანავა - ყარსი-ბათუმის დაკავებასთან დაკავშირებით რუსეთ-თურქეთის გარიგების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნის 20-იანი წლები) 228
Guram Chaganava - Socio-political Aspects of Coherence Between Russia and Turkey Over the Occupation of Kars-Batumi (1920s) 240

ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე - ბათუმი როტშილდების სამრეწველო ინტერესებში 241
Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze - Batumi in Rothschilds' Industrial Interests 246

ანთროპოლოგია, ფოლკლორი, ტოპონიმია

Arzu Öztürkmen - Women Sounds From Tirebolu: Domains Of Existence And Power Network 247
არზუ ოზთურქმენი - ქალების ხმა ტირებოლუდან: არსებობის სივრცე და ძალაუფლების ქსელი 264

თამთა ხალვაში - ტრადიცია და თანამედროვეობა გარდაცვალების სიმბოლიზმში: ქართული საფლავის ქვების სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაცია 286
Tamta Khalvashi - Tradition and Modernity in the Symbolism of Death: Socio-political Transformation of Georgian Tombstones 295

როზეტა გუჯეჯიანი - ბათუმთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ასპექტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში 296
Gujejiani Rozeta - The Social-Cultural Aspects of Batumi in the Traditional Life of Georgians in Turkey 303

მარინა გიორგაძე, ნუგზარ მგელაძე - ბათუმისა და ბათუმის შემოგარენის პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობის საკითხისათვის 305
Marine Giorgadze, Nugzar Mgeladze - Regarding the Issue of Pontic Greeks' Folk Heritage in Batumi and Its Vicinities 314

ნარგიზ ახვლედიანი - ბათუმი და მისი შემოგარენი სანკტ-პეტერბურგის არქივში 315
Nargiz Akhvlediani - Batumi and Its Vicinities in St-Petersburg Archives 317

არქიტექტურის ისტორია, ხელოვნების ისტორია

მაია მანია - ბათუმის *ინტურისტი* - პოსტკონსტრუქტივიზმის გამორჩეული ნიმუში 318
Maia Mania - Batumi *Intourist* – an Outstanding Example of Postconstructivism 327

მაია ჭიჭილეიშვილი - ძველი ბათუმის რეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტი 334
Maya Chichileishvili - Some aspects of reconstruction of Old Batumi 341

ეკონომიკა და ტურიზმი

მაია აზმაიფარაშვილი - კლიმატის ცვლილების გავლენა ტურიზმის დარგსა და დანიშნულების ადგილებზე 343
Maia Azmaiparashvili - Impact of Climate Change on Tourism Field and Places of Destinations 348

გიული გიგუაშვილი - ბათუმის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 349
Giuli Giguashvili - Economic Development Prioritiesof Batumi 353

ლეილა მამულაშვილი - უცხოური ინვესტიციების განვითარება ბათუმში თანამედროვე ეტაპზე 354
Leila Mamulashvili - Development of Foreign Investment in the Present stage in Batumi 358

ზურაბ მეგრელიშვილი, ირაკლი ტუნაძე - ნიკო ნიკოლაძის ხედვა ბათუმის ნავთობტერმინალის განვითარების შესახებ 359
Zurab Megrelishvili, Irakli Tunadze - Niko Nikoladze about the Development of Batumi Oil Terminal 363

ჟანი მიქაშავიძე, ვახტანგ მიქაშავიძე - ბათუმის საკურორტო მეურნეობის აგროტურისტული პოტენციალი 364
Zhani Mikashavidze, Vakhtang Mikashavidze - The Agro-tourism Potential of Batumi Resources and Touristic Zone 369

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.12.2013
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 30
ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35